ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი

WWW.Opentext.ge/Ciskary
3-4 | 2003



ეროვნული ბიბლიოთეკა



„ნათია" მხატვარი მურმან დემურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

WWW. Opentext.ge/Ciskary

**3-4** | 2003

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

## შინაარსი

### პოეზია, პროზა

3. დალილა ბედიანიძე. ლექსები
8. ჯემალ ქარჩხაძე. ჭოლა. მოთხრობა
24. ვაჟა ხორნაული. ლექსები
31. ბესო ხვედელიძე. უზარმაზარი ბაზარი. ნაწყვეტი რომანიდან
45. ირაკლი ციგროშვილი. ლექსები
47. თამაზ ხმალაძე. მოთხრობები
59. ნიკა ჯორჯანელი. ლექსები
61. ნანა ქარდავა. მზედაღევნებული. მოთხრობა
76. რუსუდან გიგინაშვილი. ლექსები
78. იოსებ ლონგიშვილი. ლექსები. წინასიტყვაობა იზა ჯაჭვაძისა

### ეს ჩვენი წარსულია

81. თემურ მირიანაშვილი. ჩვენი ტრაგედიის ფესვები. ნაწყვეტი. დასასრული

### ახალი თარგმანები

91. არტურ რემბო. გასხივოსნებანი. თარგმნა დალი ყალიჩავამ
108. ბორის აკუნინი - აზაზელი. თარგმნა, ბიოგრაფიული ცნობები დაურთო და რუს მწერალს ესაუბრა „ცისკრის“ განყოფილების გამგე მიხო მოსულიშვილი

### თვალსაზრისი

139. თამარ სამსონიშვილი. ფიქრი „დედა ეკლესიაზე“

### წერილები

144. ზეინაბ სარია. სიტყვის ნიუანსირება
146. ეკა ცხადაძე. ლიტერატურა, როგორც აღმაფრენა
149. ჯემალ სტეფნაძე. მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული ასომთავრული ანბანის კვლევის საქმეში

გარეკანის პირველ გვერდზე **ასმათ ალანიას „სამი ფიგურა“**

მთავარი რედაქტორი:
**ზაურ კალანდია**

სარედაქციო საბჭო:
**ბადათერ არაბული**
**ლევან მალაზონია**
**ელზა მეტრეველი – მთ. რედაქტორის მოადგილე**
**მიხო მოსულიშვილი**

მხატვარი:
**გიორგი წერეთელი**

ტექრედაქტორი:
**ზიული სირაძე**

გამომცემელი:
**ლევან თითმერია**

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99- 85- 81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„კომპოზიცია" მხატვარი ასმათ ალანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დალილა ბედიანიძე



●

თურმე ერთმანეთს მთებიც ხვდებიან.
არ დამიწყია მე თქვენი ძებნა.
მღერიან - ეს ხომ წმინდა ძმებია
და თოვლში მიწა წააგავს ზებრას.

ორივეს გვიშლის ეგ სიამაყე
და ერთმანეთის დაკარგვის შიში
და ერთმანეთი რომ აღარ ვნახეთ
ორივეს გვიშლის, ორივეს გვიშლის.

მაგრამ გვცილდება სუსხი და თოში
და გვიბრუნდება სითბო ჩვეული.
ო, რამდენია საქართველოში
მთები ხელიხელგადახვეული!

●

მე მოგიგონებ მაშინაც, როცა
ვარ რა, მე თქვენგან დავიწყებული.
სულ ვერ ვისვენებთ, არა გვაქვს მოცლა -
რა ნაცნობია, რა ჩვენებური.

ო, მოვიცალოთ ერთმანეთისთვის
ხანდახან მაინც (ჯანდაბას ფული!),
რომ ერთმანეთის სითბო გვეღირსოს
და მოვიგონოთ სხვაც დაკარგული.;

რამდენი დღეა არ მინახიხარ,
რამდენი წუთი! ვთვალე და ვთვალე
და სადმე, როგორც გამოცლილ ჭიქას,
ისე ჩაჰყურებ სხვის უცხო თვალებს.

ნეტავ სად შერჩი? საით იარე?
ან რა მოიგე, ან რა წააგე?
სურათზე შენი მზერა ბდღვრიალებს
და გილამაზებს ღიმილი ბაგეს.

ყინვა ხის ერთგულ ბელურებს ხოცავს.
შეხვედრის სითბო მსურს ძველებური.
მუდამ გკითხულობთ და მუდამ გლოცავთ,
გახლავართ - თქვენგან დავიწყებული.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე შენს თვალებში ცა დავინახე,
თურმე აქამდე ცა არ მინახავს.
გხატავ და ხატვა მაგ შენს სულს ამხელს,
მე გამოგიცნობ, რა ხარ, ვინა ხარ.

გარდავისახე რა სიხარულით,
ქვეყანას შენი თვალებით ვუმზერ,
არ მეკიდება თვალებზე რული,
შენი ნიშანი მაჩნია სულზე.

გიმღერ და, ალბათ, სიმღერა ჩემი
ოდესმე მაინც მოაღწევს შენთან.
ცის ზღვას მიაპობს ღრუბლების გემი
და მიდის, მიდის მხარეში ფერთა.

ო, შენ რა იცი, რა დავიანახე
მე შენს თვალებში, რა ვნახე შენში!
ეს იყო გზა თუ ეს იყო მახე?
გავყურებ ხეებს ფოთლებში შეშლილს.

ბედით მეღირსა ბედნიერება,
ელვით ელავენ ნატვრისთვალები.
ცა შენს თვალებში... გრძნობა მერევა
და მეშინია ფერისცვალების.

●

დილით ჩემზე ადრე ადგა დედა
და წავიდა (ოჯახისთვის ცდილობს)
და ბარათი დამხვდა, დედა მწერდა:
„ცივა, თბილად ჩაიცვიო, შვილო!"

დედა, მე სხვა სიცივე მკლავს, დედა!
სხვა შიმშილით სული დამეშშივა.
შენ ხომ მუდამ არ იქნები ჩემთან,
თუმც სადაც შენ, ბოლოს მეც იქ მივალ.

უშენობა... ჯერ ფიქრსაც ვერ ვბედავ,
გიყურებ და ზოგჯერ ცრემლებს ვფარავ.
მერე ჩემზე ვინ იზრუნებს, დედა?
ვინ იდარდებს, მე მცივა თუ - არა?

დავვობლდები და მომტყდება მხარი,
შენ სიცივე მერე ნახე, დედა!
ან რა ნახე, ან რით გაიხარე
მამაჩემის შემდეგ უფრო მეტად!

შევაგროვე შენი ბარათები,
რამდენჯერაც ზეცა ჩამეკეტა,
წავიკითხავ და იმდენჯერ ვთბები -
ღმერთო, ნეტავ მუდამ მყავდეს დედა!

●

ამო-ამო-ამომზევდი,
ერთი გამოიდარე.
ავატირებ ჩვენი სევდით
მზის სხივიან გიტარებს.

მახსოვს შენი მოკითხვები,
როგორ გამახალისა.
რამდენ ამბავს მოგიყვები
დღეისას და ხვალისას.

აქეთური, იქეთური...
ენა გავიარაკოთ -
და გავტეხოთ ლექსის პური,
მოდი, ვილაპარაკოთ!

ამო-ამო-ამომზევდი!
ამო-ამომთვარევდი.
შეკრული ვართ ერთი ბედით,
ერთნაირი თვალებით.

რამდენი რამ დამიგროვდა
სათქმელი, საესავი.
შემოგყურებ, როგორ მოხვალ
შინ მომავალ მზესავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ო, მდუმარების მუსიკა მესმის
და მზე მოადგა ჩუმად ამბიონს.
ჩვენო მფარველო, კეთილო მწყემსო,
ცოდვილი ვარ და გთხოვ, მაპატიო!

არეულია ქვეყანა ესე,
ვინ რას პატიობს, ვინ რას პარტიობს.
ზოგი ბოროტად თვალებს აკვესებს,
ზოგს კი თვალები არ აქვს, სად ვსდიო!

ზოგისთვის ლოცვა საქმეა ფუჭი,
ზოგი აეშვა ზოგი - დაება.
ზოგს როგორ უჭირს, ო, როგორ უჭირს
მონანიება და აღსარება.

მე აღსარებით მოვედი შენთან
და გთხოვ, შემინდო და მაზიარო,
წმინდაო მამა, მოვიდრეკ მე თავს
და გული გალობს, და გული გალობს.

ო, მდუმარების მესმის მუსიკა,
განათებული ჩანს ამბიონი.
ტაძრის გუმბათი - საყრდენი ზეცის...
ლოცვით დაღლილი დუმს ტაძრიონი.

●

მე ჩემი რა გამიკვირდეს,
ზოგჯერ მზეც კია უღონო.
ცივად ელვარებს ცის კიდე -
ვის ვენდო, ვის გავუგონო?

„ლექსო, ამოგთქომ ოხერო!"
იქნება შენ გამახარო,
მოდი, რახან შენ მოხველო
ჩემია მთელი სამყარო.

მე ჩემი რა გამიკვირდეს,
რომ უღონობით ვმოსილვარ,
შენ ახლა სხვისი იკითხე
და ნახე, ვის რა მოსვლია.

ის მაინც ხომ შემიძლია
სიტყვების სეტყვა გაჯახო,
შენთან ვინ აღარ იძლია
კლდეო, ცივო და საჯაყო.

მე ჩემი რა გამიკვირდეს,
ზოგჯერ მზეც კია უღონო.
ცივად ელვარებს ცის კიდე
ვის ვენდო, ვის გავუგონო!

●

მათთვის, ვინც მარტო გარდაიცვალა
მარტო მივალ და დავანთებ სანთელს.
წუთისოფელი გალიეს ცალად.
იმათ იცნობდა მღვდელი და მნათე.

როცა მოიცვა უცხო სიცივემ
თავისიანი ენატრებოდათ.
ალბათ, ვერ იცნეს, ვერ მოიცილეს
და შეხვდნენ სიკვდილს, როგორც მეგობარს.

მარტოხელათა საფლავზე მივალ,
ყვავილებს კრძალვით დავუწყობ თავთან.
მათ აღარც სცხელათ და აღარც სცივათ,
ჰგვანან მიწაში ჩაკარგულ თავთავს.

ამქვეყანაზე არავინ დარჩათ
შემნდობელი და მომგონებელი.
დაჰყურებს საფლავს და ცრემლებს ხარჯავს
ხეს შერჩენილი ყვავი ბებერი.

მათთვის, ვინც მარტო გარდაიცვალა
ვიმღერებ მარტო - ბედს ჩემსას ვართობ.
ჰოი, უფალო! განგების ძალავ,
შენ დამიფარე არ ვიყო მარტო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●●●

მამას ცისფერი ჰქონდა თვალები...
ახლა მიყურებს მაღალი ციდან.
მე მახსოვს მისი გარდაცვალება,
ჩემი და იყო სულ ერთი ციდა.

მსუბუქი იყოს შენთვის ეგ მიწა,
რომელიც ასე შეგყვარებია.
მშობლებიც მანდვე, გვერდითვე გიწევს
და მომიკითხე პაპა-ბებია.

სულ ვუნთებ სანთელს უფალო, ღელვით,
სანამ სიკვდილი მეც მისებრ წამშლის.
გთხოვ, დაუმკვიდრე სასუფეველი,
გზა გაუნათე იმ ქვეყანაში.

ის ახალგაზრდა იყო ჯერ მეტად
და ცაში უფრო არ დაბერდება
და რამდენჯერაც ზეცას ავხედავ
მამის თვალები გამახსენდება.

## ლეთა

მე შენთან მოვალ წვიმაშიც, ქარშიც...
დალოცვილ იყოს შეხვედრა შენთან
და მხოლოდ შენთვის მე ბავშვად დავრჩი.
დადუმებული კამკამებს ლეთა.

მე დავივიწყე დასავიწყარი
და ის, რაც იყო ბავშვობის შემდეგ.
მხოლოდ ის მახსოვს, რაც შენ მითხარი,
ხსოვნის მდინარის ნაპირთან შევდექ.

ო, დამავიწყდა რამდენი რამე,
შენი კი მახსოვს ყოველი წამი
და მხოლოდ შენთვის, და მხოლოდ შენთვის
ხსოვნას იწვევენ ტალღები ლეთის.

დუმს დავიწყების გზაზე ყოველი
და მდინარეზე მწარე ნისლია
და ასულები თვალებსოველი
მომკვდარ ყვავილებს წყალში ისვრიან.

შენს მოლოდინში გადის ცხოვრება,
ლეთის ნაპირებს ავუვლ-ჩავუვლი.
მემახსოვრება, მემახსოვრება
შენთან შეხვედრის დღესასწაული.

●

რომ გაანათო, უნდა დაიწვა,
აინთები და ჩაგაქრობს ვერა.
ასეთ წამებში შენ ტოვებ მიწას
და იფერფლები სულ ფერად-ფერად.

მაგრამ მზეც ერთხელ დაიფერფლება
და რა იქნება, არ ვიცი მაშინ.
ნეტავი უკვე ეს არ ვიცოდე,
როგორც მჯეროდა მზე ბავშვობაში.

ზამთრის ზეცაში ელავს მზის ხიდი,
ცას მივაცივდი ცივს და ცვალებადს
და დავინახე მომავლის ბინდი
და წუთისოფლის გარდაცვალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გვირილა

სასაფლაოზე ვკრეფდი გვირილებს,
ვკრეფდი გვირილებს და იასამნებს.
გვირილა იყო შენი ღიმილი -
ნეტავი კიდევ შემომხვდე სადმე!

რადგან შენ ნახე, აღარ დაჭკნება
ის ყვავილები, რადგან შენ ნახე.
ვით შენი მზერა - შეშლილი ვნებით
წიგნის ფურცლებში გადავინახე.

გადავშლი წიგნს და თანაც გიგონებ,
ყვავილთა შუქი წიგნში ლივლივებს.
თიბათვე იყო რომ მომეწონე,
სასაფლაოზე ვკრეფდი გვირილებს.

●

მე გავექეცი ყალბ ბრილიანტებს.
როგორ იმატა ყალბმა სუფრებმა -
ყველა არ ათბობს, რაც კი ბრჭყვიალებს
და არ მიელტვის თავისუფლებას.

ზოგის სიყვარულს სიყალბეს ვატყობ
და მაგონდება სიბრძნის სიცრუე.
საიგავოა - ვინ ვის ღალატობს
და ვინ კი ვისკენ რატომ მიცურავს.

მე გავექეცი სიყალბის დროებს,
სხვა სამართალი მომელის ზევით,
მაგრამ სამშობლოს ვის შეატოვებ
ან საკუთარ თავს სად გაექცევი!

## ალილუია

ღმერთო, იხსენი ჩვენი სულები, ვინც მარტოობით დაღალულია
ჩვენი ფიქრები და ჩვენი გზები! ალილუია! ალილუია!

ვგალობ ქოროში ღვთაებრივ ვნებით. ღვთის წყალობისთვის აქ ბევრს უვლია.
ღმერთო, იხსენი ჩვენი სულები! ალილუია! ალილუია!

სავედრებელი მე მაქვს ათასი და ათასივე ეს - მამულია.
ღმერთო, იხსენი სამშობლო ჩემი! ალილუია! ალილუია!

ყოველდღე ლოცვით განვიწმინდები, ეს - დღეის ლოცვის დასასრულია.
ღმერთო, იხსენი ჩვენი სულები! ალილუია! ალილუია!

ლოცვის ექსტაზში მოგორავს ცრემლი - ეს ღვთაებრივი სინანულია.
ცოდვამრავალნი ვართ და უძღებნი, ალილუია! ალილუია!

მე ღვთის სიყვარულს ვატარებ ყველგან და ეს ყოველთა სიყვარულია.
ღმერთო, გვიხსენი! ღმერთო, გვიხსენი! ალილუია! ალილუია!

ამქვეყანაზე მოსვლა კი ღირდა, თუმც ეს ცხოვრება ვაი-ვუია.
ღმერთო, იხსენი ჩვენი სულები! ალილუია! ალილუია!



„პეიზაჟი" მხატვარი ნოდარ ცანავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯემალ ქარჩხაძე

## ჭოლა

აკაკი ჩქარი ნაბიჯით გავიდა ბაქანზე და მატარებელს მიაშურა.

აღარ თოვდა, მაგრამ ყინვა კიდევ უფრო ღონივრად უჭერდა და მშრალი თოვლი ფეხქვეშ მწყრალად ჭრაჭუნობდა. ცივი ვარსკვლავები ნაღვლიანად ბჟუტავდნენ შავ ცაზე. გათოშილი ქვეყნიერება თავით ფეხამდე შეხვეულიყო თეთრ სუდარაში და მორჩილად მინდობოდა ღვთის ნებას.

კუპეში არავინ დახვედრია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც საწოლს თავი აჰხადა, რათა პორთფელი სათავსოში შეენახა, უკნიდან ხმა მოესმა: — ოცდამეხუთე ჩემია.

აკაკიმ მიიხედა და მკერდში ყინულის ნატეხი ჩაუცურდა.

ზღურბლზე უცნობი კაცი იდგა. მაღალიც იყო, სქელიც, გრძელი და განიერი პალტოც ეცვა, მსხვილი კისერიც ჰქონდა და დიდი, მრგვალი კეპიც ეხურა. ხელში მოზრდილი ჩემოდანი ეჭირა.

აკაკის ყელში რაღაც დაეცო.

— გამარჯობა.

— ოცდამეხუთე ჩემია, — გაიმეორა კაცმა.

აკაკიმ იგრძნო, რომ უხერხულ პოზაში იდგა. მაშინ საწოლის თავი დაუშვა და გულჯიბიდან ბილეთი ამოიღო. მეექვსე ვაგონი, ოცდამეხუთე ადგილი.

— ჩემია.

კაცმა წამით თვალი თვალში გაუყარა, მერე თვითონაც ამოიღო ბილეთი და დახედა.

— ჩემია.

აკაკიმ მხრები აიჩეჩა. კაცმა ბილეთი ჯიბეში ჩაიდო და კეპი მოიხადა. თავი გადაპარსული ჰქონდა.

აკაკი წავიდა და მატარებლის გამყოლი მოძებნა. გამყოლმა ორთავე პრეტენდენტს გამოართვა ბილეთები, დაკვირვებით შეამოწმა, მოლარეს შეაგინა და აკაკის ოცდამესამე ადგილი მიუჩინა, ოცდამეხუთის პირდაპირ.

მატარებელი დაიძრა. აკაკის თანამგზავრი მაშინვე დაწვა და დაიძინა.

ცოტა ხნის შემდეგ აკაკიც დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა.

ამ პატარა ქალაქში, საიდანაც ეს-ესაა ქშენით გავიდა მატარებელი, შემთხვევით მოხვდა. იქნებ არც მოხვედრილა შემთხვევით, მაგრამ თქმით მაინც ასე ითქმის.

მანამდე თბილისში ცხოვრობდა. ახალგაზრდობაში ყველა ჟურნალისა და ყველა გაზეთის რედაქციები მრავალგზის ჰქონდა შემოვლილი. ბოლოს ერთ-ერთ მათგანში კორექტორად დაიწყო მუშაობა და მას შემდეგ მუშაობდა და მუშაობდა კორექტორად. დროდადრო ქვემოდან ახალი ხალხი მოვიდოდა, აკაკის გაივლიდა და ზემოთ გასწევდა. აკაკი კი მუდამ ერთსა და იმავე ადგილას იყო. ამასობაში მაჰმადის ასაკსაც გადააბიჯა. მანამ ბუდასა და ქრისტეს ასაკი გაიარა, მაგრამ სამყაროს არაფერი დასტყობია. როდესაც მაჰმადის ასაკსაც უხმაუროდ და შეუმჩნევლად გასცდა და ერთ მშვენიერ დღეს მიხვდა, რომ წინ მხოლოდ ის ედო, რაც უკან უკვე დატოვა — მცირე ხელფასი, შეგუებული ერთფეროვნება და შემთხვევიდან შემთხვევამდე ნახევრად ინფორმაციული ხასიათის პატარ-პატარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალბი სტატიები, რომლებიც ახლო ნათესავებშიც კი ღიმილის მეტს უკვე აღარაფერს იწვევდა – უეცრად და რაღაც საეჭვოდ იოლად გადაწყვიტა, თბილისი მიეტოვებინა და პერიფერიაში გადაბარგებულიყო.

თავისით ალბათ ვერც ვერაფერს მიხვდებოდა და ვერც ვერაფერს გადაწყვეტდა; თვინიერად იჯდა შეჩვეულ ბუდეში და აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ რამეს შეცვლა შეიძლებოდა, ბედისწერას რომ, სად იყო სად არა, საურმაგი არ შეხვედრებინა, უნივერსიტეტის ამხანაგი, რომელიც რაიონში მუშაობდა გაზეთის რედაქტორად.

კაცი ზოგჯერ გულახდილი ხარ. თავისთავად ეს ბევრს არაფერს ნიშნავს – დიდი-დიდი მერე შეგრცხვეს და ამ სირცხვილის ბლანტი კვალი ერთი-ორ დღეს გაგყვეს – მაგრამ, თუ მოვლენები ისე დაემთხვა ერთმანეთს, როგორც მაშინ, როცა აკაკი საურმაგს გადაეყარა, ადვილი შესაძლებელია მოგეჩვენოს, თითქოს ცხოვრებას ისეთი რამ დასტყუე, რასაც სხვა შემთხვევაში ეგრე იოლად არ დაგითმობდა.

იქნებ გაზაფხულის პირველი, მძლავრი აფეთქება იყო მიზეზი, იქნებ შეხვედრის უეცარი და მოულოდნელი ხასიათი, იქნებ სხვა, ჩვენთვის უცნობი რამ ძალა, რომ ერთიმეორის ნახვა ასერიგად გაეხარდათ.

როდესაც რესტორნის ერთ მყუდრო კუთხეში, სადაც შეხვედრის სიხარული ჩვეულებრივ უკეთ მჟღავნდება ხოლმე, თითო ბოთლი ღვინო დალიეს და აკაკიმ ისეთი მწარე-მწარე შენიშვნები გამოთქვა საზოგადოდ ცხოვრებისა და კერძოდ თავისი ბედის მისამართით, რომლებიც აქამდე არავისთვის გაუმხელია, საურაგმა უთხრა:

–რას შეჩერებიხარ, მერე, ამ აქოთებულ თბილისს?! ჩემთან წამოდი. ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ჩაგაბარებ. სუფთა ჰაერზე იცხოვრებ, სასმელ-საჭმელი არ მოგაკლდება, შემწუხებელი არავინ გეყოლება, იმუშავე და იყავი შენთვის წუნარად.

აკაკის ეგონა გულის მოსაფხანად ვწუწუნებო; საურმაგს ეგონა ფორმალური თავაზიანობის გამო ვეპატიჟებიო; არც ერთსა და არც მეორეს ფიქრად არ მოსვლია, რომ ამ ზერელე საუბარს შეეძლო შორეულ რაიონში ისეთი შუქურა აენთო, რომლის მძლავრი სხივები აკაკის ჩაბნელებულ არემარეს ძირისძირობამდე გააჩახჩახებდა. მაგრამ ბედისწერის ჩანაფიქრს წინ რა დაუდგება! შუქურა აინთო, წყვდიადი განათდა და აკაკიმ ერთბაშად დაინახა, რომ ძველი ძაფები დაწყვეტილიყო და მშობლიურ თბილისთან ჩლუნგი ინერციის გარდა აღარაფერი აკავშირებდა.

ახალგაზრდობის იმედები და ოცნებები კარგა ხანია ასაკის მღვრიე წყალმა წაიღო, პერსპექტივა გახუნდა და ფერდაკარგულ ყოველდღიურობაში განზავდა, რომანისთვის წლობით ნაკოწიწები მასალა, ერთ დროს ოპტიმიზმის წყარო და სიცოცხლის მხნე სტიმული, ბოლოს ხელმოცარულობის სიმბოლოდ იქცა და ახლა იმდაგვარ გრძნობას იწვევდა, როგორც ლატარიის ბილეთები უიღბლო გათამაშების შემდეგ. მისი ტოლები ცხოვრების მაღალ სერზე შეფენილიყვნენ და ისეთ ადგილას დაეცათ კარავი, სადაც ნოყიერი ბალახი ბიბინებდა, ანკარა წყარო ამოედინებოდა და დიდრონი ხეები იდგა, რომელთა ჩრდილში მზის მცხუნვარე და გამხრწნელ სხივებს კაცი საიმედოდ ემალები. ყველამ რაღაცას მიაღწია, ყველა მშვიდად ცხოვრობდა და, თუმცა ცოცხალ კაცს საწუხარი არ დაელევა, რაც იქ, იმ სიმაღლეზე, საწუხრად და ზედმეტ ტვირთად ითვლებოდა, ფერდობის ძირას დარჩენილი აკაკი იმას ნატვრით შესცქეროდა და ამაოდ ეპოტინებოდა. აკაკიმ ბარემ კარგად იცოდა, რომ როდესაც შენი ჭირის ერთადერთი საზომი სხვისი ლხინია და ამ უსასრულო შედარებას თავი და ბოლო არა აქვს, ფაქტიურად ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, მაგრამ ეს ცოდნა თეორიული ცოდნა იყო, ცხოვრება კი თეორია არ არის, ცხოვრება ყოველწამიერი სახიფათო არსებობაა. მართალია, ერთი ხანობა გადაწყვიტა, ეს თეორია იარაღად ექცია, ფილოსოფიის განყენებულად მაღალ კოშკში გამოკეტილიყო, არად ჩაეგდო წარმატება-წარუმატებლობის ილუზია და მშვიდი და ირონიული ღიმილით ეცქირა ადამიანთა ამაო ფუსფუსისათვის, მაგრამ ვერ მოახერხა, ვინაიდან საამისოდ მსახიობის ნიჭი იყო საჭირო, მსახიობის ნიჭი კი აკაკის არ აღმოაჩნდა. საბოლოოდ ისევ ცხოვრების დინებას მიჰყვა.

ძველი ამხანაგები ნიშნისმოგებასავით იდგნენ თავიანთ მაღალ-მაღალ პოსტებზე. აკაკი დაბალ პოსტზე იდგა, როგორც მათი სასარგებლო ფონი.

ორმოცი წელი ისე გაეპარა თვალსა და ხელს შუა, ფეხქვეშ საყრდენი ვერ დაიგულა: კორექტორობას ვერ გასცდა, რომანი ვერ დაწერა, ოჯახი ვერ შექმნა. ამას ისიც დაემატა, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ მშობლების დანატოვარ ბინაში თავს სტუმარივით გრძნობდა. ბინა ვრცელი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში მცხოვრებლებიც კარგად მომრავლდნენ. ერთ ნაწილში უფროსი და იდგა თავისი ქმარ-შვილით, მეორეში – უმცროსი ძმა თავისი ცოლ-შვილით. აკაკის ერთი პაწაწკინტელა ოთახი ეჭირა, მაგრამ სინდისი ამის გამოც მწარედ ქენჯნიდა. იმ ოთახში რომ შევიდოდა და კარს მიხურავდა, ასე ეგონა, რაღაც ბოროტებას ჩადიოდა. ადრე, სანამ რომანისათვის მოგროვილი მასალა ჯერ კიდევ პერსპექტიულ ნაღმად ითვლებოდა, რომლის აფეთქების შედეგად აკაკი ტყვიასავით უნდა ავარდნილიყო მაღლა და, თუ ცხოვრების სერს მთლად კენწეროში ვერ მოექცეოდა, იმ ზონას მაინც ასცდენოდა, სადაც მისი ტოლ-ამხანაგები დაფუთფუთებდნენ, ოთახს დიდი, შეიძლება ითქვას, ზეგარდმო დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნაღმი, რომელიც სინამდვილეში ნაღმი კი არა ცხოვრებასთან შესაგუებელი სატყუარა გამოდგა, ბალასტად იქცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე ოთახი ზედმეტი ფუფუნება გახდა და ერთი კაცისგან მისი მისაკუთრება და შიგ ასე ბატონკაცურად გაფარფაშება უკვე უსამართლობა იყო. აკაკი რომ არა ამ ოთახს ან უფროსი და დაეპატრონებოდა, ან უმცროსი ძმა. ერთსაც სჭირდებოდა და მეორესაც. აკაკი ზოგჯერ წარმოიდგენდა, ვითომ მოკვდა და დაასაფლავეს. ცხადია, მისი სიკვდილი დასაც დასწყვეტდა გულს და ძმასაც, ცხარე ცრემლითაც დაიტირებდნენ, მაგრამ მთავარი აკაკის სიკვდილში მაინც აკაკის სიკვდილი კი არ იქნებოდა, არამედ გამოთავისუფლებული ოთახი, რომელიც შესაძლოა და-ძმას შორის ჩუმი სიძულვილის მიზეზი კი გამხდარიყო, მაგრამ აკაკის იმედი ჰქონდა, რომ ამ სიძულვილს დღის სინათლეზე არ გამოიტანდნენ, ისე მოახერხებდნენ მორიგებას, რომ საქმე აშკარა კონფლიქტამდე არ მიეყვანათ და საქვეყნოდ თავი არ მოსჭროდათ. სინდისის ქენჯნა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუმძაფრდა, რაც დედა გარდაიცვალა და სახლში მხოლოდ მემკვიდრეები დარჩნენ. სანამ დედა ცოცხალი იყო, ოჯახში არსებობდა ერთიანი სიტყვა „ჩვენი“. დედა რომ გარდაიცვალა, ეს სიტყვა შემადგენელ ნაწილებად დაიშალა და მისგან სამი სხვადასხვა სიტყვა წარმოიქმნა: „ჩემი“, „შენი“ და „მისი“. „მისი“ აკაკი იყო და ცალკე ოთახი ეჭირა, არადა, დედის გარდაცვალების შემდეგ შინ მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდა. სადილობითაც მუდამ გარეთ სადილობდა. მართალია, არავინ არაფერს ამადლიდა და გადაკვრითაც კი არასოდეს არაფერი თქმულა არც დისა და არც ძმის მხრიდან, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ ასე სჯობდა. მაშინაც კი, როცა გარეთ ჭამას ვერ მოახერხებდა და შინ მშიერი ბრუნდებოდა, ნასადილევი ვარო, ტყუოდა და პირს არაფერს აკარებდა.

ყოველივე ამან რომ ელვის სისწრაფით გაურბინა გონებაში, საურმაგის უცხო ქალაქი წამით რომანტიკულ კუნძულად წარმოუდგა, სადაც მწვანე პალმები იდგა.

თურმე რა იოლი ყოფილა გათელილი გზიდან გადახვევა და ყვავილნარში შესვლა!

აკაკის გული გამალებით უცემდა. გრძნობდა, რა დიდი ძალით იზიდავდა შორეული პატარა ქალაქი. ახალი ცხოვრება, ახალი ხალხი, ახალი გარემო, გარემო, სადაც არავინ გიცნობს, ათვალწუნებითა და დამცინავი ღიმილით არავინ შემოგხედავს, სადაც შეგიძლია ყველაფერი თავიდან დაიწყო, რადგან შენი უსახელო წარსულის მძიმე ტვირთი, რომელიც წამდაუწუმ თვალებში გეჩხირებოდა და ნაბიჯს გირევდა, სამუდამოდ მოშორებული გექნება.

აკაკი არც იდეალისტი იყო და არც რომანტიკოსი. კარგად ესმოდა, რომ განახლებას შესაძლოა არც არაფერი შეეცვალა, მაგრამ შანსი ხომ გამოჩნდა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოთახს მაინც დაუცლიდა და-ძმას! რაც მთავარია, წარსულს დააღწევდა თავს და დანარჩენი უკვე მასზე იქნებოდა დამოკიდებული.

და აკაკიმ უყოყმანოდ გადაწყვიტა თავისი ბედი, რამდენადაც კი ჩვენი ბედის გადაწყვეტა ჩვენს ხელთაა, და ერთი კვირის შემდეგ უკვე ახალ ასპარეზზე იმყოფებოდა, პატარა, კოპწია ქალაქში, სადაც მართალია მწვანე პალმები არ იდგა, მაგრამ გაზაფხულს კი ისე გაეგიჟებინა თავი, რომ ყოველივე ფერთა და სურნელთა დამათრობელ ზღვაში დანთქმულიყო.

ლიზიკო პირველად წვეულებაზე ნახა, საურმაგის ოჯახში, სადაც თვითონ რაღაც გაუგებარი, ერთი შეხედვით თითქოს სავსებით ბუნებრივი, მაგრამ ამავე დროს მერყევი და ძნელად განსასაზღვრი მდგომარეობა ეკავა: ერთსა და იმავე დროს თანაკურსელიც იყო ოჯახის უფროსისა, თანამშრომელიც, სტუმარიც და ერთგვარად თანამასპინძელიც, ვინაიდან იმ ორი თვის განმავლობაში, რაც თბილისიდან წამოვიდა, აქ ცხოვრობდა და, სანამ ბინას არ მისცემდნენ, აქ უნდა ეცხოვრა.

ლიზიკოს ფეხი ფეხზე შემოედო, ოდნავ გვერდზე გადახრილიყო, მარჯვენა იდაყვით მაგიდას დაყრდნობოდა, ლოყა დანდობილად ჩამოედო ხელის გულზე, რომლის კელაპტრებივით ჩამოქნილ საჩვენებელ თითსა და შუა თითს შორის ანთებული სიგარეტი ცისფრად ბოლავდა, თვალები მიელულა და რამდენიმე თანამესუფრესთან ერთად ტკბილად მღეროდა.

ბედისა და ფეხის ანდაზა აკაკის მაშინ ჯერ კიდევ არ მოჰგონებია; არც ის იდუმალი ძაფები დაუნახავს, რომლებსაც უჩუმრად და გაუგებარი მონდომებით რთავენ ჩვენი დემონები, რათა ცხოვრების შემთხვევითი, უთავბოლოდ გაბნეული და თითქოსდა სრულიად დამოუკიდებელი ნაწილები განსაცვიფრებელი ხელოვნებით დააკავშირონ და ისეთი მთლიანი ბადე მოქსოვონ, სადაც ერთი ნასკვის წარმოდგენა მეორის გარეშე უკვე სრულიად შეუძლებელია; და არც ისეთი გრძნობა გასჩენია, თითქოს ლიზიკოს პოზა — ოდნავ, მაგრამ რაღაც გაუგებარი მიზეზით დამატყვევებლად გვერდზე გადახრილი სხეული, მილულული თვალები, ნატიფ სახეზე გადაფენილი საყვარელი ღიმილი — სამახსოვრო სურათი იყო, აკაკის გაუბედავად მძგერი გული კი — ძველი, სიყვითლეშეპარული საოჯახო ალბომი. იმ საღამოდან მხოლოდ ლიზიკოს სილამაზის მძლავრი, ოღონდ ზოგადი შთაბეჭდილება გამოჰყვა.

მეორედ ქუჩაში შეხვდა იმ პირველი შეხვედრიდან ორიოდე კვირის შემდეგ და გული მაშინდელივით გაუბედავად შეუფართქალდა მკერდში.

საღამო ხანი იყო. რედაქციიდან გამოსული წყნარად, თავისთვის მიუყვებოდა ქალაქის მთავარ ქუჩას, როცა შორიახლო, ვიწრო მოსახვევიდან, ლიზიკომ გამოანათა.

ლიზიკო საშუალო ტანისაც კი არ იყო, მაგრამ ისეთი წერწეტა და ისე ჰარმონიულად ჩამოსხმული, რომ კაცს დიდი ვაჟკაცობა გჭირდებოდა, შეგეხედა და თვალი მოგეწყვიტა. მართალია პატარა აღარ ეთქმოდა — როგორც აკაკიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით დაადგინა, იმ ზამთარს ოცდათხუთმეტი შესრულებოდა — მაგრამ ისეთი ნორჩი სილამაზით ჰყაოდა, რომ ასაკს იქით გააახალგაზრდავებდა და თავგზას აუბნევდა. მაღალ ქუსლებზე იდგა და მსუბუქად, ლაღად, თავდაჯერებულად მოდიოდა. თხელი მხრები ჰქონდა, სავსე მკერდი, ზომიერად მაღალი თეძოები და ჩამოქნილი, სწორი ფეხები. ჩალისფრად შეღებილი თმა უკან, კეფასთან ჩაეხვია. მუქი შინდისფერი კაბა ეცვა, გრძელი, ფართო სახელოებით და ოდნავ ამოღებული გულისპირით. გამომეტყველება მშვიდი ჰქონდა, სათნო და ბავშვურად უმანკო. მარჯვენა მხარზე ჩანთა ეკიდა.

ლიზიკოს დანახვაზე გული კი შეუტორტმანდა აკაკის მკერდში, მაგრამ იმავ წამს თავისი გაურკვეველი და ორჭოფული მდგომარეობაც იგრძნო. საქმე ისაა, რომ არ იცოდა, ლიზიკო იცნობდა თუ ვერ იცნობდა, ხოლო აქედან გამომდინარე, არ იცოდა, ნაცნობივით დაეჭირა თავი თუ უცნობივით. იმ წვეულებაზე აკაკი უცხოდ იყო, ჩუმად და მორიდებით, ამიტომ ადვილად შეიძლებოდა, ლიზიკოს იგი საერთოდ ვერ შეემჩნია ან, თუ მაინცდამაინც, შეემჩნია, მაგრამ არ დამახსოვრებოდა. ამ ეჭვებს აკაკის ისიც უძლიერებდა, რომ თავის თავზე ძალიან დაბალი შეხედულებისა იყო. ადამიანი საერთოდ თანდათან პატარავდება საკუთარ თვალში იმისდა მიხედვით, თუ რა ოცნებები ჰქონდა ახალგაზრდობაში და რა გადარჩა იმ ოცნებებიდან. აკაკის ახალგაზრდობის ოცნებები რომანიანი იყო და ფანტასტიკური, გადარჩენით კი არაფერი გადარჩენილა, პირწმინდად დაიფშვნა. შესაბამისად აკაკიც საკუთარ თვალში იმაზე მეტად დაპატარავდა, ვიდრე ამას ობიექტურობა მოითხოვდა, და ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა, რომ ერთხელ შეხვედრილი კაცი მეორე შეხვედრაზე იცნობდა.

ეს გულისმომკვლელი ეჭვები იმ წამს გაეფანტა, რა წამსაც ლიზიკოს მხედველობის არეში მოხვდა. დაინახა თუ არა ლიზიკომ, მზის ამოსვლასავით გაიღიმა და ნაბიჯსაც კი აუჩქარა.

— აა, ბატონო აკაკი! როგორ ბრძანდებით? — და ხელი გამოუწოდა.

გრძელი, ჩამოქნილი, ბროლივით თეთრი თითები ჰქონდა. გულდია, წრფელი ღიმილით შემოსცქეროდა და შავ-შავი, ბრიალა თვალებიდან სითბოს ისეთი ჭავლი გადმოედინებოდა, რომ აკაკიმ, მონუსხულმა და გაბრუებულმა, მოულოდნელად თვითონაც დაუფარავად და გულახდილად თქვა ის, რასაც ფიქრობდა:

— მე მეგონა, ვერ მიცნობდით.

— რატომ? — ლიზიკომ წვრილი, მოშვილდული წარბები აზიდა და დაბნეული გაკვირვებით შემოაცქერდა. ერთ ხანს პასუხს მოელოდა, მერე, რაკი პასუხი ვერ მიიღო, თვალები აუციმციმდა, — მაინც რა იფიქრეთ? მხედველობა არ მივარგა თუ მეხსიერება?

— არა, რას ბრძანებთ? — შერცხვა აკაკის, — უბრალოდ, მაშინ იმდენი ხალხი ირეოდა წვეულებაზე, რომ...

— ხალხი ბევრი იყო. ეგ მართალია. მაგრამ ისინი ყველანი ნაცნობები და შინაურები არიან. უცნობი მარტო თქვენ იყავით. — აქ ისევ გაუღიმა და ამ ღიმილმა აკაკი გაათბო. — ქალს კი პირველ რიგში უცნობი აინტერესებს.

ლიზიკო წავიდა და აკაკიმაც გზა განაგრძო. ერთი ორმოცდაათი მეტრი მაინც ექნებოდა გავლილი, როდესაც მიხვდა, რომ სახეზე უაზრო ღიმილი ეფინა. შერცხვა, შეკრთა, მიმოიხედა და ღიმილი სწრაფად მოიშორა.

ამის შემდეგ ლიზიკო ხშირ-ხშირად ახსენდებოდა და ყოველ გახსენებაზე გული საამურად აუჩქროლდებოდა ხოლმე. მაგრამ ზედმეტი ნავარდის ნებას გულს არ აძლევდა და ჯერჯერობით არც ბედის ანდაზა აგონდებოდა, რადგან მაშინ ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ლიზიკო გათხოვილი უნდა ყოფილიყო. ამ მტკიცე ვარაუდის საბაბს მისი ასაკი იძლეოდა. მართლაცდა, ასეთი სილამაზის პატრონს ოცდათხუთმეტ წლამდე გაუთხოვარს ვინ გააჩერებდა!

მაგრამ ეს მაინც ვარაუდი იყო და ამ ვარაუდის შესამოწმებლად აკაკიმ ერთ საღამოს ელასთან, საურმაგის მეუღლესთან, ჩამოაგდო სიტყვა ლიზიკოზე. ეგებ ჯობდა, თვითონ საურმაგს გაჰნდობოდა, რაც არ უნდა იყოს, ძველი ამხანაგები იყვნენ, ხუთი წელი ერთმანეთის გვერდით გაეტარებინათ და ერთმანეთისა, ასე თუ ისე, კარგად ესმოდათ, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან მას შემდეგ, რაც მისი თანამშრომელი გახდა — თუმცა ღვთის წინაშე საურმაგს საამისო საბაბი არასოდეს მიუცია — თანაბარუფლებიანი ამხანაგობის ადგილი სამსახურებრივი იერარქიის გრძნობამ დაიჭირა.

ლიზიკოს ხსენებაზე ელამ აკაკის დაკვირვებით შემოხედა, შეთქმულის ღიმილით გაიღიმა და ჰკითხა:

— გულში ხომ არ ჩაგივარდა? — და აკაკი რომ შეიშმუშნა და აწრიალდა, სიცილით დაუქნია თითი, — მგონი არც უმაგისობაა!

მერე ლიზიკოს ქებას შეუდგა. „ჩვენი საყვარელი ლიზიკო" უწოდა, „ჩვენი მზეთუნახავი", „პატარა ცუგრუმელა", „ჯეირანი" და სხვა. ბოლოს დაატანა:

— მაგრამ, თუ მართლა მოგწონს და მაგ საქმეზე სერიოზულად აპირებ დაფიქრებას, ჯობს აქედანვე იცოდე, რომ განათხოვარია და ხუთი წლის ბავშვიცა ჰყავს.

ხანი რომ გამოხდა და საჭიროებამ მოიტანა, აკაკი მაშინღა ჩაუკვირდა სიტყვა „განათხოვარს" და მიხვდა, რომ მისი შინაარსი ბუნდოვანი და ზოგადი იყო, ყოველ შემთხვევაში, ელას იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება, შეეძლო ეხმარა გაცილებით უფრო ზუსტი და კონკრეტული სიტყვები. ვთქვათ, „ქვრივი", „ქმარგაშვებული" და სხვა, მაგრამ მაშინ აკაკი ამით არ დაინტერესებულა, მაშინ — თუმცა ბავშვის ყოლამ ცოტა კი შეაშფოთა — მისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ის შინაარსი, რაც სიტყვა „განათხოვარში" იდო.

ამ საუბრის შემდეგ გულში იმედი ჩაესახა.

იმედი პატარა იყო, ვინაიდან აკაკის მაინცდამაინც არა სჯეროდა, რომ, თუ ლიზიკო მეორედ გათხოვებას გადაწყვეტდა, ქმრად სწორედ მას ინდომებდა და არა სხვა ვინმეს, მაგრამ პატარა იმედიც იმედია და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დიდ სიხარულად იქცეს. მთავარია, ბედი გწყალობდეს.

მესამედ რომ ნახეს ერთმანეთი, აკაკისთვის უკვე ცხადი შეიქნა, რომ ლიზიკო უყვარდა.

ეს მესამე შეხვედრაც საურმაგის სახლში შედგა. ერთ საღამოს, როდესაც აკაკი და საურმაგი ერთად დაბრუნდნენ რედაქციიდან, ელას ლიზიკო ჰყავდა სტუმრად. ქალები სასტუმრო ოთახში ისხდნენ და წინ ყავის დაცლილი და გადაბრუნებული ფინჯნები ეწყოთ. ლიზიკოს ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა.

აკაკი თვითონ არ ეწეოდა და ეს მავნე ჩვევა არც სხვისა მოსწონდა, მაგრამ ლიზიკოს სიგარეტი უხდებოდა. და აკაკიმ გაიფიქრა: „ქალმა ის უნდა აკეთოს, რაც უხდება, და ცრურწმენებს ყური არ ათხოვოს, რადგანაც ქალი სარკეა, რომელშიაც კაცი საკუთარი სილამაზის პერსპექტივას ხედავს და ღმერთისკენ მიმავალ გზას პოულობს. ამიტომაა, რომ მახინჯი ქალის დანახვაზე კოსმიური სევდა გვეუფლება". ადრე, თავში რომ ასეთი საინტერესო აზრი მოუვიდოდა, რვეულში ინიშნავდა ხოლმე, რათა სადმე, რომანის რომელიმე პასაჟში გამოეყენებინა; მერე და მერე, რა დარწმუნდა, რომანი აღარ დაიწერებოდა, ჩანიშვნასაც თავი მიანება.

კაცები მყისვე შეუერთდნენ ქალებს, შამპანურიც გახსნეს და საღამო მშვენივრად გაატარეს. ლიზიკოს წასვლის დრო რომ მოვიდა, საურმაგმა გამოაცხადა, მე და აკაკი გაგაცილებთო. ამაზე ცოლმა ღიმილით შეხედა და უთხრა:

— ესკორტი საჭირო არ არის, საურმაგ. აკაკი მარტოც აუვა მაგ საქმეს, — და თვალით ანიშნა რაღაც. აკაკიმ ეს შეამჩნია და სწრაფად გაიხედა გვერდზე.

საურმაგი დარჩა. ლიზიკო აკაკიმ გააცილა.

ქუჩაში რომ გავიდნენ, ლიზიკომ ხელი მკლავში გამოსდო და აკაკის სხეულში ელექტრონეტარებამ დაუარა.

გზაში უფრო ლიზიკო ლაპარაკობდა, რადგან აკაკიმ თავიდანვე ერთი ეფექტური წინადადება მოიფიქრა და გუნებაში სულ იმას დასტრიალებდა. ყოველ წამს აპირებდა წარმოთქმას, მაგრამ ვერ ბედავდა. ამიტომ ჩუმად მიაბიჯებდა და მხოლოდ ზრდილობის გამო თუ ჩაურთავდა ერთი-ორ სიტყვას. ლიზიკო მის დუმილს ყურადღებას არ აქცევდა.

ამასობაში — აკაკის ფიქრით მეტისმეტად სწრაფად — დანიშნულების ადგილსაც მიაღწიეს. ლიზიკოს კერძო სახლი ჰქონდა, აგურით ნაგები, პატარა და კოხტა. ირგვლივ მცირე ეზო ერტყა ხეხილითა და მწვანე მდელოთი. წინ, გზის პირას მაღალ ღობეს წითელი ვარდები გასდევდა.

ჭიშკარს რომ მიადგნენ, ლიზიკომ ხელი გამოაცალა, თბილად შესცინა და უთხრა:

— აბა, ნახვამდის. იმედი მაქვს, არ დამივიწყებთ.

აქ აკაკიმ, როგორც იქნა, სძლია გაუბედაობას.

— ახლა ჩემთვის სავსებით ნათელია, რამ წამომიყვანა თბილისიდან.

ელექტრონის ბოძი ზედ ჭიშკართან იდგა და გაბრდღვიალებული ნათურა თავზე დასცქეროდათ.

ლიზიკომ იდუმალი ღიმილით შემოხედა.

— ოო! ახლა გვიანია, სხვა დროს კი უეჭველად უნდა მითხრათ, რამ წამოგიყვანათ თბილისიდან.

ამ სიტყვებით შეტრიალდა და ჭიშკარი შეაღო. იქ კიდევ ერთხელ მოაბრუნა თავი, ხელი დაუქნია და გაუჩინარდა.

აკაკი ერთხანს საამოდ რეტდასხმული იდგა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოერკვა და ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას. სახეზე ალმური ასდიოდა და მთელი სხეული, განსაკუთრებით გული, ისეთი რაღაცით ჰქონდა სავსე, რაც კი არ ამძიმებდა, არამედ უფრო ამსუბუქებდა და მაღლა-მაღლა ეწეოდა. ახლაღა მიხვდა, თუ რაოდენ ნამდვილი და რეალური ვითარების ამსახველი ყოფილა გამოთქმა — „ისე მიდიოდა, მიწას ფეხს არ აკარებდაო", რომელიც აქამდე ყოველთვის ლიტონი ფრაზა და უსარგებლო ჩუქურთმა ეგონა.

პატარა ქალაქი დიაღაც რომანტიკული კუნძული იყო, სადაც — ვისაც რა უნდოდა, ის ეთქვა — მწვანე პალმები იდგა.

აკაკის ხელმოცარული წარსული, უაზრო, მწუხარე, მკვდარი ყოფა, ახლა მხოლოდ ღიმილს იწვევდა. განა არ იცოდა, მშვენივრად იცოდა, რომ, რაც გამოიარა, ჯოჯოხეთი გამოიარა, მაგრამ მზად იყო, ათასჯერ კიდევ გამოევლო ეს ჯოჯოხეთი, თუკი ყოველი გამოვლის შემდეგ ჯილდოდ ასეთ სამოთხის დარ საღამოს მიიღებდა.

იმ ღამეს აკაკიმ ბოლოსდაბოლოს გაიფიქრა, სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, მეორე დღეს ლიზიკოს არა, მაგრამ ელას კი უთხრა, რამ წამოიყვანა თბილისიდან.

ელა ენერგიული ქალი იყო, საქმიანი, პრაქტიკული ჭკუის პატრონი, და თუ რამის გაკეთებას საჭიროდ მიიჩნევდა, მიზნისკენ ყოველთვის უმოკლესი გზით მიდიოდა. მისი ამ შესანიშნავი თვისებების შემწეობით აკაკი თითქმის ყოველდღე ნახულობდა ლიზიკოს და მალე საშუალება მიეცა, მისთვისაც გაემხილა, თუ რამ წამოიყვანა თბილისიდან.

ერთმანეთს უმთავრესად საურმაგისა და ელას ბინაში ხვდებოდნენ. ელას სამართლიანად მიაჩნდა, რომ არც ლიზიკო და არც აკაკი იმ ასაკში აღარ იყვნენ, ყმაწვილებივით ქუჩა-ქუჩა ეწანწალათ მთელი ქალაქის დასანახად. ამას არც მალავდა, მართალია ერთად არ შეუყრია ორთავენი და არ გამოუცხადებია, მაგრამ ცალ-ცალკე კი ერთსაც და მეორესაც უთხრა, აგერ თქვენ და აგერ სახლი, ისაუბრეთ, დააკვირდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს, აწონეთ, გაზომეთ, თუ შეთვისდებით და სასიკეთოს გადაწყვეტთ რამეს, ხომ კარგი, თუ არა და რად გვინდა ქვეყანას ზედმეტი სალაპარაკო მივცეთო. ხოლო იმისათვის რომ ყოველივე დამშვიდებით აეწონ-დაეწონათ და გადაწყვეტილება ნაჩქარევი არ გამოსვლოდათ, დროდადრო საქმეს მოიმიზეზებდა ხოლმე და ქალ-ვაჟს მარტო ტოვებდა.

ელას მეცადინეობამ მალე ნაყოფი გამოიღო, თუმცა, უნდა ითქვას, თავიდან ლიზიკო ბევრს ყოყმანობდა და საბოლოო პასუხს ვერ იძლეოდა. მართალია აკაკის დაწუნებით არ იწუნებდა, ეგ კი არა და, სიყვარულის ცეცხლმა ნელ-ნელა მის გულშიაც დაიწყო გაღვივება, მაგრამ ბავშვი აფიქრებდა, ეშინოდა, მამინაცვლის ხელში არ დამეჩაგროსო. საბედნიეროდ, რაც უფრო უახლოვდებოდა აკაკის, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ გერს იგი უმამობას არ აგრძნობინებდა და ღვიძლი შვილივით უპატრონებდა. რაკი ამაში დარწმუნდა, თანდათან დაჰყვა ნებას და ბოლოს, ერთ მშვენიერ საღამოს, სრული თანხმობის ნიშნად კოცნის უფლებაც მისცა.

აგვისტოს ბოლოს დაქორწინდნენ. დიდი ქორწილი, ელას აზრით, საჭირო არ იყო და არც გადაუხდიათ. მხოლოდ ძალიან ახლობელთათვის გამართეს პატარა ვახშამი რესტორანში და აკაკი ლიზიკოსთან გადაბარგდა.

ლიზიკო ისეთი ვნებიანი ქალი გამოდგა, მისი მშვიდი და სათნო სახის შემხედვარე კაცი ძნელად თუ ივარაუდებდი. მკლავებს მარწუხებივით შემოაჭდობდა ხოლმე აკაკის შიშველ ზურგზე, მოუჭერდა, რაც კი პატარა სხეულში ძალა და ღონე ჰქონდა, და გამუდმებით ნაირ-ნაირ საალერსო სიტყვებს გაიძახოდა. განსაკუთრებით ხშირად ამბობდა „ჭირიმეს", რომელშიაც ასო „ჭ"-ს ისეთი მთრთოლვარე დაძაბულობით გამოთქვამდა, რომ ერთდროულად რამდენიმე „ჭ" ისმოდა. ეს გაბმული და ზედმეტად აქცენტირებული ბგერა აკაკის თავიდან ეხამუშებოდა და ცოტა არ იყოს ხელსაც უშლიდა, მაგრამ მალე მიეჩვია და ყურადღებას აღარ აქცევდა.

თუ ამქვეყნიური სამოთხე მართლა არსებობს რაიმე სახით, ეჭვი არაა მხოლოდ იმ სახით არსებობს, რა სახითაც აკაკის ირგვლივ ჩამოყალიბდა, როგორც მისი ცხოვრების ახალი ეტაპი. ყველა პრობლემა, რასაც კი ოდესმე დაუტანჯავს და გაუწამებია, ისე ერთბაშად და ისე საუცხოოდ მოგვარდა, რომ ასეთ ბოლოს ლაგამაწყვეტილი ოცნებაც კი ვერ მოიგონებდა. მართლაცდა, იმ დროს, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, აღარაფერი შეიცვლებოდა და კორექტორად ამოხდებოდა სული, განყოფილების გამგე გახდა და ხალხმა პატივისცემით დაუწყო ყურება; იმ დროს, როდესაც საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ოჯახის შექმნაზე, ისეთი ცოლი შეირთო, ნატვრასაც ვერ გაბედავდა; იმ დროს, როდესაც თავისი ერთადერთი და უკანასკნელი თავშესაფარი, თავისი პაწაწკინტელა ოთახი, რომელსაც ასე თუ ისე საკუთარი ერქვა, მიატოვა და საბოლოოდ იქცა ყარიბად და მიუსაფრად, ლამაზ ეზოში ჩამჯდარი საუცხოო სახლის პატრონი შეიქნა. რაც შეეხება ცხოვრების წმინდა ეკონომიურ მხარეს, მისი და ლიზიკოს შემოსავალი — ლიზიკო კი ქალთა საპარიკმახერო სალონის გამგე იყო და ქალაქის ყველა მანდილოსანი, ვინც კი საკუთარ თავს ასე თუ ისე მაღალ ფენას აკუთვნებდა, მის სალონში დაიარებოდა — საკმარისზე მეტი იყო ასეთი მცირერიცხოვანი ოჯახისათვის.

აკაკიმ ახლა იცოდა, რომ ეს სამოთხე დამსახურებულად მოიპოვა. მოიპოვა იმ მოთმინების საფასურად, რითაც ხანგრძლივ ტანჯვას იტანდა, რადგან სწორედ ტანჯვის მოთმენაა ის სამშენებლო მასალა, ის ქვა და კირი, რომელიც ამქვეყნიური სამოთხის ასაგებად გამოიყენება. აკი ღმერთმა იობიც, სანამ წყალობით აავსებდა, ჯერ საფუძვლიანად ჩაწიხლა და მიწასთან გაასწორა! ამაზე რომ ფიქრობდა, აკაკის სინანულით და თუმცა შორეული, მაგრამ ჯერ კიდევ მფეთქავი შიშით აგონდებოდა, რომ მისი მოთმინება მთლად იობისებური ვერ იყო, თუ ხმამაღლა არა, გუნებაში მაინც არაერთხელ დაუწყევლია თავისი მწარე ბედი და ცხოვრებით გალაღებული ამხანაგებისთვის შურის თვალით შეუხედავს. მადლობა ღმერთს, ეს მცირედი ცოდვა მიეტევა. ხომ შეიძლებოდა არ მისტევებოდა! „გასაჭირში კაცი უდრტვინველი უნდა იყო და მშვიდად ელოდო ბედის გახსნას, რადგან ბედის გახსნა მხოლოდ ტანჯვითა და მოთმინებით განწმენდილთა ხვედრია", გაიფიქრა ერთხელ აკაკიმ, ოღონდ ჩანიშვნით არ ჩაუნიშნავს.

მაგრამ სამოთხე, ყოველ შემთხვევაში ამქვეყნიური, სულ მთლად პირშეკრული არასოდეს არაა და მცირე გამაფრთხილებელი დისონანსი ყოველთვისა აქვს დატანებული, რათა კაცი ცხოვრებას ზედმეტად არ შეუთამამდე.

აკაკის სამოთხეში ასეთი დისონანსის როლს გერი ასრულებდა, ხუთი წლის ბიჭი, ლამაზი, გონიერი და ანცი. გარეგნულად ლიზიკოს ნამდვილი ასლი იყო. ისე საოცრად ჰგავდა, ვერც კი დაიჯერებდით, რომ მის გაჩენაში სხვასაც მიუძღოდა წვლილი. სამაგიეროდ, ხასიათით სრულიად განსხვავდებოდა. წამით მოსვენებულს ვერ ნახავდით, თვალი სულ ოინბაზობაზე ეჭირა და ფანტაზიაც ამოუწურავი ჰქონდა. სახლში ახალი მობინადრის გამოჩენა არც გაკვირვებია და არც უუცხოებია, პირიქით, გაეხარდა კიდეც, მერე და მერე კი მამინაცვლის მიმართ გულწრფელი სიყვარულითაც განიმსჭვალა, რადგან მისი სახით ჩინებული სამიზნე იპოვა თავისი ურიცხვი ოინებისათვის. ამ ოინებიდან ყველაზე მშვიდობიანი, ყველაზე უწყინარი და უმანკო ის იყო, რომ თავის ფიქრებში ჩაფლულ აკაკის უკნიდან წამოეპარებოდა და წყლით გაბერილ ბუშტს კისერში მიუშვებდა. მაგრამ დისონანსი ეს არ ყოფილა. ბავშვისთვის სიანცე ჩვეულებრივი ამბავია და არც გადაჭარბებული სიანცეა მაინცდამაინც საგანგაშო, თუკი კაცი ფხიზლად და ყურადღებით იქნები. დისონანსი ის იყო, რომ ბიჭმა თავიდანვე ძია დაუძახა, ხოლო მას შემდეგ, რაც დაინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა, რომ მისგან მამის დაძახებას მოელოდნენ, სპორტული ჟინითაც აივსო და საგანგებოდ ეძებდა ხოლმე მამინაცვალს, რათა ძია დაეძახა და მერე მისი ცქერით დამტკბარიყო. აკაკის კი „ძიას“ გაგონებაზე მუდამ ის ახსენდებოდა, რომ ბიჭი მის იდილიურ ცხოვრებას რაღაც უცხო და უსიამო რგოლთან აკავშირებდა. ერთიორჯერ ისიც კი გაიფიქრა, ეგ ბიჭი რომ არა, ჩემზე ბედნიერი ქვეყნად კაცი არ იქნებოდაო. განა სძულდა — ბავშვის სიძულვილი რა სათქმელია — მაგრამ, რაც ლიზიკო შეირთო, კერძო მესაკუთრის ბუნება გამოაჩნდა და საზიაროს ველარაფერს იტანდა.

ღვთის წყალობით ეს მცირე დისონანსი სამოთხის ნეტარებას ვერ ამღვრევდა და თაფლის თვე თაფლივით ტკბილად მიედინებოდა. აკაკი, ისედაც ხმელი და თხელი კაცი, კიდევ უფრო გახდა, მაგრამ ეს სპეციფიკური და დროებითი სიგამხდრე იყო და ჯანმრთელობასთან ხელი არ ჰქონდა. პირიქით: ასე კარგად, ასე მხნედ და ენერგიულად თავი არასოდეს უგრძვნია, რომ დასჭირვებოდა, მთას აიღებდა და გვერდზე გადადგამდა.

ლიზიკოს სახლი ორსართულიანი იყო: ზემოთ სამი დიდი ოთახი და ქვემოთ, მიწისპირას, ორი კიდევ უფრო დიდი ოთახი. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით აივნები ჰქონდა, საიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა. ეზოში კოინდარი ეთესა და მსხლის, ლედვისა და ქლიავის ხეები იდგა. ღობის ძირას ვარდები იყო ჩამწკრივებული.

დილით მთელი ოჯახი ერთად გამოდიოდა შინიდან. მცირე მანძილს ასე ერთად, იდილიურად გაივლიდნენ, მერე აკაკი რედაქციისკენ შეუხვევდა, ლიზიკო კი ჯერ ბიჭს მიიყვანდა საბავშვო ბაღში, მერე ისიც სამსახურში გასწევდა. საღამოს გამოუვლიდა ბიჭს და შინ მოჰყავდა. იშვიათად, როცა სამსახურიდან დროით ვერ მოახერხებდა გამოსვლას, რედაქციაში დაურეკავდა აკაკის და, თითქოს რაღაც დიდი და მძიმე სათხოვარი ყოფილიყოს, მობოდიშებით ეტყოდა, თუ გცალია, იქნებ შენ გაუარო ბიჭს და წაიყვანოო. აკაკი არათუ დაუზარებლად ასრულებდა ამ პატარა დავალებას, უხაროდა კიდეც მთელი გზა ბიჭთან ერთად ხელიხელჩაკიდებული სიარული, რადგან ამით საშუალება ეძლეოდა, საერთო ენის გამონახვა ეცადა და გულითადობის ატმოსფერო შეექმნა. მართალია, ჯერჯერობით წარმატებას ვერ აღწევდა — ბიჭი ჯიუტი და თავნება იყო — მაგრამ იმედს არ ჰკარგავდა.

ლიზიკოს ვნებიანმა სიყვარულმა, წყნარმა სამსახურმა, წალკოტივით ეზო-გარემომ და სულიერმა სიმშვიდემ აკაკის ჯერ დაკარგული შინაგანი წონასწორობა აღუდგინა, მერე კი ახალგაზრდობის ოცნებათა დახშულ ბჭესაც მიაყენა და მივიწყებული რომანი მოაგონა. „კაცი თუ რამის გამკეთებელი ხარ, — გაიფიქრა ერთხელ, — უკეთეს პირობებს ვერც კი ინატრებ“. მართალია, მის ასაკში დამწყები მწერლის სახელი ცოტა საეჭვოდ ჟღერდა, მაგრამ აკაკიმ მალე დაასკვნა, რომ ეს გამოთქმა სისულელეა და სულელების მოგონილი. მთავარია, რამე შექმნა და ასაკს რა ჭკუა აქვს! ბოლოსდაბოლოს არც სერვანტესი ყოფილა ბავშვი, წერა რომ დაიწყო! ამ იდეით ანთებულმა ერთ დღეს, როცა სამსახურში საქმე არაფერი ჰქონდა და შინ ადრე დაბრუნდა, ჩემოდანი გახსნა, ზონარით ჯვარედინად შეკრული ხელნაწერი ამოიღო და კითხვას შეუდგა. ორი საათის შემდეგ კმაყოფილმა და გახარებულმა ხელნაწერი ისევ ჩემოდანში ჩადო. ზონარით აღარ შეუკრავს, ვინაიდან ჩანაწერების წაკითხვამ დაარწმუნა, რომ რომანი მოფიქრებული და თითქმის მოხაზული იყო. ახლა საფუძვლიანი ჩაჯდომა და მუყაითი მუშაობაღა სჭირდებოდა; ოღონდ სისტემატური მუშობა, დღეში ორი-სამი საათი მაინც, უმჯობესია ერთსა და იმავე დროს. ღამით, დაწოლის წინ თავისი გეგმები ლიზიკოს გააცნო. ლიზიკო უკვე გახდილი იყო, პერანგისამარა იჯდა საწოლზე და მთლად ისეთი ყურადღებითა და მთლად ისეთი მოთმინებით ვერ უსმენდა, როგორც ამას რომანი იმსახურებს. ამიტომ, აკაკიმ რომ სათქმელი მოათავა, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად შესძახა, ვაი რა კარგიაო, ქმარს კისერზე ჩამოეკიდა და მალე ორივენი იმ მორევში ჩაიძირნენ, რომელშიც კაცს მხოლოდ თავდავიწყება მიგყვება თან, ყველაფერი სხვა კი, მათ შორის რომანიც, რაოდენ პერსპექტიულიც არ უნდა იყოს, ნაპირზე რჩება. სამაგიეროდ მეორე დილით, როცა აკაკიმ უფრო დამცხრალ ვითარებაში კვლავ ჩამოაგდო სიტყვა ამ საგანზე, ლიზიკომ გულისყურით მოუსმინა და ცოლ-ქმარი დინჯად შეუდგნენ იმ საათების ამორჩევას, რომლებიც რომანის წერას უნდა მიძღვნოდა. საუკეთესო დრო თითქოს საღამოს ცხრა საათიდან უნდა ყოფილიყო. ცხრაზე ბიჭი იძინებდა და მოულოდნელი თავდასხმისაგან აკაკი დაზღვეული იქნებოდა. მაგრამ ამ საათებს თავისი ნაკლიც ჰქონდა: ჯერ ერთი, ლიზიკო მარტო უნდა დარჩენილიყო და მეორეც, ყოველდღიურ მუშაობას ისიც გააძნელებდა, რომ ხან სტუმრად იქნებოდნენ წასასვლელი და ხან შინ ეყოლებოდათ სტუმრები მისაღები. იმ დილას საბოლოო გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა რომანის ამბავი საურმაგმაც შეიტყო, აკაკის სამსახურის დრო შეუკვეცა, სამი-ოთხი საათის შემდეგ რედაქციაში საქმე მაინც არაფერი გაქვს, წადი და შენს რომანს მიხედეო.

ერთი სიტყვით, ყოველივე ისე ჩინებულად მოეწყო, აკაკის რომ ნატვრისთვალი ჩავარდნოდა ხელში, ეგებ ვერც კი გამოეყენებინა, რადგან სანატრელი აღარაფერი ჰქონდა. ზოგჯერ ეჭვი უჩნდებოდა, სიზმარში ხომ არა ვარო; ერთორჯერ სადღაც, ტვინის შორეული, ბნელი ხერელიდან ბუნდოვანმა შიშმაც კი წამოჰყო თავი. ეს არც არის გასაკვირი: აკაკი ხომ ბედნიერებას მიუჩვეველი იყო!

თავის მომავალ რომანთან პირველ განმარტოებას მღელვარებით მოელოდა. და აი, ეს დროც დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხის ნახევარი იყო, როცა სამსახურიდან წამოვიდა. სექტემბერი იწურებოდა, მაგრამ ივლისივით ცხელი დღე იდგა. აკაკის გული გამალებით და ხალისიანად უცემდა.

სახლი რომ გამოჩნდა, გულისცემა კიდევ უფრო გაუძლიერდა. ეს საყვარელი, კოპწია სახლი მის თვალში რაღაც იდუმალი ნიშნით — არა გარეგნული, მაგრამ გარეგნულზე უფრო ცხადი და ნამდვილი ნიშნით — ციხე-კოშკს ჰგავდა, რომელშიც მზეთუნახავი ცხოვრობს და რომელსაც ხანგრძლივი ხეტიალისა და მრავლის უმრავლესი ფათერაკის შემდეგ ბოლოსდაბოლოს მიადგება ბედის საძებნელად წამოსული ჭაბუკი.

აკაკი ქვის კიბეს აუყვა და მეორე სართულზე ავიდა. სამუშაო მაგიდა აქ ედგა, დიდ სასტუმრო ოთახში, რომელშიაც ზაფხულის სიცხე ძნელად აღწევდა — ხოლო თუ დარაბებს არ გახსნიდით, საერთოდ ვერ აღწევდა — და მუდამ საამო სიგრილე იდგა.

საგარეო ტანსაცმელი გაიხადა, უფრო მსუბუქი საშინაო ტანსაცმელი ჩაიცვა, რომელშიაც თავს გაცილებით ხალვათად და ლაღად გრძნობდა, სახეზე წყალი შეისხა, ცოტა წაიხემსა — ძალიან ცოტა, კუჭი რომ არ დამძიმებოდა და მუშაობაში ხელი არ შეშლოდა — და მაგიდას მიუჯდა. კარგად მოეწყო, რომანის მასალა წინ დაიდო, თვალი მოპირდაპირე კედელს გაუშტერა და თავი ფიქრებს მისცა.

რომანი ისტორიული იყო და აკაკი ცდილობდა, გონების თვალით რაც შეიძლება ნათლად და მკაფიოდ დაენახა ის ეპოქა, ის გარემო და ის ვითარებანი, რომელშიაც სიუჟეტი უნდა გაშლილიყო. დიდხანს იჯდა ასე გარინდებული და ბოლოსდაბოლოს დავიწყების წყვდიადში ჩაძირული ეპოქის მკრთალი კონტურებიც გამოჩნდა.

ამ დროს ხმაური გაისმა, თავიდან ეს მოულოდნელი ხმაური საკუთარ სიღრმეში ჩაფლულმა გონებამ იოლად აისხლიტა. ხმაური მართალია არსებობდა, მაგრამ არსებობდა ცალკე, ძველი ეპოქისგან დამოუკიდებლად, ამიტომ მხოლოდ შეუსაბამობის შორეულ და ბუნდოვან გრძნობას იწვევდა. მერე და მერე კი ძალა მოიცა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიპყრო აკაკის არსება და მალე იქიდან საბოლოოდ გამოდევნა ისტორიული წარსული.

აკაკიმ ყური მიუგდო. წარსულის ხილვა ჯერ კიდევ რიალებდა გონებაში და ძველ ბურუსში გახვეული აზრი ახალ ვითარებაში კარგად ვერ ერკვეოდა, ამიტომ პირველად ფეხის ხმა ეგონა. მერე, როცა ბურუსი გაიფანტა და გონება საბოლოოდ მობრუნდა აწმყოში, პირვანდელი ვარაუდი უარყო. ხმაური უფრო თაგვის ფხაჭაფხუჭს ჰგავდა, ვიდრე ადამიანის ფეხის ხმას, და საკუჭნაოდან ისმოდა.

ხმაური დროდადრო მიწყდებოდა და ისევ განახლდებოდა. თაგვი იყო თუ არა, ამას აკაკი გადაჭრით ვერ იტყოდა, მაგრამ საკუჭნაოდან რომ ისმოდა, ეჭვი არ ეპარებოდა.

ერთხანს ცდილობდა, როგორე შეჩვეულებოდა ხმაურს, ყურადღება აღარ მიექცია და საქმე განეგრძო, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ სკამი უკან გასწია და წამოდგა.

კაცმა რომ თქვას, რა უნდოდა მეორე სართულზე საკუჭნაოს? აკაკიმ დანამდვილებით არც იცოდა, საკუჭნაო იყო თუ სხვა რამ — იქ არასოდეს შესულა — მხოლოდ ის იცოდა, რომ ცოლ-ქმრის საწოლი ოთახის უკან რაღაც პაწაწკინტელა, მუდამ კარგამოკეტილი სათავსო იყო, რომელსაც ლიზიკო საკუჭნაოდ იხსენიებდა ხოლმე.

აკაკი სასტუმრო ოთახიდან გავიდა და საკუჭნაოს მიადგა. ჯერ ყური მიუგდო, მერე კი, რა დარწმუნდა ხმაური ნამდვილად იქიდან ისმოდა, კარი შეაღო.

საკუჭნაო მართლაც საკუჭნაო იყო. ვიწრო და ბნელი. ფანჯარა არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი პატარა სარკმელი ჰქონდა და ისიც იმ სიმაღლეზე, რომ კაცი გასაღებად და დასაკეტად თუ მიწვდებოდი, თორემ გასახედად ვერა. კედელთან ერთი ვეებერთელა კარადა იდგა, იქვე გვერდით რამდენიმე ერთიმეორეზე შემოწყობილი სკამი, დაშლილი მაგიდა და წვრილმანი ნივთები, როგორც ჩანს, ძველი ავეჯის ნარჩენები, რომლებსაც, მას შემდეგ, რაც ახალი ავეჯი შეიძინა, ლიზიკომ აქ მიუჩინა ადგილი.

საკუჭნაოში კიდევ უფრო გრილოდა, თითქმის ციოდა. და ამ სიცივით გაჟღენთილი ძველმანები, მტვერი და სიბნელე, ცოტა არ იყოს, დამთრგუნველად მოქმედებდა. ირგვლივ სრული სიჩუმე იყო. წეღანდელი ხმაური არსაიდან ისმოდა. აკაკის მოულოდნელად გულში შიში შეეპარა და იგრძნო, რომ მაჯისცემამაც გაუხშირდა.

უეცრად ზურგს უკან კარმა გაიჭრიალა. აკაკი შეკრთა და ისე მკვეთრად მიტრიალდა, თითქოს იქიდან მუხანათურ თავდასხმას მოელოდა. საკუჭნაოს კარი, რომელიც ღია დატოვა, საკუთარი სიმძიმის ძალით დაძრულიყო და ნელა, ჭრიალ-ჭრიალით იხურებოდა. აკაკი, გაშეშებული და მონუსხული, უაზროდ მისჩერებოდა. კარი რომ მიიხურა და ჭრიალი შეწყდა, ერთხანს კიდევ იდგა გარინდებული და მიყურადებული. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. მაშინ გუნებაში გაიცინა. მართალია, ცოტა ნაძალადევად კი გაიცინა, მაგრამ ამ სიცილის მეშვეობით მაინც მხნეობა დაუბრუნდა და კარადას მუშტი მიუბრახუნა. კარადამ პასუხად ყრუ ხმა გამოსცა. მერე სათითაოდ ყველაფერს მიუბრახუნა მუშტი — სკამებს, მაგიდას, განჯინას, კედლებს. რაკი ხმაური აღარ გამეორდა, ფრთხილად გამოვიდა საკუჭნაოდან და კარი გამოიხურა.

სასტუმრო ოთახში რომ დაბრუნდა და სამუშაო მაგიდას მიუახლოვდა, მოეჩვენა, თითოს ჭიშკარი გაჯახუნდა. წამსვე ფანჯარას მივარდა და გაიხედა. ჭიშკარი დაკეტილი იყო და საეჭვოც არა სჩანდა რა.

საბოლოოდ ისევ რომანს მიუჯდა, მაგრამ საკუთარ თავში ჩაღრმავება ველარ შესძლო, რადგან გონების ნაწილი საკუჭნაოსკენ ჰქონდა მიპყრობილი და იმ უცნაური ხმაურის განმეორებას მოელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაური არ მეორდებოდა. ამან აკაკი თანდათან დაამშვიდა, საკუჭნაო ნელ-ნელა განდევნა ფიქრებიდან და გონების ყველა თვალი კვლავ დროის წყვდიადში ჩაძირულ წარსულს მიანათა. წარსული დიდხანს უძალიანდებოდა აკაკის დაჟინებულ მზერას, მაგრამ შეუპოვრობამ თავისი ქნა და ბოლოსდაბოლოს რომანის ეპოქას შემოჯარული სიბნელე ნელ-ნელა დაეშვა, როგორც ქანდაკების საბურველი.

სწორედ ამ დროს კვლავ გაისმა ხმაური.

ამჯერად აკაკი მეყსეულად გამოფხიზლდა, სწრაფად წამოხტა და საკუჭნაოში შევარდა. საკუჭნაოში დუმილი იდგა; ყრუ, ღრმა და სამარისებური.

აკაკი გრძნობდა, რომ ცოტაც და ნერვები უმტყუნებდა. სწრაფად გამოვიდა უკანვე და კარი მიხურა, მაგრამ არსად წასულა, იქვე გაშეშდა, სუნთქვა შეიკრა და ყური მიუგდო.

ამ დროს ჭიშკარი გაჯახუნდა.

აკაკი ფიცხლად შეტრიალდა, სასტუმრო ოთახში შევარდა და ფანჯარას ეცა. შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარული.

ეზოში ლიზიკო და ბიჭი დაინახა; ხელიხელჩაკიდებული მოდიოდნენ. გულში რაღაც ბუნდოვანმა და იდუმალმა გრძნობამ გაუარა, რომელიც გაკვირვებასაც ჰგავდა და შიშსაც. მოეჩვენა, თითქოს დროს გზა აებნა, აირია და ერთ ადგილას დატრიალდა, მაგრამ მერე, საათს რომ დახედა და ნახა, შვიდი დაწყებულიყო, მიხვდა, რომ არაფერი საშიში და იდუმალი არ მომხდარა, უბრალოდ მისი ორი საათი უკვე გასულა.

ფანჯარას მაშინვე მოშორდა, წამოვიდა და მაგიდას მიუჯდა.

— მუშაობ? — კარის ზღურბლიდანვე შეეხმიანა ლიზიკო და თავისი საყვარელი ღიმილი შემოანათა.

— კი, — მიუგო აკაკიმ და, რაკი საკუთარი ხმის იმედი არ ჰქონდა, მეტი აღარაფერი დაუმატებია, თავაუღებლივ მოჰხვია ხელი ხელნაწერებს და უჯრაში შეინახა.

იმ დღეს კიდევ ერთი რამ მოხდა უცნაური, თუ უცნაური არა, მოულოდნელი მაინც.

სადილ-ვახშმად, ჩვეულებრივ, ქვემოთ სხდებოდნენ ხოლმე, სამზარეულოში, რომელიც იმოდენა იყო, სასადილოს მოვალეობასაც თავისუფლად სწევდა. იმ დღესაც, რასაკვირველია, იქ ისადილეს. მაგიდა ფანჯრის ძირას იდგა. ერთ მხარეს ლიზიკო იჯდა, მეორე მხარეს აკაკი, შუაში კი, ფანჯრის პირდაპირ, ბიჭი. ჭამა რომ მოათავეს, აკაკიმ ვაშლი აიღო და გათლა დაუწყო. ყუნწიდან დაიწყო, ნელ-ნელა მიჰყვა და თან ცდილობდა, ისე გაეთალა, კანი არ გაწყვეტილიყო. ასეთი რამ ბავშვობის შემდეგ აღარ ჩაუდენია. ბავშვობაში კი ხშირად ჩადიოდა. მაშინ ამას სპორტული ინტერესის გარდა სხვა მიზანიც ჰქონდა: თუ ვაშლის კანს, ერთიანს, გაუწყვეტელს, დაკლაკნილს, ზურგს უკან გადააგდებდი, საკმარისი იყო ცოტა ფანტაზიაც წაგეშველებინა, რომ იქ ანბანის რომელიმე ასო გამოსახულიყო. და რა ასოც გამოისახებოდა, იმ ასოზე იწყებოდა შენი მომავალი სატრფოს სახელი. რა თქმა უნდა, ხმ თამაშში ვერავითარი ეჭვი ვერ შეჰქონდა იმ გარემოებას, რომ თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ასო გამოდიოდა. ახლა რამ მოაგონა ეს ბავშვობისდროინდელი ჩვევა, ვერ მიხვდა. იქნებ იმან, რომ, დაიწყო თუ არა ვაშლის გათლა, ბიჭმა უეცრად გაუგებარი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა. ლუკმის ღეჭვაც კი შეწყვიტა და დაძაბული, თვალებგაფართოებული მიაჩერდა მის ხელებს, რომლებიც ნელა მოძრაობდნენ ვაშლის ირგვლივ. უფრო საკვირველი ის იყო, რომ დროდადრო ლიზიკოც გამოაპარებდა თვალს, თითქოს ვაშლის გათლაში იმასაც რაღაც ეპოვოს მნიშვნელოვანი და საყურადღებო. ცოლისა და გერის ამ გაუგებარმა ცნობისმოყვარეობამ, როგორც ჩანს, აკაკის თავისდაუნებურად აფიქრებინა, რომ კარგი იქნებოდა ვაშლი ისე გაეთალა, კანი არ გაწყვეტილიყო. გათლიდა კიდეც, მაგრამ დაჟინებული მზერის ქვეშ თავს მთლად ბუნებრივად ვერ გრძნობდა და ზედმეტი მოწადინებისაგან დაძაბული იყო. ორ მესამედზე მეტი უკვე გათლილი ჰქონდა, როცა კანი გაწყდა. იმავ წამს ბიჭმა ხმაურით ამოისუნთქა და თქვა:

— მამა ისე თლიდა, არ უწყდებოდა, — და, ეტყობა იმის შიშით, რომ ეს ნათქვამი კვეხნაში არ ჩამორთმეოდა, პოზიციის გასამაგრებლად დედას მიუბრუნდა, — არა, დე?

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვა „განათხოვარს“, რაც საკმარისად შორეული და არაპირდაპირი სიტყვაა საიმისოდ, რომ კაცმა მხედველობაში მიიღოს, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ლიზიკოს ყოფილი ქმარი აკაკის თანდასწრებით იქნა ნახსენები.

აკაკი შეკრთა და ის უცხო და უსიამო რგოლი, რომელთანაც გერი მის იდილიურ ცხოვრებას აკავშირებდა, უეცრად უფრო რეალური და ნამდვილი მოეჩვენა, ვიდრე აქამდე ეგონა.

ლიზიკომ მშვიდობიანად გაიცინა.

— კი. ვაშლის გათლა ისეთი იცოდა, ერთი კაცი ვერ აჯობებდა.

ბიჭი ეტყობა რაღაცამ დააეჭვა, ან რაღაცამ ვერ დააკმაყოფილა, რომ ჯიბრიანი კილოთი თქვა:

— ხომ დიდიც იყო?

— დიდიც იყო, — თქვა ლიზიკომ, — მაგრამ, როცა პირში ლუკმა გიდევს, ლაპარაკი არ შეიძლება.

ბიჭი გაჩუმდა და ლუკმის ღეჭვას შეუდგა.

აკაკიმ ვაშლის გათლა განაგრძო. ხელები ცოტა უკანკალებდა, ამიტომ უფრო სწრაფად აამოძრავა იმ იმედით, რომ სისწრაფეში კანკალი ნაკლებ შესამჩნევი იქნებოდა. ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, გათალა, სამად გაჭრა და ერთი ნაწილი ლიზიკოს თეფშზე დადო და ერთიც ბიჭისაზე.

ბიჭმა თავისი ნაჭერი აიღო, აკაკის შემოხედა და უცებ უმიზეზოდ გაიცინა.

იმ ღამეს აკაკის ცუდად ეძინა. ძილში შფოთავდა და საშინელ სიზმრებს ხედავდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიზმრები ძილშივე ავიწყდებოდა და ამიტომ აზრი ვერ გამოჰქონდა.

მეორე დღეს კიდევ უფრო ცხელოდა. საერთოდ, ბოლო კვირას მზეს მცხუნვარება ემატებოდა, თითქოს ზაფხულს თავის დროზე ქალაქისთვის რაღაც დაეკლო და ცდილობდა, ახლა აენაზღაურებინა. სიო არ იძვროდა, შეგუბებულ ჰაერში სიცხე ლამის თვალნათლივ ჩანდა და კაცს ისეთი გრძნობა გიჩნდებოდა, თითქოს ხელითაც კი შეგეძლო შეხებოდი.

ისევე, როგორც წინა დღეს, სამსახურიდან ადრე დაბრუნდა. პირზე წყალი შეისხა, წაიხემსა, ხალვათად ჩაიცვა; წინდები გაიხადა და შიშველი ფეხები ფოსტლებში წაჰყო. მერე ხელნაწერი მაგიდაზე გაშალა, სკამიც მიიდგა, მაგრამ სანამ დაჯდებოდა, ჯერ გაშეშდა, დაიძაბა, სახლს მიაყურადა და ერთხანს ასე სმენად ქცეული იდგა. ყველგან სრული სიჩუმე იყო. მაშინ მაგიდას მიუჯდა, ნიკაპი და ლოყები იდაყვდაყრდნობილ ხელებშუა მოიქცია, კედელს მიაშტერდა და, რაკი შემაშფოთებელი ხმაური არსაიდან ისმოდა, ნელ-ნელა ჩაეშვა რომანის შორეულ ეპოქაში.

დაჟინებულმა, ერთი მიზნისკენ შეუპოვრად მიმართულმა მზერამ წარსულს ნელ-ნელა გადააძრო სიბნელისა და იდუმალების საბურველი. დრო-ჟამი იძულებული შეიქნა, თავის გაუმაძღარ სტომაქში დანთქმული საუნჯე გამოეჩინა და აი, გონების თვალწინ აკაკის ცხადად, მკაფიოდ, ხელშესახებად, ისე როგორც დღევანდელი დღე, გადაეშალა გარდასულ ხანაში ჩაკირული ქვეყანა. თავიდან გაქვავებული დრო მუზეუმს ჰგავდა, ხოლო ქვეყანა მკვდარ ექსპონატებს, მაგრამ მალე დრომ გაიღვიძა და ქვეყანაც გაიღვიძა. ყოველივეს ხორცი შეესხა და სიცოცხლის სული ჩაუდგა. აკაკი ზემოდან დასცქეროდა ამ უცხო სამყაროს და სუნთქვაშეკრულს გული გამალებით უცემდა. ეს იგივე ქვეყანა იყო, რომელშიაც თავად ცხოვრობდა, მაგრამ, უხილავ წარსულში დარჩენილი და დრო-ჟამის დაუსაბამო და უსასრულო სხეულზე ერთ ალაგას ამოკვეთილი, იგი უკვე აღარავის ეკუთვნოდა; აღარავის ეკუთვნოდა მანამ, სანამ აკაკიმ არ გააღვიძა და ახალი სიცოცხლე არ მიანიჭა. რაკი ეს შეძლო, მეუფე და მბრძანებელიც თვითონ შეიქნა. მართალია, ამ მეუფეობას ღვთაებრივი ვერ ეთქმოდა, რადგან დროის კანონსა და ისტორიის ლოგიკას ნებაუნებურად უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ ადამიანთა ურთიერთობანი კი მთლიანად და განუყოფლად მის ხელთ იყო. ამურები მას მორჩილებდნენ, დემონები მისი ხელქვეითები იყვნენ, ანგელოზთა დასი მის ბრძანებებს ასრულებდა. როგორც უნდოდა, ისე გააბამდა სიყვარულის ხლართებს, როცა უნდოდა, მაშინ ააღორძინებდა ბოროტებას, საცა უნდოდა, იქ ჩააგდებდა სიკეთის თესლს. ლაჩარი შეეძლო გმირად ექცია, უსპეტაკესი გული ღალატის შხამით აემღვრია, ძმადნაფიცთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობა ჩამოეგდო, ჩასაფრებული მკვლელისთვის უკანასკნელ წამს მკლავი მოედუნებინა.

ეს ქვეყანა აკაკის შექმნილი იყო და აკაკი დიდხანს ტკბებოდა საკუთარი ქმნილების ცქერით. წინ სუფთა ფურცლების დასტა ედო და გონების ნაწილმა, რომელიც გამოღმა მხარეს იყო დარჩენილი, იცოდა, რომ ხილვისმიერ სამყაროს ამ ფურცლებზე უნდა მოეპოვებინა ნამდვილი არსებობა, მაგრამ წარსულში ჩაფლული ცნობიერება არ ჩქარობდა, აწმყოს კალამი აეღო. აკაკი ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, გზები და ბილიკები გაჰყავდა, მტერსა და მოყვარეს თავ-თავიანთ ადგილს უჩვენებდა, ჭრელ ბრბოს ბანქოს ქაღალდივით ჭრიდა და ურევდა, დიდებულთა ციხე-დარბაზებს ანგრევდა და აშენებდა, უმშვენიერეს ქალწულებსა და უმამაცეს ჭაბუკებს, რომლებსაც თავისი ნების აღმასრულებლად ირჩევდა, ბედს უწერდა და მომავალს უწინასწარმეტყველებდა, გულდაჯერებული დადიოდა თავის საბრძანებელში და მხოლოდ მან იცოდა, ვინ სად წავიდოდა, ვინ რას იზამდა და ვის რა მოელოდა...

საკუჭნაოდან ხმაური მოისმა.

გარდასული ეპოქა, შემოქმედებითი ნების მიერ დრო-ჟამის მარწუხებიდან გამოგლეჯილი და ესოდენ ცხადი და თვალსაჩინო, ამ ხმაურზე, თითქოს ღრუბლის ქულებისგან გამოძერწილ სამყაროს ქარმა დაქროლაო, ერთბაშად აიწეწა და აირია. ყველა არსი და ყველა ნივთი ნაწილნაწილ დაიშალა, უთავბოლოდ დატრიალდა, ქაოსად იქცა და ზედ სიბნელის შავი საბანი გადაეფარა.

აკაკის ცნობიერებაში სწრაფად და დიდი ძალით, როგორც უეცრად მოვარდნილი ნიაღვარი, შემოიჭრა აწმყო: ოთახი, ავეჯი, ფანჯარა, ეზო, ხმაური. ხმაური საკუჭნაოდან.

აკაკი ელვის სისწრაფით წამოვარდა ზეზე. მაგრამ აქ გადაწყვეტილება შეცვალა, სკამი ფრთხილად და უხმაუროდ გასწია და ასევე ფრთხილად და უხმაუროდ, ფეხის წვერებზე გაემართა საკუჭნაოსაკენ. მივიდა, კარს აეკრო, ყური მიადო და გაიტრუნა.

ჩქამი არსაიდან ისმოდა. საკუჭნაოშიც, სახლშიც, ეზოშიც, ყველგან, სადამდეც კი სმენა წვდებოდა, მკვდარი და ცივი დუმილი იდგა, თითქოს ირგვლივ დასახლებული ქალაქი კი არა უკაცრიელი კოსმიური სივრცე იდო, ვეება, გადაულახავი, უსიცოცხლო.

აკაკის მუხლი მოეკვეთა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამბედაობა მოიკრიბა, სახელურს ხელი მოჰკიდა, ფრთხილად დასწია და კარი ნელა გამოაღო. კარმა გაიჭრიალა და გაჩუმდა. აკაკი საკუჭნაოში შევიდა და კარი მიიხურა.

საკუჭნაოში ბნელოდა და ციოდა. აკაკი ერთ ადგილას გაშეშდა, გაირინდა და ცოტა ხანს ასე გარინდებული იდგა იმ იმედით, რომ ეგებ მცირედი და შორეული რამ ხმა მაინც გაეგონა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. სამარისებური დუმილი არ ირღვეოდა, თითქოს სამყაროს შემოქმედს სამყაროსთვის პირზე ხელი აუფარებიაო. ამასობაში სიბნელეს ცოტ-ცოტა თვალი შეაჩვია. მა-

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე ჭერზე ჩამოკიდებული ნათურა შენიშნა. გახარებულმა ჩამრთველს დაუწყო ძებნა, მცირე ხნის შემდეგ მართლაც იპოვა და ღილაკს თითი დააჭირა. გაისმა ჩხაკუნი და საკუჭნაო განათდა. სინათლემ სიმშვიდე და მხნეობა დაუბრუნა და უფრო გულდინჯად შეუდგა იქაურობის დათვალიერებას. კარადა დიდი იყო, ორკარიანი, არცთუ ისე ძველი და ნამდვილი ხისგან დამზადებული, ერთი სიტყვით, ისეთი, რომელსაც დაუმსახურებლად გამოაძევებენ ხოლმე თანამედროვე ბინებიდან, რათა მის ადგილას ხელოვნური, დაწნეხილი ნახერხისგან შეკოწიწებული ავეჯი დადგან. სკამები უფრო ძველი ჩანდა და დაზიანებულიც. მაგიდა დაშლილი იყო, თოკით შეკრული და კუთხეში, სკამების გვერდით, ცერად აყუდებული. მეორე კუთხეში განჯინა იდგა, განჯინის ზემოთ რამდენიმე თარო ეკიდა და ზედ წვრილმანი ხარახურა ეწყო. კარის მახლობლად ხის ორი ცარიელი ყუთი იდო.

მას შემდეგ, რაც ყველა კუთხე-კუნჭული კარგად მოჩხრიკა და საეჭვო ვერაფერი იპოვა, აკაკი ერთ-ერთ ცარიელ ყუთზე ჩამოჯდა იმ ვარაუდით, რომ, თუ სადმე მართლა თაგვი იყო და მის გამოჩენაზე დაფრთხა, ნელ-ნელა შეეჩვეოდა სიჩუმეს და ადრე თუ გვიან ისევ დაიწყებდა ფხაჭაფხუჭს. მაგრამ ეს მოლოდინიც გაუცუდდა. დიდხანს იჯდა ასე გაუნძრევლად თუ ცოტა ხანს, ბოლოს იმედგაცრუებული წამოდგა. ყოველი შემთხვევისთვის რამდენჯერმე მაინც მიუბრახუნ-მოუბრახუნა მუშტი აქა-იქ ავეჯს და, ყრუ გამოძახილის გარდა სხვა პასუხი რომ ვერაფერი მიიღო, საკუჭნაოდან გამოვიდა, მაგრამ უცებ რაღაც გაუგებარი შინაგანი ბიძგის წყალობით უკანვე შებრუნდა და კარადის ორივე კარი სწრაფად გამოაღო. რას ელოდა, არ იცოდა, ნახვით კი ისეთი რამ ნახა, რასაც არ ელოდა.

იმავ წამს ეზოდან ჭიშკრის ჯახუნი მოისმა.

აკაკიმ სწრაფად დახურა კარადა და სასტუმრო ოთახში გამოვიდა. რისი შემჩნევაც მოასწრო, იყო მამაკაცის პალტო, მამაკაცის კოსტუმი და მამაკაცის პერანგები. ყველაფერი უზარმაზარი, თითქმის ფანტასტიკური ზომისა.

ფანჯრიდან რომ ლიზიკო და ბიჭი დაინახა, მყისვე მოტრიალდა, მაგიდას მიაშურა, რათა ცოლი არ მიმხვდარიყო, რომ ამდენ ხანს უქმად იჯდა და არაფერი უკეთებია, კალმისტარი მოიმარჯვა და თავი ხელნაწერში ჩარგო.

მაგრამ ლიზიკო ზემოთ არ ამოსულა. ეზოდანვე შეეხმიანა:

– კააკიიი!

მაშინ აკაკი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და, როგორც შეძლო, ისე გაიღიმა.

– მოხვედით?

– მოვედით. შენ რას შვრები? ბევრი იმუშავე?

– ისე რა... კი, ბევრი...

– დაიღალე?

– არა... ცოტათი...

– ახლავე საჭმელს გავაცხელებ. საღამოს ელასთანა ვართ დაპატიჟებული. არ გითხრა საურმაგმა?

– არა, არ უთქვამს. ალბათ დაავიწყდა.

ლიზიკომ გაიცინა.

– ჯერაც არაფერი დავიწყნია! ათისთვის მივიდეთ. ხომ?

– მივიდეთ.

ლიზიკო სამზარეულოში შევიდა. აკაკიმ ხელნაწერები შეინახა, დაჯდა და ლოდინი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ლიზიკო ამოვიდა, აკოცა და უთხრა, სუფრა გაშლილიაო.

სამზარეულოში რომ შევიდნენ, ბიჭი უკვე მაგიდასთან იჯდა. მაგრამ იჯდა არა თავის ადგილას, არამედ იქ, სადაც ჩვეულებრივ აკაკი ჯდებოდა ხოლმე. ლიზიკომ, ეს რომ დაინახა, მსუბუქი გაკვირვებით ჰკითხა:

– რატომ შენს ადგილას არ ზიხარ?

– აქ მინდა, – მიუგო ბიჭმა.

ლიზიკომ წარბები აზიდა.

– რას ნიშნავს აქ გინდა?

– აქ მინდა, ვა! – კოპები შეიკრა ბიჭმა.

აკაკის ბიჭის საქციელი არ მოეწონა, მაგრამ მდგომარეობა უკარნახებდა მისი მხარე დაეჭირა. ამიტომ ისე გაიღიმა, რომ სახეზე მამობრივი სითბო აღბეჭდოდა, და თქვა:

– იჯდეს, თუკი ურჩევნია.

ბიჭმა გამოქომაგების პასუხად აკაკის მტრულად შემოხედა.

„ამ ბავშვს ტანში ეშმაკი უზის“, – გაიფიქრა აკაკიმ, ოღონდ დაჯერებით არ დაუჯერებია.

– ადექი და შენს ადგილას გადმოდი! – უთხრა ლიზიკომ.

– არა! – ჯიუტად თქვა ბიჭმა. მერე წელში გაიმართა, საზურგეს გადააწვა, რის ვაივაგლახით მისწვდა სკამის თავს, ზედ მკლავი ჩამოსდო, რასაც, ეტყობა, დარდიმანდული პოზა უნდა გამოეხატა, და თავისი სიჯიუტე ასე განმარტა:

– აქ მამა ჯდებოდა და ახლა მე უნდა დავჯდე!

აკაკიმ ყელში სიმწრალე იგრძნო, შეეცადა, სიმწრალე ნერწყვით მოელბო, მაგრამ ვერ მოალბო და ხველება აუვარდა.

ლიზიკოს ბიჭის პასუხზე შეკრული შუბლი გაეხსნა. ერთხანს ღიმილით უყურა შვილს, ბოლოს გაიცინა და თქვა:

– აი, შე ჩურჩუტო!

აკაკის ამასობაში ხველებამ გაუარა, მობრუნდა, ბიჭის ადგილას დაჯდა, თავს ძალა დაატანა და თეატრალური კილოთი გამოაცხადა:

– იჯექი რა! მე მაინც აქ მირჩევნია. აქედან უფრო ახლო ხართ ორივენი.

ამის შემდეგ აკაკი მუდამ ფანჯრის პირდაპირ ჯდებოდა ცოლსა და გერს შუა. მაგრამ იმ ამბავმა კი უსიამოვნო ლექი დაუტოვა, მადა წაუხდა და მერეც, სტუმრად რომ წავიდნენ, მთელი საღამო კალაპოტიდან ამოვარდნილი იყო.

საკუჭნაოში ნანახი ფანტასტიკური ზომის ტანსაცმელი დროდადრო გაქრებოდა გონებიდან, მაგრამ მალევე რომელიღაც საიდუმლო ხვრელით უკანვე შემოძვრებოდა.

მომდევნო დღე შაბათი იყო და მთელი ოჯახი ისვენებდა. აკაკის მუშაობის დროც რომ მოაწია, ლიზიკომ ბიჭი გააცალა და ეზოში წაიყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანა, მაგრამ აკაკიმ ვერ იმუშავა. მისი ფიქრები საკუჭნაოში ტრიალებდა და მაგიდასთან თავს ძლივს იმაგრებდა. რამდენჯერმე წამოიწია კიდეც, მაგრამ ისევ დაჯდა, ეშინოდა, ლიზიკოს არ შეემჩნია. დიდხანს წრიალებდა სკამზე და დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს ლიზიკო ბიჭს კი არა, მას დარაჯობდა. ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინა, ფრთხილად წამოდგა, ჯერ ეზოს მიაყურადა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ლიზიკო და ბიჭი იქ იყვნენ, მერე ფეხაკრეფით გაემართა საკუჭნაოსაკენ. გული იმით დაიიმედა, რომ გადაწყვიტა, თუ ვინიცობისაა ლიზიკო წაასწრებდა, ისეთი სახე მიეღო, ვითომ შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა, რომლის დასაძლევად ბოლთის ცემაა საჭირო, ბოლთის ცემისას კი ფიქრებში ჩაფლული კაცი ვინ იცის სად არ შეეხეტება.

საბედნიეროდ, ლიზიკო არ გამოჩენილა. აკაკი ფრთხილად შევიდა საკუჭნაოში და ფრთხილად გამოაღო კარადის ორივე კარი. შუქის ანთება ვერ გაბედა.

ამჯერად ტანსაცმელი ისე დაუჯერებლად დიდი არ მოსჩვენებია, როგორც გუშინ მოეჩვენა, თუმცა დიდი კი აშკარად იყო. პალტოს, კოსტუმისა და პერანგების გარდა ახლა სხვა რამეც აღმოაჩინა: საკიდს ზემოთ, გრძელ თაროზე ვეებერთელა ნაცრისფერი კეპი და ჭრელი კაშნე ჩანდა, ხოლო კარადის ძირში — მოზრდილი, გვარიანად გაქუცული, ძველებური ჩემოდანი იდო.

რაკი ეშინოდა, ლიზიკოს არ შემოესწრო, კარადა მალევე დახურა, საკუჭნაოდან გამოვიდა, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და მაგიდას მიუჯდა.

ტანსაცმელი რომ მისი წინამორბედისა უნდა ყოფილიყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ბიჭის ნათქვამი გაახსენდა — დიდიც ხომ იყოო — და ეს ორი სიდიდე, მოსმენილი და თვალით ნანახი, ერთიმეორესთან შეაჯერა.

მაგრამ რა უნდოდა აქ ტანსაცმელს? თუ გაიყარნენ და წავიდა, თავის ავლადიდებასაც ხომ თან წაიღებდა! რაკი არ წაუღია, მაშასადამე, არ სჭირდებოდა, ხოლო, რაკი არ სჭირდებოდა, მაშასადამე, კი არ გაყრილან, არამედ მომკვდარა, რადგან ჩაცმა-დახურვა მხოლოდ მკვდარს აღარ სჭირდება.

ამ დასკვნამ აკაკის შვება და სიამე მოჰგვარა. მართალია, ამ სიამეს სინდისის ქენჯნაც ახლდა, რადგან აქამდე არასოდეს მისცემია შემთხვევა ვინმეს სიკვდილი გახარებოდეს, მაგრამ სიამე მაინც გაცილებით ძლიერი იყო და სინდისის ხმას ადვილად ახშობდა.

სანამ რომანისათვის გამოყოფილი დღიური ვადა ამოიწურებოდა, აკაკი სამუშაო მაგიდას უჯდა და ლიზიკოს ყოფილ ქმარზე ფიქრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ხელთ არსებული მონაცემებით იგი მკვდარი უნდა ყოფილიყო, გულში მაინც ხინჯი ჰქონდა და გრძნობდა, სანამ პირდაპირ საბუთს არ მოიპოვებდა, მანამ ამ ხინჯს ვერ მოიშორებდა. ერთი დაპირება დააპირა, ავდგები და თვითონ ლიზიკოს ვკითხავო, მაგრამ ეს განზრახვა მალევე უარყო, რადგან ეშინოდა ამ თემაზე საუბარს ცოლ-ქმარს შორის რაღაც ისეთი ბარიერი არ გაეჩინა, რომელსაც მერე, რამდენჯერაც არ უნდა გადაელახა, მაინც ყოველთვის ახლად და ახლად გადალახავა დასჭირდებოდა. კარგი იყო, ელასგან გაეგო თავის დროზე ყველაფერი, როცა სიტყვა „განათხოვარი" ბუნებრივად იძლეოდა ამის საშუალებას. ახლა ელას ვეღარ ჰკითხავდა. მაშინ აფორიაქებული ფიქრები საურმაგს მიუსია. ფიქრები ერთხანს მართლაც იმედიანად ფუსფუსებდნენ საურმაგის ირგვლივ, მაგრამ მერე თანდათან ჩამოშორდნენ და ზურგი აქციეს; აკაკიმ უკვე იცოდა, რომ, როცა კაცი ერთსა და იმავე დროს უნივერსიტეტის ამხანაგიცაა და უშუალო უფროსიც, უფრო უშუალო უფროსია, ვიდრე უნივერსიტეტის ამხანაგი.

დარჩა გერი.

გერი თავიდან არც მოჰგონებია. იმდენად უნდოდ იყო მის მიმართ განწყობილი, რომ როგორღაც თავისთავად, მექანიკურად გამორიცხა. და მხოლოდ ბოლოს, როცა სხვა აღარავინ დარჩა, მიხვდა, რომ, თუკი საერთოდ რაიმეს გაგება შეიძლებოდა, სწორედ მისგან შეიძლებოდა. ბავშვი, რა ონავარიც არ უნდა იყოს, მაინც ბავშვია; იმაზე იოლი რა არის, მისი გულუბრყვილობით ისარგებლო და საჭირო ცნობები დასტყუო.

ასეც მოიქცა.

საღამოს სახლის უკან, ერთი გაბარჯღული ლეღვის ძირას დაიმარტოხელა და პირფერული მასლაათი გაუბა. საერთოდ აკაკი გერს ისე ეპყრობოდა, რომ თავისი საქციელის მერე თვითონვე რცხვენოდა. ბიჭი უზნეო იყო და მისი უზნეობის გამოისობით აკაკი მუდამდღე ხიფათში იმყოფებოდა. ხან ტალახში ამოთხვრილი ბურთი მოხვდებოდა თავში, ხან ხესა და ხეს შორის შეუმჩნევლად გაჭიმულ თოკს წამოედებოდა და ლამის კისერი მოეტეხა, ხან სკამზე რომ დამშვიდებული დაეშვებოდა, მერეღა აღმოაჩენდა, რომ ზედ თურმე წყალი ესხა... მაგრამ იმის შიშით, რომ გაჯავრებას უარესი რეპრესიები არ მოჰყოლოდა, თავი ისე ეჭირა, ვითომ ბიჭის უსაქციელო ოინებში საუცხოო გასართობს პოულობდა, და სულ იმას ცდილობდა, ლაქუცითა და პირფერობით მოეგო მისი გული. იმ საღამოს მთელი დღის ნავარდის შემდეგ გვარიანად დაღლილ ბიჭს ოინბაზობის თავი აღარ ჰქონდა და აკაკიმ იოლად აიყოლია საუბარში. ჯერ უბრალო, ყოველდღიურ ამბებზე ელაპარაკა, მერე ნელ-ნელა თამაშზე გადავიდა. თამაში მარტივი იყო: აკაკი შეკითხვებს აძლევდა და ბიჭს პასუხი უნდა გაეცა. აკაკიმ რაც შეიძლებოდა შორიდან დაიწყო. რატომაა დღე ნათელი და ღამე ბნელი? საიდან მოდის წვიმა? ძაღლი უფრო ერთგულია თუ კატა? ყოჩაღ! კარგად რომ ჩაითრია თამაშში, თანდათან სასურველ თემასაც მიუახლოვდა. აბა თუ მეტყვი — ოღონდ

იცოდე არ გაიხედო – სად არის ამ წუთას დედა და რას აკეთებს? ვაჰ! ახლა მითხარი, დეიდა ელა სად არის და რას აკეთებს? ბიძია საურმაგი? ბიჭოს! საბავშვო ბაღის აღმზრდელებიც მოითავა, ტოლ-ამხანაგებიც, მეზობლებიც და ბოლოს, ნიადაგი რომ მომზადებულად ჩათვალა, უთხრა:

– აბა, ახლა მითხარი... – აქ ყასიდად დაფიქრდა, აქაო და ჯერ არ მომიგონებია შეკითხვა და ახლა ვიგონებო, – ეე... მამა სად არის?

– მამა მოკვდა, – მშვიდად მიუგო ბიჭმა, – და ძაღლი მიაკვდა.

ამ სიტყვებით ჯიბეში ხელი ჩაიყო, მუჭით ამოიღო ღმერთმა იცის სად და რა მიზნით მოგროვებული სილა და აკაკის სახეში შეაყარა.

ბიჭის პასუხი ნათელი და ამომწურავი იყო: ლიზიკოს ყოფილი ქმარი ცოცხალი ყოფილა.

მაშ ტანსაცმელი რაღად დატოვა?

აფორიაქებულმა და გულამღვრეულმა სიცილ-სიცილით ჩამოიბერტყა სილა სახიდან და განგებ კიდევ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა, რათა ამით მთავარი შეკითხვა ისე მიეჩქმალა, ბიჭის გონებაში უდროო დროს და უალაგო ალაგას არ ამოტივტივებულიყო.

იმ დღეს მთელი საღამო ფიქრებით კარადაში გამომწყვდეულ ნივთებს დასტრიალებდა. რა უნდოდა აქ ამ ნივთებს? რატომ თან არ წაიღო? ნუთუ მართლა ამოდენაა?..

ნავახშმევს, როდესაც ლიზიკო ბიჭს აძინებდა, აკაკი მარტო იჯდა ეზოში ქვის მრგვალ მაგიდასთან.

ეგებ მისი არცაა! ეგებ ლიზიკოს გარდაცვლილი მამის ან გარდაცვლილი ძმისაა!

გულის სიღრმეში ეს ვარაუდი ცოტა საეჭვო კი ეჩვენებოდა, რადგან ძნელი წარმოსადგენი იყო, ასეთი პატარა ტანის ქალს ამოდენა მამა ან ძმა ჰყოლოდა, მაგრამ ატყობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, რაღაც საყრდენი უნდა ეპოვა, და ყოველნაირად ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ არაფერი შეუძლებელი აქ არ არის და თვითონაც არაერთხელ უნახავს ოჯახის ერთი წევრი პატარა იყოს, მეორე კი დიდი.

ასე გავიდა დაძაბული ფიქრებით, საშიში ვარაუდობითა და მძიმე დუმილით სავსე საღამო და ბოლოს, როცა უკვე გულაღმა იწვა ლოგინში და მარცხენა მკლავზე ლიზიკო ეწვინა, თქვა:

– დღეს საკუჭნაოში ვიყავი.

ლიზიკოს მუხლში მოხრილი მარცხენა ფეხი მის ბარძაყზე ედო, ხოლო მარცხენა ხელი მაისურის ქვეშ შეეყო და მკერდზე უცაცუნებდა.

– საკუჭნაოში რა გინდოდა?

აკაკიმ წინდახედულად ჩაიცინა.

– თაგვმა გადამრია. ჩემი მუშაობის დაწყება და მისი ფხაჭაფხუჭის ატეხა ერთია. მოსვენება აღარა მაქვს.

– რას მეუბნები! რაც თავი მახსოვს, ამ სახლში თაგვი არ გაჭაჭანებულა!

– აბა რა ვიცი! დავიწყებ მუშაობას – დაიწყებს ფხაჭუნს, გავჩერდები – გაჩერდება. ერთიორი დღე კიდევ ვუყურებ და, თუ ასე გაგრძელდა, კატა უნდა გავიჩინოთ... მართლა, იქ, კარადაში, რაღაც ნივთებია...

ლიზიკო ხელს მკერდზე უცაცუნებდა. არც აუჩქარებია, არც შეუნელებია.

– ჭოლასია.

– ვისი?

– ჭოლასი, – და დააზუსტა, – ჩემი ყოფილი ქმრის. უნდა წაეღო და ვეღარ წაიღო. წაიღებს ალბათ.

– აა! – თქვა აკაკიმ.

ეგებ კიდევ ეთქვა რამე – დანამდვილებით თავადაც ვერ იტყოდა, აპირებდა თუ არა რაიმეს თქმას – მაგრამ ლიზიკომ აღარ დააცალა: ხელის ცაცუნი შეწყვიტა, წამოიწია, ზემოდან დააწვა, მკლავები კისერზე შემოჰხვია და კრუტუნით დაეკონა.

მეორე დღეს, კვირას, აკაკი მხოლოდ იმიტომ უჯდა მაგიდას ოთხი საათიდან ექვს საათამდე, რომ ლიზიკოს არ ეკითხა, რატომ არ მუშაობ.

ჯოჯოხეთზე უარესი ჯოჯოხეთია, კაცი რომ უსაქმოდ და უაზროდ ზიხარ ერთ ადგილას და მხოლოდ დროის გასვლას ელოდები. აკაკი დამწუხრებული სახით უყურებდა, რა მომაკვდინებელი ზლაზვნით მიდოღავდნენ საათის ისრები და სასოებით ნატრობდა, წუთით მაინც დაეღწია თავი ბიჭს ლიზიკოს ზედამხედველობიდან და ოთახში შემოვარდნოდა, ან ბურთი შემოეგდო, ან შურდული ეტყორცნა, რომ საშუალება მისცემოდა ეთქვა, მუშაობის რიტმიდან ამოვვარდი, ახლა თავიდან რაღა ჩაერთობა, ისა სჯობს, დღეს დავისვენოო. მაგრამ ბიჭმა დახმარების ხელი არ გამოუწოდა. აკაკი იძულებული იყო, ბოლომდე მოეხადა სასჯელი.

სამაგიეროდ, მოუთმენლად ელოდა ორშაბათ დღეს, როდესაც ამ საათებში სახლში სულ მარტო იქნებოდა.

ეს დროც დადგა.

სამსახურიდან ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა. სახლს რომ მიაღწია, უკვე გვარიანად იყო გაოფლილი. სწრაფად აიარა კიბე, სწრაფად შევიდა სასტუმრო ოთახში, თავის სამუშაო მაგიდას – დიდს, ლამაზს, მოჩუქურთმებულს – ისე ჩაუარა, იქით არც კი გაუხედავს, და პირდაპირ საკუჭნაოს მიაშურა.

შევიდა, შუქი აანთო და კარადის ორივე კარი ყურთამდე გამოაღო.

პალტო სულ მარცხნივ ეკიდა, ბოლოში, პალტოს გვერდით – კოსტუმი, მერე პერანგები. ოთხი პერანგი ოთხ საკიდზე, თითოზე თითო. ჩემოდანი მარჯვენა კუთხეში იდო. ფართო, მრგვალი კეპისა მხოლოდ ნაწილი ჩანდა, რადგან თარო მაღალი იყო. დაჭმუჭნული კაშნე დაუდევრად ეგდო კეპის გვერდით.

აკაკი ერთხანს ზეზეურად უყურებდა. მერე ერთი ყუთი აიღო, კედელთან დაიდგა, კარადის პირდაპირ, ზედ დაჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და ახლა ასე მიაჩერდა.

პალტო ყავისფერი იყო, კოსტუმი – ლურჯი, პერანგები – ოთხივე კუბოკრული, ოღონდ სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა შეფერილობის, კეპი – ნაცრისფერი, კაშნე – ჭრელი, ჩემოდანი – შავი.

ყველა ნივთი ნახმარი ჩანდა, მაგრამ არც ისე ძველი, რომ კაცს გადასაგდებად გაემეტებინა. პერანგები დარეცხილი და დაუთოებული იყო.

აკაკი იჯდა და უყურებდა. ბოლოს წამოდგა, ყუთი ახლო მიიტანა კარადასთან, ზედ შედგა, სიფრთხილისათვის ფეხები ნაწიბურებზე დააბჯინა და თაროზე შეიხედა. კეპი ძალიან დიდი იყო, კაშნე – ჭუჭყიანი. სხვა თაროზე ვერაფერი ნახა. მაშინ ძირს ჩამოვიდა და ყუთი ფეხით გასწია. ცოტა ხანს დაფიქრებული იდგა, მერე პალტოსაც, პიჯაკსაც, პერანგებსაც სათითაოდ გადაუწია საყელო და იარლიყები შეუმოწმა. პალტო და კოსტუმი სამამულო წარმოებისა აღმოჩნდა, პერანგები – იმპორტული. ამას რომ მორჩა, პიჯაკის კალთები მისწი-მოსწია, შარვალი, რომელიც სამკუთხა საკიდის ჭრილში იყო გაძვრენილი და ფაქიზად გადაფენილი, გადმოიღო და ტანზე მოიზომა. ერთხანს დაკვირვებით ამოწმებდა, მერე სალტეში აქეთ-იქით მოჰკიდა ხელი, მაღლა ასწია და თვალდათვალ დაუწყო სინჯვა. შარვალი დიდი იყო. დიდი, განიერი და უკან, საჯდომზე, ცოტა გაქლეტილი.

შარვალი თავის ადგილას დაკიდა, დაიხარა, ცალ მუხლზე დაიჩოქა და ჩემოდანი გამოსწია, კიდევ უფრო დაიხარა, ისევ მუხლზე დაიჩოქა, საკეტები გახსნა და თავი აჰხადა. ჩემოდანში ელექტროსაპარსი იდო და ოთხი ხელი საცვალი, დაუთოვებული და ფაქიზად დაკეცილი; მათ შორის ერთი ზამთრისა უნდა ყოფილიყო – გრძელსახელოებიანი პერანგი და გრძელტოტება პერანგის ამხანაგი, რომელსაც კოჭებთან ზორტები დასთრევდა.

გრძელტოტება ქვედა საცვლის დანახვაზე აკაკიმ უმისამართო ზიზღი იგრძნო, ჩემოდანი სწრაფად დაკეტა და თავის ადგილას დადო. მერე წამოდგა, კარადა დახურა, შუქი ჩააქრო და სასტუმრო ოთახში გავიდა. იქ ბოლთის ცემას მოჰყვა. ხანი რომ გამოხდა, შეტრიალდა და თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღოო, მტკიცე ნაბიჯით ისევ საკუჭნაოსკენ გაემართა, მაგრამ, როგორც კი შევიდა და შუქი აანთო, ის სათუო გადაწყვეტილება მყისვე გაქრა. შუქი ისევ ჩააქრო, სასტუმრო ოთახში გამობრუნდა და ბოლთის ცემა განაგრძო. ბოლოს წინ და უკან სიარულით დაიღალა, მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო. მანამ იჯდა ასე, სანამ ჭიშკარი არ გაჯახუნდა. ჭიშკრის გაჯახუნებაზე შეკრთა, გამოფხიზლდა, ჩანაწერები სწრაფად ამოიღო უჯრიდან და წინ დაიდო.

ამის შემდეგ მრავალი დღის განმავლობაში ჯიუტად ებრძოდა თავის თავსაც და იმასაც, ვინც წლების მანძილზე რომანის წერაში ხან უწყობდა ხელს და ხან უშლიდა. მანამ ებრძოდა, სანამ ძალა ეყო, მერე კი ფარ-ხმალი დაყარა და მარცხს შეურიგდა.

მაგრამ მარცხიც არის და მარცხიც! ამ მარცხს რა ხანია შერიგებული იყო; ეს უეცარი და, როგორც გამოირკვა, ფუჩუტე აფეთქება რომ არა, რომანის დაწერაზე ჯერ კიდევ ათი წლის წინ ჩაიქნია ხელი. საქმე ისაა, რომ ამჯერად მარცხს გაუგებარი, გაუთვალისწინებელი და დაუმსახურებელი სასჯელიც მოჰყვა: სხვისი თვალის ასახვევად თავი უნდა მოეკატუნებინა, ვითომ რომანზე მუშაობას კვლავინდებურად განაგრძობდა.

ადრე რომანი მხოლოდ მას ეკუთვნოდა და, დაწერდა თუ ვერ დაწერდა, მისი საქმე იყო. ახლა ეს საქმე სხვებმა ჩაიგდეს ხელთ და, თითქოს მათთან ხელშეკრულება ჰქონიყო დადებული, აკაკი გაუგებარ შიშსა და პასუხისმგებლობას გრძნობდა. მართალია ერთი-ორჯერ სასოწარკვეთილებამდე მისულმა გულში ფიცი დადო, შიშიც დაეძლია, პასუხისმგებლობაც და ერთხელ და სამუდამოდ გამოტეხილიყო, რომანის დამწერი არა ვარო, მაგრამ ვერ შეასრულა და ვერც შეასრულებდა, რადგან, როდესაც ერთი გული ფიცს დებდა, მეორე გულმა მაშინვე იცოდა, რომ ეს ცრუ ფიცი იყო.

ამიტომ ისევ ისე ადრიანად ბრუნდებოდა სამსახურიდან და მერე ოთხიდან ექვსამდე უსაქმოდ და უაზროდ წრიალებდა სახლში. წინ და უკან დადიოდა, კედელ-ყურეს ედებოდა, ვერც ვერაფერს ფიქრობდა და ვერც ვერაფერს აკეთებდა, წამდაუწუმ საათს შესცქეროდა და თან ცალი თვალი ჭიშკრისკენ ეჭირა, რომ ლიზიკოს დაბრუნება არ გამოჰპარვოდა. გამოჩნდებოდა თუ არა ლიზიკო, მაშინვე მაგიდას მიუჯდებოდა, ჩანაწერებს ამოიღებდა, წინ დაიდებდა და გაალმასებული სახით ჩააცქერდებოდა.

ამგვარად, ყოველდღიური ცხოვრების ორი საუკეთესო საათი, რწმენის, მხნეობის, ჭეშმარიტი არსებობის საათები, როდესაც თავს სამყაროს აუცილებელ და ორგანულ ნაწილად გრძნობდა, პატიმრობის ორ საათად ექცა. ეზოში გასვლა რომ გაებედა, კიდევ არა უშავდა რა – ეზოში ხეები მაინც იყო – მაგრამ ამასაც ვერ ბედავდა, ეშინოდა, მეზობელს არ მოეკრა თვალი, ლიზიკოსთვის არ ეთქვა და მერე ლიზიკო არ დაინტერესებულიყო, რას აკეთებდა გარეთ იმ დროს, როცა შინ უნდა მჯდარიყო და რომანი ეწერა.

თანდათან ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ვიღაცამ გააბრიყვა, მოაღორა, მოტყუებით დასცინცლა ყოველდღიური სიცოცხლის ორი საათი და თავის ყოველდღიურ სიცოცხლეს მიუმატა. ოთხიდან ექვსამდე, როდესაც ქალაქის ყველა მცხოვრებს უამრავი არჩევანი ჰქონდა და რასაც უნდოდა იმას აკეთებდა, აკაკი, შეიძლება ითქვას, არც კი არსებობდა. ოთხზე კვდებოდა და ექვსზე ცოცხლდებოდა.

სინამდვილეში ცხადია არავის გაუბრიყვებია. თავისი ნებით გაჰყო ყულფში თავი, თორემ ვინ დააძალებდა, გინდა თუ არა რომანი დაწერეო!

აკაკის გონიერებამ იცოდა, რომ ბრალი ყველაფერში თვითონ მიუძღოდა, მაგრამ აკაკის უგუნურებას ვერაფრით ვერ დაეღწია თავი ბუნდოვანი გრძნობისათვის, რომ მოატყუეს და გააცუცურაკეს.

დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, აკაკი კი თავის უცნაურ პატიმრობას ვერც შეჰგუებოდა და ვერც გაქცეოდა.

ცხოვრებამ ერთ ვიწრო კალაპოტში მოიყარა თავი. დილით სამსახურში მიდიოდა და ადგილობრივ შემოქმედთა ნამუშაკევ ლექსებსა და მოთხრობებს კითხულობდა, ოთხზე უკვე შინ იყო, ექვსამდე, ორი დაუსრულებელი საათის განმავლობაში, გალიაში გამომწყვდეული ნადირივით წრიალებდა, სამუშაო მაგიდას ზიზღით უბრიალებდა თვალებს, საათს შესცქეროდა და შიგადაშიგ კბილებს აღრჭიალებდა, საღამოს ასი თვალი და ასი ყური ჰქონდა გამოსხმული, რომ გერის ამოუწურავ ფანტაზიას მორიგ ხაფანგში არ გაება, ღამე ლიზიკოს მრავალკეც „ჭ"-ს ისმენდა, რომელიც მისდა გასაკვირველად ბოლო ხანებში ისევ ეხამუშებოდა და დროდადრო თითქოს აღიზიანებდა კიდეც. დილით ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

დროდადრო წინამორბედის დანატოვარ ნივთებს ათვალიერებდა.

შევიდოდა საკუჭნაოში, შუქს აანთებდა, კარადას გააღებდა, უტყვი სახით შესცქეროდა ტანისამოსს და უკვირდა, რომ ფეხსაცმელები არსად იყო.

ერთხელაც, დიდხანს ათვალიერა ასე თუ ცოტა ხანს, ბოლოს კეპს მიწვდა, გადმოიღო და დაიხურა. კეპი ყურებზე და თვალებზე ჩამოეფხატა. მაშინ სწრაფადვე მოიხადა და ისევ თავის ადგილას შემოდო.

ლიზიკოს პირველი ქმარი რომ დიდი იყო, ამაზე კარადაში გამოფენილი ტანსაცმელი ისედაც ნათლად მეტყველებდა, მაგრამ ქუდის გასინჯვამ როგორც ჩანს ამ სიდიდეს რაღაც არსებითი შეჰმატა, რაღაც უფრო რეალური სიცოცხლე მიანიჭა და საკუჭნაოდან გამოსულს გაურკვეველი გრძნობა გამოჰყვა, რომელიც ზიზღისა და შეძრწუნების ნარევს წარმოადგენდა. ეს გრძნობა მალევე გაქრა, მაგრამ, ხანი რომ გამოხდა, ისევ გამოჩნდა. წამით შემოძვრა გონებაში, იქ ერთი დაკვესა, ოდნავ შეამღვრია ცნობიერება და მიიმალა. მაშინ აკაკი საკუჭნაოში შევიდა და ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარი — პირველ ყოვლისა თვითონ მისთვის გაუგებარი — საქმიანობა წამოიწყო: ყუთი ყუთზე შემოსდო, წვრილმანი ხარახურა მისწი-მოსწია და იატაკზე ადგილი მოათავისუფლა. ამის შემდეგ კარადიდან კოსტუმი ჩამოხსნა. პიჯაკი ძირს, მოსუფთავებულ ადგილას გულაღმა დააწვინა და ბოლოში შარვალი მოუწვინა, ოღონდ შარვლის სათავე ორი ხელის დადებაზე პიჯაკის კალთებქვეშ მოაქცია. კეპიც გადმოიღო და კოსტუმს ზემოთ დადო ისეთ მანძილზე, რომ შუაში ერთი მოზრდილი თავი ჩატეულიყო. ცოტა ხანს უყურა ძირს დაფენილ ტანსაცმელს, რომელსაც, დასრულებული სახე რომ მიეღო, მხოლოდ პატრონიღა აკლდა, გარშემოც შემოუარა, მერე საწოლ ოთახში გავიდა,. საკერავი მანქანის პატარა უჯრიდან ნაჭრის ერთმეტრიანი საზომი ამოიღო, უკანვე დაბრუნდა და გაზომვას შეუდგა. შარვლის ბოლოში ფეხები იგულისხმებოდა, ამიტომ გაზომვა ხუთი სანტიმეტრის მოშორებით, ცარიელი ადგილიდან დაიწყო. სამჯერ გაზომა და სამივეჯერ ასოთხმოცდაჩვიდმეტი სანტიმეტრი გამოვიდა. შესაძლებელი შეცდომა ორი სანტიმეტრი თუ იქნებოდა ან ერთ ან მეორე მხარეს.

თვითონ აკაკი ასსამოცდაცამეტი სანტიმეტრი იყო.

თუმცა ამ დროისთვის უკვე იცოდა, რომ რომანი არ დაიწერებოდა, იმედს მაინც ვერ ელეოდა და, ზოგჯერ, ბოლთის ცემით დაღლილი რომ სამუშაო მაგიდას მიუჯდებოდა, რათა ცოტა დაესვენა, თან იმას ცდილობდა, სადმე რაიმე ხავსი ეპოვა და ჩასჭიდებოდა. ამ მიზნით ახალ-ახალი მეთოდების მოგონებას შეუდგა. ჯერ იყო და, რამდენიმე დღის განმავლობაში — თუმცა ეს დიდი მოთმინებისა და დიდი ჯაფის ფასად დაუჯდა — ჩანაწერები რამდენჯერმე ზედიზედ გადაიკითხა იმ იმედით, რომ გარემოდან გამოითიშებოდა, მასალაში ჩაეფლობოდა და შთაგონებისათვის ესოდენ აუცილებელ შემოქმედებით ბიძგს იგრძნობდა. რაკი ბიძგი ვერ იგრძნო, სხვა მეთოდს მიმართა: წინ სუფთა ფურცლები დაიწყო, კალამი მოიმარჯვა და გადაწყვიტა, რა სიტყვებიც კი თავში მოუვიდოდა, განუსჯელად და აუწონელად ეწერა. იცოდა, რომ ჭეშმარიტი შემოქმედის ტვინსა და სისხლში ინტუიციური ნიჭი გაუცნობიერებლად მუშაობს და ასე უთავბოლოდ, ულოგიკოდ, სტიქიურად გადმობერტყილი სიტყვებისაგან შეიძლება საბოლოოდ შედევრი გამოვიდეს. როდესაც სიტყვები საკმაო რაოდენობით დაგროვდა, მაგრამ შედევრისა არაფერი შეეტყო, ისევ შეცვალა მეთოდი. ამჯერად სიტყვებს მოეშვა და სრულიად უაზრო ხაზებზე გადავიდა. სიტყვები ასე თუ ისე რაღაცას ნიშნავს და ამდენად შემოქმედებით პროცესს გონებასთან კავშირი ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს. ეს კავშირიც რომ გაწყდეს, ეგებ მაშინ ამუშავდეს სუფთა შემოქმედება? აკაკი შეეცადა, გონება სრულიად გამოეთიშა და ხელის მექანიკურ, გაუაზრებელ მოძრაობას მინდობოდა. ცხადია ხაზებით რომანი ვერ დაიწერებოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ შემოქმედებითი იმპულსი, როცა ყველა ხელის შემშლელი პირობისაგან განთავისუფლდებოდა, თვითონვე მიაგნებდა აზრებსა და სიტყვებს.

ამ ბოლო მეთოდმა მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო. ერთ დღეს, როდესაც ასეთ საქმიანობაში ჩაფლული ჭიშკრის ჯახუნმა გამოაფხიზლა და რეალურ სამყაროში დაბრუნებულმა ფურცელს დახედა, განცვიფრებული დარჩა: ფურცელზე თუმცა ცოტა სქემატური, მაგრამ დასრულებული და ჩამოყალიბებული ნახატი იყო. ფურცელზე პალტო ეხატა.

აქამდე აკაკის წარმოდგენა არ ჰქონდა, ხატვა თუ იცოდა.

რაკი ჭიშკრის ჯახუნი ლიზიკოს დაბრუნების მომასწავებელი იყო, აკაკიმ ნახატი სწრაფად ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩურთა ქაღალდის დასტაში, მეორე დღეს კი სამსახურიდან წამოსულმა გზად მაღაზიაში შეიარა და ფერადი ფანქრები შეიძინა.

მართალია, ნახატი რომ საკუჭნაოში შეიტანა და ორიგინალს შეადარა, მრავალი წვრილ-წვრილი განსხვავება აღმოაჩინა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხატვის დროს ნატურას არ უყურებდა და მთლიანად მეხსიერებას ეყრდნობოდა, სიზუსტის ხარისხი მაინც ძალიან მაღალი იყო.

როდესაც თავიდან ჩაუჯდა საქმეს – ამჯერად უკვე არა კალმით, არამედ ყავისფერი ფანქრით – ეს განხსვავებები გაითვალისწინა და ნახატიც გაცილებით უკეთესი გამოუვიდა. მაშინ გადაწყვიტა საქმე განეგრძო. პალტოს შარვლის ტოტები მიახატა ქვეშ, შარვლის ტოტებს – ფეხსაცმელები. ფეხსაცმელები საკუთარი ფანტაზიით დახატა, რადგან ორიგინალი არ ჰქონდა. იმ ადგილას, სადაც თავი უნდა ყოფილიყო, წრე შემოავლო და ზედ ფართო, მრგვალი კეპი დაპხურა.

კარგახანს უცქირა დასრულებულ ნახატს და ბოლოს პროპორციებმა დააეჭვა. თეორიული პროპორციები არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ, რაკი პალტოს კონკრეტული პატრონი ჰყავდა, საჭირო იყო კონკრეტული პროპორციების დაცვა.

სიმაღლე იცოდა: მეტრი და ოთხმოცდაჩვიდმეტი სანტიმეტრი. სისქე არ იცოდა.

სისქის დასადგენად საკუჭნაოში შებრუნდა. შარვლის სათავის გარშემოწერილობა ას ოცდაათი სანტიმეტრი აღმოჩნდა. აკაკიმ შესადარებლად საკუთარი წელი გაზომა და ნახა, რომ ოთხმოცი სანტიმეტრიც კი არ გამოვიდა. მართალია, აკაკი მთელი ოცდაოთხი სანტიმეტრით დაბალი იყო და გვარიანად გამხდარიც, მაგრამ ამოდენა განსხვავება მაინც იმაზე მეტყველებდა, რომ შარვლის პატრონს კარგი დიდი მუცელი უნდა ჰქონოდა. პიჯაკის სანტიმეტრობით ზომვა არ დაუწყია, ადგა და ჩაიცვა. მართალია, საწოლ ოთახში რომ გავიდა და დიდ სარკეში ჩაიხედა, ელდანაცემმა სწრაფადვე გაიხადა, მაგრამ სიდიდე და პროპორციები მაინც დაახსომდა. კოსტუმი თავის ადგილას შეინახა, სამუშაო მაგიდას მიაშურა და ამ დამატებითი მონაცემების მიხედვით ახალი ნახატის შექმნა დაიწყო. ერთხანს გაუჭირდა შემოქმედებითი ენერგიის მოკრება, რადგან გონების თვალწინ სარკეში დანახული საკუთარი თავი ტივტივებდა და ხელს უშლიდა. მერე და მერე, მუშაობის პროცესში, ეს ხილვა გაქრა და საქმეც სწრაფად წავიდა წინ.

ამის შემდეგ რომანისთვის გამოყოფილი ორორი საათი ისე აუტანელი აღარ ეჩვენებოდა. ლიზიკოს დაბრუნებამდე თითქმის ყოველდღე შეუსვენებლივ ხატავდა. ჭიშკარი რომ გაჯახუნდებოდა, ნახატებს აკრეფდა, საიმედოდ გადამალავდა და სამაგიეროდ წინ ჩანაწერებს დაიდებდა.

საკუჭნაოდან არავითარი ხმაური აღარ ისმოდა.

ნახატები ბლომად დაუგროვდა. პალტოებიც, კოსტუმებიც, პერანგებიც, საცვლებიც...

იმ ადგილას, სადაც თავი უნდა ყოფილიყო, ყოველთვის წრეს ხატავდა.

ეშხში შესულმა ერთი ხანობა თემათა გამრავალფეროვნება გადაწყვიტა. პირველ რიგში იმის ხატვას შეუდგა, რაც ირგვლივ ერტყა. მაგიდა დახატა, სკამები, ტახტი, კარადა, სახლი, ეზო...

მისდა გასაოცრად ყველაფერი პრიმიტიული გამოუვიდა. დეფორმირებული, უპროპორციო, მახინჯი, ფერი ფერს არ ჰგავდა და ხაზი – ხაზს, ერთი სიტყვით ისეთი იყო, როგორსაც ოდესღაც, შორეულ ბავშვობაში ხატავდა და მერე ხატვის მასწავლებელი მთელ კლასს აჩვენებდა, რათა გაკვეთილი ხალისიანი და მხიარული გამოსულიყო.

შეფიქრიანებულმა რამდენიმე დღით საერთოდ აიღო ხელი ხატვაზე, მაგრამ როდესაც ის ორი საშინელი საათი კვლავ მკვდარ უსასრულობად ექცა, იძულებული შეიქნა ხელახლა მიბრუნებოდა. ოღონდ გადაწყვიტა ვიწრო სპეციალიზაციით შემოფარგლულიყო და კარადაში გამოფენილ ნივთებს არ გასცდენოდა.

რაც კარადაში ჰქონდა, იმას ჩინებულად ხატავდა. ყოველი ახალი ნახატი წინაზე უკეთესი იყო. ბოლოს ისეთ სიზუსტეს მიაღწია, რომ შემთხვევით ამოჩრილი პაწაწკინტელა ძაფი ან ოდნავი, თითქმის შეუმჩნეველი ლაქაც კი არ გამოეპარებოდა. ისე დაოსტატდა, ნახატები რომ ნატურალური ზომისა ყოფილიყო, კაცი ნამდვილისგან ვერ გაარჩევდა.

თავის ადგილას კვლავინდებურად წრეებს ხატავდა.

პირველ ხანებში ეს წრეები სავსებით აკმაყოფილებდა და ცოტათი მოსწონდა კიდეც ისეთი მოწონებით, რომელიც ბუნდოვანი და იდუმალი ნიშნისმოგებით იყო შეზავებული, მაგრამ მერე და მერე, რაც უფრო ოსტატდებოდა, წრეები თანდათან ხელს უშლიდა და ბოლოს, ფოტოგრაფიულ სიზუსტეს რომ მიაღწია, მკვეთრ დისონანსადაც იქცა.

მაშინ გადაწყვიტა წრეების მაგივრად ნამდვილი თავები დაეხატა.

მთლად ნამდვილი თავის დახატვა, იმ თავის, რომელიც ერთ დროს ამ კოსტუმს ტანზე ირგებდა, ასე უნახავად, მარტო ფანტაზიის იმედით, ცხადია შეუძლებელი იყო. რაკი ეს თავადაც კარგად იცოდა, გადაულახავ სიძნელესთან ჭიდილი არც უფიქრია და მოკრძალებული, მაგრამ რეალური მიზანი დაისახა: მიახლოებით პორტრეტი შეექმნა, უფრო ტიპოლოგიური, ვიდრე კონკრეტული, იმ მონაცემების მიხედვით, რაც ხელთ ჰქონდა.

ტიპოლოგიური მონაცემები კი არც ისე ცოტა იყო. მართლაცდა, იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ადგილობრივი წარმოების ტანსაცმელს ეტანებიან, მით უფრო, თუ ქვეშ ზორტებიანი საცვლებიც აცვიათ, საკმაოდ მცირეა. კიდევ უფრო მცირეა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც ზორტებიანი საცვლები-

სა და ადგილობრივი წარმოების ტანსაცმლის ზემოთ ასეთი მრგვალი და ვეება, საჩრდილობელივით კეპი ახურავთ. გარდა ამისა, კარადაში აკაკის ჰალსტუხი არ უნახავს, რაც აგრეთვე მნიშვნელოვნად ავიწროებდა საძიებელ წრეს.

ამგვარად ტიპოლოგიური დაჯგუფება მოხდა და საერთო ადამიანურ სახეობას სოციალური, ფსიქოლოგიური და რამდენადმე ინტელექტუალური ნიშნებით განსაზღვრული გვარიანად ვიწრო წრე გამოეყო. პორტრეტის, თუნდაც ზოგადი პორტრეტის შექმნისთვის ეს ჯერ კიდევ არ კმაროდა, მაგრამ აკაკის ხელთ ჰქონდა გარეგნობის ისეთი მრავლისმთქმელი დეტალი, როგორიცაა მოზრდილი მუცელი, რაც არა მარტო იმაზე მიუთითებდა, რომ ამ მუცლის პატრონს ფიზიკური შრომა არ უხდებოდა, არამედ იმაზეც, რომ იგი ღვინის მსმელი კაცი იყო, ღვინის მსმელ კაცს კი, თუ მაღალი და სქელიცაა, ლოყები სავსე და დაჟღაჟა უნდა ჰქონდეს. ეს კი უკვე კონკრეტული შტრიხია და თუ მას ზემოთ მოხსენიებულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მონაცემებს უნარიანად შეუხამებ, არ შეიძლება შემოქმედისთვის საიმედო ამოსავალ წერტილად არ გამოდგეს.

როდესაც ყველა მონაცემი შეაჯამა და მიღებული შედეგი გონების თვალით წარმოიდგინა, აკაკი ერთ შეუსაბამობას წააწყდა:

რატომ გაყვა ლიზიკო ასეთ კაცს?

საგონებელში ჩავარდნილი ერთხანს შეშფოთებით ჩაუღრმავდა ამ გამოცანას, ხან აქედან უტრიალა, ხან იქიდან, ბევრი ჩხრიკა და უკირკიტა, ბოლოს, რა დარწმუნდა, ამოხსნა შეუძლებელი იყო და გამოცანა სამუდამოდ გამოცანად დარჩებოდა, თავი მიანება, სახატავი ქაღალდი შეიძინა და ძირითად საქმეს მიუბრუნდა.

მალე სახეთა მთელი გალერეა შექმნა. სოციალურად, ფსიქოლოგიურად და რამდენადმე ინტელექტუალურად სახეები ერთსა და იმავე ტიპს განეკუთვნებოდნენ, ფორმალურ-ინდივიდუალური ნიშნებით კი სრულიად განსხვავებულები იყვნენ.

ამასობაში შემოდგომა გავიდა და ზამთარი დადგა. ცივი ზამთარი დადგა, სასტიკი. ნოემბრის ბოლოს უკვე ისეთი ყინვები დაიჭირა, სიცივისაგან მიწაც კი კვნესოდა.

მაგრამ სახლში თბილოდა და აკაკი თავის საქმეს განაგრძობდა. თითქმის ყველა შესაძლო ვარიანტი ამოწურა და მრავლის უმრავლესი პორტრეტი დაუგროვდა, იმდენი დაუგროვდა, რომ ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა, რომელიმე მათგანი ლიზიკოს პირველი ქმარი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ რომელი?

ამ კითხვაზე პასუხი არ მოეპოვებოდა და ამიტომ აკაკის ყველა პორტრეტი ერთნაირად სძულდა.

ერთხელ, სიზმარში, პორტრეტები ლიზიკოს უჩვენა. ლიზიკომ ყურადღებით დაათვალიერა, ბოლოს ერთ მათგანს მარჯვენა ხელის შუა თითი დაუკაკუნა და თქვა: „აი, ეს არის ჭოლა“. აკაკის მყისვე გამოეღვიძა. ერთხანს ბურანში მყოფი გაუნძრევლად იწვა, მერე, სიზმარი რომ გონებაში მკაფიოდ აღდგა, ფრთხილად გადმოვიდა საწოლიდან, სასტუმრო ოთახში შევიდა, მაგიდის ლამფა აანთო, ნახატები ამოალაგა, ის პორტრეტი მოძებნა, რომელშიაც ლიზიკომ ქმარი შეიცნო, და დიდხანს უყურა.

მაგრამ სიზმარი ცრუ გამოდგა.

მეორე დღეს, როდესაც აკაკი თავის განყოფილებაში მარტო იჯდა, კარი გაიღო და ოთახში ის კაცი შემოვიდა, რომელზედაც ღამით ლიზიკომ თქვა, აი, ეს არის ჭოლაო.

კაცი მაღალი იყო, სქელი და თავზე ვეება კეპი ეხურა. ეს კია, რომ პალტო ეცვა სხვანაირი.

აკაკის ტანში გასცრა და ძარღვები მოუდუნდა.

კაცი მორცხვი ღიმილით მოუახლოვდა, ჯიბიდან სიგრძივ გაკეცილი თხელი რვეული ამოიღო და გაწითლდა.

— აგერ ორი ცალი ლექსი გავახაზირე და...

აკაკიმ რვეული გაშალა. სანამ ლექსებს წაიკითხავდა, ჯერ ხელმოწერას დახედა.

კაცს ჭოლა არ ერქვა და აკაკი ორივე ლექსის დაბეჭდვას დაჰპირდა.

მეორედ თავისი შექმნილი მხატვრული სახე, ოღონდ არა ის, რომელშიაც ლიზიკომ ყოფილი ქმარი იცნო, არამედ სხვა — ერთი გრძელცხვირა, შუბლდაბალი, ჯაგარა წარბებიანი და გაუპარსავი პორტრეტი — ქუჩაში ნახა. იმ დღეს მორიგე იყო და შინ გვიან ბრუნდებოდა. სახლს რომ მიუახლოვდა, ის კაციც შენიშნა. ქუჩა განათებული იყო და პორტრეტი ადვილად იცნო. გულმა მყისვე ძგერა შეწყვიტა. სხეულში ყველაფერი, რაც კი მოძრავია, გაშეშდა. აკაკიმ ვეღარც ამოისუნთქა და ვეღარც ჩაისუნთქა. ამასობაში კაცი გაუსწორდა, ერთი შემოხედა და ჩაიარა. ჩაიარა, წავიდა და გაქრა.

მესამედ რამდენიმე ერთად ნახა. ეს შეხვედრა კინოში შედგა. აკაკისა და ლიზიკოს ცოტა დააგვიანდათ და, როცა მივიდნენ, ფილმი უკვე დაწყებული იყო. კონტროლიორმა ქალმა ხელის ფარნით შეამოწმა ბილეთები და წინ გაუძღვა. ბოლოს წინა რიგში სწორედ ორი ადგილი იყო თავისუფალი. შევიდნენ და დასხდნენ. ამ დროს ეკრანიდან არეკლილმა შუქმა დარბაზი ოდნავ გაანათა და აკაკის უეცრად მოეჩვენა, ვითომ შარაგზაზე მიაბიჯებდა და შარაგზას ცალ მხარეს მაღალი კლდე ეკვროდა. ამ უცნაური ხილვით შეცბუნებულმა თავი ოდნავ მიაბრუნა და თავისი ერთ-ერთი პორტრეტთაგანი დაინახა, რომელიც გვერდით უჯდა და მართლა კლდესავით გადმოყუდებულიყო ვეება სიმაღლიდან. შეშფოთებულმა მყისვე აარიდა თვალი ამ სანახაობას, მაგრამ იმავ წამს ლიზიკოს მეზობლად მეორე პორტრეტი დაინახა. მაშინ დაეჭვებულმა თვალი უკან გააპარა. იქაც რამდენიმე იჯდა. როდესაც ფილმი დამთავრდა, პორტრეტები წამოიშალნენ და ერთად გაემართნენ გასასვლელისაკენ. ჯგროდ მიდიოდნენ, მოწაფეებივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურობდნენ და მხრებზე აკაკის მიერ დახატული თავები ედგათ.

ამის შემდეგ დღე არ გავიდოდა, თავისი რომელიმე ნახატი არ შეხვედროდა.

ერთ საღამოს, როდესაც ბიჭს უკვე ეძინა, ხოლო ცოლ-ქმარი სამზარეულოში ჩაის სვამდნენ, აკაკის უეცრად ელექტროდენივით გაუარა თავში აზრმა, რომ, რაც მთავარი იყო, ის არ იცოდა.

სიმაღლე და სისქე იცოდა, წონა კი – არა.

გუნებაში მყისვე დაიწყო ანგარიში, დაწოლამდე შეუჩერებლად ანგარიშობდა და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ას ოციდან ას ორმოცდაათ კილომდე უნდა ყოფილიყო.

თვითონ აკაკი სამოცი კილო იყო.

ყველაფერი გულმოდგინედ დაიანგარიშა და, თუკი რაიმე შეცდომა მოუვიდა, ალბათ სრულიად უმნიშვნელო შეცდომა მოუვიდოდა, მაგრამ ლოგინში რომ ჩაწვნენ და ლიზიკომ ჩვეულებისამებრ ხელი მაისურის ქვეშ შეუცურა, აკაკის სხეულში საპასუხო სიგნალი არ აინთო, თითქოს მკერდზე ლიზიკოს ხელი კი არა, რაღაც უსიცოცხლო და უსულო რამ საგანი დაუდიოდა. აკაკის ჯერ გაუკვირდა, მერე შეშფოთდა, მერე საგონებელში ჩავარდა, მერე შიშმა შეიპყრო. ლიზიკო, აკაკის ინერტულობას რომ წააწყდა, უფრო აქტიურ ქმედებაზე გადავიდა; თავის მხრივ აკაკიც, დარცხვენილი და შეცბუნებული, რაც შეეძლო ეხმარებოდა, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა, მიმქრალი ცეცხლი ვერ გაღვივდა და ბოლოსდაბოლოს გაწბილებულმა და იმედგაცურებულმა ლიზიკომ წყრომით შეაქცია ზურგი.

მეორე ღამის დადგომას აკაკი უკვე შიშით ელოდებოდა და ცდილობდა წინასწარ მომზადებულიყო, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იგივე განმეორდა. რაც შეეხება მესამე ღამეს, მესამე ღამეს გასაკვირი ის იქნებოდა, იგივე არ განმეორებულიყო, რადგან, დაწვნენ თუ არა, აკაკიმ უეცრად იგრძნო, რომ მათთან ერთად ლოგინში სხვა იწვა – ვიღაც დიდი, სქელი, ცენტნერნახევრიანი. გრძელსახელოებიანი პერანგი ეცვა და გრძელტოტება, ზორტებიანი პერანგის ამხანაგი. და აკაკის, თუკი კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ვნების რაიმე ნატამალი, ისიც გაუწყალდა, ვინაიდან მის გასაკეთებელს ის უცხო, დაუპატიჟებელი სტუმარი აკეთებდა. ამას რომ ხედავდა, აკაკის გულგვამი ემღვრეოდა. გულგვამი ემღვრეოდა და თან უკვირდა, ეგოდენი სიმძიმის ქვეშ ამ პატარა ლიზიკოს სადღა ჰქონდა იმის თავი, რომ ასე გაბმით და ასე ვნებიანად გაიძახოდა „ჭ"-ს სიტყვებში: „ჭირიმე" და „ჭოლა".

ამის შემდეგ აკაკი საბოლოოდ მოიშალა. ლიზიკოსაც თანდათან ხასიათი გაუფუჭდა. ანჩხლი გახდა, ნერვიული, თავის ტკივილები დასჩემდა და ყველაფერი აღიზიანებდა, ყოველ წვრილმანს მოთმინებიდან გამოჰყავდა. აკაკიმ მიზეზი ბარემ იცოდა, მაგრამ წამალი აღარ ჰქონდა. თქმა არ უნდოდა, ამ ამბავს თვითონაც მძიმედ განიცდიდა. უწამლობა ხომ აწუხებდა და აწუხებდა, მაგრამ უფრო მეტად უძლურების სირცხვილი კლავდა და ლიზიკოს თვალებში შეხედვას ვერ უბედავდა.

არადა რა ექნა? რაც არა გაქვს, არა გაქვს.

ყველა ცდა რომ ამაო გამოდგა და საბოლოოდ დარწმუნდა, არაფერი გამოსდიოდა, ერთი ხერხი მოიფიქრა: ვითომ ისე ჩაეფლო რომანის წერაში, დღის ორი საათი არ ჰყოფნიდა და საჭირო იყო ღამღამობითაც ემუშავა. ამიტომ, ლიზიკო რომ დაწვებოდა, თვითონ სასტუმრო ოთახში გამოვიდოდა, მაგიდას მიუჯდებოდა და ლიზიკოს დაძინებას ელოდებოდა.

მაგრამ ლიზიკო არ იძინებდა. რამდენი ხანიც არ უნდა დაეგვიანა აკაკის, ყოველთვის ფხიზელი და შეკუმშულ ზამბარასავით დაძაბული ხვდებოდა.

მაშინ აკაკიმ გადაწყვიტა, ლიზიკო დაეხრჩო.

ცოლი ერთხელ მაინც ვის არ დაუხრჩვია, მაგრამ აკაკიმ გადაწყვიტა ლიზიკო მართლა დაეხრჩო.

გადაწყვეტილება რომ კარგად მომწიფდა, ერთ ღამეს ლოგინში დაუდარაჯდა – გულაღმა დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო და დაელოდა როდის დაიძინებდა. მძინარეს უპირებდა დახრჩობას, ვინაიდან მღვიძარეს ვერ შეჰბედავდა და გარდა ამისა, თვითონ ლიზიკოსთვისაც ხომ ისა სჯობდა, არაფერი გაეგო.

დიდხანს იწვა ასე მიყურადებული და სმენად ქცეული და ბოლოს ჩაეძინა.

დილით შეძრწუნებულმა გამოიღვიძა. გაღვიძებისთანავე თავისი განზრახვა მოაგონდა, წამით წარმოიდგინა დამხრჩვალი, ქათამივით გალურჯებული ლიზიკო და ტანში გაბურძგლა. მადლი უფალს, პირველს თვითონ დაეძინა. მართლა რომ დაეხრჩო, რაღა ეშველებოდა!

ხოლო როდესაც სამსახურში მისული დერეფანში საურმაგს გადაეყარა და განცვიფრებულმა შენიშნა, რომ თურმე ისიც ძალიან მაღალი და ძალიან სქელი ყოფილა, მოეჩვენა, თითქოს რაღაც საიდუმლოს ნათელი მოეფინა.

სამ საათზე ორი სუფთა ფურცელი აიღო, ერთზე ოფიციალური განცხადება დაწერა, რომლითაც სამსახურიდან განთავისუფლებას ითხოვდა, მეორეზე კი კერძო წერილი საურმაგის სახელზე. ორივე ფურცელი ერთ კონვერტში ჩადო, საქმის მწარმოებელს მიუტანა და სთხოვა, რედაქტორს ხვალინდელ ფოსტაში ჩაუდეო.

ოთხის ნახევარზე რედაქციიდან წამოვიდა. შინ რომ მივიდა, კიდევ ერთი პატარა ბარათი დაწერა, ამჯერად ლიზიკოს სახელზე. მერე თავისი ყველა ნახატი დაწვა და ფერფლი ეზოში გადაყარა უკანა კარიდან. ამის შემდეგ რომანის ჩანაწერები უჯრიდან ამოიღო, ზონარით ჯვარედინად შეკრა, პორთფელში ჩადო, პორთფელი მარცხენა ხელში დაიჭირა და სახლიდან გამოვიდა.

ტანისამოსი, იმის გარდა, რაც ზედ ეცვა, შინ დატოვა, რადგან ჩემოდნით გამოსვლა სახიფათო ეჩვენა – ვაითუ სადმე ნაცნობს გადაყროდა და დაფარული გამჟღავნებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ სადგურზე გავიდა და ბილეთი შეიძინა. მერე კონსპირაციის მიზნით კინოში შევიდა და ერთი და იგივე ფილმი სამჯერ ნახა – ექვს საათზე, რვა საათზე და ათ საათზე. მესამე სეანსს უგულისყუროდ უცქერდა და უფრო იმაზე ფიქრობდა, თუ მის დატოვილ ტანსაცმელს ლიზიკო რას უზამდა – საკუჭნაოში შეინახავდა იმავე კარადაში თუ სადმე სხვაგან.

მესამე სეანსის შემდეგ ისევ სადგურისკენ გასწია, სადაც მატარებელი უკვე ელოდა.

აკაკი ჩქარი ნაბიჯით გავიდა ბაქანზე და მატარებელს მიაშურა.

აღარ თოვდა, მაგრამ ყინვა კიდევ უფრო ღონივრად უჭერდა და მშრალი თოვლი ფეხქვეშ მწყრალად ჭრაჭუნობდა. ცივი ვარსკვლავები ნაღვლიანად ბჟუტავდნენ შუა ცაზე. გათოშილი ქვეყნიერება თავით ფეხამდე შეხვეულიყო თეთრ სუდარაში და მორჩილად მინდობოდა ღვთის ნებას.

კუპეში არავინ დახვედრია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც საწოლს თავი აჰხადა, რათა პორთფელი სათავსოში შეენახა, უკნიდან ხმა მოესმა:

– ოცდამეხუთე ჩემია.

აკაკიმ მოიხედა და მკერდში ყინულის ნატეხი ჩაუცურდა.

ზღურბლზე უცნობი კაცი იდგა. მაღალიც იყო, სქელიც, გრძელი და განიერი პალტოც ეცვა, მსხვილი კისერიც ჰქონდა და დიდი, მრგვალი კეპიც ეხურა. ხელში მოზრდილი ჩემოდანი ეჭირა.

აკაკის ყელში რაღაც დაეცო.

– გამარჯობა.

– ოცდამეხუთე ჩემია, – გაიმეორა კაცმა.

აკაკიმ იგრძნო, რომ უხერხულ პოზაში იდგა. მაშინ საწოლის თავი დაუშვა და გულჯიბიდან ბილეთი ამოიღო. მეექვსე ვაგონი, ოცდამეხუთე ადგილი.

– ჩემია.

კაცმა წამით თვალი თვალში გაუყარა, მერე თვითონაც ამოიღო ბილეთი და დახედა.

– ჩემია.

აკაკიმ მხრები აიჩეჩა. კაცმა ბილეთი ჯიბეში ჩაიდო და კეპი მოიხადა. თავი გადაპარსული ჰქონდა.

აკაკი წავიდა და მატარებლის გამყოლი მოძებნა. გამყოლმა ორთავე პრეტენდენტს გამოართვა ბილეთები, დაკვირვებით შეამოწმა, მოლარეს შეაგინა და აკაკის ოცდამესამე ადგილი მიუჩინა, ოცდამეხუთის პირდაპირ.

მატარებელი დაიძრა. აკაკის თანამგზავრი მაშინვე დაწვა და დაიძინა.

ცოტა ხნის შემდეგ აკაკიც დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა.

ექვსი მხრიდან შემოზღუდული ვიწრო კუპის ექვსი კედელი ერთდროულად დაიძრა და ექვს მხარეს წავიდა. კედლები თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქროდნენ. კუპე შემაძრწუნებლად იზრდებოდა და, რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მცირდებოდა აკაკი. პანიკური შიშით შეპყრობილი ერთხანს სასოწარკვეთით ცდილობდა, გაქცეული კედლები შეეჩერებინა, მაგრამ ვერ შეაჩერა. მაშინ ამაო ბრძოლას თავი მიანება, ბედს შეურიგდა და იმავ წამს თაზარდამცემი შიში თავზარდამცემმა ნეტარებამ შეეცვალა. კუპე კი გაიზარდა, გაიზარდა, გაიზარდა და, აკაკი რომ წერტილად იქცა, უსასრულობას მიაღწია...

დილით, როდესაც მთელი ღამის ნარბენი და დაქანცული მატარებელი აქოშინებული შევარდა გაჩახჩახებულ სადგურში, აკაკი გულაღმა იწვა თავის კუპეში. გაუნძრევლად იწვა და თვალები ჯერ კიდევ გახელილი ჰქონდა.



„წვიმაში" მხატვარი იმერი კოდუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვაჟა ხორნაული



●

პოეტი სხივია,
ზეციერის გულიდან წამოსული.
ყველგან, ყველგან,
სადაც კი მოასწრებს,
ღვთიურ სითბოს ჩამოარიგებს
ადამიანში გაყინული
და ხავსმოდებული
ვარსკვლავების კვლავ გასაბრწყინებლად.
ყველგან, ყველგან,
სადაც კი მოასწრებს,
იმღერებს სიყვარულის
ძველისძველ სიმღერას
და გულგრილობის სუსხიან უდაბნოში
უფლისეულ მარცვალს დათესავს,
რომლიდანაც, ხე კი არა,
მზე ამოიზრდება
და მის შუქში სიკვდილ-სიცოცხლე
კვლავ გაიხარებენ
ერთმანეთის სევდიანი მშვენიერებით.

პოეტი სხივია,
ზეციერის გულიდან წამოსული,
და ერთ დღესაც
ისევ ზეციერის გულს დაუბრუნდება,
საიდანაც (ვინ იცის, როდის!)
კვლავ მოევლინება ქვეყანას,
რომ კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს
გულს ზეციერისას
უკანასკნელ ბგერამდე დახარჯული;
ბოლომდე ჩამწვარი სანთელივით,
ყუამდე გალეული ცელივით
და ყვავილის ფურცელივით
გამსუბუქებული დოლაბივით
ვალმოხდილი
სამყაროს წინაშე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დიდი ტკივილის ფუძევ და ჭერო,
დარდო დღეისა, ტკივილო ძველო.

წინაპრის ხმის და თვალების ფერო,
სიზმრის სიზმარო და ცხადის მშვენო.

ღმერთმა დაგვსაჯა და ღმერთი გვიხსნის,
ჯვარცმავ გულისა - მამულო ჩემო!

## სიყვარული

სიცოცხლემ ერთმანეთთან მიიყვანა,
ერთმანეთის ნათელში ახარა,
ერთმანეთის გულებში აკრეფინა
სამოთხის იები და ბილილები,
ხოლო სიკვდილმა ერთმანეთით
აავსო ბოლომდე,
ერთ მშვენიერ სიმღერად აქცია
ორი გულის დღესასწაული.

## უკვდავი ყვავილი

ეს არის სიყვარული:
ხმაში - ია,
ღიმილში - ლოცვა.
საქაოს ნათელი და
საიქიოს გასხივოსნება.

ეს არის სიყვარული:
ზამთრის უდაბნოში
გაზაფხულის საგალობლები.
დარდის თვალებში
სიხარულის
წყაროს გამოჩენა.

ეს არის სიყვარული:
ერთადერთი უკვდავი ყვავილი,
რომელსაც, მიწაში კი არა,
უფლის გულში
გაუდგამს ფესვები.

## ხატი უცვლელი

სივრცეს შეაშრა ექო გრიგალთა
და გალობანი ზღაპრის მდელოთა.
ისევ ის მიყვარს, ვინაც მიყვარდა,
გული ნიადაგ ვისაც ელოდა.

ჩამქრალა სევდა ძველთა სიოთა
და სურნელება ტაძრის სუროთა.
ისევ ის მტკივა, ვინაც მტკიოდა,
ცხადსა და ძილში ვინაც მწყუროდა.

როგორც სამოთხის მზით და წყაროთი
და ვარსკვლავების ღვთიურ ქოროთი,
მე მოლოდინით მისით ვხარობდი
და სასწაული ერქვა მოლოდინს.

თავდავიწყების ცეცხლი ბრიალით
ყველა აღმართს და დაღმართს ეკიდა.
თოვლი ვკვალეთ და ცეცხლში ვიარეთ
და სიყვარული წვიმდა ცეცხლიდან.

ტკივილის ოქრო. ხატი უცვლელი.
სინათლის ხიდი. მღვრიე მდინარე.
დღეები - სანთლის თეთრი ფურცლები
მისი მშვენებით უფრო ბრწყინავენ.

ხან გაზაფხულის ხმაა ბიბინა,
ხან შემოდგომის ფერთა ღიღინი.
ერთმანეთისკენ როცა მივფრინავთ,
გულებში უფლის სიტყვა გვიღიმის.

ერთმანეთისკენ ფრენით ვმაღლდებით,
უსასრულოა სიცოცხლის გზები...
და ჩვენც მოგზაურის ზეცის კალთები
და მზის მახლობლად დაკეცვა ფრთების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მონატრება

ფიქრში ვარსკვლავთა სითბოა,
გულში სამოთხის ქარია,
შენდამი სათქმელ სიტყვაში
ია და წყაროსწყალია,
თვალებით მკითხავ: „გიყვარვარ?"
ღიმილით გეტყვი: „ძალიან!"

მე შენკენ მომემღერება,
შენ ჩემკენ მოგიხარია.

●

ქალს,
წყაროსავით მოცინარს,
უცხო რამისა ფერასა,
დღის სითბოს,
გზების ნათებას,
თვალებით მგალობელასა,
სიყვარულისთვის გაჩენილს,
ჩემს დარდს და ბედისწერასა
ავავსებ სიხარულითა,
მე შევიმოკლებ ლხენასა.
სალომესა თუ სანათას,
მზევინარსა თუ ლელასა -
ქალღმერთებს მთელი ქვეყნისას -
ეგ მირჩევნია ყველასა!

## ღალატი

დააფიცე და რჯული უხსენე
(ვერ მოაქციოს მოძღვარმა ათმა!),
მაინც გაწირავს ნესტანს უსენი,
მაინც უღალატებს ფატმანს.

ვაჭრები განძით ხონჩებს უვსებენ,
ბევრჯერ მოხიბლა სიუხვემ მათმა.
არ შეიბრალებს ნესტანს უსენი,
სიცოცხლეს გაუმწარებს ფატმანს.

გულვაჭარელა ლაჩრის გონება
ვერ გაანათა ღმერთმა და ხატმა.
მზე წაიყვანეს მეფის მონებმა
და ზეცა დაუბნელდა ფატმანს!

●

ის უფალს ძალიან,
ძალიან დაშორდა
და მის არსებაში
გამოჩნდა სურათი:
მტვერწაყრილი,
ხმელი ყვავილები,
წაქცეული,
სანახევროდ ჩამწვარი სანთლები
და იქვე, სანთლების სიახლოვეს,
მკვდარი ფრინველივით დაცემული
სიტყვა „სიყვარული".

●

სიტყვები - ფიქრებს შერჩენილი
როგორც იები,
ზამთრის წყვდიადში გამოჩენა
ზღაპრის მთიების,
ტაძრად ქცეული
ჩალური და კოშკი ოქროსი,
ბედნიერების კუნძულები,
დარდის კოსმოსი,
სითბო უფლისა
თვალებსა და გულის სივრცეში, -
ამქვეყნად მოსვლის
და იმქვეყნად წასვლის მიზეზი...

●

ნაპერწკლიანი ტალღები
სათიბებისა, ჭრელისა.

ზეხმელთან გარინდებული
ნისლი, უთქმელი ფერისა.

იასამნების გალობა,
ღიღინი მწვანე ველისა.

ერთურთზე ულამაზესი
სიცილი მზის და ცელისა.

გულში ამოზრდილ იებზე
გადასმა უფლის ხელისა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

ფერფლად ქცეულა ტახტი თუ ეტლი,
ბოლოს ყველასთვის ეშვება ფარდა.
რა დარჩათ ქვეყნად, ჩრდილების მეტი?!
რა დარჩათ ქვეყნად, არაფრის გარდა?!

ეს დარჩათ - თანაც დროებით მხოლოდ
(აღარ იცლება მათთვის ფიალა).
არაფერიც და ჩრდილებიც ბოლოს
დროის ტალღებში გაქრა მთლიანად.

•

სამოთხეშიც რომ ვერა ნახავ,
ისეთი ფერისაა
ფოთოლთა და ყვავილთა ფართალი.

გალობენ ძაფები
მზის წვეთებასხმული,
რიბირაბოს თითებით ნართავი.

დროის ფარდებს
რა უცებ მოეფარა,
რა უცებ წავიდა
ყველაზე სევდიანი,
ყველაზე მშვენიერი ზამთარი.

•

ფიქრი-დაჭრილი
ცისკენ ფრენისას.

სიმაღლეები -
ისევ მარტონი.

უცაბედობა
ბოლო ელვისა.

მშვენიერება
ბოლო ნახტომის.

მარადიული
გზა და სასწორი.

მღვრიე ღამეში
სხივი კეთილი.

უცაბედობა
ბოლო გასროლის.

მშვენიერება
ბოლო წერტილის.



„ჯიხაშკარის ციხე-სიმაგრე" მხატვარი ნოდარ ცანავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბესო ხვედელიძე

# უზარმაზარი ბაზარი

### (ნაწყვეტი რომანიდან)



დილით მთქნარებით გავიღვიძე და ვერაფრით გავიჩერე. წყალი ვსვი – არა; პური – უარესი. შუადღისკენ უკვე იმ სიჩქარით ვამთქნარებდი – ჰაერის შესუნთქვას ძლივს ვასწრებდი. დავწექი – მაინც, ავდექი – ისევ. ერთი პირობა ვიფიქრე, რომ სიზმარში ვარ, მაგრამ იმდენად ცხადი იყო ყველაფერი: კედელზე ჩამოკიდებული საათის გულისგამაწვრილებელი წიკწიკი, ფანჯრიდან შემოღვრილი ქუჩის ხმაურიც, თან მაცივრის დუდღუნიც, თან ეს მთქნარება... ალბათ, გავგიჟდი ან აღარ ვიცი. რას აღარ მივაწყდი – ტელევიზორი ჩავრთე, ზედ რადიო მივაყოლე, კომპიუტერიც, ვენტილატორიც, უთოც, ყველა ფანჯარა დავაღე... მაინც არაფერი... სად წაეთრა ლოლა?! ალბათ, ტოტალიზატორში. კი, ტოტალიზატორში, ანუ გვიანობამდე არ დაბრუნდება. რომც დაბრუნდეს, რას მიშველის – ლოლამ რა იცის მთქნარების. ლოლამ მორტო ფსონების მიღება იცის. არა, ვიდრე ლოლა მოვა, მართლა მოვკვდები – გავთავდები და მოვრჩები. ვინმეს რომ დავურეკო? ვის დავურეკო რო? ვინ რა იცის მთქნარების... და ანდროს რომ? ანდრო მეტყვის, რომ ვეკაიფო ჯოდასენს. მაშინ გიგის – არა, გიგი მაგინებს. აი, რეზომ კი შეიძლება საერთოდაც ჩემთან ერთად მთელ კორპუსს აგინოს. მაშინ კალეს. ვახ, კალე ხომ მკვდარია... რა დეგენერატი ვარ – ისე, რამე იდიოტობას კი მირჩევდა: პიანინოზე დაკვრას ან ბავშვობის ფოტოების გადათვალიერებას.

ვუჯდები პიანინოს. ორივე ხელით ვიღებ საშინელი სიჟღრიალის, აუტანელ აკორდს და მაინც მამთქნარებს. რა დავუკრა, როცა არაფრის დაკვრა არ ვიცი. როცა დავყავდი და მასწავლიდნენ, მაშინ ფეხებზე მეკიდა; როცა დავინტერესდი, იქით დამიკიდეს.... და ძველი ფოტოები?... ლოლა, სად წაათრიე ჩემი ალბომი?! რატომ არ დევს ჩემი ალბომი კარადაზე?! რა იცის მაინც ეს ლოლამ – ჩემი ნივთების ისე გადაადგილება, ეშმაკი ვერ მიაგნებს. ისევ მამთქნარებს. ასე მგონია, სულ მალე კეფიდან ქუსლებამდე დავიბზარები. აი პირველიც – ხელისგულზე... მეორეც, მეხუთეც – თუ ესენი იყო? მე მგონი მეხსიერებასაც ვკარგავ. მქონდა მე ხელისგულებზე ბზარები?! ლოლა, მოეთერი დროზე!

სამზარეულოში, მაგიდაზე ფურცელი დევს. გაკრული ხელი. ლოლა:

„მორჩა. გათავდა. იმდენი მოწიე, არ მეგონა, თუ გადარჩებოდი. ნამდვილი ღორი ხარ. აწი თვითონ მიხედე თავს. მე დავილალე“.

რაო?? დავილალეო?? შენს გარდა რომ არავინ იღლება ჩემით?! რომელი დამღლელი მე ვარ, რომელი?! აჰ, წახვედი? წახვედი და წახვედი? წადი, გენაცვალე! არ გინდოდა ჩემთან? წადი და იყავი იმ თმაგვერდზეგადავარცხნილი წესიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირებისკენ. არ მოვა! ლოლა აღარასდროს აღარ მოვა! რაღატომ უნდა მოვიდეს... ან საერთოდ რა უნდა ჩემთან? ლოლას ხომ ჩვენი ქორწინების შემდეგ აღარაფერი მოწონდა ჩემი. ერთი აბზაციც კი. არც ფიქრები. იდეები და სურვილები ხომ საერთოდ; აღარაფერს ვიტყვი ჩემიანებზე. რა კალე, რა ანდრო და გიგი, რომელი რეზო... სალამს არ კადრულობდა ეგ სულელი. და მაინც რატომ ავიჩემე ლოლა? სხვა ლოლებიც ხომ არსებობენ... ნორმალურები. ის წავა და სხვა მობრძანდება. არა! ძირს ლოლები! აღარ მინდა! მორჩა! სადაც უნდათ, იქ წაეხეტონ! ვისთანაც სურთ... ოღონდ მე ნუ გადამიყვანენ ჭკუიდან! თავის მოკვლაზე ფიქრს ნუ დამაწყებინებენ! ნუ დამაპატარავებენ და დამაკომპლექსებენ! ამ წერილს კიდევ ნაკუწნაკუწ დავხევ. აი ასე! აი ასე დავაქუცმაცებ და ფანჯრიდან ერიჰაა... და მთქნარებას რაღა ვუყო? რომ წავუძინო? ან რამე რომ დავლიო და ისე დავიძინო? და რა უნდა დავლიო?... ან რა დროს ძილია?... კალესთან ვინ მივა მერე. სალამოს კუბოზე წასავლელები ვართ. აუ, ხუტა, შენ რა გითხარი - ველარ გამოვდივარ. ამ მთქნარებით ვის დავენახო. არადა, სირცხვილია - „მელოდებიან"... ვა, ეს რა სიზმრებს ჰყვებიან. სულ გააფრინეს ანდა მართლა მე ვაფრენ. გიგიმ სწორი მითხრა. პირზე კაშნეს ავიფარებ და ისე გავალ. მერე რა მოხდა... ემანდ ყბა არ მოტყდეთ ჩემს დანახვაზე... თითქოს უარესი არ ენახოთ...

ყველანი იქ დამხვდნენ. კალესთან. მართლა პირზე კაშნეაფარებული ავედი და ჩუმად დავდექი, თავჩაღუნული. ვერავინ ვერაფერი შემამჩნია. გიგიც მოსულიყო. ისიც თავისთვის იდგა, მოწყენილი სახით, ოთახის კუთხეში. თავი ასწია თუ არა, დამინახა; ჩემკენ წამოვიდა და ხელი ჩამომართვა.

— როგორა ხარ?

მე მხრები ავიჩეჩე და კიდევ ერთხელ დამემთქნარა.

— კაშნე რად გინდა? - გაუკვირდა გიგის. — ხაში ჭამე?

ისევ დამამთქნარა და თავი უარის ნიშნად გავაქნიე. თითქოს რაღაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე.

— არ მიშვებდა ის დედამომსპარი?! - დაიწყო გიგიმ მოყოლა. — ვაგინე ცოცხალი და მკვდარი გემრიელად და ისე წამოვედი... ღმერთო, რა დავაშავე... ეს ვის გააჩენინე ჩემი თავი... აქ ხო ყველაფერი რიგზეა? რამე არ ჭირდებათ?

მე ისევ თავისქნევით ვიუარე. ამ დროს ანდრო მოგვიახლოვდა.

— ქურდებს... - ხელები მოიფშვნიტა. ეტყობოდა, რომ სციოდა, ისე თხლად ეცვა.

— რა არი, გაზაფხულდა?! - მიუტრიალდა გიგი.

— პლაში გამირეცხა ნანამ... სველი იყო, არ გაშრა... - გაიმართლა თავი ანდრომ. — სხვა უცებ ვერაფერი ვნახე...

ანდრომ მე შემომხედა და დამაკვირდა.

— დაბოლილი ხარ?

მე თავი დავაქნიე და დამამთქნარა.

— ნახე, რას ჰგავს? - შეეკითხა ანდრო გიგის. — პირზე კაშნე აუფარებია, რომ არ დაიწვას. შავი სათვალე რომ დაგავიწყდა, კოკა-ჯან, შავი?..

— ხმასაც არ იღებს! - აჰყვა ანდროს გიგიც.

მე ისევ დავამთქნარე, მერე გავტრიალდი და სამზარეულოში გავედი. ისინიც უკან გამომყვნენ.

სამზარეულოში არავინ დაგვხვდა. სუფრა ნაირ-ნაირი სანოვაგით იყო გადატენილი. ჩამოვჯექი და ლიმონათი მოვყლუპე. გიგი და ანდრო დამცინავად შემომაცქერდნენ.

— ჩამოვიდა ქარავანი? - შემეკითხა ანდრო.

— დიახ. - ვთქვი მოკლედ და, რომ არ დამემთქნარებინა, ისევ ლიმონათი მოვყლუპე.

— დიახ - რა, მილიციაში ხარ? - წამელაზღანდარა გიგი. — გააძრე მერე!

მე ჯიბიდან შეკეთებული ღერი ამოვიღე, ანდროს გადავეცი და ისევ ლიმონათი მოვსვი. ანდრო და გიგი უმალ აივანზე გაიძურწნენ.

ცოტა ხანში სამზარეულოში რეზო შემოვიდა ვიღაც ორ უცნობთან ერთად და ხელი ამიწია. პასუხად თვალი ჩავუკარი. კუთხეში დადგნენ და აჩურჩულდნენ.

— ვამბობ - ასიანია. - მომესმა ერთ-ერთი უცნობის ხმა. — წითელი ხიდიდანაა. ბავშვობიდან ვიცნობ. ვარიანტი არაა, ცუდი შემომაპაროს. სულ მაგასთან ვიღებ და...

— გასაგებია. - მოუჭრა მოკლედ რეზომ.

— ჩვენ ტყუილი არ იცის. - დაიწყო მეორე უცნობმა ენის მტვრევით. — მოვიტანოთ, ნახოთ, არ მოგეწონოთ, უკან წავიღოთ... კიდევ მოვიტანოთ სხვა, ისიც არ მოგეწონოთ...

— კარგით, ჰო! - შეაწყვეტინა რეზომ, უცნობებს ფული გადაუთვალა და ისინიც ოთახიდან გავიდნენ. რეზო ჩემკენ მოტრიალდა.

— რა გჭირს? - შემეკითხა. მე არაფერი ვუპასუხე; მხოლოდ დამემთქნარა.

— წამალია? - შევეკითხე მხოლოდ.

— რა წამალი? - აიქნია ხელი რეზომ. — ცოცხალზე ვჩალიჩობ. თევზის ბარიგებია... ე, რა პლანის სუნია, ტო? - გაუკვირდა უცებ.

მე თვალით ვანიშნე აივნისკენ და ისიც იქით გაძვრა. ცოტა ხანში სამივე უკან გამოვიდა. სიფათები რვიანებივით მოღრეცოდათ. მე ისევ ლიმონათს ვყლუპავდი და შიგადაშიგ ვამთქნარებდი.

— კუბოზე როდის ავიდეთ? - შეეკითხა ანდრო რეზოს ღიმილით.

— ვააა... - აღმოხდა რეზოს. — ეს რაღაც სხვაა? - გაიკვირვა და თვალებაბრწყინებულმა შემომხედა. — საიდან, ტო?

თვალები ზემოთ აღვაპყარი. ყველამ ზემოთ აიხედა. ნათურას აბლაბუდა მოსდებოდა და ცალი მხარე გამურვოდა.

— ისე, ობობა რა მაგარი კლიენტია, არა? - თქვა უცებ გიგიმ.

ანდრომ და რეზომ გაკვირვებით შეხედეს.

— რატომ? - ვერ მიხვდა ანდრო.

— უკულმა დადის, ამოტრიალებული.

გიგიმ ხელები უკან გადაიწვდინა და ობობას სიარულში წაბაძა. ყველას გაგვეცინა.

— ბალზამიროვშიკი გაიჩითა... - დაიწყო მოყოლა რეზომ. — გახურდა... ფასს ადებდა, თითქოს კალე ბრეჟნევი ყოფილიყო ან, მინიმუმ, აირტონ სენა.

— ეგ ვინლაა? - იკითხა ანდრომ.

— ამან კიდე სულ არაფერი არ იცის თავისი კაქტუსების მეტი... - აიქნია ხელი რეზომ.

— მერე? - ჰკითხა გიგიმ.

— მერე, ავუხსენი, ვინც იყო კალე და ჩვენ ვინ ვართ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— ჰოდა, უფასოდ გავაკეთებინე.

— ვა, რეზო! შენ რა მაგარი ხარ! - მოუთათუნა მხარზე ხელი ანდრომ რეზოს.

რეზო ამრეზით გაიწია განზე და მე შემომხედა.

— არ გიძინია?..

მე არაფერი ვუპასუხე.

— არც მე მეძინა. იმ სიზმრებზე ვფიქრობდი. სირობაა რაღაც...

მე თავი დავუქნიე და ისევ ლიმონათი მოვყლუპე.

— კუბოზე დავიძრათ. - თქვა რეზომ. — თუ ადრეა ჯერ?

— გავიდეთ, პივა ჩავარტყათ. - თქვა გიგიმ. — ძაან ურაგანია... მეშინია...

— რისი? - გაუკვირდა რეზოს.

— არ ავხვიხვინდე... - გაეღიმა გიგის. — თორე მერე ვინ გამაჩერებს?...

ყველას გაგვეცინა. გიგიმ ტუჩებზე შუა თითი მიიფარა და დაისისინა.

— სსუ!.. რას იღრიჭებით, სირცხვილია... დავახვიეთ ახლა დროზე აქედან!...

უცებ ჩავედით და რეზოს მანქანაში ჩავსხედით. რეზომ გასაღებს დაუწყო ძებნა და ვერ იპოვა. მარჯვენა ხელით ჯიბეებს ისინჯავდა, არადა, გასაღები მარცხენაში ეჭირა. გიგი მის გვერდით იჯდა და ცხვირს იფხანდა. ანდროს გადავხედე - ანდრო უკვე ამთქნარებდა. ამის დანახვა იყო და მივხვდი, რომ მთქნარებამ ერთბაშად, უცებ გადამიარა. გიგის უცებ ფლუკუნი აუტყდა.

— რა გჭირს? - შევეკითხე.

გიგიმ ნელა მოატრიალა ჩემკენ სახე და დავინახე, რომ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— დედა მიყვარს ძალიან... - წაიმღერა უცებ ჩუმად და ოთხივეს საზარელი სიცილი აგვიტყდა. მანქანა კაი ხუთ წუთს ზანზარებდა. რეზომ ერთი ორჯერ სიგნალსაც დასცხო. ძლივს დავწყნარდით. სული მოვითქვით. ანდრო წამდაუწუმ ამთქნარებდა. გიგი ტიროდა. რეზოს თვალები დაეხუჭა და თრთოდა. მანქანის ირგვლივ ხალხმა იწყო შეგროვება. მე ფანჯარა ჩავწიე და ცნობისმოყვარეებს მკაცრი სახით მივაცქერდი.

— კალე მოკვდა, კალე!! - დავუღრიალე მერე მთელი ძალით და ხალხმაც დაშლა იწყო. მერე ფანჯარა ავწიე და რეზოს გავხედე.

— დავიძარით. - ვუთხარი წყნარად და მანაც მანქანა მოქოქა.

თოვლში ძალიან ნელა მივდიოდით. ალაგ-ალაგ ვცურავდით, თუმც უხიფათოდ. ისევ ანდროს გადავხედე - ისევ ამთქნარებდა და მივხვდი, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ამბობდა.

— მითხარი, რო ტვინს ვდრელავ! - მომიტრიალდა უცებ გიგი.

— პირიქით... - ვუპასუხე მშვიდად და გიგიც უცებ მოეშვა; მიტრიალდა და გზას გახედა.

— ქელეხზე რას ვშვებით? - ამოღერღა მერე რაღაც უცხო ხმაზე და სარკიდან შემომხედა.

— ჯერ კალე დავმარხოთ... - ვუპასუხე და სიგარეტს მოვუკიდე.

— ე, ნახე, ვინ გაიჩითა!... - გაიშვირა უცებ გიგიმ ხელი.

ოთხივემ ერთ მხარეს გავიხედეთ. დათოვლილ ქუჩაში დიდი შავი ჯიპი გაჩერებულიყო. იქვე მომცრო კანისტრით ხელში მაკა იდგა და უმწეოდ იყურებოდა აქეთ-იქით.

— გააჩერე. - ვუთხარი რეზოს და მანაც ნელა, სრიალით მიაყენა მანქანა ტროტუარს.

ფრთხილად გადმოვედი. ისევ თოვდა. მაკას ხელი დავუქნიე. მან გამიღიმა და კანისტრა დამანახა. ქუჩა ფრთხილად გადავჭერი და მივუახლოვდი.

— რა გჭირს, ტო? - შევეკითხე და ჩავკოცნე. ცივი ლოყები ჰქონდა.

— ბენზინი გამითავდა. - მიპასუხა ფეხების ერთმანეთზე ბაკუნით. — მობილურიც დამიჯდა. გავგიჟდი კინაღამ. კალონკაც არსადაა ახლოს... არც არავინ მიჩერებს.

— არავინ დადის და... - გამოვესარჩლე თითქოს მანქანებს. - გადმოგისხამთ... - ვუთხარი იქვე, კანისტრა გამოვართვი და უკან წამოვედი.

რეზომ ფანჯარა ჩამოწია. სალონიდან თბილი ოხშივარი გამოიფრქვა და სახე გამითბო.

— ცოტა გადავუსხათ... - შევძახე სახეში რეზოს.

მან გაშტერებულმა ამომხედა.

— რა?

— სისხლი. - ვუპასუხე და გავიგონე, რომ მანქანაში ქირქილი ატყდა.

რეზო გადმოვიდა, საბარგული გახსნა. იქიდან უზარმაზარი კანისტრა ამოიღო და ჯიპისკენ დაიძრა. მაკა ისევ იქ იდგა, მანქანასთან, და გათოშილ ფეხებს ერთმანეთზე უბაკუნებდა.

— გახსენ! - ვუთხარი მაკას.

— რა? - შემომაცქერდა მაკა.

— რა გჭირთ დღეს ყველას?! - ავყვირდი ლამის. — ბენზინს სად ასხამენ?!

— ააა... - მიხვდა მაკა და ბაკის გასახსნელად დაიძრა.

— ხუინაა... - ჩაიბურდღუნა რეზომ და უკან მიჰყვა.

მაკამ ბაკი გახსნა. საბარგულიდან ძაბრი ამოიღო და ბაკის ყელში გაჩხირა. რეზომ კანისტრა დაიიღლიავა და ჩასხმა დაიწყო.

— სად დაიკარგე... როგორა ხარ? - მკითხა მაკამ.

— როგორ ვიქნებით... - გავშალე ხელები.

— მაგარი მანქანაა... - თქვა რეზომ.

— უი, თქვენ ის არა ხართ?... კალესთან ერთად რომ იყავით... ზაფხულში... ჩემთან... ვაკეში... რეზიკო, არა?

რეზომ თავი თანხმობის ნიშნად დააქნია.

— კალე როგორაა, ის გათახსირებული?... საძაგელი... გუშინ დამესიზმრა. - შემომიტრიალდა უცებ მაკა და მეც გავხევდი. რეზოსაც კინაღამ ბენზინი დაექცა თოვლზე.

— კალე? - ამოვღერღე ჩემთვის.

მაკამ გაიცინა.

— რა სიზმარი იყო მაინც... დეგენერატი ეგა. ვითომ ჩემ ჯიპში იჯდა და ჩემი მობილური ჰქონდა. სადღაც მიდიოდა. თან რეკავდა. შენ გირეკავდა... - მითხრა მაკამ.

— მეე? - უკვე ძალიან ცუდად ვიყავი.

— ხო... გეუბნებოდა, მცხეთაში, დაჩაზე მიდი, მაკას უყარაულეო... სუფთა კრეტინი!

— მერე? - ჰკითხა რეზომ.

— მერე ვითომ სადღაც იარა, ოქროს ბარიგებში რაღაც ბეჭდებს, ცეპებს და საყურეებს აბარებდა. პარკს ფულით ავსებდა. მერე ვიწრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩებში გაიჩითა ჩემი ჯიპით... სოფელს ჰგავდა... კაი ხანს იზოზინა... მერე რაღაც ჭიშკართან გააჩერა. შევიდა. ცოტა ხანში ვიღაც შავ-შავ ტიპებთან ერთად გამოვიდა. მანქანა გახსნეს. დაწვრილებით ათვალიერეს. მერე ეზოში შეაგორეს და კალეს კაი ბლომად ფული მისცეს - დასტებად. იქიდან ფეხით წამოვიდა. ისე სწრაფად მოდიოდა, ოფლი ასკდებოდა... ხელში ფულით სავსე პარკი ეჭირა...

— მე რა ვუთხარი? - ვკითხე მაკას ხმის კანკალით.

— აი, ეგ აღარ მახსოვს. - თქვა მაკამ.

— უჰ! - მომესმა რეზოს ხვნეშა უცებ და ორივემ მისკენ გავიხედეთ.

— სულ ჩამესხა... - თქვა რეზომ დარცხვენით.

— მაგას რა სჯობს! - აკეკლუცდა მაკა.

— წავედით, წავედით... - ვუთხარი რეზოს.

ის ცარიელი კანისტრით ხელში მანქანისკენ დაიძრა.

— როგორაა-მეთქი? - ჩამომძახა მაკამ სახელოზე.

მე მაკას მოღრეცილი სიფათით შევხედე.

— შენ რა, არაფერი არ იცი? - შევეკითხე ჩუმად.

მაკამ წარბი შეკრა.

— კაიფში ხარ, არა?... - დამეკითხა დამცინავად. მერე ჩემკენ გადმოიხარა. — საღამოს ჩემკენ თუ გამოივლი, კაის იზამ... - ჩამჩურჩულა ყურში. - მომენატრე...

მე თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიე.

— სპასიბა, ბიჭებო! - აიშვირა მერე ხელი მაკამ რეზოს მანქანისკენ, უცებ ჩამკოცნა და ჯიპის გამოღებულ კარში შეხტა. ჯიპმა ერთი მომაბოლქვა და ხრიგინით დაიძრა.

მე რეზოს მანქანისკენ წავედი, კარი გამოვაღე და ჩავჯექი. სალონში სიჩუმე იდგა. ანდრო ისევ ამთქნარებდა. გიგის თვალები მიელულა. რეზო სარკიდან მიყურებდა.

— შავ დღეში ვართ. - მითხრა რეზომ და მანქანა ნელა დაძრა.

კაი ხანს ჩუმად მივდიოდით. მერე გიგიმ ამოიღო ხმა.

— არ იცოდა, არა? - შემეკითხა.

— არც მათქმევინა. - ვუთხარი და თავი საზურგეს მივაყრდენი.

●●●

კუბო საღამოს ჩამოვიტანეთ და კალე ჩააწვინეს. ზუსტად ჩაეტია. პირდაპირ კალეს ზომაზე იყო გამოთლილი. შარვალ-კოსტუმი არ ჰქონდა კალეს და ყველამ რაღაც-რაღაცები შევაკოწიწეთ. ზოგმა შარვალი გაიმეტა. გიგიმ ფეხსაცმელები მოიტანა, რეზომ პერანგი. კოსტუმიც ჩააცვეს. მშვიდად იწვა კუბოში კალე და იღიმებოდა.

მერე მეზობელმა მაგნიტოფონი შემოიტანა. ანდრო კასეტაზე გაუშვეს და ისიც კვლავ მთქნარებით და ბახის ფუგებით დაბრუნდა.

— რა არის, ბლიად... რამდენს ამთქნარებ, ანდრეი... კალეს ხომ არ ჩაგაყოლოთ? - ჰკითხა რეზომ. ანდრომ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

მაგნიტოფონი ჩავრთეთ. მუსიკამ უცებ შეავსო ოთახი და ყველა დაადუმა.

— ისეთი მუსიკაა, თითქოს - ყველაფერი დამთავრდა... - თქვა ვიღაცამ.

— კალესთვის - კი. - დააკონკრეტა გიგიმ და ისევ ყველა აყაყანდა.

ანდრო გვერდით მომიჯდა. ისევ ამთქნარებდა.

— წადი, წყალი დალიე... - ვურჩიე.

მან თავისქნევით იუარა.

— მაშინ, სახლში წადი... ილოცე, მოფსი და დაიძინე...

ანდრო დაფიქრდა. მერე ფეხზე წამოიმართა, მთქნარებით ჩამიკრა თვალი და ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხანში მეც წამოვდექი.

— საით? - შემეკითხა რეზო.

— სახლში წავალ... დავიღალე. რას იზამთ?..

— აქა ვართ რა... - თქვა გიგიმ. — დღეს მე ვრჩები.

— შეიძლება გვიან მოვიდე. - ვუთხარი და მასაც გაეხარდა.

— რამე გამოიყოლე... არ დაგავიწყდეს!.. - მომაძახა კარში მდგომს და მეც გავუღიმე.

გარეთ ისევ თოვდა და, ეტყობოდა, გადაღებას წამითაც არ აპირებდა. საკმაოდ შებინდებულიყო. ქუჩა გადავჭერი, პროსპექტზე გავუხვიე და ისევ ნელსონთან შევედი.

დახუთულ სახინკლეში ნელსონის მეტი არავინ დამხვდა. ჭუჭყიან მაგიდებზე მსუქანი ბუზები ისხდნენ და ნელსონთან ერთად თვლემდნენ. ჩემმა შესვლამ ნელსონიც და მწერებიც ერთდროულად გამოაფხიზლა. ბუზები სუნიან სივრცეში ერთხმად აზუზუნდნენ, ნელსონი კი წელში გაიჯგიმა, თეთრი კბილები გადმოყარა და თვალებში ღიმილით შემომაცქერდა.

— ვაა... ისევ შენ და ისევ შეენ?.. - გაუხარდა ჩემი დანახვა. — როდისაა პანაშვიდი?..

— ხვალე. - ვთქვი მშვიდად და დახლს ხელისგულებით დავეყრდენი. - ამ ზამთარში ამდენი ბუზი საიდან შემორეკე?

— ჩემთან თბილი ქვეყანაა... აფრიკა... ფრთხილად, ცხიმიანია. - გამაფრთხილა იქვე ნელსონმა და მეც გველნაკბენივით მოვაშორე ხელისგულები გაქონილ დახლს.

— დილით სოუზი დაექცათ... - დაირცხვინა ნელსონმა. — ფეთხუმები...

— ერთი ლუდი! - შევაწყვეტინე მე.

— რომ აღარაა? - მომიჭრა ნელსონმა მობოდიშებით და ბუზებს შავთითებიანი ხელი აუქნია.

გატრიალებას ვაპირებდი, ნელსონის მაჯაზე მოელვარე ოქროსფერ საათს რომ მოვკარი თვალი და შევყოვნდი. უცებ გამახსენდა - კალესი იყო, ვალში ჰქონდა დატოვებული.

— არც ბორჯომი? - ვკითხე მორიდებით.

— ლიმონათი. - შემისწორა ნელსონმა.

— იყოს. - ჩავიქნიე ხელი და დახლთან სიახლოვეში მდგარ მაგიდას მივუბრუნდი.

— მეტი არაფერი? - მომესმა ზურგსუკნიდან.

მივუტრიალდი და მაჯაზე დავაცქერდი.

— რომელი საათია? - შევეკითხე მისთვის მეტად მოულოდნელად.

— გაჩერებულია. - არც დაუხედავს მაჯაზე, ისე მიპასუხა ნელსონმა და მაცივრიდან შეორთქლილი ლიმონათი გამოიღო. გახსნა. გვერდით ჭიქა მიუდგა და მომიცურა.

— სამოცდაათი. - თქვა იქვე და თავის სკამზე მოკალათდა.

ჯიბიდან ორმოცდაათლარიანი ამოვიღე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახლზე დავაგდე. ნელსონმა ფულს დახედა და სახე დაუვიწროვდა.

— აბა საიდან ამხელა ხურდა...

მე ჭიქაში ლიმონათი დავისხი და გადავკარი.

— აბა რა ვქნათ?

— მე რა ვიცი... წინასწარ ხომ უნდა გეთქვა...

ლუდხანაში სიჩუმე ჩამოვარდა.

— და ეგ საათი რომ მომცე? - დავეკითხე უცებ ნელსონს და კვლავ საათზე დავაცქერდი.

ნელსონმა წარბი შეკრა.

— როგორ?

— საათი.

— არ მუშაობს და...

— მით უმეტეს.

— ხურდაში?

— მაინც ხომ არ მუშაობს...

ნელსონმა ეჭვით მომითვალიერა სახე. მერე დაუფიქრებლად შეიხსნა მაჯიდან საათი და გამომიწოდა.

— კალეს ზალოგია, არა?

ნელსონმა თავი დამიქნია.

— ჰოდა, მე ვიხდი... საათს კიდევ ვიბრუნებ.

— ეგრე იყოს. - თქვა ნელსონმა და საანგარიშო ააჩხაკუნა.

საათს დავხედე. შევაბრუნ-შემოვაბრუნე და მაჯაზე მოვირგე.

— მიხდება? - დავანახე მაჯა ნელსონს.

— გიხდება, მა არ გიხდება?.. მაგრამ კალეს უფრო უხდებოდა. - თქვა ნელსონმა და მოიწყინა. — რა ბიჭი იყო მაინც... როგორ მიყვარდა... იმასაც... კოკა, კიდე ვნახე...

— სადა? - დავიძაბე მე.

— სიზმარში, სადა... - ნელსონმა ნიკაპი შავ მუშტზე ჩამოდო. — წეღან ჩამეძინა... საშინელი სიზმარი იყო... უჟასი...

— როგორი?

— როგორი და ვითომ კალე ცოცხალი იყო და მძლნერში იხრჩობოდა...

— ვა... - დავალე პირი. — მერე?

— მერე დაიხრჩო... ჩაიძირა. არადა, ვიდრე გავიღვიძებდი, სიზმარში ვფიქრობდი - ფულს იშოვის-მეთქი... დიდ ფულს-მეთქი...

კიდევ ერთი ჭიქა ავავსე მწვანე სითხით და ისიც სულმოუთქმელად გადავკარი.

— ტარხუნაა? - შევეკითხე.

— პიტნა.

ისევ ავავსე და დავლიე.

— საათი შენთვის გინდა? - შემეკითხა ნელსონი და შავი ხელები დახლზე ჩამოდო.

— რავი. შეიძლება საფლავში ჩავატანო.

— რათ უნდა... მაინც არ მუშაობს... ხელოსანს ვანახე - არ გაკეთდებაო... მექანიკაში აქ რალაცაო...

— მაშინ დავიტოვებ. - დასკვნასავით გამომივიდა. — კარგად იყავი. - დავემშვიდობე იქვე ნელსონს და კარისკენ გავემართე.

— კარქათ, კარქათ... თუ რამე, ხომ იცი?.. - აუქნია ხელსახოცი ნელსონმა ბუზებს და სკამზე ჩამოჯდა.

გარეთ უკვე საკმაოდ ბნელოდა. სახლამდე ფეხით მივედი. კარი მე თვითონ გავაღე. ლოლა ბარგს კრავდა.

— რა ხდება? - ვკითხე გულგრილად.

— მივდივარ... - მომიგდო პასუხად. — მანქანა მელოდება. ხვალე დანარჩენს წავიღებ.

— რაა რო წასაღები? - მოვათვალიერე ოთახი და უცებ მივხვდი, რომ ბინაში თითქმის ყველაფერი ლოლასი იყო: საწოლი, ოთხი სკამი, მაგიდა, სერვანდი, წიგნების კარადა... ჩემი მხოლოდ კომპიუტერი იდგა საწერ მაგიდაზე. აქვე ლოლას ნივთების გარეშე წარმოვიდგინე სახლი და რატომღაც გამიხარდა.

— დედაშენთან? - ვკითხე ხმადაბლა.

— ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. - თქვა ლოლამ და ჩანთა მხარზე გადაიკიდა. — აწი ჭკუა ვისწავლე...

— ვითომ? - დავეჭვდი მე.

— დიახაც!.. - ამრეზით გადმომხედა ლოლამ. — შენნაირებთან საქმის დაჭერას ჯობს, საერთოდ არ არსებობდე...

— მეე?

— დიახაც, შენ! ვის რაში არგიხარ?! რო დადიხარ ვილაც არაფრისმქონეებთან და ჩამოგლეჯილებთან ერთად... იდიოტებში!

— ლოლა!

— რაში გჭირდებიან მაინც, ნეტავ ვიცოდე?!

— ლოლა-მეთქი!

— ან რას ელოდები მაგათგან კარგს...

— რატო ეგრე?... - მეწყინა უცებ მე.

— მიტო!

— მაიცა რა, ლოლა... აბა, ჩაცმულობით და მდგომარეობით ავირჩიო მეგობრები?...

— აწი თავში ქვა გიხლია!

— ლოლა, მე იქ ვარ, სადაც ყველაზე მეტად საჭირო ვარ...

— იმდენი შენ რა გითხარი!

— რატო არ გესმის, რო ადამიანი სიასამური არაა, ბეწვით ფასდებოდეს და საერთოდაც...

ლოლა უკვე ცარიელი სახით მიყურებდა და მივხვდი, რომ აღარ მისმენდა.

— შენ ძალიან შეიცვალე... - დავიტკბე ხმა. — ვერც ვხვდები, რა მოხდა... არ გახსოვს, ადრე რა კარგები ვიყავით? ქორწინებამდე... არადა, მე ხომ ისევ ისეთი ვარ...

— შენ ხელში კაი რა უნდა დამმართნოდა...

მე თავი ჩავღუნე.

— რა ოჯახი?!. რომელი ცოლი?!. არაფერი შენ არ გჭირდება შენი უსაქმური ძმაკაცების, პლანის და შენი ნაჯღაბნების მეტი! - იფეთქა უცებ ლოლამ.

— აკი მოგწონდა... - გამიკვირდა მე. — სუ კითხულობდი...

ლოლამ მხრები აიჩეჩა და ცოტათი დაწყნარდა.

— რაო, გაასვენეთ? - შემეკითხა მერე და დიდრონ ჩანთაზე ჩამოჯდა.

— მაზეგ. - ვუპასუხე და საათზე დავიხედე.

— წეღან დამესიზმრა... - მომესმა უეცრად და უმალ ყურები ვცქვიტე. — ვითომ ტოტალიზატორში მომადგა... ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, ისეთი...

— რაო? - უცებ დავიძაბე ვიყავი.

— ვითომ საქართველო-რუსეთზე უნდოდა ფულის დადება... ის დრო იყო თითქოს, იმ თამაშის წინა დღე - საქართველო-რუსეთი... შუქი რომ ჩაქრა...

— მერე?

— მერე დადო ვითომ... პირი დავალე სიზმარში...

— პირი?... პირი-მეთქი... რა პირი დაალე?..

— რა და, ეგეთი არაფერი გამიგია - თამაშის ჩაშლაზე დებდა მთელ ოცი ათასს... არ ჩატარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაო... ან საიდან კალეს ამხელა ფული... რა კრეტინული სიზმარი იყო მაინც...

— თამაშის ჩაშლაზე? - გავოცდი მე.

— ჰო... ვითომ ათასკუშიანი იყო... მეც მივიღე... ისეთი ბედნიერი წავიდა, ისეთი...

— სად?

— ჯანდაბაში!.. ზუსტად მაშინ გამომეღვიძა.

მე ხელები თავზე შემოვიჭირე. საფეთქლებში მიკაკუნებდა.

— მთელი საღამოა, ვიღაც ქალი გირეკავს... - გაახსენდა უცებ ლოლას.

— რედაქციიდან, ალბათ... - მოვიკატუნე მე თავი და მივხვდი, რომ მაკაზე მეუბნებოდა.

ლოლამ ცალი წარბის აწევით შემომხედა.

— მეთოდები დაგიძველდა, კოკა ინაშვილო!

— ვინ გელოდება? - ვკითხე მე.

— რა შენი საქმეა?! - თქვა ლოლამ, წამოდგა, მეორე ჩანთაც მხარზე მოიკიდა და კარისკენ წაპაკუნდა.

— ესე იგი, უკვე აღარც ჩემი საქმე არაა... ძალიანაც კარგი! - ვთქვი მე, სავარძელში ჩავეშვი და შეკეთებული ღერი ამოვიღე. — არ გინდა? - დავანახე ლოლას შორიდან.

— შენ ნახავ, თუ არ დაგენძრეს, კოკა ინაშვილო!! - ამოსცრა კბილებიდან ლოლამ და იქვე მდგარ ჩანთას დასწვდა.

— რა იყო, მილიციაში გადარეკვას ხომ არ აპირებ? - გამეღიმა მე და ღერი ჯიბეში ჩავიდე.

ლოლა გავიდა და კარი გაიჯახუნა. ბინაში მდუმარებამ დაისადგურა.

ფეხზე წამოვდექი. გავიარ-გამოვიარე. კედლებს ხელისგულებით ვეხებოდი, თითქოს სიცხეს ვუზომავდი. მერე ფანჯარასთან მივედი და ბნელ ქუჩას ჩავაცქერდი. დავინახე, როგორ მოცილდა სახლს ფარებანთებული მანქანა და ეზოდან გავიდა. ამ დროს ტელეფონიც აწკრიალდა. ავიღე.

— არ მოდიხარ? - მომესმა მაკას ხმა.

— კი. - ვუთხარი მკვირცხლად და დავუკიდე.

მერე შუქები ჩავაქრე. გადავიცვი და გავედი. ისევ თოვდა.

●●●

კარი მიხურული დამხვდა. შემოსასვლელში კისერზე პირსახოცჩამოკიდებული დოგი იჯდა და თვალებს ფოსფორისფრად აკვესებდა.

— ჰელოუ! - ვუთხარი და მარჯვენა ყურისძირი მოვფხანე. — სახლშია?

დოგმა თავი თანხმობის ნიშნად დამიქიცინა და განზე გაიწია. ქურთუკი საკიდზე დავკიდე, მაღალ კედლის სარკეში ჩავიხედე და თოვლიანი თმა თითებით გადავიგლისე. მერე დოგს კისრიდან პირსახოცი შევხსენი და თმა გულმოდგინედ შევიმშრალე.

— დანკე! - დავუბრუნე მერე დოგს პირსახოცი და ოთახში შესულმა ფანჯარასთან სიგარეტით მდგომი მაკა დავინახე.

მაკა ჩემს შემოსვლაზე სწრაფად შემოტრიალდა. შევამჩნიე - თვალები რაღაც არანორმალურად უპრიალებდა.

— ფანჯრიდან გიყურებდი, როგორ მოდიოდი...

მე გამეღიმა და არაფერი ვუპასუხე. მაკამ სიგარეტი საფერფლეში ჩააჭყლიტა, პირიდან სამი, ზუსტად ერთი ზომის რგოლი გამოუშვა და ორივე ლოყა ხმაურით დამიკოცნა.

— მომენატრე... - ჩამჩურჩულა მერე ყურში.

— მერე სად ხარ?.. ისეთი ამბებია. - გამოვცოცხლდი მე. - დაგერეკა. ვიფიქრე - მოვბეზრდი, ყელში ამოვუვედი-მეთქი. რას შვები?

მაკა თვალებში ჩამაცქერდა და მივხვდი, რომ ასე მაგრად არც არასდროს მენახა.

— შემოდგომაზე ისე ვიჭორფლები... - დაიწყო მაკამ ახსნა შლეგი ღიმილით. — ჩემს ნაცნობებს უმალ წითელი ხიზილალის მონატრებით ექავებათ გემოვნების ჯირკვლები.

— ახლა გაჩერდი...

მაკას თვალები ბედნიერად უბრწყინავდა.

— გეუბნები... ხიზილალა კი, კარგად მოგეხსენება, რა სიძვირისაცაა ჩვენს მარკეტებში. მაგრამ მათი ეს სურვილი იმდენად დიდია, რომ ის თითქმის ყველას სიზმრებში აღწევს საქორწინო სუფრაზე ფაიფურის ლანგრებში ჩახვავებულის სახით და ბოლოს, ამის გადამკიდე, მაინც უგზო-უკვლოდ მდიდრდებიან ადგილობრივი ლომბარდების მეპატრონეები, რომელთა სიფრიფანა საყვარლებიც უკვე კვირაში რვაჯერ იკეთებენ მანიკიურს ელიტარულ საპარიკმახეროებში, და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გაშლილ სიბრტყეში მოფათურე ხმაურებს კიდევ ერთი უმკრთალესი ხმა შეემატოს - ეს სასაზე ენით ასრესილი ხიზილალის ბუშტუკის ხეთქვის ექოა და ჩემი უეჭველი ჭორფლებიც მეტად ახლობლურად პულსირებენ ყოველ ამგვარ, შორეულ თუ ახლო ჩქამზე. თან ხომ თოვლიც მიყვარს, რომელზე გულაღმა განრთხმულს თაკარა მზე მთელ სხეულს ისე მიმუქებს, რომ არათუ კანი - ძვლები, ხორცი, სისხლი და შინაგანი ორგანოებიც კი თავის ნამდვილ ფერს კარგავენ და ყველასთვის აუტანლად უცხო და, აქედან გამომდინარე, მისაღები ვხდები. მამაკაცებს, სულ რაღაც ერთი კვირის წინ გვერდით მაგიდას მძლავრად მიღიპულები პირის წკლაპუნით რომ ნთქავდნენ თოვლის უსუნობით გაჟღენთილ წვნიანს და ჩემზე გონების არც ერთი შრით არ ეფიქრათ, უკვე ენაზე მოკონწიალე ზედსართავი სახელებით უმძიმდებათ ცხიმიანი სახე და ჩემს ალალად გამომზეურებულ ბარძაყებს წებოვანი თვალებით ირეკლავენ. - მომეჩვენა, რომ მაკა ამ ყველაფერს კი არ ყვებოდა, მღეროდა.

— გაჩუმდი!! - ყურებზე ხელები შემოვიჭირე და სავარძელში ჩავეშვი. — რა გჭირს ეგეთი?..

— ... ნელსონმა მოიტანა. - ამოხდა უკვე ჩვეულებრივ ხმაზე მაკას.

— ნელსონმა? - გამიკვირდა მე და საათზე დავიხედე. — წეღან ვნახე... არაფერი უთქვამს... გაბარიგდა ეგ ჩემისა?

— ვითომ არ იცის... - დასცდა მაკას დამცინავი ღიმილით. — რამდენი ხანია, მთელი ქალაქი მაგასთან იღებს... კალიკებია... ვარდისფერი... გემით ჩამოაქვთ...

— ჩამოვრჩი. - ავიქნიე ხელი. — გემი კი არა, აღარაფერი ვიცი... ვერ მითხრა მერე?

— შენი ეშინია.

— ეშინია? - გამიკვირდა მე.

— მე ეგრე მითხრა და...

ოთახში ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ცოლიც გამექცა. - დავახეთქე უცებ მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ, ეგ ხომ კაი ხანია უნდა მომხდარიყო... - გაეცინა მაკას.

მე შუბლი შევკარი.

— სად შენ და სად ის ისტერიჩკა?.. - გადამისვა მაკამ თავზე ხელი. — რად გინდა შენ ცოლი?.. შენ მე უნდა გყავდე... ისიც კვირაში ერთხელ... არც თავს აგატკიებ... არც შემჩნევებს მოგცემ... არც რამეს მოგთხოვ... შენ ოღონდ წერე და ბედნიერი იყავი... სადაც გინდა წადი, წამოდი... ოჯახი და რეჟიმი რა საშენოა?...

მე თავი დავუქნიე.

—შენები სად არიან? - მიმოვიხედე.

— გავყარე... ანტონმა სამსახური იშოვა და რაც უნდა ის ქნას!

— რაო? - მოვიშორე ყურებიდან ხელისგულები.

— ზახრუმაო... ანტონი გავასახლე თავის ოჯახობასთან ერთად-მეთქი!

მაკამ თავი დანანებით გადააქნია.

— საწოლში რაც უნდათ ის ქნან, ეგეთები გააჩინა ღმერთმა - ერთი უმამოდაა გაზრდილი, მეორე - ყვერებიანია ქალი.

— ჰე-ჰე! - გამეცინა.

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მაგრამ ნამეტანს ნამდვილად ვერ ავიტან!

— რა ნამეტანს?

— ვითომ ანტონი არ ეყოფოდა...

— როგორ?

— მწვანედ!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— გუშინწინ ვბანაობდი და კინაღამ არ შემომივარდა?.. კინაღამ არ გამაუპატიურა?.. - აღელდა მაკა.

— კინაღამ?

— ქალი კი არა, ბულდოზერია... ეგეთი რძალი ვის გაუგია... მერე მუხლებზე ხოხავდა და სიყვარულს მიხსნიდა...

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

— ჩაი მინდა. - ვთქვი და მაკას თვალი თვალში გავუყარე. — და მერე ისიც...

მაკამ დოგისკენ გაიხედა, რომელიც კარის ზღურბლზე მოკალათებულიყო.

— მიდი რა... - თხოვა და დოგიც გავიდა.

— აღარ ვიცი, რა ვქნა! - მაკა მუხლებში ჩამიჯდა და თავზე ხელები შემოიჭირა.

მე წარბი შევკარი.

— რა უნდა ქნა?

— აი ეგრე... არ ვიცი, რა ვქნა და მორჩა. თავში აზრიც კი აღარ მომდის.

— რატომ?..

მაკა წამით გაიყურსა. მერე ცხელი ტუჩები ყურზე მომადო.

— მგონი, ორსულად ვარ...

წარბები კეფაზე ამივიდა.

— კი მაგრამ... ვისგან...

— არაფერი მკითხო...

მაკამ გაოგნებულს ორივე საფეთქელი დამიკოცნა.

— ვისგან, ადამიანო?!

— მამამ სახელი უკვე მოიფიქრა... ავთოს არქმევს.

— ვინაა-მეთქი?!

— ნელსონი.

— ავთო რა სახელია... - ჩავიქნიე ხელი და უცებ გავცეცხლდი. — შენა, ქალო, ნორმალური ხარ?!

მაკათი ხელში ფეხზე გაჭირვებით წამოვიმართე და მაკა სავარძელში ფრთხილად ჩავსვი.

— ახლა არ მითხრა, ხალხი რას იტყვისო... - წყენა გამოეხატა მაკას სახეზე. — თან მე რა ვიცოდი...

— და ანტოშკასი და იმ შენი ბანძი რძლის გიკვირდა, არა, შე მართლა ბანძო?!! - დავუღრიალე მე.

— მართლა არ ვიცოდი, რო ეგრე მოხდებოდა... - აუკანკალდა მაკას ხმა. — მერე რა რო ზანგია?.. იცი, რა კარგი ადამიანია?.. რა კეთილი და პატიოსანი...

— ვინა, გოგო, ის მეხინკლე-ბარიგა?!

— არაფერი შენ არ იცი... - აიბუზა მაკა და ახლაღა შევამჩნიე, რომ რაღაცას მემაიმუნებოდა.

— იტოგში რა გინდა? აბორტი? - ავყევი მეც.

— არა... აბორტს არ გავიკეთებ! არა! არ არსებობს!

— აბა?

— იმაზე ვფიქრობ, როგორი გამოვა...

— ანტოშკამ თუ იცის?

— მოვატყუე...

— რა მოატყუე?

— ვითომ შენგანა ვარ.

მეორე ხელიც ჩავიქნიე. ამ დროს ოთახში დოგი შემოვიდა და ბორბლებიანი ლანგრით ორი ჭიქა ორთქლადენილი ჩაი შემოაგორა.

— ვა, უკვე ჩაის დასხმაც იცის? - გამიკვირდა ჩემთვის. მაინც საკმაოდ დაძაბული და მოჭიმული ვიდექი.

— ე, გოიმ! - შემომესმა უცებ მაკას ღიმილიანი წამოძახილი ჩემი მისამართით, უმალ მივხვდი ფანდს, გულზე მომეშვა და გამეცინა.

— მე თქვენ ნახეთ რა გიყოთ!... - დავემუქრე მაკას მუშტით და დოგს ყურში წკიპურტი წავუწკაპუნე. მანაც ხალისით გააქიცინა კუდი.

ჩაი ცხელი იყო, სურნელოვანი, ორთქლიანი, არომატული. ცხელი სითხე მთელ სხეულში დამეტოტა და თითქოს ბოლომდე დამალბო. მაკამ შუშის პატარა კოლოფი გახსნა და ნელსონის აბი გამომიწოდა. აბს პატარა ნესვის ფორმა ჰქონდა და თავიდან ბოლომდე ვარდისფერი იყო. აბი ენაზე დავიგდე და ჩაი დავაყოლე. თავიდან არაფერი. მაკა რაღაცებს არეულ-დარეულად მეჟღურტულებოდა. ვერ ვუსმენდი. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და კალეზე ვუთხარი.

ერთბაშად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ბინაში. მაკა მიტკალივით გაფითრდა და უცებ მოინგრა თავფეხიანად. თითქოს ერთი ათი წელიც მოემატა და მობერებულ ბრიჯიტ ბარდოს დაემგავსა. ცოტა ხანი გარინდული იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა. მერე ძალა მოიკრიბა და რაღაცების გახსენება იწყო. თან ტიროდა. დოგს გავხედე. მასაც ცრემლი სდიოდა თვალებიდან და ლამის მეც ამეტირა. დაძაბული ვიჯექი და ვცდილობდი, მზერა რომელიმე ერთ წერტილზე შემეჩერებინა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

მერე მაკამ მაგნიტოფონი ჩართო და კალეს ხმა მომასმენინა - კალე თავის დაწერილს კითხულობდა:

„...გაიპარა და მორჩა. აი ეგრე - ადგა და გაიპარა; არც არავისთვის უკითხავს - ისე; არც დაინტერესებულა თუ შეიძლებოდა ეგრე; უბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ, აილო თავზე ხელი და გაიპარა.

გაგიჟდნენ. გადაირიენ. ტირილი ტირილად და ხელზე ფრჩხილი არ შეირჩინეს მისიანებმა ლოყების ხოკვით.

-როგორ თუ გაიპარაო?!

-ჩვენ ეგ სუ სხვანაირი გვეგონაო!

-რისთვის ვყავდითო?!

-ხომ გაგვიტყდა მთელ ქალაქზე სახელიო!!

იმას კი უკვე რა ენაღვლებოდა. გვიანი იყო ოხვრა-ვიში. უნდა ამდგარიყვნენ და შეგუებოდნენ. სხვა გზა არც ჩანდა - უკან ვერაფრისდიდებით მოაბრუნებდნენ და... აწი მერეზე უნდა ეფიქრათ. ხვალეზე. და მაინც არ შოშმინდებოდნენ:

-როგორ თუ გაიპარაო?!

ბოლოს დედამ ივარგა:

-რა ვუყო... კიდე მყავს ორი ეგეთიო.

საერთოდ გადაირიენ:

-ეგენი ხომ საერთოდო - ეგ ყველაზე ჭკუიანი იყო და ეგ თუ გაიპარა, ისინი რაღა ჯანდაბას იზამენო... უფროსს მიბაძავენ და რაღაა შენი ცხოვრებაო.

მერე მამამ გამოიდო თავი:

-გაჩერდით ახლა! გაიპარა და რა ვუყო... ეგ ყოფილა მაგის ბედიო... რომ მცოდნოდა - დავუშლიდი, მაგრამ რომ არაფერი ვიცოდიო?

ამაზე ხომ ისე აწიოკდნენ, რომ პირდაპირ:

-რისი მამა ხარო?!

-საერთოდ თუ იცი რამე ტოტალიზატორის იქითო?!

-ეგ როგორ გამოგეპარაო?!

-შენ აწი ვილას გამზრდელი ხარ... მოსაკლავი ხარ, მაინც არაფერში ვარგოდიო!

და ატყდა ჩხუბი და იაფ ლარნაკთა წუილი ლამინირებულ ლოჯში - დედის რძისა და მამის პირის გინებითურთ. ის კი რა, - უკვე მაინც გაპარული იყო და მორჩა. თან ისე უცაბედად, რომ ვერავინ ვერაფერი მოიაზრა..."

მაკამ მაგნიტოფონი გამორთო და აცრემლებული შემომაჩერდა. მე თავი დავუქნიე და გონებაში ჭიანჭველებისმაგვარი მცოცავები ვიგრძენი.

— ასე მეგონა, კალეს კარგად ვიცნობდი... - ვთქვი და მაკასკენ გავიხედე.

— მთელი სამი კასეტაა სავსე... - მითხრა მაკამ კასეტებზე. — გაგატან... მე რაში მჭირდება.

მაკა წამოდგა. დაბალი მაგიდიდან სამი ცალი კასეტა ამოარჩია და მომცა. კასეტები ჯიბეში ჩავიდე და უცებ მივხვდი, რომ ჩემს გონებაში მობორიალე ჭიანჭველებისმაგვარი მცოცავები წამში უკვე ერთიათად გამრავლებულიყვნენ. მერე საკუთარ გულისცემას მივუგდე ყური.

გული ურითმოდ მიცემდა და მისი ბრახუნი რატომღაც მარჯვენა მხრიდან უფრო მესმოდა. უმალ მკერდის მარჯვენა მხარეს მივიბჯინე ხელისგული - გული მართლაც იქ იყო და გაუჩერებლად ხტუნაობდა. მერე ქვემოთ ჩავიცურე ხელისგული და მუცელზე მივიჭირე - იქაც გული ცემდა. ორივე ხელისგული მუხლისთავებზე დავიდე - იქაც იყო; და საერთოდ, ყველგან - წვივებში, ლოყებს მიღმაც, თავშიც, თვალებში, მხრებში, მკლავებში, მენჯებში, ბარძაყებში, ზურგში, ენაშიც - გული სულ-სულ ყველგან მქონდა. აფორიაქებულმა წამოწევა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი - სავარძელში თითქოს სამარადისოდ ვიყავი ჩაკირული და გაუჩერებლად, ერთ უცხო რიტმში, მთელი სხეულით ვფეთქავდი. ახლაღა შევამჩნიე, რომ მაკა, რომელიც ისევ სავარძელში იჯდა, მე შემომცქეროდა, იცინოდა და თან ღვარად სდიოდა ცრემლი.

„მაკა, შენ რა გითხარი"... - ამის გაფიქრებაღა მოვასწარი და თვალები თავისით მომეხუჭა.

იქ თავიდან სრული სიბნელე დამხვდა. მერე სიბნელეში მაკას დოგმა იწყო ჰაერში ფრთხიალი. დოგი რიგრიგობით იქნევდა ფეხებს, ისევ ფოსფორისფერი თვალებით შემომცქეროდა და უკვე მთელი სხეულით ანათებდა. მე ძალიან გამიკვირდა.

— შემომაჯექ!.. - დამიყეფა უცებ დოგმა, ოთხივე ფეხი ჰორიზონტალურად გაშალა და მე საერთოდ გავოგნდი.

— შემომაჯექ-მეთქი! - ისევ დამიყეფა დოგმა. მეც მეტად მსუბუქად ვისკუპე დოგისკენ და მის ფაფუკ ზურგზე მოვკალათდი. ხელები კისერზე შემოვხვიე და მისი გულისცემაც გავიგონე - მშვიდი და წყნარი, აუღელვებელი. მალევე მივხვდი, რომ მიფრინავდით.

— სად ვართ? - გავბედე და შევეცადე, რაც შეიძლება მოწიწებით მეკითხა.

— უკან... - მიპასუხა დოგმა.

— სად უკან?... - ვიკითხე ჩემთვის და უცებ მივხვდი - ჩაბნელებული სტადიონის თავზე ვტრიალებდით. თვალები მოვწკურე, გადავიხედე და ნელ-ნელა ვიწყე სიბნელისთვის თვალის შეჩვევა. თავიდან არაფერი - მხოლოდ ჩაბნელებული მოედანი და ამ სიბნელეში ძნელად გამოსარჩევი ფერადი ტრიბუნები. ირგვლივ ტყე; ასევე აქა-იქ ბაცად მბჟუტავი ლამპიონები, დაცვის ჯიხური, მიმოკლაკნილი ბილიკები; გზა, რომელიც სტადიონს ურტყამდა წრეს... და უცებ კალე დავინახე.

კალე ქურდულად მიიპარებოდა ხეებს შორის. ხშირად ყოვნდებოდა, ირინდებოდა, აყურადებდა და მალულად იცქირებოდა ირგვლივ.

— კალეეე!! - ვერ მოვითმინე და მთელი ძალით ვიღრიალე.

კალე შეყოვნდა, ზემოთ ამოიხედა, მაგრამ ბნელ ცაში ვერაფერი გამოარჩია და გზა ისევ უჩუმრად განაგრძო. თვალებდაჭყეტილი ჩავყურებდი და გულიც უწინდებურად, ყველგან მიცემდა.

დავინახე თუ როგორ მიიპარა კალე სტადიონის დენის ჯიხურთან. კაი ხანს იცადა, ვიდრე დაცვამ არ ჩაიარა. ფანრებით შეიარაღებულები შეზარხოშებულები ჩანდნენ და რაღაცას ღიღინებდნენ. თვალს რომ მიეფარნენ, კალემ ჯიბიდან გასაღებების ასხმულა ამოაჩხარუნა და რიგრიგობით უწყო ჯიხურის ბოქლომს გასაღებების მორგება. კაი ხანს იწვალა. თან თავისთვის ბურდღუნებდა. როგორც მესმოდა, იგინებოდა ჩუმად.

ბოლოს, როგორც იქნა, მოარგო, მოხსნა, გამოაღო, შევიდა და მეც თვალები დავხუჭე.

— კალეეე!!! - დავიყვირე კიდევ ერთხელ. ყვირილმა ექოდ დამიარა ყურებში. ბოლოს გაიფანტა, თითქოსდა ჰაერში დაიკარგა და სტადიონიც კუნაპეტმა სიბნელემ ჩაყლაპა.

ფრთხილად გავახილე თვალი. სავარძელში ლამის ჩამპარი ისევ მაკასთან ვიყავი და ოფლში ვცურავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო ეს? - ძლივს ამოვილუღლუღე და მაკას თვალი გავუსწორე.

— გაგთიშა... - თქვა მაკამ. — ერთი საათია გაღვიძებ... რაო, ნახე რამე?

— სიზმარი. - ვუპასუხე და დოგისკენ შიშით გავაპარე თვალი.

●●●

კალესთან შუაღამისას მივედი. კარი ღია იყო. ბინაში ღამის სიჩუმეს დაესადგურა. დიდ ოთახში ფრთხილად შევაბიჯე. კუბოს ირგვლივ, კედლებთან ხის სკამები იყო ჩამომწკრივებული. ოთახში მხოლოდ გიგი და რეზო ისხდნენ და ბურას თამაშობდნენ. ჩემი შესვლა არც გაუგიათ, იმდენად იყვნენ კარტის თამაშით გართული.

ჩუმად ჩამოვჯექი და მივაყურადე.

— დავი!

— სე, ძმაო!

— გაიპარე ახლა... ჩარი!

— ე?!

— რა ე, ჩარი-მეთქი!

— ბეში!

— რა ბეში, ნარდი კი არაა, ვაჟკაც!..

— ბეში-მეთქი!

— შაში მაშინ! - თქვა რეზომ და გიგის კარტი გაუშალა. — ბურა!

— მეც ბურა!

— გაიკეთე უკან... წააგე... ოცდაშვიდს ექვსი - ოცდაცამეტი... ოცდაცამეტით ოცდაათი...

გიგიმ უკმაყოფილო სახით კარტის აჩეხვა იწყო და მეც ამ დროს ჩავახველე.

ორივემ ერთდროულად გამოიხედა ჩემკენ.

— ვა... - თქვა გიგიმ და დამაკვირდა. — შეხე, რას უგავს თვალები... ნამდვილი პიეროა...

— არი? - დამეკითხა რეზო.

— ილია მესამესავითა ვარ... - ვთქვი მე და მორჩილად გავიღიმე.

— ეგ ვინლაა? - დაფიქრდა რეზო და თვითონვე გასცა საკუთარ თავს პასუხი. — ა, მერე რო იქნება?..

მე ფეხზე წამოვდექი, ჯიბიდან ქაღალდის პატარა ფუთა ამოვიღე, ბიჭებს მივუახლოვდი და გავშალე. გიგიმ და რეზომ შიგთავსის დანახვაზე პირები დააღეს.

— რა ამბავია... - დასცდა გიგის.

— კალეს ჩავაყოლოთ. - გამოვთქვი აზრი და მაჯაზე მობრჭყვიალე საათზე დავიხედე. — კალეს ჰქონდა დანაზალოგები ნელსონთან... დავიბრუნე.

— ჰოდა, ეგეც ჩავაყოლოთ... - ამყვა რეზო. — რა იცი, რაში გამოადგება...

— ერთი თქვენ შიგ არ გქონდეთ! - აიქნია ხელი გიგიმ და ჯიბიდან ტარიანი ამოიღო. — მაიტა, შევაბზრიალო...

გიგის ხელისგულზე პატარა ფუნჩხა დავუყარე და ისიც საქმეს შეუდგა.

მე კალეს მივუტრიალდი, საათი მოვიხსენი და მაჯაზე მოვარგე.

— ეს სუ გაგიჟდა! - მომესმა უკნიდან გიგის ხმა.

— რა მოხდა მერე... - გამომესარჩლა რეზო. — ეგრე ბებიაჩემს მობილური ჩავაყოლეთ... დიდი ამბავი. რა იცი, იქით რა ხდება...

— ნომერი გახსოვს?

— რა ნომერი?

— ბებიაშენის მობილურის... გადავურეკოთ და გავიგებთ, იქით რა ხდება... დოლარის კურსი... რამე... დვიჟენიები...

მე მოვტრიალდი და სკამზე ჩამოვჯექი. გიგის საქმე მოემთავრებინა და ღერს ენით ასველებდა. მერე მოუკიდა და ხარბად მოქაჩა. ბოლი ღრმად შეისუნთქა და ღერი რეზოს გადააწოდა.

— ეს ტარიანი სულ გაწყდა... - თქვა რეზომ და მანაც მოქაჩა. — იკითხავ სადმე და გიჭერენ... ამასწინებზე ერთი ჩემი მეზობელი აагდეს ბაზრობაზე... პატარა ბავშვი, ტო... მეათეკლასელი... ჯერ ქალთან არაა ნამყოფი... კარგად გაჯორეს...

რეზომ ღერი მომაწოდა. მე ღერი ჩამოვართვი და გიგის გადავაწოდე.

— არ გინდა? - გაუკვირდა გიგის.

— მე ბოლოს მოვწევ...

გიგიმ ღერი ჩამომართვა და ისევ მოქაჩა.

— საიდან ამდენი? - მომიტრიალდა რეზო.

— ხუტა მიცოცხლოს ღმერთმა. - ვთქვი მე და ცხვირი მოვიქავე.

— ვა... - თქვა რეზომ და გიგის ღერი ჩამოართვა. — ეს ისეთივე ცოფი ჩანს...

— ხიროსიმა!.. იგივეა... - ჩავილაპარაკე მე. — კალე ვნახე...

— ვინა?? - ერთდროულად მოტრიალდნენ ჩემკენ.

— სიზმარში... - ვთქვი მე თავაუწევლად. — თითქოს სტადიონზე, დენის ბუტკაში შევიდა... გენერატორს და აკუმლიატორს უტირა ყოფა...

გიგი და რეზო დადუმდნენ.

— ლოლამაც ნახა... თითქოს თამაშის ჩაშლაზე დადო ოცი ათასი...

რეზომ ღერს ნაფაზი დაარტყა და ისევ გიგის მიაწოდა. გიგიმ ხელები გაასავსავა.

— აღარ მინდა... კოკას მიე...

რეზო მე შემომიბრუნდა.

— არ გინდა, პარავოზს გაგიკეთებ?

მე თავი უარის ნიშნად გავაქნიე. ღერი გამოვართვი და ძლიერად მოვქაჩე. მერე კიდევ ერთხელ.

ღერი ბოლომდე ჩავიყვანე, ბარბაცით წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი. გარეთ კუნაპეტი სიბნელე იდგა. ნამწვი დავაქუცმაცე, ფანჯარა გამოვაღე და წკიპურტით გავისროლე გარეთ. სახეზე ცივმა ნიავმა ფიფქები მომაყარა. მოვტრიალდი. გიგი და რეზო ისევ ბურას თამაშობდნენ. სკამთან მისულმა ქაღალდის ფუთიდან კიდევ ერთი, ოღონდ უკვე კაი მოზრდილი ფუნჩხა ავიღე, ქაღალდის პატარა ნაგლეჯში გავახვიე, კალეს მივუტრიალდი და კოსტუმის შიდა ჯიბეში ჩავუდე. მერე საფეთქელთან ვაკოცე და გიგის და რეზოს მივუტრიალდი. ორივენი გახევებულები ისხდნენ, ხელში სამ-სამი კარტი ეჭირათ და მზერა გაშტერებოდათ.

— როგორია? - შევეკითხე ღიმილით.

ხმას ვერ იღებდნენ.

— მორჩით ახლა... ვინ თამაშობს კუბოსთან კარტს?! წამო, ჩაი დავარტყათ...

სამზარეულოსკენ წავედი. გიგი და რეზო უბრად წამოდგნენ და რობოტებივით გამომყვნენ უკან.

სამზარეულოში შესულმა შუქი ავანთე. აქ ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა - მანქანების „ნაკლეიკებით" აჭრელებული პატარა კედლის კარადა და ასევე აჭრელებული დაბალი მაცივარი. კედელზე უზარმაზარი ფოტო-პლაკატი, რომელზეც კლაუდიო კანიჯა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიეგო მარადონა ტუჩებში კოცნიდნენ ერთმანეთს. სამი თეთრი სკამი და მაგიდა. ონკანის ნიჟარა არყის პატარა ჭიქებითა და ჭუჭყიანი თეფშებით იყო სავსე. გაზქურა ავანთე და ჩაიდანი შემოვდგი. გიგი და რეზო ჩუმად ჩამოსხდნენ. კარადიდან ჭიქები გამოვიღე და მაგიდაზე დავაწყე. მერე ისევ კარადისკენ გავტრიალდი.

— ფერი სადაა? - ვიკითხე და ოთახი მოვათვალიერე.

პატარა ჩაიდანი იატაკზე იდგა. დავიხარე. ჩავიხედე. ახალი დაყენებული იყო.

გიგი და რეზო ისევ ხმას არ იღებდნენ. ფერი ჭიქებში ჩამოვასხი და მეც ჩამოვჯექი.

— რა მეხი გეტაკათ? - ვიკითხე ორივეს გასაგონად და ორივენი ერთდროულად მოცოცხლდნენ.

— ასე მგონია, გავქრი... - თქვა რეზომ.

სამზარეულოში კაი ხნით სიჩუმე ჩამოწვა. მერე ჩაიდანმა დაუსტვინა და მეც ზლაზნით წამოვიმართე. ჩაი დავასხი და ისევ ჩამოვჯექი. საშაქრე მაგიდაზე იდგა.

— შაქარი... შაქარი... - ამოხდა გიგის და ჩაიში შაქრის ჩაყრა იწყო. — ეს რა უზარმაზარი ბაზარი გვჭირს, ტო? - გამომხედა მერე და საშაქრე მომიცურა.

მე გავიბადრე. გიგიმ გაკვირვებით შემომხედა.

— რაო?

— ვაა... - აღმომხდა მე. — აი, ზუსტად ეგრეც დავარქმევ!

— ვისა? - ვერ მიხვდა რეზო.

— რასაც ვწერ... ჩვენზეა... კალეზეც... სუყველაფერზე... უზარმაზარი ბაზარი!.. მაგარი სათაურია...

— ჩემზეც? - შემეკითხა გიგი.

— შენზეც, ანდროზეც, მაკაზეც, ლოლაზეც, ნელსონზე... რავი - ყველაზე და ყველაფერზე... რომანივითაა რა... ოღონდ პატარა... ხო კაი სათაური იქნება?

გიგიმ და რეზომ ერთდროულად აიჩეჩეს მხრები.

— ჯერ დაწერე... წაგვაკითხე და მერე. - თქვა რეზომ. - და რამე შარში არ გაგვხვიო...

— მიკვირს ისე, აქამდე რატო არ გიჭერენ? - დააბრეხვა უცებ გიგიმ. — ისეთ რაღაცებზე წერ... ძაან რისკავ აი... მაგის გამო, ბიჯო, ადრე ჯვარზე აკრავდნენ...

— ახლა შოკოლადი გაასწორებდა. - გამოვთქვი აზრი და ჩაის მორევა ვიწყე.

კაი ხანს ვხვრეპდით ჩაის და შიგადაშიგ კალეს ვიხსენებდით - უფრო კი კალესთან ერთად თავსგადამხდარ ამბებს ვიგონებდით. რას აღარ გადავწვდით...

— ლოლა გამექცა... - ვთქვი მერე მე.

— ერთი ყველა ქალის დედაც!.. - იფეთქა გიგიმ და აღარ დაასრულა. — მაგათი ჯიში და გაგება...

— ამიტო კოკა-ჯან... - ჩამოართვა გიგის სიტყვა რეზომ. — ქალი ჯერ უნდა დაიძმაკაცო... ათი ფუთი მარილი აჭამო შენთან ერთად... აი როგორც ჩვენ ვართ, ისე უნდა გაიხადო, ბოლომდე გააცნო თავი, იქითაც ბოლომდე გაიცნო მთელი მისი პლიუს-მინუსებით და მერე...

— რა მერე? - ჰკითხა გიგიმ.

— რა და ამბავი და რეგისტრაცია!.. ისე არ გამოდის, გეუნებით!.. ხო ვიცი. მეტი რა ვიცი რო?.. ტყვილა მყავდა ოთხი ცოლი? ვისწავლე ბლიად! ვისწავლე ბოლო-ბოლო!.. ისე კიდევ - გაივლით, გამოივლით, დღეში მაქსიმუმ ჰა-ჰა სამი საათი, ოთხი იყოს... ჰოდა, გამოდიხართ ორივე კაი-კაი რაღაცებს ამ სამი საათის დროს... იმის იქით არც იყურებით, არც გინდათ, არცაა დრო... იმის იქით რა ქაქია თქვენში, არც ერთი იმჩნევთ და ამჩნევინებთ ერთმანეთს... ჰოდა, ვარდება მერე ორივე. წმინდანები გონიათ ერთმანეთი... ასე გონიათ, რო სუ ერთად რო იქნებიან, უფრო მაგარი იქნება და აი მანდაა ნძრევა! არაფერიც უფრო კარგად არაა. მე ძმაო, ოცდაოთხი საათი კი არა, ნახევარი დღე ვერ ვუძლებ ჩემ თავს... მინდა მე გასაძლებად ვიღაც ქალი? ვიღაც რა, ვინც არ უნდა იყოს! თან ყოველდღე? არა, ძმაო... ცეცხლი შორიდან ისეთი ლამაზია, მაგრამ ვიდრე ხელს არ შეყოფ, საიდან მიხვდები, რომ წვავს? ეგეთი ქალებიც ეგრეა - მაგათი „შენ გენაცვალე“ და „შენი ჭირიმე“ ყველას მოწონს, მაგრამ მეორე მხარე?.. სადაც დღეა, იქ ღამეცაა... სადაც მზეა, იქ მთვარეცაა... სადაც სიცხეა, იქ სიცივეცაა...

— სადაც ვეფხვია, იქ ლომიცაა... - ჩაურთო გიგიმ.

— ეგ ერთი და იგივეა!.. - გაბრაზდა რეზო. — არაფერი შენ არ იცი! უნდა გეთქვა - სადაც კატაა, იქ ვეფხვიცაა-თქო... ხო ვიცი, მაიყვან და ეგრევე დაიწყებენ - აქანა შკაფი დავდგათ... ეს სურათები რატო კიდია აქ? რა არი, საპარიკმახეროა? იწყებენ არევას. ტაქტი მაგათ არა აქვთ და არაფერი... მერე შენზე გადმოვლენ და მთელ ევრორემონტს მოინდომებენ...

— სადა? - იკითხა გიგიმ უგულისყუროდ და ჩაი მოხვრიპა.

— შენში, სადა... - გაეპასუხა რეზო. — მე კიდე, მინდა რო შეცვლა? ძლივს თავი შემიკოწიწებია, აქამდე ასეთად მომიტანია... მინდა მე გარდაქმნები და ამბავი?.. არ მინდა!.. არც არავისი გარდაქმნა არ მაინტერესებს... მე, ძმაო, შენ და შენც იმიტო მევასებით და იმიტო ვარ თქვენთან, ეგეთები რო ხართ... ანდროც, ის გამოყლეებულიც... ცოლებს კიდევ - არა... ამ გზით აქამდე მოვსულვარ - თაფლიც მიჭამია და ძლნერიც... მინდა მე ქალის შენიშვნები და ჭკუის რიგებები? ეგენიც მყვანან რა... რამე გაეგებოდეთ მაინც! შეურაცხყოფაა და მეტი არაფერი... ჩემი წარსულისთვის მიფურთხებაა და მორჩა... არ ესმით!.. თითქმის არავის არ ესმის!!.

— თითქმის... - დავუდასტურე მე.

ამის გაგონებაზე გიგიმ ამრეზით გადმომხედა.

— ვის იცნობ, ერთი მითხარი?!. - აფეთქდა უცებ. — ვინ გაგიგია?!. ყველა ერთი ფეხია-მეთქი, რამდენჯერ უნდა ვთქვა?! ბენი ჰილის სკეტჩივითაა - აი ის: ნაშა რო ევასება და ის ნაშა მაგრა რო იტყლარჭება: სუ დიეტაზე როა... მერე ჯვარს რო იწერენ და ეს ქალი შიგ ეკლესიაში რო იწყებს თოხლების ღორივით თქვლეფას... მატყუარები!

— რო იბერება... - შეაშველა სიტყვა რეზომ. — მასეა... გვატყუებენ, ძმებო! ჰოდა, ვამბობ - ვიდრე არ დაიძმაკაცებ, არაფერი არ გამოვამეთქი...

— სად შეუძლია ქალს ძმაკაცობა? - მოხვრიპა გიგიმ ჩაი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჩუმად ვიჯექი.

— ამიტო თავისუფლებას არაფერი ჯობია! - განაგრძო რეზომ. - წავიდა და წავიდეს, არა? - შემომხედა და თვალი ჩამიკრა.

მე თავი დავუქნიე.

— დედაჩემმა რა, ეგრე არ შეიწირა საწყალი მამაჩემი? - თქვა უცებ გიგიმ.

— შეიწირა? - გაუკვირდა რეზოს.

— ქმარს რო ისე დააშინებ, რო ამერიკაში გაგექცევა და იქიდან მთელი ოცდაშვიდი წელი ერთხელ არ დარეკავს, არც შენს ამბავს იკითხავს, არც შვილისას, რა ჰქვია მაგას?!

— რა გინდა, ხო გირეკავს?.. ფულსაც გიგზავნის... - გამოესარჩლა რეზო გიგის მამას.

— ვიდრე ოცდაშვიდის არ გავხდი?? - გაბრაზდა გიგი. — მაგას რაც დააკლო იმ სირქალამ, ჩემზე ინაზღაურებს... მამაჩემმაც მითხრა ამასწინებზე - მაგარს უძლებო... მართალია!

— მერე ვერ წაგიყვანს? - ვკითხე მე და კიდევ ერთი ჭიქა დავისხი.

— წამიყვანს, როცა იქნება, სად წავა? - დარწმუნებით ჩაილაპარაკა გიგიმ და ისიც წამოდგა.

კიდევ ბევრი ვიქაქანეთ. მერე ისევ დიდ ოთახში გადავინაცვლეთ და სკამებზე ჩაგვეძინა.

დილას ანდრომ გაგვაღვიძა. ადრიანად მოსულიყო.

— ქელეხზე რა ხდება? - ჰკითხა რეზოს.

— ნელსონთან ვაკეთებთ...

— ფუუჰ, იმ საღორეში?! - წამოსცდა გიგის მთქნარებით. — სირცხვილია... რამე წესიერი ვერ იშოვეთ? ჩემთვის გეთქვათ... ქართველიშვილს გადავურეკავდი...

— შენ რა გინდა, ძმაო?! - გაბრაზდა რეზო. — არაფერი საღორე არ იქნება. - აგერ დღეს ქალებს გავუშვებ, დააწკრიალებენ იქაურობას... ფარდებსაც დაკიდებენ. საღორე არა, ისა... თან უფასოდ კეთდება... ნელსონი ხო ძმაა?

— ძმაა, მა რაა? - ვთქვი მე და გამახსენდა, რომ ჯიბეში პლანით სავსე ქაღალდის ფუთა მედო. თან ინსტინქტურად მაჯაზეც დავიხედე. მაჯაზე აღარაფერი მეკეთა.

— თორმეტზე მღვდელი უნდა მოვიდეს... - თქვა ანდრომ და კედლის საათს ახედა.

იქამდე კაი სამი საათი იყო დარჩენილი.

●●●

მღვდელი მართლაც ზუსტად თორმეტზე გამოცხადდა. მე და ანდრო კიბესთან ვიდექით და სიგარეტს ვეწეოდით.

კიბის ქვედა უჯრედში რომ ამოვიდა, თვალებმოწკურულმა ამოგვხედა, მერე იქვე აყუდებულ კუბოს თავსახურს შეხედა - კუბოზე ჯვარი იყო ამოტვიფრული. შემდეგ ისევ ჩვენკენ ამოიწვდინა მზერა და შევატყვე, რომ რაღაცამ გააღიზიანა.

— აქეთ მობრძანდით, მამაო! - თავაზიანად ამოიპატიჟა ანდრომ.

— რა არის ეს?! - გაიშვირა მღდელმა პასუხად ხელი კუბოზე ამოტვიფრული ჯვრისკენ.

— კუბოს სახურავი. - ვუთხარი მე და მღვდელი კიდევ უფრო გაბრაზდა.

— ბრმა კი არა ვარ! ამაზე გეკითხებით!!. - მღვდელმა თითი ჯვარს მიადო.

მე მხრები ავიწურე.

— ჯვარია... მეკუბოვეს გავაკეთებინეთ. - აუხსნა გაკვირვებულმა ანდრომ.

— ჯვარია ეს თუ, აეროპორტის ემბლემა?! - საერთოდ გაცეცხლდა მღვდელი. — ან იკითხეთ და წესიერად გააკეთეთ, ანდა საერთოდ ნუ აკეთებინებთ!.. რატომ აქვს კიდეები დახრილი?! სად გინახიათ ეგეთი ჯვარი?!. თფუი!!

გაჩუმებულებმა თავი დამნაშავეებივით ჩავქინდრეთ და მღვდელს გზა დავუთმეთ. მან მტკიცე ნაბიჯით ამოიარა კიბე და ბინაში მკაცრი ნაბიჯით შეაბიჯა.

მე ანდროს გადავხედე. ის ძლივს იკავებდა სიცილს და არ იცოდა, სად წაეღო აცრემლებული მზერა. თვალი ჩავუკარი.

— მაგარი მამაოა, არა? - ვკითხე თან.

ანდრომაც ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, პირზე აიფარა და გაწითლდა.

— შევიდეთ, შევიდეთ... - ვუთხარი მე, მაგრამ ანდრომ თავი უარის ნიშნად გააქნია.

— სიცილი ამიტყდება... - ძლივს ამოთქვა და სიგარეტს ძალიან ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— ეს რა ქოქოლა დაგვაყარა... - გავიკვირვე მე და ბინაში შევედი.

დიდ ოთახში სიჩუმე იდგა. მღვდელი კუბოს არტყამდა წრეს და რაღაცას ბუტბუტებდა. თან წყალში აწებდა „ჩოთქს" და აქეთ-იქით ასხურებდა. ყველანი მდუმარედ იდგნენ და თავზე ცხვირსახოცები ეფარათ. ცოტა ხანი უხერხულად ვიდექი და ჯიბეებში ვიქექებოდი. ცხვირსახოცს ვერსად მივაგენი და რეზოსკენ გავიხედე. მას თვალები ჭერში აღეპყრო და თავზე სამზარეულოს ჩვარი ედო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო - თავი ვერ შევიკავე და პირზე ხელისგულაფარებული გარეთ გამოვვარდი. ანდრო ისევ იქ იდგა და თავისთვის ფლუკუნებდა.

— რა ხდება? - შემომხედა აფორაჯებულმა.

— რეზო... - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე და კიბეზე კისრისტეხით დავეშვი. უკანა სადარბაზოდან ხარხარით გავვარდი გარეთ და კაი ხანს მეჭირა მუცელი ხელით.

მალე ანდროც გამოვარდა და ისიც ამყვა. სული ძლივს მოვითქვით. დავწყნარდით. დავშოშმინდით.

— მერე თქვი, არაა კრეტინიო! - ამოიგმინა ანდრომ და სკამზე ჩამოჯდა. — ეგ მოლეკულა, ეგა!

— არ გაგიგოს, თორე დაგბრიდავს! - გავაფრთხილე მე.

ანდრომ ხელი ჩაიქნია და ცას ახედა.

— გამოიდარა აი...

მეც ავიხედე. ცა ლურჯად კვასკვასებდა და ზედ ღრუბლის ფთილაც კი არ ჩანდა.

— ბავშვობიდან მიყვარს ზამთარი... - დაიწყო ანდრომ. — სუ კარგად ვარ ხოლმე ამ დროს... კაი ხასიათზე. ყველაფერი გამომდის. ერთი იღლიაში არ მომივა...

— იაღლიში. - შევუსწორე მე.

— იღლიაში. - თქვა ისევ ანდრომ. — ახალი გაგებაა... იაღლიში-მიაღლიში არ ვიცი - იღლიაში და მორჩა!

— გაზაფხული არ გიყვარს? - შევეკითხე მე.

— ფუუჰ! - დაიჭყანა ანდრო. — გაზაფხული არ გამახსენო...

მე დავფიქრდი და ბავშვობა გამახსენდა.

— ისე, რა მაგარი კინოთეატრი იყო...

— რა? - ვერ მიხვდა ანდრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „გაზაფხული". ორ-ორ კინოს რომ აჩვენებდნენ... მაგრად ასწორებდა...

— ჰოო... გახსოვს „ახალგაზრდა მგლები" - სეანსი რო არ გავმაზეთ?... - გაიღიმა ანდრომ და მერე საათზე დაიხედა.

— ავიდეთ?..

— ჯერ ადრეა... - ვუთხარი და მეც გვერდით მივუჯექი. — მამაო წავიდეს და მერე...

ცოტა ხანს ისევ ჩუმად ვისხედით. მერე ანდრომ საწყალობლად ამოიოხრა. გაკვირვებულმა გადავხედე.

— რაო?

ანდრომ თავი მძიმედ დააქნია და ძირს დაიხედა.

— აღარ ვიცი, რა ვქნა... - ჩაილაპარაკა და ფეხი დამჭკნარ ფოთლებში ააშარიშურა.

— რაზე? - ვერ მივხვდი მე.

— ნანა მიხურებს... - სევდიანად ამოთქვა და რაღაცნაირი, გასაცოდავებული მზერით გადმომხედა. მე შუბლი შევკარი.

— აკი ყველაფერი კარგად იყო?

— იყო, იყო და აღარ არი... ჩემი აღარ ჯერა, კოკა... ბეწოთიც კი... რასაც არ ვიტყვი, ყველაფერზე მეკამათება... არაფერში აღარ მეთანხმება...

— მერე? - შევეკითხე მე.

— რაღა მერე?..

— შენ ნანასი გეშინია. - დავუხეთქე უცებ და ანდროც შეკრთასავით.

— ძალიან. - მითხრა ცოტა ხნის შემდეგ.

— არადა, პირიქით უნდა იყოს!... - ვთქვი მშვიდად. — შენ შენი თავი დაკარგე... უკვე ცარიელი ადგილი ხარ ნანასთვის...

— რატომ მერე?

— ყველა აქაური ცოლი ეგრეა... გაუნაზდები და ეგრევე ძალას გრძნობენ... ივსებიან, იბერებიან, თავს გასდით...

— ვითომ? - რაღაცნაირად უმწეოდ დამეკითხა ანდრო.

— ვითომ თვითონ არ იცი... - შევეპასუხე იქვე. — თავიდანვე ხომ რბილი იყავი ნანასთან?.. წესიერი, ზრდილობიანი, კულტურული, ალერსიანი?..

— რა ვქნა, ვცემო? - დააბრეხვა უცებ ანდრომ.

— ხანდახან ეგ ერთადერთი გამოსავალია ხოლმე.

ანდრო დაიძაბა და შევატყე, რომ მართლა შეშინდა.

— როგორ?.. ნანას ხელი დავარტყა?

— რატო ხელი? - გამეცინა მე.

ანდრო გაჩუმდა.

— წავა!.. - თქვა მერე. — არ იცი, რა ამაყია?.. ბავშვს რა ვუყო მერე?..

— რა უნდა უყო?.. ძუძუ შენ არ გაქ და ფული?

— ფული აქ არაფერი შუაშია...

— ჩუ!.. - გავღიზიანდი უცებ. — ეგ მეორედ არ თქვა!.. ქალისთვის ფული ყოველთვის შუაშია... ბრმა ხომ არ გგონია?!.. ხომ ხედავს სხვებს?.. გრიალს... თავმოყვარეობა ელახება... შენგან ელოდა, ელოდა ხსნას... და, ალბათ, მობეზრდა...

— არ არი ეგრე! - შემაწყვეტინა ანდრომ.

— ანდა უბრალოდ, სიყვარული აღარა გაქვთ ერთმანეთის და მორჩა!.. აღარც პატივისცემაა...

ანდრო დაფიქრდა.

— არადა, ადრე შენც ხომ გახსოვს, როგორი იყო?.. - გაიხსენა უცებ. — როგორი ყურადღებიანი, დაკვირვებული... სულ მისმენდა და თვალებში შემომცქცინებდა...

— ყველანი ერთ დღეში ვართ... - ჩავრგე ხელისგულებში სახე და ამოვიხვნეშე. — არა უშავს... მერე ინანებენ...

— როდის? - შემეკითხა ანდრო.

— როცა გვიანი იქნება.

— რაღაც უნდა მოვიფიქრო. - თქვა ანდრომ და ფეხზე სხარტად წამომდგარმა საათზე დაიხედა. — უჰ, ჯერ პირველი ყოფილა... მე უფრო გვიანი მეგონა... რა ვქნა?

მეც ფეხზე წამოვდექი.

— ერთხელაც ადექი... - მომივიდა უცებ თავში აზრად. — ღამით რომ დაწვებით... და გადაუბრუნდი ზურგით...

— მერე? - ყურადღებით მისმენდა ანდრო.

— მერე? მერე ადექი და ხმამაღლა დაანძრიე, ისე რომ - გაიგოს!..

— გაგიჟდი?!

— აბა, სხვა რა უნდა ქნა?!.. არა მე რა გირჩიო??.. ჩემი თავისთვის ვერ მომივლია!!.. რაც იქნება, ის იქნება! ყველაფერი შეიძლება უკეთესობისკენაცააა...

— არ ვიცი... - ჩაიქნია ხელი ანდრომ. — აღარაფერი აღარ ვიცი... ნძრევით რა გამოვა?.. თან ბავშვი...

— მაშინ მკითხავთან წადი. - ვურჩიე ნახევრად ხუმრობით.

ანდრომ სერიოზულად შემომხედა.

— ისე, მაგაზე, სხვათა შორის, ამასწინათ ვიფიქრე...

— მერე?

— ხუტა სადაა... აღარ შლის კაარტს?

— რავი... კარტი არ ვიცი და ეს მოსაწევი მე და ხუტას ჩამოგვივიდა... კარტზე არაფერი მიკითხია... - ავიჩეჩე მხრები და ქუჩისკენ გავიხედე. — წავიდეთ მერე... ვნახოთ... მეც მინდა ისე, რაღაც-რაღაცების კითხვა.

— რეების? - შემეკითხა ანდრო.

— სულ აიმ სიზმრებზე ვფიქრობ... - მივუგე პასუხად და დავაკვირდი.

ანდრო შეიშმუშნა. ცოტა ხანი ტანაქავებულივით წრიალებდა. მერე ერთბაშად დაწყნარდა და დაღონდასავით. სადარბაზოდან ამ დროს მღვდელი, რეზო და გიგი გამოვიდნენ. რეზო მღვდელს ხელზე ეამბორა და მანაც პირჯვარი გადასახა.

— რა ჩათლახია მაინც! - დასცდა ანდროს ამ სცენის დანახვაზე.

მე გამეღიმა. მღვდელი იქვე მდგარ თეთრ მერსედესში ჩაჯდა, მანქანა მოქოქა და ალმართზე ავიდა. გიგიმ და რეზომ თვალი გააყოლეს. მერე მოტრიალდნენ და ჩვენკენ წამოვიდნენ.

— რას ჰგავდი, შე ჩემა! - ვუთხარი რეზოს და მანაც ხელი ჩაიქნია.

— თავი დამანებე ერთი!.. გავიწრე მაგის დედა ვატირე... სადაა ამდენი მაყუთი... გაპარსულიგაუპარსავი - ყველა გამოძალვაზეა...

ცოტა ხანს ჩუმად ვიდექით და ვეწეოდით. მერე ხალხმა იწყო მოსვლა და ჩვენც ავედით. ჭირისუფლებში გაჭირვებით ჩავეკვეხეთ. ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. სულ მალე მთელი უბანი შეიყარა. დიდი თუ პატარა აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. კალეს ყველა იცნობდა. მერე სხვებიც მოვიდნენ - სულ უცნობები: ალბათ, პატივისცემის ამბავში; ჩერეზ-ჩერეზ და ასე შემდეგ. მდუმარედ არტყამდნენ კუბოს წრეს, რომელშიც გაღიმებული კალე იწვა, ხელზე თავისი, გაჩერებული საათი ეკეთა, გულისჯიბეში კი პატარა ქაღალდში გამოკრული პლანის ფუნჩხა ედო.

ბოლოს ნელსონიც მოვიდა და მომსვლელებსა და ჭირისუფლებში გვარიანი შმუშვნა გამოიწვია.

— ეს რა თავზარი დაგვატყდა თავს, ბატონო რევაზ! - ორივე ხელი ჩამოართვა რეზოს და კუბოს ფართო ნაბიჯებით, სწრაფად დაარტყა წრე.

— ჩემთან ყველაფერი ოკეია, ბატონო რევაზ... - გადაულაპარაკა გამოსვლისას ისევ რეზოს.

— გაგარევაზებ თუ მოგდე მაგ შავ სიფათში!.. არ იქნება და შენი აჯობებს!.. - გადაუჩურჩულა რეზომ. — გაგიშვებ სამუდამოდ პლანტაციაში... ნატანებში!

ნელსონმა თეთრი კბილები გადმოყარა და მერე ისევ უცებ მომუწა პირი. ჩემთან ცოტა ხნით შეყოვნდა და ცალი თვალით ჩამომხედა.

— როგორი იყო?

მე თავი დავუქნიე და გავუღიმე.

— აწი სუ იქნება?

— ქე-ლე-ხში. - დამიმარცვლა ნელსონმა სიტყვა და გავიდა.

მე კმაყოფილად ჩავახველე.

●●●

სახლში გვიან მივედი: - ცარიელ სახლში - თითის სრესით.

— ლოლა! - დავიყვირე ბინაში შებიჯებულმა ჩემდა უნებურად; - იმ იმედით, რომ ლოლა საიდანლაც გამომეპასუხებოდა, მაგრამ ბინაში სამარისებური სიჩუმე იდგა და ჩემი ყვირილიც მოგუდულად აისხლიტეს კედლებმა. დიდ ოთახში შევედი და მიმოვიხედე. ლოლას რაღაც-რაღაცები გაეზიდა. მაგიდაზე წერილი იდო.

„ხვალ შუადღეზე მუშები მოვლენ. დანარჩენს წაიღებენ."

კიდევ ერთხელ მოვავლე ოთახს მზერა და რატომლაც ავმსუბუქდი. ტახტზე წაკოტრიალებულმა ჭერს ავხედე. ჭერი ჩემკენ იყო - თავისი ლაქებითა და ბზარებით. კედლებიც ასევე - ალაგ-ალაგ აქერცლილები და დაყვითლებულები. მერე წამოვდექი და კედლის სარკეში ჩავიხედე. რატომლაც მობერებული მეჩვენა თავი, გადამჭკნარი; პირველად სიცოცხლეში - ძალიან მოხუცებული.

სარკის ორეულს ვუთხარი: — რაღათქმაუნდა, ლოლა... - მრვწიე და გაუხდელადაც მივეგდე.

ვინ გამხდიდა. ლოლა აღარ იყო. მერე ისევ სიზმარი მოვიდა. ძალიან უცნაური და ბუნდოვანი.

თითქოს ვიღაც ჟანგიანკბილებიანები რაღაცას ჩურჩულებდნენ და მრგვალ მაგიდაზე „ლოკომოტივის" სტადიონის რუკა ჰქონდათ გაშლილი. მათი უფროსი ბეჭდიანი თითებით კატას ეფერებოდა. მერე ვიღაცები სნაიპერებს ქირაობდნენ: მობილურებზე ურეკავდნენ, ფასზე უთანხმდებოდნენ და იძახებდნენ. მერე რაღაც იარაღებით იყო სავსე სეიფი. სულ სხვადასხვანაირებით. ფულიც იდო დაპაჩკული. ტყვიაგაუმტარ, სიფრიფანა ჟილეტებსაც იცვამდნენ და ერთმანეთს ტირში ეჯიბრებოდნენ სროლაში. მერე ამ კატამ დაიკნავლა და სადღაც გასხლტა და შუაღამით, როდესაც ჯერ კიდევ ქლიავისფრად ბნელოდა, თვალები ვჭყიტე, შუქი ავანთე, მბჟუტავ ნათურას ავხედე და წამოვჯექი.

-ლოლაა! - ვიბღავლე ისევ ჩემდა უნებურად და გამახსენდა, რომ ლოლას აქედან ძალიან შორს იყო - ალბათ, დედამისის ბინაში. მარტოდამარტოს, ალბათ, ღრმა ძილით ეძინა ან კიდევ უფრო ღრმათი და უცებ შემრცხვა. კალესავით სიკვდილი მომინდა. ისე ძალიან მომინდა, რომ გულზეხელებდაკრეფილი მივწექი, ფეხები გადავიჯვარედინე და თავთით სანთელი დავინთე. ეგრეც ჩამეძინა. უკვე უსიზმროდ. სიცარიელეში, სრულ სიმუქეში ვფარფატებდი მზის ამოსვლამდე. უფრო მეტიც: ვიდრე მზემ საშუადღეო სხივები არ დამაწყო უსაბნო სხეულზე და არ დამტენა, ამავსო, დახუჭული ქუთუთოები არ ამითრთოლა და არ გამახილა.

გავიხილე თუ არა, სანთელს გადავხედე. სასანთლე როგორც კალესთან პირველ ღამეს, ისევ დიდ, თეთრ, მოწყენილ სტალაქტიტს ჰგავდა და მეც შევწუხდი. მივხვდი, რომ ღია ფანჯარაში ჩქამითაც ვერ შემოებედა ნიავს, არათუ ქარს - ანუ დღევანდელი დღე სიმშრალეს მიქადდა. ფანჯრისკენ წავიწვდინე მზერა. აღარ თოვდა. ცაც ლურჯი იყო და მზეც თვალისმომჭრელად კვასკვასებდა.

მოვწიე, უცებ გადავიცვი და თოვლიან ქუჩაში გამოვვარდი. გარეთ გამოსულსღა გამახსენდა, რომ მთელი ფული სხვა შარვალში მქონდა, ანუ სახლში დამრჩენოდა - ქურთუკის ჯიბეში კი მხოლოდ ერთი გახვრეტილი ორმოცდაათთეთრიანი მეგდო. უკან ასვლა მომეზარა და ას ოცდათორმეტის მოლოდინში ცარიელ გაჩერებაზე გავჩერდი. ის პირდაპირ კალეს სახლთან მიმიყვანდა. კაი ხანს ჩუმად ვიდექი და ველოდებოდი. თან სიგარეტს ვეწეოდი და ზამთრის მზით ვთბებოდი.

— სად არი ამდენ ხანს?!.. - დამცდა ხმამაღლა კაი თხუთმეტწუთიანი ლოდინის შემდეგ.

თვალის კუთხით დავინახე, ეზოში, ჩემი კორპუსის წინ, ოთხფეხა ძაღლები გროვდებოდნენ.

— ვაა... - გამიკვირდა ჩემთვის.

გვერდით მეზობლის ქალმა ჩამიარა და თავისქნევით მომესალმა.

—პანაშვიდზე მიდიხარ? - გამიღიმა ტკბილად. - საწყალი კალე...

—აბა? - ვუპასუხე და მანაც გზა გააგრძელა.

ას ოცდათორმეტი ისევ არ ჩანდა. კორპუსის წინ შეკრებილმა ძაღლებმა ერთმანეთში მძუნაობა დაიწყეს. ამ სანახაობის ყურებაშიც კაი ნახევარი საათი კი გავიდა. მთელი უბანი შეიყარა. ზოგმა ფოტოაპარატიც გამოიტანა. მაგარი ყაყანი და ხითხითი იდგა. ოცამდე ძაღლი ერთმანეთზე იყო ამხედრებული და მიდიოდნენ... უბერავდნენ. მოთმინებადალეულმა, როგორც იქნა, ავარიდე მზერა ძაღლებს და ისევ ას ოცდათორმეტის მოლოდინში გავყუჩდი. ის არა და არ ჩანდა.

ფეხით წასვლაც არ იქნებოდა - კაი შორს იყო. მართალია, სულ არ ციოდა, არც თოვდა და კაი მზიანი შუადღეც მცხუნვარებდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლში ფეხით სიარული მაინც საშინლად მეზარებოდა.

ჩემს გვერდზე სიგარეტის სანახევროდ ჩამწვარი ნამწვი დაეცა. ზემოთ ავიხედე. აივნიდან გაღიმებული ხუტა ჩამომცქეროდა.

—იწვები აი... როგორ დგახარ, ტო?

მე თითი ტუჩებთან მივიტანე.

— ჩუ!...

— რა ჩუ? - გაუკვირდა ხუტას.

— ას ოცდათორმეტი სადაა, ხუტა?

— სად იქნება, მოვა... თხუთმეტ წუთში ერთხელ დადის.

— რა თხუთმეტი, ხუტა, საათნახევარია აქა ვდგავარ! - ავიქნიე ხელი. — არ მოდიხარ პანაშვიდზე?

ხუტამ ცარიელ ქუჩას გახედა.

— მერე მოვალ... საღამოსკენ.

სწორედ ამ დროს ქუჩის ბოლოში პროცესია გამოჩნდა. პროცესიას წინ ბავშვი მოუძღოდა ხელში დიდი შავ-თეთრი სურათით. კუბოს ექვსნი მოასვენებდნენ. მათ უკან ხალხი მოაბიჯებდა. ყველანი შავებში. მდუმარედ და მძიმედ, თავჩაქინდრულები მოზოზინებდნენ და რაღაც ზმუილისმაგვარიც ჩამოწვა ქუჩაში.

პროცესია გამისწორდა და უცებ გავხევდი:

ხალხის უკან ას ოცდათორმეტების მთელი არმია მოღოღავდა.

გაოცებისგან პირი დავაღე. ეზოში შეყრილმა ძაღლებმაც კი მიანებეს ერთმანეთს თავი და პროცესიას მოუტრიალდნენ. მეზობლებიც, სეირის მაცქერალნი, ყველანი ერთბაშად დადუმდნენ.

პროცესია ნელა მიიწევდა წინ.

— რა ხდება? - წავიჩურჩულე ჩემთვის.

— ას ოცდათორმეტის შოფერს მოუკლავს თავი... - მომესმა უცებ ხუტას ხმა. - გასვენებაა...

ავხედე და ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეკივლა სიცილისგან. ხუტა ზემოდან ჩამომღიმოდა და თვალს მიკრავდა.

—ამო, ამო... ჩაი დავარტყათ და ერთად წავიდეთ... ტაქსით წაგიყვან... - მითხრა მერე და მეც აღარ მიყოყმანია - ხუტას სადარბაზოში თავქუდმოგლეჯით შევვარდი. ლიფტთან საშინელი სიცილი წამსკდა და იქ მდგომი ორი მორიდებული ქალბატონი ძლიერ შევაშფოთე. ერთმანეთს ცერად გადახედეს, მერე კიბისკენ მოკლე ნაბიჯით დაიძრნენ და ფეხით აუყვნენ.

ლიფტი მოვიდა და კარები ხმაურით გაიღო. შევედი და მესამეს დავაჭირე. კაბინა ზუზუნით დაიძრა და მალევე გაჩერდა. კარი ხმაურით გაიღო.

ხუტას ბინის კარი მოხურული იყო. შევაბიჯე და ბინაში დაგუბებული ჰაერი ღრმად შევისუნთქე. ხუტა თავის სავარძელში იჯდა და დაბალ მაგიდაზე კარტს შლიდა. თვალი ჩავუპაჭუნე და წინ ჩამოვუჯექი. ხუტამ მხოლოდ თავი დამიქნია. მე მზერა ხუტას უკან, კედელზე ასხლეტილ ხუტას თავის ჩრდილს მივაწებე. მერე ხელისგულზე დავიხედე და ცერი გავიწვალე.

—რამდენი ხანია ჩემთვის არ გიმკითხავია... - ჩავილაპარაკე ჩემთვის და ხუტას ავხედე.

შევატყე, რომ ესიამოვნა.

—რად გინდა რო? - შემეკითხა ვითომ ზერელედ.

—მინდა რომელია... - ვუპასუხე და ხელისგულები მოვიფშვნიტე.

ხუტა დიდხანს შლიდა კარტს და რაღაც სისულელეებს მეკითხებოდა. მაგალითად - რამდენი წლის ვარ და ისე რამდენის მგონია თავი. ან რა სიმაღლის ვარ და რამდენის მინდა ვიყო. კიდევ, დღეში საშუალოდ რამდენს ვფსამ და ასე შემდეგ...

მერე, როგორც იქნა, დაასრულა კარტის შლა და გაიღიმა.

—ნამდვილი სიგიჟეა... ეგეთი არაფერი გამიგია!

—რა ხდება?

—უკვე მეოთხეჯერ ამოვატრიალე...

—მერე?

—მერე ოთხივეჯერ ოთხი ტუზი ამომყვა.

—დიდი ამბავი...

—დიდი ამბავი კი არა, სხვა დროს ერთიც კი სანატრელია ხოლმე... აქ კი ერთბაშად ოთხი და თან ზედიზედ ოთხჯერ.

მე სახე გამებადრა.

—დიდხანს ვიცოცხლებ?

—უარესი. - მითხრა ხუტამ და კეთილად გამიღიმა.

—და კალეს სიზმრები? - შევეკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

ხუტამ წარბი შეკრა და კაი ხანს მაკვირდებოდა.

—რა კალეს სიზმრები?

—აი ისინი... რო გითხარი...

ხუტამ თავი გადააქნია.

—კალეს სიზმრები არ ვიცი... აქ უნდა იყოს... წინ მეჯდეს... თვალებში შევყურებდე... ეგრე არაა...

—ყველა ვხედავთ, ტო... ხო მოგიყევი - ნაცნობები... უცნობებიც... კალეზეა ყველა... ვითომ რაღაც მაყუთს ჩითავს, თამაშზე დებს - თამაშის ჩაშლაზე და მერე თვითონ ჭრის პროვოდებს თუ გენერატორს ბრიდავს.

—მერე იგებს?

მე მხრები ავიჩეჩე.

—ეგ ჯერ არავის დასიზმრებია.

ხუტა სავარძელში გადაწვა და ინტერესით შემომაცქერდა.

—ასე მგონია - ვგიჟდები. ან მეჩვენება. მაგრამ არ მეჩვენება... სხვებიც ხედავენ... ყველამ ნახა-მეთქი...

—უბედური კალე... - ამოიხვნეშა ხუტამ. - რა გითხრა, აბა? მკვდარია კაცი და... მე ცოცხლებზე ვმკითხაობ... აბა, მკვდარზე რა გითხრა... არ გაცოცხლდება, ერთი ეგ ვიცი... აი შენ თავს კი რაღაც ამბავია. - თქვა ხუტამ და მზერით ლამის გამბურღა.

მე მხრები ავიჩეჩე.

—ჯერ არაფერი...

—იქნება! - შემაწყვეტინა. - და ხუტა ძია არ დაგავიწყდეს, იუზგარ...

—იუზგარი მამაშენია! - ვუთხარი მე.

—მამაჩემი მკვდარია. - მითხრა ხუტამ და მეც სრულიად შემთხვევით ჯიბეზე მოვისვი ხელი.

იქ მაკას გამოტანებული კასეტები იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირაკლი ციგროშვილი



•

თავდავიწყების დღეთა ნაცარო,
იქნებ, როგორმე ცოტაც მაცალო!
იქნებ, როგორმე ცოტაც გაუძლოს
გულმა ტკივილებს. ახლა ცა უფრო
გამმსჭვალავს მზერით... ბედისწერულო,
გადასასვლელის მქრქალო ბურუსო,
დღეს მომესურვა ყველაზე მეტად,
მიწასთან, ცასთან რომ ვიგულუხვო...

•

პოეტი - მწყემსი,
მოდარაჯე ამ მიწის, ამ ცის.
ზენაარ ხმათა მადლს
ლოცულობს ათოვს თუ აწვიმს...

წიწამურიდან,
კრწანისიდან რეკვა ზარების
აფხიზლებს... ზვარაკს მოითხოვენ ნაფუძარები.

პოეტი - მწყემსი -
ვინაც ქვეყნის ვალი იწამა -
დგას ბეწვის ხიდზე,
გულისგულით ფიცავს მიწა-წყალს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

სულ სადღაც მიიჩქაროდი,
სულ სადღაც იგვიანებდი...
ვერ გაიარე ბოლომდე
ამ სოფლის სიგრძე-განედი.
იცანი დღეთა ბრუნვაში
დრო ამო...განუკითხავიც.
უმწეო და წინმავალი -
უკანას ხიდი იყავი...

სხვას თუ სვემ ერთხელ არგუნა,
შენ წილად გერგო ორწილი...
წერა-მწერელის პირმშო ხარ
და უფლის მონა-მორჩილი.

●

მიწა მეყრება, ხრეში, ქვები და
ჩემი სხეულიც დაინგრა ლამის.
როგორ გავიდე ნანგრევებიდან,
როგორ ვიგემო რიყრაყის ნამი...
ცოცხალი კი ვარ,
მაგრამ წამიწამ
ბნელში წუხს ჩემი გული, თვალები.
ვით ვესალბუნო ახლა ამ მიწას,
ვით ვიგრძნო სუნთქვა ფერისცვალების.
ო, ნაფუძარო, გვედრი წინადღეს
ჩემი ვარსკვლავი კვლავ დამანახე
და, თუ როგორმე წამოვიმართე,
მე შეგიგროვებ მკურნალ ბალახებს.

●

ბრუნავს იუდას დაწყევლილი დღეისდღის ჩარხი,
ფლიდთა სოფელმა დაამყარა დროსთან ზავი და...
უსამართლობა, უზნეობა ამგვარი სახით
დღემდე არ ახსოვს ისტორიას დასაბამიდან.

სჭირდება ხელი განგებისა - ჩანავლულ ღადარს,
განგების რისხვა - ავზნიანსა და ფარისეველს.
დროის ნაპრალებს
დრომვე უნდა ახადოს ფარდა,
სნეული სოფლის მკურნალია ჟამი ისევე.

## ლექსი თვალთმაქცზე

ვერ ჩამოგრეცხა მდინარემ მური,
იუდას წყევლა გიზის ბაგეზე.
რა რწმენით მიხვალ,
რა გულისყურით,
მაცილის თვალი საით გაქეზებს.

თუ რამ სიავე სხვებისთვის გსურდა,
თუ რამ უფლისთვის შეგიცოდია;
ესეც სოფლისთვის
მზერაა მრუდი,
ესეც წყევლის და წყენის ლოდია...

ვერ ჩამოგრეცხა მდინარემ მური,
ხარ აღბეჭდილი დღეთა სახეზე.
მიწა დაგიცხრობს
თვალთმაქცის სურვილს,
შენ შენი წილი მიწა დაგეძებს.

●

ზამთარგამოვლილ უსიერში -
აღმოსავლისკენ მაცქერალი
ხეები ლოცულობენ ბეღურას ბედზე.
ჩამოვისვენოთ,
კვირტების ზეიმს
ჩვენც ჩვენი გულის საწადელი გავუზიაროთ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამაზ ხმალაძე

## ტოპონიმოსი



თავიდანვე ცუდი უგრძნო გულმა - საათი ხდებოდა, რაც საუბრობდნენ და ერთმანეთისთვის სათქმელი ვერ გაეგებინებინათ.

-...არა, არა, ბატონო ლადო, ონომასტიკა ფართო ცნებაა და ყოველგვარ საკუთარ სახელს შეისწავლის, მე კი მხოლოდ ტოპონიმები უნდა ჩავიწერო,ტოპონიმები და სხვა არაფერი, - კიდევ ერთხელ ცდილობდა, დინჯად, გამოწვლილვით აეხსნა საქმის არსი.

- ვიცი, კაცო, რად გინდა ამდენი ლაპარაკი, ვინც კი თქვენამდე ჩამოდიოდა, ყველა მაგას არ მიხსნიდა? - გაოფლილ თავ-კისერს ვეება ცხვირსახოცით იმშრალებდა ზედაშიანის სოფსაბჭოს თავმჯდომარე.

- მინდა, განგიმარტოთ, ბატონო ლადო, რომ ჩემი სპეციალობისა დღემდე აქეთ ვერავინ იქნებოდა, მე პირველი ვარ.

- ეგეც ვიცი, ეგეც ვიცი, შენს გახარებას, - სახიდან ღიმილი არ შორდებოდა თავმჯდომარეს, - ისინიც ზუსტად ეგრე ამბობდნენ.

ვერა, ვერ იტყოდნენ!

აბა რანაირად იტყოდნენ, როცა ტოპონიმიკისა მაშინ საქართველოში ბევრს არაფერი გაეგებოდა, ჯერ სულ ახალი ხილი გახლდათ და ფეხს იმხანადღა იკიდებდა ჩვენში. თუმცა სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ სწრაფი ტემპით მიიწევდა წინ და უკვე ეტყობოდა, თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებდა სამამულო მეცნიერებაში.

მაშ!

მაგრამ არ გინდოდა, ამათთვის გაგეგებინებინა?

- კარგი, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, არ გვინდა, ჩემო... რა თქვი, რა მქვიანო? ჰო, ჰო, პეტრე... - ცხელოდა. თავმჯდომარეს აქედან გაღწევა ეჩქარებოდა, საუბარი კი რატომღაც ჭიანურდებოდა და თანდათან უფრო უაზრო ხდებოდა, - ასე რომ, ჩემო პეტრე, შენც ხომ აქ იყავი, კაცი რომ გავაგზავნე ღენდერებთან, სადაც არის, მოვლენ და იმათ იციან თავიანთი საქმე. ვინც კი თქვენნაირი ჩამოსულა, ყველას ისინი მასპინძლობდნენ. ზედდატანებით ეხლა იმისთანა დრო უდგათ, საკეთებელი ბევრი არაფერი აქვთ. ჰოდა, გაწერინონ და გაწერინონ, რაც შენს გულს გაეხარდება.

- ჩემი სპეციალობისა აქეთ ჯერ ვერავინ იქნებოდა...

ემტკიცებინა, რაა, ვინ უსმენდა?

- ასეა თუ ისე, თქვენ რომ ხალხური ლექსები გაინტერესებთ, ღენდერებზე უკეთესად ვერავინ ჩაგაწერინებთ. რა გინდა, სულო და გულო, მაგათ არ იცოდნენ.

ლექსები რა ჯანდაბად უნდოდა პეტრეს?!

- არა, არა, ბატონო ლადო, მე ფოლკლორისტი კი არა ვარ, ტოპონიმებს ვიწერ! - ერთი დაუყვირება ქვეყანას ერჩია პეტრეს.

- ეეეჰ, მერე თავიდანვე ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო, - უკმაყოფილება დაეტყო თავმჯდომარეს, - მაგრამ რა ვუყოთ, არა უშავს რა, მაგასაც არაფერი უჭირს. რა ადათ-წესებიც თქვენ გაინტერესებთ, მარტო სუფრისა კი არა, რავი, რისაც გინდა... ფარდაგების ქსოვა იქნება თუ ვირების დანალვა, არ გაგაწბილებენ და ყველაფერზე დაწვრილებით გელაპარაკებიან.

ადათ-წესები რა ჯანდაბად უნდოდა პეტრეს?!

- მე ეთნოგრაფი არ გახლავართ, არა!

- ძალიანაც კარგი, - არ დაამთავრებინა თავმჯდომარემ, - ძალიანაც კარგი! თუ ვინმე ჩვენი კუთხის კილოკავზე ლაპარაკობს, სწორედ ღენდერები არიან. ზოგჯერ იმისთანა ღრმა სიტყვას გამოურევენ, რომ ხანშიშესულებსაც კი პირი ღია რჩებათ.

კილოკავი რა ჯანდაბად უნდოდა პეტრეს?!

- ბატონო ლადო, მე დიალექტოლოგია ძალიანაც მიყვარს და ვაფასებ კიდეც, მაგრამ ჩემი საქმე სულაც არ არის. აკი გითხარით, თქვენს სოფელში ტოპონიმების ჩასაწერადა ვარ ჩამოსული-მეთქი. და ისიც მინდა იცოდეთ, რომ ტოპონიმიკა არც ერთ სხვა სპეციალობაზე ნაკლები არ გახლავთ!

- რაც არის, ეგ არის, - თავისას არ იშლიდა თავმჯდომარე, - ძველისძველი, მამა-პაპისაგან გადმოცემული ამბები მაგათ იციან, თუ იციან, ნახავ, არ დაგზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიან და ყველაფერს მოგიყვებიან.

ერიჰააა, ჰაკად იყო საქმე.

ფუჰ, აქამდე ეგრე არსად შეფერხებულა, არსად მოსცარვია ხელი.

გამოუცდელი მეტოპონიმე არ ეთქმოდა პეტრეს - მეოთხე წელი სრულდებოდა, რაც სოფელ-სოფელ დადიოდა და ადგილსახელებს იწერდა. ის კი არა, რამდენიმე თვით ერთ-ერთ მოძმე რესპუბლიკაშიც გააგზავნეს მოწინავე გამოცდილების ასათვისებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ დღეს, ამ სოფელში ჩამოსულს არც იქაური მეთოდები შველოდა და არც საკუთარი გაწაფულობა - ყველაფერი წყალში ეყრებოდა. საბჭოს თავმჯდომარეს, ეტყობა, აქამდე არც ტოპონიმებისა სმენია რამე და არც უნდა, რომ გაიგოსო, - ფიქრობდა გულშეღონებული. მაგრამ ამასთან ერთად მცირე ეჭვიცა ჰკაწრავდა: - ეს ღვთის პირიდან გადავარდნილი ხომ არ დამცინისო. იქნება, ძალიანაც კარგად არის გარკვეული ონომასტიკაში და მე მამასხარავებსო. საქმე ის გახლდათ, რომ იმ მოძმე რესპუბლიკაში, სადაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა, ასე მოძღვრავდნენ: თუ გვინდა, რომ საბოლოო წარმატებას მივაღწიოთ, მომიჯნავე დარგები კომპლექსურად უნდა შეისწავლებოდესო - ფოლკლორიც, ეთნოგრაფიაც, დიალექტოლოგიაც... და მათ შორის ტოპონიმიკაცო. გაგიხარიათ, ძალიანაც კარგი იქნებოდა, მაგრამ ამხელა საქმეს მარტოკაცი აუვიდოდა?! მაშინ თან ერთი მოზრდილი ჯგუფიც უნდა გამოეყოლებინათ. აქ კიდევ, ხომ ხედავდნენ, პეტრეს მეტი არავინ იყო. ერთ კაცს ამდენი რამის კეთება რომ შესძლებოდა, მაშინ სოფელ-სოფელ საწანწალოდ კი არავინ გაიმეტებდა!

- აგე, ნახე, - კარისკენ გახედა თავმჯდომარემ და ის სამი კაცი დაანახა, რომლებიც, ვინ იცის, რამდენი ხანია, იქ იდგნენ, მაგრამ ლაპარაკში გართული პეტრე ვერ ამჩნევდა, - აგე, გახედე, ის ლუკაა, ეს ქუხილა, ანუ ლუარსაბი, ესეც ნიკა. გაჰყევი და, თუ მაგათგან უკმაყოფილო დარჩები, აქ არა ვარ? მოდი და სულ თავ-პირში მირახუნე.

სოფსაბჭოს ეზოში მდგარ ვეებერთელა ნეკერჩხალქვეშაც ცხელოდა. განახევრებული აგვისტო ცხარობდა და საქმის კეთების ხალისს უკლავდა, ქმედების უნარს უკარგავდა ადამიანს. ქუხილა შავ, გრძელბეწვიან ძაღლთან ჩაცუცქულიყო და ჩუმად უხსნიდა რაღაცას. ლუკა თვალმოჭუტული უგდებდა ყურს ხვივილა ხევიდან მოღწეულ ჩიტის გალობას.

- წავიდეთ, რაღას ველოდებით, - თქვა ნიკამ და პეტრეს მიუბრუნდა: - რამდენი დღით აპირებთ ჩვენთან დარჩენას, პატივცემულო, რო ჩვენც ჩვენი ანგარიში ვიცოდეთ. თქმულა: თადარიგის დაჭერა ლხინსაცა სჭირდებაო.

ბევრი-ბევრი სამი დღე დღევანდელის ჩათვლით. სამ დღეში უნდა მოვასწრო ყველაფრის აღწერა და მერე ზემო მაღაროში გადავიდე.

- მოესწრება, თავისუფლად მოესწრება, - ძაღლს თავი მიანება და ამათკენ წამოვიდა ქუხილა, თან გუნებაში თითქოს რაღაცას ანგარიშობდა... - ესე იგი, ხვალეც ჩვენია და ხვალზევითიც, ჰა და ჰა, იმასზევითიც. კარგია. მოსწრებით როგორ არ მოესწრება, ცოტა ხომ არ არს, სამ დღეში კვიცი ცხენად იქცევა. ოღონდ ხვალიდანვე დავიწყოთ, არა?

- რატომ ხვალიდან, დღეს წინ რა გვიდგას? - აღარ ინდომა საქმის გადადება პეტრემ.

- მართლაც! ეგ რა კარგადა თქვი! თუკი გული გთხოვს, დღესვე უნდა დავიწყოთ.

მაშ!

- მედღეჩვალიე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო. ჯერ თოვლი რა დროსია, მაგრამ... - ჩაურთო ნიკამ.

- ჰო, სწორეა. აი, მშივრები ვართ, ცოტა პური შევჭამოთ და დავიწყოთ. ანდა ჩვენი პურისჭამა რას დაგიშლის შენ წერე, წერე... წამოდი, წარბა, მივდივართ, - გასძახა ძაღლს.

აჰ, არა, არ ეამა ქუხილას სიტყვები პეტრეს.

მოასფალტებული გზიდან ორღობეში გადაუხვიეს.

- ამ უბანს რა ჰქვია? - იკითხა პეტრემ. ჩქარობდა საქმის დაწყებას, დროულად ერჩია მოსათავებლის მოთავება.

- ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, წეღან მომესმა თუ მართლა უთხარი ჩვენს თავმჯდომარეს: სახელები უნდა ჩავიწეროო, ჩემი ხელობა სახელების შესწავლააო? - წინიდან შემოუარა და წუთით შეაჩერა ქუხილამ.

- დიახ, ეგრე იყო, მართლა ვთქვი, მაგრამ მე ყველანაირი სახელები კი არ მაინტერესებს.

- როგორც არ უნდა იყოს შენს გახარებას, როგორც არ უნდა იყოს! სახელების შესწავლა დიდი საქმეა! აბა, გაჩერდი და ყური დამიგდე, მე მგონია...

- იარე, იარე, შენ რა გგონია და რა არა გგონია, ვის ეინტერესება, კაცო, - სუფრისკენ ეჩქარებოდა ლუკას.

- ჯერ იქიდან დავიწყოთ, ჩემო პეტრე, რო, რასაც სახელი არა აქვს, არც არსებობს. ეგრე არ არი?

- ალბათ... ეგრეა...

- რაც არ დაწვებაო, ის არც ადგებაო. გაგებული გექნებათ ეგეთი ანდაზა, - ჩაერია ნიკაც.

- სახელია, ძმაო, ქვეყნიერებას რო აძლებინებს, თავის ალაგს რო აჩერებს.

- ვერ გავიგე?

- რა ვერ გაიგე, ჯო? სახელი რო არ გვიჭერდეს, სახელის გატეხვისა რო არ გვეშინოდეს, ჯოჯოხეთიდან კუპრის კონტრაბანდას დავიწყებდით და იმითაც ფულს გავაკეთებდით. მაგრამ, მადლობა ღმერთს, უმეტესობა სახელის გატეხას უფრთხის.

გულსგარეთ უსმენდა. სახელების ამ კუთხით გაშუქება არ აინტერესებდა პეტრეს.

- ხოლო ვისაც ცოტაოდენი სახელი უშოვია, ის კიდევ უფრო ერიდება წუნკალი საქმის გაკეთებას, სახელის წახდენას უფრთხის, შთამომავლობაზე ფიქრობს...გამოდი, ძაღლო, აქეთ, წარბა, წარბა, გამოდი აქეთ... ბოდიში... - ძაღლს გაეკიდა ქუხილა.

- ეგრე გეგონოს, ყველას შენი საწყაოთი რო სწყავ, შე საცოდაო, - მიაძახა ნიკამ, ოღონდ ისე, რომ იმას ვერ გაეგო.

- ვინ არის ეგ კაცი, რა მოხელეა? - დაეჭვებულმა იკითხა პეტრემ.

- ეგა? - ნიკამ თვალი ძლივს მოაცილა გაქცეულ ქუხილას, -ეგ იშვიათზე იშვიათი კაცია, ჩვენი თანაკლასელი. ცოტა უცნაური კია, მაგრამ ცუდს ნურაფერს იფიქრებთ, ნურაფერი გაგიკვირდებათ. ეგეთია. რაც თავი გვახსოვს, ეგ საწყალი სულ სასწაულს ელოდება, სულ რაღაცა კარგს უცდის. სადაც არი, ორმოცს მივატანთ და მაინც ვერ გადაეჩვია. ეტყობა, ეხლა თქვენი იმედი აქვს, ჰგონია, თქვენში აღმოაჩენს ისეთ რამეს, მაგის მოლოდინს რო მალამოდ დაედება... ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რა ვუყოთ, აქამდეც მაგისთანა იმედები გასცრუებია!.. აი, ამ ლაპარაკ-ლაპარაკში მოვედით კიდეც, ეს არი ჩემი სახლი. უცბად თუ ბევრს ვერაფერს მოვახერხებთ, პატარა პური მაინც ვჭამოთ. ღარიბ კაცს უთქვამს: სტუმარს რო შემწვარი ხახვი მივართვა, ისიც მწვადად ჩამეთვლებაო. ჰა-ჰა-ჰა-ჰა.

აქამდე ეგრე არსად შეფერხებულა, არსად მოსცარვია ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხვალ შუადღისას ერთი კვირა შესრულდებოდა, რაც ზედაშიანში გაიჩხირა, ზედაშიანში ჩარჩა. იდგომლა, როგორც ლენდერები იტყოდნენ. სხვა დროს ამდენ ხანში ორი პუნქტის მოვლას მოასწრებდა და, სულ მცირე, სამასამდე ტოპონიმს მაინც ჩაიწერდა. მეტსაც. ახლა კი, ათიოდე თუ ჰქონდა აღრიცხული და ისიც მხოლოდ თავში.

არადა, რა კარგი პროფესია ჰქონდა - ხალისიანი, სისხლსავსე, მრავალფეროვანი. როგორ უყვარდა. ისეთი ცხოვრებით ცხოვრობდა, მოსაწყენად რომ ვერ იცლის კაცი. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ძალიან მოსწონდა - თავის სამშობლოში მოგზაურობდა, უამრავ ადამიანს ეცნობოდა, უამრავ საინტერესო ამბავს იგებდა და თან საჭირო საქმესაც აკეთებდა. ყველა კმაყოფილი ჰყავდა - ხელმძღვანელებიც, ხალხიცა და საკუთარი თავიც.

აქამდე.

ახლა რაღა მომხდარიყო, რა ღმერთი უწყრებოდა და რა ბორკავდა, ეგრე რად გასჯანჯლებოდა საქმე. ლენდერები ვინ იყვნენ, რომ იმათ ჭკუაზე ევლო თავად ნებაწართმეულს? მეექვსე დღე იყო, ესენი, ეს ერთმანეთის სადღეგრძელოებშებეზრებული ღვინისმტეები პეტრეს ირჩევდნენ თამადად და პეტრეც გულმოდგინედ ცდილობდა, თავი მოეწონებინა. ისინი კი ისე შესციცინებდნენ თვალებში, როგორც პაპუასები მიკლუხო-მაკლაის - შენ ჩვენთვის ღვთის ნაბოძები წყალობა ხარო, ციდან მოვლენილი საჩუქარიო - თავს ევლებოდნენ. ეს კიდევ უფრო თოთხარდებოდა - იქით ადგილსახელები ექაჩებოდნენ, აქეთ ეშხიანად ნათქვამი სადღეგრძელოთი თავმოწონება. მეექვსე დღე იყო, სადღეგრძელო სძალავდა, სადღეგრძელო სჯალდავდა საკეთებელ საქმეს:

- ...ეს იმისი გამარჯვებისა იყოს, ვისაც ეხლა ყველაზე ძალიან უჭირს. იმას ულხინოს ღმერთმა, ვინც ყველაზე დაჩაგრულია. იმას მოუფონოს ტკივილები, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება. ის გააძღოს, ვისაც ყველაზე მეტად შია. ის გაათბოს, ვისაც ყველაზე მეტად სცივა...

გაუმარჯოს!

- უჰ-უჰ-უჰ, ეგ რა კარგი სთქვი, შენი გამზრდელის ჭირიმე, - აქებდა ქუხილა, - ეგ რა კარგი თქვი!

- კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასაო, არა, ბატონო ლუარსაბ? - თავი მოსწონდა პეტრეს, - მაგრამ ეს დროსტარება უნდა ვიმყოფინოთ და ტოპონიმებსაც მივხედოთ, მხოლოდ ღვინის სმითა და სადღეგრძელოებით რა გამოვა?

- ეგ „ბატონო“ აღარ გამაგონო, თუ ჩემი ძმა ხარ, ხანჯალივით მერჭობა გულში. გვაშორიშორებს; ისე გამოდის, თითქოს უცხოები ვიყოთ ერთმანეთისთვის.

ფიჭვის პატარა კორომთან ისხდნენ უკვე კარგად შეზარხოშებულები, შორიახლოს ჩამომავალი წყაროს ლიკლიკი ყურს საამოდ ესალბუნებოდა. აი, იქიდან მოაცუხცუხებდა ლუკა ჩაცივებულ ღვინოს დაცვარულ სამლიტრიანი ქილით:

- ეს ბოლოა, ძმებო, ამას რო მოვსპობთ, კიდეც შებინდდება და ჰაიდა აქედან.

- არა, არა, - გააპროტესტა პეტრემ, - ეგეც რომ დავლიოთ, ხვალისათვის ისევ ვერ ვივარგებ და რა გამოვა, საქმე საერთოდ ველარ გამიკეთებია და ეგ არის. მომსპო, გამტანჯა ამდენმა უსაქმურობამ!

- ანდაზა კაი რამეა, პეტრე, ნათქვამია: პურ-ღინოს ნურც ფეხს ამოჰკრავ, ნურც გაექცევიო, - ნიკას სიმთვრალე არ ეტყობოდა, ყველაზე უკეთ იტანდა სასმელს, - რაო, შე კაი კაცო, აქ ჯდომა საქმე არა გგონია? იქნება ჩვენთან პურისჭამას სასჯელად ღებულობ?

- არა, ბატონო ნიკა, როგორ გეკადრებათ, - შეცბა პეტრე, - მაგრამ მხოლოდ ტოპონიმების ჩაწერა კი არ მანაღვლებს, თქვენც ხომ მოსცდით, ეს რამდენიმე დღეა, ათას რამეში შეგეშალათ ხელი და მაგას მოგახსენებდით.

- ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჩემო პეტრე, ყველაფერს თავისი დრო აქვს. აი, მე სახანძროში ვმუშაობ, სამ დღეში ერთხელ გავდივარ სამორიგეოდ. შენი ჩამოსვლის გამო ორი ცვლა გამიცდა, სხვამ მიბადლა. დაშავდა ამით რამე? მერე მე ვიმორიგევებ იმის ნაცვლად და სულ ეგ არი. ლუკამ თავი მიაკლა სიღნაღის სკოლის მშენებლობას, ეხლა დაამთავრა და ერთი ათიოდე დღის ქეიფი არ ეკუთვნის? მითხარი, არ ეკუთვნის?

- ეკუთვნის, - მთლად დაბეჯითებით ვერ დაუდასტურა პეტრემ.

- ჰოდა, ეგრე. კიდევ გვითხარი რამე შენებური, დღეს ამასაც მოვრჩეთ და ხვალემ იკითხოს ხვალისა.

ეს ზოგი კაცი რასა ჰგავს,
ან ცხოვრობს ნეტავ რისთვინა?
რასაც იშოვნის, ინახავს,
ვერვინ შაიტყობს - ვისთვინა.
არც თავის თავზე დახარჯავს,
არც სხვისთვინ, არცა ღვთისთვინა,
გადაბრუნდება, მოკვდება,
დარჩება ეშმაკისთვინა.

აუჰ, რას არაკრაკებდა ლუკა!

ისე, კაცმა რომ თქვას, ამათთან ცუდად არა გრძნობდა თავს - ზომიერად ჭამდნენ, ზომიერად სვამდნენ და საქეიფო ადგილებსაც გუნებიერად იცვლიდნენ. ერთი ეგ იყო, რომ სუფრას არ აშორებდნენ, თავის ნებაზე არსად უშვებდნენ, არსაით ახედებდნენ და რომელიმე ადგილსახელის ხსენებაზე სიტყვას ხელად ბანზე უგდებდნენ. რა უნდოდათ, რა ჰქონდათ გულში, ვერაფრით მიმხვდარიყო. ნუთუ მაინცადამაინც ტოპონიმების ალერგია სჭირთო? უკვირდა და საბაბიც ჰქონდა გაკვირვებისა.

- ნუ გეწყინება პეტრე, და ერთი რაღაცა მინდა გკითხო, - უხერხულად ილიმებოდა ნიკა, - ეგ კარგია და მადლობის მეტი რა გვეთქმის, რო ჩამოდიხართ და იწერთ ამდენ რამეს, მაგრამ რატო გასათხრელად არავინ ჩამოდის? ამ ეკლესია-მონასტრებითა და ნაქალაქრებით სავსე მხარეში ეგენი რატო არ ჩამოდიან, ეს მეინტერესება. აი, ხვალე იქნება თუ ხვალზევით, წავალთ და ჩავიწერთ, რო ამა და ამ ადგილს ნეემარი ჰქვიან. კარგია. ეგა ნიშნავს, რო ადრე ნაომარი ერქმეოდა. მაგას ჩვენც ადვილად ვხვდებით, სხვა რათ გვინდა? მაგრამ იქ, იმ მიწაში რა დევს, მაგის გაგებას რატო არავინა ცდილობს, აქეთ რატო არავინ იყურება?

- განა ჩვენ საქმეს გათხრა არ უნდა, ბატონო ნიკა? - სადღეგრძელოს სათქმელად აწეული ჭიქა მაგიდაზე ჩამოდგა პეტრემ, - მარტო სიტყვის ჩაწერა ბევრს არაფერს ნიშნავს, ამის მერე იწყება მთავარი. იცით, როგორ გავთხრით ტოპონიმ „ნეემარს“ და იცით, შიგ რამდენ საინტერესოს აღმოვაჩენთ? შეიძლება, იმაზე ბევრად უფრო მეტს, ვიდრე მიწაშია. კიდევ გიმეორებთ: ყველაფერს გათხრა უნდა, ბატონო ნიკა, ოღონდ თავისებური.

- ჰო, ეგ კარგადა თქვი, ეგ კარგი იყო! - გაეხარდა ქუხილას.

- მოიცათ, მოიცათ, რაა, ბატონო ლუარსაბ, ეგეთი ქება არაფერში გამოგვადგება, - პეტრე თვითონაც ვერ მიხვდა, რამ წამოუარა, ეგრე უცებ რამ გაანაწყენა, - თქვენ მე უსაქმური ხომ არა გგონივართ?! მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა. შარის სიო საიდან დაუბერავს, ზოგჯერ მართლაც ძნელი წარმოსადგენია. ეგეთი სიამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილობის მერე რა უნდა წყენოდა და რატომ უნდა წყენოდაო? გაოცებულნი შეჰყურებდნენ მასპინძლები ერთმანეთსაც და სტუმარსაც.

- რა აკებაკე ლაპარაკი იცი, ნიკავ, როგორ დაუფიქრებლად წამოისვრი ხოლმე, რაც ენაზე მოგადგება! - დუმილი ქუხილამ დაარღვია.

- ე, მე მაბრალებ? შენგან ეწყინა და მე მაბრალებ?! - გაწიწმატდა ნიკა.

- ვინ მოგახსენათ რომ არქეოლოგია ტოპონიმიკაზე ბევრად საჭირო და გამოსადეგიაო? არა, ბატონო! და ეგრეც რომ იყოს, მე  რა შუაში ვარ? წამოვიდნენ და თხარონ, რამდენიც უნდათ, ჩემი მივლინება ვის რა ხელს უშლის?

- ეგე, ხო გითხარი, შენზეა-მეთქი ნაწყენი, - გაეხარდა ქუხილას, - ამათ ლაპარაკს უგდებ ყურს, პეტრე? ამათ რა იციან, რა რა არის. თუ ნივთს ხელი მაგრად არ წაავლეს ან კარგად არ დაინახეს, თანაც ბევრი, ისე არაფერი სჯერათ. მიწაში რას ეძებენ, შე კაი დედმამიშვილო, რაა, მიწის ზევით მოილიე საქმე?

- აბა მაშ რატომ არის, რომ ჩემს პროფესიას თქვენცა და ესენიც აგდებით ეკიდებით?

- რა აგდებით, კაცო, ვინ გითხრა ეგა?.. მოიცა, მოიცა, მე სულ სხვა რამეს გეტყვი: შენი საქმე კარგიც არის და გიყვარს კიდეც, მაგრამ მოცლილები და ფუქსავატები ნურც ჩვენ გეგონებით. არც სტუმრების ნაკლებობა გვტანჯავს. არა. ეხლა ჩვენ რასაც ავაკეთებთ, საერთო საქმეს სჭირდება, პეტრე, შენ ჯერ ჩვენ უნდა გაგვიცნო კარგად, გაიგო, ვინა ვართ და რა ვართ, რომ ჩვენს წინაპრებზე შეგექმნას აზრი და მერე ამის მიხედვით უნდა მიხვდე, რანაირმა კაცმა დაარქვა და რატო დაარქვა ამა და ამ ადგილს ესა და ეს სახელი. საფუძველი ეს უნდა იყოს შენი საქმიანობისა.

არა, ესეთი არაფერი უსწავლებიათ იმ მოძმე რესპუბლიკაში.

- გაგიცანით, ბატონო ლუარსაბ, გაგიცანით და უკვე მეტიც არის, თავიც მოგაბეზრეთ...

- არა, ჩემო ძმაო, სანამ ან სართვლოდ, ან არყის ხდისას, ან ღორის დაკვლისას არ მოგენატრებით და შენი სურვილით არ გვესტუმრები, იქამდე გაცნობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

- ეგრე თითო სოფელს თითო წელი არ ეყოფა, ბატონო ლუარსაბ.

- პეტრე, ხო ვთქვით, რო ეს „ბატონო" არ გვინდაო? ჩემს სახელს „ბატონო" რასა ჰმატებს? განა ისე ნაკლებ საპატიოა? გინდა ლუარსაბი თქვი და გინდა ქუხილა, როგორია? მე ქუხილა მარტო ჩემი ხმის გამო კი არ დამარქვეს, ჩემი სახელი რო გაჰქუხდა ამ სამ-ოთხ რაიონში, ჩემი ადგილიდან დამძვრელი და ბეჭებზე დამდები რო არავინ გამოჩნდა, იმიტო დამიძახეს.

- არა გრცხვენიან ამ სტუმარ კაცთან, ჯო? ეხლა შენი ტრაბახით უფრო ჰქუხხარ, ვიდრე გაკეთებულით, - პირზე მიაფრინდა ნიკა, - თავის მოჭრა არ არი, ორმოც მიტანებული კაცი ჭიდაობით რო დაიწყებს ბაქიბუქს?

- სახელი ოხერია, ჩემო ძმაო, რითაც გინდა გქონდეს ნაშოვნი, ძნელად დასათმობია. პეტრე, აი, სიღნაღელი კარგი პოეტი როა, ლერი ბეგიაშვილი, იცი?

პეტრემ თავი დაუქნია.

- ეგ ძირად ძველანაგელია. მაგის პაპა ძალიან შეძლებული კაცი ყოფილა, ბევრი ცხვრისა და ძროხის პატრონი. გამოცვლილ სახელად ბუქურაული უძახნიათ. რო მომკვდარა, სამი ვაჟიშვილი დარჩენია. გაუყვიათ ძმებს ქონება. გაყრისას ლერის მამას თავის წილ მემკვიდრეობაზე ხელი აუღია და უთქვამს: მე მამაჩემის სარჩო-საბადებლიდან მარტო იმისი სახელი გამაქვს,დღეიდან ზედმეტ სახელად ბუქურაულები მხოლოდ მე და ჩემს შთამომავლებს გვერქმევაო.  აეგეთი რამეა სახელი.

მაშ!

- იმდენი შენ რა გითხარ, ეგ ამბავი ეგრე არ იყოს, - ისევ ეძგერა ნიკა, - თქმულა: ენა ყველაფერს იტყვის, მაგრამ კაცს ნამუსი უნდა ჰქონდესო.

- რათა მხრავ, მწლაკე, რა გინდა, რას ვაშავებ? რაც მართლა მოხდა, თუ იმას მოვყვები, ოღონდ ცოტა უკეთესად, შელამაზებულად, მაგის გამო უნდა დამახრჩო?

- ვინ გახრჩობს, შე მართლა დასახრჩობო, მაგრამ ცხოვრებას შენი შელამაზება რისთვისა სჭირდება, სასაცილო იქნება თუ საწუხარი, შენ იმაზე უკეთესად რანაირად მოჰყვები?! შენ რო ყური გიგდოს კაცმა, ქვეყანაზე სიმართლე დაიკარგება.

- ე, მე ხო რაც ნამდვილად მოხდა, იმასა ვყვები? - მტყუნის მამას...

- ეგრე იყოს!

- ვთქვაა?

- თქვი!

- მტყუნის მამას...

- მამლის თავი!

ბავშვობისდროინდელი შემორჩენოდათ.

თითქოს საგანგებოდ ცდილობენო - გაუჩერებლად საუბრობდნენ და ერთ ადგილსახელს შემთხვევითაც არ გამოურევდნენ ხოლმე. აქაც, როგორც ყველა ქართულ სუფრასთან, უპირველესად ზოგადსაკაცობრიო საკითხების გადაჭრას ლამობდნენ:

- ...ბედისა არა მწამს რა. რომ იტყვიან ხოლმე, ეს კარგ იღბალზეა დაწერილი და ის უვარგისზეო, ტყუილია. სხვადასხვანაირი ბედი და სხვადასხვანაირი ცხოვრება არ არსებობს, - შვიდი დღის წამოზრდილ წვერს იფხანდა ქუხილა, - იღბალი რა შუაშია, არსებობენ სხვადასხვანაირი ადამიანები თავიანთივე მიერ შექმნილი სხვადასხვანაირი ცხოვრ́ებით. თუ კაცს მხიარული ხასიათი აქვს, ცხოვრებაც მხიარული ექნება მიუხედავად ქონებისა და ცოდნა-განათლებისა. უჟმური თავის მსგავსი უჟმური ცხოვრებით ცხოვრობს, ბედოვლათი - ბედოვლათურით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

- ბედიც სწორედ ეგ არის, ბატონო ლუარსაბ, ვინ როგორი ხასიათისა დაიბადება, - ზრდილობისთვის შეედავა პეტრე, - ბედი განა სხვა რამეა?

- ოჰ, ეგ კარგადა სთქვი, - გაეხარდა ქუხილას, - ეგ კარგადა სთქვი.

- მოვრჩეთ, მოვრჩეთ, მოვრჩეთ, აბა რა ხდება აქა? - ტაში შემოჰკრა ნიკამ, - მარტო ლაპარაკს ნუ გადავყვებით. თქმულა: თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინებაო. კიდევ ერთი სიმღერა ვთქვათ, ლუკავ.

ვერაო, თვალებით ანიშნა ლუკამ. ხელისგულებზე ნიკაბჩამოყრდნობილი ხამუშ-ხამუშ ასლოკინებდა.

- რაო, ლუკავ, ველარ? უკვე ველარ, ბიჭო? დარჩი კალატოზობის ანაბარა, შე საწყალო?- ისეთი სინანულით თქვა ქუხილამ, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა მეგობრის სიმღერას, - ეგ კარგი, მაგრამ იქ რასა შვრები, ქვევით, მართლა მოათავე სიღნაღის სკოლის შენება?

- ჰო, რა არი, რო...- ამოთქვა ლუკამ.

- არაფერი, ოღონდ ეხლა ერთი ხუთი წელი მაინც აღარ უნდა ჩახვიდე სიღნაღში.

- რათა, ჯო?

- იმიტო რო, ხო ვიცი, როგორსაც აშენებდი. დაგიჭერენ სიღნაღელები და მკლავს დაგაჭრიან იმ ერთი მცხეთელივითა.

- გასწი, მომწყდი თავიდან, არსაითი ხარ ვიღაცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემგან რა გინდა, ეგე ნიკა აქ არა გყავს?.. - და ისე საცოდავად დაასლოკინა, გული მოგიკვდებოდა.

- კარგი, კარგი, საწყენად კი არ მითქვამს, - აროხროხდა ქუხილა, - ასლოკინე, რამდენიც გინდა, ასლოკინე, ოღონდ ნიკაზე ნურაფერს მეტყვი, მე ის კაცი არა ვარ, მაგისთანებს გავუყადრო თავი.

- ცოტა ჩანებს მოუჭი შენს გაზრდას, არაფერი გამომტყუო, - აიფოფრა ნიკა, - რა გინდა, ყველა პურისჭამა ხო არ უდა ჩამაშხამო?! თუ მივყვე და მეც ყველაფერი დავფქვა? ისიც შეგრჩეს, ხალხს რო ატყუებდი, ქუხილა ამიტომ დამარქვესო და მე ხმა არ ამოვიღე.

- რა უნდა გეთქვა, რო?..

- როგორ თუ რა უნდა მეთქვა, სიღნაღში პირველმაისობაზე რო იჭიდავე, მეც იქ არ ვიყავი?

- მერე?

- რაღა მერე, ბოდბელმა ცალთვალამ რო დაგცა, ისეთი ქარი დაგძვრა და დააქუხე, ლაგოდეხში გაიგონებდნენ. ჰოდა, ქუხილაც მაშინ დაგარქვეს.

- აჰ, აჰ, აჰ, რას არ იტყვის კაცის ენა.. მშურო, მშურო, მშურო, ეგ საიდანღა მოიგონე?!

- მე მოვიგონე? მეე?

- ჰო, შენ, მაშ ვინა?

- მტყუნის მამას...

- ეგრე იყოს!

- ვთქვაა?

- თქვი!

- მტყუნის მამას...

- მამლის თავი!

ამხნის კაცებს ბავშვობისთვის თავი ვერ დაეღწიათ.

ბოლო დღე იყო. თუ რამე მოსასწრები ჰქონდა, ახლა უნდა მოესწრო და ქუხილაც გამალებული ჰყვებოდა:

-...ერთხელაც არის, ჩემო პეტრე, და სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მიბარებს: გუნდი უნდა გავიყვანოთ შეჯიბრებაზე, იაპონელებს უნდა შევხვდეთ ძიუდოში და შენც უნდა წამოხვიდეო. რას ამბობ ე-მეთქი, მე ძიუდოსი რა ვიცი, ნახვითაც არსად მინახავს ეგ ჭიდაობა-მეთქი. განა ეგეთი ჯანიანი რო ვარ და ქართულში ჩემი წამქცევი არავინ არი, ძიუდოს ჭიდაობასაც შევძლებ-მეთქი?!

- ჰო, ბიჭო, მაგისთანა ჯანიანი რო ხარ, იმიტომაც ვერ დაგცა ბოდბელმა ცალთვალამ და ვერ დაგაქუხებინა!

- დაიკარგე, კაცო... აქეთ მომხედე, პეტრე, გენაცვალე, მაგას ყურს ნუ უგდებ. იცი, რას მეუბნება სპორტკომიტეტის თავმჯდომარე? არაო, შენს წონაში კაცი არა გვყავს და შენ უნდა გაგიყვანოთო. ჯანი გაქვს, ქართულის ილეთები იცი და სხვა რაღა გინდა აიღე და წააქციეო. იფ, შენი გულისა! რა იოლია, არა? მაგრამ რას ვიზამ, ხო იცი, როგორი დრო იყო, უარს იტყვი და აღარ გინდა რაიონში ცხოვრება? ისე შეგავიწროებენ, სიცოცხლეს შეგაძულებენ...

- კარგი ერთი! მართლა და მართლა, არც მთლად ეგრე იყო საქმე. მაშ მე და ლუკა რო არა ვჭიდაობდით, ციხეში იმიტომ ამოგვალპეს?

- რა გინდა, ნიკავ, - ხვეწნა გაერია ხმაში ქუხილას, - რა გინდა, კაცო, რატო არ დამაცდი, რასაცა ვლაპარაკობ, შენთვის ხო არა ვლაპარაკობ? ვისაც ვუყვები, ის არაფერს მეუბნება და შენ რა გინდა?

- მეც ხო აქა ვარ, მეც ხო მესმის და გაძლება არ უნდა?

- ნუ გეშინიან, არც იგეთი მალალი ხარ, რო ვერ გაუძლო... ჰოდა, ჩემო პეტრე, ეგრე იყო. ეხლა მართლა სოფლიდან არ გამასახლებდნენ, მაგრამ მაინც ხო იცი, ცუდად დაიწყებდნენ დურდურს: აი, შეეძლო და არ წავიდა, რაიონისა და კუთხის ღირსება არ დაიცვაო. ეგრე არ არი?

- ალბათ... - შუბლი შეიჭმუხნა პეტრემ.

- მეც ავდექი და დავთანხმდი, რაც იქნება, იქნებამეთქი. ჩაგვსხეს ავტობუსში და წაგვიყვანეს თბილისში. ჩვენს საყურებლად დარბაზში მილეთის ხალხი შეყრილიყო. გავედი და დასცხეს ტაში: ლუარსაბიც აქა ყოფილაო. აბა გარეკაური და კისრული, შუა სარმა და თავზევიდან გადმოღება - ვბრიალებ, რაა. რამდენიც გამომიყვანეს იმდენი დავახეთქე და გავედი ფინალში. მაგრამ მე ჩემი კი არ მიკვირს, სხვების ჭიდაობას რო ვუყურებ, ის მაოცებს: დაეძგერებიან ერთმანეთს, დაეცემიან ძირსა და იქაც ბღლარძუნობენ, გორავენ. ერთი სიტყვით, წოლელებიც ჭიდაობენ, კაცო.

სად გაგონილა!

მე არა, მე მოვავლებ ხელს, გამოვდებ სარმას და დავცემ ბეჭებზე. ჰოდა, გავედი ფინალში. მაგრამ, ერიჰაა, იქ იგეთი მეტოქე დამხვდა, დანახვაზეც გული შეგიწუხდებოდა. თავიდან მაინც არ შევეპუე, ჩემი ვცადე: ჩავავლე ხელი და შევაჯუნჯლუხე. შეჯუნჯლუხება ეგრე არ უნდაო, გაბრაზდა იაპონელი, წამაქცია და დამიწყო ხელ-ფეხის ტრიალი. ვაი შენს ლუარსაბსა! რა გინდა, შე ოხერო, ხო წამაქციე, მაშ აღარ დამეხსნებიმეთქი, ვფიქრობ გუნებაში, მაგრამ არა, მჭმუჭნის, მგრეხამს, კაცო, სიკვდილი სანატრელი გამიხადა. ახ, ერთი ამის მაგივრად ჩვენი სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მომცა-მეთქი, ვნატრობ, მაგრამ სად არი? თურმე დაარტყი ხელი ხალიჩას და მორჩება ყველაფერი, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი. არადა, მკლავს ეს ოჯახქორი! ამომიბრუნა ხელ-ფეხი, კაცო, დამგრიხა, თავი საითა მაქვს და ბოლო საით, ველარ გამიგია. სანამ მთავარი სული ამომივიდოდა, თვალი ერთხელაც გავახილე და ცხვირწინ უკანალი დავინახე. მოვიკრიფე უკანასკნელი ილაჯი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩავკბინჩე. ჩავკბინჩე და ისე გავმწარდი, ჩემმა ღრიალმა იქაურობა შესძრა...

- ეგ რაღად, ბატონო ლუარსაბ - გაიოცა პეტრემ.

- ჩემი გამოდგა!

- თქვენი რა გამოდგა, ადამიანო?!

- ის უკანალი ჩემი გამოდგა, ბიჭო, თურმე საკუთარი დუმისათვის მიკბენია და ისე ვიბღავლე, რო ჩემი მოწინააღმდეგე შიშისაგან ხალიჩის იქით გადავარდა... ამიტომ გამარჯვება მე ჩამითვალეს და პირველი ადგილიც ავიღე.

- ფუი, შენი... ეს ვარიანტი ჯერ არ მოუყოლია, - გვერდზე გადააფურთხა ნიკამ.

ქუხილამ მუდარით შეხედა.

- რაში მოგცეს გამარჯვება, მოჭიდავე ხალიჩიდან რო გადააგდე, იმაში? - გაწიწმატდა ნიკა, - შე უნამუსო, ძიუდო სუმო ხო არ იყო, ხალიჩიდან გადაგდებაში მოეცათ პირველი ადგილი. გაგონილა, ხალხო, ეგრე თვალში ნაცრის შეყრა?!

- რათა, კაცო?

- რათა და სულ სხვადასხვანაირად ხო არ უნდა გვატყუებდე ერთსა და იმავე ამბავს?

- ეჰ, ნიკავ, ნიკავ, რო იცოდე, ერთი და იგივე ამბავი რამდენნაირად შეიძლებოდა მომხდარიყო და ვერ მოხდა, გული გაგისკდება კაცს.

- ეგ კი არ არი, შენ გინდა, უფრო ლამაზი იყოს ეს წუთისოფელი, მაგრამ ვერაო, რანაირიც არი, ამაზეც მადლობა თქვი.

- შენ სხვა რამეზე ნუ გადაგაქვს ლაპარაკი, იმაზე რას იტყვი ის მედალი შინ რო მიდევს,? შორს ხო არა ვცხოვრობ, რა ვქნა, მე წავიდე მოსატანად თუ წარბა გავუშვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- წარბა გაუშვი, ის შენზე პატიოსანია.

- აქვს, ნიკავ, ნამდვილად აქვს, მეც მინახავს, - ამოიკვნესა ლუკამ.

- შენ გაიქრე ხმა! განა მე კი არ მინახავს ისიცა და სხვაც, მაგრამ ნამდვილად რომ ჭიდაობდა, იმიტო მისცეს. მაგ იკლიკანტურ ამბავს რაღად იგონებს? უნამუსოა და მატყუარა...

- რათა, ქრისტიანო, რას მერჩი, - იხტიბარი არ გაიტეხა ქუხილამ, - მოჭიდავე ვიყავი, ძმაო? ვიყავი. პირველი ადგილი ავიღე? ავიღე. მედალი მიდევს შინ? მიდევს. სხვა რაღა გინდა, იქნება მართლაც არ იყო ზუსტად ეგრე, როგორცა ვყვები, მაგრამ მაინც არ არის ტყუილი, ხო შეიძლება ეგრეც მომხდარიყო? ჰოდა, რაც შეიძლება მომხდარიყო, იმას ტყუილი არა ჰქვიან.

მაშ!

მით უმეტეს, რო ეს ამბავი ნამდვილად ეგრე მოხდა.

- მტყუნის მამას...

- ეგრე იყოს!

- ვთქვაა?

- თქვი!

**- მტყუნის მამას...**

**- მამლის თავი!**

**აუჰ!**

P. S. ონომასტიკა ერთ-ერთი დარგი გახლავთ ენათმეცნიერებისა და ყოველგვარ საკუთარ სახელს შეისწავლის. იგი რამდენიმე ქვედარგად განიყოფება: ანთროპონიმიკა-პირთა გვარ-სახელები (ლუარსაბ ნალფარიშვილი, ნიკა ბახტურიძე), ეთნონიმიკა - ხალხთა და ტომთა სახელები (ჰერები, ქიზიყელები), კოსმონიმიკა - ციურ სხეულთა სახელები (ხარიპარია, მრავალი), თეონიმიკა - ღმერთებისა და მითოლოგიურ პირთა სახელები (ელია, ანყაფუზ დევი), ზოონიმიკა - ცხოველ-ფრინველთა საკუთარი სახელები (მერცხალა, წარბა, ელეფთრე), რაც შეეხება ტოპონიმიკას, იგი ადგილსახელებს შეისწავლის...

თქვენ ახლა ფიქრობთ, რა სისულელეებს ჩმახავს, ამისი ცოდნა რა ოხრად გვინდა, სად გამოგვადგებაო. ნუ აჩქარდებით, დასკვნას ნაადრევად ნუ გამოიტანთ. თავიდან მეც ეგრე მეგონა, მაგრამ ისეთ ადგილას დამჭირდა და ისე გამოვიყენე, რომ თქვენი მოწონებული.

მაშ!

# სამი კაცი დუქანს არი

ბოლო ხანებში ერთი უცნაური ზნე დასჩემდა ქუხილას - დუქანში დროსტარება შეუყვარდა. სხვაგან რამდენიც უნდა იპურმარილოს, ის დუქნის მაგივრობას ვერ უწევს. რა ქნას, არ ებრება და რაღაცა ძალა მაინც სიღნაღისკენ, ზურიევის სარდაფისკენ მიაქანებს. თავიდან მეგობრებმა მხარი ვერ აუბეს: რა უნდაო, კაცო, ახლა ეს რა აიხირა და ამოიჩემა, სულ მაგის ხუშტურებზე როდემდე უნდა ვიაროთო, - დურდურებდნენ ნიკაცა და ლუკაც, - თვითონ თუ გამოსალოცია, ჩვენგან რა უნდა, ჩვენ რაღას დაგვათრევს ზევითა და ქვევითო. მაგრამ მალე ისინიც მიეჩვივნენ - ეს იმისთანა საქმე იყო, არ შეიძლება, იოლად არ მიჩვეულიყვნენ.

ჰოდა, ყოველ კვირას თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც თავისი თავის მაგინებელი ქუხილა ძმაკაცებთან ერთად სიბნელეში მთვრალი შემოუყვება ხოლმე ზედაშიანის აღმართს: შე მუდრეგოო, - იტუქსავს თავს, - ვითომ არ იცოდე, ვისთანა გაქვს საქმე. რაო, რას ელოდი, ან ერთი და ან მეორე მაინცადამაინც დღეს გამოიცვლებოდნენო? ფუუუჰ... ანდა ის არ იცოდე, რა „ზისტოძესიტი“ დაგელოდებოდა გარეთ და ფეხით არ მოგიწევდა ამხელა აღმართის ამოთრაქვაო. მეორე დღესაც უგუნებობა აჰყვება ხოლმე, ნიკასა და ლუკასკენ გახედვაც აღარ უნდა, მაგრამ გაივლის რამდენიმე დღე და ისევ დუქნისკენ მიუწევს გული, ისევ იქ ქეიფი ენიაზება.

თავის დროზე სიღნაღი სხვა ბევრ რამესთან ერთად სანაქებო დუქნების სიმრავლითაც იყო განთქმული. იქაურების მეხსიერება ერეკლეს ხანამდე სწვდება და ირწმუნებიან: იმდროიდანვე აქ კაი პური იჭმებოდაო. აბა ფეხითა და აბა ცხენით, აბა ფაიტვნებითა და აბა „პრალიოტკებით“, ეტლებით გინდა თუ „ლინეიკებით“ - მოდიოდა დიდ-პატარა, თავადი და აზნაური, გლეხი და ხელოსანი, იყო ერთი გნიასი და აურზაური.

ნეტავი იმ დროს სიღნაღისათვის!..

მერე თანდათან, როგორც სხვა ყველაფერი, დუქნებიც ერთიმეორის მიყოლებით დაცოტავდა, გაიშვიათდა, გაქრა.

ამათ მაგივრად სულ ახალთახალი, ცემენტის ეპოლეტებიანი შენობები გაჩნდა - სასადილოები, ფანჩატურები, რესტორნები- „მოდი, ნახე“ და „ლეწე“, „ქიზიყი“ და „ფანტაზია“, საიდანაც ალაზნის ველი ფარდაგივით გაქვს ფეხქვეშ გაშლილი და, თუ ძალიან მოიწადინებ და მოაჯირს კარგად გადაეყუდები, შეიძლება, კავკასიონსაც მიაწვდინო ხელი. მაგრამ ქუხილას იქით არ მიუწევს გული, არ უნდა, არ ეჭაშნიკება. მისთვის სხვა ეშხი აქვს მიწის სიღრმეში ქეიფს.

ვისაც არ უნახავს, იმათთვის ვიტყვი: სიღნაღში, ვანო სარაჯიშვილის სახლიდან სულ ოციოდე ნაბიჯზე, ბებრების ბაღის კუთხის გადაღმა ერთი სარდაფია, ზოგი ზურიას დუქანს რომ ეძახის და ზოგი -ზურიევისას. ოდესღაც ეგებ ეკამათებოდნენ კიდეც ერთმანეთს: იმისი კი არა, ამისიაო, მაგრამ დღეს ეს უკვე აღარავის ენაღვლება, რადგან ის ზურია თუ ზურიევი ანდა სულაც ზურია ზურიევი ასი წლის წინ ჩაჰბარებია პატრონს და იმისი მნახველიც აღარავის ახსოვს.

ხსოვნას რაც შეეხება, რომ დავიჩემო, აქაურებს რაც არა სჭირდებათ, ისეთი რამე ბევრი ახსოვთ-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ, ეს შენობა რომ ერეკლეს დროინდელია, ამაში არავის ეპარება ეჭვი. იმასაც გუშინდელივით მოგიყვებიან, ამ დუქანში ვის არ უმღერიაო - შავ პაატა ბაღაშვილსა და თეთრ ქაქუცა ჩოლოყაშვილსაო, მიშელ დარიალსა და ვანო სარაჯიშვილსაო, ლუდა ქუფარაშვილსა და ჰამლეტ გონაშვილსაო. ჰა და ჰა, ერთ ამდენსაც თუ დაამატებენ, სულ ეგ არის. ნეტავი აღარავინ მიემატებაო, - აინტერესებს ქუხილას, - ნუთუ დუქანს ისე გამოჰკეტავენ ან შენობას ისე დაანგრევენ, რომ ჩვენს მხარეში ამ ჩამოთვლილი ხალხის ღირსი აღარავინ გამოჩნდებაო? ბოლო ხანებში კი ვინც აქედან აფრინდა, დუქანს ყველამ გვერდი აუარა და ისე გაინავარდა მსოფლიოს სცენებზე. აქ კი ახლა ყოველ ღამე ჟულიკას დასტა უკრავს და კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ ლუკა მღერის.

ლუკა ქუხილას ბავშვობის მეგობარია, კალატოზი. ღვინოს მაინცადამაინც ვერ იტანს - შუა სმამდე, ზოგჯერ ცოტა იქითაც მიჰყვება ხოლმე ქუხილასა და ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კას, თავიანთ მესამე ძმაკაცს. იქამდე თუ იმისი სიმღერის სმენას არაფერი სჯობს, მერე უკვე სხვებსაც ხელს უშლის - აუტუდება სლოკინი და მორჩა, იმ ერთი ნაქებიბ მეძებარისა არ იყოს, ყველაფერს ფსუტში ჩაჰყრის ხოლმე.

ახლა მაგიდას სამი კაცი უზის, სამი თანაკლასელი, სამი ზედაშიანელი - ნიკა, ლუკა და ლუარსაბი, ანუ ქუხილა. ამათი სუფრის გარდა ორი-სამი სხვა მაგიდაც არის გაშლილი. ერთმანეთს უკვე შეეხმიანენ, სუფრამ სუფრის სადღეგრძელო შესვა, ჩვეულების მიხედვით თითო წარმომადგენელიც გააგზავნეს მცირე ხნით ერთმანეთთან და მერე უკვე ყველა თავის პურ-ღვინოს ჩაუტკბა.

ჩაუტკბა-მეთქი ვამბობ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, თორემ ისე ყურები ცქვიტადა აქვთ აქეთ-იქით მიმართული: მეზობელ სუფრაზე ნათქვამ ყოველ საეჭვო სიტყვას იჭერენ და ღვინიან თავში დიდხანს ალაღლაღებენ, არაფერი გამოგვეპაროსო - სიღნაღლელები და ზედაშიანელები ხომ გაჩენის დღიდან ერთმანეთს კრიჭაში უდგანან და გამუდმებულად პაექრობენ. მართალია, ნიკაც, ლუკაც და ლუარსაბიც იგივე ქუხილა - სიღნაღში მუშაობენ, სიღნაღლელებთან ძმობა აქვთ ნათქვამი, მაგრამ ეგ დღისით, ღამლამობით დუქანში ერთმანეთის მეტოქეები და მოჯიბრეები არიან.

იმ ცხონებულმა პირველმა ბარის დამკვრელმა, ვინც სიღნაღი ამ კლდეზე დააარსა, ალბათ, არ გაითვალისწინა, როცა მოიზრდებოდა და მხრებს გაშლიდა, გასაქანი არსაით ექნებოდა. მიწა უჭირს ქალაქს, სახლები ერთმანეთზეა შეხორხლილი. სხვა რა ჩარა აქვს და ესეც ზედაშიანისკენ იწევს, იმის ფერდობის კალთებს ებღოტება. ზედაშიანი კი ხელსა ჰკრავს და ჯიუტად იგერიებს. სიღნაღი მაინც არ ეშვება, ცდილობს, თავის ჭკუაზე მოაქციოს, გააქალაქოს, ვითომდა სიკეთე გაუკეთოს, მაგრამ ზედაშიანი ამ სიკეთეს უარობს, ჯიჭურ ჰაშას ჰკრავს და არასდიდებით არა თმობს ბოძებულ თავისთავადობას - იმას გაქალაქებასა და სიღნაღად ქცევას სოფლობა და ზედაშიანობა ურჩევია.

და არის ამის გამო დუქანშიაც გაწევ-გამოწევა, დაპირისპირება, პაექრობა. მაგრამ ჯერ ადრეა, ჯერ ლუკას „ჭონსა" და „სუფრისა თავსა მჯდომელის" დროა, ყველა რომ გაუერთიანებია და თვალში ცრემლჩამდგარნი უსმენენ. აჰ, ერთი სამი-ოთხი მობანეც თუ ეყოლებოდათ, სიმღერა მერე გენახათ! თუმცა ესეც კარგია, ეგეთს სხვაგან სადღა მოისმენ. ჩამოსასვლელ კიბესთან მედუდუკეები მოწყენილები სხედან, ხმა არც იმათ ამოღებათ - იმათი რასტი და შიქასტა, შალახო და ბაღდადური ლუკას მეორესთან რას მოვა.

სიმღერასა და სადღეგრძელოს შუა, როგორც კი ცოტაოდენ დროს იპოვის, ნიკა ლუკას არ ასვენებს:

- ლუკავ, სიმღერაც კარგია და ქეიფიც, ძმაკაცებში დროსტარებასაც რა სჯობია, მაგრამ ცოლი უნდა შეირთო, ჯო, ცოლი! უცოლო კაცი და მგელი ერთია...

- რაო, რა და რა არი ერთიო? - ჩაეკითხება ქუხილა.

- შენ არავინ გეკითხება ლუარსაბ, შენ შენს საქმეს მიხედე.

- საკვირველია, რა დიდი მონდომებით უმარჯვებ ცოლსა, ეგრე ძალიან რა გრჯის?

- მა როდემდე უნდა იაროს ირაოსავით, ჰა? მე თუ მყავს, კაცო, შენ თუ გყავს? ესეც ჩვენი ხნისა არ არი?

- მყავს და მყავს, ვაჰ, ეხლა რაღა ვქნა, თორემ...ეგეც სამხედრო ვალდებულება ხო არ არი, თანატოლებმა ყველამ ერთდროულად მოვიხადოთ? როცა იქნება, მოიყვანს.

ლუკა ხმას არ იღებს ხან ერთს შეხედავს თვალების ხამხამითა და ხან მეორეს.

- როცა იქნება რასა ჰქვია, ლუარსაბ, როცა იქნება რასა ჰქვია, შე კაი კაცო, - ცხარობს ნიკა, - როცა იქნება, ვინ იცის, ვინ მოიყვანოს. განა ყველა ქალი ერთია? აი, ჩემი ცოლისდა...

- კარგი, კარგი, ნიკავ, მორჩი ეხლა და ჭიქა აიღე ხელში! ლუკავ, შენც მომხედე და დამიგდე ყური, თვალებს რას აცეცებ აქეთ-იქით. მოდი, იცი, ვის გაუმარჯოს? ვინც ამ დუქანში ყოფილა, სამშობლოს სადღეგრძელო უთქვამს, ღვინო დაულევია, უმღერია, უცეკვია და გადასულან, დღეს აღარ არიან...

თლილ, მოზრდილ ჭიქას მოიყუდებს ქუხილა და თან დუქნის ჩამოშავებულ კუთხეებს გაჰყურებს. წუხილი შესჯდომია გულში: ეს ოხერი და ტიალი, სასწაული სადღა აღარ ხდებაო, ხან გაზეთში ამოიკითხავს ისეთ რამეს, თმები ყალყზე დაგიდგება, ხან კალენდრის ფურცელზე, ზოგჯერ - წიგნშიც. ეს კი ერთხელაც ვერ შეესწრო, ერთხელაც ვერ მოიხილა- ვერც გარდასულთა აჩრდილები დალანდა ქარაგოზმოდებულ თაღებქვეშ და ვერც იმათი ნამღერი თუ ნაჩურჩულევი მისწვდა იმის ყურს. განა მაინცადამაინც იმ სახელოვანი ხალხისა? არა, თუნდაც ერეკლესდროინდელი ერთი ჩვეულებრივი შექეიფიანებული ჯეელისა. რა თქმა უნდა, იცის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ კალენდრის ფურცელი ირწმუნება, თუ ძალიან მოინდომებო... თქვე დალოცვილიშვილებო, ქუხილაზე მონდომებულს სადღა ნახავთ?! აგე თვალი და აგე ყური, ან დაანახეთ და ან გააგებინეთ რამე! კარგი, თვალითა და ყურით თუ არა, ცხვირით მაინც მომასწრო სასწაულსაო, იმდროინდელი სუნი მაინც მომაწვდინაო, - ნატრობს ქუხილა,- მაგრამ ამაოდ, შეისუნთქავს და ნაცნობი ჰუჭყის სუნი ნაცნობი კერძებისა და ღვინის სუნში არეულა. დღეს თუ არა, ხვალე... დღეს თუ არა, ხვალე... მაინც არა ჰკარგავს იმედს.

ნიკა ლუკას ჩასცივებია:

-...მორცხვი ქალი - ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი ერთ ქალამნადო, ნათქვამია. ვითომ რა დიდად მოსარიდებელი ქალთან გამოლაპარაკებაა? თუ არადა, აქ არა ვარ? მა ძმაკაცი რისთვინ გინდა? იგეთი ქალი შეგირჩიო, ქვეყანა შემოგნატროდეს!

- მაიცა, ნიკავ, თუ ძმა ხარ, ქალი არა ბალი, ქალი რათ მინდა ...

- რას ამბობ, ვერან! მოსაციქვლეს დაჰხედე და საციქველზე უარი ისე უთხარიო, არ გაგიგია? უძილოდ სიზმარი ვის უნახავს? ჯერ ითხოვე, ძმაო, და, თუ არ მოგეწონება, მერე გამამტყუნე.

- ნიკავ, რა არის, რა ენის ქავილი აგიტუდა დღესა, - აწყვეტინებს ქუხილა, - ვერ ატყობ, რო შეაღონე ეგ ადამიანი? დააცა ცოტა ხანს, ამოისუნთქოს, რა ანდაზებად დაიცალე, შე დალოცვილო. აიღე, აბა ჭიქა აიღე, ხასიათზე არა სჩანხარ და ღვინო მოგიხალვათებს გულსა.

და აი ხათაბალა! ჭიქის ბოლომდე დაცლას ვერ მოასწრებს ლუკა, რომ სლოკინი აუტუდება. ახლა მორჩა, იმის სიმღერას ვინღა ჩივის, უკვე სხვებსაც შეუშლის ხელს. ეგეც არაფერი, მაგასაც გაუძლებს კაცი, მაგრამ იმისთანა უაზრო შეკითხვებს დაიწყებს, გული გაუწყალდებათ თანამეინახეებს.

თითქოს იგრძნეს დუქნის ძარღვის მობოშებაო, სიღნაღლელების სუფრიდან მოკლე, ერთხმიანი სიმღერა წამოვა:

დიმპიტარო, დამპიტარო,
იმ თამადას დიდი ტარო,
მოადგილეს, სუფრის წევრებს
მოხრილი და ჭყლინტი ტარო.

ვაჰ, კაცო, რანაირად მიხვდნენ ეგ სახეძაღლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრე უცბად ლუკას დაუძლურებასო, - ჩაეცინება ქუხილას და დამთავრებასაც არ აცლით, თვითონაც შეუბერავს:

ახ, საქო, საქო,
შენ ჩვენო საქო,
ძალიან ფინთი ხარ
და როგორ გაქო?

ნიკაც ასდევს ასე თუ ისე, ეხმარება, მაგრამ მალე ბეზრდება და ლუკასკენ მიიწევს:

- შენ მაგ სლოკინს თავი დაანებე და მე დამიგდე ყური. ყველაფერს თავისი დრო აქვს, შენი ხნის კაცის უცოლოდ ტარება გაგონილა?

- ნეტავი შენა, ცოლი რა ოხრობად მინდა, ჯო? - სლოკინი უწყდება ცოტა ხნით ლუკას.

- ერთი ამას დამიხედეთ! ვირსა სჭედამდნენ და ის კიდე ტლინკებს ისროდაო. რანაირად შეიძლება, კაცს ცოლი არ უნდოდეს, შე მართლა ვირო, შენა!

- ცოლი არა ბოლი... ჰო, იგრე კარგია, მაგრამ სახლში რო მიხვალ და გაგიჭირებს საქმეს, ეგ როგორიღაა, ჰა?

- ვაჰ, მა როგორ გინდა, შე მამაცხონებულო, ვირის მადევარი იმის ტლინკებსაც უნდა უძლებდეს. ისე, რო იცოდე, რაღაცაში შენც მართალი ხარ, ქალიც არის და ქალიც. აი, ჩემი ცოლისდა...

- ბიჭო, შენ ფუშიანი ხო არა ხარ, რამდენსა ლაპარაკობ. ნუ მოაჭამე ცალი მხარე მაგ კაცსა, არ გესოლბოითლება შენს ცოლისდაზე და ძალასა ხარ? - გაბრაზებამდე ბევრი აღარაფერი უკლია ქუხილას.

თათრების ნაბინავარზე
მგელმა დაიწყო ბაბანი,
ი თეთრი გოგო როგორ გყავთ,
სუ მარწყვის საპნით ნაბანი?

მღერიან სიღნაღელები და რას იზამ, რანაირად მოედავები, გინდა თუ არა, ამასა და ამას გულისხმობთო. ვინ იცის, როგორი თეთრია ის მარწყვის საპნით ნაბანი გოგო? შენ სხვა უნდა უთხრა და ქუხილაც მაშინვე იწყებს:

ვარსენიკას ტუფლი უჭერს,
ჩუსტი განიერია,
„ზაპოუნიკსაც" ეჩხუბება:
ეს რა შაგიკერია?!

აჰ-აჰ-აჰ, აკი ვამბობდი, ნეტავი ეგ არ იმღერონ-მეთქი! რა ღმერთი გაუწყრათ, რა დაემართათ? აი, თვითონაც შეცბნენ... სიღნაღელების სუფრაზეც დუმილი ჩამოვარდა, გაისუსნენ. ნიკამ ამ სიჩუმეში დრო იხელთა და ისევ ლუკას მიუტრიალდა:

- ბიჭო, მაშ არ იცი, რომ ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება? უქალოდ კაცი ვის დაუფასებია? ეგეთ ადამიანზე ათასი ჭორი დადის...

- ჯერ ძროხა უნდა ვიყიდოთ, ჯო, ცოლი რათ მინდა, ძროხა არა გვყავს.

- არ იქნა და თავის გასამართლებელი არ დაგელია, მიზეზ-მიზეზ მარილს მატლი გასჩენიაო.

- რააო? მატლი გასჩენიაო? რასაო, კაცო?

- ოქროს ყადრი, ძმაო, ოქრომჭედელმა იცის, მე ვინ რა უნდა გამომაპაროს ჩემი სიმამრის ოჯახისა? ქალსაც ვერავინ მოუძებნის ნაკლსა...

- დაიცა, დაიცა, დაიცა, ერთი მეც დამაცადე, - სლოკინს ძლივს არიდებს ცალკეულ სიტყვას ლუკა, - შენ ის მითხარი, კაცო, თმა-წვერი თუ მივუშვით თავის ნებაზე, იმხელაზე გაიზრდება, შეიძლება კოჭებამდე მოგვწვდეს. აი, მკერდს თუ გავიპარსავთ, ისევ წამოიზრდება ბალანი, თავის ზომას მიაღწევს და გაჩერდება. რათა? იღლიებიც ეგრეა... წარბებიც... მაშ თმა-წვერმა რატომ არ იცის თავისი ზომა?

- მაგას გარეთ კი არ უნდა ჰკითხულობდე, ვინმე ჭკვიანი უნდა გყავდეს ოჯახში. ჭკვიანი ადამიანი კიდე სად არი, განა რამდენია? აი, ჩემი ცოლისდა...

- სვინდის-ნამუსი აღარა გაქვს, კაცო, რა ღმერთი გიწყრება? აქაურობას მაინც ეცი პატივი, იცი, სადა ზიხარ? - კბილებს აკრაჭუნებს ქუხილა.

- სადა ვზივარ, თორემ, შენმა მზემ, პირველადა ვარ ამ ჩახუთულ სოროში. ვითომ შენც რესტორანი დაგიკეტინებია!

- მართლა არა ხართ ამისი ღირსი, თქვენი...

კამათს სიღნაღელების სიმღერა აწყვეტინებთ:

...რომ მაწვები, რას მაწვები,
ვირო, ვირის სოფლისაო,
თავზე ქუდი დაგიხურავს
თითქოს გოგრის ფოთლისაო...

- მოდი, ერთ სადღეგრძელოსაც გეტყვით, - ფეხზე წამომდგარი ქუხილა ვითომ მხოლოდ თავის სუფრას მიმართავს, - მოდი, ელექტროდუდუკისა და ელექტროდუდუკზე დამკვრელების სადღეგრძელო იყოს... - და უცებ გადაიხარხარებს.

- ქალი სხვაა, ძმაო, ქალი უნდა იჯდეს და ბედს ელოდესო, კაცი კიდე უნდა მიდგეს-მოდგეს, თვითონ მონახოს ვინმე ან კიდევ მახლობლის რჩევებს დაუჯეროს. აი, ჩემი ცოლისდა...

- ვინა, ვინა? - გეგონება, პირველად ესმოდეს, ისე იკითხავს ლუკა.

- ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს ააშენებსო. აი, ამ ჩვენს ორ რაიონში იმაზე ეკონომიური ქალი არ იქნება...

- ჭკვაზე მოდი, ნიკავ, იცოდე, არ შემაყელთო, - ჩაისისინებს ქუხილა. ხმამაღლა ვერაფერს ეუბნება, არ უნდა, ნათქვამი მეზობლების ყურსაც მისწვდეს და სახვალიოდ კიდევ ერთი საკბილო, კიდევ ერთი დაცინვის საბაბი მისცეს სიღნაღელებს, - დღეს ყველაფერი დაივიწყეთ, ნიკავ, ხო იცით, ჩვენ აქ რა საქმისათვისა ვსხედვართ. შენც ეგრე იკნიკივით ნუ აცეცებ თვალებს, ჭიქები მაინც შეავსე, - ახლა ლუკას შეუტევს.

ნიკა ჩუმდება და ლუკა იწყებს სლოკინ-სლოკინით ლაპარაკს:

- ჰო, კარგი, ლუარსაბ, რისთვინაცა ვსხედვართ, ვსხედვართ. ვისხდეთ, ძმაო, ვინ გედავება. ვისხდეთ, მაგრამ მე ის მეინტერესება: ეს ხო ღვინოა, არა? ერთი ტიკიდან სამ სხვადასხვა ბოთლში რო გადაასხეს, სამივეში ხო ერთნაირი დარჩა ფერითაც, გემოთიც, გრადუსითაც, შემადგენლობითაც... ჩვენ კი სამივემ რო ჩავისხით ერთნაირი ღვინო, სამივეში სხვადასხვანაირად იქცევა. ჩვენში სუ შეიცვალა.

რათა?

ჩვენ ეგეთი რა განსხვავებული ჭურჭლები ვართ?

ქუხილა ეჭვით გახედავს: ხომ არ გამოფხიზლდაო და კიდევ ერთხელ სცდის თანამეინახეთა აყოლიებას:

კოპერატივის ნოქარო,
დაბალო და სქელო,
პალტო სახლში დაგრჩენია,
შე არ გასაზრდელო...

შემწეობა აღარავისაგანა აქვს, ლუკა სლოკინებს კი არა, უკვე ტლოყინებს, ნიკა კი:

- ფუჰ, როცა სიმღერა არ შეგიძლიან, გაჩუმდი, რაა! ყურები ვეღარ უძლებს. აი, ჩემი ცოლისდა, სიმღერა იცის...

- შენი ცოლისდა ღმერთმა კარგად ამყოფოს, ოღონდ ერთი ეს მითხარი, ნიკავ, ნეტავი ზანგის ბავშვებს წითელა ემართებათ? - თითო სლოკინს თითო სიტყვას აყოლებს ლუკა, - თუ ემართებათ, იმათაც წითლად გამოაყრით ხოლმე? მაშ წითლად თუ არ გამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრით, წითელასაც ვერ დაუძახებ, არა?

- ფუჰ, თქვენიცა და თქვენი ამყოლისაც... ამ რეგვენმა მაინცადამაინც აქ მოინდომა ცოლისდის საქმის გარჩევა, თითქოს ეგ არის, რაა, სხვაგან ველარსად ნახავდა, თითქოს დღე და ღამე ერთად არ ვეყაროთ... თქვენი შემყურე რა სასწაულს უნდა ელოდეს კაცი, სირცხვილით აქ რომელი წინაპრის ლანდი გამოჩნდება?! გამოჩენაც რო უნდოდეს, დაიმალება... - კბილებში გამოსცრის ქუხილა, ხმამაღლა ამჯერადაც არაფერს იტყვის, სიღნაღელების ყბაში ჩავარდნა არ უნდა. საყველაწმინდოს სათქმელად დასწვდება ჭიქას: - წავიდეთ, წავიდეთ, დროა უკვე.

ჰო, არ უნდა, მეზობელ სუფრელებს დაცინვის კიდევ ერთი საბაბი მისცეს, მაგრამ ორიოდე დღე არ გაივლის, რომ ზურიევის დუქანში ხარხარი ისმის: რომელიღაც სუფრაზე მღერიან:

სამი კაცი დუქანს არი -
ნიკა, ლუკა, ლუარსაბი,
ნიკა ლუკას ქალს ურიგებს,
ლუარსაბი უარს არი.

# რეკვიემი ჭინკებისთვის

გინდოდა თუ არ გინდოდა, სიღნაღში მიმავალს ჩავლითაც აქეთ უნდა ჩაგევლო და ამოვლითაც აქეთ ამოგევლო - მოკლე გზა ოდესღაც გაუქმებულ საგურეს ჩაუდიოდა გვერდით. თავისთავად საგურეს, გაუქმებული იქნებოდა თუ გასაუქმებელი, რა უნდა დაეშავებინა ვინმესთვის, მაგრამ ადგილსა ჰქონდა სახელი გატეხილი - ნაძრახიაო, ამბობდა ხალხი - აქაურობას ჭინკები ჰყვანან დაპატრონებულებიო. აი, სწორედ ამ ჭინკების მნახველთა მნახველები ირწმუნებოდნენ დაბეჯითებით: მაგ ამოსაწყვეტებს აკლებული აქვთ აგურხანა, ზოგჯერ პირველღამიდანვე ისეთ ჩარფუზანას ჩააბამენ, იმათი ჭყვიტინი და ჟივილ-კივილი გათენებამდე ისმის, გათენებამდე აღარ ჩაწყნარდებიან ხოლმეო.

თქმით კი ეგრე ამბობდნენ, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა. ჩვენ, მიუხედავად ძალიან დიდი სურვილისა, მცდელობისა და მოწადინებისა, ვერ იქნა და ვერა ვნახეთ რა. ბავშვებს იქ თამაშს გვიშლიდნენ, ოღონდ მთლად მკაცრად ვერა - დიდმაცა და პატარამაც მშვენივრად ვიცოდით, რომ მთაგორიან სოფელს ამაზე კარგი გასადევარი არსადა ჰქონდა და ჩვენც დილიდან საღამომდე იქ ვეყარენით, აგურხანის ოდინდელი პატრონის მიერ დარგულ უკვე გადაყურუტებულ ხეხილს ვესეოდით, ქვებითა და მოკლე სასროლი ჯოხებით კაკლებს ვაყრევინებდით, ბარდებში ჩიტის ბუდეებს დავეძებდით ეკლებისგან ხელ-ფეხდაგაზულები. ის კი არა, თებერვალში ხის საქანელასაც იქ ვაბამდით, მაგრამ მთელი ყველიერი უხიფათოდ და უშარბოროტოდ ჩაივლიდა ხოლმე, ფათერაკი არაფერი გვახსოვს.

ეგ დღისით, დღისით ჩვენა ვჯაბნიდით და სააშკარაოზე გამოსვლას ვერა ჰბედავდნენ, მაგრამ ღამე უმეტესად იმათი იყო, ღამით ვერ ვეტოქებოდით.შებინდდებოდა თუ არა, იმ არე-მიდამოს ყველა ერიდებოდა, პირუტყვს არავინ დასტოვებდა, ადრიანად მოიკითხავდნენ: ემანდ ღამით იქ არ დაგვრჩეს და ჭინკებმა არა მოსწიონ რაო. რა ვქნა, ცოდვას ვერ დავიდებ და იმას ვერ დავაბრალებ, სხვა საქონლისთვის რამე ევნოთ, მაგრამ, აი, ცხენებს კი მართლაც სიცოცხლე გაუმწარეს იმ სახსენებელამოსავარდნებმა - სოფელმა საშველი ვერაფერი მოუნახა. იმათზე არც დაკარგულის ლოცვა სჭრიდა და არც მგლის პირის შესაკრავისა: დაიჭერდნენ რომელიმე ცხენს, მთელ ღამეს ქანცის გაწყვეტამდე დააჭენებდნენ აქეთ-იქით და ამასაც არა სჯერდებოდნენ, თან ფაფარში ისეთ ნაწნავს გაუკეთებდნენ, ველარავინ გამოხსნიდა ხოლმე.

ეგ რაღა იყო ვითომ?

ის ხომ არა, რომ კაციან-პირუტყვიანად ყველას მასხარად გვიგდებდნენ?

ატყდა მითქმა-მოთქმა, ალიაქოთი, დაიწყეს სადღაც ზევით მიწერ-მოწერა. ვისაც ამისი უფლება ჰქონდა მოპოვებული, ცხენებს იმ ნაწნავებს აჭრიდა და ქალაქში გზავნიდა. ეს არ იკმარეს, თბილისიდან განათლებული ხალხი ჩამოვიდა საქმის ადგილზე შესასწავლად. რაღაცები აწონეს, რაღაცები გაზომეს, ნააგურხანალიც დღისით ჩვენთან ერთად მიიარ-მოიარეს და ბუჩქებქვეშაც შეიხედეს. ღამითაც რამდენჯერმე ვიყავითო, თქვეს და ხალხი დაამშვიდეს:

- დღეიდან ნუღარ შეშფოთდებით, ამხანაგებო! ჩვენ აქ თქვენს საშველადა ვართ ჩამოსულები. არაფერზე იფიქროთ, ფიქრს მოეშვით და კვლავ თქვენი საკეთებელი აკეთეთ. იმუშავეთ, ძველებურად გაისარჯეთ და დანარჩენი ჩვენ მოგვანდეთ. ახლა ახლოს მოიწიეთ და, რასაც გეტყვით, კარგად მოგვისმინეთ: აქ რაცა ხდება, ეგეთი რამე სხვაგანაც არ არის იშვიათი. მოჩვენებით რა გეჩვენებათ, არ ვიცით და არც გვეკითხება, მაგრამ თუ სიმართლე გინდათ შეიტყოთ, გაგიმხელთ, რომ ეგ საქმე სინდიოფალას ნაქნარია, - და საკითხის ირგვლივ მეტი ნათლის მოფენისთვის უცხოელი ავტორიტეტებიც შეაწუხეს: - სახელგანთქმული ზოოლოგი მანტეიფილი წერს, რომ სინდიოფალას როცა მარილი მოუნდება, ცხენს ზედ შეახტება, კისერს ულოკავს და თან ფაფარს უწნავსო. დამფრთხალი და შეღონებული ცხენი კიდე ირბენს, აბა რა იქნებაო?

მტკიცებულობას წყალი არ გაუვიდოდა, მით უმეტეს, რომ სოფლელები კარგა ხანია მიჩვეულიყვნენ ზევიდან ნათქვამის შეუკამათებლად დაჯერებას. აქამდე იმისთანები დაეჯერებინა, რომ ცხენის ფაფრის დაწვნა რაღა იყო ვითომ? განათლებულებისთვის სიტყვა არავის შეუბრუნებია. ერთი მარტო ქუხილა იჩჩავდა მხრებს ეჭვიანად:

- სინდიოფალა ის არ არის, კაცო, ჩვენ რო დედოფალას ვეძახით?

- რა ბრძანეთ, პატივცემულო? - ინტერესით აახამხამა თვალები განათლებულმა.

- ხო ატყობ, ყურმძიმე როა, ცოტა ხმამაღლა უთხარი, ვერან, - შეეხმიანა ქუხილას ვალასოკა.

- სინდიოფალაზე გეკითხები, ქრისტიანო, სინდიოფალაზე, დედოფალა არ არის ეგა? - ხმას აუწია ქუხილამ.

განათლებულმა მძლავრად დაუქნია თავი.

- მერე, მაგ სამგლემ რა ისეთი ალზევანი ცხენის კისერი ნახა, ჰა? და მეორეც: გაჭენებულ ცხენზე სამკეცი ნაწნავის გაკეთება თათებით რანაირად შეიძლება?

პასუხის მოსმენა ვინ დააცადა, ნიკა და ლუკა აქეთიქიდან ამოუდგნენ და წაჩმუგნეს: - ხმა ჩაიგდე და წამოეთრიე, ახლა ჩვენ სინდიოფალასათვის გვცხელა? - ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამ მეტი დამაჯერებლობისთვის ანდაზაც მოიშველია:
- თავში ვინ ჩაგთხლიშაო და - ჩემმა ენამაო, არ გაგიგია? რა გინდა, რა გალაპარაკებს, რაც შენ არ გეკითხება, იქ რათა ვარდები ტარმოტეხილ გუგუთივითა?

მერე ზევიდან ამბავი მოვიდა: - მაგ თქვენი ცხენების ფაფრის ნაწნავები მოსკოვშიაც დაათვალიერეს მეცნიერებმა, საზღვარგარეთაც გააგზავნეს, მაგრამ იქაც ვერაფერი გაიგეს. ესე იგი, როგორც ჩვენ გითხარით, ყველაფერი ისე ყოფილაო. ჰოდა, ან ვინც იმ ნაწნავებსა სწნავს, იმან მოისვენოს, ან თქვენ მოეშვით მამაძაღლობას, არაფერი გამოგვტყუოთო. თუ არადა, ვისაც ცხენები გყავთ, დაყიდეთ და ყველამ ვირები გაიჩინეთ, იმათ ვინ რაღას დაუწნავსო.

სოფელში ვირების ნაკლებობა ისედაც არ იგრძნობოდა, აი, იქამდეც თითებზე ჩამოსათვლელი ბედაურები კი თანდათან მართლაც გადაშენდნენ.

რომ გითხრათ, ხალხს ჭინკების მეტი სალაპარაკო არა ჰქონდათ რა-მეთქი, ტყუილი იქნება და არც თქვენ დამიჯერებთ. ხანგამოშვებით, რაღაცნაირად, ტალღატალღა წამოვიდოდა ხოლმე ვიღაცების ნათქვამი ჭინკების მახვილაკობასა და ოინბაზობაზე, გამოცოცხლდებოდა, აფორიაქდებოდა სოფელი და ცოტა ხანში კვლავ ჩაწყნარდებოდა, მობოშდებოდა ძველებურად. მერე წამოვიდოდა ახალი ამბები და ხალხიც აქაქანდებოდა მცირე ხნით, შეიყრებოდა ერთად დიდ-პატარა და ისევ მალევე მოეშვებოდა, მოფლოხვდებოდა, მიჰყვებოდა უწინდებურ მდინარებასა.

ლენას გოგია ფოსტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა სილნალში და, რასაკვირველია, იმასაც აგურხანასთან უწევდა სიარული. დილით რა უჭირდა, დილით სხვებთან ერთად ჩაივლიდა ყელმოღერებული, მოკაზმული, პეწიანად ჩაცმულ-დახურული, აი, ამოვლით კი გვიან ღამით უწევდა ამოვლა და ეგ გახლდათ ხათაბალა. ისიც დადიოდა, აბა რა ექნა? იარა ეგრე ერთი წელიწადი, არაფერი მომხდარა. ორი წელიწადი - არაფერი. სამი წელიწადი - ისევ არაფერი... მართლა და მართლა, განა როდემდე მოიტანდა კოკა წყალს? ერთხელაც მთვრალს, ღიღინ-ღიღინით მომავალსა და მთვარის ამოსვლის მოიმედეს ჭინკები დახვედროდნენ და სულ მურაკისა და მაყვლის ბარდებში ეგორავებინათ, ის თეთრი პერანგი ფარო-ფარო შემოეწეწნათ, თანაც ერთიანად დაეკაწრათ და დაელილავებინათ.

- პირველად ეგრე მეგონა, მეხუმრებიან-მეთქი კეთილძაღლები! აბა ეს რანაირი ხუმრობაა, ხუმრობას ამას ეძახიან, კაცო!? - პერანგის ნარჩენებს დააფრიალებდა გოგია.

- მაგან ხმა გაიქროს და ცოტა ენას კბილი დააჭიროს, თორემ თუ ჩამოვუქროლე ალალივით, იმ ფოსტას ოხრად დავატოვებინებო, - ლენას გოგიასთან დაებარებინა მილიციის უფროსს, - გარდა დაკაწრულისა და დამკაწრავისა ორიოდე კაცმა სხვამაც იცის, ეგ ნასახი ვინც დაადოო.

ესენი კიდე მართლაც რომ ჭინკები იყვნენ, ოხრები, სახუმაროსა და სალაპარაკოს არ ულევდნენ სოფელს, ყოველდღიურ წვრილმან საფიქრალს აფერმკრთალებდნენ, თუ ვინმეს ვინმესი წყენა და ღარღლი ჰქონდა გულში, ავიწყებდნენ, ყველას ერთად შეჰყრიდნენ და ერთად ახარხარებდნენ.

ბოლო დროს მეტისმეტი მოსდით, თავს გაუვიდათ, აგურხანას აღარა სჯერდებიან, სოფელშიაც დაიწყეს წანწალიო, - ჩიოდა ხალხი, - წუხელ უნდილ ბეჟანას ეზოში შესულან, უბორიალნიათ, კიბესაც მისდგომიან აივანზე ასასვლელად, მაგრამ ბეჟანას ნაკურთხი ლურსმნებით ჰქონია შეჭედილი მოაჯირი და ვერ მიჰკარებიანო.

- მოდგებოდნენ მოაჯირთან, აიწეოდნენ პატარა ჩლიქებზე და აჭყვიტინდებოდნენ უკმაყოფილო გოჭებივით, მერე ჩაიმალებოდნენ. არ გაივლიდა ცოტა ხანი, რო ისევ მოდგებოდნენ, ისევ აიჭლინკებოდნენ და აჭყვიტინდებოდნენ გოჭებივით, - ამბობდა ბეჟანა, - ჯერ დამეზარა ადგომა, ძილის გამწარება არ მინდოდა, მაგრამ, რომ აღარ მოისვენეს და აღარ მობეზრდათ ჭყვიტინი, ვიფიქრე, ესენი მეზობლებსაც გააღვიძებენ-მეთქი, წამოვხტი, წამოვავლე სახრეს ხელი და აბა გიყვარდეს! დავიფრინე აგურხანისაკენ.

ბეჟანას ნათქვამს სიტყვასიტყვით იმეორებდნენ დილაადრიანად დინგაზე შეყრილი კაცები.

- რათ იცით ეგეთი აკაბაკე ლაპარაკი, ხალხო, - გაღიზიანების სიცილით შენიღბვას ცდილობდა ქუხილა, - უნდილი ბეჟანა ისედაც ჩრდილზე ფრთხის, შიშისაგან ღამით გარეთ მოსაფსმელად ვერ გამოსულა და რა ჭინკების დამფრენი ეგა ნახეთ?!

უკვე კარგა შემგლიფერებულზედ ითქვა: კვირას ბოდბისხევის ბაზარზე ნაყიდი ორი გოჭი მოუპარავთ ბეჟანას საღორიდანო.

დინგაზე შეყრილ კაცებს თავის მხრივ ფრიად ორიგინალური და სხვებისგან ძირეულად განსხვავებული ვერსია წარუდგინა წანწკარას ბიჭმა ირაკლიმ:

- რა გითხრათ, იცით? ცოტა თვალი გაახილეთ, გაიხედ-გამოიხედეთ და თავშიც რაღაცა შეუშვით. ეხლა სხვა დროა, ძმაო, გამოიჩირჩნა ქვეყანა, თქვენ კი ისევ კამეჩის რქაში სხედხართ! რაღა დროს ცრუმორწმუნეობის ჭაობში ჩაფლობაა, რის ჭინკები, რა ჭინკები, ხალხი მთვარეზე მალაყებს გადადის და თქვენ ისევ ჭინკები და ქაჯები გელანდებათ?! ან გაზეთი და წიგნი წაიკითხეთ, ან რადიოს მოუსმინეთ და გაიგეთ რამე, ანდა თქვენზე უფრო ჭკვიან კაცს დაუგდეთ ყური.

ჰოდა, უგდებდნენ ისინიც ყურსა:

- აბა კარგად მომისმინეთ: მინდა იცოდეთ, რომ ჩვენსოფლელებს ბედმა მართლაც გაგვიღიმა და ისეთ განსაკუთრებულ ადგილას მოგვიწია ცხოვრებამ, სხვები რომ ვერც იოცნებებდნენ! აქ, ამ ჩვენს აგურხანასთან ორი სამყაროს, ჩვენი და სხვა, პარალელური სამყაროს შესაყარია, ურთიერთში გამავალი ძარღვია!

არ გესმით, რას გელაპარაკებით?!

აი, ამ ძარღვით ზოგჯერ იქიდან იმ სამყაროს ბინადარნი შემოდიან ჩვენი ამბების გასაგებად, ჩვენთვის თვალის შესავლებად, თავიანთი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ჩვენ კი ჩვენი უვიცობის გამო, ხომ არ შეიძლება, ჭინკები და ავსულები ვუწოდოთ და შეურაცხყოფა მივაყენოთ? კარგი და, თუ ავსულები არიან, რატომ არავის არაფერს უშავებენ? დიდი ამბავი, ცხენს თუ ფაფარი დაუწნეს, ჰარიქა, მაგ ზარალს ვეღარ გადავიტანთ, არა? ვაი, თქვენ რა გითხარით...

მოდით, აი, დღეიდან შევთანხმდეთ, რომ სხვასამყაროელ სტუმრებს ჭინკებად ნუ მოვიხსენიებთ, ნუ ვაწყენინებთ, უხერხულია! ხომ არა გგონიათ, რომ ჩვენი ნათქვამი არ ესმით?

სოფლელები ირაკლის არ შეკამათებიან. იდგნენ, ვერდაფარული შურით შეჰყურებდნენ ამ პატარა, გამხდარ კაცს და შიგადაშიგ სიფრთხილით ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს: ეგაო ღამღამობით ამერიკიდან ქართულ რადიოგადაცემებს უგდებს ყურს და, ალბათ, ჩვენზე მეტი ეცოდინებაო. ერთი თალია სხვებიც უსმენდნენ „ამერიკის ხმას“ ვაშინგტონიდან, მაგრამ ხრიალ-შრიალში ცალკეული ბგერებისა და სიტყვების მეტი რომ ვერაფერი გაარჩიეს, მობეზრდათ და მიანებეს თავი. იმან არა. და იმის შეუდრეკლობას აქებდნენ დინგაზე შეყრილები: მონასმენიდან აზრი ვერც წანწკარას ბიჭს გამოუტანია, მაგრამ ყოველ ღამით ისევ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიუტად უსმენს და ნუ შეედავებით, ჩვენზე მეტი ეცოდინებაო.

აქ უკვე ნიკა ველარ დააკავა ლუკამ:

- ჯო, უთავბოლოდ განათლებულო, პარალელური სამყაროო, რო იძახი, ის მაინც არ იცი, პარალელური ხაზები ერთმანეთს არასოდესა ჰკვეთენ?

- მერე რაო, ვითომ მაგით რა გინდა რო სთქვა?

- რაა და თუ მართლა პარალელურია და ერთმანეთთან არაფერი გვაკავშირებს, მაშ რისთვის გავახსენდით, ეგრე რამ დააინტერესათ აქაურობით?

- აბა, კარგად დამიგდე ყური, ნიკავ, - ხის ძირას დაგდებულ ლოდზე შედგა ირაკლი და თვალი ყინჩად მოავლო მსმენელებს, - წარმოიდგინე ორი პარალელური შარაგზა, ისინი ერთმანეთს არასოდეს გადაჰკვეთენ, მაგრამ გვერდიგვერდ არიან და ერთ შარაგზაზე მოძრავი მანქანები თუ უსუფთაო საწვავზე მუშაობენ, იმათი გამონაბოლქვი მეორე შარაგზამდე არ მივა?

- რას ამბობ, ჯო, შენ მთლად ხო არ გარეკე, შარაგზა და მანქანები რა შუაშია?

- დააცადე, თუ ძმა ხარ, დააცადე, ბოლომდე თქვას, იქნება რას ამბობს, - შეეხვეწა ქუხილა.

- მამწყდი თავიდან! - შეუღრინა ნიკამ.

- ოოჰ, შევღონდი, ნიკავ, და შენ კი ვერა გაგაგებინე რა, - ამოიოხრა ირაკლიმ, - რაკი ეგრეა, პირდაპირ გეტყვი ყველაფერს: შენ და შენი ძმაკაცები უდარდელი ხალხი ხართ და, ქვეყნიერებაზე რა ხდება, ფეხებზე გკიდიათ. დღე და ღამე გამობრუჟულები დაღენდერაობთ და უწმინდურობის სუნს რანაირად იგრძნობთ?.. ბევრი რო არ გავაგრძელო, ეგენი აქ იმისათვის მოდიან, რომ ჩვენი ტვინებიდან გამობოლქვილი უკეთურობისა და ბოროტებისაგან გაწმენდაში დაგვეხმარონ, რადგან ეშინიანთ, ამ ჭუჭყმა და სიბინძურემ იმათ სამყარომდეც არ მიაღწიოს... ჯერჯერობით მხოლოდ გვაკვირდებიან, იმ ძარღვის საშუალებით შემოდიან ჩვენთან და გვაკვირდებიან...

- შენა, მამხედე, რა იქნება, რო გვეჩვენონ, დაგვენახონ კიდეც ეგ დალოცვილიშვილები?! - ისე შეეხვეწა ქუხილა, თითქოს მართლა წანწკარას ბიჭის სიტყვაზე დადიოდნენ სხვასამყაროელები.

ნიკაც, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული ჩანდა, მაგრამ არ იმჩნევდა:

- მაიცა, მაიცა, ღმერთი გიშველის! ძარღვი კი არა, კიდევ ისა, რა ჰქვია... ძარღვი! თუ ეგრე ადვილია შიგ გაძრომ-გამოძრომა, რატო ერთხელ შენც არ გასძვერი, რაა, ვერ გაეტეოდი? წადი, გადაავლე თვალი იქაურობას, ყურით მოსმენილს თვალით ნანახი არა სჯობია? ვინ იცის, მადლობლებიც დაგრჩნენ საპასუხო სტუმრობისათვის. მაგრამ რაღაცა ვერ გატყობ, რომ შენ სხვა სამყაროში გადასახლება გეხალისებოდეს!

- ბნელი ხარ, ბნელი, აბა რა გელაპარაკო, - ხელი აიქნია ირაკლიმ და ლოდიდან ჩამოხტა.

ესენი ერთმანეთთან დავა-კამათს უნდებოდნენ, ამასობაში კი ჭინკები მთლად თავს წავიდნენ: - უკვე დღისითაც გამოდიან და დასცინიან ადამიანებსო, - ამბობდა ხალხი.

მონტიორი ვალასოკა ირწმუნებოდა:

- სამშაბათ საღამოს ხო ამოვარდა ქარი, არა? ხო გამოითიშა დენი და ხო ვიყავით ორი დღე უსინათლოდ? ჰოდა, აგურხანასთან რო ბოძია, სწორედ იქ ჩაწყვეტილიყო მავთული. ავდექი და ავედი ზედ გადასაბმელად. სქელძირიანი ფესაცმელები მეცვა, კაცო და ზედაც „კოგტები“ მქონდა წამოცმული, გაიგეთ? ის იყო, მორჩი გადაბმასა და მომეპარნენ ქვემოდან ეგ ოხრად დასარჩენები და დამიწყეს ფეხის გულებზე ღიტინი. რანაირად ახერხებდნენ, ე, როგორ ატანდნენ იმსისქეში! კინაღამ გავსქდი სიცილით. ველარ გავუძელ, ვკარი ფხაჭი და გადმოვხტი. კიდევ კარგი, ჯაჭვით არ ვიყავი მიბმული, თორემ რა მეშველებოდა?

- სანამ ბოძზე ასძვრებოდი, რამდენ ბოთლში იჯექი არსაითო? - ჰკითხა ქუხილამ.

- არა, ვერან, რას ამბობ, როდის იყო, ბოძზე მთვრალი ავდიოდი, ორი თავი კი არა მაქვს, - უარობდა ვალასოკა.

იმ წელიწადს კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით მანქანა-ტრაქტორების ძველი სადგომი მრავალსულიან კომლებზე სამოსახლოებად გაიცა და ახალი სადგომი ნააგურხანალზე გადმოიტანეს. ოდინდელი ნათხარები გადაასწორეს, ბუჩქნარი გაკაფეს, გადაბერებული ხეხილი აჩეხეს და იქაურობიდან ჭინკების სახსენებელიც კი გააქრეს. ეტყობა, ჯაჭვახერხით ხეების ხერხვისას ის ძარღვიც გადაჭრეს, წანწკარას ბიჭ ირაკლის ნაცნობი სხვასამყაროელები რომ შემოდიოდნენ სტუმრად. დღედაღამ გაჩახჩახებული იყო ნააგურხანალი, ყურთასმენა აღარ იყო მანქანა-ტრაქტორების დგანდგარისგან. ერთმანეთში ირეოდა წამსვლელი და მომსვლელი. მეტრაქტორეთა სახლს შრომასთან ერთად არც ქეიფი და პურობა ეკლდა - იყო სადღეგრძელოების გადაძახილი და ჭიქის ჭერში სროლა.

ალალი იყოს. რასაც სვამდნენ და ჭამდნენ, საკუთარ მოყვანილს სვამდნენ და ჭამდნენ. თავიანთ ნაშრომს, როგორც თვითონ მოეგუნებებოდათ, ისე მოიხმარებდნენ. თუ ვინმეს ჰქურდავდნენ, უპირველესად საკუთარ თავს ჰქურდავდნენ, სხვას ხომ არავის ჰპარავდნენ და ატყუებდნენ. ეგეთი რამეები მერე დაიწყო, მოგვიანებით, როცა ერთბაშად წახდა და აირია ქვეყანა. უცხო თვალს, შეიძლება, ვერც ვერაფერი შეემჩნია, სოფელი თითქოს ისევ ის სოფელი იყო - სახელიც იგივე ერქვა და ხალხიც იგივე ცხოვრობდა. ზენა ქარი ისევ დასავლეთიდან ქროდა და მზეც ისევ აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, მაგრამ რაა, ძველებური ხალისი დაკარგულიყო, ნაქნარსაცა და ნათქვამსაც მადლი დაჰკარგოდა - აღარც სოფელი იყო ღონიერი და აღარც ვინმე ჩანდა გონიერი.

- რა მოხდა?! - უკვირდა ქუხილას, - მაინც ეგრე ერთბაშად, ეგრე ერთიანად როგორ გაქრა და გათავდა ყველაფერი? ეს ამხელა ქვეყანა მაშ აქამდე რაზე იდგა, კაცო, ეგეთი უფესვო და უსაძირკვლო როგორ იყო, რომ სიოს ერთ წამოქროლაზე დაიქცა და დანიავდა?!

- წამო თუ ძმა ხარ, წამო, რა იცი, ეგ ხიო რომელი ტორნადოს ნასხლეტია, მაგის გამოსაცნობი ჭკუა არც მე მაქვს და არც შენ, - განზე ექაჩებოდა ნიკა, - წამო, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ. იმ არამკითხე მოამბესავით არ დაგვემართოს, რო მიტყიპეს და მიაგდეს.

- მაგის თავიც რო აღარა აქვთ... თუ აღარც ეგ აინტერესებს არავის.

დაუნდობლად ბრუნავდა დროების ჩარხი - აღარსად შუქი და ელექტრონი, ვინც პირველი მისწვდა, იმან ჩამოგლიჯა მავთული, იმან წააცუხცუხა შინ ბოძი. აღარც სადმე მანქანა და ტრაქტორი - ვინც პირველი ჩაებღაუჭა საჭეს, იმან აქნევინა პირი მოუსავლეთისკენ. მიყიდ-მოყიდეს, წამიერად მიაფარეს თვალს ყველაფერი. შენობები დაანგრიეს და აგურ-აგურ, ფიცარ-ფიცარ გაზიდეს სადღაც. თუ ლითონისა ნახეს რამე, პირწმინდად დაჭრეს და სხვა ქვეყნის გზას გაუყენეს. მიწაში მილები არ დატოვეს და მიწის ზევით საფლავის ჯვრები. რაც არ დაისაჭიროეს, ემანდ სხვამ არ გამოიყენოსო, დაამტვრიეს, დალეწეს, მოსპეს.. ნახრავი და ნახორმახალი კი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიტანეს.

გუშინ თავჩაღუნული, სიტყვის შეუბრუნებლად მომუშავე ადამიანები დღეს აღარავის ინდობდნენ და ეპუებოდნენ - უცხოსი არ ერიდებოდათ, შინაური არ ენანებოდათ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ ხელებში: აცა, ვის რა წავართვათ და ვისგან რა სარფა და სარგებელი ვნახოთო. მონდომებულები, გამალებულები სჭრიდნენ იმ ტოტს კი არა, ხეს, რომელზედაც შემომსხდარიყვნენ და რომელიც უფსკრულის პირას იდგა...

რა თქმა უნდა, სისეთებიც იყვნენ და არცთუ ცოტანი, დროებას ალღო რომ ვერ აუღეს, დაიბნენ, გაოგნდნენ, დავთრები აერიათ, მაგრამ პირში წყლის ჩაგუბებას ნაჩვევებმა პირველ ხანებში ხმა ვერ ამოიღეს - ატყობდნენ,რომ ამ ახალ მართულობას დასტური ზევიდან ჰქონდა დაცემული. მერე კი ალაპარაკდა თითოოროლა, მაგრამ რაღა დროს, ყურის დამგდები აღარავინ იყო. იქნება, ზოგიერთ მაღემრწმენ ადამიანს ისიც მოსჩვენებოდა, სოფელს ჭინკების წყევლამ უწია, ბუდე და საცხოვრისი რომ მოუშალესო, მაგრამ, რა ვიცი, იმათ ისეთი გულღვარძლიანობა არ ეტყობოდათ, ერთი სოფლის დანაშაულის გამო ამისთანა ყოფისთვის გაემეტებინათ მთელი ქვეყანა.

კაცი არსად მოიძებნა, ისეთი არავინ გამოჩნდა, რომ, თუ ვერ შეძლებდა, ეცადა მაინც: ძველი წესრიგის ნანგრევებზე აფუთფუთებული ქაოსიდან ახალი წესრიგი ჩამოეყალიბებინა. ხალხი კი კვლავაც ქვევრივით იყო - ზემოდან რასაც ჩასძახებდნენ, იმას ამოიძახოდა: ჩვენო ჩვენ-ჩვენ საქმეებს ვაკეთებთ და საწადელსაც მალე ვეწევითო. მართლაც, თითოეული თავისთვის ჩალიჩობდა, თავისთვის ცდილობდა, მაგრამ მაინც ყველა მიუღწევლობას ჩიოდა და წუწუნებდა, ასახდენელის აუხდენლობას ვიშვიშებდა. დრო გადიოდა და ზოგიერთებს ეჩვენებოდათ: სხვების ყოფას ისევ წანწკარას ბიჭ ირაკლის ყოფა სჯობიაო, რომელსაც თავისი ნაგალა სხეული წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოსთვის მიებარებინა, ხოლო ახალ ცნობებს მოწყურებული იმისი სული, ვინ იცის, ახლა ვის ხმებს უსმენდა.

ლენას გოგიას (ეგ ჯერ კიდევ ადრე მოხდა) სიღნაღში ვიღაცა ქალთან შეუსწრეს იმ ქალის ძმებმა და ისე დაჩეჩქვეს, ჭინკებისდროინდელი თავგადასავალი ალერსად აგონდებოდა. კარგა ხანს იავადმყოფა და, ცოტა მოიკეთა თუ არა, სადღაც გადაიკარგა. ხმა მოვიდა, ბათუმში მუშაობსო ფოსტის უფროსად.

დენი გადაავიწყდა სოფელს, ბოძი აღარსად დატოვეს და მავთული, აბა მონტიორი ვიღას რა ოხრად ენდომებოდა? ჰოდა, ვალასოკამაც მიაგდო თავისი ხელობა და ელექტროსაქონელს ეზიდება თურქეთში.

უნდილმა ბეჟანამ ბიბლიოთეკის შენობა შეისყიდა, შიგ მინიმარკეტი გახსნა და ვალასოკას მიერ თურქეთიდან ჩამოტანილი კვებითა და ღორის ხორცის კონსერვებითა ვაჭრობს.

ერთი კია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველამ ვერ აუღო ალღო, ფეხი ვერ აუწყო ახალ დროებას. მათ შორის ქუხილამაც. ვერ იქნა და ფერი ვერ იცვალა - იმ ერთი ანდაზისა არ იყოს: ცა და მიწა იქცეოდა, ტურა კი ქორწილს ეწეოდაო, ესეც ძველებურად ულურჭავს თავის ძმაკაცებთან ერთად. ეგ არის, ღვინოს ისე ვეღარ იტანს, როგორც იტანდა და მალე ეკიდება. ბოლო დროს ერთი ზნეც დასჩემდა: წასულებს წანწკარას ბიჭ ირაკლის თამადობით ადღეგრძელებს და თვალები იოლად უწყლიანდება. მერე მოდგება და ნიკასა და ლუკას უმტკიცებს:

- ჩემმა მზემ, ბიჭებო, აის ჭინკები, ჩვენ რო გვენატრება....

- რას ამბობ, ლუარსაბ, ნუ გარეკავ ხოლმე, რა ჭინკები გვენატრება, კაცო? - გაოცებას ვერ მალავს ნიკა.

- არც მე, არც მე მენატრება, - მხარს უბამს ლუკა.

- ჰოდა, ის ჭინკები, ჩვენ რო გვენატრება, ბიჭებო...

- აჰა, კიდე!

- ის ჭინკები მართლა აგურხანაზე კი არა ცხოვრობდნენ, - თავისას არ იშლის ქუხილა, - ჩვენში სახლობდნენ, ჩვენს ხასიათებში გვესხდნენ.

- მორჩი ერთი, თუ ძმა ხარ, ხასიათებში არა, იხვის ტოლმა... - ნაძალადევად ხარხარებს ნიკა.

ლუკა უკვე თავისთვის ასლოკვინებს.

- ჰო, ჰო, რა გაცინებს, მართლა ჩვენს ხასიათებში სახლობდნენ, გადაგვიბრუნდა ხასიათი და მორჩა, გაქრნენ, აღარ არიან! აგე, გაიხედე გარეთ, ყველაფერი ისევ არი: ესეც არი, ისიც არი... ჭინკები კი აღარ არიან, - თვალები ეცრემლება ქუხილას.

- ამ ჩემს ფეხებს, თუ აღარ არიან! - წყრება ნიკა, - ჯანდაბამდე ჰქონდეთ გზა და ოსოჭოლომდე, ბიჭოს! ეს ჭინკების მონატრება რაღა ოხრობა შეიძლება იყოს?!

მერე მშვიდდება და შემწყნარებლურად უტყაპუნებს მხარზე ხელს მეგობარს: აქაოდა, რა ვუყოთ, ვინ არ დამთვრალა და, რო დამთვრალა, რა არ უთქვამსო.

- ეეეეჰ! - ჩუმად იტყვის ქუხილა, თავს ჩაღუნავს, თითქოს დაიმორცხვაო და ხმას აღარ იღებს.

იხტიბარგატეხილი ქუხილასი რა გითხრათ და მე კი დარწმუნებით ვიცი, იმ ნაოხარ ადგილს, ოდესღაც სააგურე რომ იყო, ჭინკები აღარასოდეს გაეკარებიან. რატომღაც აღარც ხალხს მიუწევს გული იქით, აღარავის უნდა იქაურობის მიხედვა. ხოლო უპატრონო ადგილს, უპატრონო ეკლესიისა არ იყოს, მე რომ არ გითხრათ, თქვენც კარგად იცით, ვინც დაეპატრონება ხოლმე.



„ამაღლება" მხატვარი მურმან დემურია

# ნიკა ჯორჯანელი



## დასასრული

დანისლავს ყოველს გლოვა ლიბრედი.
ყოველი გავა.
გლოვა იქნება ნახევრად ბედი,
ნახევრად - ჰავა.

ბედის ნაწილო, ბრუნდები რაკი, -
ქებათა ქება!
ლურჯა ცხენი კი არა, მჭლე ჭაკი
კარს მოადგება...

და ამოუშვებს უსუსურ ჭიხვინს;
შეგხედავს ნასვამს.
მერე გათელავს შენს დაფნის გვირგვინს
და წერტილს დასვამს.

●

რაც ამქვეყნად მერგო, მოისმინე:
მარტოობა, სევდა, სისათუთე...
მოსრიალებს გველი და სისინებს
და თვალები ცივი უგავს თუთებს.

სიხარული სიკვდილს ვერ ანელებს.
ირგვლივ ყოველს კუწავს შავი გორდა, -
მარტოობის, მოსისინე გველის,
სისათუთის და ამ სევდის გარდა.

მაინც ვრჩები უდაბნოში, სადაც
შენ მიზიდავ, როგორც შალი ჩრჩილებს,
სად სივრცეს და საუკუნეს ათასს
ქარი ერთად წამში იმორჩილებს.

მოსრიალებს გველი და სისინებს
და თვალები ცივი უგავს თუთებს.
რაც ამქვეყნად მერგო, მოისმინე:
მარტოობა, სევდა, სისათუთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღამის ეპიტაფია

დაიძინე. მე შენს სასთუმალთან
შენი ძილის სადარაჯოდ ვრჩები.
მე არავის არ დავუთმობ შენს ძილს.
შენი ძილი არის მხოლოდ ჩემი.

...დაუწევს ან სულ ჩააქრობს პატრუქს.
ვერ შეგატყობს მძინარების ნიღაბს.
თითქოს ვიღაც სამუდამოდ მიდის.
ჩუმად გკოცნის. იპარება ვიღაც.

●

მე ისევ მინდა, შენს სიახლოვეს
დავანთო ცეცხლი, დავდგა კარავი,
რომ გაგინათო ჩემი სიწრფელის
და მარტოობის სიაშკარავე...

და გაგიმხილო ის, რომ შენს გარდა
ამქვეყანაზე არ მყავს არავინ.

## ოცნება

სადღაც არიან მხარეები ჩვენი ალერსის,
სადღაც ჩვენთვისაც განკუთვნილი არის კუნჭული,
სად შეიძლება საუბარი გუსტავ მალერზე
და სიყვარულის - უსაყვარლეს ყურში ჩურჩული.

სადაც სახსრები უკვდავების ნისლში ცურავენ,
სადაც საერთოდ არ არსებობს აზრი, წვალება;
სად შეიძლება დავიწყება იმის თუ რაა
მიწაში წოლა... გამიწებით სახეცვალება.

●

მზეს მისდევს ძველი კედლის საათი
და დათოვლილი შედის ლოცვაში,
როცა ზამთარი, როგორც საადი,
მარტოა თავის გარემოცვაში.

ზამთარი ფიფქით ასკდება კედლებს
(შეშუპებული თითი. ბეჭედი...),
ის თავიდანვე ჩამორჩა ბეთლემს,
როგორც მშვიდ ეგვტერს - სავსე მეჩეთი.

ქარი ყოველთვის იყო ბატუტი -
კატის, თვითმკვლელის, ოცნების, ბგერის...
არსებობს მკვდრების ჩვენზე გაბუტვა,
ის იწოდება: სიკვდილი მღერის.

სიკვდილი მღერის, სულ მთლად გაავდა,
მაგრამ მთავრდება დღე უკუღმართი...
რიჟრაჟზე რაღაც ეტყვის ნაავდრალ
არეს ჩურჩულით: შენთან არს ღმერთი.

●

ღმერთი რომ იღიმება, ღმერთი რომ იღიმება,
პოეზია სრულებით აღარ არის საჭირო!
მარტოობა აღარ გსურს, ცასთან გაასაჩივრო,
ღმერთი რომ იღიმება, ღმერთი რომ იღიმება.

მაგრამ, თუკი წარბშეკვრით დიდხანს ყოფნა ინება,
როცა პირქუშობაა და ბრბოს ისმის გინება,
რისთვის უნდა გინდოდეთ პოეზიის გასრესა?
პოეზია სახეა მოღიმარი კაცისა.



# ნანა ქარდავა

## მზედადევნებული

*ეს ამბავი მზედადევნებული ქალის ისტორიაა: როდესაც მას ცხოვრების ქარი შეუბრალებლად მიაფრენდა ერთი ალაგიდან მეორეს, მზე ფეხდაფეხ დაედევნებოდა ხოლმე. ამიტომ გადაწყვიტა, თავისი ბედისწერა სამზეოზე გამოეტანა. და მზემ ამჯერადაც არ უმტყუნა...*

### I თავი

დავბადებულვარ თბილისში, სოლოლაკში, **1942** წლის **1** მარტს, სალომე ახვლედიანისა და მიხეილ წერეთლის ოჯახში. მამაჩემს დაურქმევია ჩემთვის კესარია, თავისი ბებიის პატივსაცემად. თუმცაკი კესარია არავის დაუძახნია, - რაც თავი მახსოვს, კესოდ მიხმობენ.

მამა - მიხეილ წერეთელი, არ მახსოვს. ან კი საიდან უნდა მახსოვდეს? იმავე წელიწადს, როცაკი დავიბადე, ომში გაუწვევიათ. დედის მონათხრობიდან ვიცი, რომ მამას რუსები, სტალინი და კომუნისტები ჭირის დღესავით სძაგდა. მაგათ ომში რა მინდაო - უთქვამს საწყალს და ერთი წელი თავი როგორღაც შეუნახავს. ნეტა, მაშინვე გაეწვიათ და მეც ხომ აღარ მოვევლინებოდი ამ ქვეყანას სადარდებლად?! ომის მეორე წელიწადს მეც დავიბადე, მისი პირველი და უკანასკნელი შვილი, და მამაც გაიწვიეს. მამის სახება მშობლების ქორწინების ფოტოზეღა შემომრჩა მხოლოდ. ამ სურათის გარდა მამაჩემისგან მერგო გვარი - წერეთელი და ორსართულიანი სახლი სოლოლაკში, დღევანდელი ასათიანის ქუჩაზე. სადღეისოდ ამ სახლმა ძლიერ იცვალა იერი: აქეთ-იქიდან უნებართვოდ მიშენებული ლოჯიებით „დამშვენდა“, ეზოს მხრიდან რიკულებიანი ხის კიბე საზიზღარმა რკინისამ შეცვალა, სახურავზე მფრინავი თეფშების მოყვანილობის ანტენები „აღმოცენდნენ“, რომლებმაც უძველესი ქართული კრამიტები მთლიანად დააზიანეს, ეზოში წყლის პატარა აუზი ამოშრა და ამოხმა და მის შუაგულში მდგარი ყოფილი მშვენიერი დავითის ქანდაკებისგან მხოლოდ ფალოსი შემორჩა, ალბათ, ჩვენი ყოფის სიმბოლოდ. ეს საუკუნოვანი შენობა ოდესღაც ჩემს ოჯახს ეკუთვნოდა. დღეს მეც ამ სახლში ვცხოვრობ - ოღონდ მის ნახევარსარდაფში, ზედა ორ სართულზე კი რვა ოჯახი ბინადრობს. რვავე მზრუნველმა კომუნისტურმა პარტიამ დაასახლა ჩემს საკუთარ სახლში და ასეთივე მზრუნველობით მიმიჩინა მე, ობოლ ბავშვს, ამ სახლის ერთადერთ სრულუფლებიან მემკვიდრეს, ადგილი ნახევარსარდაფში. აბა, რა უნდა ექნა? ხომ უნდა დაეფასებინა ამ ოჯახების წევრ „წითელ ეშმაკუნათა“ ღვაწლი?! სხვათა შორის, - ბარემ აქვე გაუწყებთ სიამაყით - რომ დრონი იცვალნენ და აწ „წითელ ეშმაკუნათა“ შთამომავალნი - „დემოკრატ-ეშმაკუნები“ სახლობენ წერეთელთა ამ სამკვიდრებელში.

გამოსახლება მე, რასაკვირველია, არ მახსოვს. სამაგიეროდ მიზეზი, აბა, როგორ დამავიწყდება?! უბედური მამაჩემი რომ მსახურობდა, ის ნაწილი გერმანელებს ალყაში მოემწყვდიათ და თითქმის სრულიად ამოეჟლიტათ. მამაჩემი და კიდევ ორიოდ ოფიცერი ტყვედ აუყვანიათ. როგორღაც მოუხერხებია მამას გამოქცევა - თავისიანებს შეერთებია. იმათ კი: ყველა თუ გაწყვიეტს, შენ რატომ გადარჩიო; ნამდვილი კომუნისტები ტყვედ არ ბარდებიანო; არიელებმა ცისფერსისხლიანობის გამო დაგინდეს და ჯაშუშად გამოგაგზავნესო - დახვრიტეს! ეს იყო წითელი მორალი და სამართალი! და კიდევ იაფი ძეხვი და ყველი, დღესაც რომ მისტირიან „წითელ ეშმაკუნათა“ „წითელი დემოკრატ-ეშმაკუნა“ შთამომავალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემის - სალომე ახვლედიანისა და ჩემი - კესარია წერეთლის ორსულიანი ოჯახი სამშობლოს მოღალატისა და გამყიდველის ოჯახად შეირაცხა. ბინა კონფისკაციას დაექვემდებარა - ომის სასარგებლოდ. ზედა ორ სართულზე, დედაჩემის ცნობით, ორმოცი ოთახი ყოფილა, რომელიც რვა ოჯახზე გადანაწილდა. მე და დედა კი ნახევარსარდაფის ერთ დიდ ოთახში მოგვათავსეს. აქაც ისე ვცხოვრობდით, როგორც შეეფერებათ ახვლედიანთ და წერეთელთ.

ჩვენს ახალ „მეზობლებს" თითქმის არც ვიცნობდით. ახლაც თვალწინ მიდგას, ავადმყოფობისგან (ჭლექი დაემართა) ისედაც სახემიბნედილ დედაჩემს ცვილის ფერი როგორ დაედო, მისი სახლყოფილის მუხის კარებზე მობინადრეთა გვარებს რომ შეავლო თვალი: ძანძავა ბ.დ., ბანძელაძე გ.გ., საძაგლიშვილი კ.გ., ღოღობერიძე ლ.ლ., უჯმაჯურიძე გ.ლ., ზახარიანი ხ.ხ., კაჩალოვი ი.ი., აფიცერიანი ი.პ.

ჩვენი ოთახის მორთულობა იოლი აღსაწერია: ერთი მაგიდა, ორი სკამი, ერთი ტახტი და ერთიც ორკარიანი კარადა, რომელშიც ცალ მხარეს ჭურჭელი ეწყო, მეორეში კი ტანსაცმელი. ეს იყო და ეს. დედაჩემს სულ უკვირდა, თურმე რა ცოტა რამ ყოფილა საჭიროო. დღეს რომ ვუკვირდები, ამას მხოლოდ ჩემს გასამხნევებლად ამბობდა. და კიდევ ერთი დეტალი, რომელზეც საგულდაგულოდ უნდა შევჩერდე - ტანსაცმელი, რომელიც ჩვენ არასდროს გვაკლდა. დედას ყველანაირი ხელსაქმე ხელეწიფებოდა: კერავდა, ქსოვდა, ქარგავდა, ამას გარდა ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა მეზობლის ბავშვებს. ყოველივეს იმად მოგახსენებთ, რომ დედაჩემს ჩემთვის ობლის ხვედრი არ უგრძნობინებია, პირიქით, ჩემს თანატოლ გოგონებზე ბევრად უკეთ მეცვა. მაგრამ თვითონ შავი კაბა სიკვდილამდე არ გაუხდია. ერთხელ, როცა თავის გარდერობს ამზეურებდა, გაოცებული დავრჩი - ძალიან ლამაზი, ძვირფასი ბეწვითა და მაქმანით გაწყობილი ტანსაცმელი ჰქონოდა. რატომ არ იცვამ-მეთქი, შევეკითხე. რა დროს პრანჭვაა, ქვეყანას უჭირსო, მომიგო. რატომღაც ეს სცენა ღრმად ჩამებეჭდა ბავშვურ გონებაში და ახლაღა ვუფიქრდები მხოლოდ - უჭირდა მისთვის ასერიგად საძულველ ქვეყანას - საბჭოეთს, მაგრამ დედა ქართველი ქალი იყო, ახვლედიანის გვარისა - ის არ იკადრებდა საქართველოზე უკეთესად ცხოვრებას.

## II თავი

რადგან სიტყვამ მოიტანა, ახვლედიანთა დედაჩემის შტოზე მინდა გიამბოთ. ესენი მეგრელი ახვლედიანები იყვნენ. აშილ მიურატსა და სალომე დადიანს ჩამოუსახლებიათ ზუგდიდს. ბაბუაჩემის მამა მათი მოურავი ყოფილა. ბაბუაჩემს მეგრულის გარდა სხვა ენა არცა სცოდნია. ოთხი ვაჟიშვილი ჰყოლია და ასაკში შესულს ტყუპი ქალ-ვაჟიც შესძენია. მათთვის სალომე დადიანისა და აშილ მიურატის პატივსაცემად სალომე და აშილი დაურქმევია.

ბაბუას ექვსი შვილიდან სამი წითელარმიელებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულა, ტაბახმელასთან, ერთიც მოგვიანებით გაუციმბირებიათ. სალომე და აშილი, ნაბოლარა ტყუპები, ოციანი წლების დასაწყისში მოსკოვში სწავლობდნენ უნივერსიტეტში. დედაჩემი ბაბუას უკან გამოუხმია ზუგდიდში, არეული დროა და მეშინიაო, უთქვამს. ამიტომ დედას საუნივერსიტეტო ერთი კურსიღა ჰქონდა მოსმენილი. მისი ტყუპისცალი აშილი, უმაღლესდამთავრებული, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაბრუნებია. ნეტა, არ დაბრუნებულიყო, იტყოდნენ ხოლმე ნათესავები. რუსეთიდან საუნივერსიტეტო ცოდნის გარდა აშილ ახვლედიანს პროლეტარიატის იდეებიც ჩამოჰყოლია. ბაბუას შეუმჩნევია გულზე დაკრული წითელი ხავერდის ბაფთაზე მოჭუტულთვალება ებრაელის სურათი, ეს რა არისო, უკითხავს. ეს ჩვენი დიდი ბელადიაო, - მიუგო თურმე ვაჟიშვილმა. მაგ დიდმა ბელადმა ამომიგდო ოჯახი და დაგიხოცა ძმები, შე არაკაცოო, დაიღრიალა თურმე ბაბუამ და გულზე მოიკიდა მარჯვენა ხელი. მაგრამ ტყვიითა და სიტყვით გაბზარულ გულს, როგორც ცნობილია, მარჯვენათი ვერ შეაწებებ. დედაჩემს - სალომესა და მის ტყუპისცალ აშილს მამა გარდაეცვალათ. ქელეხზე ვაჟიშვილს მადლობა გადაუხდია მეზობლებისთვის და სასხვათაშორისოდ უთქვამს „მამა წარსულის გადმონაშთი იყო, დროულად მიიცვალა. ახლა ახალი ცხოვრება ამტვრევს კარს"-ო. მაშინ სოფელი ძლიერი და ზნეობრივი კოდექსის ყოველმხრივი დამცველი იყო, თანაც აშილი ისედაც არ მოსდიოდათ თვალში, „განათლებულ ყეყეჩს" ეძახდნენ. ჰოდა, მეზობლებისა და ახლობლების მოთმინების ფიალა აუვსია აშილის ბოლო ფრაზას - ახალი ცხოვრება ამტვრევს კარსო, რომ ბრძანა; კარს რა ამტვრევს, არ ვიცით ჩვენო, უთქვამთ და აშილის ნეკნები კი კარგა გვარიანად ჩაუმტვრევიათ. ძლივს გამოვგლიჯე საბრალო გაავებულ ხალხსო, - ყვებოდა დედაჩემი. მერე როგორღაც გაუპარებია ძმა, რადგანაც იმ სოფელში აღარ დაედგომებოდა მამისა და ძმების შემარცხვენელს. მეურნეობას მარტო უძღვებოდა დედაჩემი, ვიდრე მიხეილ წერეთელზე დაინიშნებოდა. გათხოვების შემდეგ კი მამისეული სახლი გაუყიდია და მთელი თანხა აშილისათვის გაუგზავნია. მართალია, კომუნისტია აშილი, მაგრამ ახვლედიანთა მემკვიდრე იყო და მას ეკუთვნოდაო, იტყოდა სულგანათლებული დედაჩემი და „კომუნისტის" წარმოთქმის შემდეგ პირჯვარს გარდაისახავდა.

## III თავი

ასე დაიბედა, ეტყობა, ოდითგან აფხაზეთს არსთაგამრიგემ: ყველა გზასაცდენილი და დამნაშავე შვილი მას აფარებდა თავს ენგურსაქეთიდან.

ბედისწერას ხომ ვერავინ გაექცევა და აშილიც ვერსად წაუვიდოდა მას. გზასაცდენილმა და გაკიცხულმა მანაც აფხაზეთს მიაშურა თურმე. ლიხნში დაიდო ბინა. აშილ ახვლედიანისნაირი ახალგაზრდები დიახაც სჭირდებოდა კომპარტიას. მითუმეტეს, ისეთ რთულ უბანზე, როგორიც პატარა მიყრუებული სოფელი იყო.

აშილ ახვლედიანი იყო მეტად წარმოსადეგი, ბრგე ვიწროწელა და მხარგანიერი, მაღალფეხება და ლამაზკეფიანი; მოკლედ, როგორც დედაჩემი იტყოდა, ახვლედიანთა ჩამომავლობას ზედ შუბლზე დაესვა მისთვის ბეჭედი. ამას გარდა, უმაღლესდამთავრებული და რაც ყველაზე მთავარია - ბოლშევიკთა პარტიის წევრი, მგზნებარე ორატორი.

ასეთ „პერსპექტიულ კადრზე" თბილისშიც არ იტყოდნენ უარს, თორემ ლიხნი ხელიდან გაუშვებდა?! და აშილიც სულ მალე შეიქნა ამ მხარის პოლიტიკური ლიდერიც და მის მიერვე კოლექტივიზაციაგატარებული სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გარდა კომუნისტობისა აშილ ახვლედიანი, აგრეთვე, მამაკაციც გახლდათ და თანაც მამაკაცი ძალიან საინტერესო ასაკში. ბოლშევიკური დავალებების გარდა მას ის მოვალეობაც უნდა აღესრულებინა, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა დააკისრა, როცაკი მამაკაცად მოავლინა ამ ქვეყანას. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მრავალფეროვანი იდეების მოყვარული წითლები ერთ დროს საერთოცოლიანობაზეც ოცნებობდნენ. ალბათ, არც აშილი იყო გამონაკლისი. ყოველ შემთხვევაში, საქმე ამგვარად იყო: ლიხნის განაპირას, ერთ პატარა სახლში უშნო ქვრივი ცხოვრობდა, რომელსაც ერთადერთი ვაჟიშვილი სოხუმში გაეგზავნა მძღოლის პროფესიის შესასწავლად. ქვრივი კი მართლა უშნო, მაგრამ ქვრივი იყო და, რაც მთავარია, ჯერაც ახალგაზრდა. ლიხნში იმ დროს მცხოვრები ყველა მამაკაცი ემადლიერებოდა მას. ეტყობა, ვერც აშილის დიდხანს ტაბუირებული სექსუალური სურვილები გაექცა ამ კალთამადლიან ქალბატონს. ლიხნელი მამაკაცები ერთი ღამით სტუმრობდნენ თურმე ქვრივს რიგრიგობით, აშილი კი დიდხანს დარჩა და მერე, როგორც იტყვიან, დარჩა და დარჩა. ამ „დარჩენის“ მიზეზი ვერავინ ახსნა. გარდა იმისა, რომ დედაკაცი შვილიანი ქვრივი იყო, იგი აშილზე კარგა უფროსიც იქნებოდა, თანაც საშინლად შეუხედავი. ორი წლის განმავლობაში ოთხი შვილი გაუჩინა აშილს - ტყუპ-ტყუპი ბიჭები. უბედურ დედაჩემს სხვა გზა არ დარჩენოდა: მეუღლესთან ერთად მოუნახულებია ძმა, რძალი და ძმისშვილები. შემდეგ არაკივით ყვებოდნენ, რძლის დამნახავ სალომე ახვლედიანს გული როგორ წაუვიდა და ცხენიდან როგორ ჩამოვარდა. მიუხედავად ყველაფრისა, დედაჩემს ძმას ცუდად ვერავინ უხსენებდა. არც თვითონ მოიხსენებდა აუგად არასდროს. ის კი არადა, ესეც კარგად მახსოვს, აშილი ნუ მომიკვდებაო - როგორ იფიცებდა ერთადერთს.

## IV თავი

თორმეტი წლისა ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა. ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და მე ამ ამბის არათუ აღწერა, გახსენებაც კი შიშის ზარს მცემს. ჭლექმა მოუღო ბოლო. ულამაზესი თვალები გახელილი, პირთან კი სისხლიანი დუჟი დარჩა. მეზობლებმა დაასაფლავეს საცოდავი. თორმეტი წლის გოგონას მარტო საცხოვრებლად არავინ დატოვებდა იმ დროს. გადაწყვიტეს, უპატრონო ბავშვთა სახლში წავეყვანე. დღედაღამ ვტიროდი. ამ დროს ღმერთად და მხსნელად მომევლინა ბიძაჩემი აშილი შორეული ლიხნიდან. სადაც საჭირო იყო, განაცხადა, რომ სისხლისმიერი ნათესავი იყო ჩემი, დაოჯახებული, ხუთი შვილის მამა (ცოლის შვილსაც საკუთრად მიიჩნევდა), თანაც პარტიული მუშაკი და აბა, წინ ვინ დაუდგებოდა. ასე აღმოვჩნდი ბედისწერის სურვილითა და უფლის ნებით აფხაზეთში. სოხუმამდე მატარებლით ვიმგზავრეთ, შემდეგ მანქანით გაგრამდე და ბოლოს ცხენით ლიხნამდე. მთელი მოგზაურობის მანძილზე ორი რამ მაოცებდა: ბუნების ენითუთქმელი სიდიადე და ბიძაჩემის სიტყვაძვირობა. მართლაც, საოცრად უხეში კაცი აღმოჩნდა. ან ეზარებოდა, ან ეთაკილებოდა ჩემთან საუბარი. ერთი წუთითაც არ შემინიშნავს მის სახეზე დის უდროო გარდაცვალებით გამოწვეული წუხილი ან ობოლი ბავშვის სიბრალული. ეტყობა, პარტიის დავალებების გარდა სხვა არაფერზე შეეძლო ამ კაცს ფიქრი. ასე მდუმარედ მივაღწიეთ მის სახლამდე, რომელიც სოფლიდან მოშორებით, მთის სიახლოვეს განმარტოებით იდგა. სახლი კი არა, უფრო ოდა ეთქმოდა, შავი ხისგან იყო აშენებული თანაც ჟამთა სიავეს გაეშავებინა. და აქედან, ამ სახლში მოსვლიდან დაიწყო ჩემს ცხოვრებაში უცნაურობათა და საოცრებათა ნაკადი. პირველი „საოცრება“ მაინც ბიცოლაჩემი ხარკელ დგმუყვი გახლდათ. დახ, დიახ, სწორედ ასე ჟღერდა მისი გვარ-სახელი - ხარკელ დგმუყვი.

## V თავი

არასოდეს დამავიწყდება, ეზოში შესულთ პირველი შავი თხა შემოგვეგება. ოდამდე ბილიკი მიდიოდა. წინა ეზოში ერთადერთი გამხმარი და, ამდენად, უფოთლო ხე იდგა. ჩანდა, პატრონი მას შეგნებულად არ ჭრიდა, რადგანაც გამხმარი ხის ტოტები საკუჭნაოს მაგივრობას სწევდნენ, ანუ ტოტებზე ეკიდა ღომის დიდი და მცირე ქვაბები, ემალისა თუ რკინის ჭიქები. სუსტი ქარი ქროდა და მთელი ეს ოჯახის საუნჯე-ჭურჭელი ირწეოდა, ერთმანეთს ეხეთქებოდა, განუმეორებელი ჟღარუნის ხმას გამოსცემდა. გამხმარ ხესთან ახლოს ჭა იყო. მასთან ვერ მიხვიდოდი, ისე იყო ირგვლივ ატალახებული.

ბიძაჩემმა ოდის კარი გააღო. პირველი თვითონ შევიდა. ოთახი, რომელშიც აღმოვჩნდით, იყო სამზარეულო, მისაღები, საკუჭნაო და საძინებელი ერთდროულად. მიწურ იატაკზე ოთხი ჩემზე უმცროსი ბიჭი თამაშობდა. მივხვდი, რომ ესენი ჩემი ბიძაშვილები იყვნენ. ჩემს დანახვაზე გარეული კატებივით აქეთ-იქით გაიქცნენ და მიმოიფანტნენ. აშილმა მათი სახელები მომახსენა: აი ის, ფანჯრიდან რომ გადახტა ეზოში, კოსტაა; კარებში რომ იღრიჯება - ასტამური; ეზოში რომ ერთმანეთს ურტყამენ - ბექილი და გური. ბიჭუნები თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ, საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს, წელზემოთ მუდამ ტიტვლებს ეცვათ მუქი ჯვალოს შარვლები და მე დიდხანს ვერ ვარჩევდი მათ ერთმანეთისაგან.

დაბნეულობისგან კედელთან ავიტუზე და ოთახის მორთულობას დავუწყე ცქერა. ამ დროს ჩემს ახლოს კარი გაჭრაჭუნდა და ქალი შემოვიდა. თუმცა მე უცებ ვერც მივხვდი, რომ ეს ქალი იყო. ისედაც უშნო, ბიძაჩემის გვერდზე საერთოდ გონჯად მოსჩანდა.

მე არ მახსოვს, ამ ქალს შავი კაბის გარდა სხვა რამ სცმოდეს. ასევე შავი თავსაბურველი ეკეთა ზამთარზაფხულ ყოველ ამინდში. იგი იყო დაბალი, მოკლეხელება. არწივისებური ცხვირითა და ჩაცვენილი თვალებით, ვიწრო ტუჩებითა და სწორი კბილებით. საერთოდ სიტყვაძვირი, თუ რაიმეს ამბობდა, მოსაუბრეს თვალში არასოდეს უყურებდა. უცნაურია, მაგრამ ეს ქალი ჩემთვის არავის გაუცვნია. მან თავი დამიკრა და მეორე ოთახში გაიძურწა. ერთად ცხოვრების განმავლობაში მე ვერ გავიგე, რა ეროვნებისა იყო ხარკელ დგმუყვი ან რა სარწმუნოების, ან რა ენაზე მეტყველებდა ბოლოსდაბოლოს. და ყველაფერი, რასაც მასზე მოგახსენებთ - ჩემი ნააზრევია. იგი არ იყო არც თურქი, არც თათარი, არც სომეხი, არც ქართველი და არც აფხაზი. მისი შვილები ამბობდნენ მთიელიაო, მაგრამ მთიელები ბევრნი არიან და, კერძოდ რომელი მთიდან იყო ხარკელი, ვერ დავადგინე. საბედნიეროდ, ისტორია მიყვარდა მუდამ და ვიცოდი, რომ უბიხთა ბოლო მთავარი ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგი იყო. ხარკელის გვარი „დგმუყვი“ჟღერადობით წააგავდა „დაგუმოყვს“. ამიტომ, შესაძლებელია, ის უბიხი ყოფილიყო. მისი სალაპარაკო ენა აფხაზური იყო ოჯახში, მაგრამ მე ვხვდებოდი, მეზობლებისგან განსხვავებით ის ამ ენაზე სრულყოფილად ვერ საუბრობდა. არ იცოდა არც რუსული, არც ქართული, არც მეგრული, არც სვანური, ანუ ის ენები, რომლებზეც ძალიან კარგად ლაპარაკობდა ბიძაჩემი. გამაკვირვა იმან, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს საერთოდ არ ელაპარაკებოდა არასოდეს, თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს დუმილის აღთქმა ჰქონდათ დადებული. ის კი არადა, ერთმანეთისთვის სახელითაც არასოდეს მიუმართავთ. თუ რამე უნდოდა, ბავშვს ეტყოდა მეგრულად ბიძაჩემი, ის კი აფხაზურად გადასცემდა დედას. დედაც ასევე იქცეოდა, ოღონდ ამჯერად პატარა თარჯიმანს აფხაზურიდან მეგრულად უნდა გადაეთარგმნა დანაბარები. საწოლში, ალბათ, სიყვარულის ენაზე თუ საუბრობდნენ, რისი დასტურიც იყო ეს აუარება ბავშვები. ახლა რაც შეეხება ხარკელის სარწმუნოებას. ის არ იყო არც ქრისტიანი, არც მაჰმადიანი. ჩემი დაკვირვებით ის იყო კერპთაყვანისმცემელი. მისი კერპი მზე იყო, მზისთაყვანისმცემლები კი ძველ დროში იყვნენ ჯიქნი. ახლა თქვენთვის მომინდია ხარკელ დგმუყვის ვინაობის დადგენა.

ყველაზე ბოლოს ბიცოლაჩემის ვაჟიშვილი გავიცანი, პირველი ქორწინებიდან რომ ჰყავდა. მას ბესლანბეი ცისბაია ერქვა.

## VI თავი

ბიძაჩემი - აშილ ახვლედიანი, შავგვრემანი კაცი იყო, მას მუგუზალივით შავი ცოლისგან ღამეზე უშავესი ვაჟები შესძენოდა. ბესლანბეი ცისბაია მათ ფონზე მართლაც ცის ბაიასავით, ცის შვილივით გამოიყურებოდა. იგი ჩემზე თექვსმეტი წლით უფროსი იყო. ანუ ჩვენი გაცნობისას მე ვიყავი თორმეტის, ის კი ოცდარვისა. საშუალოზე მაღალს, კარგად აღნაგს, დაკუნთულს კარგი პირისახე ჰქონდა: სწორი ცხვირი, სქელი ტუჩები, ცისფერი თვალები და ღია წაბლისფერი ხშირი თმა. დედამისისგან განსხვავებით, მასზე ყველაფერი ზუსტად შემიძლია გითხრათ: იგი გახლდათ ეროვნებით აფხაზი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, თუმცა ახლანდელი მისი სარწმუნოება მამინაცვლის გავლენით კომუნისტური გამხდარიყო. ჭაბუკი ძირითადად აფხაზურად ლაპარაკობდა, თუმცა კარგად იცოდა მეგრულიც და რუსულიც, რომელიც სოხუმში შეესწავლა, მძღოლის პროფესიას როცა ეუფლებოდა.

შევნიშნე, თვალები როგორ გაუფართოვდა და გაუშტერდა ბესლანბეის ჩემი პირველი დანახვისას. თავი დამიკრა მოსალმების ნიშნად, თუმცა ხელი არ ჩამოურთმევია. „ეს ბესლანბეია“ - როგორც იქნა, ხმა ამოიღო ბიძაჩემმა, ცოტა ხანში კი დასძინა - „შეგიძლია, უბრალოდ ბესლანი დაუძახო“.

დღევანდელ აფხაზთ რომ გამოჰკითხო, ამ გვარისას საერთოდ ვერ გაიხსენებენ ვერავის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცისბაიათა გვარი სადღეისოდ, ფაქტობრივად, აღარც არსებობს. ყველაზე კარგი დრო ცისბაიებს ედგათ მაშინ, როცა მათი გვარის მამაკაცების რაოდენობა დაახლოებით სამოცს აღწევდა. ეს იყო წინა საუკუნის დამდეგს. ცისბაიათა ძირითადი მასა მრავალრიცხოვან ომებს გაუქრია პირისაგან მიწისა. რაღაც წყევლა მოსდევდა მათ გვარსო, ამბობდნენ მეზობლები. ბესლანბეის მამაც სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა, დარჩენია ქვრივი ხარკელი და ძუძუთა ბავშვი - ბესლანი. ცისბაიათა ნათესავებს მზე და მთვარე ამოსდიოდათ მათი გვარის ერთადერთ გამგრძელებელზე. ხშირად მოინახულებდნენ ხოლმე. თავად ბესლანბეისაც უყვარდა ისინი. მას შემდეგ, რაც მე დავიდე ბინა ბიძაჩემთან, ბესლანბეი თავის ნათესავებთან გადავიდა საცხოვრებლად, სადღაც ახლო სოფელში. კვირაში ორი-სამი დღით თუ ჩამოაკითხავდა ხოლმე დედას, ნახევარძმებსა და მამინაცვალს.

## VII თავი

საინტერესო რიტუალის შესახებ მინდა გიამბოთ, რომლის მსგავსი არც მინახავს სადმე და არც მსმენია ვინმესგან. ეს რიტუალი ხშირად მეორდებოდა ჩემს ბავშვობაში და ისე ღრმად აღიბეჭდა გონებაში, რომ, როცა დამჭირდა, მეც ისე ოსტატურად ჩავატარე, როგორც თავის დროზე ამას აკეთებდა ბიცოლაჩემი.

თვეში ერთხელ ხარკელი აიყვანდა თავის ხუთივე ვაჟს შედარებით ახლომდებარე მთის თავზე, მოძებნიდა ხეებისა და ბუჩქებისგან თავისუფალ ალაგს, მორთხმით დასვამდა ვაჟიშვილებს, მუხლზე დააჩოქებდა ბესლანბეი ცისბაიას, თავად მზეს მიაშტერდებოდა, ხელებს გაშლიდა და  დაიწყებდა ჩემთვის გაუგებარ ენაზე ბუტბუტს, რომელსაც ასტამური ან ბექილი მითარგმნიდნენ: „მზეო დედაო და მათბობელო, ღრუბელთგამყრელო და ძალის მომნიჭებელო, გადმოხედე ჩემს ვაჟიშვილს - ბესლანბეი ცისბაიას, ღრუბელივით გაადნე და წვიმად აქციე მტერი მისი და მაწყევარი მისი - ფეხდაფეხ დაედევნე, თუკი მირბოდეს, გზა გაუნათე, თუკი დაუბნელდეს, ძალა მიეცი, თუკი წაიქცეს. შენ კი ეს მიირთვი ამ თვეს“ და ამ სიტყვაზე ჰაერში გასაოცარ სიმაღლეზე ატყორცნიდა წინასწარ ფეხ-ფრთა შეკრულ თეთრ ვარიას. შემდეგ აღმართავდა რკინის შუბისმაგვარ, ძალზე წვეტიან და ძალზე ალესილ ისარს, დაუხვედრებდა ქვეშიდან საბრალო ვარიას და შესაშური ოსტატობით წამოაცვამდა ზედ ფრინველს. დაკრიახებას ვერ მოასწრებდა საბრალო, იფეთქებდა სისხლი და თავზე გადაესხმებოდა ბესლანბეის. შემდეგ ქათმის სისხლს მთლიანად ჩაწურავდა ჭიქისმაგვარ ჭურჭელში და სათითაოდ ჩამოუვლიდა ვაჟიშვილებს, რომლებიც ჯერაც ცხელ სისხლს რძესავით ტკბილად მიირთმევდნენ.

მახსოვს, პირველად რომ ვნახე ეს რიტუალი, გული წამივიდა. თვალი გავახილე და პირველად მზე დავინახე, რომელიც ქათმის სისხლს შეეღება წითლად, მერე კი ბიცოლა ხარკელი შევნიშნე. იგი ავად აკვესებდა თვალებს. თუმცა არ მესმოდა რას ბუტბუტებდა, მაინც მივხვდი, უკმაყოფილებას გამოთქვამდა რიტუალის გაფუჭების გამო.

მერე და მერე შევეჩვიე და მეც სიამოვნებით ვადევნებდი თვალყურს ბესლანბეის სანაცვლოდ გამეტებული ვარიის რიტუალური წესით განგმირვას, რომელსაც შემდეგ იქვე „ბრძოლის ველზე“ ვტოვებდით; გზაში კი ხარკელი გვეუბნებოდა: ჩვენი წასვლა და მზე შეჭამსო ვარიას.

ბავშვები ბედნიერები ვიყავით, რადგან ყოველ ჩვენგანს სწამდა, მზე მეც უთუოდ დამედევნებაო. სოფლამდე მზე მაცილებდა მართლაც... და შემდეგშიც არაერთხელ შემინიშნავს, რომ ყოველი ჩემი უბედობის, წაქცეულობისა და შეჭირვებულობის ჟამს საიდანღაც გაჩენილი მზე მამხნევებდა და მათბობდა, მანუგეშებდა, მაძლიერებდა, ფეხდაფეხ მომდევდა, სანამ სააქაოდ აუცილებელ ძალებს მოვიკრებდი... და ასე იყო ყოველთვის... თუმცა ამას მოგვიანებით გიამბობთ.

## VIII თავი

ერთად ცხოვრების ორი წლის მანძილზე მივხვდი, რომ ბიცოლა ხარკელს ყველაფერზე მეტად სძაგდა წიგნი და სარკე. ამ უკანასკნელს არავითარ შემთხვევაში არ აჭაჭანებდა სახლში. საბრალო ბიძაჩემი პირს სამსახურში იპარსავდა. ეშმაკეულიაო - ავტორიტეტულად განაცხადებდა ისეთი ტონით, რომ გასაჩივრებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპროტესტების უნარი და სურვილი ერთბაშად დამეკარგებოდა. ამიტომ ცხოვრების ის ნაწილი, როდესაც გოგონები მომეტებულად იპრანჭებიან, მე საერთოდ უსარკოდ გავატარე. არადა, თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე ფორმირდება და ყალიბდება ადამიანის გარეგნობა. მე ვგრძნობდი, რომ ძალიან შევიცვალე: გავიზარდე, კიდურები დამიგრძელდა, ტანი დამიმძიმდა. რაღაც უპირატესობა რომ ჩემს მხარეს იყო, ესეც ვიცოდი ქვეშეცნეულად. როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ამ უპირატესობას სახელად სილამაზე ერქვა.

როგორც მოგახსენეთ, ბიცოლაჩემის სახლი სოფლიდან მოშორებით იდგა და სკოლაში მიმავალს თითქმის მთელი სოფელი უნდა გამევლო. თუმცა შემხვედრებთან სასაუბროდ არასოდეს მეცალა (ოთხი ბავშვი მყავდა უვნებლად სკოლამდე მისაყვანი). ვგრძნობდი, გულგრილად ვერც ქალი და ვერც კაცი ჩამივლიდა. განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი: გაშტერდებოდნენ, გაირინდებოდნენ რაღაც უცნაურად. „შეხედე, ქალო, რა ლამაზია“, „იცის თავის ფასი, ნახე რა გაბზეკილი დადის“ - ჩემს სმენას სწვდებოდა ჩურჩული აქეთ-იქიდან. გაბზეკილი არ ვიცი და ამაყი სიარული ახლაც მჩვევია: მუდამ მხრებში გასწორებული, თავაწეული დავდივარ. ეს ჩემთვის არავის უსწავლებია, არც მე მიმიბაძავს ვინმესთვის.

ერთ დღეს ბიცოლა ხარკელმა დანის ასალესად მეზობელთან გამგზავნა. ოდა-სახლში შესულს პირველი, რაც თვალში მეცა, სარკე იყო, ძველი ჩუქურთმებიანი. იქიდან კი ძალიან ლამაზი გოგონა მიყურებდა. ახლოს მივედი; ყოველგვარი მორიდებისა და თავმდაბლობის გარეშე მინდა მოგახსენოთ - გავშტერდი. „ღმერთო ნუთუ ეს მე ვარ!“ - გავიფიქრე აღტაცებულმა. ასალესი დანით ხელში რამდენჯერმე დავტრიალდი სარკის წინ. შავი წამწამებით შემოჯარული გიშრის თვალები ვერ ძლებოდნენ საკუთარი ორეულის ცქერით, სქელ ტუჩებს ეშმაკური, დამატყვევებელი ღიმი დაჰფენოდათ, პატარა ცხვირს ნესტოები ძლივსღა აჩნდა, ეს წარბები თითქოს გაფრენას ლამობდნენ, თეთრი ქათქათა კანი ოდნავ გარუჯულიყო მზეზე და ამოუცნობი ფერი დასდებოდათ წინწამოწეულ ლაწვებს. ამ დროს სარკეში მეორე ორეული გამოჩნდა - ჩემი მეზობლის. გაკვირვებული მიცქერდა. დავიბენი. თვითონ გამომართვა ასალესი დანა. ხელით მოუსინჯა პირი.

- რად უნდა? - შემეკითხა.

- თხა უნდა დაკოდოს - მივუგე.

- თფუი, თაგვიც არ დარჩენია სახლში დაუკოდავი - განზე გადააფურთხა და სახე უსიამოდ მოჭმუნა.

მართალი იყო მეზობელი. ხარკელს ეს ჩვეულებაც ჰქონდა: კოდავდა ყველაფერს, ცხოველს თუ ფრინველს, ძაღლს, კატას, თხას, მამალს... მოკლედ ყველაფერს. როცა წამოვიზარდე, გავიგე, რომ დაკოდილი ცხოველები უკეთ ასრულებენ ადამიანის მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, სექსუალურ ენერგიას მთლიანად თავის საქმეს ახმარენ, უფრო ერთგულები ხდებიან თანაც. და კიდევ ერთი: მთიელების გადმოცემით, თუკი სახლში ძაღლი და კატა დაკოდილია, მათი ძალა პატრონს გადაეცემა. ალბათ, ამ უკანასკნელი მიზეზით უფრო იყო ხარკელი დაინტერესებული. ჩემი დაკვირვებით სრულიად მართებულადაც: ხარკელისა და აშილის საწოლის ჭრაჭუნი დილამდე არ წყდებოდა, კარგად მახსოვს.

ასე იყო თუ ისე, მეზობელმა დანა ამილესა. მე თვალი კიდევ ერთხელ შევავლე ჩემს ორეულს სარკეში და სახლისკენ გამოვემართე. ძალიან თავდაჯერებული მოვდიოდი სოფლის ორღობეში, თანაც თეძოებს რაც შემეძლო ქალურად მოვარწევდი, საკინძეც ჩახსნილიყო „უნებურად“ და მე გამარჯვებულის ღიმილით მოვუახლოვდი ეზოს. მოულოდნელად ვიღაცამ დაიჭირა ჩემი მაჯაზე უსქესი ნაწნავი, რომლის ბოლოც გავაზე დამთამაშებდა. დაიჭირა კი არა, ჩაბღუჯა და მოქაჩა. შევკივლე და უკან გამოვიხედე. ბესლანბეი ცისბაია აღმოჩნდა, ბიძაჩემის გერი. იდგა და უცნაურად ამღვრეული მიყურებდა. არც არაფრის თქმა უნდოდა, არც არაფრის შეკითხვა. საერთოდ არაფერი უნდოდა მე მგონი. ახლა რომ ვიხსენებ, ეს იყო სურვილით ანთებული მამრის გამოხედვა, დაუოკებელი, ვნებიანი, აგრესიული. საოცარია, თოთხმეტი წლისა ამას ვერაფრით მივხვდებოდი, მაგრამ მაინც სიტუაციის შესაბამისად მოვიქეცი: თვალები ნაზად დავხარე, ერთიანად გავწითლდი და ნაზი გოგმანით გამოვეშურე ჭიშკრისკენ.

ეზოში უკვე ჩვეული სანახაობა დამხვდა: ბიცოლას შავი, მამალი თხა გაეკოჭა, თვითონ ზემოდან გადაჯდომოდა და საზარლად აბლავლებულ პირუტყვს ფეხებს უფარჩხავდა.

ვერ გეტყვით, რომ ცხოველის საცოდაობით დავიწვი. საერთოდ არავინ მეცოდებოდა, თუკი გაინტერესებთ. იმიტომ, რომ ვხედავდი, მეც არავის ვეცოდებოდი ქვეყანაზე - არავის!

## IX თავი

მოსვენება დავკარგე. ბესლანბეი ცისბაია - სიზმარსა და ცხადში. მასზე ფიქრი, მასზე ოცნება თავისთავად შეიქნა ჩემი ცხოვრების შინაარსი. მესაიდუმლეც არა მყავდა, არც ჭკუის დამრიგებელი. მესმოდა, რომ ბესლანბეი, მართალია, სისხლით ნათესავი არაა ჩემი, მაგრამ ახლობელია, ძალიან ახლობელი. სირცხვილია, თავზე ლაფის დასხმაა, შენი ალალი ბიძაშვილის ნახევარძმა რომ შეგიყვარდება, მაგრამ თავის მორევა; ისიც თოთხმეტი წლის ასაკში, როგორია? თანაც ზუსტად არც ვიცოდი, რა მინდოდა ბესლანბეისგან. ისიც, თითქოს ჯინაზე, უფრო ხშირად რჩებოდა დედამისთან, ანუ ჩვენთან. ვგრძნობდი, როგორ მითვალთვალებდა, ყოველ ნაბიჯზე თვალს მაყოლებდა, მეც ჩუმ-ჩუმად, მოპარვით ვკიდებდი თვალს და, როცა ჩვენი მზერა ერთმანეთს ხვდებოდა, ხდებოდა სასწაული: ჩემს თავში იწყებოდა წამიერი, უბედნიერესი ზეიმი. ზეიმი ხანგრძლივობით მეორე თვალთაშეხვედრამდე.

თოთხმეტი წლის გოგონა და ოცდაათი წლის მამაკაცი. განსასჯელად და გასაკილად ადვილია. მაგრამ, დამერწმუნეთ ყველა გოგო გადის ცხოვრებაში იმ პერიოდს,როდესაც მისი შეხედულებები სასურველ მამაკაცზე ფორმირდება. ბესლანბეი კი მართლაც სასურველი იყო ჩემთვის: ახოვანი და წარმოსადეგი, გულჩათხრობილი და სიტყვაძვირი, ჩუმი, ლამაზთვალება შეუვარებული.

ზაფხულის ღამე იყო. ჩემი პატარა ოთახის ფანჯრის დარაბა შევაღე და გარეთ გავიხედე. მესიამოვნა ზღვის ნოტიოთი გაჯერებული ღამის ჰაერი. ხელები რაფაზე ჩამოვაწყე და ცას ავხედე. უზარმაზარი მრგვალი მთვარე დამცქეროდა. ხარკელის თიხის კეცს ვამსგავსე, ანალოგიამ აღტაცებაში მომიყვანა და გულიანად გამეცინა. ფანჯარასთან ახლოს ლეღვის ხემ უცნაურად გაიშრიალა. შევკრთი. სიოც კი არ ქროდა და ლეღვის მძიმე ფოთლების ასეთი შრაშუნი უმიზეზოდ არ იქნებოდა, მივხვდი. არც შევმცდარვარ! ბესლანბეი იყო. ხიდან ჩამოძვრა და ძალიან ფრთხილად ჩემს ფანჯარას მოუახლოვდა. მე დაბნეული და ბედნიერი შევცქეროდი. ხელი ჩემკენ გამოიშვირა და ლოყაზე შემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო. არ გავნძრეულვარ. გათამამდა - ფანჯრიდან შემოხტა. ახლა კი გამოვერკვიე: ძალიან თხელი, საზაფხულო პერანგისამარა ვიდექი. შემრცხვა და სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ლოგინში ელვისებურად ჩავწექი და თხელი ზეწარი გადავიფარე. საწოლზე ფეხთით დამიჯდა. თვალებში მიყურებდა და მე მგონი, ჩემზე მეტად ღელავდა. მე ვკანკალებდი, მაგრამ ვგრძნობდი, არაფრის გულისთვის არ გავაგდებდი ბესლანბეის.

- Люблю тебя, чертовка, - მითხრა ათრთოლებული ხმით. ერთი წამითაც არ დავეჭვებულვარ მის გულწრფელობაში. ეს გამიკვირდა მხოლოდ: ასე პატარა თურმე რამდენი წელი ველოდი სიყვარულსა და მოფერებას, თურმე რამდენი წელი...

მისი ხელი ზეწარქვეშ შემოცურდა და წვივზე შემეხო. მერე მუხლზე. ნაზად მეფერებოდა. მე არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, გავიტრუნე და გავინაბე. აი, თურმე რა კარგი ყოფილა, როცა ვიღაც გეალერსება. ასი წლის წინ დედა მეფერებოდა, მაგრამ ის მოფერება ამას საერთოდ არ ჰგავდა. მეზობელი ოთახიდან ნაცნობი ჭრაჭუნი გაისმა. ბესლანბეი შეკრთა თუ დაფრთხა და წამის უსწრაფესად ფანჯრიდან ისკუპა. წამოვხტი, მინდოდა დამეძახა, რომ დაბრუნებულიყო...

ამ შემთხვევამ ძალიან გამათამამა. მივხვდი, რომ ჩემი გრძნობა ცალმხრივი არ ყოფილა. ბესლანბეის უკვე აშკარად და გამომწვევად ვუყურებდი თვალებში, უმიზეზოდ ვუღიმოდი, ძალიან ახლოს ჩავუვლიდი, ხოლო თუ კაბის კალთითაც შევეხებოდი - ეშმაკურად გადავხედავდი. ის კი თითქოს მერიდებოდა - თუ რცხვენოდა, თუ სხვათა დასანახად იქცეოდა ასე, ვერ გავიგე. ცხადია, რომ გამირბოდა.

უნდა გითხრათ, რომ იმ დროს გოგონები იშვიათად დავდიოდით ზღვაზე, რაღა თქმა უნდა, არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა საცურაო კოსტიუმი და, რაღა თქმა უნდა, ხალხის თვალისგან მოფარებულ ალაგას ვბანაობდით. ორი დღით ადრე დავიწყე ხვეწნა, ზღვაზე გამიშვით-მეთქი და, როგორც იქნა, დავიყოლიე ძია აშილი. შემდეგ გოგონებმა სოფლის განაპირა ადგილს მივაშურეთ, სადაც სანაპიროსთან ძალიან ახლოს ბუჩქნარი გვეგულებოდა, რათა იქ მოვწესრიგებულიყავით და სველი კაბებიც მოხერხებულად გაგვეფინა გასაშრობად. კარგა ხანს ვიბანავეთ, შემდეგ კაბებს ვაშრობდით. გოგოები წამოიშალნენ - წავედითო. მე ფეხს ვითრევდი: კაბა ჯერაც სველია, ტანზე შემომეწებება, თქვენ წადით, მეც დაგეწევით-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, ბესლანბეი ძალიან ახლოს იყო. მისი ამონასუნთქი ჰაერით რამდენჯერაც ამოივსო ჩემი ფილტვები, იმდენჯერ მიმოვიხედე და სულ მალე ვიპოვე კიდეც. მის დამალობიას აზრი აღარ ჰქონდა, გამოვიდა. მომიახლოვდა... სიამოვნება საშინელმა ტკივილმა შეცვალა. ის იყო ძალიან უხეში, თითქოს განგებ მეუხეშებოდა. მოფერების მაგიერ ერთი-ორჯერ ხელიც გამარტყა. ყველაფერი მტკიოდა. განვიცდიდი ჯოჯოხეთურ დამცირებასა და ტანჯვას. გული მერეოდა. ცხელი სილა გარუჯულ, შიშველ ბეჭებს მწვავდა, მზე უსაშველოდ აჭერდა... ყველაფერი ერთმანეთში აირია და დატრიალდა ჩემს თავზე... გული წამივიდა. როცა გამოვერკვიე, ბესლანბეი აღარსად ჩანდა - ლაჩრულად მიეტოვებინე. არ მიმატოვა მხოლოდ მზემ, რომელიც ჩემს დამარცხებას მედიდურად დაჰყურებდა, მხოლოდ მისთვის შესაძლებელი სიმაღლიდან... მიყურა, მიყურა და... თავი დაიხრჩო ზღვაში. მე არ დამიხრჩვია თავი. პირიქით, ძალიან ენერგიულად მოვკრიბე ჩემი ტანსაცმელი, ჩავიცვი და სახლისკენ გავეშურე.

## X თავი

- რატომ შეგაგვიანდა? - მკაცრად მკითხა ბიძაჩემმა.

- ცუდად გავხდი, - თითქოს არც ვიცრუე.

- ცუდად გახდი და მეგობრებმა მიგატოვეს?

- ჰო, - მოკლედ მივუგე და იქვე მდგომ ბესლანბეის თვალებში შევხედე, კინაღამ მეორედ წამივიდა გული: მან თვალი ჩამიკრა. მე მგონი, ეს მომენტი არაფრით გამოეპარებოდა ქალბატონ ხარკელს. უკმაყოფილოდ და ყველასთვის გაუგებრად რაღაც ჩაისისინა და გაძვრა მეორე ოთახში. ჩემი ბიძაშვილები შემომესივნენ და კოცნა დამიწყეს. ამან სიტუაცია კი განტვირთა, მაგრამ მე გული ამიჩუყდა და ცრემლი წამსკდა. რომ არავის შეენიშნა, ჩემს ოთახში შევვარდი, სადაც პირგამეხებული ბიცოლა ხარკელი დამიხვდა. დოინჯი შემოეყარა და ავისმომასწავებლად დუმდა. მე ახლოს მივედი და წინ დავუდექი, რაღაც მექანიკურად მოვიმოქმედე ასე, მე მგონი, ხარკელმა ჰიპნოზური ძალით მაიძულა. უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვესაუბრებოდით თარჯიმნის გარეშე, მაგრამ აქ სიტყვები სრულიად ზედმეტი იყო. იგი მომვარდა და კაბის უბე ჩამომაგლიჯა. ხელები ავიფარე. გაავებით ჩამომაშვებინა. მოტიტვლებულ ძუძუებზე დამხედა. შემდეგ ისეთი სილა გამაწნა, რომ წავიქეცი, თუმცა გონი არ წამრთმევია. როგორღაც მოვისაზრე და ასევე უსიტყვოდ, ფეხებზე მოვეხვიე, მუხლებს ვუკოცნიდი, არ დამღუპო, არ გამთქვა-მეთქი. იგი მძიმედ გავიდა ოთახიდან. თქმით მართლაც არავისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ არა იმის გამო, რომ მე მითანაგრძნო, უფრო იმიტომ, რომ თავის ვაჟიშვილს გადაეფარა, რომელსაც ბიძაჩემი ამ ამბავს არაფრით აპატიებდა.

ხარკელი რომ გავიდა, დიდხანს ვფიქრობდი, როგორ მიხვდა-მეთქი ყოველივეს. დაკბენილ, დაჩქმეტილ მკერდს რომ დავხედე, ტირილი დავიწყე, სრულიად არა იმ მიზეზით, რომ რაღაც საშინელი შემემთხვა, უბრალოდ იმიტომ, რომ პატარა ვიყავი და მეგონა, ჩემი მარმარილოსავით თეთრი კანი ვერასოდეს მოიშუშებდა ამ საძაგელ ნაკვალევს პირველი სიყვარულისას.

მერე კი თითქოს ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგა. სექტემბერში მე და ჩემი ბიძაშვილები წავედით სკოლაში. ბიძაჩემი დადიოდა სამსახურში. ბიცოლა სახლში საქმიანობდა. ბესლანბეიმ კი მძღოლად დაიწყო სოხუმში მუშაობა, ვიღაც დიდ კაცთან ბიძაჩემის პროტექციით. იგი თვეში ორჯერ ან სამჯერ თითო დღით ახერხებდა ჩვენთან ჩამოსვლას. მე იგი კვლავინდებურად მიყვარდა. ვგრძნობდი, მასაც. ბესლანბეის ჩამოსვლის დღეს ხარკელი სკოლაში არ გამიშვებდა, რაღაცას მომიმიზეზებდა და საათობით გადიოდა სახლიდან. ამას იგი ჩვენი სიყვარულის თანაგრძნობით როდი ჩადიოდა, უნდოდა, ვაჟიშვილი ხშირად ჩამოსულიყო მასთან, უნდოდა, მე რაც შეიძლება შერცხვენილი და დამცირებული დავრჩენილიყავი და ვინ იცის, კიდევ რას ფიქრობდა ეს კუდიანი დედაბერი, მის ნაფიქრალს კი არა, ნათქვამსაც ვერ გაიგებდი კაცი. ჯანდაბამდის გზა ჰქონია.

მე და ბესლანბეის ყველგან გვიყვარდა ერთმანეთი, სადაც მოგვესურვებოდა, როცა მოგვესურვებოდა. თითქმის არ ვსაუბრობდით, წარმოდგენა არ მქონდა, რა კაცი იყო. მომავალზე საერთოდ არ ვფიქრობდი. არ ვფიქრობდი, მე მგონი, აწმყოზეც. რაღაც სასიამოვნოდ გავებრუებინე სიყვარულს და მეც ბრმად მივენდე. ყოველი წამი ბესლანბეის გვერდზე ტრფობისა და ვნებისა იყო. არ მეშინოდა არაფრის: არც ვინმეს რომ შევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნე, არც აშილს რომ გამოვექირე, არც არასასურველი ორსულობის, არც იმის, რომ ბესლანბეის - მოწიფულ კაცს ყოველ წუთს შეიძლებოდა ცოლი მოეყვანა. ამაზე არ ვფიქრობდი თუ საერთოდ ფიქრი არ შემეძლო იმ ასაკში, ვერ ვხვდები.

გაკვეთილების სწავლას მოვუკელი, თუმცა სიყვარულის გაკვეთილებს შესანიშნავად ვითვისებდი. ალბათ, იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი მასწავლებელი მყავდა. მას ყველაფერი მოსწონდა ჩემში. მე კი ყველაფერი მიყვარდა ირგვლივ - ხარკელიც კი.

იმ დროს ასეთი ტრადიცია იყო სკოლაში: თოთხმეტი წლის ბავშვებს კომკავშირში გვიღებდნენ უკვე კომკავშირლობის ასაკიდან გასული, სოფლის გამორჩენილი ახალგაზრდები, რომელთაც სკოლის პარტიული მუშაკები წინასწარ მოიწვევდნენ. ჩემი მიღების დღეს ბესლანბეი მოიწვიეს სკოლაში, როგორც სანიმუშო ყოფაქცევის ყმაწვილი და აშილის გერი. იგი ერთი წლის წინ კომპარტიის წევრი გახდა. გვარით გამოძახეს: წერეთელი კესო. ერთი ნაბიჯი წინ წავდგი. დირექტორმა, ეტყობა, ბიძაჩემის პატივსაცემად, ომახიანად წარმოთქვა: „კომკავშირის ნიშანს გადასცემს ბესლანბეი ცისბაია“. ჩემი საყვარელი ჩემკენ წამოვიდა. ლენინისთავიანი ნიშანი გულზე მოწიწებით მომაბნია. მე მკერდი წინ წამოვწიე და გავუღიმე. პარტაქტივმა ტაში დასცხო. ბესლანბეიმ გადამკოცნა და ვიგრძენი, სურვილი როგორ მოეკიდა.

## XI თავი

არ ვიცი, სანამ გასტანდა ჩემი და ბესლანბეის საიდუმლო ტრფობა. უფრო ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ვნებები ორ-სამ წელიწადში დაგვიცხრებოდა და დავშორდებოდით. მას გარიგებითა და მაჭანკლობით შერთავდნენ დედამისისნაირ მახინჯ ქალს ცოლად. მე კი, ალბათ, სწავლას გავაგრძელებდი და მერე ბედს ვეწეოდი ალბათ, ალბათ... თუმცა ბედისწერას სხვაგვარად ენება...

შემოდგომის მიწურული იყო. ყვითელი მზე უთბილეს სხივებს ჩუქნიდა ყვითელ ბუნებას. მე და ბესლანბეი თავლაში გიჟებივით ვკოცნიდით ერთმანეთს. თავლა ოდისგან კარგა მოშორებით იდგა. მასში ბიძაჩემმა ერთი კვირის წინ მოგროვილ თივას მიუჩინა ადგილი. სწორედ მასზე ვერთობოდით. აშილის ცხენიც თავლაში იყო. შორიახლო სოფლებში რომ მიდიოდა, მასზე ამხედრდებოდა ხოლმე. იმ დღესაც, ეტყობა, მოულოდნელად წასვლა დასჭირდა და ორ თანამშრომელთან ერთად სახლში მოვიდა. ოდაში რომ არავინ დაუხვდა, თავლისკენ გამოემართა. არ ვიცი, ჩუმად რატომ მოდიოდნენ. ერთ-ერთს მაინც რომ ამოეღო ხმა, დამალვას მოვასწრებდით. მაგრამ ყველაფერი ბედია... კარი ძია აშილმა შემოაღო. რაღაც კიტელი ეცვა, ჭაობისფერი, წელზე ბალთიანი ქამარი ეკეთა, შარვლის ტოტები „აზიაცკებში“ ჰქონდა ჩატანებული. მომყოლ ორ კაცსაც ასევე ეცვათ თითქმის, ორივეს ვიცნობდი - ბიძაჩემის თანამშრომლები იყვნენ. მე ნახევრად გახდილი ვიყავი, ბესლანბეის ჯერჯერობით ეცვა. მახსოვს, აშილმა რომ კარი გააღო, ბესლანმა უფრო ძლიერ ჩამიხუტა გულში. დამალვას რაღა აზრი ჰქონდა, მეც მოვეხვიე შეყვარებულს. აშილს თვალთ დაუბნელდა. არაბუნებრივი ხმით დაიწყო ყვირილი, ორივეს გვაგინებდა, გვლანძღავდა. ქამარში გარჭობილი ნაგანიც ამოიღო - მისმა მეგობრებმა იმარჯვეს, გამოგლიჯეს ხელიდან. ახლა იქვე მიყუდებულ ცელს გადასწვდა და ჩემკენ წამოვიდა. კარისკენ გავიქეცი. ეტყობა, უნდოდა, ფეხები მოეჭრა ჩემთვის - მუხლების მიმართულებით მომიქნია ცელი. ბესლანბეი გადამეფარა. სისხლმა იფეთქა მისი ფეხიდან. ჩვენი ეზოს უკან ტყით შებურული მთა იწყებოდა. იქით გავიქეცი. ბესლანბეი კოჭლობით მომდევდა. ჩვენს უკან სისხლიანი კვალი რჩებოდა. ტყეში კი მზე შეგვიძლვა. აფხაზეთის მზე. დედამზე. სულ ბოლოს რაც სმენას მოსწვდა, ხარკელის ყვირილი იყო.

- რას ამბობს? - მივაყურადე, თითქოს გავიგებდი.

- გვწყევლის, - მანუგეშა ბესლანბეიმ. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, იმ დღეს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, რა ბედნიერი ვყოფილვარ-მეთქი მაშინ. ჭეშმარიტად, უფრო ბედნიერია ის, ვინც ნაკლებს ფიქრობს. სულელი რომ არ ვყოფილიყავი, რა მახარებდა? სად მივდიოდი, არ ვიცოდი; რა შემხვდებოდა ცხოვრებაში, არ ვიცოდი საერთოდ, მაცოცხლებდა კი ბიძაჩემი, მაგრამ მე მაინც მიხაროდა რაღაც... დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება თუ წყეული ხარკელის კლანჭებიდან დახსნა, თუ სასურველი ბესლანბეის გვერდზე ყოფნა, თუ... არა! არა! სიყვარულით სავსე ვიყავი და ეს მახარებდა.

სოფელში არ იქნებოდა ისეთი ადამიანი, ვინც გაგვიგებდა და გვერდზე დაგვიდგებოდა ან რაღაცით დაგვეხმარებოდა. პირიქით, გაგვკილავდნენ, ქვასა და ლაფს გვესროდნენ. ტყე-ტყე ვიარეთ გუდაუთამდე. ბესლანბეის თავისი ტანისამოსი მაინც ეცვა. მე კი ყანაში დარჩენილ საფრთხობელას გავხადე ჭვალოს სამოსი და ასე მორთულმა ვიმგზავრე სოხუმამდე.

სოხუმში ორი წლის წინ ვიყავი. აშილს რომ მივყავდი დაობლებული თავის სახლში, მაშინ. გავლით ნამყოფს არ მახსოვდა ეს ქალაქი. ახლა კი... მე ღრმად ჩავისუნთქე მისი ზღვის, იასამნების, ოლეანდრებისა და მაგნოლიების სუნით თანაბრად გაჯერებული ჰაერი, ზღვიდან მონაბერ სიოს შუბლი მივუშვირე, სამოთხისებურ სიმწვანეს მოვავლე დაღლილი თვალები, მზეს ავხედე... და მივხვდი, რომ ეს ჩემი ოცნების ქალაქია, ეს ჩემი თავისუფლების ქალაქია, რომ მე აქ მეყვარება, რომ მე აქ შევქმნი, რომ მე აქ ვიოცნებებ, ვიმღერებ, ვიცხოვრებ, გავმრავლდები და ჩემს მონაგარს უფრო ლამაზს დავუტოვებ აქაურობას, ვიდრე წინაპრებმა დაგვიტოვეს მე და ბესლანბეის.

მზეს ჩემი ნაფიქრალი ესმოდა უთუოდ - ცისფერი ცა განუმეორებელი ყვითელი სხივებით დალამბა, თვითონ კი გალღვა და უსასრულო სივრცეში განზავდა.

ბესლანბეი ცისბაიამ წამიყვანა სახლში, რომელშიც ცხოვრობდა, უფრო სწორად, ბინას ქირაობდა სოხუმში მძღოლად მუშაობის დროს.

## XII თავი

სახლი, რომელშიც შემდგომ მოგვიწია ცხოვრებამ, არცთუ დიდი იყო, სამი ნათელი ოთახისგან შედგებოდა. ერთში ბინის პატრონი, ბერძენი ქალი დესპინა ილიადისი ცხოვრობდა. მეორეს ჩვენ ვქირაობდით, მესამე ოთახს სასადილოდ ვიყენებდით. სახლს პატარა, ქალაქური ტიპის ეზო ჰქონდა, ყვავილებით სავსე.

ბესლანბეი იმჟამად ქალაქკომის პირველი მდივნის მძღოლად მუშაობდა. ამ კაცმა ძლიერ გაგვიმართა ხელი. იგი დამეხმარა საღამოს სკოლისა და გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებაშიც. თუმცა ეს ყველაფერი მოგვიანებით იყო.

მანამდე კი სწავლა, შრომა, ოჯახის გაძღოლა, დაუგეგმავი ორსულობა, მოკლედ, ყველაფერი, რაც აქა-

მდე არ ვიცოდი, ერთად დააწვა ჩემს ჯერაც ბავშვურ მხრებს. ამას დამატებული ქვეყანაში გამეფებული ხრუშჩოვშინა: სულელური, ფუჭი იდეების ცხოვრებაში დანერგვა და გატარება. რომ არა ბესლანბეის უდიდესი სიყვარული, ამდენს ვერ გადავიტანდი. და კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც დედასავით დამიდგა გვერდში, ჩვენი დიასახლისი დესპო ილიადისი გახლდათ. როგორც მოგახსენეთ, ეროვნებით ბერძენი იყო. კომუნისტებმა მრავალჯერ აჰყარეს და გადაასახლეს აფხაზეთიდან ბერძნები. გადასახლებათა ტალღა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდეგ მძვინვარებდა. მათ ისე უყურებდნენ, როგორც უცხო, სხვა ქვეყნის (თანაც კაპიტალისტურის) წარმომადგენლებს, მოღალატეებად და აგენტებად თვლიდნენ. ორჯერ მოჰყვა თურმე დეპორტაციის სიაში დესპო, ორივეჯერ გამგზავრების წინა წუთებში დამალულა და გაუჩინარებულა. მისი კვალისთვის ვერ მიუგნიათ. ასე დაურჩენია სოხუმში თავი. თვალცრემლიანი მიამბობდა, ოჯახი ხომ მთლიანად გადამისახლეს, ერთი ნათესავი რაა და ისიც კი არ დამრჩენია საქართველოშიო. რატომ დაიმალე, რამ გაგაჩერა-მეთქი, შევეკითხე. სიყვარულმაო, მომიგო. თურმე დესპოს სოხუმელი ქართველი ბიჭი ჰყვარებია. ბიჭი სამამულო ომში გაუწვევიათ. მას დაუბარებია შეყვარებულისთვის, არ გათხოვდე, დამელოდეო. და დესპო ილიადისიც ელოდა, ისე წმინდად და ერთგულად, რომ მშობლებსაც კი არ გაჰყოლია საბერძნეთში. ბიჭი უგზო-უკვლოდ დაკარგულა. მაგრამ უკვე ასაკოვანი დესპო იმედს მაინც არ კარგავდა. ძალიან უბრალო და თბილი ქალი იყო. შვილოს მეძახდა და გულში მიკრავდა ყოველ წუთს. მეც ძალიან შევეგუე. ხუთიოდე წელი ასე შეხმატკბილებულად ვიცხოვრეთ. შემდეგ მოულოდნელად ინსულტი მიიღო, ლოგინად ჩავარდა. მართლაც შვილივით მოვუარე. სანახავად მოსული მეზობლები მლოცავდნენ, შენ გაიხარე, როგორი გულისხმიერი ყოფილხარო. თითქმის ორი წელი ვუვლიდი. მერე კიდეც მიიცვალა. გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე ცნობა მივიღეთ - დესპო ილიადისს თავისი სახლ-კარი ჩვენთვის დაემტკიცებინა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი სიხარული. ერთ-ერთი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ უფრო დიდი სიხარული მე უკვე განცდილი მქონდა, როცა დედობის გრძნობას ვეზიარე. შემეძინა ვაჟიშვილი. გაგიკვირდებათ, ალბათ, მაგრამ გეტყვით, ჩვენ მას აშილი დავარქვით ბიძაჩმის პატივსაცემად. მე მართლაც ყოველთვის მადლიერი ვიყავი აშილ ახვლედიანისა, უპატრონო ბავშვთა სახლისთვის რომ არ გამიმეტა, ობლობა, როგორც შეეძლო, არ მაგრძნობინა, ორი უმძიმესი წელი თავისთან მიყოლია. მერე რაც მოხდა, ნამდვილად დავიმსახურე. ამიტომაც მადლიერების ნიშნად დავარქვი ბავშვს მისი სახელი. ბესლანბეიმ უფრო სხვა მოსაზრებით იხელმძღვანელა: რადგან მამინაცვალი და დედა სახლში არ უშვებდნენ, ეგება გული მოვულბოთ, იფიქრა. მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომხდარა. პირიქით, როგორც გავიგე, ბიძაჩემი უფრო გაბრაზებულა. სახლში კი, როცა ხარკელ დგმუყვი, ანუ ჩემი დედამთილი გარდაიცვალა, არც მაშინ მიგვიშვეს. წარმოიდგინეთ, ჩემს ქმარს დედამისი არ ატირეს. გასაგებია, რომ ჩვენ დავკარგეთ უახლოესი ნათესავები: მე - ბიძაშვილები, ბესლანბეიმ - ნახევარძმები. თავიდან ძნელი იყო. მერე თითქოს მივეჩვიეთ. თანაც ერთის მხრივ უკეთესიც იყო, რომ საერთო ნათესავები აღარ გვყავდა, და ჩვენც თითქოს დაგვავიწყდა, ახლობლები რომ ვიყავით.

ჩვენი ვაჟიშვილი კი იზრდებოდა. აშილ ბესლანბეის ძე ცისბაია მართლაც კარგი ბიჭი იყო. ყველაფერი საუკეთესო, რაც მე და ბესლანს გაგვაჩნდა, შეეთვისებინა და შეესისხლხორცებინა.

ისევ და ისევ ჩვენი კეთილისმყოფელი ქალაქკომის პირველი მდივნის წყალობით სოხუმის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში დავიწყე აღმზრდელად მუშაობა. პატარა აშილიც თან დამყავდა. ერთი ისტორია გამორჩეულად დამამახსოვრდა და აუცილებლად უნდა მოგიყვეთ:

ექვსი წლის აშილი ბაღში მიმყავდა.

- Мама, как будет по грузинский Грузия? - шеиектахп.

- საქართველო - მივუგე.

- А Абхазия как?

- აფხაზეთი.

- აფხამზეთი - ზუსტად ასე გაიმეორა ბავშვმა და მე დავფიქრდი, მართლა ასე ხომ არ ერქვა ამ კუთხეს ოდესმე-მეთქი.

## XIII თავი

ამ ბოლო დროს გახშირდა შეკითხვა: ძირითადად რუსულად რატომ საუბრობდითო აფხაზეთში. პასუხი მარტივია: ასე აწყობდათ ხელისუფლებას და რუსებს. გარდა ამისა, სოხუმის მოსახლეობა ძალზე ჭრელი იყო, საერთაშორისო და ყველასთვის სავალდებულო ენა კი - რუსული. სოხუმში არსებული ოცი სკოლიდან ხუთი თუ ექვსი იყო ქართული, ერთი აფხაზური, ერთი სომხური, დანარჩენი კი რუსული. ანგარიშგასაწევია, რომ ოჯახების უმეტესობა შერეული იყო. შეიძლება წყვილთაგან ერთ-ერთს არ სცოდნოდა ქართული ან აფხაზური, მაგრამ აუცილებლად ეცოდინებოდა რუსული, რაც თავისთავად განსაზღვრავდა ოჯახში სასაუბრო ენას. ასე მოხდა ჩემს ოჯახშიც. ბესლანბეიმ არ იცოდა ქართული, არც მე ვცდილვარ, მისთვის მესწავლებინა ჩემი მშობლიური ენა და არც ცხოვრებას მოუთხოვია მისგან ქართულის ცოდნის აუცილებლობა. ვერც მე შევეგუე და შევეთვისე აფხაზურს. ჩვენი ბიჭი სასკოლო ასაკისა რომ შეიქნა, მხოლოდ მაშინღა გავაცნობიერეთ, ბავშვმა მარტო რუსული იცოდა, რამაც თავისთავად განსაზღვრა სკოლის არჩევანი.

აშილი ძალიან კარგად სწავლობდა. სკოლა წარჩინებით დაამთავრა. მე ბედნიერი დედა ვიყავი, მხოლოდ ეს მადარდებდა, დროდადრო ქართულად რომ ვეტყოდი რამეს, არაფერი ესმოდა. არც ინდომებდა დედამისის ან მამამისის ენის შესწავლას. მე ძალიან გვიან მივხვდი, რომ აშილი, ტიპური კავკასიური გარეგნობისა და ქართულ-აფხაზური სისხლის მატარებელი, რუსული აზროვნებისა და მენტალიტეტის მქონე ადამიანი დადგა. მისი სამეგობროც ასეთი იყო - რუსულენოვანი ქართველებისა და აფხაზებისგან შედგებოდა ძირითადად.

ჩემი და ბესლანბეის ცხოვრება ტიპური სოხუმელი ოჯახის ცხოვრება იყო. როგორც ყველა იმ დროს, დავდიოდით სამსახურში, შინ საღამოს ვბრუნდებოდით, ერთად ვსადილობდით, მივდიოდით სტუმრად, ქორწილებსა და ქელეხებში, ზოგჯერ კინოში, უფრო იშვიათად ზღვაზე, ვზრდიდით ვაჟიშვილს, ავადვმყოფობდით, ვიკურნებოდით და ა.შ. ავადმყოფობაზე გამახსენდა, ბესლანბეის რამდენიმეჯერ გავუკეთეთ ფეხის ოპერაცია, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ, იგი ძალიან კოჭლობდა, ასაკთან ერთად ტკივილიც ემატებოდა. მაგრამ მე ვერ გავიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომ მას დაესახელებინოს დახეიბრების ნამდვილი მიზეზი. ახალგაზრდობაში გამეჭრა შემთხვევითო, იტყოდა. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არა, მე, მისი დაჭრის მხილველიც კი დამაჯერა იმაში, ბიძაშენის მოქნეული ცელი არაფერ შუაშიაო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ პატივი მინდა მივაგო ჩემს ქმარს და უფრო მეტად ჩვენს სიყვარულს.

## XIV თავი

აშილს სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, ცოლი რომ მოიყვანა. ეს ძალიან უჩვეულოდ მოხდა: ერთ საღამოს გვიან მოვიდა, ახალგაზრდა ქალიშვილი ახლდა. ჩემი ცოლიაო თქვა და გაიღიმა. ბესლანი არ დაბნეულა. თანაც მამაკაცებს ყოველთვის უხარიათ ვაჟიშვილის დაოჯახება, გულღიად და ალერსიანად შეხვდა რძალს. გოგონა მაშინვე ვიცანი, ჩემი აშილის თანაკლასელი იყო. არასოდეს მომწონდა. ანა ბიგვავა ერქვა. დაბალი ტანისა იყო, შავგვრემანი, ჭროღათვალება და გრძელცხვირა, ვიწრომენჯიანი და მოკლეფეხება, მოკლედ, როგორებიც არიან აფხაზი ქალები ძირითადად. იმ წუთშივე ვირწმუნე, ხარკელმა რომ მომაწყევლა, ახლა ამიხდა-მეთქი. ცუდად გავხდი, ეს უმკერდო, ფიცარტანა ჩემი აშილის გვერდზე მოღიმარი რომ ვიხილე. მეორე ოთახში გავვარდი. ცრემლები წამსკდა. თუმცა მალევე გამოვერკვიე. გამოვედი მისაღებ ოთახში, შვილსა და რძალს გავუღიმე, სიხარულის ცრემლები დამედინათქო, ვიხუმრე. ვერაფერს ცუდს ვერ ვიტყვი ჩემს რძალზე. მან ჩვენს ქალიშვილმიუჩვეველ ოჯახში რაღაცნაირი სითბო და სიხალისე შემოიტანა. თუმცა მე იგი არ შემიყვარდა, არც მას ვუყვარდი, იგრძნობოდა. მისი არსიყვარულის მიზეზი ჩემი სილამაზე იყო. საკუთარ ქორწილში აშკარად დაიჩაგრა - ჩემს ჩრდილში აღმოჩნდა. ქორწილი მართლაც მხიარული გამოგვივიდა. ერთადერთი ინციდენტი მოხდა: ჩემს მძახალს, რძლის მამას ვუთხარი - ბიგვავა აფხაზური გვარი საიდანაა-მეთქი და მანაც დაუფიქრებლად მომიგო, ქალბატონო კესო, გინდათ აფხაზი წერეთლები გაგაცნოთო? უხერხული სიჩუმე საცეკვაო მელოდიამ განმუხტა.

მე მაშინ მართლაც არ მსმენოდა, რომ ბუნებაში არსებობდნენ აფხაზი წერეთლები და ჭავჭავაძეები, ყიფიანები და ახვლედიანები. ძალიან აღვშფოთდი. ჩემმა ქმარმა კი ერთი საიდუმლო გამანდო: ბიძაშენმა აშილ ახვლედიანმაც ეროვნების გრაფაში აფხაზი ჩაიწერა და ჩემი ნახევარძმებიც აფხაზი ახვლედიანები არიანო. არაფრით დავიჯერებ-მეთქი, მივუგე. კი მაგრამ, ომში რომ არ წაუყვანიათ კომუნისტებს ჯან-ღონით სავსე, ახალგაზრდა კაცი, ვერ მიხვდი რატომო? - შემეკითხა ბესლანბეი. მაშინ კი გავჩუმდი, მივხვდი - სიმართლეს მეუბნებოდა: პატარა ერის შვილები მეორე მსოფლიო ომში არ გაუწვევიათ, რომ არ მომსპარიყვნევენ. ბიძაჩემი საბრძოლველად არ წასულა და ამის გარანტი მისი დაბრალებული ეროვნება შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ.

ქორწილიდან დაღლილი და დამძიმებული წამოვედი. მზე თვალს ვერ მისწორებდა. ძალიან მინდოდა, მისთვის სილა გამეწნა, ხან წითელი და ხანაც ყვითელი რომაა, ამისთვის.

## XV თავი

გაზაფხული იყო. სამსახურიდან ვბრუნდებოდი. დაღლილიც ვიყავი და ბაზრიდან მძიმე ჩანთაც მომქონდა. ჩვენი სახლის წინ სასწრაფოს მანქანა რომ შევნიშნე, გავფითრდი. მერე თეთრხალათიანთა გამალებულ მოძრაობასაც მოვკარი თვალი. ჩანთები ძირს დავყარე, სირბილით დავეშვი თავდაღმართში. „ღმერთო, აშილი არა!“ - გავიფიქრე. შვილზე იფიქრა დედის გულმა პირველად. „მაშ ვინ გინდა, ბესლანბეი?“ - შემეკითხა ვიღაც ძალიან შიგნიდან. „არა, არა!.. ბესლანი არა!“ საოცარია, ახლაც მრცხვენია ამის გახსენებაზე, მაგრამ უნებურად ვიფიქრე, ნეტა ჩემი რძალი იყოს ცუდადმეთქი და იმწამს საკუთარი აზრი გავამართლე: „ახალგაზრდა გოგოა, რა უნდა მოსვლოდა, ალბათ, ორსულადაა“. ეს და მრავალი სისულელე ერთად დაფრინავდა ჩემს აფორიაქებულ თავში. ოთახში შევვარდი. მხედველობა დავძაბე, რომ გამერკვია, ვინ ეგდო უგონოდ ტახტზე. ბესლანბეი აღმოჩნდა. „რა მოხდა? რა ამბავია ჩემს თავს?“ - წარმოვთქვი სასოწარკვეთილმა. „მწვავე სტენოკარდიული შეტევა ჰქონდა, ახლა ინფარქტი ყალიბდება - კარდიოგრამიდან ჩანს, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, ქალბატონო“ გავშრი. თვალები გამიშტერდა. მხოლოდ ბესლანბეის ვუყურებდი და თვალწინ ერთად ცხოვრების კადრებს ძველი ალბომიდან გადმოცვენილი ფოტოსურათებივით ვაგროვებდი. ყოველ კადრში მხოლოდ ბესლანბეი, ყოველთვის მოღიმარი: აი, ასეთი გავიცანი; აი, ასე გვიყვარდა თავიდან; ესეც ჩვენ თავლაში; ესეც გამოქცევის ჟამს; აქ სოხუმის ფონზე ვართ; ამ სურათში ჩვენი სახლის სახურავს აკეთებს; ახლა აშილს ეფერება; მე მკოცნის. მინდოდა, გამეხსენებინა რაიმე საშინელი ჩვენი ურთიერთობიდან, რათა გული არ გამხეთქოდა. სულ ტყუილა ვიმტვრევდი თავს... არაფერი მსგავსი. ჩემს ირგვლივ ვიღაცები მირბოდნენ და მორბოდნენ, ფაციფუცობდნენ, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, თვალით ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ. მე ამას ყველაფერს ვხედავდი; მე ვიყავი ქანდაკება, რომელიც ყველაფერს ხედავდა; მე ვიყავი ქანდაკება, რომლის გულიც განუწყვეტლივ კვნესოდა: „გათავდა. ყველაფერი გათავდა“.

ყველაფერი გათენიისპირს გათავდა. როცა მზე ცისა და მიწის საზღვარზე წამოწოლილი ნებივრობდა, ზანტად იზმორებოდა, მერე ერთბაშად გაისწორა თმა და ცაში აფრინდა, ჩემი ბესლანბეის სულიც წაიყოლია. აკი მზეს მიაბარა იგი ხარკელმა და არა მე.

გასვენებაზე უამრავი ხალხი მოვიდა. ამდენი ჭირისუფალი თუ გვეყოლებოდა, ნამდვილად არ ვიცოდი. შორეული გუდაუთიდან ცისბაიები და მათი მოკეთენი დედაწულიანა აყრილიყვნენ, ერთი კაცი რაა, ისიც არ დაკლებიათ. მიცვალებულს ვუჯექით მე, ჩემი რძალი, ბესლანბეის მამიდები და ბიცოლები. გასვენების დღეს ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა ატყდა. აფხაზური იმდენი კი ვიცოდი, რომ მივმხვდარიყავ, ჩემზე საუბრობდნენ. რა გინდათ-მეთქი, ვკითხე. ისაო, ესაო დაიწყეს მიკიბულ-მოკიბული. პირდაპირ თქვით-მეთქი, თვალები დავაბრიალე. ჩვენში ასეთი წესიაო, მითხრეს, ცოლი არ უნდა მიუჯდეს მიცვალებულსო. აბა, სად წავიდემეთქი - გავგიჟდი. სად და ოთახის ბოლოში უნდა დადგე და თანაც ხმა არ ამოიღო, მოთქმით ტირილი ჩვენი ქალისთვის დიდი სირცხვილიაო. თანაცო, მამიდამ დასძინა, თმადავარცხნილი რომ დაბრძანებულხარ, შუბლი უნდა შეიკრა, თვალები რომ ძლივს გირანდეს, ისეო. სახელი არაფრით დაატიროო, დამარიგა თავის მხრივ წიქარას დედინაცვალივით თმაგაპუტულმა ბიცოლამ. ვიგრძენი, კიდევ ერთი სიტყვა და გული წამივიდოდა. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ასეთ ბარბაროსულ მოთხოვნათაგან ვერც ერთს დავაკმაყოფილებდი. „საკმარისია“, - ვთქვი ძალიან ხმადაბლა და ძალიან კატეგორიულად. გაკვირვებულებმა შემომხედეს. მერე არც ფეხზე დავუყუდებულვარ, არც შუბლი გამიკოჟავს, არც ჩამორღვეული კაბა ჩამიცვამს და არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოყები დამიხოკავს, მხოლოდ როდესაც ჩვენი ვაჟიშვილი შემოვიდა მამამისთან გამოსათხოვრად, თავი ვეღარ შევიკავე: „დაგაობლა მამაშენმა, არასოდეს შეარცხვინო იგი, აშილ“, - ამის თქმაღა მოვახერხე. გაჭირვებისას სხვა ენები თითქოს მავიწყდება და მაშინაც ქართულად მოვთქვამდი. აშილმა კი არა, იქ მყოფმა აფხაზებმა, რუსებმა და სომხებმაც გაიგეს, რაც ვთქვი. ასეა, გაჭირვების ენა საერთოა.

## XVI თავი

საზარლად პირდაბჩენილმა მიწამ ბესლანბეის კუბო ერთ წამში გადაყლაპა. მერე მე და აშილმა მუჭით მივაყარეთ პირველი მიწა. მესაფლავეებმა ბარები აამუშავეს. „გრუხ, გრუხ“ - გაისმა შემზარავი ხმა. დასაფლავება აფხაზეთში საღამოხანს იციან. მზე ჩადიოდა და მე ვუყურებდი, როგორ ეთხოვებოდა სულ რაღაც ერთი დღით იგი დედამიწას, რომ ხვალ ისევ შეხვედროდა, როგორც გუშინ და გუშინწინ. და მე ვიფიქრე, რომ ჩემი ბესლანბეი სამუდამოდ გამოეთხოვა წუთისოფელს და მეტად აღარასოდეს შემხვდება, აღარასოდეს. გონიერი ადამიანი მზესავით ყოველ საღამოს უნდა დაემშვიდობოს დღეს, რომ მეორე დღის გათენების სიხარული სრულფასოვნად შეიგრძნოს.

ნეტა, ხარკელივით გამომელოცა ბესლანბეისთვის, ნეტა, ის ადათი ერთხელ მაინც შემესრულებინა, ეგებ... ვინ იცის... თუმცა წარსულს ვერ დააბრუნებ. ერთადერთი საზრუნავი დამრჩენოდა ამქვეყნად, რომელსაც აშილი ერქვა. სამწუხაროდ, მეშვიდე ზაფხული გადიოდა აგერ და ჩემი რძალი არ ორსულდებოდა. ექიმებმა მიზეზი ვერ გაუგეს. მე კი, რატომღაც, ხარკელის წყევლა არ გვანებებს თავს-მეთქი, მერამდენედ ვიფიქრე.

ბესლანბეის დაკრძალვიდან ერთი კვირის თავზე ეკლესიაში მივედი. სანთლები დავანთე. მკვდარი რად არ გააპატიოსნეო, - მღვდელმა. მაჰმადიანი სჯულისა იყო-მეთქი, ვუთხარი. ჩემი ქმრის გვარის კაცები ადრეულ ასაკში კვდებიან, ამიტომ შეწირვის რიტუალს უტარებდა-მეთქი ჩემი დედამთილი მზეს. ცოდვილი ყოფილხარ, მოინანიეო, - მღვდელმა. ჩემი შვილი როგორ ვიხსნა-მეთქი, - ვკითხე. ილოცეო - მომიგო. მე კი რაიმე უფრო ქმედითი ღონისძიების ჩატარება მჭირდებოდა. ღმერთო, მაპატიე და დამნაშავეს მოჰკითხე - მე ხომ ლოცვა არ ვიცი, ფსალმუნის კითხვა კი ამ დაცარიელებულ სახლში, როცა გული გიწუხს და გეწურება, ვერაფერი ნუგეში აღმოჩნდა ჩემთვის. არ დამიხანება: ჩემი ვაჟიშვილი და რძალი ორმოცამდე წავიყვანე მთაზე. თეთრი ვარია და ალესილი შუბი მიმქონდა. რიტუალი ზუსტად ისე ჩავატარე, როგორც ამას ხარკელი აკეთებდა.

- Откуда такие обряды, мама? - მკითხა გაოცებულმა აშილმა.

- Бабушка твоя, Харкел научила,- ვუპასუხე.

ბესლანბეის ორმოცი **1989** წლის **9** აპრილს დაემთხვა. ორმოცი ყველა ქრისტიანული წესის დაცვით და სანაქებო პურ-მარილით გადავიხადე. საღამოს კი ტელევიზიით შევიტყვე იმ დილით თბილისში დატრიალებული უბედურება. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ თბილისშიც მოვახერხე მეგობრებთან დარეკვა. გალიაში გამომწყვდეული ლომივით ვიქცეოდი: ვბრდღვინავდი, უმწეოდ კედლებს ვაწყდებოდი, ხმამაღლა ვბღაოდი.

მეორე დღეს თვალებდასიებული მივედი სამსახურში. პარალელური ჯგუფის აღმზრდელი მერი ადლეიბა შემხვდა კორიდორში. რას გიგავთ თვალები, ორმოცზეც კი როგორ გიტირიათო, მითხრა. ორმოცის გარდა, გუშინდელ საზარელ ამბებზეც ვიტირე-მეთქი. რა ამბებზეო? - ვითომ გულწრფელად გაუკვირდა. როგორ თუ რა ამბებზე, ტელევიზორს არ უყურებდითმეთქი - შევიცხადე. და მერი ადლეიბამ, ამ ყოველთვის მოწესრიგებულმა, გულთბილმა, კეთილმა და სათნო ქალბატონმა, ავად დააკვესა თვალები, კბილებში კი გამოსცრა: Так вам и надо!

Так вам и надо! Так вам и надо! - ექოსავით განმეორდა რამდენჯერმე. გავგიჟდი. აბსოლუტურად დავკარგე წონასწორობა, დროისა და ადგილის შეგრძნება. ვიცოდი, რომ ჩემს წინაშე მტერი იდგა, ჩემი კი არა, ჩემი სამშობლოს ბრიყვი მტერი. ყოველგვარი სიამაყისა და თავის დაჭერის ნიშან-წყალი ერთ წუთში გამიქრა. ეტყობა სახეც გიჟის მქონდა. სილა გავაწანი, მაგრამ რადგანაც არასოდეს გამიკეთებია ეს, რაღაც უნდილად გამომივიდა. კიდევ უნდა დამერტყა - ვიგრძენი. გაიქცა. გამოვეკიდე.საბავშვო ბაღში ვმუშაობდით, ნუ დაგავიწყდებათ და შეშინებული ბავშვები მშობლებთან ერთად კედელს აეკრნენ. ხომ ძნელი წარმოსადგენია, პედაგოგები გადარეულებივით რომ მოსდევდნენ ერთმანეთს მოსაკლავად. ასე იყო თუ ისე, მერი ადლეიბამ ტუალეტში შემასწრო და კარი ჩაიკეტა. მუშტები დავუშინე ამ შავოსანმა ქალმა, შემდეგ კი ისეთი უმწეობა და უიმედობა ვიგრძენი, რომ ჩავიკეცე საპირფარეშოს კართან და ხმამაღალი ქვითინი აღმომხდა. მაშინ, ალბათ, სულის ტკივილი მატირებდა. მერე იმდენჯერ მატირა ამ გრძნობამ, ცრემლები აღარ დამრჩა, ჩემი საცოდავი სამშობლო კარგად რომ გამოვიტირო. ცოტა ხანში ცნობიერება დამიბრუნდა, სამასწავლებლო ოთახისკენ წამოვედი, გავიგონე, მერი ადლეიბამ კარი გამოაღო და გამოიჭყიტა. Там тебе и место - დავუყვირე. შემდგომ ეს ფრაზა დაუდო საფუძვლად სამსახურიდან ჩემს განთავისუფლებას დირექტორმა ჟანა მურადოვამ. ასე დავრჩი ახალგაზრდა, ქვრივი ქალი უმუშევარი. დღეს ჩემნაირ ბიოგრაფიას ობივატელები ინატრებდნენ, წარბშეუხრელად დაიფიცებდნენ და, თუ დასჭირდათ, დაიგინებდნენ, ეროვნულ მოძრაობაში თავიდანვე ჩავებიო. მე კი ერთი კითხვა მიჩნდება - მაშინ სად ვიყავით, ქართველებო?!

## XVII თავი

მინდა შეგეკითხოთ, რა აქვთ საერთო ომსა და მზეს? თქვენ, ალბათ, მომიგებთ, ორივე ეს სიტყვა სამი ასოსგან შედგებაო. სამი ასოსგან კიდევ მრავალი სიტყვა შედგება, მაგრამ მე გეტყვით რომ ომსა და მზეს კიდევ ბევრი აქვთ საერთო. მაგალითად, ჩემი სიზმარი:

მესიზმრა, ვითომ სოხუმში ჩემს ქუჩაზე მარტოდმარტო ვიდექი. უკან რომ მოვიხედე - სახლი აღარ იდგა. ჩემი სახლი სადღაც გამქრალიყო. ხელებს უმწეოდ ვიქნევდი, არ ვიცოდი, რა მექნა. ერთადერთი, რაც მომაფიქრდა, ვაჟიშვილის ხმობა იყო. ვეძახდი: „აშილ! აშილ!“ - ის კი აღარსად ჩანდა. მოულოდნელად მთელი სხეულით შევიგრძენი, მიწა ჩემს ქვეშ როგორ შეზანზარდა, დაიგრუხუნა ავად და იძრა. მე დამეუფლა შეგრძნება, რომ დედამიწაზე - ამ უზარმაზარ ბურთზე მარტოდმარტო ვიდექი, ის კი ტრიალებდა, თავიდან ნელა, შემდეგ სიჩქარეს უმატა, საშინელი, თავბრუდამხვევი სისწრაფით მზისკენ აიჭრა, მზეც დედამიწისკენ გამოექანა. და ამის თვითმხილველი მხოლოდ და მხოლოდ მე ვიყავი. ვერსად მივრბოდი, რომც გავქცეულიყავი - სად? ჩემი სახლი მომინდა - არსად იყო. მზე მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლოვდებოდა. ის აღარ იყო ძველებურად ლამაზი და სასურველი. უფრო სწორად, საშიში ხდებოდა ყოველ მილიმეტრზე მოახლოებისას. მწველი, შემხუთავი, დამღუპველი, საძულველი გამხდარიყო მზე. მისი აქტიური მწველი ფერი - ცეცხლისფერი, გონებას მაკარგვინებდა. ცეცხლი მომედო ტანზე, ცეცხლი მოედო მიწას. უმწეობა, უსაშველობა და ერთადერთი - მალე სიკვდილის სურვილი დამეუფლა.

ოფლის ღვარში გამოვიღვიძე. პირველი, რაც მოვიმოქმედე, ფარდა ჩამოვაფარე სარკმელს. მე არ მინდოდა მზის დანახვა. მაშინ რა ვიცოდი, როგორი სიზუსტით ამიცხადდებოდა ხილვა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ბოროტებას არ ერქმეოდა მზე, მას სულ სხვა სახელი ექნებოდა - ომი. და მე ფარდის ჩამოფარებით ვეღარ დავაღწევდი თავს მისი ბოროტებისგან.

მაშ ასე - ომი.

## XVIII თავი

მე ვერ მოგიყვებით ომის შესახებ ისე, როგორც ამას იზამდა პოლიტოლოგი, კონფლიქტოლოგი, სამხედრო პირი ან უბრალო მეომარი. ქალისთვის ომი სულ სხვა რამაა, მეც ამის შესახებ მინდა გიამბოთ. ძველ დროში, ჯერ კიდევ მაშინ როცა მხედრები იბრძოდნენ, დედალ ცხენებს ირჩევდნენ ომისთვის. ამას ორგვარი გამართლება ჰქონდა: დედალი ცხენი თურმე შარდვას ახერხებს მაშინაც კი, როცა გარბის და კიდევ, მამალ ცხენზე აზარტულია ბრძოლისას. არ ვიცი, ამ აზარტულობის გამო თუ რა გამართლებით, მაგრამ ჩვენს დროში მეომარი დედაკაცები გამოჩნდნენ. ყოველი მათგანის ღვაწლს პატივს მივაგებ, არ მესმის მხოლოდ, ქალმა როგორ უნდა ისროლოს, მოკლას... იგი ხომ უფრო სიცოცხლის შემოქმედია, ვიდრე მკვლელი. ჩემთვის აფხაზეთის ომით რამდენიმე ომი დაიწყო: ომი - სამშობლოში, ომი - ოჯახში, ომი - საკუთარ თავთან. და მე ყველა ბრძოლა წავაგე...

თოთხმეტი აგვისტო ჩვეულებრივი, მზიანი დღე იყო. სახლში ვიყავი. აშილი მოვარდა. ადამიანს აღარ ჰგავდა. გაგიჟებულ სახეზე რომ შევხედე, ავფორიაქდი, ენა წამერთვა, რომ რაიმე მეკითხა. იგი ერთხანს ბოლთას სცემდა, კედლიდან კედელს აწყდებოდა და მე მექანიკურად უკან დავდევდი. ბოლოს შედგა, თვალებში ჩამაცქერდა და ძალიან ყრუდ ამოღერღა: „ომი დაიწყო, დედა“.

- როგორ? რანაირად? - მახსოვს, ჩემი პირველი შეკითხვა ეს იყო. იგი სახლიდან გავარდა. მერე და მერე სროლის ხმამაც მოაღწია, რომელიც ძალიან მალე გახშირდა.

მახსოვს, დრო ძალიან ნელა მიდიოდა იმ პერიოდში. შვილსა და რძალს ვაწყნარებდი, ყველაფერი მალე მოგვარდება, ეს გაუგებრობაა, რომელსაც ამ დღეებში დაესმება-მეთქი წერტილი. „ვის სასარგებლოდ მოგვარდება კი მაგრამო“ - შემეკითხა რძალი. კითხვის დასმისთანავე მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრებულია, ყველა ბრძოლა წაგებულია, რომ ომი მარტო ქვეყანაში კი არა, ჩემს საკუთარ ოჯახშიც მიმდინარეობს, რომ ჩემი რძალი მე მიყურებს, როგორც მტერს, ქართველს, რომელიც ტანკით შემოგრუხუნდა მისი და მისიანების დასაღუპად. გავშრი, ვერაფერი ვუპასუხე. აშილს შევხედე. მან სრულიად უადგილოდ იკითხა: რა ვქნათ? მას არ განუზოგადებია, მე მივხვდი, რაც იმალებოდა ამ კითხვის უკან. მისი მეგობრები იცავდნენ ქალაქს, იარაღს ატარებდნენ - მომხდურს ვუპირისპირდებითო. ჩემი შვილი კი შინ იჯდა. ჩემი პატივისცემით თუ ამ ომის მიმართ ჩემი მიდგომის გავლენით, იგი შინიდან არ გასულა სამიოდე თვე. მაგრამ ძალიან მალე ჩვენს ეზოს მოადგნენ ქართველი მეომრები. აბრა ჩამოგლიჯეს ჰიშკარზე. ცისბაია მეგრული გვარია და აფხაზები საიდან ხართო. შვილი გადავმალე. გარეთ გავვარდი. - ბიჭებო, წერეთლის ქალი ვარ, აქეთ გამოთხოვილი, ჩვენი ოჯახი ქართული ტრადიციებით ცხოვრობდა მუდამ, არ დამღუპოთ-მეთქი, ვყვიროდი. - როცა გინდათ, ქართველები ხართ, როცა გაწყობთ - აფხაზებით, მომიგეს. გინებით აიკლეს იქაურობა, მაგრამ მალე გაბრუნდნენ. ამის შემდეგ ჩემს შვილს ვეღარ ვცნობდი. არც არაფერს მეკითხებოდა, არც არაფერს მეუბნებოდა. რამდენჯერმე ვცადე, საუბარი გამება - უშედეგოდ. გავეცალოთ აქაურობას - მოსკოვში წავიდეთ-მეთქი, შევთავაზე. რა, უნდა დავიმალოო? - ცინიკურად გამიღიმა.

ერთხელაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შვილი თავის მეგობრებთან ერთად მოვიდა სახლში. იმ დღეს პირველად ვნახე იგი მეომარივით ჩაცმული. მეგობრები იმიტომ იახლა, რომ ეგონა, მათ წინაშე არაფერს ვეტყოდი. მინდოდა, მომეკლა. ვერ შევძელი, რასაკვირველია. წინ დავუდექი და ვუთხარი: დღეს შენ დედა მოკალი. „მამამისიც იგივეს იზამდა“ - ჩაილაპარაკა რძალმა. აშილმა მას საშინლად უყვირა, შეაგინა კიდეც. მე აღარაფერი მაინტერესებდა, ის კი არადა, ჩემთვის საყვირალს თავის ცოლს უყვირის-მეთქი, გავიფიქრე. ჩემს საძინებელში გავედი, თანაც კარი გავიჯახუნე. მერე მივხვდი, იმ წამს ყველასი და ყველაფრის მტერი ვიყავი, ჩემს შვილს კი ვერ ვუმტრე ვერასოდეს.

## XIX თავი

რამდენიმე თვეში ჩემი რძალი სახლიდან წავიდა. როცა მიზეზი ვკითხეთ, განაცხადა: კესარია მიხაილოვნა სულ თბილისის გადაცემებს უყურებს და მისიანების ყველა გამარჯვებაზე ხარობს, აშილი კი დაღლილი რომ დაბრუნდება, ზედაც არ შეხედავს, შვილზე მეტად ქართველები უყვარს, ამის ყურება არ შემიძლიაო. მე კი შენი ყურება არ შემიძლია-მეთქი, გავიფიქრე და ცოდვა გამხელილი სჯობს, მისი წასვლა კიდეც გამიხარდა. ჩემი ვაჟიშვილი ორ ცეცხლს შუა იწვოდა. არც მე ვეთმობოდი, არც ცოლი. ვიცი, მასთან მიდიოდა. ღმერთია მოწმე, არასოდეს მითქვამს ოჯახი დაანგრიე და ჩემთან დარჩი-მეთქი. ომზე საერთოდ არ ვსაუბრობდით. არ მაინტერესებდა, ვინ მოკლეს და სად იბრძოდნენ. ოღონდაც ჩემი შვილი ყოფილიყო ცოცხალი და ჯანმრთელი. კვირაში ერთხელ მაინც მენახა ან გამეგო, რომ ცოცხალია. მეტი არაფერი მინდოდა, არაფერი!

თვე ისე არ გავიდოდა, სოხუმში რამდენიმე ოჯახი არ გამწარებულიყო. ყველგან მივდიოდი. ქართველი იყო თუ აფხაზი. ყველა მოკლულს ვტიროდი. ვწყევლიდი ჩვენს მთავრობას. ვლოცულობდი, ღმერთო, ეს გვაკმარე-მეთქი. მერე და მერე შევამჩნიე, აფხაზთა ოჯახებში ამრეზით მხვდებოდნენ ჩემი ეროვნული კუთვნილების გამო; ქართველებს დანახვა აღარ უნდოდათ ჩემი აშილის „ბოევიკობის“ გამო. აი, ასე, ყველასათვის ერთნაირად მიუღებელი და საძულველი გამხადა ომმა. მაგრამ მე არავინ შემძულებია, პირიქით, ყველა მეცოდებოდა ჩემი თავიანად, თუნდაც იმის გამო, გაუბედურებული დროისა და ომის შვილები რომ გავხდით.

ომი, როგორც იქნა დამთავრდა, როგორც ხელისუფლება გვარწმუნებდა, რაღაც საზავო პირობებით. მე არაფერი მაინტერესებდა - არ ვიცოდი, სად და როგორ იყო ჩემი შვილი.

ოცდაშვიდ სექტემბერს კი ომი მართლა დამთავრდა და მასთან ერთად დამთავრდა ყველაფერი.

მეორე დღესვე აშილი სახლში მოვიდა. სიხარულით გული კინაღამ გამისკდა, ცოცხალი და საღ-სალამათი რომ ვნახე. თავი შევიკავე, არ მინდოდა, გადამეკოცნა, გამარჯვებას ხომ არ მივულოცავდი. თვითონ ჩემკენ წამოვიდა და გახევდა, მისკენ ერთი ნაბიჯიც რომ არ გადავდგი; შეიძლება იფიქრა კიდეც, აი, რა მართალი გამოდგა ჩემი ცოლი, დედას არ ვუყვარვარო. თავი ვერ შევიკავე, ცრემლები წამსკდა. მან ჩათვალა, რომ დამარცხების გამო ვტიროდი. ომგამოვლილი მამაკაცის აგრესიამ ხომ საზღვარი არ იცის.

- Что плачешь? - შემეკითხა აგდებულად.

- ИЗ-за тебя плачу - მივუგე.

არ ვიცი თუ მიმიხვდა. მე ამომწურავად ვუპასუხე. როგორც იქნა, ვთქვი სათქმელი. მართლა მასზე ვტიროდი. ის ომისგან გაუბედურებულიყო: ჯერ არ ესმოდა, თვითონ ფიზიკურად გადარჩენილს, მომავალი მოკვდომოდა! სახლიდან უკანმოუხედავად გაიქცა.

ქალაქში სროლა მეორე დღესაც არ შეწყვეტილა, მაგრამ ეს უკვე საბრძოლო სროლა არ იყო, ეს იყო საზეიმო სროლა - გამარჯვებულთა ალლუმი. დროდადრო სოხუმის ცას ფეიერვერკები აჩირაღდნებდნენ, რომლებიც იმ დროს ქალაქში მყოფ ქართველებს დამიზნებულ ტყვიაზე მეტად გვხვდებოდა გულში. აშილი იმ დღეებში სახლში იყო. სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაეცვა სუფთად პირგაპარსულს. მთელი თავისი გარეგნობითა და ქცევით მე მიმტკიცებდა, ხომ ხედავ, შენი პატივისცემით ზეიმში არ ვმონაწილეობ.

მზისთვის უნდა შემევედრებინა აშილის თავი იმ წელიწადს, მახსოვს. მაგრამ ეს ვერ გავაკეთე. ვერ კი არა, არ გავაკეთე, უფრო სწორად. რადგანაც ისე ვიყავი ნერვებდაწყვეტილი, ვარიაზე უწინ მზეს წამოვაგებდი მახვილზე, ვგრძნობდი.

## XX თავი

არავინ მერჩოდა, თვითონ მივხვდი: აქ - ამ ქალაქში, აქ - ამ ოჯახში აღარ დამედგომებოდა. აშილისთვის რომ მეთხოვა, ალბათ, ენგურამდე გამომაცილებდა. არ ვთხოვე. ჩემიანების ბედი მინდოდა გამეზიარებინა. დილიდან მომცრო ხელჩანთაში ჩავალაგე პირადი ნივთები და მოედნისკენ გავემართე, სადაც ავტობუსები დაეყენებინათ ორი მიმართულებით მიმავალი - ზუგდიდსა და გუდაუთისკენ. ქართველებს მოერეკებოდნენ „გამარჯვებულები“. მოედანზე ახარისხებდნენ: მოხუცები, ხეიბრები, უშნოები - ზუგდიდის ავტობუსში უნდა აბრძანებულიყვნენ, ახალგაზრდები, ლამაზები, ქალბატონები და ქალიშვილები კი გუდაუთაში მიმავალში. ჟრუანტელი მივლიდა დამცირებისა და შეურაცხყოფისგან. მერჩია, მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე. ჩემს სულში ამბოხი დაიწყო. მივხვდი, არსადაც არ წავალ, მოვკვდები და ამ ლაფისთვის ვიღაცას შევაფურთხებ მაინც. მიზეზის ძებნა არ დამჭირვებია. ბაბუა და შვილიშვილი იდგნენ. ბაბუა მოხუცი კაცი იყო, შვილიშვილი - თექვსმეტიოდე წლის გოგონა, დროდადრო გადახედავდა შეძრწუნებულ ხალხს და მეგრულად კითხულობდა, მე რომელ ავტობუსში ჩამსვამენო. გვერდით ამოვუდექი ამ ბავშვს. მეომრისფორმიანი აფხაზი მოგვიახლოვდა. ბაბუას პანღური ამოჰკრა, გოგონა გუდაუთის ავტობუსისკენ გაიხმო და იქვე, ყველას თვალწინ გავაზე აუსვ-ჩაუსვა ხელი. ბაბუა მივარდა ჯარისკაცს, მუხლებზე შემოეხვია - მომკალიო, ევედრებოდა. კონდახი ჩასცხო ჯარისკაცმა და მოხუციც ჩაიკეცა. მე აღარ ვეკუთვნოდი ჩემს თავს. ეს გოგონა მე ვიყავი. მე მამცირებდნენ, მე მიფათურებდნენ ხელს გავაზე. მე მკლავდნენ. ჩემთვისვე მოულოდნელად წინ გადავუდექი მტერს.

- Не смей, она со мной! - დავუყვირე.

- А ты тоже ничего, сойдешь! გამიღიმასავით და ახლა ჩემზე გადმოვიდა. მის მარჯვენაზე მათი დროშის ემბლემა იყო დაკერებული: მწვანე ზოლებზე გაშლილი მარჯვენა ხელის მტევანი. ეს რა არის შარიათის კანონებით, მაჰმადიანები ხელს რომ წააჭრიან მომპარავს, ის ხელი ხომ არ გახატიათქო. რა მოვიპარე კი მაგრამო - ხმა დაიბოხა. ჩემი სამშობლო-მეთქი - წარბი არ შემიხრია.

- Сука! - დაიძახა, ავტომატის კონდახი მითავაზა. თითქოს ამას ველოდი, სიმშვიდე და ბედნიერების ნეტარება დამეუფლა. უფრო გახარებული არასოდეს ვყოფილვარ - ერთი დარტყმა მაინც ვიგემე სიცოცხლეში საქართველოსთვის, ოჯახისთვის, შვილისთვის, ამ უცნობი გოგონასთვის... გალახვას რას მაკმარებდნენ, კედელთან მიმაყენეს. არ ვიცი, რატომ არ მეშინოდა. მზეს ავხედე მხოლოდ და გავიფიქრე: რა დიდებულია ამ დილით-მეთქი. მერე ვიღაცები მოვარდნენ, ავტობუსისკენ მიმაცილეს, მესმოდა მხოლოდ: „Эта Ашила мать“. ვინც მირტყამდა, ისიც კი მოვიდა აშილის ხსენებაზე ჩემთან. ქედმაღლურად გადავხედე: - Девушку приведи! - გამარჯვებულივით ვუბრძანე. მოიყვანეს ის გოგონაც, გვერდით დამისვეს. ბავშვს გადავხედე და მივხვდი - ამის მეტი ვერავინ და ვერაფერი გადავარჩინე.

ზუგდიდიდანაც ავტობუსით ვიმგზავრე თბილისამდე. გზაში ერთთავად ფანჯრიდან ვიყურებოდი. ჩემსავით გაუბედურებული და ნაწამები ხალხი ოხრავდა ირგვლივ. მე კი ჩუმად ვადევნებდი თვალს, როგორ ფეხდაფეხ მომდევდა სოხუმელი მზე დედაქალაქამდე.

## XXI თავი

ოქტომბერი იდგა. თბილისი და ოქტომბერი ეპრანჭებოდნენ ერთურთს. დედაქალაქი, როგორც ყოველთვის, უმშვენიერესი იყო. ამ ქალაქთან ყოველთვის მაკავშირებდა მშობლიურის შეგრძნება. ახლაც იგი ქცეულიყო ჩემთვის თავშესაფრად, კეთილი კალთის გადამფარებლად. ძალიან ბევრი ჩემი თანამემამულე კი ლტოლვილობისას მოხვდა პირველად თბილისში. მათთვის დევნილობის უსასტიკესი ხვედრი როგორღაც თავისთავად ასოცირდა ამ ქალაქთან და მათაც ვერაფრით შეიყვარეს თბილისი, თითქოს იგი იყო დამნაშავე ყველაფერში. შიმშილით, უფულობით, უშუქობით დაოსებულ და ფსიქიკადარღვეულ თბილისელებს მათზე უარეს მდგომარეობაში ჩაყრილი ათასობით დევნილი დააწვათ თავს. ზოგიერთი დევნილი ჭკვიანი აღმოჩნდა, იმთავითვე აუღო ალღო მდგომარეობას, ორ-ორი, სამ-სამი ოთახი აიღეს სასტუმროებში, როგორღაც მოეწყვნენ; ნაკლებად ჭკვიანებმა ბინების დაქირავება გადაწყვიტეს, ხოლო მთლად უჭკუონი დედაქალაქელ ნათესავებს მიადგნენ - რამდენიმე ხანს შეგვინახეთო. ეს რამდენიმე ხანი რამდენიმე წელიწადად გვიქცია იმედის უხვადმფრქვეველმა მთავრობამ და ნათესავთა მიერ სამართლიანად შევიწროებულმა დევნილებმა, მიაშურეს სახელმწიფო შენობებს: არბევდნენ, ტეხავდნენ, იკავებდნენ სხვათა ფართს. სათანადო ორგანოები მათთვის არ იშურებდნენ ხელკეტებს, ცემა-ტყეპას, შევიწროება-დამცირებას, კარებიც ამოუქოლეს რამდენჯერმე, ცოცხლად რომ ამოეწყვიტათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, ბრძოლა არსებობისათვის ნადირთა მსგავსად, განადირებულ ხალხს შორის ნადირთათვის შესაშური დაუნდობლობით მიმდინარეობდა. ღმერთს მადლობა, ყოველივე ამისგან შორს ვიყავი, როგორც გახსოვთ, სოლოლაკში მქონდა საკუთარი ნახევარსარდაფი, რომელსაც დროდადრო ვაკითხავდი. თავიდან ერთი-ორ მეზობელთან მომიწია შეკამათება, მაგრამ მალევე მივახვედრე, რომ ჩემთან ვერაფერს გახდებოდნენ, სირბილისა და ხარჯის საშუალება რომ მქონოდა, მათი ბინებიც კი შემეძლო დამებრუნებინა, როგორც თავის დროზე კომუნისტების მიერ უკანონოდ ჩამორთმეული.

ლტოლვილობის პირველი წლები იმდენად აუტანელი და მძიმე იყო, რომ ახლა გახსენებაც მიჭირს თუ არ მინდა - ხელი არ მიბრუნდება, რაიმე დავწერო. რაც რაიმე სამკაული გამაჩნდა, გავყიდე, შიმშილით სული რომ არ ამომხდომოდა. ფქვილსა და მაკარონს გვირიგებდა „მზრუნველი მთავრობა“ და კიდევ ფულს გვაძლევდნენ, ე.წ. „დახმარებას“. ეს თანხა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფულადი ნიშნით რიგდებოდა, მაგრამ მე არ მახსოვს პურის გარდა ამ ფულით რაიმე მეყიდოს.

ქუჩაში მჭმუნვარე სახეები მიდი-მოდიოდნენ. დროდადრო რაღაცას ეკითხებოდნენ ერთმანეთს. ძირითად შეკითხვაზე - დავბრუნდებით? - ვიღაც აუცილებლად უპასუხებდა ომახიანად - რასაკვირველია, ორი აზრი არ არსებობსო. და მერე ეს ვიღაც თავის მხრივ სხვას დაუსვამდა „ძირითად შეკითხვას“ - დავბრუნდებით?

ერთი ორჯერ მიტინგზეც წავედი. ტელევიზორი ტყუილთამფრქვეველ მანქანად ქცეულიყო და ხალხისგან მინდოდა თუნდაც მწარე სიმართლის გაგება. რუსთაველზე ვიკრიბებოდით, ძირითადად მთავრობის სახლთან. ხელოვანი ორატორები მქუხარე ტაშს იმსახურებდნენ, ზოგს არც უსმენდა ხალხი. შემდეგ მომიტინგენი ორ ბანაკად გაიხლიჩნენ: აი, რა დღეში ჩაგვყარა, შენ არ იყავი რომ იძახდი გაეროში და ევროკავშირში მიგვიღებენ, გავკეთდებითო, ხომ შეგათრია ყელზე ბაწარგამობმულ თხასავით სნგ-ში?! ამ დროს მეორე მხარე გაცხარდებოდა: სულ მაგის ბრალია ყველაფერი, თავის შეთითხნილ მთავრობას ვერ მოუარა და ქვეყანას მოუვლიდა? ატყდებოდა წივილ-კივილი, სტვენა, თმით დათრევა, რასაც მშობელი ხალხის დამცველი, ნიღბიანი ქართველი ბიჭები „დუბინკებით“ განმუხტავდნენ. და ასე უსაზღვროდ და უსასრულოდ.

მეოცე საუკუნის ბოლოს ჭრაქით ოდნავ განათებულ ჩემს ბინა-ნახევარსარდაფში მეგობრის მიერ ნაჩუქარი საბნით ვითბობდი გვერდებს, მარილიან წყალში მოხარშულ მაკარონს მივირთმევდი და უშაქრო ცხელი ჩაის ყოველ ყლუპზე „ვლოცავდი“ მთავრობას.

## XXII თავი

თუკი გაჭირვებას გაუძალიანდი და მაგრად დაუდექი, სასოწარკვეთამ თუკი არ მოგიღო ბოლო, აუცილებლად უკეთესი ხვალის დღე გაგითენდება - ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. ყოველ დროს ასე ყოფილა. ჩემს ცხოვრებაშიც ასე მოხდა.

თავდაპირველად სამსახური ვიშოვე, თანაც ორი ერთდროულად. საღამოს - სკოლის დამლაგებლად, დღისით კი ჯიხურში გამყიდველად ვმუშაობდი. რაღაც ფული გამიჩნდა. ყოველ საღამოს ვითვლიდი. თითქოს იბარტყებდა. მერე ერთი მეზობლის ქალს კაბა შევუკერე, რომელმაც მეორე მომიყვანა. იმ მეორეს დედაჩემის შეკერილი ცმია ბავშვობაში, გული აუჩუყდა და ერთიორად გადამიხადა საფასური. აი ასე - ღმერთმა არ გამწირა.

საღამოობით იმისთვისაც მრჩებოდა დრო, დამვჯდარიყავი და წერილები მეწერა. ისინი ვერასოდეს აღწევდნენ ადრესატამდე იმ უბრალო მიზეზით, რომ მე მათ თავიდან ვერ, შემდეგ კი არ ვაგზავნიდი. მიხვდით, ალბათ, ეს იყო წერილები ჩემი ვაჟიშვილის აშილისადმი. ყოველი წერილი იმდღევანდელი მწუხარებით, სიცივით, შიმშილით და იმედით იყო სავსე. ამ წერილებს ვინახავდი აკინძულს; ამ ორიოდე წლის წინ რომ გადავხედე, უფრო დოკუმენტური მასალის წარმოდგენაც კი შეუძლებელია-მეთქი, ვიფიქრე. თუმცა გამოქვეყნებისგან თავს შევიკავებ ალბათ, ისინი ხომ მხოლოდ და მხოლოდ აშილის საკუთრებაა. ჰმ, გამოქვეყნებაზე, თორემ კალთას დაგაგლეჯს ვინმე - ჩვენს დროში ხომ არავის არაფერი აინტერესებს და სჭირდება, განსაკუთრებით, რაც უახლეს ისტორიას ეკუთვნის, ამ თემისგან ხალხს, მაპატიეთ და, ალებინებს რატომღაც.

დღემ დღეს ჩასჭიდა ხელი, თვემ თვეს გამოსდო ხელკავი, წლები ვაგონებივით გადაებნენ ერთმანეთს და მატარებელივით ჩაირიხინეს.

ჯიხურში ვიჯექი, ვქსოვდი და თან რადიოს ვუსმენდი: „27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. ექვსი წელი გვაშორებს ამ დღეს“ - ამბობდა დიქტორი, შემდეგ კიდევ რაღაცებს მოუვა. ექვსი წელი! ღმერთო! ექვსი წელი გასულა! შემცივდა და გამაჟრჟოლა. რა იქნებოდა, ომი რომ არ ყოფილიყო, - ვიქნებოდი ახლა ჩემს ოჯახში, ჩემს აშილთან. მხოლოდ ის ვიცი, რომ ცოცხალია, რომ შვილი არა ჰყავს. სხვა? სხვა - არაფერი. ვინ, ვინ წამართვა დედობის უფლება?! ვინ არ მომცა საშუალება, ჩემი ქმრის გვერდზე დავემარხე ვაჟიშვილს?

საშინელმა ფიქრებმა ცრემლი მომგვარეს. ვიჯექი ჩემთვის და ვქვითინებდი. სასოწარკვეთილს კიდევ უფრო მწყდებოდა გული იმაზე, რომ ხმის გამცემი არავინ მყავდა, არ მყავდა ადამიანი, რომელსაც მივენდობოდი და გულს გადავუშლიდი. ხელისგულებით მოვიწმინდე ცრემლები.

- რატომ ტირის? - მომესმა უცებ ბოხი ხმა. ავიხედე. შუახნის სიმპათიური მამაკაცი იდგა ჩემს ჯიხურთან, მისი მოსვლა არც გამიგია.

- რა გნებავთ? - გამოვერკვიე და გავუღიმე.

- რატომ ტირის ქალბატონო? - უცნაური კილოთი წარმოთქვა, აშკარად უცხოელმა მამაკაცმა.

გავუღიმე. ჩემს ღიმილში იკითხებოდა, ამას თქვენ, არაქართველები, ვერასოდეს გაიგებთ-მეთქი. მან „მალბორო“ მოითხოვა. მივეცი. ფული გამომიწოდა, როცა ხურდა დავუბრუნე, მითხრა „არა“ და ხელი გაასავსავა უარის ნიშნად. გაბრუნდა და მანქანაში ჩაჯდომა დააპირა. უკან დავედევნე. „არ მჭირდება თქვენი ხურდა“ - ვთქვი გაავებულმა და ხელის გულში ჩავუყარე რკინის თეთრიანები. მიხვდა, რომ შეურაცხყოფილი ვიყავი. ისევ ჩემს ჯიხურთან მოვიდა. აშკარად არ ყოფნიდა ქართული სიტყვების მარაგი, ქართულ-რუსულად მთხოვდა პატიებას. „აქ ჩემი ცრემლების გასაყიდად არ ვზივარ“ - მართლაც ძალიან თავმოყვარე ვყოფილვარ, თორემ ფული ნამდვილად არ მაწყენდა.

მეორე დღეს ეს კაცი ვარდებით ხელში რომ მომადგა, ძლივს ვიცანი. გამოვესაუბრე. მან მანქანა დაითხოვა. აღმოჩნდა, რომ ამერიკელი იყო, ჯორჯი ერქვა და ამერიკის საელჩოში მუშაობდა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩემი სახლის მეორე სართული ქირით ეკავა და რომ ჩემზე ხუთი წლით უმცროსი იყო, თანაც ქვრივი. ვერ გეტყვით, რომ აღფრთოვანებული ვიყავი ან მისი საუბრით, ან მისი გარეგნობით, ეგ მაკვირვებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ, რომ ჩემდაუნებურად მას ველოდებოდი ყოველდღე. ის გვიან ბრუნდებოდა სამსახურიდან და აუცილებლად ჩემთან ყიდულობდა სიგარეტს.

## XXIII თავი

ჯორჯის გარეგნობის აღწერით თავს არ შევაწყენთ. ეს იყო ტიპური შუა ხნის ამერიკელი ტიპური გარეგნობითა და გემოვნებით, ამ ხალხს რომ ახასიათებს. უცხოელის შარმი თვალშისაცემი ჰქონდა. იყო რესპექტაბელური, ვიწრო სპეციალობით განათლებული, თავშეკავებული, ზომიერად ემოციური, კალორიული და გემრიელი კვების მოყვარული. ერთი ინდივიდუალური უცნაურობაც სჭირდა - დროშებს აგროვებდა, ყველა ქვეყნის, ყველა პარტიის თუ ყველა ოფისისას. სადაც მიდიოდა, ამ უზარმაზარ კოლექციას თან დაატარებდა. წმინდა ამერიკული პრაგმატიზმით გათვლილი ჰქონდა, როცა პენსიაზე გავიდოდა და დროშების მუზეუმს მოაწყობდა, რა შემოსავალი ექნებოდა წელიწადში საშუალოდ.

ჩვენი ურთიერთობის მესამე თვეს მივხვდი, რომ ეს მამაკაცი არ იყო გულგრილი ჩემდამი. აშკარად მეპრანჭებოდა და თავს მაწონებდა. მე ავუხსენი, რამდენადაც შემეძლო, რომ ჩემი ხნის ქვრივი ქალები საერთოდ არ ფიქრობენ მეგობარი მამაკაცის საჭიროებაზე, რაზეც მან ბევრი იცინა და თქვა, ამ ქვეყანას იმდენი უცნაურობა სჭირს, ერთი სიცოცხლე არ გეყოფა რომ ჩაწვდეო.

მერე ყოველდღიურობას დაერქვა მიჩვევა. მიჩვევამ კი, ხომ იცით, მეტი მოთხოვნების დაყენება იცის. მეც სულ უფრო მეტად მინდოდა ჯორჯის გვერდზე ყოფნა. ამიტომაც ავყევი ერთ საღამოს სახლში, უფრო სწორად, ჩემი ყოფილი სახლის მეორე სართულზე. ავუხსენი, რომ წრეთლები დიდგვაროვანნი იყვნენ, რომ ეს სახლი ერთ დროს ჩემი წინაპრების საკუთრება იყო და რომ მე პირადად პირველადა ვარ ამ ოთახებში და, რომ არა ჯორჯი, არც არასოდეს ამოვიდოდი. უცნაურია - ჩაილაპარაკა. რა? - შევეკითხე. - გქონდეს საკუთარი სახლი თბილისში, რომელიც შენ არ გეკუთვნის; გქონდეს საკუთარი სახლი სოხუმში, რომელიც შენ არ გეკუთვნის; გყავდეს საკუთარი ვაჟიშვილი, რომელიც შენ არ გეკუთვნის; გქონდეს საყვარელი ქმრის საფლავი, რომელზეც არ მიგესვლება; იყო 55 წლის ლამაზი ქალი და შენი თავიც კი არ გეკუთვნოდეს. კი მაგრამ, რა არის შენი ამ ცხოვრებაში? მე მხრები ავიწურე უცოდი მოსწავლესავით და ცრემლები ჩამიდგა თვალებში. ის ძალიან ახლოს მოვიდა და მომეფერა. არ გავძალიანებივარ. მხოლოდ როცა საწოლზე აღმოვჩნდით, წამოვხტი და კედელზე გაკრულ მოქალაქეთა კავშირის დროშას დავტაცე ხელი. ტარი მოვაძრე, დროშა კი ლოგინს გადავაფარე. ჯორჯს პირი ღია დარჩენოდა.

- რას შვრები? - გაოგნებულმა მკითხა.

- შენ ვერ წარმოიდგენ დროშაზე როგორი ექსტაზი დგება - ვუპასუხე. მეორე და მესამე დღეს ჯორჯს სხვა დროშების გამოცდა მოუნდა, მაგრამ მე დავარწმუნე ამ ლურჯ ალამს ვერაფერი შეცვლის-მეთქი.

ნახევარსარდაფიდან მეორე სართულზე აღმოვჩნდი. ჯორჯი ყოველ დილას სამსახურში მიდიოდა - საელჩოში, მე ჩემს სამსახურში - ჯიხურში. ერთი რამ მიშლიდა ნერვებს, რომ გავიღვიძებდი აშილის სახიანი მზე შემოიჭყიტებოდა და შემოძვრებოდა ფანჯარაში, თანაც ძალზე ორაზროვნად ჩამიკრავდა ხოლმე თვალს.

## XXIV

თანაცხოვრების იდილია სულ რაღაც ერთ წელიწადს გაგრძელდა. შემდეგ ჯორჯი სამშობლოში გაიწვიეს. ძალიან გამიჭირდა მასთან დაშორება. მას - ჩემზე უფრო. მეხვეწებოდა, წავყოლოდი. ყველაფერს მპირდებოდა - უზრუნველ და ფერად ცხოვრებას, განცხრომას და კეთილდღეობას. ტიროდა, ნერვულობდა, ყვიროდა, მიყვავებდა, სულ რაღაცას მიმტკიცებდა. მაგრამ მე გიჟივით ვიმეორებდი: „არა! არა! არა!“ ეს იყო ჩემი ერთადერთი პასუხი, რომელსაც არა მხოლოდ ჯორჯს, ჩემს თავსაც ვეუბნებოდი ხშირ-ხშირად, ჯიხურში როცა ვიჯექი, და ვტიროდი. - რატომ? ბოლოსდაბოლოს რატომ? - მკითხა ერთ დღეს სასოწარკვეთილმა. მე მივუგე, რომ არაფერი გამაჩნდა სამშობლოს გარდა, რომ ცხოვრებამ ყველაფრისგან გამძარცვა, რომ მე ვირჩევდი საქართველოში სიკვდილს.

- Crazy! Crazy! - უფრო აყვირდა ჯორჯი.

მე მის დაუხმარებლადაც კარგად ვიცოდი, რომ ყველა ქართველი ცოტათი გიჟია იმიტომ, რომ დაბადებიდან გიჟდება სამშობლოზე.

## XXV თავი

რაც წავიდა - წავიდა. დასარჩენი - დამრჩა.

დამრჩა თბილისი და მარტოობა. დამრჩა ოქტომბერი და ფოთოლცვენა. დამრჩა მაღალი, კაშკაშა მზე, დამრჩა შვილი, უფრო სწორად, შორს დამრჩა შვილი და ახლოს - მასზე ყოველდღიური დარდი. ის ახლა ჩემგან ისე შორსაა, ისე მიუწვდენელია, როგორც მზე. მზეს კი მისი სახე დაეკერა ამ ბოლო დროს, დამცქერის და მიცინის, მათბობს და მეძახის, ხელს ვიწვდენ და ვერ ვწვდები...

ამ მზეს ჩემი შვილიც ხედავს ყოველდღე და ფიქრობს, ალბათ, დედაჩემის სახე დაეკერაო, ხელს იწვდენს და ვერ წვდება.

აშილ! ჩვენს შორის მანძილია, ჩვენს შორის გზებია, ჩვენს შორის საზღვარია... საზღვარია, მაგრამ დედის გული უსაზღვროა, შვილის სიყვარული - საზღვარდაუდებელი... ყველაფერი პირობითია, ყველაფერი სიგიჟეა, როცა მენატრები, ვიცი, შენი გული კვნესის; როცა შენ გენატრები, მე ყოველთვის ვგრძნობ - უმიზეზოდ მდის ცრემლები. ჩემი მონატრება შენთან მოაქვს ღამის სიოს და დილის ნიავს, რომელსაც საზღვარზე საბუთებს ჯერჯერობით არ სთხოვენ.

მობერებული ტანით გმირულად ვზიდე შემოდგომის დარდი და ზამთრის სიცივე, მერე ორივე გადავაგორე და გაზაფხულს ვუმასპინძლე გულით და გონებით.

გაზაფხული ერთბაშად მოვარდა, როგორც სჩვევია ხოლმე აპრილის დამდეგს, მითხაპნ-მოთხაპნა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. მწვანედ, ყვითლად და ვარდისფრად. ადამიანებს იმედი კანფეტებივით ჩამოურიგა, სიყვარული გჭირდებათო - ყველას უჩურჩულა თანაც. მერე რიკოთზე გაწვა დაღლილი გაზაფხული. მარჯვენა ხელი დასავლეთს მოხვია, მარცხენა - აღმოსავლეთს. ჩემი გზა მარცხენა ხელიდან დაიწყო და ულელტეხილის გადავლით, მარჯვენა ხელის შუათითით დამთავრდა.

საქართველოს ამჟამინდელ საზღვარს - ენგურის ხიდს მივაშურე. ენგურის გაღმა კი ჩემი აშილი მელოდა. წინასწარი შეთანხმებით უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ხიდს გადაღმამდე რუსებმა მიმაცილეს. სამშვიდობო ძალების ერთ-ერთ კაზარმულ შენობაში შევხვდით ერთმანეთს. ტიპური ჯარისკაცური საცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი იყო. მისი აღწერით თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ, შესვლამდე შევნიშნე, იქ, სადაც რუსების დროშა ერჭო, მიწა შემოედღობათ და თეთრი კენჭებით დაეწერათ ზედ - РОССИЯ. მოღობილს ათ-ათი სანტიმეტრი ემატება ყოველდღე დიამეტრი-მეთქი, გავიფიქრე. არა! არც ეს პაწაწა მიწის ნაგლეჯია РОССИЯ და არც, მერე მოღობვას რომ უპირებთ, ის მიწა; თუ გაინტერესებთ, ეს თეთრი კენჭებიც კი, რუსული სიტყვის ამოსაქარგად რომ არ დაგიშურებიათ, ისინიც კი არ გეკუთვნით თქვენ! თქვენი აქ მხოლოდ დროშაა, რომელსაც სიამოვნებით დავახვევდი და სახლში გაგატანდით, თქვე უღვთოდ გამრავლებულო, უჯიშო ხალხომეთქი, ვფიქრობდი და რუსის ჯარისკაცს ვუყურებდი, რომელიც კაზარმამდე მიმაცილებდა. მას, ალბათ, ვანია ერქმეოდა. წითურს სახეზე აქა-იქ ამოსვლოდა ჟღალი წვერი, ცხვირაპრეხილს და ჭორფლიანს უცნაურად ღია ცისფერი თვალები ძლივს მოუჩანდა მონღოლოიდური ჭრილიდან. წარბი არ შემიმჩნევია, შუბლი - მოკლე, თმა - ჩალა, მეჩხერი, ყურებთან აპარსული, სმენის ზემოხსენებული ორგანო გაფართოებულ-გაგანიერებული, ალბათ, პროფესიონალიზმის ნიშნად - ხანგრძლივი მიყურადებისგან. ვანიას ავტომატი ისე ნარნარად მოეგდო მხარზე, როგორც მისი ჯიშის დიაცები საზღვაო ჩანთებს ათრევდნენ ხოლმე სოხუმში. მომყვებოდა გვერდზე და ვგრძნობდი, ჩვენი გრძნობები ერთურთის მიმართ აბსოლუტურად ტოლფასი იყო. შემეცოდა უბედური მამაჩემი, ამათ მხარდამხარ, ამათი სამშობლოსთვის დაღუპული. თუმცა მამაჩემი კი არა, გენერალი ბაგრატიონი, თავიანთი გადამრჩენი ამოაგდეს საფლავიდან და გენერალსიმუსი სტალინი გააბრძანეს მავზოლეუმიდან. ასეა, თავის სამშობლოში ცოცხალი ვჭირდებით, რომ გვიმსახურონ, ჩვენს ქვეყანაში კი გავწყდებოდეთ, ერთი სული აქვთ. მაშინ ხომ, რასაც ახლა ლუკმა-ლუკმა მიირთმევენ, ერთიანად გადაყლაპავდნენ და ყველა გეოპოლიტიკური პრობლემაც ერთბაშად მოგვარდებოდა.

## XXVI თავი

კაზარმის კარი შევაღე. აშილი ფეხზე წამოდგა.

- Мама! - თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა.

- როგორ მომენატრე ბიჭო! - ვიკივლე. მივვარდი, გულში ჩავიხუტე. ხელი მომხვია. ბავშვობაშიც ასე იცოდა - მარცხენათი თმას მქაჩავდა ოდნავ. ცოტახანს ასე ვიდექით. ვგრძნობდი, როგორ შემეზარდა და შემესისხლა ჩემივ ხორცი. ასე ერთნი ვიყავით მაშინაც, როცა ჩემს მუცელში იჯდა, თუმცა მაშინ სისხლიც საერთო გვქონდა.

სკამზე დავჯექი. დიდი სიამოვნებით ჩავისვამდი აშილს კალთაში და გულში ჩავიხუტებდი, რომ შემძლებოდა. თუმცა რომ შემძლებოდა, ბევრი რამე სხვანაირად იქნებოდა.

მერე ერთმანეთი მოვიკითხეთ. მას, ალბათ, მობერებული ვეჩვენე, მაგრამ არ შეიმჩნია, არც მე შევიმჩნიე მისი საკმაოდ ძველმოდური პერანგი და მოცვეთილი კოსტიუმი. ალბათ, უჭირს, მოუკვდა დედა - გავიფიქრე. მან გაიღიმა და მე შევნიშნე, გვერდზე კბილი აკლდა. თვალები ძველებურად უბრწყინავდა, თმა კი შევერცხლოდა და სოლიდურ იერს აძლევდა. არ უწუწუნია, ვცხოვრობ, ვშრომობ, მითხრა. ვიცოდი, შვილი არ ჰყავდა, ცოლი კი არ მომიკითხავს, არ მომინდა რატომღაც. არც მას უხსენებია. მერე მე ჩემზე მოვუყევი და შევნიშნე; სულ ვცდილობდი, უკეთესი სურათი წარმომეჩინა, ვიდრე სინამდვილეში იყო. შვილი არასოდეს მომიტყუებია. იმ დღეს რა იყო - არ ვიცი. მეზობლების შემდეგ სახლი მოვიკითხე, ვუთხარი, რომ ცოცხალივით მომენატრა, წამოდიო - შემომევედრა აშილი. არაფერი ვუპასუხე, ჩვენ მშვენივრად ვიცოდით, არჩევანის ჟამი ერთხელ დგება, არჩეული არ იცვლება!

- Как ваше правительство? - ირონიულად შევეკითხე.

- Да чтоб оно сгорело вместе с вашим! -სევდიანად მიპასუხა. და მე მივხვდი, რომ ხალხს ომი არასოდეს უნდა, მაგრამ ხალხს იშვიათად ეკითხებიან...

კიდევ რაღაცაზე ვსაუბრობდით, მოულოდნელად ვანია რომ დაგვადგა თავს. იქითა ნაპირიდან გადმომირეკეს, მოქალაქე წერეთელი აფხაზეთში არ შეუშვათ, დოკუმენტები არა აქვს წესრიგშიო - მხედრული სიზუსტითა და სისწრაფით მოგვახსენა მან. თვალები ცრემლებით ამესო.

აშილმა შენიშნა რომ დავიძაბე და რაიმე უკმეხს ვეტყოდი ამ ჯარისკაცს; ვაჟიშვილმა დამასწრო:

- Пойди вон Ваня, не видишь с матерью разговариваю!

დამატება საჭირო არ იყო - ვანიამ მოქუსლა. მე კი გავიფიქრე: „ღმერთო, ის დღე მანახე, ყველა აფხაზი ჩემი შვილივით ყვიროდეს - Пойди вон, Ваня!“

მეორე საღამოს წამოვედი ზუგდიდიდან ავტობუსით. სამურზაყანოელები დამემგზავრნენ. უნებურად მივაყურადე მეგრულს, ტკბილხმოვანს, ოჩამჩირესიქეთიდან გამოძევებულს, ცხენისწყალსაქეთ ვერშეყვარებულს. რუსული სკოლებიაო ჩვენთან დაიჩივლა ერთმა გალელმა; მერე რა, მე ქართული დედაენა კიდობანში მაქვს დამალული, თვითონ ვასწავლი ბავშვებს წერა-კითხვასო, უპასუხა მეორემ.

ფანჯარაში გავიხედე. მზისთვის მინდოდა მესაყვედურა, რატომ არ ხედავ, ქვეყანაზე რა ამბებია-მეთქი, გავოცდი - მზე არსად იყო.

ხარკელ დგმუყვისგან მსმენია, ძალიან ცუდის ნიშანია, როცა გარბიხარ და მზე არ მოგდევსო. მე ამის მწამდა. მაინც წამოვედი. მზე აფხაზეთში დარჩა.



„ქალის პორტრეტი“ მხატვარი ასმათ ალანია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რუსუდან გიგინაშვილი

## მხატვარი

მხატვარმა უცნობი ქალი
დააწვინა მოლბერტთან ძრწოლით,
თვითონ დასახატად მიუჯდა ტილოს,
ქალი დაიღალა ძელსკამზე წოლით,
მხატვრის ყურადღების მიქცევას ცდილობს.
ტილოზე ანგელოზი გაწვა,
მგონი, გასაფრენად ფრთას შლის,
ქალისთვის სად სცალია მხატვარს -
ანგელოზს დაეძებს ქალში!

●

შოთა ნიშნიანიძემ
მაჩუქა წიგნი.
აუ, რა მარგალიტები
აწყვია შიგნით.
ვიყავი ღარიბი და
გავხდი მდიდარი,
ჩემ ციცქნა სახლშია
ამხელა ტიტანი.
ჩემებიც რომ ჰგვანდნენ
თქვენ ლექსებს ცოტა,
მე რაღა მომკლავდა,
ბატონო შოთა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მურმან ლებანიძეს

კარგია, რომ
ვერ ელევი რაჭას,
მიხარია, ფეხით თელავ
სვანეთს.
აბა, ჩემი სამყოფიდან
რა ჩანს,
რა უნახავთ
მოუსვენარ თვალებს.
როგორ მინდა,
რომ ვეწვიო არხოტს
და ჭიუხებს მეც
შევხედო ცოტა,
მეც ავუდო მონადირეს ალღო,
ვისაუბრო მონადირის
ცოლთან.
მიგიხვდი, რომ
ჭრილობა გაქვს მძიმე,
მაგრამ დგახარ
ჯანსაღ ჭაბუკივით,
ლექსებს კინძავ,
როგორც ქარვის მძივებს
და ქარს ატან
მტკივან ფილტვის კივილს...
ვენაცვალე ლებანი ქედს,
რაჭას,
ვით არ ნახოს
წუთისოფლის მდგმურმა.
აბა, ჩემი სამყოფიდან
რა ჩანს,
შენი თვალით ვიხედები მურმან.

## ძმაო

ძმაო, ყველა განძს
მირჩევნია ეს ველ-მინდვრები,
ეს ყვავილები,
მე რომ ვქსოვე
სისხლის ძაფებით.
სურამის ციხეს
ჩავატანე ზურაბის
ძვლები,
არ გაიკვირვო,
ქვაც მიყვარდეს
აქ გამძაფრებით.
არ გაიკვირვო,
ყველა მხრიდან
რომ მაქვს ჭრილობა
და მტკივა, როგორც
მოკვეთილი პაატას თავი.
ეს ჩემი მიწა - დაფენილი
ფერად ჭილოფად,
ნაწამები და აღმდგარია
პაატასავით.
ყაყაჩოები სისხლის კვალად
გასდევს ჩემს ახოს,
ნუ გიკვირს, თვალი
მოგონებით რომ ამეცრემლა.
მე სიკვდილის წინ
დიდება ღმერთს! უნდა შევძახო
და ჩემი კუბო ფრთით
წაიღონ უნდა მერცხლებმა.

## ჰაი დედასა

ჰაი დედასა, გორგასალი
წამოახედა
და მთაწმინდიდან
დაანახვა წუთით თბილისი,
მეფეს და სარდალს
ჯერ უღრუბლო ცა
მოალხენდა
და სიხარული აუვსებდა
თვალებს თბილი მზით.
ჰეი, ქართველნო,
ვაჟკაცურად გადასძახებდა
და მერე უცებ დარჩებოდა
გულდაწყვეტილი,
დაღონდებოდა სიბრაზისგან,
აბჯარს დახევდა,
რადგან ქართველებს იხილავდა
ზღვაში წვეთივით.
გაითქარუნებს წარსული და
წამოვა სევდა.
ლაშქარმრავალი
სადროშო დგას დღეის პირისპირ,
ჰაი დედასა, გორგასალი წამოახედა
და მთაწმინდიდან დაანახვა
წუთით თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იოსებ ლონგიშვილი

# ცისა და მიწის სამკაული



„ერისიონის“ კლიპმა - „შატილის ასულო“, ყველამ ვიცით, გააოცა საფრანგეთი. სიხარულისა და სიამაყის ცრემლი მოჰგვარა ქართველებსაც. გაიჭრა კიდევ ერთი სარკმელი ჩვენი კულტურის გასაცნობად. მისასალმებელია „ერისიონის“ ხელმძღვანელების, მათი მოცეკვავეების, მომღერლების ძალისხმევა და შრომა ეროვნული ტრადიციების ასაღორძინებლად. ქართული ჰეროიკული სულის წარმოსაჩენად.

ჯერ კიდევ **1987** წელს გამოცემულ ჩემს პირველ მხატვრულ-პუბლიცისტურ კრებულში: „მიყვარხარ, მთაო ტიალო“ ერთ-ერთ ჩანახატში ვწერდი ჩემი და პოეტისა და მეცნიერის, მიხეილ ქურდიანის საუბარზე იოსებ ლონგიშვილის პიროვნებაზე და მის ლექსებზე. მკითხველს ვაცნობდი პოეტის მანამდე უცნობ ლექსებს და ნიმუშად მოყვანილი მქონდა მისი ორი ლექსი „აშექალი“ და „შატილის ასულო“.

უფსკრულთან ჰიუხის ქარივით ქანაობ,
ვერ გაკრთობს ფერხული მშფოთვარე დიდების...

ეს „აშექალის“ დასაწყისია „შატილის ასულო“ შემდეგნაირად იწყება:

შატილის ასულო, ლერწამო ხადიშათ,
სწორებში აგირჩევ ვაჟკაცის ხელითა.

ამ ლექსებს აუცილებლად დავუმატებდი იოსებ ლონგიშვილის ისეთ სტრიქონებს, გახმაურებული რომ არის, ყოველი მეორე თუში ქალი გარმონზე აკვნესებს და თავის რეპერტუარში შეაქვს. იოსებ ლონგიშვილის „ლაშარობაც“ ისეთი პოპულარული გახდა, რომ ბევრს უკვე ხალხური ჰგონია. იგი **1959** წელს არის დაწერილი:

რა კარგი იყო თუშეთი და ლაშარობა თუშური და ასე შემდეგ...

დიახ, ჯერ კიდევ მაშინ, თუშეთში პირველი მოგზაურობისას, ვიცოდი, რომ „შატილის ასულოს“ - ამ შთამბეჭდავი ლექსის ავტორი იყო ზემოალვანელი წოვა თუში იოსებ ლონგიშვილი, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ამ ლექსს ბევრი ხალხურად სცნობდა.

ხალხური ლექსი თავისთავად ჩვენი უდიდესი საგანძურია, ჯერ კიდევ რამდენი მარგალიტია მიმობნეული ხალხში და ზოგი კიდევ მივიწყებული, მაგალითად, სახალხო მთქმელის, ხევსური ქალის ბაბალე მინდოდაურის ლექსი „ვერცხლისამც თასად მაქცია“ ზოგიერთმა მეცნიერმა ცნობილ ფშაველ მოლექსეს ხვარამზეს მიაკუთვნა. თუმცა ხვარამზეცა და ბაბალეც - ერთი ფშაველი მეორე ხევსური - ორივე დიდი სახელია საქართველოსთვის.

დასანანია!..

დასანანია ისიც, როდესაც ავტორი ცოცხალია და რადიო თუ ტელეგადაცემებისას მისი შემოქმედების ნაყოფს სხვას მიაკუთვნებენ.

დიახაც, საავტორო უფლებები საქართველოში ხშირად და გვარიანადაც ირღვევა. როდესაც კომპოზიტორს თუ ნებისმიერ ანსამბლს რეპერტუარში შეაქვს ახალი მუსიკალური ქმნილება, იგი ვალდებულია, საზოგადოებას გააცნოს ტექსტის ავტორის ვინაობაც.

და, ისევ სამწუხაროდ, ტელეეკრანზე ტიტრებში იწერება კომპოზიტორისა და შემსრულებლის გვარი, ლექსის ავტორი კი მივიწყებულია. არადა, განა მუსიკას სიტყვის ძალა და სიმაღლე არ ანიჭებს სიმძაფრესა თუ სიდიადეს?

ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ბატონი ჯემალ ჭკუასელი სიხარულით მიესალმა ამას წინათ ტელეეკრანიდან „შატილის ასულოს“ ავტორს, ბატონ იოსებ ლონგიშვილს და თანამშრომლობაც შესთავაზა.

ჩვენც მივესალმებით, თუკი ქართველი შემოქმედნი ერთურთს პატივს სცემენ და ითანამშრომლებენ, თუკი მათი შემოქმედების ნაყოფი სამკაულად მოეფინება ცასა და მიწას, თუკი „შატილის ასულოსნაირი“ კიდევ ერთი ლამაზი სიმღერა დაიგუგუნებს, თუკი ქართული კულტურის ისტორია კიდევ ერთი შედევრით გამდიდრდება.

ბოლო წლებში ბატონმა იოსებმა თვალისჩინი დაკარგა, ამჟამად სარეცელს არის მიჯაჭვული და შარშან, შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს მოვინახულე, ვერც კი წარმოვიდგენდი, ისე გაეხარდა ჩემი სტუმრობა. გახალისდა, საწოლიდან წამოიწია, დაუძლურებული ხელი გამომიწოდა, ცრემლი ყელთან მოებჯინა და მაშინვე პოეტური სტრიქონები მომაგება...

იზა ჯაჭვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შატილის ასულო

შატილის ასულო, ლერწამო ხადიშით,
სწორებში აგირჩევ ვაჟკაცის ხელითა,
შატილის მთებიდან თუშეთში წაგიყვან,
კლდეებზე მფრინავი საღარა ცხენითა,

ბიჭავ, მეც მათრთოლებს ხუჭუჭი თმები და
კლდეებზე ძგრიალი მაგ ცხენის ნალისა,
პატარძლად წამიყვა შატილის მთებიდან,
მაყრებად გაგვყვება ვარსკვლავნი ღამისა,

ფრიალოს ბილიკზე ამ მკერდით გატარებ,
გრიგალში დაგიცავ მეცხვარის ნაბდითა,
კლდის ზვავის ნაქუჩით დაგიბან მაგ თვალებს,
შეგმოსავ პირიმზით ნაქარგი კაბითა:

მზითვებად ცხვრის ფარას მოვრეკავ მთებიდან
და მაყრულს დავუკრავთ შურთხების ქნარითა.
დღის სიცხეს დავადნობ წამწამთა ფრთებით და
ჯარჯვით დაყრილი ამ თმების ქარითა.

შევუღლდეთ, შევერთდეთ, ლერწამო ხადიშათ,
ვით მთათა ჩანჩქერნი ერთმანეთს ერთვიან,
თუშეთში მზე ნათობს ხევსური ქალისაც,
თუშთა და ხევსურთა დღეს ფიქრნიც ერთია.

ტრფიალი ვაკურთხოთ, ვაჟაუ, ცივი წყლით,
მირონი ავიღოთ ბორბალოს ხევიდან,
შატილის მთებიდან მოყვრობის ბილიკი
ალვნისკენ გადავჭრათ საღარი ცხენითა.

თუშ მოყმეს თვალთაგან ცრემლები დამცვივდა
მთებისკენ ცქერაში და ტიალ ლოდინში.
უშენოდ ალვანში ყინვა მწვავს და მცივა -
შავი კლდის შავ ნატეხს, იოსებ ლონგიშვილს.

## აშექალი

უფსკრულთან ჭიუხის ქარივით ქანაობ,
ვერ გაკრთობს ფერხული მშფოთვარე ლოდების,
იფრთხილე, იფრთხილე, მეც გზვერავ, ქალაუ,
შატილის ბილიკზე შველივით მოდენილს.

შავი კლდის შურთხივით გამირბი განდაგან,
მაჩუქე, ქალაუ, ღიმილი ერთ წამით,
ტანშოლტა მეძროხე ხევსური ქალა ხარ,
შატილის პირქუში ნისლივით ლერწამი.

ტიალი ფიქრები ჯანღივით ფარავს გულს,
ვერ გხიბლავ, აშექალ, მეცხვარის ფარებით,
ვაიმე, მეშინის, მეშინის, ქალაუ,
გზვერავენ შორიდან სხვა მწყემსის თვალებიც.

თუ გინდა, რომ გახდე, ქალაუ, შენ ჩემი,
ნუ დახვალ წყაროზე მარტოკა ხელ-სურით,
წაგიყვანს, აშექალ, მგლისმუხლა ჩეჩენი
ან ორბისთვალება არხოტის ხევსური.

## გტოვებთ, შვილებო!

გტოვებთ, შვილებო, მივდივარ, წავალ,
ვეღარ ვიცილებ სიკვდილის სახრეს
და სამზეოზე მე, როგორც წამალს,
პოეტი მამის გიტოვებთ სახელს.

მოდის სიკვდილი ცივ სლოკინით და
მის დაკბენილი ვეღარც ავდგები,
ჩემი ოთახის თბილ ლოგინიდან
მიწის ლოგინში გადავბარგდები.

ირგვლივ ბუყბუყებს გესლი ბოროტი,
იქ შიგ ვიწვები და ვიხარშები...
მე არ მოვკვდები, თუკი ბოლომდის,
ჩემი ხალხისთვის დავიხარჯები.

თვალებჩამქრალი ბნელეთს ვეხლები,
მოქრიან ჩემკენ შავი თალხები,
სიკვდილს ღიმილით გადავეხვევი,
თუ ხალხის გულშიც დავიმარხები.

მე ვფიქრობ და მწამს - თქვენც ფიქრობთ ასე
და კვლავ იბრძოლებთ და კვლავ ეცდებით -
მკითხველისაკენ მიმავალ გზაზე,
რომ დააყენოთ ჩემი ლექსები.

დღეიდან მე შავ სიკვდილის ყმა ვარ,
ვეღარ ვიშოვი მე საშველ წამალს...
თვალებჩამქრალი საბრალო მამა
თქვენი იმედით იმ ქვეყნად წავალ.

XXX

როგორც არწივი ფრთებდაწურული,
მე მთებში ვეძებ სიტყვებს ჯიშიანს.
რას შეველევი მთის ფრიალოებს,
თუშურ სერიანს, თუშურ ინიშნიანს.
რას შეველევი ჯიხვთა სამეფოს
და შურთხების ტახტს - კლდეებს ჯიშიანს.

## ლაშარობა

*თუშეთში, სოფელ ჩიღოსთავზე იციან ლაშარობა.*

რა კარგი იყო თუშეთი
და ლაშარობა თუშური,
რქებჩაგრეხილი ჭედილა,
სანთლით შუბლგადატრუსული.

ფერდობზე ჩამწკრივებული
კოხტა ვაჟი და ქალია,
ხევებში ამღერებული
შმაგი ალაზნის წყალია.

ჯიხვის რქით ცივი ლუდის სმა,
ცეცხლზე შიშხინი მწვადისა,
გარმონზე აცეკვებული
თითები თუშის ქალისა.

თვალებს დავხუჭავ, კვლავ მოსჩანს
სადღეღე ცხენთა კისრები
და ქორბედელას ფერხულში
მგლისმუხლა მწყემსი ბიჭები.

პატარძლებივით დამდგარან
ლურჯკაბიანი ფიჭვები,
მიყვარს დართლო და ჩიღოს მთა,
მათ სიყვარულით ვიწვები.

რა კარგი იყო თუშეთი
და ლაშარობა თუშური.
რქებჩაგრეხილი ჭედილა,
სანთლით შუბლგადატრუსული.
ცვარმოდებული მწვადები,
ღადარზე გამოშუშული.

მიყვარხარ, ჩიღოს სოფელო,
აჭრელებულო წინდებით,
ცხრა მთას იქითაც რომ დამსვან,
კვლავ შენკენ გადმოვფრინდები.

ღმერთმა ამრავლოს შენს მკერდზე
კოხტა ვაჟი და ქალია,
სახსოვრად გქონდეს ეს ლექსიც
დღეს ჩემგან ნაჩუქარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ მირიანაშვილი

# ჩვენი ტრაგედიის ფესვები

(ოციან-ოთხმოციანი წლების ქრონიკა)

დიახ, სოციალიზმის გზაზე მდგარი ქვეყნები სჯობნიან კიდეც კაპიტალისტურებს, სჯობნიან უბრალო მოქალაქეთა ყოფის თვალსაზრისით. კომუნისტები ყველგან ცდილობენ,ააშენონ. და აშენებენ კიდეც ქარხნებს, კაშხლებს, ჰესებს, სამეცნიერო ცენტრებს. სკოლებსა და კლინიკებს რაც შეეხება, მათი დაარსება, უბრალოდ, კომუნისტების ჰობია თუ იდეაფიქსია...

- მერე კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველივე ამის ჰაჰანებაც არ არის?

- უადგილოა თქვენი ირონია, - როგორღაც სევდიანად მიპასუხა. - მეორე კაპიტალიზმის ქვეყნებში არ არის ან თითქმის არ არის. ან, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით, გაცილებით ნაკლებადაა.

- არც მედიცინაა?

- მედიცინა კი, არის მედიცინა. მაგრამ ხშირად კვდება კაცი, თუმცა არის წამალიც და ექიმიც, რომელსაც მისი მორჩენა შეუძლია. ეს მგონი, უკვე ვთქვი. - ბატონმა არჩილმა კვლავ გაიცინა. - ჩამორჩენილი ქვეყნების გაცნობის შემდეგ გავხდი, იცით, ვინ? - ანტიკომუნისტ-ანტიკაპიტალისტი. საბჭოთა კავშირში ანტიკომუნისტი ვიყავი, უცხოეთში - ანტიკაპიტალისტი. ბრიყვული მდგომარეობაა, არა? ჰოდა, დავასკვენი, ჩემი საქმე არ არის-მეთქი პოლიტიკა. უბრალოდ, ჩემი ბიოლოგიაზე აწყობილი ტვინი ვერ სწვდება-მეთქი, ალბათ, პოლიტიკას, როგორც ბევრი პოლიტიკოსი ვერ ერკვევა ბიოლოგიაში. ამის შემდეგ მეგონა, რომ საბოლოოდ გადავწყვიტე, აღარ მეფიქრა იმაზე, რაც ჩემი საქმე არ არის და ჩემი გონებაც ვერ სწვდება. მაგრამ მერე მოხდა ერთი ისეთი რამ... გახსენებაც არ მინდა, გეფიცებით! მაინც მოგიყვებით. ეს ამბავი პირადად მე შემემთხვა. ამაზონიის სათავეებთან, ერთ პატარა ქალაქში, თუ უფრო დაბა ეთქმოდა. **1975** წელი იყო. ჩვენს დელეგაციას უკვე თითქმის დაუმთავრდა მივლინება. უკან ვბრუნდებოდით. გავჩერდით ერთ უბადრუკ სასტუმროში. საღამო ხანს სასეირნოდ გამოვედი. გავიყოლე ჩვენი თარჯიმანი, იქაური კაცი. უკვე ვერიდებოდი მარტო სიარულს ლათინურ ამერიკაში. მე და თარჯიმანი დასახლების განაპირას გავედით. ვტკბებოდი ულამაზესი დაისით კორდელიერების გრანდიოზულ მთებში. მოშორებით ყორეზე ჩამომსხდარი ჯარისკაცები შევნიშნე. თარჯიმანმა მითხრა: აქ, სადღაც, მარქსისტი მეამბოხეები არიან და მათთან საბრძოლველად გამოგზავნა მთავრობამ ჯარიკაცებიო. მეორე მხრიდან ხალხი გვიახლოვდებოდა, საკმაოდ მოზრდილი ბრბო, ქალებიც , კაცებიც. ერთი ბავშვიანი ქალი გამოეყო და ჩვენკენ გამოემართა. მოწყალება მთხოვა. თარჯიმანს ვუთხარი, გადაეცი, რომ არ მაქვს ფული-მეთქი. ფული სასტუმროში მქონდა დატოვებული. თარჯიმანმა უთხრა, მაგრამ ქალი მაინც მოიწევდა ჩემკენ. თარჯიმანი ჩვენს შორის ჩადგა. გაცხარებით შელაპარაკდნენ ის და ქალი. ბრბო აყაყანდა. ჩვენკენ დაიძრა. ჯარისკაცები წამოიშალნენ და წამოვიდნენ. სულ მალე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ბრბო და ჯარისკაცები. თარჯიმანმა იდაყვში ხელი მომკიდა, შემაღლებულ ადგილზე გამიყვანა ჯარისკაცების ზურგსუკან. ბრბო ყაყანით მოიწევდა ჯარისკაცებისკენ. ისინი კი იდგნენ, უკან არ იხევდნენ. ყველაზე მეტად ის ბაშვიანი ქალი აქტიურობდა, თუმცა ჩვილი ეჭირა ხელში. ჯარისკაცები შვიდნი თუ რვანი იყვნენ. ბრბო გაცილებით მრავალრიცხოვანი. უცებ უკნიდანაც შემოემატა ხალხი. ერთმა ჯარისკაცმა სცადა, ბავშვიანი ქალი ხელით უკან გაეწია. მან კი ცალი, ბავშვისგან თავისუფალი ხელით ჯარისკაცს რაღაც ჰიდაობის მსგავსი გაუმართა. ბრბომ იხუვლა და სწრაფად დაიძრა, ქალს მიაწყდა, მას ბავშვი ხელიდან გაუვარდა, თვითონაც ეცემოდა, მაგრამ ჯარისკაცმა შეაშველა ხელი, წამოსწია და თავისკენ მოიზიდა, რომ ბრბოს არ გადაეთელა. ჯარისკაცები სირბილით გამოერიდნენ ბრბოს, ქალიც გამოიყოლეს, ბავშვი კი ბრბოს ფეხებქვეშ დარჩა. შეძრწუნებული მივბრუნდი. ინსტინქტურად ხელები ავიფარე თვალებზე. ქალმა საზარელი კივილი მორთო. სხვა ქალებიც აჰყვნენ. მამაკაცებიც აღრიალდნენ. რომ მოვბრუნდი,

---

დასასრული. დასაწყისი იხილეთ №1-2, 2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრბო ჯერაც ვერ ჩერდებოდა. ჯარისკაცები კი უკვე შორს იყვნენ, ასიოდე მეტრში და თოფები მოემარჯვებინათ თავდასაცავად. ბრბო, როგორც იქნა, შეჩერდა. შუაზე გაიყო და საზარელი სანახაობა გადაიშალა ჩემს წინაშე, გათელილი, ალბათ უკვე უსულო ბავშვი. აკივლებული დედა მიეჭრა და ხელში აიტაცა. ბრბოს გნიასი აყრუებდა იქაურობას. თარჯიმანმა მთელი ხმით დაუყვირა მათ რაღაც, ბრბო დადუმდა. კვლავ დაიყვირა თარჯიმანმა. ყველა მე მომაჩერდა. დადუმდა დედაც და ჩემკენ გამოიქცა. თარჯიმანს უთქვამს, რომ მე ექიმი ვარ. დედამ პატარას დასახიჩრებული გვამი გადმომაწოდა...

ბატონ არჩილს ხმა გაებზარა. მუჭაში ჩაახველა.

- ეს იყო 1975 წელი. პატარა მიცვალებულის სახე მერე დიდხანს არ მცილდებოდა... დედამისის სახეც, - კვლავ ჩაახველა და მკითხა: - წაგიკითხავთ ლორკა?

შეკითხვა ვერ გავიგე და გამიმეორა.

- ფედერიკო გარსი ლორკა, ალბათ, წაგიკითხავთ.

- წამიკითხავს ზოგი რამ.

- მე სტუდენტობისას წავიკითხე, - აღარ მახსოვს კარგად - მისი დღიურები იყო თუ მოგონებები. ამერიკაში თავის მოგზაურობას აღწერს... ლორკას ძალიან არ უყვარდა ამერიკა.

- რატომ?

- შეერთებულ შტატებს ვგულისხმობ, - განმიმარტა ბატონმა არჩილმა. - თქვენ, ალბათ, იფიქრეთ, რომ ლათინური ამერიკა არ უყვარდა, რადგან მასზე ვლაპარაკობდი. შეერთებული შტატები კიდევ ბევრ სხვა ევროპელ მწერალს არ უყვარდა. სულიერებისადმი დამუქრებულ საფრთხეს უკავშირებდნენ ამ ქვეყანას.

ჩემი თანამოსაუბრე დაფიქრდა. მომეჩვენა, რომ აზრი გაუწყდა და იხსენებდა, რისი თქმა სურდა.

- ლორკაზე ლაპარაკობდით, - შევახსენე.

- ჰო, ლორკა დიდი ანტიპათიით წერს ამერიკაზე... იმიტომ გამახსენდა, რომ ლორკა ერთგან იგონებს ორ ბავშვს, და-ძმას, რომლებიც ამერიკაში დაიახლოვა. ამ ბავშვების მეზობლად უცხოვრია რომელიღაც პატარა ქალაქში. ერთ დღეს მისი ნაცნობი გოგონა, რვა თუ ცხრა წლისა, ჭაში დამხრჩვალი უპოვნიათ... ლორკა არაჩვეულებრივად გადმოსცემს თავის განცდებს პატარა მეგობრის სიკვდილის გამო. მეც ვერ ვივიწყებდი ჩემს თვალწინ დაღუპულ ბავშვს. ანტიდეპრესანტებსაც კი ვსვამდი. მოსკოვში დაბრუნებულს მინდოდა, ნევროლოგისთვის მიმემართა, მაგრამ ზაფხული იყო და გადავწყვიტე, შვებულებაში გავსულიყავი, ჩემს სოფელში დამესვენა. ყოველ შვებულებაზე აუცილებლად ჩამოვდივარ საქართველოში. სხვადასხვა კუთხეში ვხეტიალობ. მთელი საქართველო ფეხით მაქვს მოვლილი. რამდენიმე დღეს აუცილებლად მამისეულ სახლში ვატარებ. იმჯერად კი მთელი შვებულება, თვენახევარი დავყავი სოფლად. და, რაც უნდა მეკეთებინა, ბაღში ვშრომობდი თუ ტახტზე ვიყავი წამოწოლილი, თვალწინ მუდამ პატარა გვამი მიტრიალებდა. მე რომ მართლა ექიმი ვყოფილიყავი, ასე არ განვიცდიდი, ალბათ. ექიმები შეჩვეულები არიან სიკვდილის ხილვას... თარჯიმანმა იმიტომ წარმადგინა ექიმად, რომ მის თვალწინ ერთიორჯერ გავუწიე პატარა სამედიცინო დახმარება ჩვენი დელეგაციის წევრებს. ბიოლოგია და მედიცინა ხომ ერთმანეთის მომიჯნავენი არიან. აკვიატებულმა სურათმა ისე შემაწუხა, ერთ მომენტში გადავწყვიტე, მოსკოვში დავბრუნებულიყავი, რომელიმე კარგ ნევროლოგთან მემკურნალა. მაგრამ მაშინვე მივხვდი, ექიმი ვერ მიშველიდა. აკვიატებაზე არანაკლებ მაწუხებდა ის, რომ საბოლოოდ დაიმსხვრა ჩემი რწმენა; მე, კომუნისტების მოძულეს, მათ კლასობრივ მტრებზეც გული გამიტყდა. ეს, ცხადია, ერთბაშად არ მომხდარა. ბავშვის დაღუპვა იყო მხოლოდ ბოლო წვეთი. მანამდე ვახერხებდი, საერთოდ არ მეფიქრა პოლიტიკაზე. არ მეფიქრა უბედურებებზე, რომელთაც თითქმის მთელს მსოფლიოში უმზერდნენ ჩემი თვალები. სოფელში კი ამის გარდა არაფერზე მიფიქრია; ნუთუ ერთმანეთზე უარესია ორივე სისტემა? ნუთუ შეუძლებელია წუთისოფლის ისე მოწყობა, რომ ნორმალურად იცხოვროს ადამიანმა?.. ვფიქრობდი... ვფიქრობდი... ვფიქრობდი... როცა გადაღლილი ვწყვეტდი აზრს, იმწამს თვალწინ მიდგებოდა ამაზონიის სათავეში ნანახი და კვლავ პოლიტკურ ფიქრებში ვეძებდი თავშესაფარს. პოლიტიკაზე ფიქრი იყო ჩემი თავშესაფარი განსარიდებელი გულისშემაღონებელი მოგონებებისგან. გამახსენდა ჩერჩილის გამონათქვამი. ალბათ, ყველაზე ცნობილი მის გამონათქვამთაგან. ახლა აღარ მახსოვს ზუსტად. მაშინ კი შეუმცდრად შემეძლო ციტირება. ეს ფრაზა, უთუოდ, თქვენთვის ცნობილია: დემოკრატია არის ძალიან ცუდი რამ, მაგრამ კაცობრიობას ჯერ-ჯერობით უკეთესი არაფერი მოუფიქრებია. მე პაექრობა დავუწყე ჩერჩილს.

- მაპატიეთ, რაში არ ეთანხმებოდით? რომ დემოკრატია მმართველობის სხვა ფორმებს სჯობს?

- მე ჩერჩილს ვუმტკიცებდი... - ბატონ არჩილს გაეცინა, - იცით, ბავშვობიდან მჩვევია ეს. ამოვიჩემებ ადამიანს და ვეკამათები, ფიქრებში - ნაცნობს თუ უცნობს, ცოცხალს თუ მკვდარს, რიგითს თუ სახელოვანს...

- ეს, ალბათ, ყველა ადამიანს ჩვევია, - ვუთხარი და შეკითხვა გავუმეორე.

- გიპასუხებთ. ოღონდ გთხოვთ, წინასწარ ნუ ჩამწერთ ანტიდემოკრატების სიაში. ჩერჩილს მე ვუმტკიცებდი, რომ იგი ამ გამონათქვამით დემოკრატიას კი არა, კაპიტალიზმს ამართლებდა. თანამედროვე დემოკრატია ხომ კაპიტალიზმის პირმშოა და მისი არსებობის ფორმა. სახელოვან ინგლისელს ვუმტკიცებდი, რომ შესაძლოა, მოიფიქროს კაცობრიობამ კაპიტალიზმზე უკეთესი რამ. მაშასადამე, დემოკრატიაზე, ახლანდელ დემოკრატიაზე უკეთესის მოფიქრებაც შეიძლება - ჭეშმარიტი დემოკრატიისა... უკვე ეს პოლემიკა ამეკვიატა. მთელი შვებულება პაექრობაში გავატარეთ მე და ინგლისელმა ლორდმა. მოსკოვში დაბრუნების წინ ჩემს ტვინში ჩამოყალიბდა აზრი... თუ რა ვუწოდო?.. თეორია, რომელსაც მე სოციალ-კაპიტალიზმი ვუწოდე. ესაა, ჩემი აზრით, კაპიტალიზმის და სოციალიზმის დადებითი მხარეების შერწყმა და ორივე ნაკლოვანებების უკუგდება.

ერთბაშად ბატონი არჩილი ჩემკენ გადმოიხარა და თითქმის კონფიდენციალური ტონით მითხრა:

- ომის შემდეგ იყო ორი მცდელობა... დიდი რეფორმების მცდელობები. ორივე რეფორმა ჩვენი თანამემამულეების სახეებს უკავშირდება. მე ვფიქრობ, მათ რაღაც იმის მსგავსი ჰქონდათ განზრახული, რასაც მე სოციალ-კაპიტალიზმს ვეძახი.

- ერთი რეფორმატორი, ალბათ, სტალინი იყო. მეორე? - მან არაფერი მიპასუხა და მე გამოცნობა ვცადე:

- ორჯონიკიძე? თუმცა იგი ომამდე დაიღუპა, აბა ვინ უნდა ყოფილიყო? - ჩარკვიანი? მჟავანაძე? შევარდნაძე?.. - ჩამოვთვალე ჩვენი ცეკას მდივნები.

- მგელაძე გამოგრჩათ.

- მგელაძე იყო მეორე რეფორმის ავტორი?

- არა, მე ეგ არ მითქვამს. მხოლოდ შეგახსენეთ, რომ ჩარკვიანსა და მჟავანაძეს შორის მგელაძე იყო ცოტა ხნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- აბა, ვინ იყო ის მეორე ქართველი?

- გეტყვით, ოღონდ ჯერ ის უნდა იცოდეთ, როგორ მესმის სოციალ-კაპიტალიზმი.

- გისმენთ, ბატონო არჩილ.

- ამაზე ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს.

- ვილაპარაკოთ, სხვა რა საქმე გვაქვს, - ვუთხარი, რადგან ვიცოდი, სურდა ამ თემაზე ლაპარაკი. მეც მაინტერესებდა.

- ძალიან ბევრია სალაპარაკო.

- არ ეყოფა ორი დღე და ერთნახევარი ღამე? უფრო ადრე ეს მატარებელი მაინც ვერ ჩაგვიყვანს მოსკოვში.

მან დაკვირვებით შემომხედა. იმის გარკვევა სურდა, გულწრფელი იყო ჩემი თხოვნა თუ მხოლოდ თავაზისთვის ნათქვამი. ჩემს გულწრფელობაში დარწმუნდა. ცოტა ხანს რაღაცას გაუშტერა თვალი. ეტყობა, ძნელ სათქმელს ალაგებდა გონებაში. ძალიან შორ და რთულ გზაზე დამდგარი კაცივით ამოიოხრა და თქვა:

●●●

- ბოლშევიკების მთავარი შეცდომა იყო ის, რომ მათ მარქსიზმიდან აიღეს... არა, უბრალოდ კი არ აიღეს - მე ასე ვიტყოდი - გააფეტიშეს ზედმეტი ღირსებების კანონი...

თანამოსაუბრემ სიტყვა გაწყვიტა. დაკვირვებით შემომხედა. მე, ცხადია, ვერ შევძელი, დამეფარა ჩემი დამოკიდებულება ამ "აღმოჩენისადმი".

- ვიცი, თემო, გულში გეცინებათ...

- რას ბრძანებთ, ბატონო არჩილ, დაცინვა არც მიფიქრია, მაგრამ...

- .... მაგრამ, - გამაწყვეტინა მან - ზედმეტი ღირსებების კანონი მარქსიზმის კვინტესენციაა, მისი ცენტრალური დებულება და, ასე ვთქვათ, ამოსავალი წერტილი, არა?

- თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ? - შეკითხვით ვუპასუხე.

- არა, მეც ასევე ვფიქრობ, მაგრამ მე იმასაც ვფიქრობ, რომ მარქსიზმი უტოპიაა. ლენინისა და სტალინის მთავარი შეცდომა სწორედ მარქსისა და ენგელსის ნააზრევის უცვლელად განხორციელების ცდაში მდგომარეობდა. უტოპია იმის უტოპიაა, რომ მისი განხორციელება არ შეიძლება.

- მაშ, თქვენი აზრით, ლენინი და სტალინი მარქსისტები არ უნდა გამხდარიყვნენ?

- თქვენ კვლავ გულში გეცინებათ, - თქვა ბატონმა არჩილმა: - მესმის თქვენი, მესმის, მაგრამ ყური მიგდეთ...

- დიდი ყურადღებით გისმენთ, ბატონო არჩილ.

- ლენინს და სტალინს ბევრი რამის აღება შეეძლოთ მარქსიზმიდან. მარქსიზმში ბევრი რამ არის დიდებული, განსაკუთრებით, ეთიკური იდეალი - იდეალი ყველა ადამიანის თანასწორობისა. მაგრამ მიღწევის ჭეშმარიტი გზა ვერ მიუთითეს მარქსმა და ენგელსმა. თუმცა, ამ თვალსაზრისითაც, ბევრი რამ საგულისხმო თქვეს. რაც შეეხება ზედმეტ ღირსებას, მარქსს იგი დასჭირდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მექანიზმის საჩვენებლად, მეცნიერულად საჩვენებლად! კიდევ იმისთვის დასჭირდა, რომ მიეთითებინა მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შერიგების შეუძლებლობაზე. მარქსი რევოლუციონერი იყო, ამის გარეშე კი მისი მოძღვრება არ იქნებოდა რევოლუციური. მაგრამ, დამეთანხმებით, ეს არის... - ბატონი არჩილი წამით შეუყოვნდა. ალბათ, საჭირო სიტყვას არჩევდა - ... ნონსენსი. დიახ, ნონსენსი, აბსურდი! სრული უაზრობა! მარქსი ამტკიცებს, რომ კაპიტალისტს მიაქვს რაღაც პროცენტი მუშის შრომიდან და ეს არის ჩაგვრა, ექსპულატაცია. ამგვარი ლოგიკით ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ, მაგალითად, მსახიობს ჩაგრავენ იმპრესარიო, პროდიუსერი, რეჟისორიც კი, რადგან სცენასა და ეკრანზე ჩანან მხოლოდ მსახიობები, მაყურებელი მხოლოდ მათ ხედავს. მაგრამ შეძლებენ მხოლოდ მსახიობები სპექტაკლის, ფილმის შექმნას. ამ საქმეს ხომ უშუალო შემსრულებელთა გარდა ორგანიზატორებიც სჭირდება! კაპიტალისტი არის წარმოების ორგანიზატორი. მხოლოდ ფიზიკური შრომით წარმოება როგორ შეიქმნება?! როგორ შეიძლება, ექსპლუატატორად, მუქთამჭამელად გამოცხადდება იმისი, ვინც წარმოების ორგანიზატორია, ვინც ქმნის საწარმოო ციკლს?! მე ვფიქრობ, ამ ნონსენსის გაცნობიერება ედო საფუძვლად ორივე რეფორმას.

- ბატონო არჩილ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ლეგიტიმურობის აღიარება გამოგდით უნებურად...

- რატომ უნებურად? ეს, ჩემი აზრით, საწარმოო ურთიერთობათა ბუნებრივი წესია. მე ვარ არა ამ წესის წინააღმდეგი, არამედ... როგორ ვთქვა... არამედ იმის, რომ მას ჰქონდეს უსაზღვრო, შემოუფარგლავი ხასიათი...

- გასაგებია, - ვთქვი მე - გამოსავალი სიმდიდრისთვის საზღვრის დადებაშია, სიმდიდრისკენ ადამიანის ლტოლვის შემოფარგვლაში. მაგრამ, დამეთანხმებით, ბევრმა დიადმა გონებამ ცადა, დაერწმუნებინა ადამიანები, გული მცირეს დაჯერო, მცირეს კი არა, საკმაოს, იმდენს, რამდენიც გჭირდებათო... არავის არაფერი გამოუვიდა. ასეთია კაცის ბუნება. კომუნისტებიც ამ გზას დაადგნენ და ამაშია, უდავოდ, მათი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი.

- კომუნისტებმა, - შემომეპასუხა თანამოსაუბრე, - როგორც იტყვიან, ნაბანს ბავშვი გადააყოლეს. მათ, პრაქტიკულად, სრულიად მოუსპეს ადამიანს უფლება ფლობისა და გამდიდრებისაც იმით, რასაც ფლობს. უფრო სწორად, რასაც უნდა ფლობდეს ადამიანი. კაპიტალიზმი კი მეორე უკიდურესობაა. იქ ფლობას, საკუთრებას არ უდევს არანაირი, არავითარი ზღვარი. როგორც სოციალიზმის მთავარი უბედურებაა ფლობის უფლების წართმევა ადამიანისთვის, ისე კაპიტალიზმის მთავარი უბედურება, ყველა დანარჩენი უბედურების საფუძველი, არის ფლობის უფლების აბსოლუტიზაცია, აბსოლუტურად განუსაზღვრელი ოდენობით ფლობის უფლების მინიჭება. დაფიქრდით, თემო, შეგიძლიათ, დაასახელოთ ადამიანური ყოფიერების თუნდაც ერთი სფერო, უფრო სწორად, თუნდაც ერთი ლტოლვა ადამიანისა, რომელსაც საზღვარი არ ჰქონდეს დადებული ისეთ მძლავრ ძალთაგან, ისეთ ავტორიტეტთაგან, როგორიცაა კანონი - ვგულისხმობ ყველანაირ კანონს: სისხლის სამართლისას, სამოქალაქო და ასე შემდეგ, - როგორიცაა რელიგია, როგორიცაა მორალი, ბოლოსდაბოლოს, როგორიცაა სინდის-ნამუსი? ერთადერთი ასეთი სფერო, ადამიანის ერთადერთი ლტოლვა, რომელსაც არანაირი საზღვარი არ უდევს - არც კონსტიტუციური, არც იურიდიული, არც ზნეობრივი - არის ფლობა, საკუთრების უფლება. კაპიტალისტურ სისტემაში, რასაკვირველია. საოცარია, რომ სხვა ყველაფერი იზღუდება, აბსოლუტურად ყველაფერი გარდა ამისა! მაგალითად, პოლიტიკური ძალაუფლება ყოველმხრივ განსაზღვრული და რეგლამენტირებულია. პრეზიდენტებსაც, მონარქებსაც დღეს უზუსტესად აქვთ მონიშნული სამოქმედო არე. გარდა ამისა, მთელი დასავლეთი დღეს აპირებს ამერიკის გზით წასვლას, ანუ ქვეყნის მეთაურისთვის მმართველობის ვადის განსაზღვრას. ამერიკაში ხომ არავის შეუძლია, იყოს პრეზიდენტი რვა წელზე მეტ ხანს. ამას არავინ აღიქვამს არც იმ ადამიანის უფლების დარღვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, ვისაც შეიძლება, მესამედაც სურს პრეზიდენტობა და საიმისოც არაფერი დაუშავებია, რომ ეს სურვილი მოუკლან. სხვათა შორის, არც ხალხის უფლებაზე ლაპარაკობს ვინმე. იმ ხალხისა, რომელსაც შეიძლება, ძალიან მოეწონა პრეზიდენტი და სურს კვლავ მისი ხელმძღვანელობით იცხოვროს. ვიღაცამ თქვა, აღარ მახსოვს... - დაფიქრდა ბატონი არჩილი. - თუ არ ვცდები, პოლ ვალერიმ თქვა: ხელისუფლება ხრწნის ადამიანს, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება აბსოლუტურად ხრწნისო. აი, ამიტომ უჭერენ ასე მჭიდროდ არტახებს დასავლეთში თავიანთ ხელისუფალთ. მაგრამ განა ფლობა, განუსაზღვრელი და უზომო ფლობა, არ ხრწნის?! რა თქმა უნდა, ხრწნის და ძალაუფლებაზე არანაკლებ! უფრო მეტადაც, ბევრად უფრო მეტად!

- ამაში არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ, - ვთქვი მე. - მაგრამ ფლობის, როგორც თქვენ ამბობთ, შემოფარგვლა და რეგლამენტირება, შეუძლებელი თუ არა, წარმოუდგენლად რთულია.

- ცდებით! - მტკიცედ მომიჭრა. - ამაში არაფერია არც შეუძლებელი და არც წარმოუდგენლად რთული და, სანამ საკუთრების უფლებას არ მოაქცევენ ჩარჩოებში, კაპიტალიზმი მუდამ დარჩება ბოროტებათა და უკუღმართობათა არენად.

- მე კაპიტალისტური სამყაროს მესვეურებს არ ვქომაგობ, - ვთქვი სიცილით, - მაგრამ, ჩემი აზრით, ეს, მართლაც, ძალიან ძნელი საქმეა. თქვენც ვერ უარყოფთ, რომ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს უსაზღვრო ლტოლვა ფლობისკენ.

- ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობის ძალაუფლებისკენ უსაზღვრო ლტოლვაც აქვს და აბსოლუტური მონარქების ეპოქაში ამ ლტოლვის ჩარჩოებში მოქცევაც წარმოუდგენელი ჩანდა. ოდესღაც, ისტორიის რომელიღაც ეტაპზე, ის დროც იყო, როცა არც ერთი ლტოლვა და მოთხოვნილება არ იზღუდებოდა. მაგრამ მერე და მერე ადამიანი მიხვდა - და ადამიანიც ამიტომ გახდა, - რომ არც ერთი ლტოლვის და შინაგანი მოთხოვნილებისადმი ბოლომდე მიყოლა, მინდობა არ შეიძლება. ამის შემდეგ შეიზღუდა ყველაფერი, ერთი ადამიანის მეორეზე მბრძანებლობით დაწყებული და სექსუალური სწრაფვით დამთავრებული. ადამიანი მიხვდა, რომ უზომოდ არ შეიძლება არც ჭამა, არც სმა. თვით უზომოდ დასვენებაც კი მავნეა. გიმეორებთ, თემო, შეიზღუდა აბსოლუტურად ყველა ლტოლვა, ფლობისკენ ლტოლვის გარდა. და ამ შეუზღუდაობის გარდაუვალმა შედეგმა - უკიდურესმა სიმახინჯეებმა და უკუღმართობამ - წარმოშვა მეორე უკიდურესობა, მარქსისტული უარყოფა ფლობისა. და მანაც, თავის მხრივ, რასაკვირველია, მოიყოლა სიმახინჯე, ბოროტება, უკუღმართობა.

- გასაგებია, ბატონო არჩილ, მაგრამ თქვენთვის უთუოდ არის ცნობილი, რომ კაპიტალისტურ სამყაროში საკმაოდ ენერგიულად ზღუდავენ მესაკუთრეს. მაგალითად, განსაკუთრებით დიდ შემოსავალზე გადასახადი ოთხმოცდაათ პროცენტს აღწევს და, თუ არ ვცდები, აჭარბებს კიდეც. ამას, მგონი პროგრესული დაბეგვრა ჰქვია. გარდა ამისა, არავის, თვით ყველაზე მდიდართაც კი, არ აქვთ უფლება, თავიანთი სიმდიდრის წყალობით მოიპოვონ სრული ბატონობა ამა თუ იმ სფეროში, ანუ არავის შეუძლია გახდეს მონოპოლისტი.

- გეთანხმებით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ, როგორც თქვენ თვითონ თქვით, ზღუდავენ მესაკუთრეს. მესაკუთრეს და არა საკუთრებას...

- მაპატიეთ, - შევაწყვეტინე მე, - მაგრამ ნამდვილად ვერ ვხედავ განსხვავებას.

- განსხვავება არის და ძალიან არსებითი, ძალიან პრინციპული. კოლოსალური განსხვავება! ერთია, როცა ზღუდავენ შემოსავალს! ამ შემთხვევაში კაცს, რომელსაც აქვს, შესაძლოა, უფრო მეტი ქონება, ვიდრე ზოგიერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებსაც კი, და აქვს კიდევ უფრო მეტის მოხვეჭის უფლებაც. პროგრესული დაბეგვრის გზით უზღუდავენ შემოსავლის ოდენობას. ასეთი შეზღუდვა საქმეს ვერ უშველის. საჭიროა, შეიზღუდოს თვით საკუთრება, ანუ შეიზღუდოს ფლობის მასშტაბები. შემოსავლის შეზღუდვა უფრო მეტად ამხეცებს მესაკუთრეს, მფლობელს. ის, მოგების აზარტში შესული, ეძებს ახალ სამფლობელოებს და ცოტა რამის წინაშე თუ იხევს უკან ანდა, საერთოდ, არაფრის წინაშე არ იხევს. აი, აქ არის "მეორე კაპიტალიზმის" ქვეყანათა დაქცევის მიზეზთამიზეზი. ისტორია გაიხსენეთ: "პირველი კაპიტალიზმის" ქვეყნები თავის დროზე დააშინა ოქტომბრის რევოლუციამ. პროგრესული დაბეგვრაც ამ შიშის პირმშოა; არ უნდოდათ, ენახათ თავიანთ ქვეყანაში აჯანყებული პროლეტარიატი, ამიტომ მას დაუდეს წილი თავიანთ მოგებაში. მაგრამ, ჯერ ერთი, მოგებაში და არა ქონებაში და, მეორეც, დანაკარგის კომპენსირების უზარმაზარ სივრცეს მიაკვლია "პირველმა კაპიტალიზმა" განუვითარებელი ქვეყნების, "მეორე კაპიტალიზმის" სახით.

- კოლონიზმი ხომ დაემხო, ბატონო არჩილ?

- ნეოკოლონიზმი უარესია! აქ თითქოს ყველაფერი ნებაყოფლობით ხდება. ნებაყოფლობით აღლეტინებენ დასავლეთს თავს ხალხები, მთავრობები, მთელი ქვეყნები და კონტინენტებიც კი. "მეორე კაპიტალიზმის" ქვეყნებში ერთი და იგივე მეთოდებით მუშაობს "პირველი კაპიტალიზმი": ეძლევა ამ ქვეყნების ვალი, რომელსაც ისინი ვერ იხდიან, და ექცევიან მონობაში. იძულებულნი არიან დაემორჩილონ კრედიტორის, "უფროსი მეგობრის" დიქტატს. დიახ, ასეა. ძველ ათენში ორიათას ხუთი წლის წინ პერიკლეს მიერ აკრძალული ვალისთვის მონობა დღეს არის საფუძველი და წარმმართველი პრინციპი "პირველი" და "მეორე კაპიტალიზმის" ურთიერთობებში. "უფროსი მეგობარი" მის მიერ დახვეწილი ბინძური საარჩევნო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფს თავისთვის საჭირო ხალხის მოსვლას ჩამორჩენილი ქვეყნების ხელისუფლებებში. მთელი სპეცსამსახურები მუშაობენ საჭირო ანუ კორუმპირებული ხალხის გამოსავლენად. ჩამორჩენილი ქვეყნების ჩინოვნიკთაგან შეცდომა დაუშვებელია. პატიოსან ხალხს არც ხელისუფლებაში, არც ბიზნესში გასაქანი არ უნდა მიეცეს - მხოლოდ საკუთარი ხალხის მძარცველებს, რომელთა ხელითაც უცხოური დიდი კაპიტალი ძარცვავს ამ ქვეყნებს... ამგვარად, უბედური ქვეყანა ვერასოდეს გაისტუმრებს ვალებს. მონობა სამუდამოდ აქვს გარანტირებული...

- ... და დიდი კაპიტალის ალაგმვით, რის საშუალებასაც ქონების შემოფარგვლა, დოზირება იძლევა, მოევლება ამ პრობლემას, არა?

- არამხოლოდ ამას. ფლობის უფლების განუსაზღვრელობაში სხვა ბევრი უბედურებაცაა. ეს "პირველი კაპიტალიზმის" ქვეყნებშიც იწვევს ქონებრივ და აქედან გამომდინარე, უფლებრივ პოლარიზაციას. საბოლოო ჯამში, თვით განვითარებულ ქვეყნებშიც ამგვარი ვითარება შექმნის რევოლუციურ სიტუაციას.

- ბატონო არჩილ, წეღან თქვენ თვითონ არ დახატეთ იდეალური ფერებით "პირველი კაპიტალიზმი?!"

- კიდევ ერთხელ გეუბნებით, იმ სამყაროს კეთილდღეობა ჩამორჩენილი ქვეყნების ძარცვაზეა დამყარებული. მეც, როგორც ყველა საბჭოთა მივლინებულს, შემეძლო მხოლოდ ფასადი დამენახა იმ სამყაროსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეც არ იყოს, სამოციანი წლების კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ იყო დღევანდელისებრი ყაჩაღური და აგრესიული. ფლობის უფლების განუსაზღვრელობამ სამოციანი წლებიდან ძალადობის - ასე ვთქვათ - ლეგიტიმაცია გამოიწვია. ძალადობისა აზროვნებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში და, მაშასადამე, ყოველდღიურ ქმედებაშიც, მათ შორის არამოტივირებული ძალადობისაც. აქ ლოგიკა მარტივია: თუ ძლიერთა ამაქვეყნისათა აქვთ უფლება, წავიდნენ ყველაფერზე თავიანთი სამფლობელოების გასაფართოვებლად, რიგითი მოქალაქეც აძლევს თავს ყველაფრის უფლებას. ძალადობა "პირველი კაპიტალიზმის" კოშმარული პრობლემაა. კოშმარული და არსებულ ვითარებაში აბსოლუტურად გადაულახავადი. როცა ადამიანს აქვს საშუალება, ფინანსური საშუალება, უსასრულოდ გაზარდოს თავისი ქონება, ანუ შემოსავალიც მისგან და, როცა ამას არ უკრძალავს არც კონსტიტუცია, არც კანონები, არც რელიგია, არც საზოგადოებრივი მორალი, ეს ადამიანი არ გაჩერდება. არ გაჩერდება არა მხოლოდ თავისი სიხარბის გამო, არამედ თუნდაც იმის შიშით, რომ ქონებას, რომელზეც იგი იტყვის უარს, სხვა დაეუფლება, ანუ სხვა გაძლიერდება და მერე ის სხვა, თავისი ძლიერების გამოყენებით, დაემუქრება იმის ქონებას, ვინც, ვთქვათ, ადამიანურ ზომიერების გამო, მეტ ქონებაზე უარი თქვა. ადამიანებს ხომ უფრო სხვისგან მოლოდინი აბოროტებს ვიდრე საკუთარი მიდრეკილება ავის ქმნისკენ. უარი თქვა. ერთი სიტყვით, დღევანდელი კაპიტალიზმის არსში დევს გარდაუვალობა მდიდართა უფრო გამდიდრების და ღარიბთა უფრო გაღარიბების.

ბატონი არჩილი კვლავ დაკვირვებით მომაჩერდა. ჩემს რეაქციას ელოდა. მე აღარაფერი მითქვამს.

- ალბათ, საქმის, ასე ვთქვათ, ტექნიკური მხარეც გაინტერესებთ, - თქვა მან. - ანუ როგორ უნდა მოხერხდეს პრაქტიკულად ქონების რეგლამენტირება.

- მაინტერესებს.

- მას აქეთ... სამოცდამეთხუთმეტის ზაფხულიდან... უკვე მეათე წელიწადი გამოდის, არა? ჩემს შეხედულებებს კი ოდნავი ცვლილებაც აღარ განუცდია. პოლიტიკურ შეხედულებებს ვგულისხმობ. უფრო ზუსტად, პოლიტეკონომიურს. მეტად და მეტად ვრწმუნდები, რომ არ ვცდები. ამ წლების მანძილზე მთელს მსოფლიოში ჩემი თვალით ხილული ამბები მარწმუნებს. უპირველესი, რაც თითქმის ათი წლის წინ დავასკვენი და რაც დღესაც ღრმად მწამს, არის ის, რომ ბოლშევიკები არ იმსახურებენ აბსოლუტურ კრიტიკას. მათი ბევრი ნაბიჯი არ არის დასაგმობი. ისინი ნამდვილად ოცნებობდნენ იმაზე, რომ მშრომელ ხალხს ეცხოვრა. ეცხოვრა! - დამიმარცვლა ბატონმა არჩილმა, - რადგან მშრომელ ხალხს მეოცე საუკუნემდე არასოდეს უცხოვრია. არსებობდა მხოლოდ! განსაკუთრებით, კაპიტალიზმის ეპოქაში! მართალი იყო ლენინი, აბსოლუტურად მართალი იყო, გადატრიალების გზით რომ აიღო ხელისუფლება! სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ძალაუფლების წართმევა ბურჟუაზიისთვის, რადგან... თუმცა უკვე მოგახსენეთ, რატომაც. არც სამოქალაქო ომის გაჩაღებაში არიან ბოლშევიკები დამნაშავენი. ყოველ შემთხვევაში, ის თოთხმეტი სახელმწიფო უფრო დამნაშავეა, რომლებმაც ინტერვენცია წამოიწყეს. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინიც, დარწმუნებული ვარ, სწორად მოქმედებდა. ლენინის გარდაცვალების მომენტისთვის პოლიტბიუროში, საერთოდ, ბოლშევიზმში, არსებობდა ოთხი იდეოლოგია... უფრო სწორად, - სამი; ზინოვიევ-კამენევის პლატფორმას არც კი შეიძლება პლატფორმა ეწოდოს. ეს იყო ქაოსი, აბსოლუტური უპრინციპობა, ქამელეონური ცვალებადობა მომენტის მიხედვით. პრინციპული ხაზი იყო სამი - ტროცკიზმი, სტალინიზმი, ბუხარინიზმი. ამათგან დასავლეთში დღეს ყველაზე დიდი სიმპათიით ბუხარინს იხსენებენ. მრავალი სტატია და მონოგრაფია იწერება. ერთი შეხედვით მართლაც, სიმპათიურად გამოიყურება ის, რასაც ბუხარინი ქადაგებდა. იგი ხომ ნეპის იდეოლოგი იყო. ნეპმა სული მოათქმევინა ორი საშინელი ომისგან ჯვარცმულ ხალხს. ხელმისაწვდომი გახდა პროდუქტი, ჩასაცმელ-დასახური, აღორძინება დაიწყო გართობის ინდუსტრიამ... მოკლედ, საამური ცხოვრების სიომ დაუბერა. სტალინმა კი ნეპი აღკვეთა ოციანი წლების ბოლოს, მეჩვიდმეტე ყრილობაზე. კვლავ გაჩნდა დეფიციტი, კვლავ გაუჭირდა ქვეყანას. ისინი, ვინც სტალინს ამტყუნებს, მალავენ, რა განსაცდელი უახლოვდებოდა მაშინ. წინ იყო ჯოჯოხეთური ომი. მოიგებდა იმ ომს ნეპი თავისი - რა ჰქვია იმას ქართულად? - "შირპოტრებით", დუქან-რესტორნებით, ვარიეტეებით, პარკების ესტრადებით და კარუსელებით?!.. იმ ომს ვერც ტროცკი მოიგებდა. ტროცკიზმს რომ გაჰყოლოდნენ ბოლშევიკები, ათ წელიწადსაც ვერ გაძლებდნენ ხელისუფლებაში; ტროცკიზმი არის მარადიული სამხედრო კომუნიზმი. ტროცკის სოციალისტური სახელმწიფო წარმოედგინა ერთ დიდ ყაზარმად... არა, ყაზარმადაც არა - საკონსტიტუციო ბანაკად, სადაც ხალხი მუშაობს, ჭამს და ძინავს. ადამიანებს უნდა სცმოდათ ერთნაირად, ეჭამათ ერთი და იგივე... სტალინმა ოქროს შუალედს მიაგნო. ტყუილად არ ამბობდა ლენინის მოწაფე ვარო. ლენინის ხაზი მან განაგრძო. დასავლეთსაც დაეწია ათზე ოდნავ მეტ წელიწადში და ხალხის ცხოვრებასაც აუმჯობესებდა თანდათან... მე მახსოვს ციფრები. ამ ციფრებს ნიადაგ ჩაგვჩიჩინებდა პროპაგანდა: ომის დროს ყოველწლიურად საბჭოთა კავშირი უშვებდა 30 000 ტანკს, თვითმფრინავს, ჯავშანტრანსპორტიორს, 120 000 ყველა კალიბრის იარაღს, 3 მილიონ ვინტოვკას... ბომბების, ნაღმების, ვაზნების რიცხვი აღარ მახსოვს. ეს ციფრებიც ფანტასტიკურია! წითელი არმიის სამხედრო შენაერთებს ჰქონდათ მომარაგების დიდი რეზერვი... შეძლებდა ამას ბუხარინი თავისი ნეპით! ტროცკიც ვერ შეძლებდა. ის საერთოდ შეაზიზღებდა ხალხს სოციალიზმს. მაგრამ ომის შემდეგ... ომის შემდეგ უკვე შეიძლებოდა ნამდვილად სახალხო წყობის დამყარება, სცადა კიდეც ეს სტალინმა, მაგრამ ვერ შეძლო იმის გაკეთება, რაც უნდა გაეკეთებინა. ალბათ, სიბერის გამო... ომის შემდეგ სტალინი აღარ იყო ძველი სტალინი. მან ველარ შეძლო იმის გაკეთება, რაც უნდა გაეკეთებინა...

- რა უნდა გაეკეთებინა?

- გიპასუხებთ. მესმის, რომ გაინტერესებთ. მაგრამ ჯერ იმაზე, - რატომ ვერ გააკეთა სტალინმა გასაკეთებელი, რა იყო ამის მიზეზი. ომის მერე სტალინი გატყდა, დაბერდა. ცხოვრება ძალზე მძიმე ჰქონდა გამოვლილი. ასაკმაც უწია. ორმოცდამეექვსე თუ ორმოცდამეშვიდე წლამდე თერთმეტი წლის მანძილზე არ დაუსვენია. მართალია, თვითონ თქვა ერთხელ, დაღლილობა მალე გაგივლის, თუ ერთ დღეს ან რამდენიმე საათს წაისვენებო, მაგრამ ეს არ არის ასე. ორგანიზმი ორგანიზმია. ეს ნამდვილად სტალინზე უკეთ ვიცი! - სიცილით თქვა ბატონმა არჩილმა. - ამაში მე, ბიოლოგი, მე, სტალინზე კომპეტენტური ვარ... როგორც ამბობენ, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში თუ ორმოციანთა ბოლოსაც კი სტალინს ორჯერ უთხოვია გადადგომა. რკინის კაცი იყო! ფსევდონიმად იმიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აირჩია სტალინი... თუმცა ამბობენ, "ჯუღა" ძველქართულად "ფოლადს" ნიშნავსო. მართალია? ეს თქვენ უფრო გეცოდინებათ, ფილოლოგს. ფოლადი ხომ სპარსული სიტყვაა.

ვუთხარი, რომ მართლაც ასეა.

- ფოლადიც ცვდება და იღლება. გამოთქმაც კი არსებობს მრეწველობაში - ლითონის დაღლა. კიდევ უფრო უარესი... ჰო, ალბათ, კიდევ უფრო უარესი სტალინისთვის იყო სიმარტოვე... ახალგაზრდა კაცი სიმარტოვეს მწვავედ არ გრძნობს, ხნიერისთვის კი საშინელებაა. სტალინი თითქოს საგანგებოდ დასაჯა ბედმა სიმარტოვით. ცოლი არ ჰყავდა. არც დედმამიშვილები ჰყავდა. რომ ჰყოლოდა, შეუმსუბუქებდნენ ხვედრს სიბერეში. წარმოუდგენელი რამ არის, მაგრამ არც ახლო ნათესავები ჰყავდა! მისი მშობლებიც, მგონი, დედისერთები იყვნენ, არა? - მკითხა და პასუხს დაელოდა.

-ვერ გეტყვით, - ვუპასუხე, - ისე კი, სტალინის ნათესავებზე არაფერი მსმენია.

- ჰო, მგონი, კეკეც და ბესოც დედისერთები იყვნენ. იმ მრავალშვილიანობის ეპოქაში ასეთი დამთხვევა, მართლაც, საოცრებაა! სამი უფროსი შვილი ჰყოლიათ. ისინი ჩვილობაში დახოცილან. მარტო სოსო შერჩათ. ნათესავები ეყოლებოდათ კეკეს და ბესოს, მაგრამ სტალინი მათგან მოწყვეტილი იყო, რადგან გორში გაიზარდა. გორში ხომ მისი დედაც და მამაც ჩამოსახლებულნი იყვნენ. დედის ნათესავები ხევში ჰყავდა, მამისა კახეთში. ალბათ, იცნობდა მათ, მაგრამ ნათესაობა მაშინ არის ნათესაობა, როცა კონტაქტია ხშირი. შვილები უვარგისი გამოუვიდა. ბიჭი ლოთი, გოგო უარესი. კარგი შვილი კი დაეღუპა. მეგობრებსაც მოსწყდა; მეგობრობას მოწიფული ასაკის ხალხი ვეღარ ამყარებს. მეგობრობა მხოლოდ ბავშვობიდან ან სიყრმიდან, სიჭაბუკიდან მოდის... ამ ყველაფერმა იმოქმედა, ალბათ, სიბერეში. ომის შემდეგ სტალინი აღარსად დადიოდა, თუ არ ჩავთვლით, საშვიდნოემბრო და საპირველმაისო საზეიმო კონცერტებს. აღარც მემუარებში, მის ახლოს მოტრიალე ხალხის მემუარებში, ჩანს ომის შემდეგ. ომის დროინდელ და ომამდელ სტალინზე კი რამდენი მოგონებაა!.. სიბერე ხომ ბავშვობასავითაა და სტალინს ბოლო წლებში გაუტკბა ფერება, ხოტბა. ომამდე ბევრჯერ უთქვამს, ყურს მჭრის ამხანაგ სტალინის ქება-დიდება, უხერხულიაო. თავისი ბავშვობისადმი მიძღვნილი წიგნიც კი დააწვევინა, გმირის და ბრბოს თეორია ესერულია და არა ბოლშევიკურიო. მაგრამ მისი სამოცდაათი წლის იუბილის შემდეგ "პრავდაში" ორ თუ სამ თვეს იბეჭდებოდა მილოცვები. "მარქსიზმის და ენათმეცნიერების საკითხებს" აბსოლუტურად ყველა მეცნიერებას არგებდნენ ჩემი ბიოლოგიის ჩათვლით... ამას აღარ აპროტესტებდა. სიამოვნებდა! თუმცა ხოტბა ღმერთსაც სიამოვნებს. ღმერთიც მოითხოვს ხოტბას და ემუქრება ურჩებს. ამ სტალინმაც კი შეძლო სასწაულის მოხდენა - ქვეყანა ააღორძინა ომის შემდეგ. მაგრამ ეს აღარ იყო ძველი სტალინი. ეს იყო ბებერი, გადაღლილი, პირად ცხოვრებაში ძალიან უიღბლო, მარტოსული კაცი.

- ბატონო არჩილ, პირდაპირ გკითხავთ, თქვენ როგორ იმოქმედებდით სტალინის ადგილას?

- სტალინს სხვა გზა არ ჰქონდა ომამდე და, მითუმეტეს, ომის პერიოდში. მას უნდა ემოქმედა ისე, როგორც მოქმედებდა...

- გასაგებია, მაგრამ ომის შემდეგ?

- ომის შემდგომ სულ სხვა ვითარება შეიქმნა. მაგრამ, საუბედუროდ, თვითონ სტალინი აღარ იყო ძველი სტალინი...

- ეგეც გასაგებია. მაგრამ რომ ყოფილიყო?..

- რომ ყოფილიყო... რა ვიცი, რას იზამდა... - გამაწყვეტინა ბატონმა არჩილმა. - მე კი ვფიქრობ, რომ...

- სწორედ ეგ მაინტერესებს, თქვენ როგორ იმოქმედებდით ბელადის ადგილას?

- ომის შემდგომ საბჭოთა რეჟიმის აპოგეის ხანა დადგა. ეს პირველი. - თქვა და მარჯვენა საჩვენებელი თითით მარცხენა ნეკი მოკეცა. - გარეშე მტერი აღარ იყო საშიში. ეს მეორე. - მარცხენა არათითიც მოკეცა. - საბჭოთა კავშირს ვეღარავინ გაუბედავდა თავდასხმას. შემდეგ: აღარც შინაური მტერი იყო საშიში. მოსახლეობა პრაქტიკულად ერთსულოვნად უჭერდა მხარს ბოლშევიკებს. - შუა თითიც მოკეცა. - ბოლშევიკებს უკვე ჰქონდათ და ეს უაღრესად არსებითია - ქვეყნის, ხალხის მართვის კოლოსალური გამოცდილება. - მოკეცა მარცხენა საჩვენებელი თითიც. მერე ყველა თითი გაშალა და მარცხენა მტევანი ხმაურით დაარტყა მაგიდას. - უკვე შეიძლებოდა კერძო საკუთრების დაშვება. ზომიერად, რა თქმა უნდა, ზომიერად! შეიძლებოდა ეკონომიკის ლიბერალიზებაც. მმართველობის ლიბერალიზებაც შეიძლებოდა - მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლას ვგულისხმობ... შეიძლებოდა, თქვენ წარმოიდგინეთ!

- ამის წარმოდგენა მართლაც ძნელია, - თავი ვერ შევიკავე რეპლიკისგან. - ამის წარმოდგენა არის - ბოდიში ტავტოლოგიისთვის - წარმოუდგენელი!

ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდა, რადგან თვითონაც ხმამაღლა, მტკიცე ტონით ლაპარაკობდა. იგი რამდენიმე წამს დადუმდა. მერე ძალიან წყნარად განაგრძო.

- კარგი, კარგი. ეს თქვენი აზრია. მე სხვაგვარად ვფიქრობ. მრეწველობაშიც, სოფლის მეურნეობაშიც, მომსახურების სფეროშიც შეიძლებოდა დოზირებული კერძო საკუთრების დაშვება, საბაზრო ეკონომიკის დაშვებაც შეიძლებოდა, მრავალპარტიულობისაც...

- ...და მივიღებდით ჩვეულებრივ კაპიტალიზმს, რომელიც თქვენ ასერიგად არ მოგწონთ!

რეპლიკა კვლავ ხმამაღალი გამომივიდა, რისთვისაც მოვიბოდიშე. ბატონ არჩილს პირველად შევატყვე გაღიზიანება. თვალები აუკიაფდა. კვლავ მტკიცე ტონზე გადავიდა.

- თქვენ მეპაექრებით იმაზე, რაზეც მე ათი წელია ვფიქრობ, და რაზეც თქვენ, ბატონო თემურ, არასოდეს გიფიქრიათ. თანაც აზრის დამთავრების საშუალებას არ მაძლევთ!.. სხვათა შორის, ორივე რეფორმა ითვალისწინებდა იმ ცვლილებებს, რაც თქვენ წარმოუდგენელი გგონიათ.

მისი გაცხარების ჩასაცხრობად, მორჩილად ავწიე ორივე ხელი და, რაც შეიძლებოდა, მოკრძალებით გავუღიმე.

- ბოდიში, ბოდიში, აღარ გაგაწყვეტინებთ.

- რა არის ამაში შეუძლებელი? - თქვა ძალიან წყნარად და თითქმის დამარცვლით. - დავიწყოთ სოფლის მეურნეობით. იმიტომ დავიწყოთ სოფლის მეურნეობიდან, რომ ყველაზე თავგადაკლული სტალინისტებიც კი აღიარებენ, - სოფლის მეურნეობა იყო სტალინის პოლიტიკის ყველაზე სუსტი მხარე, აქილევსის ქუსლი. ომამდე კოლმეურნეობებს ჰქონდა გამართლება. იმხანად, მართლაც, იყო საფრთხე კულაკების გადაქცევისა ლატიფუნდისტებად, მთელი მიწების თითოოროლა კაცის ხელში მოქცევისა. მითუმეტეს, რომ ამას ყველანაირად შეუწყობდნენ ხელს გარეშე ძალები, კაპიტალიზმი. ფულითაც შეუწყობდნენ და სხვაგვარადაც. მოკლედ, ომამდე, როცა სახელმწიფოც ჯერ კიდევ სუსტი იყო, ბურჟუაზიული რევანშის საფრთხე არსებობდა. კოლმეურნეობებს ამართლებდა - ომამდე ამართლებდა! - ღარიბი გლეხობის განწყობაც: რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუცია ახალი მომხდარი იყო და სუფევდა საოცარი ენთუზიაზმი. უამრავი ადამიანი მზად იყო, სრულიად უგასამრჯელოდ ეშრომა. მაგრამ ომის შემდეგ სულ სხვა ვითარება შეიქმნა. საბჭოთა ზესახელმწიფოს აღარავისი და აღარაფრისა ეშინოდა. პირიქით. ენთუზიაზმიც, ბუნებრივია, ჩაცხრა. ხალხს ამდენი ომისა და უბედურების შემდეგ მოუნდა ნორმალურად ცხოვრება. ამ მომენტიდან უკვე შეიძლებოდა, და დღესაც, ოთხმოციან წლებში შეიძლება მაგალითად, მიწის დარიგება. ბევრის არა. ვთქვათ, კომლზე თითო ჰექტრის. მაგრამ ამავე დროს შეიძლებოდა, გლეხისთვის მიეცათ იმისა საშუალებაც, რომ შეესყიდა მიწა. კერძო საკუთრებაში კი არა, იჯარას ვგულისხმობ, უფრო სწორად, სამუდამო მფლობელობას, მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. როგორც დღეს არის. ვფიქრობ, სტალინს და ბერის აქეთ მიჰყავთ საქმე... კი არ ვფიქრობ, დარწუნებული ვარ. თქვენც დარწმუნდებით, როცა ფაქტებს გეტყვით... თუმცა ორმოცდაათი ჰექტარი, რა თქმა უნდა, პირობითი ოდენობით. ალბათ, შეიძლება, ასიც მიეცა გლეხისთვის. კონკრეტული ციფრები სპეციალისტებმა და ექსპერტებმა უნდა დაადგინონ - იურისტებმა, ეკონომისტებმა, აგრონომებმა. თან მიწასაც გააჩნია, კახეთში თუ ორმოცდაათი ჰექტრის უფლებას მისცემ, ზემო იმერეთში სულ ცოტა სამოცი-სამოცდაათი ჰექტარი უნდა დაიშვას. მაღალმთიანეთში, ალბათ, უფრო მეტიც. ამით სამუდამოდ გადაიჭრებოდა სურსათის პრობლემა.

როგორც ბიოლოგს, - განაგრძო ბატონმა არჩილმა, - მქონია საუბარი ამ თემაზე კოლეგებთან. სოფლის მეურნეობა ხომ ჩვენი სფეროა. ყველა კოლეგა ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: ორმოცდაათ ჰექტარს რომ მისცემ, მერე კიდევ ასი და ათასი მოუნდებაო... მოუნდება და ნუ მისცემ! რისთვის არსებობს კანონი, კონსტიტუცია, იდეოლოგია, პროპაგანდა... ბოლოსდაბოლოს, სახელმწიფოც იმისთვის არ არსებობს, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობები დაარეგულიროს! რაკი ერთის მეტისმეტად გამდიდრება იწვევს მეორის მეტად გაუბედურებას და საბოლოო ჯამში ორივე უბედურდება, ორივეს სისხლი იღვრება, განა შეუძლებელია, დაარწმუნო კაცი, რომ მისი ქონება რაღაც ზომას არ უნდა გადასცდეს?! უბედურების და სისხლისღვრის შიშით დასავლეთში არ იხდის ზოგი თავისი მოგებიდან ოთხმოცდაათ და უფრო მეტ პროცენტიან გადასახადს! მაგრამ ეს დანაკარგი მას კიდევ უფრო მეტ ქონებაზე აქეზებს. რადგან ქონების ოდენობა არ არის გადაჭრით განსაზღვრული. აქ, საბჭოთა კავშირში კი სტალინსაც შეეძლო და დღესაც შეუძლიათ, ჭკუა რომ ჰქონდეს ახლანდელ ხელისუფლებას, განსაზღვრონ თვით ქონება. ბოლოსდაბოლოს, პატარა ქონებაა ორმოცდაათი ჰექტარი?! ამ ფართობზე კახეთში შეგიძლია მოიყვანო სამას ორმოცდაათი ტონა ყურძენი, ანუ ორასი ტონა ღვინო. თითო ლიტრი ღვინიდან თითო მანეთი რომ დარჩეს მესაკუთრეს, რამდენი გამოდის!.. მაინც მეუბნებიან კაცს უფრო და უფრო მეტი უნდაო. კაცის გულიაო ასეთი. კაცის გული მარტო ქონებით კი არა, სუყველაფრით გაუმაძღარია, თუ ვერ შეძლო თავის მოთოკვა. ქალებით ძღება კაცის გული?! - ამიტომ გვეუბნება რუსთაველი: გული ერთსა დააჯერეო! ამას გვეუბნება რელიგიაც, მორალიც, ტრადიციაც, კანონიც, კონსტიტუციაც! კაცი ვერც ღვინით გაძღება, თუ აჰყვა სმას. რაც მეტს დალევს, მით უფრო მეტი მოუნდება. ეს არის ალკოჰოლიზმი, სხვა კი არაფერი!.. ამიტომ გონიერმა კაცმა უნდა გაიგოს, რომ ქონებაშიც, საკუთრების ფლობაშიც, როგორც სხვა ყველაფერში, არის ზღვარი. ეს უნდა უქადაგოს ზნეობამაც, საზოგადო აზრმაც, კანონმა კი ფლობის ფარგლები მკაფიოდ უნდა შემოუსაზღვროს. მეუბნებიან, ქონების განსაზღვრა მაინც ვერ ჯდება კაცის ბუნებაში. მაგრამ ქონების განსაზღვრა სულაც არ ნიშნავს შემოსავლის განსაზღვრას. ადამიანს ხომ შემოსავალი აინტერესებს და არა ქონება. უფრო სწორად, ქონება აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის შემოსავალს იძლევა. ჩემს თეორიაში... - უცებ ბატონ არჩილს გაეცინა. - როგორ მოგწონთ, ჩემს თეორიაზე რომ დავიწყე ლაპარაკი!.. მოკლედ, ჩემია თუ სხვისი, ეს თეორია სრულებითაც არ ყინავს რომელიღაც ერთ წერტილზე შემოსავალს. ერთსა და იმავე ფართზე, ჯერ ერთი, ბევრიც შეიძლება მოიყვანო და ცოტაც. მაგრამ მთავარი მაინც ხარისხის დონეა. ერთი ბოთლი ღვინო შეიძლება ერთი დოლარიც ღირდეს და ხუთასი დოლარიც! მეტიც! თუ გლეხს უკვე აქვს ორმოცდაათი ან ასი ჰექტარი და მეტი ფართის დაპატრონება აღარ შეუძლია, ისე მოუაროს ვენახს, ისეთი ჯიშის ვაზი გამოიყვანოს, ისეთი ღვინო დაწუროს, რომ ზღაპრულ ფასად გაეყიდოს. ჩემი თეორია, - კვლავ ჩაეცინა ჩემს თანამოსაუბრეს, - გამორიცხავს ფასების სახელმწიფო რეგულირებას. ფასი ბაზარმა უნდა დაარეგულიროს. ესე იგი, გაჩნდება ხარისხზე ზრუნვის კოლოსალური მოტივაცია. კაპიტალიზმშიც არის მოტივაცია, კონკურენტული გარემოს წყალობით, მაგრამ იქ შემოსავლის მთავარი და უფრო საიმედო გარანტი არის არა ხარისხიანობა, არამედ მეტი ქონების მოხვეჭა. ამგვარად რომ არ იყოს, დღეს კაცობრიობა ცივილიზაციის შეუდარებლად უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა; ცივილიზაციის, საერთოდ, პროგრესის დონეს ხომ ხარისხი განსაზღვრავს, ანუ ხარისხი იმისა, რაც ადამიანის შრომით იქმნება. ამ თვალსაზრისით, ის, რასაც მე ვამბობ, ბევრად ჯობს კაპიტალიზმს. სოციალიზმზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს!

მსჯელობა გაწყვიტა და შევატყვე, რაღაც უნდოდა, ეთქვა ჩემთვის. ალბათ, შეკითხვას აპირებდა, რას იტყვი, როგორ შეაფასებ ჩემს თეორიასო, მაგრამ გადაიფიქრა, გაჩუმდა. მე ვთქვი:

- მართლა ბევრი გიფიქრიათ ამ საკითხზე. მე სოფლის მეურნეობას ცუდად ვიცნობ. ცუდად კი არა, არ ვიცნობ. არასოდეს მიფიქრია...

- ამ აზრთან შეპაექრება ძნელია, თუმცა მე ვფიქრობ, ძნელი კი არა, შეუძლებელია, - თქვა ბატონმა არჩილმა. - მარქსისტებისთვის ეს მიუღებელი იმიტომ არის, რომ ას ჰექტარ მიწას, ცხადია, ერთი კომლი ვერ დაამუშავებს. მესაკუთრემ უნდა დაიქირაოს მუშახელი. მაშასადამე, გაჩნდება ზედმეტი ღირებულება. ეს კი უბედურებად მიაჩნიათ კომუნისტებს, თუმცა სრულიად ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა შრომით ურთიერთობებში. ეს უკვე ვთქვი. გარდა ამისა, მარქსისტულმა უტოპიამ კომუნისტები მიიყვანა ერთ იდეა ფიქსამდე. ვგულისხმობ, აბსოლუტურად ყველა ადამიანის აბსოლუტურად თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების მცდელობას. იურისტებმა და სოციოლოგებმა იციან, რომ ქვეყნისთვის იდეალური ვითარებაა, როცა საზოგადოებრივად სასარგებლოდ შრომობს მოსახლეობის სამოცდაათი პროცენტი. უფრო მაღალი პროცენტის მიღწევა თითქმის შეუძლებლია. ყველა საზოგადოებაში და ერში იბადება უკურნებელი უქნარაც, შრომისუუნაროც, სხვისი ნაშრომის მძარცველნი და გამანადგურებელნიც. კომუნისტებმა კი ასპროცენტიანი მაჩვენებლის მიღება მოინდომეს. იმ თეორიით, რომელსაც მე გიქადაგებთ, თემო, სოფელში მდიდარიც იქნება და ღარიბიც. არა, ღარიბი კი არა, - არამდიდარი. კუთვნილი ერთი ჰექტარიც რომ გაყიდოს კაცმა, საკარმიდამოთი და დღიური მუშაობით გაიტანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს, ზოგი რენტით იცხოვრებს. ბევრი, ბუნებრივია, ქალაქად წავა. ალბათ, კოოპერატივებიც შეიქმნება. ოღონდ კოოპერატივი კოლმეურნეობასავით თავსმოხვეული არ უნდა იყოს. კომუნისტებს აშინებთ მიწაზე საკუთრებაც. ჩემი აზრით, თუ საკუთრების ფართი მკაფიოდ განისაზღვრა, არც ამაშია რამე საგანგაშო.

- სოფლად შედარებით იოლია ქონების განსაზღვრა, - ვთქვი მე, - მიუზომავ მიწას და მორჩა. მაგრამ მრეწველობაში?..

- არც მრეწველობაშია, ჩემი აზრით, დიდი სირთულე. მიეცეს მეწარმეს უფლება, რომ დაიქირაოს, ვთქვათ, ასი მუშა. ხომ შევთანხმდით, რომ ზედმეტი ღირებულების არ გვეშინია. დაიქირაოს ასი მუშა - ყველა ციფრი, ვიმეორებ, პირობითია, ზუსტი ოდენობა სპეციალისტებმა უნდა განსაზღვრონ; იურისტების და ეკონომისტების გარდა, ცალკეული დარგების ექსპერტებმა, საწარმოს პროფილის გათვალისწინებით, - დაიქირაოს და იმუშაოს მეწარმემ თავისი მუშებით. მაგრამ თუ საქმის გაფართოებას მოინდომებს, სახელმწიფომ უნდა ჩაიყენოს წილში. ორასკაციანი საწარმოდან აქციათა, ვთქვათ, ათი პროცენტი სახელმწიფოს გადაეცემა, სამასკაციანიდან ოცი და ასე შემდეგ. თუ საწარმოში მუშახელის რიცხვი ათასს გადასცდა, აქციათა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს უნდა გადაეცეს. ათას კაცამდე კერძო ხელში დარჩება საკონტროლო პაკეტი. ამ პირობებში აუცილებლად იარსებებს საწარმოს გაზრდის სტიმული; ასკაციანი საწარმოს ერთპიროვნულ მფლობელს ეცოდინება, რომ თუ ათჯერ გაზრდის მუშახელის ოდენობას, ვალდებული იქნება, აქციათა ნახევარი, ანუ შემოსავლის ნახევარიც სახელმწიფოს დაუთმოს, მაგრამ მარქსისტებმა ხომ მშვენივრად იციან რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლის ფილოსოფიური კანონი. მუშათა რიცხვის ათჯერ გაზრდით შრომის ნაყოფიერება და ხარისხი შეიძლება ორმოცდაათჯერ გაიზარდოს. მაშასადამე, სახელმწიფოს სანახევრო მოწილეობის პირობებში, მეწარმის მოგება ოცდახუთჯერ გაიზრდება. მაგრამ მეწარმეს კიდევ უფრო მეტი საშუალებაც უნდა მიეცეს. მას უნდა ჰქონდეს უფლება ასკაციანი საწარმოს ერთპიროვნულად ფლობისა ან ათასკაციანზე საკონტროლო პაკეტის ფლობის ზემოთაც შეიძინოს აქციები, სხვა საწარმოს აქციები. ცხადია, არა მეპატრონის, არამედ მოწილის უფლებით. საწარმოები, სადაც ათას კაცზე მეტია, სახელმწიფოს საკუთრება იქნება. ვგულისხმობ საკონტროლო პაკეტის ფლობას სახელმწიფოსგან. მაგრამ აქციები სახელმწიფო საწარმოში უნდა ჰქონდეს კერძო პირს, ოღონდ განსაზღვრული ოდენობით. ვთქვათ, მხოლოდ იმდენი აქცია, რომ ორი ათასი სამი ათასი, ან, მაქსიმუმ, ოთხი ათასი მუშახელის შრომიდან მიიღოს ზედმეტი ღირებულება. მოკლედ, ერთ პირს შეეძლება, მაქსიმუმ, ხუთი ათასამდე მუშახელის შრომისგან ისარგებლოს - ასამდე ერთპიროვნულად დაასაქმოს ან ათასამდე ამუშაოს საწარმოში, სადაც ფლობს საკონტროლო პაკეტს, და კიდევ, ვთქვათ, ორი-სამი ათასი კაცი სახელმწიფო საწარმოში ამუშაოს თავის მოგებაზე. ციფრები, კვლავ შეგახსენებთ, პირობითია. მე პრინციპზე მაქვს ლაპარაკი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კაცს, თუ კარგადააწყო საქმიანობა და კარგი საწარმოს მოწილეც გახდა, დიდი სიმდიდრის დაგროვება შეეძლება. ოღონდ ეცოდინება, რომ მის ქონებას, საკუთრებას აქვს რაღაც ზღვარი, რომ არ შეიძლება, ათობით და ასობით ათასი კაცი ამუშაოს თავისი თავისთვის. არ შეიძლება, გიგანტური ქარხნის, მითუმეტეს, ქარხნების ფლობა. გიგანტები - სახელმწიფოს. კერძო მოწილეთა ყოლა სახელმწიფო საწარმოსაც მისცემს სტიმულს. აქციონერი ხომ არ მოითმენს დივიდენდების მიუღებლობას. მისთვის ხომ სულ ერთი არ არის, თავის აქციათა პაკეტზე ას მანეთს მიიღებს თუ ასი ათასს. ამიტომ არ მოითმენს საწარმოს მუშაობას ისე, როგორც საბჭოთა საწარმოების უმრავლესობა მუშაობს. მართალია, სახელმწიფო საწარმოში ქარხნის ხელმძღვანელობა სახელმწიფოსგანვე იქნება დანიშნული, მაგრამ აქციონერებსაც ხომ ეთქმებათ სიტყვა. ისინი არ აიტანენ უხეირო დირექტორს, მთავარ ინჟინერს და ასე შემდეგ. საბაზრო კონკურენციის პირობებში საწარმოს თვითგადარჩენის ინსტინქტიც გამოუმუშავდება. კერძო აქციონირება სახელმწიფო საწარმოს განვითარების ბერკეტია. გადაკვეთილი ხელფასი და ის არაფრისმთქმელი პრემია, ახლა რომ იღებს მუშა, არაფრის სტიმულატორი არ არის. ამას მიხვდნენ ჩვენი თანამემამულეები, იმ რეფორმათა ავტორებს ვგულისხმობ.

- მაგრამ ამ პირობებში, - ვთქვი მე, - თქვენ უნდა დაუშვათ გაკოტრების გარდაუვალობა და, აქედან გამომდინარე, უმუშევრობაც.

- რა თქმა უნდა! ვერც ერთი წყობა ვერ მისცემს აბსოლუტურად ყველა ადამიანს წარმატების სრულ გარანტიას. ვიღაცას არ გაუმართლებს ან თვითონ არ გაირჯება, როგორც საჭიროა. ხომ გითხარით უკვე, რომ სისულელეა მარქსისტული სწრაფვა აბსოლუტურად ყველა ადამიანის აბსოლუტურად გათანაბრებისკენ. უმუშევარი მიიღებს შემწეობას, რომლითაც შეძლებს, იარსებოს. ზოგ ადამიანს მეტი არც არაფერი სურს - ჰქონდეს საჭმელი, უბრალო ჩასაცმელი, სიგარეტის ფული, წამოწვეს ტახტზე და უცქიროს ტელევიზორს. ასეთი ადამიანებიც იბადებიან, ღმერთი აჩენს ასეთ ხალხს და პოლიტიკოსები ვერ გარდაქმნიან. მთავარი ის არის, რომ, რასაც მე გიქადაგებთ ამდენი ხანია, ჰქმნის კაპიტალიზმის და სოციალიზმის ცუდ მხარეთა უარყოფის და ორივე კარგი მხარეების შერწყმის პირობებს. სოციალიზმში არ არის შრომის საბოლოო შედეგით დაინტერესება, მაგრამ, როცა კაცი ფლობს საწარმოს ერთპიროვნულად ან საკონტროლო პაკეტით, ან თუნდაც მოწილეა მისი, შეიძლება, ის არ იყოს დაინტერესებული საბოლოო შედეგით? გამორიცხულია, არა? იქნება საწარმოს გაფართოების სტიმულიც და დიდ საწარმოთა ეფექტურად ფუნქციონირებისაც. ამავე დროს, სოციალიზმის სიკეთეებიც შეიძლება შენარჩუნდეს, რადგან მთავარი მეწარმე, მთავარი მესაკუთრე იქნება სახელმწიფო. მთავარი სიმდიდრეც მის ხელში იქნება და შენარჩუნდება უფასო განათლება, მედიცინა, თითქმის უფასო კომუნალური მომსახურება... ამგვარი სისტემა მრეწველობაშიც, სოფლის მეურნეობის მსგავსად, ხარისხობრიობის უდიდესი სტიმულატორი იქნება. მეწარმეს არ შეეძლება თავისი ქონების უსაზღვროდ გაზრდა, მაგრამ შეეძლება საწარმოს უსაზღვროდ სრულყოფა ხარისხობრივად. ბოთლი ღვინისა არ იყოს, ავეჯის, ფეხსაცმლის, ყველაფრის ფასსაც ხომ უზარმაზარი ამპლიტუდა აქვს. დასავლეთში არის ფეხსაცმელი, რომელიც დოლარიც კი არ ღირს და არის ფეხსაცმელი, რომლის ფასი ათასს დოლარს სჭარბობს. ეს ყოველგვარ ნაწარმს შეეხება, მოგეხსენებათ. მილიონერი გახდება არა ის, ვინც ყველაზე მეტ ქონებას ფლობს, არამედ ვინც ყველაზე უკეთ მუშაობს. ქონებრივად ადამიანებს შორის აღარ იქნება ისეთი დისპროპორცია, როგორსაც დღეს უშვებს კაპიტალიზმი. და ეს იქნება სამართლიანი მდგომარეობა. უფრო ზუსტად, ბუნებრივი მდგომარეობა. როგორც კომუნისტური ნიველირება და გასაშუალოებაა არაბუნებრივი რამ, ისე არაბუნებრივია, სიმახინჯეა, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის ერთი პროცენტი სიმდიდრის ორმოც პროცენტს ფლობს და ორმოცდაათი პროცენტი იმავე მოსახლეობისა ორიოდ პროცენტს. კაპიტალიზმში სწორედ ასეთი ვითარებაა. ... ჰო, არ დამავიწყდეს. საკუთრების სხვა ფორმებზეც თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს ეს პრინციპი. მაგალითად, მომსახურების სფეროზე. ვთქვათ, სასტუმროს მფლობელსაც ერთპიროვნულ მფლობელობაში ეყოლება ასკაციანი კოლექტივი. თუ გაზრდის დაქირავებულთა რიცხვს, სახელმწიფოს ჩააყენებს თანდათანობით წილში. ათას კაცს ზემოთ კიდევ შეეძლება აქციების შეძენა, ოღონდ არა ფლობის უფლებით. რაც შეეხება უძრავ ქონებას, საკუთრების ამ შემთხვევაში განისაზღვრება ოდენობის ზღვარი, მაგალითად, სახლების გამქირავებელს განესაზღვრება ფართის მაქსიმალური ოდენობა. ორივე ამ სფეროში იარსებებს შემოსავლის გაზრდის დიდი საშუალება, ოღონდ არა ქონების უსაზღვროდ ზრდის, არამედ მომსახურების სრულყოფის გზით; რაც უფრო მეტ კომფორტს შექმნის სასტუმროს პატრონი ან რაც უფრო უკეთეს მდგომარეობაში იქონიებს ბინებს მათი მფლობელი, შემოსავალიც ხომ მეტი ექნებათ. მათ არ მიეცემათ მხოლოდ იმის საშუალება, რომ შექმნან ისეთი იმპერიები თავიანთი საკუთრებისგან, როგორც დასავლეთში აქვთ ერთეულებს.

არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ, ჩემი აზრით, იმაში, რასაც მე ვამბობ, არაფერია უტოპიური. ჩვენს სისტემაში, სოციალიზმს ვგულისხმობ, ათასგზის უფრო იოლი განსახორციელებელია ასეთი რეფორმა, ვიდრე კაპიტალიზმში. იქ ხალხს - ძალზე მცირე ნაწილს ხალხისა, მაგრამ მაინც გარკვეულ ნაწილს - უკვე აქვს დაგროვილი კოლოსალური ოდენობის საკუთრება. ჩვენში ეს პრობლემა არ არსებობს. ჩვენში საჭიროა მხოლოდ იმგვარ პოლიტკურ ლიდერთა გამოჩენა, ვინც აღარ იაზროვნებს ძველებურად, ვინც მიხვდება, რომ ახლანდელი სისტემა, აღარ ამართლებს, რომ საჭიროა მოდერნიზება.

- დასავლეთში? - ვკითხე მე, - რეალურია იქ თქვენი თეორიის განხორციელება?

- რაელობა ის არის, რომ დასავლეთში ამგვარი რეფორმა ხელს შეიძლება არ აძლევდეს, ალბათ, მხოლოდ ერთ-ორ პროცენტს, ყველაზე მდიდრებს...

-... ყველაზე მდიდრებს და, მაშასადამე, ყველაზე ძლიერებს, - ვთქვი მე. - ყველაზე გავლენიანებს, ყველაზე დიდი პოლიტიკური ძალის მქონეთ.

- ეგ სიმართლეა. მაგრამ ესეც გაითვალისწინეთ, რომ ლაპარაკი არ არის ექსპროპრიაციაზე. არავის წაერთმევა ყველაფერი, რაც კი აბადია. არავინ დარჩება დედიშობილა. ჯერ ერთი, საკუთრების ის დონე, რომელზეც უკვე ვილაპარაკე, ყველას შეუნარჩუნდება. გარდა ამისა, არავის არაფერი უნდა წაართვა...

- თავისი ნებით დათმობენ?

- თავისი ნებით არ დათმობენ, მაგრამ თქვენ ირონიას მაინც არ აქვს ისეთი მყარი საფუძველი, თქვენ რომ გგონიათ. ვისაც განსაზღვრულზე, დაშვებულზე მეტი აღმოაჩნდება, მას სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს ნამატის გამოსყიდვა. თუმცა არა მხოლოდ სახელმწიფომ, კერძო პირებსაც შეუძლიათ ეს. ამგვარი გამოსყიდვის ათასგვარი ფორმა შეიძლება გამოიძებნოს. ეს დეტალია. ამის ფორმების მოფიქრება არ არის ძნელი. მთავარია ის, რომ ნამატ ქონებაში მფლობელი მიიღებს ფულს. აქ ყოველგვარი ბოლშევიზმი და სამხედრო კომუნიზმი დაუშვებელია.

- და თქვენ ფიქრობთ, რომ ლატიფუნდისტები, მაგნატები, საერთოდ, ოლიგარქები დათანხმდებიან თუნდაც გაყიდვაზე?

- ვიმეორებ, მათი რიცხვი ძალზე მცირეა. თუ განხორციელდა ეს რეფორმა, ოლიგარქებს მარტო უბრალო ხალხი კი არა, მესაკუთრეების დიდი უმრავლესობაც დაუპირისპირდება; მე ხომ არ ვამბობ, ყველა მესაკუთრე მოვსპოთ-მეთქი. პირიქით, დაიშვება წვრილი, საშუალო და საშუალოზე მეტიც, თითქმის დიდი მესაკუთრეობაც. არ დაიშვება მხოლოდ ოლიგარქია. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ოლიგარქია სძულს წვრილ და საშუალო მეწარმეს. ეშინია მისი, როგორც ლიფსიტას და პატარა თევზს უზარმაზარი თევზისა. ბოლშევიკები ვერ მიხვდნენ, რომ ოლიგარქია და დანარჩენი მესაკუთრეები ორი სხვადასხვა კლასია. დიახ, ორი კლასი, ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად განწყობილი.

- მე ვფიქრობ, კლასი ერთია, - არ დავეთანხმე, - განსხვავება მხოლოდ ქონების ოდენობაშია.

- ცდებით. ვის ხარჯზე ზრდის ოლიგარქია თავის სამფლობელოებს. უბრალო ხალხის? რა თქმა უნდა. მაგრამ, პირველყოვლისა, იმის ხარჯზე, ვისაც აქვს საკუთრება - წვრილი, საშუალო მესაკუთრის ხარჯზე. თვით დიდი მესაკუთრის ხარჯზეც, რომ იგი ოლიგარქად არ გადაიქცეს და კონკურენცია არ გაუწიოს მას, ვინც უკვე არის ოლიგარქი. ასე რომ, ჩემო ახალგაზრდავ, ოლიგარქია იზოლირებული აღმოჩნდება. ოლიგარქია სძულთ დანარჩენი კატეგორიის მესაკუთრეებს. სძულთ იმიტომ, რომ ოლიგარქია არის კონკურენტი ბაზარზე. კონკურენტი, რომელსაც ვერასოდეს მოერევი, რომელიც არასოდეს გააჭაჭანებს ვინმეს თავის მიერ დაპყრობილ სფეროებში. ოლიგარქიის ლიკვიდაცია შვებით ამოასუნთქებს არა მხოლოდ არაფრისმფლობელებს, არამედ მფლობელთა ყველა დანარჩენ კატეგორიასაც. ამიტომ ვამბობ, თუ გატარდა ეს რეფორმა, ოლიგარქია აუცილებლად იზოლირებული აღმოჩნდება. მის წინაშე დადგება ალტერნატივა: ან გაყიდოს მეტი ქონება, შეინარჩუნოს მხოლოდ კანონით დაშვებული ოდენობით (ეს ოდენობა კი სულაც არ იქნება მცირე), ანდა ადრე თუ გვიან დაკარგავს ყველაფერს. ყველაფერს! შესაძლოა, თავის ჩათვლით! აი, კიდევ ერთი გარემოება: დღეს კაპიტალისტური სახელმწიფო გადასახადებით არსებობს, გადასახადს კი ყველაზე დიდს, ბუნებრივია, ოლიგარქები იხდიან, მაგრამ თუ სახელმწიფო თვითონ გადაიქცა ყველაზე დიდ მესაკუთრედ, თუ ყველა ძალიან დიდი საწარმოს საკონტროლო პაკეტი მის ხელში აღმოჩნდა, სახელმწიფო აღარ იქნება დამოკიდებული ოლიგარქებისგან, ანუ აღარ იქნება ოლიგარქიული სახელმწიფო. მას შეეძლება, შეუქმნას საგადასახადო შეღავათები დანარჩენ მესაკუთრეებს, შემოსავალი ხომ ისედაც დიდი იქნება. შეუქმნის სხვა მრავალ გარანტიასაც. მესაკუთრეს მოესპობა ის კოშმარული შიში, რომლისგანაც დღეს ძრწოლავს, რომლისგანაც დეპრესიამდე მიდის, და კიდევ ერთი. დღეს საბჭოთა კავშირი უქმნის სასურველ ფონს კაპიტალიზმს. თავისი არსებობის ფაქტით უქმნის. საბჭოთა კავშირისგან შექმნილია საფრთხობელაც და განტევების ვაციც. მე ბევრ გაუბედურებულ ადამიანთან მისაუბრია "მეორე კაპიტალიზმის" ქვეყნებშიც, "პირველი კაპიტალიზმისაშიც". ისინი, თითქმის ყველა, თვლიან, რომ მათი უბედურების მიზეზია მოსკოვის ხელი, მოსკოვის ხრიკები. ასე მსჯელობენ: გვშია იმიტომ, რომ ძალიან დიდი თანხები იხარჯებაო კომუნისტური ექსპანსიის შესაჩერებლად და ასე შემდეგ. მაგრამ რა იქნება ხვალ, ახლო მომავალში. - საბჭოთა კავშირი მუდამ ვერ შეასრულებს საფრთხობელასა და განტევების ვაცის როლებს.

- ეგ რატომ? - ვკითხე.

- რატომ? მე ბიოლოგი ვარ და ვიცი: ორგანიზმი არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებობს მხოლოდ მაშინ, როცა ვითარდება. საბჭოთა კავშირი აღარ ვითარდება სტალინის შემდეგ. უფრო სწორად, ომის შემდეგ აღარ ვითარდება. ჩვენი ქვეყანა მკვდარია და უკვე ყარს კიდეც. ამას ყველა გრძნობს. მისი გაცოცხლება შეუძლია მხოლოდ იმგვარ რეფორმას, რომელზეც მე ვლაპარაკობ. თუ არადა, იქნება სრული კრახი. ანუ იქნება ქაოსი, კატასტროფა. აღარ იარსებებს ეს ქვეყანა. დასავლეთს აღარ ექნება საშუალება ყველა უბედურების წყაროდ მისი გამოცხადებისა. მაშინ წარმოჩნდება დასავლეთის სახე... თუმცა თეორიულად იმის დაშვებაც შეიძლება, რომ საბჭოთა კავშირიც ჩვეულებრივ კაპიტალისტურ ქვეყანად იქცეს. ამ შემთხვევაში, მითუმეტეს, ვეღარავინ ილაპარაკებს მის ხელსა და ხრიკებზე. დღევანდელი სტაგნაცია ამ ქვეყანაში შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ათ წელს, თხუთმეტ წელს. მაგრამ აუცილებლად დადგება დრო, როცა კომუნიზმი პირს ვეღარ მოწმენდს კაპიტალიზმს. მე შეიძლება, ვერ მოვესწრო იმ დროს. მაგრამ თქვენ ახალგაზრდა ხართ. თქვენ უთუოდ მოესწრებით მესამე სამყაროს ამბოხს დასავლეთის წინააღმდეგ. მოესწრებით ამბოხს თვით დასავლეთშიც. კვლავ აღდგება ქუჩის აქციები ევროპაში, შეერთებულ შტატებში. კვლავ აიგება ქუჩებში ბარიკადები. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა. ... არის მხოლოდ ორი გზა. მხოლოდ ორი გზა! ან ოლიგარქების როგორც კლასის ლიკვიდაცია, ანდა სისხლისღვრა. ოლიგარქები მადას ვერ დაიოკებენ, თუკი ოლიგარქებად დარჩებიან. როგორც მგელი არ მოძოვს ბალახს. შესაძლებელი მხოლოდ ის არის, რომ კატასტროფის შიშით, ყველაფრის, აბსოლუტურად ყველაფრის დაკარგვის შიშით განსაზღვრულს დაჯერდნენ. განსაზღვრულს, მაგრამ არცთუ მცირეს. ამ შემთხვევაშიც დიდი უპირატესობა ექნება ოლიგარქს. ყოველ ოლიგარქს. მას ექნება უზარმაზარი თანხა, ანუ ექნება წარმოების საუკეთესო იარაღები, საუკეთესო ნედლეული, საუკეთესო მუშახელის და სპეციალისტების დაქირავების საშუალება. თუნდაც ნობელის პრემიის ლაურეატები დაიქირაოს. მეცნიერულად გათვალოს ყველაფერი და აწარმოოს პროდუქცია. ოღონდ აწარმოოს განსაზღვრული მოცულობის საწარმოში.

- მაინც მიჭირს წარმოდგენა, რომ თავიანთ გრანდიოზულ იმპერიებს დათმობენ.

- მე კი მგონია, რომ ეს არც ისე წარმოუდგენელია. როცა კაპიტალისტი იგებს მილიარდს და აქედან ას მილიონსაც არ იტოვებს, დანარჩენს პატიოსნად ურიცხავს საგადასახადო სამსახურს. როცა ის მორჩილად თანხმდება თავისი ფიქრით, გარჯით, წვალებით შექმნილი კომპანიის შუაზე გაყოფას, რადგან სასამართლომ იგი მონოპოლისტად ცნო და, ესე იგი, ეგუება, მორჩილად ეგუება, ათობით, ხანდახან ასობით მილიონია ზარალს, რატომ არის გამორიცხული, რომ დათანხმდეს იმას, რასაც მე ვლაპარაკობ? სასწორზე ხომ ამ შემთხვევაშიც დევს - ყველაფრის დაკარგვა, ოჯახისა და საკუთარი თავისთვის დამუქრებული საფრთხე. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საფრთხის მასშტაბების განმარტებას; ძალიან დიდი ძალა აქვს პრესას, ტელევიზიას, წიგნს... თუ არადა - სისხლისღვრა!

- როცა მოვა ახლებურად მოაზროვნე ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში, - მისი მსჯელობის განგრძობა ვცადე, - ის განახორციელებს ამგვარ რეფორმებს. ვიქონიოთ ამის იმედი. მაგრამ არ გაფიქრებთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სტალინი ომის შემდეგ, როცა თქვენივე მტკიცებით, აღარ იყო ძველი სტალინი, მაინც კიდევ თითქმის ათწლეულის განმავლობაში პირველობდა. ამ ქვეყნის უბედურება არის იმაში, რომ შეუძლებელია ხელისუფლების ნორმალურად არჩევა და გადარჩევა. ნამდვილ არჩევნებს თუ დანიშნავ, ღმერთმა უწყის, ვინ გაიმარჯვებს, ყოველ შემთხვევაში, მე ეჭვი არ მეპარება, - კომუნისტები არჩევნებში ვერ გაიმარჯვებენ. ამიტომ არც დაუშვებენ ნამდვილ არჩევნებს.

## დასასრული



„ნიკალა" მხატვარი ამელ კალანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არტურ რემბო

## განხივოსნებანი

თარგმნეს ფუძღვნი
გიორგი და ნინო კალანდიებმ

### წარღვნის მერე

როგორც კი ჩაცხრა და მიყუჩდა წარღვნის მსგავსი რამ,

მაღალ, ზურმუხტოვან ბალახებში და თავკანტურა ზანზალაკებში შეკრთა, გაჩერდა იგი - კურდღელი და ცისარტყელას ობობას ვერცხლისფერ ქსელთა შორის აღუვლინა მხურვალე ლოცვა.

ო, ეს იდუმალი, თანაც ფერადი ქვები - გაფურჩქნილი ყვავილები - უძვირფასესი!

აჰა, გამართეს დუქნები ტალახით მოთხვრილ, ფართო ქუჩაზე; ნავები ზღვისკენ წაათრიეს, ფრიალო კლდისკენ, როგორც ძველთაძველ გრავიურებში.

იფეთქა სისხლმა ლურჯწვერას პალატებში, - სასაკლაოებზე, - ცირკებში, სადაც ფანჯრები უფლის დამღის ქვეშ ფერმკრთალდებიან. იღვრებოდა რძე და სისხლი.

თახვებმა კაშხალები აღმართეს. პატარა დუქნებში დუღს "მაზარგანი".

კარის ჯახუნის ხმა, - და ბავშვმა სოფლის მოედანზე გადაშალა ხელები უცებ, სტაცა, მობღუჯა სამრეკლოზე ყველა ფლუგერი, ალისფერი მამლები და თვალისმომჭრელ მერეხში, თქეშში გაუჩინარდა.

მადამ***-მა ალპებში დადგა პიანინო. მიმდინარეობდა მესსა და ისინი თავიანთ პირველ ზიარებაზე მიდიოდნენ ტაძრის ასი ათას საკურთხეველთან.

ქარავნები გზას გაუდგნენ. და აღიმართა საუცხოო სასტუმრო ყინულისა და პოლარული ღამის ქაოსში.

მას აქეთ მთვარეს ჩაესმოდა საცოდავი წივილ-კივილი ტურებისა ვაციწვერას ტრამალებში და ბუჩუნა საბოების ეკლოგები ბაღის სიღრმეში. შემდეგ სოსანისფერ მომღერალ ტყეში ევქარისმა მახარა, რომ უკვე დადგა გაზაფხული.

გუბურავ, მიდი, აქაფდი, ამოდუღდი და გადმოდუღდი; ქაფო, ბოღმა ამოაფრქვიე და ამოასხი ხიდებს ზემოთ და ტყეებზე; ორღანთა მილებო, კალთავ წუვდიადთა - ელვა-ქუხილთა, აღიმართენით და იქროლეთ მაღლა-მაღლა; წყლებო, წუხილნო, წარიტაცეთ და აღამაღლეთ წარღვნები ესე.

აკი მას მერე, რაც ყოველი დაიშრიტა, გამოილია - ო, ეს იდუმალი, თანაც ფერადი ქვები - გაფურჩქნილი ყვავილები - უძვირფასესი! - მოწყენილობამ დაისადგურა! და დედოფალი, მისანი, ვინაც ნაღვერდალი გააღვივა თავის თიხის ქოთანში, აღარასოდეს ისურვებს, რომ გაგვიმხილოს ის, რაიც უწყის თავად და რაც არ ვიცით ჩვენ.

### ბავშვობა

I

ოჰ, ეს კერპი, შავთვალა და ყვითელფაფარა, უთვისტომო და მიუსაფარი, - და მაინც იგი ყოველგვარ მექსიკურ თუ ფლამანდიურ თქმულებებზე ბევრად უფრო კეთილშობილი. სამფლობელოები მისი - გაბედული ლაჟვარდი და სიმწვანე - გარბიან მეჩეჩებში, რომელთაც აფრების არმცოდნე ტალღებმა მისცეს მრისხანედ მჟღერი - ბერძნული, სლავური, კელტური - სახელები.

ტყის პირას - სიზმრის ყვავილები გაფურჩქნისას წკრიალებენ და კაშკაშებენ, - ასული ფორთოხლის ტუჩებით; გადაჯვარედინებულა მუხლები მისი, ველებიდან გადმოღვრილი ნათელმოსილი წარღვნის წინარე; სიშიშვლეს მისას, შუქმოფენილს, მსჭვალავენ და გადამალავენ ცისარტყელები, მცენარეები, ზღვა.

მანდილოსნები ზღვის მეზობლად ტერასებზე რომ ტრიალებენ, პაწიები და გოლიათები, მედიდური ზანგის ქალები ლეგა-მწვანე ქაფში, ვით პატარა მდელოებისა და გამდნარ-ალუფხული ბაღების პოხიერ ნიადაგზე გამოცოცხლებული მარგალიტები, - ახალგაზრდა დედები და უფროსი დები ყარიბთა მზერით; სულთნის ფაშფაშა ცოლები დედოფლური ნაბიჯებით და თვითნება, გამომწვევი სამკაულებით, გადამთიელი პატარა ქალები და ჩუმ ოხვრაში გალეული ქალბატონები.

რა მოსაწყენია - "საყვარელი სხეულისა" და "ძვირფასი გულის" საათი!

II

იქ, ვარდის ბუჩქის უკან, ის, გარდაცვლილი პატარა გოგო. - ბაქანიდან ახალგაზრდა განსვენებულის დედა ჩამოდის. - ბიძაშვილის ეტლი ჭრაჭუნ-ჭრაჭუნით მიდის ქვიშაზე. - პატარა ძამიკო (იგი ინდოეთშია!) იქ, მიხაკის ველზე, დაისთან ახლოს. - მოხუცები კი გვერდიგვერდ კედლის ნანგრევებთან, ლევკოიონით ბურვილში წვანან.

ფოთოლთა გუნდი ოქროსფერი გარს ეხვევა გენერლის სახლს. სამხრეთშია მთელი ოჯახი. აქედან კი წითელი გზით ცარიელ ტრაქტირამდე შეიძლება მიღწევა. ციხე-კოშკი კი გასაყიდადაა გაწყობილი. ფანჯრებიდან დარაბები ჩამოგლეჯილა. მღვდელმა, როგორც ჩანს, ეკლესიის გასაღები თან წაიღო. - პარკში სადარაჯო ჯიხურები ცარიელია. ციხ-კოშკის გალავანი ისე მაღალია, რომ მის თავზე ხმაურიანი ვარჯები მოჩანან მხოლოდ. თუმც იქ სანახავიც არაფერია.

მინდვრები შემოჯარვიან ირგვლივ სოფლებს, სადაც არ მღერიან მამლები, არ წკარუნებენ გამალებით გრდემლები. საგუბარი მორღვეულია. აჰ, გზისპირა ჯვარცმა, წისქვილები უდაბურთა შორის, კუნძულები მდინარეში და ზვინები!

ზუზუნებდნენ ყვავილები - ჯადოსნურები. ნანინანათი აძინებდნენ მას ფერდობები. აქა-იქ თუ გაკრთებოდნენ ხოლმე მხეცები ზღაპრული ტანით. ღრუბლები კი თავს იყრიდნენ მარადიული მდუღარე ცრემლებისგან შექმნილ ზღვაზე.

III

ცხოვრობს ასეთი ჩიტი ტყეში - მისი სიმღერა გაგაჩერებს შენ და გაგაწითლებს.

საათები, რომლებიც აღარასოდეს რეკავენ.

არის ბუნაგი თეთრ მხეცთა პატარა ნაშიერებით.

არსებობს დამრეცი ტაძარი და ტბა შვეული.

არის პატარა ოთხთვალა, ტყესაკაფში მიტოვებული, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ იგი, მორთულ-მოკაზმული ფერად ბაფთებით, მიჰქრის ბილიკზე თავისთვის დაღმა.

არსებობს მოხეტიალე კომედიანტთა ბანაკი - მას ზოგჯერ გზისპირა ამონაყარში თუ შეამჩნევ ხოლმე.

დაბოლოს, როდესაც შენ არც საჭმელი გაქვს და არც სასმელი, მოიძებნება ვინმე ისეთი, რათა გაგსვას, გაგაგდოს გარეთ.

IV

მე წმინდანი ვარ და ტერასაზე ვდგავარ, ვლოცულობ - ასე მშვიდად ბალახობს ხოლმე პირუტყვი თვით პალესტინის ზღვამდე.

მე ვარ სწავლული - სავარძელში, ბნელით მოცულში.

მე მგზავრი ვარ იმ შარაგზის, ჯუჯა ტყეში რომ გადის. რაბების ჩუხჩუხი ახშობს ნაბიჯების ხმას. მე დიდხანს ვუმზერ თუ რა მელანქოლიურად აფრიალებს თავის ოქროს თეთრეულს დაისი.

მე სიხარულით გადავიქცეოდი ისევ ბავშვად, მიტოვებული დაშლილ-დაფანტული ტივით შუაგულ ზღვაში, მსახურ ბიჭუნად, მოხეტიალედ ბნელ ხეივნებში, ცას მიბჯენილი შუბლით.

ბილიკები სულ უფრო და უფრო გრეხილნი ხდებიან. ბორცვაკები მოფენილან კურდღლის-ცოცხათი. ჰაერი უძრავი. ო, რა შორია ფრინველებამდე და მთის წყარომდე! იქ, წინ კი, ალბათ, მხოლოდ სამყაროს დასასრულია.

V

იქნებ, როგორმე დავიქირავო, ბოლოს და ბოლოს, კირხსნარით შეთეთრებული ეს ცივზე-ცივი სამარე, ცემენტის ტლანქი ნაწიბურებით - ძალიან, ძალიან ღრმად მიწაში!

აი, მე ვზივარ კაშკაშა ლამპის ქვე, მაგიდასთან და სულელურად ხელახლა ვკითხულობ ძველ გაზეთებსა და ფუჭ წიგნუკებს.

ზემოთ, ჩემი მიწისქვეშა სასტუმრო დარბაზიდან დიდ მანძილზე, ბუდობენ სახლები, თავს იყრიან ნისლები. ტალახი წითელი და შავია. შემზარავი ქალაქი - მუდამ ღამეა.

ოდნავ ქვემოთ - ჩასადენი მილები. ხოლო გვერდებზე - დედამიწის სფეროს სიმკვრივე. იქნებ, მასშია ლაჟვარდოვანი უფსკრულები, ცეცხლთა ჭები. და, შესაძლოა, სწორედ აქ არის შეხვედრის ადგილი მთვარეებისა და კომეტების, თქმულებებისა და ზღვების.

სასოწარკვეთილების ჟამს წარმოვისახავ ხოლმე ჩემთვის სფეროებს საფირონისგან, ლითონისგან. მე - მბრძანებელი სიჩუმის. მაშ, საიდან, ნეტავ, კამარის ქვეშ სულის მოთქმის მსგავსის უცაბედი გამონათება?

## ზღაპარი

ვინმე უფლისწულს გულს უწუხლავდა ის, რომ მას, ვერ პოულობდა რა თავისთვის სხვა საქმეს, სრულქმნილებამდე მიჰყავდა მხოლოდ თავისი უხამსი დიდსულოვნება. მან განჭვრიტა საკვირველი რევოლუციები სიყვარულისა და ეჭვობდა, რომ ქალებს მისას შეუძლიათ უფრო მეტი, ვიდრე ეს მორჩილება დაშაქრული კამკამა ზეცით და ფუფუნებით. მას სურდა ხილვა ჭეშმარიტების, იმ საათის, როდესაც იგი მოისურვილებს ნამდვილად და გაძღება. იქნებოდა თუ არა ეს ღვთისმოსაობის საწინააღმდეგო - მას ასე სურდა. ყოველ შემთხვევაში, მისთვის ბევრი რამ იყო ხელმისაწვდომი მიწიერი შესაძლებლობებიდან.

ქალები, რომლებიც მას იცნობდნენ, უკლებლივ ყველა არის მოკლული. სილამაზის ბაღი დაცარიელდა! მოქნეული მახვილის ქვეშაც კი ლოცავდნენ მას ისინი. ის არ ითხოვდა ახალ ქალებს. - მაგრამ ისინი თავად გამოჩნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისიც სიკვდილით სჯიდა მის მიმდევრებს, ნადირობისა და ჩაღლევის შემდეგ. და მაინც მის კვალს მისდევდა ყველა.

გართობის მიზნით იგი კლავდა მშვენიერ მხეცებს. მან ბრძანა, ფერფლად ექციათ სასახლეები. ის თავს ესხმოდა ადამიანებს და დაუნდობლად ანაკუწებდა. - ადამიანთა ბრბო, ოქროცურვილი სახურავები და მშვენიერი მხეცები კი არ ქრებოდნენ.

ხიბლავს ნგრევა ან აჭაბუკებს სისასტიკე! ხალხი მდუმარებდა. მის აზრებს კი არც არავინ უთანაგრძნობდა.

ერთხელ საღამოს იგი ცხენს მედიდურად მიაჭენებდა. გამოჩნდა გამოუთქმელი, ურცხვი სილამაზის გენია. მისი პირისახე და ტანი მისი მრავალსახოვან და რთულზე რთულ სიყვარულს, აუწერელ და გაუსაძლის ბედნიერებასაც კი უქადდა! უფლისწული და გენია, შესაძლოა, გაქრნენ. ჯანმრთელობის სტიქიაში ჩაიძირნენ. მართლაცდა, როგორ შეეძლოთ მათ, არ დაღუპულიყვნენ? მაშ ასე, ორივენი ერთად გარდაიცვალნენ.

მაგრამ უფლისწული თავის სასახლეში, ჩვეულებრივ ასაკში მიიცვალა. უფლისწული გახლდათ გენია, გენია იყო უფლისწული.

განსწავლული მუსიკა აკლია ჩვენს სურვილებს მოლოდ.

## აღლუმი

ახოვანი გაიძვერები. ბევრმა მათგანმა თქვენს შორის არცთუ ისე ცოტა ხეირი ნახა. ისინი არ ჩქარობენ, განსაკუთრებული საჭიროების გარეშე გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და ცოდნა თქვენი შინაგანი არსის შესახებ. ბევრის მნახველი, გამოცდილი ბიჭები! თვალები გიჟი, ცეტი, როგორც ზაფხულის ღამე, წითელი, შავი, სამფეროვანი და ისეთებიც, როგორც ფოლადი, დაწინწკლული ვარსკვლავი ოქროთი; მოურიდებელი ხრინწნარევი ხმა. შემზარავი სიარული ნაძირალების! არიან ისეთებიც, სავსებით ლეკვები ჯერაც - რაა მათ თვალში ქერუბინები! - მათ აქვთ შიშის მომგვრელი ხმა და ზოგი რამ კიდევ უფრო საშიში. გულისამრევად შეფუთულებს, მათ აგზავნიან ქალაქში, რათა სმა-ჭამით ოდნავ მაინც იჯერონ გული.

აჰ, თვალთმაქცობის როგორი შმაგი პარადიზია! რა შედარებაა ყველა თქვენს ფაკირებსა და სხვა სასცენო მასხრობებთან. ისინი, შინნაკერ, უშნო, კოშმარულ ტანსაცმელებში გამოხვეულნი, ჩვენს თვალწინ თამაშობენ განდგომილთა და სულიერ ნახევარღმერთთა იმდაგვარ სევდებს და ტრაგედიებს, როგორებიც არც ისტორიაში და არც საღმრთო წერილებში არ ყოფილა აღარასოდეს. ჰოტენტოტები, ჩინელები და ბოშები, მოლოხები, შერეკილები და აფთრები, ჭკუასუსტი მოხუცები და ავი სულები - ყველა ისინი ახოხმიკებენ დომხალს მამაპაპისეული მდაბიური ოინბაზობებიდან და უტიფარ-ურცხვი პირუტყვული მიხრა-მოხრიდან. ისინი მზად არიან, "მხევალ-ასულთათვის" შეასრულონ სიმღერა და ახალმოდური მომცრო პიესა. გველაძუა კომედიანტები, ისინი მოთამაშეობენ და ირთვებიან, ჰიპნოზურ სეანსებს მართავენ. თვალები უბრწყინავთ, სისხლი უდუღთ, მხრებში სწორდებიან და ედინება ცრემლები და წითელი ჭავლი უხვად. ამ ოინბაზთა ლათაიები და მუქარები ზოგჯერ წამიერად თუ ცოცხლობენ, ხან კი - თვეობით.

მხოლოდ მე, დიახ, მხოლოდ მე მოვარგე გასაღები ამ ველურ აღლუმს.

## ანტიკური

პანის ალერსიანი ვაჟი! შენს შუბლს ქვემოთ გვირგვინმოსილის ყვავილებითა და ნაყოფებით ცოცხლობენ თვალები, სპეკალები. ლოყებჩაცვივნულ შენს სახეზე ქარიშხლიანი ნაყონებია. თვალისმომჭრელად ბრწყინავენ შენი ეშვები. შენი გულ-მკერდი კითარას დარი, გუგუნებენ შენი ოქროსფრად მკრთალი ხელები. წიაღში, სადაც ორივე სქესს ერთად ძინავს, კვლავ ფეთქავს შენი გული. ჩამოდი ღამით სახეტიალოდ, ოდნავ მაინც შეარხიე ჯერ ერთი თეძო, შემდეგ მეორე და გამართე მარცხენა ფეხი.

## BEING BEAUTEOUS

მშვენიერი ქმნილება აღმართულა თოვლთა შორის. სასიკვდილო სტვენა-ხროტინი და წრიულად განშლადი, ყრუ მუსიკა ამ სათაყვანებელ სხეულს ზეაიტაცებენ, ზრდიან და არხევენ აჩრდილის დარად; ჭიაფერსა და შავ ჭრილობებს პირი დაუღიათ ამ საუცხოო სხეულში. სქელდებიან სიცოცხლის ნამდვილი ფერები და, გამონთავისუფლებულნი, არ იფანტებიან, არამედ იქვე გვერდით როკავენ, აჩრდილის ირგვლივ. და თრთოლა მატულობს და ბობოქრობს, ხოლო გახელებული გემო ყოველივე გამოცხადებულისა, ივსება სიკვდილწინა ხროტინითა და ხმაჩახლეჩილი მუსიკით, რომელსაც სამყარო შორს, ჩვენს ზურგს უკან სახეში ესვრის სილამაზეს - დედას ჩვენსას, იგი უკან იხევს, იგი ყალყზე დგება. ჰოი, ჩვენი ძვლები შეიმოსნენ ახალი მომხიბვლელი სხეულით!

●●●

ო, ნაცრისფერი პირისახე, ცხენის კუდი ჩაფხუტზე, ხელები ბროლის! ზარბაზნის ლულა, რომელზედაც ჩემი ბედისწერა დამცემს ხეებსა და მქროლავ ჰაერთან შეტაკებისას!

## სიცოცხლეები

I

ო, უსამანო გზები აღთქმული ქვეყნის, ტაძრის ტერასები! რა დაემართა ბრამინს, ჩემთვის იგავ-არაკებს რომ განმარტავდა? დღემდე ვხედავ მე იმ დედაბრებს! მე ვიხსენებ მზითა და ვერცხლით სავსე საათებს, მდინარეთა შორიახლოს მინდორ-ველთა ხელს ჩემს მხარბეჭზე და ჩვენს ალერსებს სურნელოვან სივრცეთა შორის. - ჩემს ფიქრთა ზემოთ ქუხილით ქუხს ლაღი ფრენა ალისფერ მტრედთა. გაძევებულმა აქ მოვიპოვე ფიცარნაგები, რათა მათზე ლიტერატურის ყველა დრამატული შედევრები გავითამაშო. მე გაგიმხელდით თქვენ სიმდიდრეებს ჯერ არგაგონილს. მე ვიცავ საგანძურთა ისტორიას, რომლებიც თქვენ მოიპოვეთ. მე წინასწარ განვჭვრეტ თუ რა იქნება შემდგომ! თუმცა ჩემს სიბრძნეს ქედმაღლურად უყურებენ, იმდაგვარად, როგორც ქაოსს. რაღაა ჩემი

არმყოფობა შედარებით იმ გაშეშებასთან, მერმისში თქვენ რომ მოგელით?

II

მე ვარ გამომგონებელი, უფრო სხვა რამის ღირსი, ვიდრე ყველა ჩემი წინამორბედი; მუსიკოსი, რომელმაც რაღაც სიყვარულის გასაღების მსგავსი რამ აღმოაჩინა. ამჟამად მე, ფხიზელი ცის ქვეშ მწკლარტე ველ-მინდორთა დიდებული, დიდად მოხარული ვიქნებოდი, მეფრქვია ცრემლი, როდესაც მახსენდება ღარიბ-ღატაკური ჩემი ბავშვობა, სწავლების წლები, გაუთავებელი კამათები და ხის ქოშები. როცა ვიხსენებ ხუთ თუ ექვსჯერ ჩემს დაქვრივებას, კვლავ ქორწინებებს და თუ როგორ შემიშალა ხელი სიჯიუტემ ჩემმა, რათა გამომენახა საერთო ენა თანატოლებთან. და აი, ამ ღვთაებრივ მხიარულებაში არ მენანება მე ჩემი ძველი ხვედრი; მეტისმეტად უხვ საკვებს აძლევს ჩემს დაუნდობელ სკეპტიციზმს ამ მწკლარტე ველთა ფხიზელი ჰავა. მაგრამ, რაკი გამოუყენებელია ეს სკეპტიციზმი, მე კი ამასთან ერთად განსაცდელში ვარ ისევ, მრჩება ერთი რამ - ლოდინი, თუ როდის გავგიჟდები და შევიშლები ამ ბოღმისაგან.

III

სხვენზე, სადაც მე ჩამკეტეს, როდესაც თორმეტი წლისა ვიყავი მხოლოდ, მე შევიცანი სამყარო, ადამიანურ კომედიას ხოტბა-დიდება შევასხი. ისტორია შევისწავლე სარდაფში. ჩრდილოეთის ქალაქში ღამის ზეიმზე მე ყველა იმ ქალს შევხვდი, ძველმა ოსტატებმა რომ დახატეს. პარიზის ერთ, ძველისძველ შესახვევში მე კლასიკური განათლება მივიღე. საუცხოო სრასახლეებში, აღმოსავლეთის გულის გულში, მე დავასრულე ჩემი კოლოსსალური შრომა-ჯაფა და, დავიმსახურე რა დიდება, ასე ნანატრი სიმშვიდეც ვიგემე. მე ავაფორიაქე ჩემი სისხლი, არ დამვიწყნია ჩემი ვალიც, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მე ხომ საიქიოში ვარ უკვე და არაფერი მესაქმება საქაოში.

## გამგზავრება

სრულიად ვიხილე. ხილვას არსად განვშორებივარ. კმარა. სრულიად ვიმკიდო. ქალაქთა ხმები - აისშიც, დაისშიც, ყველგან და ყოველთვის.

სრულიად შევიცანი. სიცოცხლეთა გაჩერებები. - ო, ეს ხმები და ხილვები!

კვლავ - გადასარბენი სიყვარულისკენ და კვლავ საუბარი მინიშნებებით!

## მეფობა

ერთ მშვენიერ დილას თვინიერ ხალხთა ქვეყანაში ერთმა ამაყმა კაცმა და ქალმა მოედანზე საჯაროდ წამოიყვირეს: "მეგობრებო, მე მინდა, დედოფალი რომ იყოს იგი!" "მე დედოფალი მინდა ვიყო!" ქალი თრთოდა და იცინოდა. კაცი კი თვალის ახელაზე, ჭირ-ვარამის დასასრულზე უყვებოდა მეგობრებს. მათ, ჩახუტებულებმა, გრძნობა დაკარგეს.

და მართლაც, სინამდვილეში, ისინი მეფობდნენ მთელი დილა, მანამ ჭიაფერის ნაკეცები ფრიალებდნენ სახლებს ზემოთ, და მთელი შუადღე, სანამ არ წავიდნენ პალმის ხეივნისკენ.

## გონებისადმი

დაარტყი თითი დაფდაფზე - და მოიპოვე მისგან ყველა ბგერა-ნიშანი და დაუდე სათავე ახალ ჰარმონიას.

გადგი ერთი ნაბიჯი - და ახალი ადამიანები, აჯანყდებიან რა, წავლენ წინ.

გაიხედე - ახალი სიყვარული! გამოიხედე - ახალი სიყვარული!

"შენ აგვაშორე ჩვენი ტანჯვანი, გაგლიჯე ჯაჭვი ჩვენი უბედობის ბორკილებისა და ახალი დროით დაიწყე", - გიგალობენ ბავშვები. "აიტაცე არსი ჩვენი ბედ-იღბლისა და აღთქმების - ეგ სულერთია საით", - გეაჯებიან ისინი.

მოსულო მარადისობიდან, იყავი ყველგან.

## ბრუჟიანი დილა

ო, ჩემი კეთილდღეობა! ო, ჩემი სილამაზე! მე არ შევმკრთალვარ გულგანმგმირავ საყვირის ხმაზე. ჯადოსნური ძელი საწამებელი! ვაშა არნახულ საქმეს და სხეულს საოცარს, პრველად - ვაშა! ეს ყველაფერი ბავშვების სიცილით დაიწყო და ყველაფერი ამით დამთავრდება. ეგ საწამლავი ჩვენს ძარღვებში მას შემდეგაც დარჩება, რა წამსაც საყვირის ხმა დადუმდება, და ჩვენ ისევ ძველისძველ დისჰარმონიას დავუბრუნდებით. ჯერჯერობით კი, ჯერჯერობით - ჩვენზე ახია ეს წამებანი - გულმოდგინედ შევაერთოთ ზეადამიანური დაპირებები, მიცემული ჩვენი ქმნილი სხეულისადმი და სულისადმი: ეს აღთქმა, ეს სიგიჟე და შეშლილობა! სალუქობა, ცოდნა, ძალმომრეობა! ჩვენ შეგვპირდნენ ხის კეთილისა და ხის ბოროტის ჩრდილში დაფვლას და პატიოსნების ტირანულ წესთა ჩვენგან ოტებას, რათა სული შთავბეროთ ჩვენს წმინდა სიყვარულს. თავდაპირველად ზიზღით დაიწყო ეს ყველაფერი და ასეც დამთავრდება, - ამ მარადისობას ჩვენ ამ წუთში ვერ შევიმეცნებთ, - ყველაფერი მთავრდება მიმოფანტული არომატებით.

ბავშვების სიცილი, მონების მდუმარება, ქალწულური მიუდგომლობა და ზიზღი ამქვეყნიური სახეებისა და საგნებისადმი, კურთხეულ იქნებით ხსოვნით ყველა თქვენგანი ამ სიფხიზლის გამო. ყველაფერი იწყებოდა სრული სისაძაგლით და აი, ყველაფერი მთავრდება მგზნებარე-ყინულოვანი ანგელოზებით.

ხანმოკლე ბრუჟიანო სიფხიზლევ, შენ წმინდა ხარ! ჩვენთვის ნაბოძებ ფუჭ ნიღბადაც რომ გადაიქცე, ჩვენ გამტკიცებთ, ო მეთოდო! და არ ვივიწყებთ, რომ გუშინ შენ, ასაკისდა მიუხედავად, განადიდე ყველა ჩვენგანი, ჩვენ გვაქვს ამ შხამის რწმენა და მზად ვართ, ყოველდღიურად შემოგწიროთ სიცოცხლე ჩვენი.

ჰა, მოაღწია ასსასსინთ ჟამმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრაზები

როცა სამყარო ჩვენს გაოცებულ ოთხ თვალს უშავეს ტევრად მოეჩვენება და წარდგება ზღვისპირის სახედ ორი ერთგული ბავშვის წინაშე, გამოცხადდება მუსიკალურ ზარდახშად ჩვენი სპეტაკი ლტოლვის წინარე, - მე თქვენ გიპოვით.

დაე, აქ დარჩეს მარტოხელა მოხუცი მხოლოდ, თეთრი და მშვიდი, გარემოცული "ფუფუნებით გაუგონარით", - თქვენი მონა და ფეხთა მტვერი ვიქნები.

დე, შემოვიდე მე თქვენში და განვიმსჭვალო ყველა თქვენი მოგონებებით, დაე, ვიქცე მე იმ არსებად თუნდაც, სულ ერთიანად რომ შესძლებდა თქვენს შებორკვას და გარემოცვას, - თქვენ დაიხრჩობით ჩემს ალერსიან ჩახუტებებში.

---

და, როცა ჩვენ ვართ ფრიად ძლევამოსილნი, ნეტავ, ვინ დაგვაბრკოლებს? მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცინით - ვინაა ჩვენი სიცილის მსხვერპლი? ხოლო როდესაც გავგულისდებით - რაღას გვიზამენ?

თქვენ მოირთვ-მოიკაზმენით და გამართეთ როკვა-სიცილი, მე კი სარკმლიდან სიყვარულის მოსროლას ვერასდროს შევძლებ.

---

ჩემო ამხანაგი, მათხოვარი, ბავშვი-ურჩხული! ასე გულგრილი ხარ შენ ამ ტანჯულების და მათი ფლიდური ხრიკების მიმართ, ჩემი დაბნეულობისადმი! მაშ, დე, გვაკავშირებდეს ჩვენ ერთმანეთთან შენი ხმა წარმოუდგენელი, შენი ხმა! ერთადერთი მლიქვნელი ამ სულმდაბალი სასოწარკვეთილების.

●●●

მოღრუბლული ივლისის დილა. ჰაერში ნაცრის გემო; ნესტიანი ნაკოდალის სუნი კერაზე, დასველებული ყვავილები, სეირნობების ფორიაქები, სამიჯნო არხთა თქორი - იქნებ, დადგა დრო ნაძვისხის სათამაშოთა და საკმეველისა?

●●●

სამრეკლო სამრეკლოს გადავაბი მე თოკებით, სარკმელი სარკმელს - ყვავილწნულებით, ვარსკვლავი ვარსკვლავს - ოქროს ჯაჭვებით და ვროკავ, როგორც შეშლილი.

●●●

წყალუხვი ტბა შეუჩერებლივ ბოლავს, ნეტავ, რომელი ჯადოქარი ამაღლდება ასე უფერულ დაისის თავზე? რომელი იასამნისფერი ფოთლეული დაინთქმება, გაქრება მასში?

●●●

სანამ ხაზინა იხარჯება - ძმობის დღესასწაულებზე - ფონდიდან, ვარდისფერი ცეცხლის ზარი ღრუბლებში რეკავს.

●●●

ამძაფრებს რა ჩინური მელნის საამო გემოს, უძილო ღამეს ჩემსას მსუბუქ ჟინულლად ედება შავი მტვერი. ვაქრობ თუ არა ჭაღის შუქს, სარეცელზე ვეცემი მძიმედ და, პირისახით წყვდიადისაკენ, გხედავთ თქვენ, ჩემო ქალწულებო და დედოფლებო!

## მუშები

ო, ეს ცხელი თებერვლის დილა! უდროო დროს გამოცხადებულმა სამხრეთმა შეარხია ახირებულ ღარიბ-ღატაკთა მოგონებები, გააშიშვლა ჩვენი ნორჩი უპოვრობა და სიღატაკე.

ენრიკას ეცვა მიხაკისფერ-თეთრი კუბოკრული ჩითის ქვედაბოლო - მას, ეტყობა, ატარებდნენ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, - აბრეშუმის ყელსახვევი და ჩაჩი ბაფთებით. სამოსელი უშავეს ძაძებზე უუმწუხრესი. ჩვენ ვსეირნობდით გარეუბნებში. ღრუბლიანი ამინდი იყო და სამხრეთის ქარი სუსტ ყვავილთკვალთა და დამშრალ გუბეთა დამპალ სუნს ქექდა-ფუტკნიდა.

ცოლს, ეტყობა, ნაკლებად აწუხებდა ეს ყველაფერი. მან წყალდიდობის - რომელიც ერთი თვის უკან მოხდა - შემდეგ დარჩენილ ტბორში, მაღალ ბილიკზე, პაწაწკინტელა ჭიჭყინები მაჩვენა.

ქალაქი თავისი კვამლითა და საქსოვ დაზგათა რაკარუკით განუშორებლივ თან გვდევდა გზაში. ო, სხვა სამყარო, კურთხეულ ცის და ფოთლების ჩრდილქვეშ თავშესაფარი! სამხრეთი შემახსენებდა ხოლმე ბავშვობისდროინდელ, უმნიშვნელო ფათერაკებზე, ზაფხულის სასოწარკვეთილებაზე, ძალთა და ცოდნათა უზარმაზარ საცავზე, რომელიც ბედის განგებით ჩემთვის მიუღწეველი რჩებოდა. არა, არ გავატარებთ ჩვენ ზაფხულს ამ ქვაწვია, ძუნწ მხარეში, სადაც ჩვენ დაწინდულ ობლებად დავრჩებით კვლავაც. მე აღარ მინდა, რომ ამ გატლანქებულმა ხელმა კვლავ მიიზიდოს ძვირფასი სახე-ხატება.

## ხიდები

ნაცრისფერი ბროლი ცათა. უცნაური სურათი ხიდების, ხან პირდაპირების, ხანაც რკალივით მოდრეკილების, ხან დამრეცების ან პირველებთან კუთხით მდგარების, და ანარეკლი ამ ფიგურათა წრიული არხის სუფთა წყალში იმდენად მსუბუქნი და წაგრძელებულები მოჩანან, რომ ნაპირები ტაძართა სიმძიმის ქვეშ ჩაწოლილან და მცირდებიან ზომებში. ზოგიერთ ხიდზე ქოხმახები ჯერ კიდევ მჭიდროდ დგანან. სხვებზე კი სასიგნალო კოშკურები ზეაფრენილან, ხოლო მყიფე მოაჯირები ძაგძაგებენ ბურუსში. მინორული აკორდები მოცურდებიან ხოლმე და დნებიან, ნაპირებიდან კი სიმთა ხმები აღწევენ. გაკრთება წითელი ქურთუკი თუ სხვა სამოსელი, იელვებს საყვირის სპილენძი. რა არის ეს - ხალხური სიმღერები, ქალაქურ ორკესტრთა თუ მაღალი წრის გამოძახილი? ლეგა-ცისფერი წყალი, ვით ზღვის ყურე, განიერია. ცის კაბადონს მომწყდარი სხივი უსპეტაკესი ფარდას დაუშვებს ამ კომედიაზე.

## ქალაქი

მე დღემოკლე და უბრალო მოქალაქე ვარ დედაქალაქის, რომელიც მხოლოდ იმიტომ ითვლება თანამედროვედ, რომ ნატამალიც კი არაა გემოვნებისა, - ვერც სახლების მოწყობილობაში და ვერც ქუჩების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგეგმარებაში აქ ვერ იპოვი ცრურწმენათა კვალს. მორალი და ენა დაყვანილია მარტივ გამოთქმამდე - როგორც იქნა! და ყველას, ამ მილიონობით ადამიანებს, ერთმანეთსაც რომ არ იცნობენ, იმდენად ერთნაირი აქვთ ყველაფერი: სკოლა, სამსახური, სიბერე, - რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენადმე მოკლე უნდა იყოს იმაზე, რაც კონტინენტის ხალხებისათვის უგუნური სტატისტიკითაა გამოყვანილი. მეც ასე ვხედავ ჩემი სარკმლიდან სულ ახალ-ახალ აჩრდილებს მხოლოდ, მოლივლივეებს სქელი და მარადი ნახშირის კვამლში, - ჩვენი ჩრდილი ტყეთა, ჩვენი ზაფხულის ღამე! - ახალ ერინიებს ჩემი კოტეჯის ახლოს. მასში კი ჩემი მამულია და გული ჩემი, ვინაიდან აქ ყველაფერი ერთმანეთის მსგავსია მეტად: სიკვდილი წვეთი ცრემლის გარეშე, ჩვენი დაქალი და მსახური, სასოწარკვეთილი სიყვარული და მოხდენილი დანაშაული, მოზლუქუნე ქუჩის ტალახში.

## ნაკვალევები

მარჯვნივ ზაფხულის დღის პირველი გამობრწყინებები აღვიძებენ ფოთლებს, ანაორთქლებს და ხმებს მძინარე პარკის; მარცხნივ ბორცვაკთა ფერდობებს გაუწვდიათ იასამნისფერი ჩრდილის საფარველები ნესტიანი გზის უთვალავ სწრაფ ნაკვალევში. ფეერიული ზმანებების კავალკადა. მართლაც: ეტლების სვლა მწყობრად დატვირთული მოოქრული ხის ცხოველებით, ანძებით, ტილოს ჭრელი ნაჭრებით, ოცი - ლაღი ჭენებით - ხალებიანი ცირკის ცხენით, ბავშვები და მამაკაცები მეტად უცნაურ, საკვირველ ცხოველებზე; ოცი ეტლი ყვავილებში და ალმებში, კარებზე ჭედურობით, როგორც მატარებელი ზღაპრული ან ძველებური კარეტების, გამოპრანჭულ ბავშვებთან ერთად, საგარეუბნო პასტორალისთვის. კუბოებსაც, ღამის წყვდიადის ბალდახინქვეშ ეკალმუხას ჯიღით დამშვენებულებს, დიდრონი და ფიცხი, ცისფერი და შავი ჭაკები მიაქანებენ.

## ქალაქები

აი ქალაქები! და აი ხალხი, რომელთა გამოც აღიმართნენ ეს ოცნებათა ალლეგანები და ლიბანები. თვალთუხილავ ლიანდაგებსა და გვარლებზე მოძრაობენ ხისა და ბროლისგან ნაგები ფაცხები. უძველესი კარეტები, კოლოსებითა და სპილენძის პალმებით გარემოცულნი, მელოდიურად გუგუნებენ ცეცხლთა შორის. არხებზე, ფაცხების უკან დაკიდულებზე, წკრიალებენ სასიყვარულო დღესასწაულები. ხეობებში მდევართა ზარების რეკვა-გადაძახილი და ყვირილი ისმის. ბუმბერაზ ბარდთა ბრბო აწყდება ბრწყინვალე ტანსაცმელებში ბაირაღებით, მოკაშკაშეებით, თოვლიანი მწვერვალებივით. ფიცარნაგებზე, მორევთა შორის, როლანდები ხოტბას ასხამენ საკუთარ გამბედაობას. ბოგირებზე - დაკიდულებზე უფსკრულის თავზე - და სასტუმროთა სახურავებზე აზრიალებულმა ცამ ალმებით ააჭრელა ანძები. აპოთეოზები იმსხვრევიან სივრცეში და ერთდებიან მაღლა თხემზე, სადაც მთის ზვავებს შორის ეხეტებიან სერაფიმული კენტავრესები. აქოჩრილი ზღვა, აფორიაქებული ვენერას მარადიული დაბადებით თეთრი ქაფიდან, დამძიმებული ორფევსული ზვირთებითა და ზრიალით ძვირფასი ნიჟარებისა და მარგალიტების, ზოგჯერ პირქუში ხდება და მომაკვდინებელ გრაგნილებს შლის, ეხეთქება და გუგუნებს. გრაგნილთ კალთებზე - როგორც ჩვენი ფიალები და ღერბები - ბღავიან თეთრი ყვავილთკონები. მაბების დედოფლები ნარინჯისფერ და ოპალის მოსასხამებში მწკრივ-მწკრივად ამოდიან ბინულებიდან. მაღლა ფეხმარდ ირემთ რემები, ჩანჩქერებში ჩლიქჩაფლულები და შეფარულნი მაყვლისბუჩქებს, დიანას ძუძუს წოვენ. ქვითქვითებენ გარეუბნის ბაკქი ქალები, მთვარე იწვის და ბღავის. განდეგილთა და მჭედელთა გამოქვაბულებში შედის ვენერა. განგაშის ზარები აცხადებენ ხალხთა გულისთქმას. უცნობი მუსიკის ხმა მოისმის ძვლებზე აგებული ციხე-დარბაზებიდან. მოძრაობაში მოდიან ყველა თქმულება-გადმოცემები, ხოლო ქალაქის ქუჩებში ცხენ-ირმები ტლინკებს ყრიან. ინგრევა ავდრიანი სამოთხე. შეუჩერებლივ როკავენ ღამეულ ზეიმზე ველურები. და აი - მე ბრბოში ვარ, რომელმაც ბაღდადის ბულვარი გაავსო, სადაც დაუმცხრალი ნიავისაგან აღტკინებული ამხანაგები ხოტბას ასხამენ ახალი შრომის სიხარულს და არანაირად ძალუძთ, შემოუარონ იმ მთათა ფანტასტიკურ აჩრდილებს, რომელთა შორის გზის პოვნაა ისევ საჭირო.

ვისი კეთილი ხელები, რომელი მშვენიერი წამები დამიბრუნებენ მე იმ მხარეს, საიდანაც მოდიან ჩემი სიზმრები და ჩემი შერხევა-მოძრაობები?

## მოხეტიალეები

საბრალო ძმა, ბეჩავი! რამდენი ჯოჯოხეთური უძილო ღამე მაიძულა მან, გადამეტანა. *"მე არასაკმარისი გამბედაობით მოვკიდე ხელი ამ განზრახვას! მე დავცინე მას - სნეულს, საპყარს. და ჩემს გამო ჩვენ დავბრუნდებით უკან განდევნილობასა და მონობაში"*. იგი წარუმატებლობასა და მიამიტობას მომაწერდა მე, აბსოლუტურად შეუსაბამოს, და გროვა-გროვად დამიყრიდა არგუმენტებს მღელვარებით სავსეს, შფოთიანს.

მე კი პასუხად სატანისტურ დოქტორს მასხრად ვიგდებდი, მერე ფანჯარასთან მივდგებოდი, სადაც, დაბლობს იქით, იშვიათი მუსიკის ორკესტრები წინ მიიწევდნენ - მე ვქმნიდი მომავალი ღამის მოჩვენებებს, დიდმშვენიერებს.

ამ გაურკვევლად-ჰიგიენური თამაშ-გართობის შემდეგ გავიშხლართებოდი ნაალზე და, ოდნავ ჩავთვლემდი თუ არა, დგებოდა ჩემი საბრალო, ბეჩავი ძმა, დამპალი პირით და ამოგლეჯილი თვალებით - სწორედ ისეთი, როგორიც მას ესიზმრებოდა თავი თვისი! - მიმათრევდა ოთახში და ღრიალებდა მისი იდიოტური მოწყენილობის სიზმარ-კოშმარზე.

სინამდვილეში, ოდესღაც მე რწმენით გულწრფელით ვიკისრე ამეღორძინებინა ძველისძველი ძე მზისა მასში - და ჩვენ ვეხეტებოდით, ვიკვებებოდით საგზაო ბისკვიტებით, რომელსაც გამოქვაბულის ღვინოს ვაყოლებდით, და მე ვჩქარობდი, რომ მეპოვა ადგილი და ფორმულა ჩემთვის.

## ქალაქები

ეს ოფიციალური აკროპოლი თანამედროვე ბარბაროსობის ყველაზე მოუცველ ჩანაფიქრებსაც კი აღემატება. შეუძლებელია, გადმოსცე ამ უმოძრაო-ლეგა ცის მიერ მოფენილი მკრთალი სინათლე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელთა მეფური ბრწყინვალება და მარადი თოვლი ფეხბქვეშ. გაუგონარი გაქანებით აღდგენილა აქ არქიტექტურის ყველა კლასიკური საოცრება. ფერწერული გამოფენების დარბაზებს ვეწვევი ხოლმე, რომლებიც ჰემპტონ-კორტს ოცჯერ მაინც აღემატება. რა ფერწერაა! ნორვეგიელმა ნაბუქო-დონოსორმა ბრძანა სამინისტროთა კიბეების აგება; კლერკებმა, რომლებიც მე ვნახე, თავიანთ ამპარტავნობით, დიდი ხანია, რაც დაჩრდილეს თვით ბრამინებიც და მე, მშენებელ-მოიჯარადრეთა და კოლოსსების მცველთა შემხედვარი, ჩუმად ვთრთოდი. მეეტლეებს მოუწიათ შევიწროებამ მოედნებზე, სასახლეებსა და დახურულ ტერასებზე თავმოყრილ შენობათა წინაშე. პარკები კი პირველყოფილ ბუნებას წარმოადგენენ, უდიდესი ხელოვნებით დამუშავე-ბულს. ადგილ-ადგილ გაუგებარია ქალაქი: უხმოაღდო ზღვის სრუტემ მტრედისფერი ტილო გაფინა გიგანტური კანდელაბრებით გადატვირთულ ნაპირებს შორის. მოკლე ხიდს კი პირდაპირ პოტერნასთან მიჰყავხარ სენტ-შაპელის ეკლესიის გუმბათს ქვემოთ. ეს გუმბათი ნატიფი ნახევარსფეროა ფოლადის არმატურისგან, რომელიც თხუთმეტი ათასი ფუტის დიამეტრისაა დაახლოებით.

აქ და იქ - სპილენძის გადახურულსა, პლატფორმასა თუ კიბეებზე, დარბაზებსა და სვეტებს გარს რომ ერტყმიან - გაჩერებებისას მეგონა, რომ ქალაქის მასშტაბებს შევაფასებდი. აი სასწაული, რომლის განჭვრეტა მე ვერ შევძელი, რაზეც საკუთარი თავისთვისაც არ შემეძლო ანგარიშის მიცემა თურმე: რა დონეზე მდებარეობენ სხვა კვარტლები აკროპოლზე და აკროპოლს ქვემოთ? თანამედროვე გარმიანელს აღარ შესწევს ქალაქის დათვალიერების უნარი, სავაჭრო კვარტალი - ეს Circus ერთიან სტილში, გალერეებით და თაღედებით. მაღაზიები არ ჩანან, მაგრამ ქვაფენილზე თოვლი მოტკეპნილია, ვიღაც-ვიღაცა ნაბობები, ისეთივე იშვიათები, როგორც ლონდონში გამვლელები კვირა დილას, მიემართებიან ბრილიანტის დილიჟანსისკენ. სავარძლები წითელ ხავერდში: აქ გიმასპინძლდებიან არქტიკული სასმელებით, რომელთა ფასიც რვაასიდან რვა ათას რუპიამდე მერყეობს ხოლმე. და ჩავიფიქრე რა, მომეძებნა თეატრები ამ მოედანზე, გადავწყვიტე, რომ სავაჭრო რიგებშიაც მოიძებნება, ალბათ, ერთობ პირქუში დრამები. ვფიქრობ, აქ პოლიციაც არის. მაგრამ კანონები იმდენად უცნაური ექნებათ, ალბათ, რომ მე არც კი ვცდილობ, ჩემთვის აქაური თაღლითები წარმოვისახო.

მანათობელი ჰაერი ამკობს გარეუბნებს, თავად პარიზის ქუჩებივით ელეგანტურებს. დემოკრატიული ელემენტი რამდენიმე ასეულ სულს თუ ითვლის მხოლოდ. და კიდევ, ერთიმეორის მიყოლებით კი არ დგანან აქ სახლები; გარეუბანი უცნაურად იკარგება ველთა შორის, "Comte"-ში, დასავლეთის მარადიული ტყეებითა და საუცხოო კორომებით გარემოცულში, სადაც გაველურებული ჯენტლმენები ნადირობენ საოჯახო თქმულებებზე, ლამპის შუქის ქვეშ, გახელებულნი.

## ფხიზლობანი

I

ეს ნათელი სიმშვიდეა, არა ციებ-ცხელება, და არა მოთენთილობა სარეცელზე ან მდელოზე.

ეს მეგობარია, არც უგერგილო და არც მგზნებარე მეგობარია.

ეს სატრფოა, არც მტანჯველი და არც ტანჯული. სატრფოა.

ჰაერია და სამყარო, რომელთაც ძებნა აღარ სჭირდებათ. სიცოცხლეა.

- მაშ, სულ ეგ იყო?

- და ნელა ცივდება სიზმარი.

II

განათება უბრუნდება ხეს შენობისას. ორი მხრიდან - რაღაც დეკორაციები - ოთახის შორეული კიდეებიდან თავს იყრიან კამარების ჰარმონიული პროფილები. კედელი უძინართა წინაშე - ფრიზის კონტურების, ატმოსფერულ სარტყელთა და გეოლოგიურ ნაწევთა ფსიქოლოგიური მწკრივია მხოლოდ. გულგამგმირავი სწრაფი ზმანება: გრძნობათა კომპოზიციები ყველა ჯურის არსებებთან შესაძლებელ სახეთა შორის.

III

ფხიზლობის ლამპა-კელაპტრები და ხალიჩები ხმაურობენ, ღელავენ, ვით ღამეული ტალღები გემის გაბერილ მუცლის გარშემო.

ზღვა სიფხიზლისა ამელიას აჯანყებული ძუძუებია.

გობელენი შუაკედლამდე ნაზი ნაყარია, ზურმუხტისფერი, საითკენაც მიილტვიან სიფხიზლის გვრიტები.

---

შავ ბუხრის ფირფიტა: ქვიშიან ნაპირთა ნამდვილი მზეები: ოი, ჯადოსნური ჰები, ამჯერად ცისკრის სახეა მხოლოდ.

## მისტიკური

ფერდოს კბოდეზე ანგელოზებმა თავიანთი შალის მოშრიალე სამოსელები ფოლადისფერ-ზურმუხტოვან ბალახებში ააფრიალეს.

ცეცხლოვანი ველ-მინდვრები ზეაჭრილან ბორცვის წვერამდე. მარცხნივ ხნულები გადაქელეს ხოცვა-ჟლეტამ და მკვლელობებმა. ავბედითი ხმები იფრქვევა ფერდობისაკენ. ხოლო მარჯვნივ, აღმოსავლეთისკენ, საყეები ზედ წვერზე დგანან.

იმ დროს, როდესაც სურათის ზედა ველი - მოღრიალე ნიჟარების და ადამიანთა ღამეების უსასრულო შმაგი წრებრუნვის გარდა არაფერია.

ნაზი ყვავილობა ცათა, ვარსკვლავთა და სხვათა ყოველთა მოგორავს კალთაზე პირდაპირ ჩვენკენ, როგორც კალათა, რომელიც ქვემოთ აყვავებულ ცისფერ უფსკრულად გადაიქცევა.

## ცისკარი

მე ჩავეხუტე ზაფხულის ცისკარს.

ცარგვალი ჯერაც უძრავი იყო. წყალი - მკვდარი. ჩრდილთა კრებული ტყის განაპირა გზებზე ეფინა. მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდიოდი და ჩემი ნაბიჯების ხმაზე ილვიძებდნენ ცოცხალი და თბილი სუნთქვები, ბრიალებდა დილის ფერადი ცვარ-ნამი, ფრთები უჩუმრად ფარფატებდნენ.

ბილიკი, უკვე მოფენილი გრილი შუქით, იწყებოდა ყვავილით და მან გამიმხილა სახელი თვისი.

მე გავუღიმე ჭაღარა ჩანჩქერს, ვისი კულულებიც გახლართულიყვნენ ნაძვებში: როგორც კი ოდნავ მოივერცხლნენ კენწეროები, მე დავინახე ქალღმერთი.

და მაშინ მე - განაკაფში - ხელების ქნევით ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით მოვისროლე საბურველები. ბარში ვიცანი მე ქალღმერთი მამლის ყივილით. რატუშის მოედნის თავზე, გუმბათებსა და სამრეკლოებს იქით მიქროდა იგი, მე კი, როგორც მათხოვარი, გლახაკი ვინმე, მივდევდი მას მარმარილოს სანაპიროთი.

ბორცვის წვერზე, დაფნართან ახლოს, წამოვასხი მე მას ჩაცურებული რიდე მისი და შევიგრძენი შეხება მოუცველი სხეულისა. ცისკარი და ბავშვი დაეცნენ ტყის მდელოზე.

იდგა შუადღე - გამომეღვიძა.

## ყვავილები

ოქროსფერი საფეხურიდან - მუარის ბაფთებს, მორუხო მარმაშს, მწვანე ხავერდსა და ბროლის საყურეებს შორის, რომლეიც მკრთალდებიან, როგორც ბრინჯაო მზეზე, - მე ვხედავ ფუტკარას, რომელიც ვერცხლის ფილიგრანის ხალიჩაზე თანდათან შლის ფურცლებს, თმებს და წამწამებს.

ყვითელი ოქროს ნამცეცები, მიმოფანტულნი აქატზე, წითელი ხის კოლონადა ზურმუხტოვანი გუმბათის ქვემოთ, თეთრი ატლასის თაიგულები და ბადახშის ნაზი ლერწები დუმფარას ირგვლივ.

ღვთაების დარი ვეებერთელა ცისფერი თვალებით, თოვლივით თეთრ სამოსელში, ზღვა და ზეცა ცოცხალ, ხასხასა ვარდთა კრებულს იზიდავენ მარმარილოს ტერასებისკენ.

## ვულგარული ნოქტიურნი

ერთი სუნთქვა ნაპრალებში გადაშლის სცენებს, - დაატრიალებს ბანის ბანთა ფერხულს, - კერიების ცეცხლთ აიტაცებს, - ფანჯრებს ჩააბნელებს.

დავეშვი თუ არა ვენახის გასწვრივ, ფეხს ვდგამ ღარზე და ვძვრები კარეტაში, - ძველებურში, ამოზნექილი მინების, გამობერილი ფერდებისა და ნახევრად წრიული დასაჯდომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. ბალდახიანი ჩემი მარტოხელა სიზმრებისა, ჩემი სისულელის მწყემსური სახლი, კარეტა შარაგზით გათელილ გაზონზე უხვევს, ხოლო გაბზარულ მარჯვენა სარკმელში ბრუნავენ მთვარეთა ფერმკრთალი სახეები, ძუძუები და ფოთლები. - პეიზაჟს ტბორავენ მსუყე მწვანე და ლურჯი ფერები. ხრეშის ლაქას შორიახლოა ცხენსაბმელი.

- გამოიხმობენ კი აქ სტვენით ელჩებს და ქარიშხლებს, - სოლომს და სოდომს, - ველურ მგლებსა და არმიებს.

- (მეეტლეები და მხეცები ბანს თუ ეტყვიან დახშულ ტევრნარში, სანამ ჩამძირავდნენ წყაროს აბრეშუმში მე თვალებამდე).

- და მერე გაგვაგზავნონ ნაცემ-ნაგვემნი, მოთქრიალე წყლის და დაღვრილ ღვინოთა ნაკადში გათქვეფილები ჩვენ ჭენებ-ჭენებით დადევნებულ დოგთა ღრენაში თუ ყმუილში...

- კერიის ცეცხლს ერთი სუნთქვა ზეაიტაცებს.

## MARINE

ეტლები ვერცხლისაგან და სპილენძისაგან -
გემთა ფოლადის ცხვირ-ქიმები -
ქაფავენ პერს და
სანაპიროს ეკლიან ბუჩქებს არხევენ.
ქვიშიან დაბლობთა უწყვეტი ნაკადები და
უკუქცევის უზარმაზარი ნაღვარევები
წრისებრ მიიწევენ აღმოსავლეთისკენ,
ტყის განაპირა ხეებისკენ, -
ჯებირების ბურჯებისკენ,
რომელთა მტკიცე ქვესაბჯენებს ეხეთქება
წრებრუნვით შუქი.

## ზამთრის ზეიმი

ოპერეტული ქოხმახების უკან მოჩქეფს ნაჩხატი. მეანდრის ხვეულებში ხილის ბაღებსა და ხეივნებზე მაშხალების ნაპერწკალთ კონებად იფანტებიან დაისის ზურმუხტისფერი და ძოწეული. ჰორაციუსის ნიმფები ნაპოლეონისდროინდელი მანდილოსნების ვარცხნილობებით - ციმბირული ფერხულები, ბუშეს ჩინელი ქალები.

## შფოთვა

ნუთუ შესაძლოა, რომ მან მე ერთხელ შემარიგოს ყველა ჩემი ჩანაფიქრის ნიადაგ მსხვრევას, რათა მაძღარმა დასასრულმა გამოისყიდოს გაჭირვებით ცხოვრების წლები, რომ ნიშნის მოგებისა და გამარჯვების ერთადერთმა დღემ მიაძინოს ჩვენში სირცხვილი საბედისწერო უმწეობისა.

(ო, პალმის რტო! ალმასი! - სიყვარული და ძალა! - ბედნიერებაზე, დიდებაზე ამაღლებული! - ყოველ სახეში, ყველგან - დემონი, ღმერთი, - სიყმაწვილე ამ მიწის შვილის: მე!)

რათა ჩვენ ფათერაკებს მეცნიერული ფეერიების, საზოგადოებრივ საძმოს მოძრაობებს ველოლიავოთ, როგორც პირველქმნილი განთავისუფლების თანდათანობით აღორძინებას?

მაგრამ ვამპირი - ის, ვის წინაშეც დამჯერები ვართ, როგორც ბავშვები, - ბრძანებს, გავერთოთ იმ თამაშებით, რაც მან გვიბოძა, ან სულაც ვიყოთ სასაცილონი.

იწრიალო ჭრილობებისგან - ჯანის გამომლევ ჰაერზე, ზღვაში; წამებებისგან - დამღუპველ წყალთა და მომაკვდინებელ ჰავის მდუმარებაში; მოქირქილე ტანჯვებისაგან - მკაცრად მობობოქრე ამ სიჩუმეში.

## მეტროპოლიტენი

ინდიგოს ხეობიდან ოსსიანის ზღვებისკენ, ნარინჯოვან-ვარდისფერ ქვიშით, მათრობელა ცით

ეროვნული ბიბლიოთეკა

განბანილით, ოდნავ თავდაღწეულნი მყისვე გადაიხლართებიან ბულვარების გამჭვირვალე ზოლები, იქვე დასახლებული ხელმოკლე ახალდაქორწინებულებით - სურსათ-სანოვაგეს მემწვანილეებთან ყიდულობენ ისინი. არავითარი სიმდიდრე! - ქალაქი!

მოასფალტებულ უდაბურიდან, ღრუბლის ქულაში გზააბნეული ყვინთვით, საშინელი საფეხურებით რომ ადის ცისკენ, რაიც მიცოცავს მაღლა-მაღლა, უკუიქცევა, ეშვება დაბლა, ისეთ ავბედით, შავ, გაჭვარტლულ ცაზე, როგორიც კი შეიძლება დაეკიდოს მარტოოდენ მგლოვიარე ოკეანეზე, გარბიან მუზარადები, ბორბლები და ორჩხომელები, ცხენთა გავები. - ბატალიაა!

აწიე თავი: ხის მრუდი ხიდი; სამარიის უკანასკნელი ბოსტნები; უხეიროდ მოხატული ნიღბები ღამის სიცივისგან ათრთოლებულ ფარანის შუქზე; დაბლა მდინარესთან სულელი, ხეპრე უნდინა და მისი კაბის შრიალი; მწვანე მუხუდოს ფონზე განათებული თავის ქალები და სხვადასხვაგვარი ფანტასმაგორიები - გარეუბანი.

გზები, კედლებისა და გისოსების მჭიდრო მარწუხში - ძლივს აკავებენ მწვანე შლეგ ჯგუფებს, მათ მყრალ ყვავილებს, ტყუპ დებს და გულებს. - კრული დამასკი, მას არა აქვს დასასრული, ულტრარეინელ, იაპონელ, გუარანელ არისტოკრატთა სამფლობელო ფეერიული, ჯერაც უნარის მქონე, რომ მიიღოს წინაპართა მუსიკა; აქა-იქ ზოგჯერ გადაეყრები სამუდამოდ კარებაჭედილ სასტუმრო-ბაკებს და პრინცესებსაც; ხოლო, თუ შენ აღარა ხარ უკიდურესად დაბრიყვებული, განჭვრიტე მნათობი - ზეცა.

აი, იმ დილას, როდესაც თქვენ თოვლის ელვაციალში ჭიდაობდით მასთან, ეს მწვანე ტუჩები, ყინული, შავი ალმები და ულურჯესი სხივები, პოლუსთა მზის მეწამული არომატები - შენი ძალაა.

## ბარბაროსული

დრო-ჟამის, დღეების გასვლის მერე, ქვეყნებისა და ხალხთა შემდგომ,

ალამი - დასისხლიანებულ ხორცად ზღვებისა და არქტიკული ყვავილების (არარსებულების) აბრეშუმზე;

გმირობის ყოფილ ფანფარებთან გაწყვეტის შემდეგ - რომლებიც ჯერაც გულსა და ტვინს გვიბურღავენ - შორს ასასინ-მკვლელებისაგან წარსულიდან -

ო, ალამი - დასისხლიანებულ ხორცად ზღვებისა და არქტიკული ყვავილების (არარსებულების) აბრეშუმზე;

ნეტარება!

შადრევნები ნაღვერდლებიდან აქოჩრილან ყინულოვან კრისტალთა დელგმად - ო, ნეტარება! - წვიმა ალმასურ ქართა ხანძრების, მიწის გულიდან ამოფრქვეულის, ისევ ჩვენს გამო, მარადიულად რომ ვნახშირდებით. - ო, სამყარო!

(შორს იმ ძველი თავშესაფრიდან და უძველესი ნახანძრალიდან - დღემდე ჩვენთან ბოგინობს მათი გრუხუნი და ნატისუსალი);

ალი და ქაფი! მუსიკა, ყინულთა და მნათობთა შეხლა-შემოხლა, უფსკრულთ ტრიალი.

ო, ნეტარება, ო, სამყარო, ო, მუსიკა! და იქ გაელვებული სახეები, თვალები, თმა და ოფლი! და ქათქათა ცრემლთა დუღილი - ო, განცხრომა! - ხმა დიაცისა ვულკანების და არქტიკული გამოქვაბულების წიაღში.

ალამი...

## SOLDE

იყიდება ის, რაც ებრაელთა მიერ არ გაყიდულა, ყველაფერი, რაც აღარც კეთილშობილებით და აღარც დანაშაულით არ გასინჯულა, ის რაც უცნობია დაწყევლილი სიყვარულისა და მასათა ჯოჯოხეთური პატიოსნებისთვის; და რაც არ უნდა შეიცნოს თვით დრო-ჟამმა და მეცნიერებამ.

აღორძინებული ხმები: ქორალური და ორკესტრული ძლიერების ძმური გამოღვიძება, მის წამიერ დანართთან ერთად; ჩვენი გრძნობების გათავისუფლების ერთადერთი თავისებური შესაძლებლობა!

იყიდება სხეულები ფასდაუდები, დამოუკიდებლად რასისა, სქესის, სამყაროსა და შთამომავლობისადმი კუთვნილებისა! ფეხის ყოველ ნაბიჯზე მჩქეფარე განძი! ალმასების უკონტროლო მიყიდვ-მოყიდვა!

იყიდება ანარქია მასებისათვის, მოყირჭებულობა აღმოუფხვრელი - ამპარტავანი მცოდნეებისთვის, საშინელი სიკვდილი მორწმუნეთათვის და მიჯნურთათვის!

იყიდება თავშესაფრები და სადგომები, უმწიკვლო სპორტული შეჯიბრებები, ფეერიები და ყოველდღიური კეთილდღეობა; იყდება მერმისი მათ მიერ ქმნილი, მისი ხმა და შეუპოვრობა!

იყიდება ანგარიშთა გულმოდგინება და ჰარმონიათა გაუგონარი აღმაფრენები. განუჭვრეტელი მიგნებები და ვადები, წუთიერი შეპყრობილობა.

უსაზღვრო და გიჟური ლტოლვა უჩინარი მშვენიერებებისკენ, სიამოვნებებისკენ, მიუწვდომლებისკენ გრძნობებისათვის, - მისი ხვაშიადები, დამღუპველები ნებისმიერი გარყვნილებისთვის, - და ბრბოსათვის მისი ასე შემზარავი მხიარულება.

იყიდება: სხეულები, ხმები, დოვლათი განუზომელი და უდავო, ყველაფერი ის, რასაც ვერასოდეს ველარ გაყიდი! დახლიდარებს კი ჯერ არ დაუმთავრებიათ მიყიდვ-მოყიდვა! კომივოიაჟერებიც არ აპირებენ საქმის ასე ადრე დამთავრებას!

## FAIRY

ელენეს გამო შეერწყნენ ერთურთს უცნაური წვენები ქალწულურ ბინდბუნდში და მორჩილი ლამპრები - ვარსკვლავიან მდუმარებაში. მათ მუნჯ ფრინველებს ანდეს ზაფხულის ხვატი, გულგრილობა კი გარდაუვალი - ფასდაუდებელ სამგლოვიარო ორჩხომელს, რომლის ორკაპები უკვე მკვდარი ვნებებია და სუნდაკარგული არომატები.

შემდეგ გაოხრებულ ტყეში, წყაროს რიკრიკში, ამღერდნენ შეშისმჭრელთა ცოლები, ველთა ექოსა და ტრამალების ყვირილში აწკარუნდნენ პირუტყვთა ეჟვნები.

ელენეს ბალღური წლების გამო ათრთოლდნენ ჩრდილები და ბეწვეულები - მშიერ-მწყურვალთა უბეები და ლეგენდები მაღალ ზეცათა.

და თვალები მისი და მისი როკვა ძვირფას ნამსხვრევებზე უფრო მაღალი, უმაღლესია ცივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენებზე, ერთადერთი და განუმეორებელი ადგილისა და წამიერ სიტკბოებებზე უუმაღლესი.

## ომი

სხვადასხვაგვარ ზეცათა ჭვრეტამ გამწაფა, თვალგამჭრიახი გამხადა, ბავშვი: უცხო თვისებებმა გამოკვეთეს, ელფერი მისცეს საკუთარ სახეს ჩემსას. მოვლენათა არსი გაცოცხლდა. ახლა მხრებში მოხრილს მუდამ მედინი ჟამთა სვლა და გამოთვლილი უსასრულობა მდევნიან მე წუთისოფლად, სადაც მრავალფეროვანი ცივილური წარმატება მხვდება ხოლმე წილად, სადაც უცნაური ბავშვობა და თვალთმაქცური, სკანდალური სიყვარულები მეთაყვანებიან. მე ვოცნებობ მართალსა თუ ძლიერ ომზე სრულიად გაუთვალისწინებელი ლოგიკით.

ეს კი ისევე მარტივა, როგორც ფრაზა მუსიკალური.

## სიუმაწვილე

I

### კვირა

ანგარიშები გადადებულია, ცა განუხრელად ეშვება დაბლა და მოგონებების სტუმრობა და რიტმთა წარმოდგენები იპყრობენ საცხოვრისს, თავს და გონების სამყაროს ჩემსას. ნათესებისა და ნარგავების გასწვრივ, გარეუბნის იპოდრომზე ქარივით მიჭრის ცხენი, აზავთებული ნახშირიანი ჟამიანობით. სადღაც ამქვეყნად წარმოუდგენელი უარყოფისა და გმობის შემდეგ ოხრავს, იტანჯება დრამის ბედკრული გმირი ქალი. შეუპოვარი შფოთის თავები კი უსაშველო ლოთობისაგან, ქარიშხლებისგან და ჭრილობებისგან ითენთებიან. პატარა ბავშვები მდინარეების გასწვრივ ახშობენ წყევლა-კრულვას.

დავუბრუნდეთ საქმიანობას ყოვლისშთანმთქმელ ქმნილებების ყრუ ხმაურში, რომელიც ახლა თანდათანობით მკვრივდება და მიიწევს მაღლა.

II

### სონეტი

ადამიანი ჩვეულებრივი აგებულების, განა ხორცი არ იყო ერთადერთი ნაყოფი მისი, დაკიდული ხილის ბაღში, ო, დღეები-ჩვილები! - სხეული - განძად, მომლოდინედ გასაფლანგავად; ო, სიყვარული - საფრთხეა ეს თუ ძალმოსილება ფსიქესი? დედამიწაზე ნოყიერი ფერდობები იყო ოდესღაც, ნაყოფიერი უფლისწულებით და მსახიობებით, ხოლო მოდგმა, ჯიში-ჯილაგი ჩვენი და გვარიშვილობა გვიბიძგებდა ჩვენ უკეთურობისა და მწარე დანაკლისისკენ: სამყარო, თქვენი გამარჯვება და განსაცდელი. მაგრამ ამჟამად, როცა დასრულდა ეს მძიმე შრომა, შენ და შენი ანგარიშები, შენ და შენი მოუთმენლობა - ეს მარტოოდენ თქვენი ხმაა, თქვენი როკვა-თამაში და არა დაზეპირებული, არა ნაძალადევი, თუმცა მოვლენათა ორმაგი დაბოლოებით გონებისათვის - აღმოჩენით და გამარჯვებით, ადამიანთა ამ უტყვ საძმოში, სამყაროში ხატ-სახეების გარეშე; ძალა და უფლება ასახავენ ხმას და როკვას, მხოლოდ ამჟამად გამოცნობილებს.

III

### ოცი წელი

ზნეობრივ-დამრიგებლური ხმები გადასახლე-ბაში... სხეულის მწარედ ალაგმული მიამიტობა... ადაჯიო. ო, სიჭაბუკის უსამანო ეგოისტობა, მისი ბეჯითი ოპტიმიზმი: ო, რამდენი ყვავილი იფურჩქნებოდა იმ ზაფხულს ქვეყნად! მოტივთა და სახეთა კვდომა... ქორო, რათა დააცხროს მარტოობა და უღონობა! ქორო მინების ღამეული მელოდიების... ნერვები საცაა გარეკავენ.

IV

შენ ჯერ კიდევ წმინდა ანტონის ცდუნების მონა ხარ. დამოკლებული ნახტომები ენთუზიაზმის, ტლაშუნი ბალღურ ამპარტავნობის, შიში და ნაღვლიანობა. მაგრამ შენ მაინც ხელს მოკიდებ ამ საქმეს: ხუროთმოძღვრების და ჰარმონიის ყველა შესაძლებლობა შენს ირგვლივ მოვა მოძრაობაში. სრულქმნილი და მოულოდნელი არსებები მზად იქნებიან, ემსახურონ შენს ექსპერიმენტებს. შენს შემოგარენს შეუერთდება საოცნებო ცნობისმოყვა-რეობა ბრბოთა და ფუჭ სიმდიდრეთა. შენი მოგონებები და გრძნობები შემოქმედებისთვის საზრდო და წამქეზებლური ტონის მიმცემი იქნება მხოლოდ. მაგრამ რა დაემართება სამყაროს, როცა შენ მას დატოვებ, წახვალ? არც არაფერი, არავითარ კვალი ამჟამინდელ სახე-ხატთა.

## კონცხი

ოქროს ცისკარი და აკანკალებული მწუხრი ეგებებიან ჩვენს ორანძიან ხომალდს გაშლილ ზღვაში, ამ აგარაკის პირდაპირ, ყველა მისი მინაშენით, რომლებითაც დაკავებულია მაღალი კონცხი, რომელიც, აგრეთვე არაფრით ჩამოუვარდება პელეპონესსა და ეპირს, თუ ყველაზე მთავარს იაპონური კუნძულებიდან, თუნდაც არაბეთს! ტაძრები გაცისკროვნდებიან პროცესიის დაბრუნე-ბისას; უზარმაზარი თანამედროვე სანაპირო სიმაგრეების პეიზაჟები; დიუნები, მხურვალე ყვავილებითა და ბაკქანალიებით განთქმულნი; კართაგენის ბუმბერაზი არხები და ხიმინჯები ცრუ ვენეციის; ეტნას დუნე ამოფრქვევები და ნაპრალები წყლით და ყვავილებით სავსე საყინულეში; წანწალები, გერმანული ჩინარებით დაჩრდილულები; ფერდობები საკვირველ პარკთა, სადაც თავს ხრიან იაპონურ ხეთა ვარჯები; წრიული ფასადები სკარბოროს თუ ბრუკლინის დიდმშვენიერი სასტუმროების; და მიწისზედა ლიანდაგები, გარს რომ ერტყმიან, მსჭვალავენ მას და ხურავენ ამ სასტუმროს შენობებს, აგებულებს იტალიის, ამერიკისა და აზიის ყველაზე ნატიფ კოლოსალურ შენობათა ნიმუშების მიხედვით, - შენობები, რომელთა ფანჯრები და ტერასები, სავსე სალამოს შუქით, ბრუჟითა და გრილი სიოთი, ღიაა მოგზაურთა და დიდებულთათვის, ხოლო დღისით სანაპიროს ტარანტელებსა და რიტურნე-ლებსაც კი ველებიდან, ხელოვნებით სახელგანთქმუ-ლებს, ნებას რთავენ, რომ სასახლე-კონცხის ფასადები ოსტატურად გაალამაზონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სცენები

უღერს აკორდი კომედიის ძველთაძველის და იშლება იგი ურიცხვ პასტორალებად:

ბულვარები ფიცარნაგების.

ხორკლიან ველზე კიდით კიდემდე გაწვართულა ძელური პირსი, სადაც შიშველ ხეთა შორის ველურთა ურდო დაეხეტება.

კორიდორებში მოსეირნეთა კვალდაკვალ, ფარნებითა და ფურცლებით ხელში.

მისტერიების ფრინველები თავს იყრიან ქვისგან ნაგებ მოტივტივე ნავმისადგომზე, რომელსაც არხევს არქიპელაგი, - მაყურებელთა გემუკებით სავსეა იგი.

ლირიკული სცენები ფლეიტისა და დოლის თანხლებით იხრებიან ნიშებში ჭერქვეშ, თანამედროვე კლუბ-სალონებისა თუ აღმოსავლეთის უძველესი დარბაზების გარშემო.

ფეერია გაცურავს ხოლმე მიხვეულ-მოხვეულად ამფითეატრის მწვერვალისაკენ, გვირგვინმოსილის ტყის ნაყარით ან კანკალებს, შფოთავს ველთა ნაპირზე, მერხევ ხეთა ჩრდილში, იხვეწება და ხელოვნდება მოდულაციებში პროფანთა წინაშე.

სასაცილო ოპერა იმსხვრევა და ქუცმაცდება ჩვენს სცენაზე, - გზაჯვარედინზე ათობით ტიხართა, რომლებიც რამპას და იარუსებს კვეთენ.

## ისტორიული საღამო

რომელ საღამოსაც უნდა გამოჩნდეს, მაგალითად, მიამიტი ტურისტი, გარიდებული ჩვენს ეკონომიკურ საშინელებებს, ოსტატის ხელი ველობების საკლავესინო სიუიტას ასულიერებს; კარტს თამაშობენ ტბორთა სიღრმეში - სარკისებურ ზედაპირზე ლივლივებენ დედოფლების და ლამაზმანების სახეები; წმინდანი მარტვილები და იალქნები, ჰარმონიის ძაფები და ლეგენდების ქრომატიზმები - ყველაფერი დაისის ჟამს წარმოგვიდგება.

იგი ცახცახებს, როდესაც გვერდით ჩაუქროლებს მდევართა ხროვა და ყაჩაღთა გუნდი. კომედია წვეთწვეთობით ფიცარნაგებქვეშ მოლზე წვეთავს, ხოლო შეცბუნება კი უპოვართა და უძლურთა ამ უგუნურ და სულელურ ფონზე.

გერმანია მონურ ხილვებში აუუდებულა მთვარესთან ახლო; დაფიონი დგას თათრეთის უდაბნოზე; ბებერი, როგორც სამყარო, ამბოხი ციური იმპერიის ცენტრში ფუთფუთებს; კიბეთა ციცაბო საფეხურებით და ტახტებით, უფერული და უფხო პატარა სამყარო, დასავლეთი და აფრიკა - აღიმართება. შემდეგ მიმოქცევა - ბალეტი ნაცნობ ზღვათა და ღამეების, იაფფასიანი ქიმია, შეუძლებელი მელოდიები.

იგივე ბურჟუაზიული მაგია ყველგან, სადაც უნდა ჩაგვიყვანოს ჩვენ დილიჟანსმა! ყველაზე უბრალო ფიზიკოსიც გრძნობს, რომ შეუძლებელია ამიერიდან შერიგება პირადი მეუფების ატმოსფეროსთან, ფიზიკური ქენჯნის ღრუბელთან, მარტო შეგნება მათი, დადასტურება - უკვე დიდი უბედობაა.

არა! ჟამი ორთქლის აბანოების, ზღვების, შორს რომ მიგვაქანებენ, მიწისქვეშა ჩახუტებების, ქვესკნელისკენ მქროლ პლანეტების, მეთოდური განადგურების - ეს უდავო მოვლენები, ყოველგვარი ბოროტი ზრახვების გარეშე აღნიშნული ბიბლიაშიც და ნორნების მიერ, - იგი მიეცემა სერიოზულ არსებას, რათა დააკვირდეს, შეისწავლოს. - მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნება ეს ლეგენდის მოქმედება!

## BOTTOM

ვინაიდან სინამდვილე ნამეტნავად ეკლიანი იყო ჩემისთანა დიდი ბუნების სულიერისთვის, მე მაინც აღმოვჩნდი მადამთან, ლაინისფერ-დიდ-რუხ ფრინველად ატყორცნილი ძერწილ ჭერისკენ და გავათრიე ფრთა საღამოს ჩრდილში.

მე - ბალდახინის ქვაკუთხედთან, რომელიც ძვირფას საუნჯეთა საუცხოობას და სრულქმნილებას სხეულისას ფარავდა მისას, - გადავიქეცი მსუქან, იისფერი ღრძილებითა და სევდისაგან გაჭაღარავებულ ბეწვიან დათვად, თვალებში კი კონსოლების ვერცხლისა და ბროლის ბრწყინვაა.

წყვდიადად და ცხარე აკვარიუმად იქცა ყოველი. მეორე დილას - ივნისის ჭირვეული განთიადისას, - გავვარდი ველად, ვირი - ბუკის კვრითა და მისი ქნევით ჩემს ზარალ-სამდურავზე მანამ, სანამ გარეუბნელი საბინელი ქალები არ შეეჭახნენ ცხენის მკერდს ჩემსას.

## "N"

ყველანაირ საზიზღარ გარყვნილებას ასახავს გაშმაგებული ტანთმოძრაობა ჰორტენზიისა. მისი სიმარტოვე - ეროტიკული მაშინალურობაა, დაღლილობა - სასიყვარულო დინამიკურობა, ჩიკორი. მხოლოდ ერთმა ბავშვობამ იცის, სხვადასხვა ეპოქაში თუ რა ფიცხი ჰიგიენა იყო იგი რასებისათვის. მისი კარი ღიაა ვაებებისთვის. თანამედროვეთა მორალის არსი იხრწნება მის ვნებებში თუ ხელობაში. ო, საშინელი თრთოლა ახალბედა-გამოუცდელთა, რომელთაც აკრძალული ხილი იგემეს სისხლიან მიწაზე, გამჭვირვალე გარიჟრაჟის წყალობაში! ეძებეთ ჰორტენზია!

## მოძრაობა

მოძრაობათა ზიგზაგები მდინარის ციცაბო
ნაპირთა გასწვრივ,
უკან - თვალამღვრეული, შავი მორევი,
ჩაღმართის სიჩქარე მკვირცხლი და
ჩქერთა შმაგი ნახტომები
იზიდავენ გაუგონარ დიდ სიბრძნეში
და ქიმიური სიახლეებისკენ
მოგზაურებს ქარბორბალების ველებითა და
ბობოქარი დინებებით გარემოცულებს.

ისინი არიან მსოფლიოს დამპყრობლები,
პირადი ქიმიური სარგებლობის მაძიებლები;
სპორტი და კომფორტი მათთან ერთად
მოგზაურობს;
მათ ამ ხომალდზე თან წაიღეს
აღზრდა რასების, კლასთა, ცხოველთა და
წარღვნისებურ ნათებების ჟამს
შესვენებისას თავბრუ ეხვევათ
სწავლა-განათლების გულშემზარავ საღამოებში.

რამეთუ ბასში აღჭურვილობათა, სისხლთა,
ყვავილთა, ხანძართა და
განძთა შორის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანგარიშებში, რომლებსაც იქნევენ გემზე-
ლტოლვილზე,
ჩანს, როგორ მოგორავს რაღაც კაშხალის მსგავსი
აგორგლილ კილვატერს მიღმა
განუწყვეტლივ მოციმციმე-რამ, საზარი - ცოდნის
საცავი მათი;
ისინი ჰარმონიულ ექსტაზსა და
გმირულ აღმოჩენათა ყიჩში მოექცნენ.
განსაცვიფრებელ ატმოსფერულ ცვლილებათა და
უბედურ შემთხვევათა ჟამს
ორი მოზარდი კიდობანზე გაინაპირებს,
- განა ძველთა-ძველი ველურობა არ არის ღირსი
მიტევებისა? -
და მღერის და დგება სადარაჯოზე.

## ღვთისმოსაობა

დაიკოს ჩემსას ლუიზა ვანანს ვორინგემიდან, - ჩრდილოეთის ზღვის მიმართულებით მიქცეულა მისი ცისფერი ჩაჩი. - ჩაძირული გემის გამო.

ლეონი ობუას - ჩემს დაიას ეშბიდან. მომღერალი და მყრალი ზაფხულის ბალახი - ბაუ. - ციებ-ცხელებით შეპყრობილი დედებისა და ბავშვებისათვის.

ლულუს, - დემონს - რომელიც ჯერაც ინახავს გარდასულ ჟამის დაქალთა დროინდელ სამლოცველოების ხსოვნას და თვისი ნაკლული აღზრდისადმი მიდრეკილებას. მამრთა გამო! ქალბატონ***-ისთვის.

ყმაწვილს, რომელიც ოდესღაც ვიყავ, ამ მოხუც წმინდანს, განდგომილობას თუ მისიას.

უპოვართა სულისკვეთებას, ფრიად მაღალ სამღვდელოებას.

და, აგრეთვე, ნებისმიერ კულტს, მარადსახსოვარ კულტთა ადგილებში, ამა თუ იმ შემთხვევებს შორის, რისთვისაც უნდა გვემსახურა ჩვენ, წუთიერი აღტკინებებით თუ საკუთარი სერიოზული ნაკლით გატაცებულებს.

ამ საღამოს სირსეტოს მაღალ ყინულებიდან, ვერცხლის თევზივით მოლაპლაპეს და ლოყებღაჟღაჟას, როგორც ათი თვე მეწამული ღამეებისა, - (გული მისი - ამბრი და აბედი) - ჩემი ერთადერთი, თანაც მუნჯი ლოცვის გამო, ისევე უტყვის, როგორც ამ მხარის ღამეს, რომელიც მე შემატყობინებს გაბედულ, თავაწყვეტილ ქროლვებზე, უფრო ძლიერზე, ვიდრე ეს პოლარული ქაოსი.

რაც უნდა დაჯდეს და ყველა ქარის ქროლაში, მეტაფიზიკურ მოგზაურობებშიც კი, - მაგრამ არა მაშინ.

## დემოკრატია

"ალამი მიდის ბილწ პეიზაჟზე და ჩვენი კილოკავი და ჟარგონი ახშობს დოლის რაკარუკს.

"ჩვენს დედაქალაქში ყველაზე ურცხვი, ცინიკური გარყვნილება გაიფურჩქნება. ჩვენ ნებისმიერ გააზრებულ ამბოხებას ჩავახშობთ სისხლში.

"ნოტიო, მაგრამ სურნელოვან ქვეყნებისაკენ! - ყველაზე საშინელ სამრეწველო თუ სამხედრო ექსპლოატაციათა სამსახურში.

"შეხვედრამდე აქ და იქაც. ახალწვეულ მოხალისეებს გვექნება მხოლოდ დაუნდობელი და უმკაცრესი ფილოსოფია; მეცნიერებაში ბრიყვები, ამაყები კომფორტში; დაე, ჩაძაღლდეს მერმისი. ეს ჭეშმარიტი მოძრაობაა. წინ, ჩამომეცალეთ!"

## გენია

იგი აწმყო და სიყვარულია, უკეთუ მან თეთრქაფიან ზამთარსა და ზაფხულის გუგუნში ყურთამდე გააღო კარები, მან მოასუფთავა სასმელ-საჭმელი, მასშია სიამენი მშვენიერ ადგილთა და ადამიანურ სიხარულთა მიმსრბოლი სადგურები. ის მომავალი და სიყვარულია, ვნება და ძალა, რაც გვეჩვენება ჩვენ, გაშეშებულებს მოწყენებსა და ღვარძლთა შორის, რომლებიც მივქრით შტორმის ცაზე აღტაცებათა დროშებით.

ის სიყვარულია, საწყაო უნაკლო და მშვენიერი, ხელახლა აღმოჩენილი, გონება მოულოდნელი და საკვირველი, მარადიული: განუმეორებელ თვისებათა ფატალური ორომტრიალი. მთელი ჩვენი ძალ-ღონე ყველა ჩვენი მისწრაფებები, მთელი ვნებები და სიყვარული ეგოისტური მიმართული მისკენ, ვინაც ჩვენ მოგვიძღვნა თვისი უსაზღვრო ცხოვრება...

და ჩვენ ხელახლა ვუხმობთ მას და მოგზაურობს იგი... და, როდესაც ქრება ჩვენი თაყვანისცემა, რეკავს, რეკავს აღთქმული ზარი: *"შორს ეს ცრურწმენა, ეს ძველისძველი მიხრწნილი ტანი, შორი ოჯახთა, საუკუნეთა, ჩაძაღლდა ეს ეპოქა ბნელი!"*

ის არ წავა და არც დაეშვება ზეციდან ჩვენკენ, და არ გამოისყიდის არც მდედრების რისხვას და არც მამრების მხიარულებას, და არც სხვა რამ ცოდვებს, რამეთუ ეს ყველაფერი იყო მისი თანდასწრებით და როდესაც ასე უყვარდათ იგი.

ო, მისი სუნთქვები, მისი ჭკუა-გონება, მისი სრბოლა; ფორმებისა და მოქმედებების თავბრუდამხვევი სრულყოფილება!

ო, გონება სამარადისო და სამყაროს უსაზღვროება!

სხეული მისი! განთავისუფლების ხილვა ნანატრი, მადლის ტალღა, შერწყმული ახალ გაშმაგებასთან!

გამოცხადება მისი, გამოცხადება მისი! ტანჯულები, მუხლმოყრილები დგებიან მის გზაზე.

ნათება მისი! ტანჯვებსა და მწუხარებათა ბგერების გაუჩინარება უფრო მძლავრ, დიად მუსიკაში.

ნაბიჯი მისი! სვლა უდიდესი ძველ შემოსევებზე.

ის და ჩვენ! ამპარტავნობა ბევრად უფრო კეთილმოსურნეა, ვიდრე დაკარგული ქველმოქმედება.

ო, სამყარო! ო, ნათელი სიმღერა ახალ უბედურებათა!

მან ჩვენ გვცნო და შეგვიყვარა ყველანი. მაშ, შევძლოთ ბარემ ამ ზამთრის ღამეს კონცხიდან კონცხამდე, ქარიშხლიანი პოლუსიდან ციხე-კოშკის ნანგრევებამდე, ზღვების ტალღებსა და ბრბოთა შუა, მზერიდან მზერამდე, უკვე გრძნობებისა და ჯანის გარეშე, მისი დაძახება და დანახვა, კვლავ დაკარგვა, მერე წყალთა იდუმალ სიღრმეებში და თოვლიან სიმაღლეთა უდაბნოში მივყვეთ მას, მის მზერას, სხეულს, სუნთქვას მისას და მის ნათებას.

# კომენტარები

## წარღვნის მერე

ივ დენის მიაჩნია, რომ ლექსში კომუნაზე (წარღვნა) და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენაზეა საუბარი. ლექსის დასასრული "ახალი განმწმენდი წარღვნისკენ მოწოდებას" წარმოადგენს (ნ.ი. ბალაშოვი).

ევქარისი - ნიმფის სახელი კალიფსოს გარემოცვიდან ფენელონის (1699) რომანში; ერთფუძიანი ბერძნული სიტყვა "ევქარისტია" (ზიარების მიღება) ქრისტიანული რელიგიის საიდუმლოს ნიშნავს (ზიარების დროს პურზე და ღვინოზე მადლის გარდამოსვლა); შესაბამისად, რემბოსთან სახელი ევქარისი, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მადლის იდეასთან.

## ბავშვობა

ამ იდუმალ, თითქმის "ჰერმეტულ" ტექსტს ა. პაი განმარტავს, როგორც "ლექსს შემაშფოთებელი გადასვლით ბავშვობიდან, რამაც, როგორც გრძნობს რემბო, ჩაიარა მოზარდის ცხოვრებისაკენ და რომელიც უკვე შორიდან ამჩნევს დამალული სიკვდილის საშიშროებას".

## ზღაპარი

"გასხივოსნებაში" ეს ლექსი წარმოადგენს იშვიათ თხრობით ტექსტს, უფრო სწორად, იგავს, თუმცა ძნელს განსამარტავად. ს. ბერნარის მიხედვით, "ზღაპარში" რემბოს ცხოვრებისეულ და შემოქმედებით გამოცდილებაზეა საუბარი. ცხოვრების პირობებსა და მშვენიერზე მიღებული ცნებების წინააღმდეგ აჯანყებულმა პოეტმა ნგრევის ექსტაზში ბოლოს და ბოლოს ირწმუნა ის, რომ შეხვდა "გენიას", რომელიც მას გზას გაუხსნის უცნობში ("ნათელხილვის" თვალსაზრისით); მაგრამ იგი მალე აღმოაჩენს, რომ ეს ყველაფერი ამაო ოცნებაა: გენია - ის თვითონაა, "გენიალური" მხარე მისი ნატურის, განწირული, როგორც ყოველი ცოცხალი, გასანადგურებლად. ამ მხრივ ცხოვრების შეცვლა შეუძლებელია.

## აღლუმი

მიუხედავად იმისა, არის თუ არა ლექსში ლაპარაკი შარლევილში ბაზრობის წარმოდგენებზე (დელაეს მიხედვით) თუ მილანში რელიგიურ პროცესებზე 1875 წ. (ა. ადანი), მთელი აზრი, როგორც ლიოვერსი ამტკიცებს, ლექსის უკანასკნელ ფრაზაშია.

## ანტიკური

ა. პაი ამბობს, ლექსში "ლაპარაკია ფავნისა და ჰერმაფროდიტის წარმოსახვით ქანდაკებაზე ერთდროულად, შექმნილის, უდავოდ, მუზეუმების, საზოგადოებრივი ბაღებისა და წაკითხულის შთაბეჭდილებებით".

## BEING BEAUTEOUS

ლექსის სახელწოდება ინგლისურიდან თარგმანში ნიშნავს "მშვენიერ არსებას". ეტიამბლი და გოკლერი არცთუ ისე უსაფუძვლოდ ფიქრობენ, რომ რამდენადმე დალაგებულ ინტერპრეტაციასაც არ შეუძლია, ლექსის ყველა სახე შეკრას ერთად და რომ მკითხველი მთლიანად უნდა დაემორჩილოს პოეტს.

## სიცოცხლეები

ლექსი უნდა დავაკავშიროთ შემდეგ სიტყვებს "სიტყვის ალქიმიიდან" ("ჟამი ჯოჯოხეთში", V): "მე მგონია, რომ ყოველ არსებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უამრავი სხვა სიცოცხლე". პოეტს წარმოუდგენია თავისთვის სხვადასხვაგვარი შესაძლო არსებობა, ილაპარაკოს თავის აწმყოსა და წარსულ ცხოვრებაზე.

## გამგზავრება

დ. ლიოვერსი ამ ლექსს განმარტავს რენე შარის სიტყვებით, რომ პოეზია - ეს "ბუნებრივი ნავსადგურია ყველა გამგზავრებისა".

## მეფობა

დელაეს თანახმად, აქ ლაპარაკია პოეტსა და მის შთაგონებაზე (ან წარმოსახვაზე, როგორც აზუსტებს ნ.ი. ბალაშოვი), რომელსაც სურს "დედოფლობა". ჟ. ჟანგუ დედოფალში უბრალოდ ვერლენს ხედავს. რიუფფის თანახმად, ლექსში ვხვდებით "კომუნის ხანმოკლე არსებობის დაშიფრულ ქარაგმას".

## გონებისადმი

ს. ბერნარის თანახმად, "გონი", რემბოს მიერ ხოტბაშესხმული, - იგია, რომელიც კაცობრიობას მისცემს ახალ კანონებს, შობს ბედნიერებასა და პროგრესს". პოეტი აქ ახლოსაა ფურიესთან და სხვა სოციალისტ-უტოპისტებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრუქიანი დილა

ლექსის შინაარსი გამოხატავს რემბოს ვერლენთან ერთად ცხოვრების დროინდელ ("ჟამი ჯოჯოხეთში" შექმნამდე) ზოგიერთ წარმოდგენას. ამაზე მეტყველებენ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა "ხის კეთილისა და ხის ბოროტის ჩრდილში დაფვლას", "პატიოსნების ტირანულ წესთა ჩვენგან ოტებას", "სული შთავბეროთ ჩვენს წმინდა სიყვარულს"; მეორე მხრივ კი, როგორც შენიშნავს ა. ადანი, ლექსი გადმოგვცემს პოეტის წმინდა ფიზიოლოგიურ შეგრძნებებს ჰაშიშის პირველად გასინჯვის შემდეგ.

ასასინები - ინიდ სტარკმა პირველმა აღნიშნა, რომ რემბო ამ სიტყვის არა მარტო თანამედროვე, არამედ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასაც მიმართავს, რომელიც წარმოიშვა სიტყვიდან "Hoschichins" (შუა საუკუნეების სპარსეთში მუსულმანთა სექტის წევრები, რომელთაც მკვლელობების ჩასადენად ნარკოტიკებით ათრობდნენ). მიშლე სექტის შესახებ თხრობისას თავის "საფრანგეთის ისტორიების" (1833-1844) მე-2 ტომში გვამცნობს, რომ მისი ადეპტები სიკვდილს არად აგდებდნენ, რასაც ლექსის ბოლოსწინა ფრაზაც ადასტურებს.

### ფრაზები

ა. ადანმა დაამტკიცა, რომ მოცემულ ტექსტში გაერთიანებულია ორი ლექსი (მეორე იწყება სიტყვებით: "მოღრუბლული ივლისის დილა"). ტონით ისინი მკვეთრად დაცილებული არიან ერთმანეთისგან: პირველი ლირიკული და ვნებიანია, ხოლო მეორე უფრო აღწერითი. ა. ადანი თვლის, რომ პირველი ლექსი ვერლენის პოეზიის ზოგიერთი თემის პაროდირებაა.

"ეს პირობითი სიყვარულის ფრაზებია, მისი ბავშვური პეტელი და ოცნება სისუფთავესა და ორის მარტოობაზე ერთად, ბავშვურ ბუკოლიკურ ედემზე (ა. ადანი)". ხოლო, რაც შეეხება მეორე ლექსს, ის, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს 14 ივლისის დღესასწაულთან. ასეთ შემთხვევაში იგი ან 1872 წ. (14 ივლისს რემბო ბრიუსელში იყო, სადაც ბასტილიის აღება განსაკუთრებული ბრწყინვალებით აღინიშნება), ან 1875 წ. (15 ივნისს იგი დაბრუნდა იტალიიდან და უნდა ყოფილიყო რომში, ფერმაზე). უნდა გამოირიცხოს 1873 წ. (10 ივლისს ბრიუსელში მოხდა დრამა) და 1872 წ. (რემბო ლონდონში იმყოფებოდა).

### ხიდები

იმპრესიონისტული, ნაწილობრივ ფანტასმაგორიული ლექსია, დაფუძნებული შთაბეჭდილებებზე როგორც ლონდონის, ასევე მისი გამოსახულებებით ძველებურ გრავიურებზე (ხოლო სახლები ლონდონის ხიდზე გაანადგურეს მე-18 საუკუნეში).

### ქალაქი

ზოგიერთებისთვის ეს ლონდონის გარდაქმნილი სურათია, სხვები (ა. ადანი) ამ ლექსში ხედავენ ერთ-ერთი ქალაქის აღწერას, სადაც ჩერდებოდა ხოლმე რემბო თავისი შორეული მოგზაურობებისას, კერძოდ, 1874 წლის შემდეგ.

### ნაკვალევები

შესაძლოა, ეს ლექსი მოგონება იყოს ამერიკულ ცირკზე (შარლევილში გასტროლებისას) ე.დელაე.

### ქალაქები

ლექსი სხვადასხვაგვარ განმარტებებს აღძრავს. რიუშონის აზრით, იგი ბოდლერის "პარიზულ სიზმარს" ენათესავება (ნაწარმოების დასკვნითი აბზაცი "ზმანებისეული" ხასიათისაა). ეტიამბლისა და გოკლერის აზრით, ჩვენს წინაშეა მომავლის ქალაქის მოჩვენება, შექმნილი საზოგადოებრივი და მეცნიერული პროგრესის მიერ. ა. ადანი თვლის, რომ ლექსს საფუძვლად უდევს ფუნიკულიორით მიღებული შთაბეჭდილებები ალპებში 1875 წ. ან 1878 წ. დაბოლოს, ს. ბერნარს მიაჩნია, რომ აქ ერთიან დინამიკურ სინთეზშია შერწყმული მითოლოგია, ლეგენდები, მოგონებები, დაკავშირებულები სხვადასხვა ქვეყნებთან და ეპოქებთან.

ალლეგანი - მთის მასივის სახელწოდება აშშ აღმოსავლეთით, რომელიც აპპალაჩის ქედს აკრავს.

ლიბანი - აქ: ლივანის მთები (ბიბლიაში მრავალჯერ მოიხსენიება მათი სიმაღლე).

როლანდი - ფრანგული ხალხური ეპოსის "სიმღერა როლანდზე" (XII ს.) გმირი.

სერაფიმული - ციური.

მაბი - დედოფალი მები, ინგლისური ზღაპრული ფოლკლორს პერსონაჟი; ფიგურირებს შექსპირის კომედიაში "ზაფხულის ღამის სიზმარი".

### მოხეტიალეები

ს. ბერნარი თვლის, რომ ლექსში აშკარად იგულისხმება ვერლენი, რომელიც თვითონაც აღიარებდა თავის თავს "სატანური დოქტორის" სახეში. მაგრამ მ. რიუფფი კლოდელის კვალდაკვალ კითხულობს, ხომ არ გვაქვს საქმე ავტორის პიროვნების მეორე მხარესთან.

### ქალაქები

ის "ზმანება", რომლის არქიტექტურული დეტალებიც უფრო შეფარდებულია სინამდვილესთან, ვიდრე პირველ ლექსში "ქალაქები", დიდად დავალებულია ლონდონური შთაბეჭდილებებისგან და ასახავს იმ დროისთვის ქალაქთმშენებლობის ზოგიერთ ახალ ტენდენციას.

ოფიციალური აკროპოლი - ანდერვუდი თვლის, რომ რემბოს მხედველობაში აქვს ბროლის სასახლე ლონდონში, 1851 წ. მსოფლიო გამოფენის შენობა, მისი სარკიანი სახურავით ფოლადის კორპუსზე.

ჰემპტონ-კორტი - მეფის რეზიდენცია (XVI ს.) ლონდონიდან თვრამეტ კილომეტრზე.

ნაბუქოდონოსორი - (604-562/561 ჩვ.წ.-მდე) ბაბილონის მეფე, რომელმაც ბაბილონს გარს შემოარტყა ძლიერი კედელი, ააგო უამრავი სასახლე და ტაძრები, გააშენა "დაკიდული ბაღები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

Le "Comte" - (ინგლ.) საგრაფო, ადმინისტრაციული დაყოფის ერთეულის აღმნიშვნელი. აქ: სოფლის ალაგი.

## ფხიზლობანი

ა. ადანის თანახმად, ლექსს აშკარად "ჰალუცინაციური" ხასიათი აქვს, რაც არაა დამახასიათებელი "გასხივოსნებანის" დანარჩენი ადგილებისთვის; ეს სიზმარია ცხადში, სინამდვილიდან მოძრავ სამყაროსკენ წამყვანი, სადაც არ არსებობს უცვლელი საგნები.

## მისტიკური

ნ.ი. ბალაშოვს მიაჩნია, რომ ლექსი ახლოსაა ფხიზლობანის მეორე ნაწილთან. ლექსის კომპოზიციამ ერთ-ერთ კომენტატორს მისცა საშუალება, ემტკიცებინა, რომ სტრუქტურულად იგი ახლოსაა ვან ეიკის ცნობილ ტრიპტიქთან, რომელიც რემბოს შეეძლო ენახა გენტში. ალბერტ ტიბოდე წერდა, რომ ტექსტს უნდა მიუდგე როგორც მოხეტიალეს, მავალის მისტიკური ექსტაზის გამოხატულებას, როგორიც იყო რემბო, დაქანცულობისგან წამოწოლილი, მიწაზე უკან გადაწეული თავით და ცისკენ მომზირალი.

## ცისკარი

"გასხივოსნებანში" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, სრულქმნილი და მისაწვდომი ლექსი "ცისკარი", რა თქმა უნდა, უბრალო აღწერის ფარგლებს სცილდება და სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. გამოდევნება "უსახელო ობიექტისადმი, ვის დაუფლებასაც მიელტვის პოეტი" (ჟ. რივიერი), "ნახევარწარმატებით" მთავრდება, როგორც ხდება ხოლმე ეს რემბოსთან. ბუნებისადმი სიყვარულს თან სდევს მისი დაუფლების სურვილი, რომელიც ჟინიან, თითქმის ავხორცულ ხასიათს ღებულობს, მაგრამ მიზნის მიღწევა კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. პოეტი ისურვებდა, "ქალღმერთისთვის" აეხადა ყველა საფარველი, მაგრამ მის სხეულს მხოლოდ მათ მიღმა შეიგრძნობს და უცნობიც ბოლოს და ბოლოს ასე რჩება მიუწვდომელი.

## ყვავილები

ი. სტარკი გვთავაზობს ამ ლექსის "ალქიმიურ" ინტერპრეტაციას, დელაე მასში ხედავს სურათს, გუბურას ნაპირზე რომ გადაეშლება პოეტის მზერას. ს. ბერნარი - თეატრალური დარბაზების სანახაობებს, ეტიამბლი - "უბრალოდ ყვავილების" გამოსახულებას. ნ.ი. ბალაშოვისთვის აქ "წანაგთა თვალისმომჭრელი თამაშია", რომელიც გართმევს "პირდაპირ ხელშესახებობას (სიტყვის სულიერი მნიშვნელობით) ხელშესახები საგნისა".

## ვულგარული ნოქტიურნი

ნ.ი. ბალაშოვის თანახმად, ლექსი "შეიძლება გავიგოთ, როგორც რემბოს "შემოქმედებითი ჰალუცინაციების" პროცესის აღწერა, რასაც იგი იწვევდა "განზრახ" - ბუხრის ცეცხლის თამაშს ჩაშტერებული". სათაურში ეპითეტი "ვულგარული" ალბერტ პაის მიხედვით ნიშნავს, "უდავოდ ხელმისაწვდომს ჰაშიშის ყველა მწეველისთვის. სათაური თავის თავში შეიცავს იგივე დაკინინებულ აზრს, რასაც ბოდლერის "ხელოვნური სამოთხე".

სოლიმი - იერუსალიმის ერთ-ერთი ბიბლიური სახელწოდება.

## MARINE

უფრო იმპრესიონისტულია, ვიდრე "ნათელმხილველური", ს. ბერნარის შენიშვნით, ლექსი მსგავსებას ავლენს პლენერის ოსტატთა ზღვის პეიზაჟებთან და მოგონილ მხატვარ-იმპრესიონისტ ელსტირის შემოქმედებით მეთოდთან მ. პრუსტის რომანდან: ხმელეთისა და ზღვის გამოსახულება იმდენად ერწყმის ერთმანეთს, რომ მათი აღწერის ხერხები გამუდმებით მონაცვლეობენ.

## ზამთრის ზეიმი

ლექსს, შეიძლება, საფუძვლად ედოს როგორც რეალური დღესასწაულებიდან, ასევე უძველეს გრავიურებსა თუ ოპერის სპექტაკლებზე ზეიმური სცენებიდან მიღებული შთაბეჭდილებები.

მიანდრი - ლაბირინთი მართი კუთხით; ხეივნების განლაგება მეანდრით დამახასიათებელი იყო XVII-XVIII საუკუნეების ფრანგული პარკებისთვის.

ბუშე - "ჩინური სტილით" გატაცება დამახასიათებელია XVIII ს. შუაწლების ევროპული კულტურისთვის. კერძოდ, მას ხარკი გადაუხადა ფრანგული როკოკოს უდიდესმა მხატვარმა ფრანსუა ბუშემ (1703-1770).

## შფოთვა

"იგი" - ჟანგუს თანახმად, ქალია; რელიგიაო, ამტკიცებს მატუჩჩი; ჯადოქარი ლექსიდან "წარღვნის მერე" - ეტიამბლისა და გოკლერის მითითებით; შესაძლებელია, ესაა სიკვდილიც, როგორც ხსნის ს. ბერნარი. "მაგრამ რატომ არა გონება, მეთოდი, სერიოზული მუსიკა, პოეზია - თანაბარი უფლებებით?" (ა. პაი).

## მეტროპოლიტენი

ლექსის საფუძველია შთაბეჭდილებები, მიღებული სურათებისგან, რომლებიც იშლებოდა ლონდონის მიწისზედა ხაზის მეტროპოლიტენის მატარებლის ფანჯრებიდან. 1860 წ. ლონდონში გახსნილი მეტრო ჯერ კიდევ უცნაურობა იყო უცხოელთათვის.

ოსსიან-ი კელტური ხალხური ეპოსის ლეგენდარული გმირი. გადმოცემების თანახმად - ირლანდიის სამხრეთიდან.

სამარია - უძველესი ქალაქი პალესტინაში.

გუარანიელები - მიეკუთვნებიან სამხრეთ ამერიკის ინდიელებს.

## ბარბაროსული

ა. პაი მიიჩნევს, რომ ამ ლექსის ტრიალა მოძრაობა "ჰაშიშის მწეველის ზმანებათა" მსგავსია. ა. ადანი ლექსს უკავშირებს რემბოს მოგზაურობას იავაზე 1876 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალამი - დასისხლიანებულ ხორცად - აქ ა. ადანი ხედავს ქარაგმას დანიის დროშაზე (თეთრი ჯვარი წითელ ფონზე), რომელიც რემბომ (დანიის კუთვნილ) ისლანდიაში ნახა.

ასასინ-მკვლელები წარსულიდან - შეიძლება გავიგოთ როგორც ჰაშიშის მწეველები. დასაშვებია "ექსპედიციური კორპუსის ჯარისკაცები ივაზე" (ა. ადანი).

## SOLDE

როგორც თვით ნაწარმოების სახელწოდება გვეუბნება, ამ ლექსში საუბარია წარსულის უარყოფაზე, რომელიც დაკავშირებული იყო "ნათელხილვასთან". "დიდი დაცემების, ზეადამიანური პრეტენზიების შემდეგ რჩება მხოლოდღა დაყიდვის გამოცხადება", - წერს ა. ადანი. ხოლო ზოგი მათგანი ყურადღებას აქცევს უფრო ლექსის დაბოლოების ოპტიმისტურ ჟღერადობას, რომელსაც ბერნარი ხსნის რემბოს სიამაყით, მის მიერ ჩატარებული არაჩვეულებრივი ცდითა და მტკიცე გადაწყვეტილებით ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს მასთან, რამდენადაც იგი მეტად აღარ აინტერესებს. ლექსი აშკარად ირონიულია და წარმოადგენს კომივოიაჟურისა თუ ქუჩის ვაჭრის მეტყველების პაროდირებას.

... ის, რაც ებრაელთა მიერ არ გაყიდულა... - ე.ი. რაც არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს.

მიჯნურთათვის - სარკასტული ქარაგმა ბოდლერის ლექსზე "მიჯნურთა სიკვდილი"; ნაცვლად ყვავილებსა და არომატთა შორის სიკვდილისა, პოეტს მხოლოდ "საშინელი" სიკვდილი შეუძლია შესთავაზოს მიჯნურებს.

## FAIRY

"Fairy" (ინგლ.). "ზღაპრული", "ჯადოსნური". ს. ბერნარის თანახმად, "სახელი ელენე შეიძლება ნიშნავდეს სამყაროს მთელ სილამაზეს, კონცენტრირებულს ერთი ქალის სილამაზეში (რამდენადაც ელენე ტროელი ქალური სილამაზის სიმბოლო იყო)".

## ომი

ერთი მხრივ ლექსში პოეტის ყველა წინა ცდების შეჯამებაა, მეორე მხრივ კი გამოითქმის მზადყოფნა ახალ-ახალ განსაცდელებზე (ლექსის ბოლოში ნახსენები ომი, რაზეც ოცნებობს პოეტი, საზოგადოებასთან ომია).

## სიყმაწვილე

დ. ლიოვერსის თანახმად, ამ ოთხნაწილიან ლექსში "პოეტს გულგატეხილობა და გაბედულება ფლეთენ". პირველი ნაწილი შეიცავს მინიშნებებს "ნათელხილვების" ცდებზე, ვერლენის ცოლზე. II-IV ნაწილი კი, ეტყობა, როგორც მიუთითებს ბალაშოვი, ასახავს "ნათელხილვის" პრაქტიკას.

წმ. ანტონი დიადი - (251-356), ბერმონაზვნობის დამაარსებელი; ცხოვრობდა განდეგილად ეგვიპტის უდაბნოში, სადაც, გადმოცემების თანახმად, განიცდიდა სხვადასხვა ცდუნებებს.

## კონცხი

ს. ბერნარისთვის - სკარბოროსთან (...) მიმართებით იმპულსი მისცა ახლო წარსულის ზუსტმა მოგონებამ, რომელიც რემბომ, ეტყობა, მოინახულა და რომლის შესახებაც ანდრევუდი გვატყობინებს, რომ ეს იყო მინერალური წყლების კურორტი (...), რომლის პანორამაშიც გამოირჩეოდა საუცხოო კონცხი (...). 1867 წ. იქ გაიხსნა უზარმაზარი "გრანდ-ოტელი". ნ.ი. ბალაშოვი კი რემბოს ფანტაზიის კონკრეტულთან "მიბმის" წინააღმდეგ გამოდის და იქვე აზუსტებს, რომ რემბოსთვის ლონდონიდან თითქმის ოთხას კილომეტრზე მოგზაურობა ძალიან ძვირი იყო და ლექსში ხედავს სატირას "ბურჟუაზიულ იდეალზე" კონტინენტების შვერილებზე აღმართონ გრანდ-ოტელები".

## სცენები

ს. ბერნარის თანახმად, ამ ლექსის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრება - ეს თეატრია და, პირიქით, თეატრი სულ სხვა სამყაროა, წარმოსახვითი თამაშებისთვის დიდი შესაძლებლობებით. იგი აღნიშნავს, რომ რემბო რამდენჯერმე იყო ლონდონში ვერლენთან ერთად კომიკური ოპერის წარმოდგენებზე და, ერთობ შესაძლოა, რომ იქ ჟერმენ ნუვოსთან ერთადაც ყოფილიყო 1874 წ.

## ისტორიული საღამო

"ბურჟუაზიული მაგიის" სხვადასხვაგვარ სახეობებს - საზოგადოებრივ და იდეურ (გამამითოლოგიზირებელ) დამონებას - პოეტი ეუბნება გაბედულ "არას" დასკვნით, ბოლო აბზაცში, სადაც წინასწარმეტყველებს წესრიგის დასასრულს, დაფუძნებულს ლეგენდებსა და ავტორიტეტზე.

ციური იმპერია - ჩინეთის იმპერიის ოფიციალური სახელწოდება, რომელიც 1911 წლამდე არსებობდა.

... ბიბლიაშიც და ნორნების მიერ - მხედველობაშია წინასწარმეტყველება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებისა და წმ. იოანე ღვთისმეტყველისა აპოკალიფსისში, რომლებიც ამხელდნენ ადამიანთა ბიწიერებას და მათ ამის გამო ემუქრებოდნენ ციური სასჯელით; ასევე, წინასწარმეტყველება ქვეყნიერების დასასრულსა და ღმერთების სიკვდილზე, რომელსაც ძველგერმანული და სკანდინავიური მითოლოგიით ნორნებს, ბედისწერის ქალღმერთებს მიაწერდნენ. ბუიან დე ლაკოტი მიუთითებს, რომ რემბომ უდავოდ იცოდა ლეკონტ დე ლილის ლექსი "ლეგენდა ნორნებზე", სადაც აღწერილია ოდესღაც მომხდარი სამყაროს დაბადება და მისი მომავალი ნგრევა.

## BOTTOM

ლექსის თავდაპირველი სახელწოდება "მეტამორფოზები" გადახაზულია ხელნაწერში და შეცვლილია Bottom (ინგ.) - "საფუძველი", აშკარა მინიშნებით შექსპირის გმირზე "ზაფხულის ღამის სიზმარიდან," სადაც იგი ფერიების დედოფლის - ტიტანიას - სიყვარულის გავლენით ვირად გადაიქცა. ლექსში ლაპარაკია, როგორც ჩანს, პოეტის რეალურ ლონდონურ სასიყვარულო თავგადასავალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინელები - გოგონები და ქალები საბინელთა ტომიდან ძველი იტალიის ცენტრში; თქმულებების მიხედვით, რომულუსის დროს რომაელები ცოლებად საბინელებს იტაცებდნენ; რემბო გარეუბნელ საბინელებს ირონიულად უწოდებს მეძავეებს, რომლებიც მამაკაცების გამტაცებელთა როლში გამოდიოდნენ.

## "N"

ჰორტენზიის სახელის მიღმა, სხვადასხვა კომენტატორების თანახმად, იმალებიან: კურტიზანი ქალი (რ. დე რენევილი), გარყვნილებები (ა. ადანი), ბიწიერებები (ეტიამბლი და გოკლერი), ჰაშიში (ი. ბონფუა).

## მოძრაობა

ლექსი "მოძრაობა", დაწერილი, როგორც "Marine", ვერლიბრით, ა. ადანის განმარტებით, აღწერს "ახალი კონკისტადორების მოგზაურობას, უფრო სწორად, ბურჟუაზიულ კულტიიტრეგერთა, რომლებთანაცაა დაპირისპირებული "ორი მოზარდი" (შესაძლოა - ვერლენი და რემბო).

## ღვთისმოსაობა

ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული ლექსი ციკლიდან "გასხივოსნებანი". ერთთათვის (ჟ. პომე) ისაა "მკრეხელური პაროდიის მსგავსი რამ" ლოცვაზე, სხვებისთვის (ს. ბერნარი) უღმერთო რემბოს მოწიწების მოწმობაა "ნებისმიერი კულტისადმი". ჩამოთვლილი სახელები და მოვლენები საეჭვოა, ოდესმე დაემორჩილოს გარკვეულ გაშიფვრას. ყოველი აბზაცი შედგება ორი ნაწილისგან: ვისადმია ლოცვა მიმართული და რას ითხოვენ.

ბაუ - მყრალსუნიანი ბალახი (იზრდება იავაში).

სირსეტოს მაღალ ყინულებიდან - ს. ბერნარი აქ ტანზე სელაპის ქონწასმულ ესკიმოს ქალს ხედავს.

მაგრამ არა მაშინ - ბოლო აბზაცი განსაკუთრებით იდუმალია; შესაძლოა, აქ თვითონ ლოცვა ჩანაცვლებული იყოს მის წაკითხვასთან; აშკარაა, რომ "მეტაფიზიკური მოგზაურობა" დაპირისპირებულია რეალურთან, მაგრამ არა მაშინ - შეიძლება, გავიგოთ, როგორც "მაგრამ არა ახლა".

## დემოკრატია

ლექსი წარმოადგენს სატირას ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, რომელიც კოლონიალურ დაპყრობებს ახორციელებდა. საყურადღებოა, რომ მთელი ტექსტი რემბოს ბრჭყალებში აქვს მოქცეული, ე.ი., წარმოადგენს პირდაპირ სიტყვას.

## გენია

როგორც რენე შარი აღნიშნავს, რემბომ "გენიაში" დახატა საკუთარი თავი უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვა ლექსში". შემოქმედ გენიას წინასწარმეტყველურ-მოციქულურ-მესიანური როლი ეძლევა.

თარგმნა **დალი ყალიჩავამ**



„კომპოზიცია" მხატვარი იგორ კოდუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბორის აკუნინის ბიოგრაფია



ესეისტი, მთარგმნელი და ბელეტრისტი გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი დაიბადა 1956 წლის 20 მაისს ქალაქ ზესტაფონში. 1958 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში. თავის დროზე ამ ქალაქში საგასტროლოდ მყოფი იაპონური კაბუკის თეატრისგან მიღებული უდიდესი შთაბეჭდილებით დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფრიკა-აზიის ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და გახდა იაპონისტი.

მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში", ბოლოს იყო მთავარი რედაქტორის მოადგილე. 2000 წლის ოქტომბრის დასაწყისში წამოვიდა ამ თანამდებობიდან, რათა მხოლოდ ბელეტრისტიკაში ემუშავა.

არის მთავარი რედაქტორი ოცტომიანი „იაპონური ლიტერატურის ანთოლოგიისა", აგრეთვე, სოროსის ფონდის მეგაპროექტის - „პუშკინის ბიბლიოთეკის" მმართველი საბჭოს თავმჯდომარე.

ავტორია: წიგნისა „მწერალი და თვითმკვლელობა" (1999); ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა; იაპონელ, ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანებისა (იუკიო მისიმა, კენძი მარუიამა, იასუსი ინოუე, კორაგესან ბოილი, კობო აბე, ტაკაკო ტაკახასი, მალკოლმ ბრედბერი, პიტერ უსტინოვი და სხვები); აგრეთვე, ბელეტრისტული ნაწარმოებებისა, რომლებიც დაწერილი აქვს ბორის აკუნინის ფსევდონიმით (იაპონური იეროგლიფი „აკუნინი" ბოროტ ადამიანს ნიშნავს).

თავისი რომანისტული მოღვაწეობის გეომეტრიულ ფიგურად ერთგვარ სამკუთხედს თვლის, რომლის შემადგენელი გვერდები ასეთია:

ლიტერატურული სერია „პროვინციული დეტექტივი", ანუ „მონაზონ პელაგეას თავგადასავლები" (ჯერჯერობით ორი რომანი - „პელაგეა და თეთრი ბულდოგი", „პელაგეა და შავი მონაზონი");

ნახევრად ლიტერატურული სერია - „ერასტ ფანდორინის თავგადასავლები" (ცხრა რომანი: „აზაზელი", „თურქული გამბიტი", „ლევიათანი", „აქილევსის სიკვდილი", „განსაკუთრებული დავალებები", „სამოქალაქო მრჩეველი", „კორონაცია", „სიკვდილის საყვარელი ქალი", „სიკვდილის საყვარელი კაცი");

არალიტერატურული სერია - „მაგისტრის თავგადასავლები" (ჯერჯერობით ორი რომანი - „ალტინტოლობასი", „კლასგარეშე კითხვა" ორ ტომად).

ბოლო ხანს დაწერა პიესები: „ჰამლეტი. ვერსია" (ტრაგედია), „სენ-ჟერმენის სარკე" (კომედია), ჩეხოვის „თოლიას" საკუთარი ვერსია ამავე სახელწოდებით და თეატრალური დეტექტივი „ერასტ ფანდორინი", რომელიც წარმატებით იდგმება რუსეთის სხვადასხა თეატრებში.

შეადგინა თანამედროვე დასავლელი ბელეტრისტების რჩეულ ნაწარმოებთა მრავალტომეული „მოწყენილობის წამალი".

არის ალექსანდრე ადაბაშიანის რეჟისორობით „ორტ"-ზე გადაღებული ოთხსერიანი ტელეფილმის „აზაზელის" სცენარის ავტორი. იგივე რომანი ჰოლივუდში გადასაღებად შეისყიდა რეჟისორმა პოლ ვერხოვენმა.

ერასტ ფანდორინის სათავგადასავლო სერიის რომანები თარგმნილია იტალიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, ლატვიაში და საქართველოში.

2000 წლის სექტემბერში მოსკოვის წიგნის ბაზრობაზე დასახელდა „რუსეთის წლის მწერლად". ამავე წელს მიენიჭა პრემია „ანტიბუკერი".

ბორის აკუნინის ინტერნეტული „ღია ბარათი": *„ინტერნეტის დამსახურებაა, რომ აღარ მაკმაყოფილებს ქაღალდის ტექსტის შესაძლებლობები. იგი შემოსაზღვრავს წარმოსახვას და ავტორ-მკითხველის ურთიერთობას ცალმხრივს ხდის. მე მაქვს პროექტი სახელწოდებით **NPF (No-pulp-fiction)**. ესაა მულტიმედიური, ინტერაქტიური და, იმავდროულად, სრულყოფილი ბელეტრისტიკის პროექტი, რომლის ქაღალდზე არსებობაც პრინციპულად შეუძლებელია. თუკი ეს პროექტი განხორციელდა, მისი პრემიერა ინტერნეტში შედგება".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# HONOR PRIMUM, ALIA DEINDE

## ინტერვიუ ბორის აკუნინთან,
## ანუ
## გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილთან

*ინტერვიუერის წინასიტყვაობა,*
*უფრო სწორად, წერილი*

*ბატონო აკუნინ!*

*თექვსმეტი წლის წინ ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ პროზის განყოფილების აფრიკა-აზიის ქვეყნების უფროსი რედაქტორი, გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი გულისხმიერად გამოეხმაურა თავისი თბილისელი კოლეგის თხოვნას აკუტაგავას ქართულად თარგმნის თაობაზე.*

*თქვენგან გამოგზავნილმა ვლადიმერ სერგის ძე გრივნინის წიგნმა „აკუტაგავა რიუნოსკე“ ფასდაუდებელი დახმარება გამიწია ამ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაცნობად.*

*ახლა თქვენ ბორის აკუნინი ხართ, ევროპული დიდებისა და კოლოსალური შემოქმედებითი ნაყოფიერების მწერალი.*

*ამჯერადაც თქვენი გულისხმიერების იმედით, უმორჩილესად გთხოვთ ნებართვას „აზაზელის“ სათარგმნელად. თქვენი თანხმობის შემთხვევაში ხსენებული რომანი ქართულ ჟურნალ „ცისკარში“, ადრინდელი „იუნოსტის“ მსგავს გამოცემაში დაიბეჭდება, რომლის კრიტიკის განყოფილების გამგე თქვენი მონა-მორჩილია.*

*აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენში ნათარგმნი ლიტერატურის არსებობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა - კადნიერება გახლავთ! დიახ, სწორედ კადნიერება და, იმედი მაქვს, არა უტიფრობა თუ მეკობრული თარგმანით გამოწვეული აღმაშფოთებელი თავხედობა. ასე, მაგალითად, „ვარდის სახელის“ უფასო თარგმანის ნებართვისთვის ერთმა აქაურმა რომ მიმართა უმბერტო ეკოს, თანხმობა მიიღო და ახლა დამშვიდებული სინდისით თარგმნის, და არა - უტიფრად, გნებავთ, უნებართვოდ.*

*იმედი გვაქვს, რომ „აზაზელის“ შემთხვევაშიც შევძლებთ საკუთარი სახის შენარჩუნებას, რადგან, როცა ფული არა გაქვს, მაშინ - **HONOR PRIMUM, ALIA DEINDE!***

*ხუმრობა იქით იყოს და, თქვენ რომ მთელი რუსეთის აკუნიზაცია მოახდინეთ, ევროპაშიც გადაინაცვლეთ და ახლა ინტერნეტშიც აპირებთ მუშაობას, საქართველოში ისეთ მდგომარეობაში ხართ, თუკი „ბრწყინვალე სტილისტის“ კარლ მარქსის (უმბერტო ეკოს აზრი გახლავთ!) ერთი წინადადების პერიფრაზს გამოვიყენებთ - „აჩრდილი დაძრწის საქართველოში, აჩრდილი აკუნინისა!”*

*და ჩვენ სულაც არ ვაპირებთ, შევურიგდეთ თქვენს ამგვარ, ერთობ არაკონკრეტულ არსებობას თქვენს ისტორიულ სამშობლოში! ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა ითარგმნოთ ქართულად, რისთვისაც თქვენი მხარდაჭერა აუცილებელია.*

*ბოლომდე გულახდილი თუ ვიქნები, უნდა მოგახსენოთ, რომ გვინდა, რომანის პუბლიკაციას წავუმძღვაროთ ავტორთან ინტერვიუ, რომლის შეკითხვებზეც (რისკ-ფაქტორი და ჩემი კადნიერების ხარისხი ცოტა უფრო მატულობს!), ძალინ გთხოვთ, მიპასუხოთ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*<u>და კიდევ ერთი: მარტო მადლობა რომ გითხრათ მთელი თქვენი შემოქმედებისთვის, თარგმანის ნებართვის მოცემისთვის თუ უარის თქმისთვის, ნაპასუხარ თუ უპასუხოდ დარჩენილ შეკითხვებზე - კაცურად ძალიან ცოტა და თან უნიათოც იქნებოდა - ეს არც ქართული წესია, არც გურული და არც მაინცადამაინც რუსული. ასე რომ, დიდი იმედი გვაქვს თბილისში თქვენთან შეხვედრისა...</u>*

*<u>გეპატიჟებით.</u>*

პატივისცემით, *<u>მიხო მოსულიშვილი</u>*
<u>10. 03. 2002.</u>

*P.S. ყოვლად ახირებულ შეხედულებათა და სხვადასხვა მოარული ჭორების საპირისპიროდ, თითქოს ყველა კორესპონდენტს არ პასუხობს, გრიგოლ ჩხარტიშვილმა „აზაზელის" თარგმნის ნებართვაც მოგვცა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს შეკითხვებსაც უპასუხა.*

*მე კი ჩვენ ინტერვიუს სწორედ იმ სათაურით გთავაზობთ, ყველა ფანდორინის დევიზად რომ იქცა (რომანიდან „ალტინ-ტოლობასი") - „ჯერ ღირსება, დანარჩენი კი მერე!"*

18. 09. 2002.

-„ღმერთო, დალოცე ქართველები თავიანთი ფეთქებადი ბუნებით!" - გაიფიქრებს გადარჩენილი ნიკოლას ფანდორინი „ალტინ-ტოლობასში"... მეჩვენება, რომ ამ სიტყვებში მარტო ირონია არ არის. მართალი ვიქნები, თქვენს ქართულ სენტიმენტალობაზე რომ მივიტანო ეჭვი?

-მე არც ქართული ენა ვიცი, არც კულტურა და, რაღა თქმა უნდა, არავითარი ქართველი აღარ გახლავართ, მაგრამ არ შემიძლია ქართველების მიმართ მთლად ობიექტური ვიყო, ქართული ხასიათის სიმპათიური მხარეები მახარებს, ასიმპათიური კი მაბრაზებს. მით უმეტეს, რომ პირველიც და, სამწუხაროდ, მეორეც არცთუ იშვიათად აღმომიჩენია ჩემშიც, თუმცა უკვე ადაპტირებული სახით...

-რამდენიმე სიტყვა თქვენს ბავშვობაზე... რამდენი წელი იცხოვრეთ საქართველოში და როგორ გამოიყურებოდა მოსკოვი, იქ რომ გადახვედით?

-საქართველოში მხოლოდ ერთი თვე ვიცხოვრე, ისიც დაბადების შემდეგ და, საერთოდ, საქართველოშიც (ზესტაფონი) შემთხვევით გავჩნდი. ჩვენი ოჯახი მოსკოვური იყო, მაგრამ მამა სამხედრო გახლდათ და აკადემიის დამთავრების შემდეგ კავკასიაში გაანაწილეს.

-სად სწავლობდით და როგორ გაიარა თქვენი სტუდენტობის წლებმა?

-მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სპეციალობით - იაპონიის ისტორია და ლიტერატურა. სტუდენტობის წლებმა მოწყენილობაში ჩაიარა. იმიტომ, რომ მაშინდელი, 70-იანი წლების რუსეთი სასიკვდილოდ მოსაწყენი ქვეყანა იყო. სასწავლო დროის მესამედი კომპარტიის ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის შესწავლაში და ლენინურ ჩათვლებში გავიდა. ამჟამად სწავლა, ალბათ, უფრო სახალისო უნდა იყოს.

-ლიტერატურისკენ ვინ გიბიძგათ?

-იგივე მოწყენილობამ, ყოველგვარი შემოქმედების წყარომ. სკოლაშიც წიგნებს ვკითხულობდი, მოსაწყენ გაკვეთილებზე და ინსტიტუტის თავმომაბეზრებელ ლექციებზეც. ლიტერატურაში უფრო მეტი სიცოცხლე, ინტრიგები და თავგადასავლები იყო, ვიდრე გარემომცველ სინამდვილეში.

-ნიკოლას ფანდორინი სამშობლოში ბრუნდება! და ეს მაშინ, როცა მამამისის ფრთხილი შეგონებები ინგლისში დარჩენის უმჯობესობის თაობაზე თანდათან მატულობს (გეძახის, ეშმაკმაც წაიღოს, და გიზიდავს უფსკრულის ფსკერი!) ხომ არ გეგმავთ თქვენი რომელიმე ნაწარმოების მოქმედების თბილისში გადმოტანას?

-არა მგონია, ჩემი რომელიმე მომავალი წიგნის მოქმედება საქართველოში გადმოვიტანო - ქართულ ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ ვიცი. უფრო ჩრდილოეთისკენ, კავკასიაში. გასაგები მიზეზების გამო, ძალიან მაინტერესებს კავკასიური ომების ისტორია.

-რამდენიმე სიტყვა თქვენს ოჯახზე. გეხმარებიან თუ არა შინაურები მუშაობაში, უფრო სწორად, ხელს ხომ არ გიშლიან?

-ჩემი ცოლი ერთი პატარა საწარმოს სამუშაოს ასრულებს: ჩემი ლიტერატურული აგენტიც არის, პრეს-მდივანიც, რედაქტორიც, რეცენზენტიც, საგადასახადო ექსპერტიც, ხანდახან - ინსცენირების ავტორიც. ეს ძალინ მძიმე სამუშაოა, რადგან საქმეები უნდა აწარმოოს სამ რუსულ და ორ ათეულ უცხოურ გამომცემლობასთან, თეატრებთან, სუბაგენტებთან, ჟურნალისტებთან. თუმცა ანაზღაურებაც მაღალი ნიხრით მიწევს - გამომუშავების ასი პროცენტი.

-მოხდება თუ არა მთელი მსოფლიოს აკუნინზაცია?

-რას ბრძანებთ... თარგმნიან, კითხულობენ, რეცენზიებს წერენ - ამაზეც მადლობელი ვარ. აი, ჰოლივუდის ფილმი თუ გადაიღეს, შეიძლება უფრო ფართო რეზონანსი მოჰყვეს.

-ამ პოსტმოდერნმა, ცოტა არ იყოს, ხომ არ გადაგვღალა? რა მიმართულებით განვითარდება მსოფლიო ლიტერატურა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

-გააჩნია, რას ვგულისხმობთ პოსტმოდერნიზმში. თუკი იმ ტექსტებზეა საუბარი, რომლებიც სხვა ტექსტებიდან ამოიზრდებიან, მაშინ ეს ბუნებრივი მოვლენაა. სად გაექცევი დაგროვილი კულტურული ფენის ლიტერატურას? ანდა რატომ უნდა გაექცე სადმე? ჩვენ ხომ ჩვენი ინფორმაციის ოთხმოცდაათ პროცენტს, ნებისმიერ შემთხვევაში, უშუალოდ ცხოვრებისეული გამოცდილებიდან კი არა, წიგნებიდან, ფილმებიდან და ტელევიზიიდან ვიღებთ.

რაც შეეხება ლიტერატურის მომავალს, მე მგონია, რომ ყოველ მიზეზგარეშე განიცდის კომპიუტერული ცნობიერების ძლიერ გავლენას და ეს საინტერესო იქნება. ტექსტები უფრო მეტად ვარიანტული, გამოუცნობი და გამომგონებლური გახდება. თანდათან ქაღალდიდან მონიტორზე გადაინაცვლებს წიგნი და მაშინ გამოჩნდება ახალი შესაძლებლობები: ჰიპერტექსტუალური, მულტიმედიური, ინტერაქტიური.

-თქვენი რომანები მხოლოდ გასართობია თუ იქ არსებობს სუგესტიური პლასტებიც და რა დოზით? თუ შეიძლება, გულახდილად, მოკრძალების გარეშე...

-იცით, ამაზე ხშირად მეკითხებიან, მაგრამ მართებული არა მგონია ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. დაწერილი ტექსტი - ეს დასრულებული ნაწარმოებია. და ისეთია, როგორიც არის. ჩემი წიგნები ისეა შექმნილი, რომ მკითხველის პროვოცირება მოახდინოს, - მისი გონებისა და გულის ასამუშავებლად. ჩემი რომანების გაგება და ახსნა სხვადასხვანაირად შეიძლება (ეს ასეც ხდება, თანაც ზოგჯერ ეს ახსნები დიამეტრალურად ურთიერთსაპირისპიროა). რასაკვირველია, თითოეულ წიგნში არის რაღაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - იდეა, ხასიათი, შეკითხვა, სიტუაცია. მაგრამ მკითხველს ეს კი არა, უფრო სხვა, ჩემგან შექმნილი კონსტრუქციის ფაკულტატური ნაწილი დააბამს. და ასეც უნდა იყოს. ცხოვრება ხომ ერთსა და იმავე შეკითხვებს გვისვამს, ეს ჩვენ, ყველანი ჩვენებურად ვპასუხობთ.

-1998 წლის შემდეგ იმდენი დაწერეთ, რომ აუცილებლად უნდა გკითხოთ - თუკი ის, რასაც თქვენ ლიტერატურულ ხელობას უწოდებთ, მართლა ხელობაა, მაშინ თანამედროვე ლიტერატურული ხელოვნება რაღაა?

-მაღალი ხელოვნება არ იწარმოება კონვეიერზე და საგამომცემლო კონტრაქტის ვადებზე არ არის დამოკიდებული, ის ნელ-ნელა მწიფდება, წვეთწვეთობით. და ეჭვი მაქვს, რომ ამ პროცესში ინტელექტი არა მხოლოდ არ მონაწილეობს, არამედ დამხმარე ფუნქციას ასრულებს. და კიდევ: მაღალი ხელოვნება თავისი გამოჩენის მომენტში შეიძლება გაგებული და შეფასებული იქნას არცთუ ისე ბევრის მიერ. მე მასობრივ ლიტერატურას ვაკეთებ, მაგრამ ეს სულაც არ მაკომპლექსებს. ეს წარმტაცი სამუშაოა, მაღალპროფესიული და, როგორც მეჩვენება, კიდევ უფრო საჭირო, ვიდრე ელიტარულ ხელოვნებაში საქმიანობა.

-სხვა ოსტატების მაგალითებზე თუ სწავლობდით ბელეტრისტიკის ხელოვნებას? რა წინააღმდეგობაშია აკუნინი ტრადიციულ რუსულ მწერლობასთან? რა ძირითადი თვისებები აქვს თანამედროვე რუსულ პროზას?

-დიახ, რა თქმა უნდა. მისაბაძად ბრწყინვალე ნიმუშები - რამდენიც გინდა, იმდენია. ბელეტრისტიკის შედევრი ბულგაკოვია. „ოსტატი და მარგარიტა" და „თეთრი გვარდია". ამაზე უფრო მომხიბვლელი, ჩემი აზრით, რუსულად არაფერი დაწერილა. ლამაზად და მსუბუქად, ღრმად, და, ამასთან, ქვემოთ კი არ გიშვებს, მაღლა აჰყავხარ. აი, ესეც ბელეტრისტიკის იდეალური ფორმულა: მსუბუქად, წარმტაცად და გამართულად მარადიულზე და მთავარზე. თანამედროვე რუსული ლიტერატურა საპირისპიროთი სცოდავს: მძიმეა, წარმტაცი არ არის და მეტისმეტად დალაგებულად გვაბეზრებს თავს თავისი უმნიშვნელობით.

-არის თუ არა თანამედროვე ანდა ისტორიული მოსკოვი თქვენი შთაგონების წყარო?

-დიახ, მე მიყვარს დღევანდელი მოსკოვი. ჩემი აზრით, დღეს ეს ყველაზე საინტერესო ადგილია დედამიწაზე კულტურის მხრივ. ამას პატრიოტული პათოსის გარეშე ვამბობ, ვინაიდან კარგად მახსოვს ის ხანაც, როცა მოსკოვი ერთი მიყრუებული და კულტურულად მივარდნილი ადგილი იყო. დღეს ეს ცოცხალი და ხორკლიანი, სასტიკი და მშვენიერი ქალაქია, სადაც - ძალიან ცუდი, თუ მოხუცი ხარ და, პირიქით, ჩინებულია, აქ ახალგაზრდა იყო. ეს ვამპირია, ნიჭიერ სისხლს ყველა კაპილარიდან რომ სწოვს უშველებელ, სწრაფად ცვალებად ქვეყანას. ეს კი მთელი რუსეთისთვის, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ მოსკოვისთვის - შესანიშნავი.

-როგორ გგონიათ, შემთხვევითია თუ არა სოციალური და ეკონომიური არეულობა მართლმადიდებლურ ქვეყნებში?

-რატომ მარტო მართლმადიდებლურებში? განა მუსულმანურ ან კათოლიკურ ქვეყანათა უმეტესობაში საქმეები უკეთესადაა? დღეს ყველაზე კარგად ის ქვეყნები არიან, სადაც ადრევე განმტკიცდა შრომისმოყვარეობის, პირადი მორალის და მოთმინების პროტესტანტული ეთიკა. რუსეთში და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოშიც ეს თვისებები ჯერ კიდევ საკმაოდ ეგზოტიკურია.

-„...გასული ასწლეულის რუსეთი, განსაკუთრებით მეორე ნახევარში ერთობ რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიანად გამოიყურებოდა...“ - ეთანხმება თუ არა ავტორი შვილიშვილი - ფანდორინის ამ აზრს?

-თქვენ წარმოიდგინეთ, ეთანხმება. ველურობა, რასაკვირველია, ცოტა არ იყო, მაგრამ იმაზე მეტი არა, ვიდრე რომელიმე ესპანეთში. ალექსანდრე მესამე რომ ცოტა უფრო გონიერი ყოფილიყო და კონსტანტინე პეტრეს ძე პობედონოსცევისთვის კი არა, უფრო შორსმჭვრეტელი მრჩევლებისთვის ესმინა, მაშინ რევოლუციის გარეშეც კი გადავრჩებოდით.

-„პატრიოტიზმი“, „ოქროს ტაძარი“, „ჩემი მეგობარი ჰიტლერი“ - თქვენი საჩუქარია მთელ ყოფილ საბჭოთა სივრცეზე. მე, როგორც სცენარის თანაავტორი, ვმუშაობდი სატელევიზიო დადგმაზე, რომელიც საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე განხორციელდა 1999 წელს (რეჟისორი ანდრო ენუქიძე, როლებში - ზურაბ ყიფშიძე და მიხეილ გომიაშვილი). როგორი მისიმა უფრო მოგწონთ: დასავლელი თუ იაპონელი ტრადიციონალისტი?

-მისიმა მაინტერესებდა არა როგორც იდეოლოგი ანდა ამა თუ იმ ფასეულობის მატარებელი, არამედ, როგორც უნათლესი მაგალითი უსაზღვრო ნიჭისა, რომელიც, ღმერთმა იცის, ვის დაატყდება თავზე. სიტყვის, მეტაფორის, ფსიქოლოგიის ვირტუოზული ფლობა - აი, რას ვცემ მისიმაში პატივს და რითი ვარ აღფრთოვანებული. თვითონ მისიმა კი მებრალება: ძალიან მძიმე ტვირთი აღმოჩნდა ამ კაცისთვის ნიჭი და გასრისა კიდეც.

-როგორია კრიტიკის დამოკიდებულება თქვენთან? პირიქით?

-თავიდან კრიტიკა თავზე ხელს მისვამდა, წიგნები კი ცუდად იყიდებოდა. მერე წიგნები კარგად იყიდებოდა, კრიტიკოსები კი ილანძღებოდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩემთვის ცოდვა იქნება, კრიტიკაზე დავიწყო ჩივილი: პროექტის პირველ ეტაპზე მისი კეთილგანწყობა რომ არა, მაშინ, ალბათ, არც წარმატება იქნებოდა.

-როგორ შეიტყო ჰოლივუდის რეჟისორმა პოლ ვერხოვენმა „აზაზელის“ შესახებ და მერე რა მოხდა?

-ფრანგულად წაიკითხა „აზაზელი“, თავის აგენტებს დაავალა ჩემი ელექტრონული მისამართის პოვნა და წერილი გამომიგზავნა. თავიდან გადავწყვიტე, რომ ეს ვიღაცის სულელური ხუმრობაა, მაგრამ მერე ამერიკული სააგენტოდანაც მოვიდა წერილი. ახლა კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ფილმს გადაიღებენ. მე უკვე მოვასწარი ჰოლივუდის სტატისტიკის ექსპერტად გახდომა და ვიცი, რომ ყოველი ხუთი ხელმოწერილი კონტრაქტიდან მხოლოდ ერთი გადაიქცევა გადაღებულ ფილმად.

-როგორც ჟურნალისტები ამტკიცებენ - „ფიოდორ მიხეილის ძე დოსტოევსკის სახეს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის წვერს აწებებთ...“ ეთანხმებით?

-მე კიდევ ბევრ სხვა რამესაც ვაწებებ: ლერმონტოვის ულვაშებს, დიუმა-მამის გრუზა და ხშირ თმას; ზემოდან ვახურავ აგატა კრისტის შლაპას, ცხვირზე კი უმბერტო ეკოს სათვალეს ვარგებ... ეშმაკმა უწყის, რა გამოდის.

ინტერვიუს დასასრული.

## *მოკლე შენიშვნა ცნობისმოყვარე მკითხველისთვის:*

*გრიგოლ ჩხარტიშვილი თბილისში ჩამოსვლას ჯერ არ აპირებს. როცა დააპირებს, ალბათ, მეც გამაგებინებს. მე კი არ დავზარდებით და თქვენც გაგანდობთ ამ ახალ ამბავს.*

*მანამდე კი შეგიძლიათ ამ ჩინებული ბელეტრისტის შესანიშნავი რომანები იკითხოთ და თანაც გაითვალისწინოთ, რომ ჩხარტიშვილთა გვარის ეტიმოლოგიას გურიაში მივყავართ და ერთ პატარა, ველურ ჩიტს მოგვაძებნინებს, რომელსაც გურულ დიალექტზე „ჩხარტი“ ჰქვია, საერთოქართულზე „ჩხართვად“ მოიხსენიებენ, ლათინურად კი ასე -* **Turdus Viscivorus Viscivorus.**

*ჩხართვი შაშვისებრთა ოჯახის წარმომადგენელია: საერთოდ შავია, მაგრამ მკერდი ჭრელი აქვს და თავისებურად, თავის ნებაზე გალობს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის აკუნინი

*მეცხრამეტე საუკუნის სამახსოვროდ, როცა ლიტერატურა დიადი იყო, პროგრესის რწმენა - უსაზღვრო, ხოლო დანაშაულობანი ხდებოდა და იხსნებოდა მოხდენილად და გემოვნებით.*

*ბ. აკუნინი*

# აზაზელი

## სასისხლო საქმის რომანი,
ანუ
კონსპიროლოგიური დეტექტივი

გადმოქართულდა და იბეჭდება ავტორის თავაზიანი ნებართვით.

თავის ღარიბ ჭირნახულს მთარგმნელი დიდი რიდით და კრძალულობით უძღვნის დიდებულ დარბაისელს, თავად ილია ჭავჭავაძეს, მრავალ ტვირთმძიმე საქმეთა ანგარიშში ჩაუგდებლად 1879 წელს ქართულად რომ გადმოიღო და ჟურნალ „ივერიაში“ დასტამბა „იზა“, რომანი ალექსანდრ ბუვიესი.

### *პირველი თავი,*
### *რომელშიც აღწერილია ერთი ცინიკური გამოხდომა*

1876 წლის 13 მაისის ორშაბათს, შუადღის· მესამე საათზე, გაზაფხულის ხასხასა და ზაფხულივით თბილს დღეს ალექსანდრეს ბაღში, უამრავი მოწმის თვალწინ უმსგავსობა მოხდა, ისეთი შემთხვევა, არანაირ ჩარჩოებში რომ არა თავსდება.

ხეივნებში, აყვავებული იასამნის ბუჩქებსა და ალისფრად ანთებული ტიტების ყვავილნართა შორის მოხდენილად გამოწყობილ საზოგადოებას სეირნობა გაემართა - ქალბატონები მაქმანიანი (ჭორფლისთვის რომ დაეღწიათ თავი) ქოლგებით, აღმზრდელები მეზღვაურის კოსტიუმიანი ბავშვებით, მოწყენილი გამომეტყველების ახალგაზრდები მოდურ შევიოტის სერთუკებში ანდა მოკლე, ინგლისური მანერის პიჯაკებში. არაფერი იტყობინებოდა უსიამოვნების შესახებ. ჰაერში, რომელიც სავსე იყო უკვე ძალაში შესული, ღონიერი გაზაფხულის სურნელით, იღვრებოდა მცონარე კმაყოფილება და საამო მოწყენილობა. მზე არცთუ სახუმაროდ გაფიცხებულიყო და ის მერხები, ჩრდილში რომ მოხვდა, დაკავებული გახლდათ.

ერთ მათგანზე, გროგის მახლობლად რომ იდგა და გისოსისკენ იყო მიქცეული, რომლის იქით ნეგლინნაიას ქუჩა იწყებოდა და მანეჟის ყვითელი კედელი მოჩანდა, ორი მანდილოსანი იჯდა. ერთი, მთლად ახალგაზრდა (სწორედაც, ქალბატონი კი არა, არამედ ქალიშვილი) ტარსიკონის ყდაში ჩასმულ წიგნს კითხულობდა, ხან კი დაფანტული ყურადღებით გაიხედ-გამოიხედებოდა ხოლმე. მეორე, გაცილებით უფროსი, კეთილშობილ მუქ-ლურჯ შალის კაბაში და პრაქტიკულ, თასმებიან ბოტებში, ჩხირების მოზომილი მოძრაობით მიზანდასახულად ქსოვდა რაღაც შხამისფერ-მოვარდისფროს. ამასთან, იმასაც კი ასწრებდა, თავი ხან მარჯვნივ მიებრუნებინა, ხანაც მარცხნივ და მისი გაჩქარებული მზერა იმდენად გამჭრიახი იყო, რომ ნამდვილად არაფრით გამოეპარებოდა სულ ოდნავ შესამჩნევი მოძრაობაც კი.

ვიწრო, კვადრატულ შარვალში, ჟილეტზე უდარდელად მოღეღილ სერთუკში და მრგვალ შვეიცარიულ შლაპაში გამოწყობილ ყმაწვილკაცს ქალბატონმა უწინვე მიაქცია

ყურადღება - ძალზე სნეულებრივი უცნაურობით მოაბიჯებდა ხეივანში: ხან გაჩერდება, ვიღაცას აკვირდება მოსეირნეებში, ხან რამდენიმე გაჩქარებულ ნაბიჯს გადადგამს და ისევ შესდგება. ამ გაუწონასწორებელმა სუბიექტმა მოულოდნელად ჩვენს მანდილოსნებს შეხედა და თითქო რაღაც გადაწყვეტილება მიიღოო, მათკენ გასწია სწრაფად. მერხის წინ შესდგა და ტაკიმასხრული ფალცეტით მიმართა ახალგაზრდა ქალიშვილს:

-ქალბატონო! უწინ ვინმეს თუ უთქომს, რომ თქვენ გადაუტანლად მშვენიერი ჰბრძანდებით?

ქალიშვილი, რომელიც მართლაცდა საუცხოო რამ იყო, თავხედს მიაჩერდა და შიშისგან ოდნავ გააღო მარწყვისფერი ტუჩები. მისი ხნიერი თანამგზავრიც სახტად დაჰრჩა ასეთი გაუგონარი დაურიდებლობით.

-პირველის ნახვისთანავე დავმარცხდი! - იმანჭებოდა უცნობი - სხვათა შორის, სრულიად პრეზენტაბელური ყმაწვილკაცი (მოდურად აკრეჭილი საფეთქლები, მაღალი, ფერმკრთალი შუბლი, აღგზნებულად ანთებული თაფლისფერი თვალები). - ნება მიბოძეთ, თქვენს უმანკო შუბლზედ კიდევ უფრო უმანკო, სავსებით ძმური კოცნა აღვჰბეჭდო!

-ბატონო, ტკვენ ხომ სრულიად მტვრალი ხარტ? - გონს მოეგო მქსოველი ქალბატონი, თანაც აღმოჩნდა, რომ ნემენცებისთვის დამახასიათებელი აკცენტით ლაპარაკობს.

-მე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით ვარ მთვრალი, - დაარწმუნა ის თავსგასულმა და იმავ არაბუნებრივი, ღმუილს აყოლილი ხმით მოითხოვა. - ერთი-ერთადერთი კოცნა, თუ არადა, დაუყოვნებლივ გულ-ხელს დავიკრიფავ!

ქალიშვილი მერხის ზურგისკენ მიიწია და სახეც თავისი ნემენცი დამცველისკენ მიაბრუნა. იმან კი, სიტუაციის შემაშფოთებლობის მიუხედავად, მაინც სრული სიმშვიდე გამოამჟღავნა სულისა.

-ახლავ მიბრძზანდიტ აკედან! ტკვენ შეშლილი ხარტ! - ხმა აღიმაღლა მან და თავისი საქსოვი, საომრად მომზადებული ჩხირებითურთ, წინ წამოსწია. - იცოდეტ, პოლიცაის ვუდზახებ!

და აქ რაღაც უფრო ველური მოხდა.

-აჰ, ასე, არა?! მე უვარმყოფენ! - ყალბი სასოწარკვეთით წაუტირა ყმაწვილკაცმა, სასურათედ აიფარა თვალებზე ხელი და მოულოდნელად ჯიბიდან შავად მბზინვარე ფოლადის მომცრო რევოლვერი დააძრო.

-ამის მერე ჰღირს კიდევ სიცოცხლე? თქვენი ერთი სიტყვა და, მე ვიცოცხლებ! თქვენი ერთი სიტყვა და, მკვდარი დავეცემი! - მიმართავდა იგი ქალიშვილს, რომელიც, უამისოდაც, არც მკვდარი იჯდა და აღარც ცოცხალი. - თქვენ დაჰსდუმდით? მაშინ, მშვიდობით!

იარაღთან შეხუმრებული ბატონის სანახაობას, შეუძლებელია, მოსეირნეთა ყურადღება არ მიექცია. რამდენიმე ადამიანი იმათგან, ვინც შორიახლო აღმოჩნდა - ჩაპუტკუნებული ქალბატონი ხელში მარაოთი, მედიდური ბატონი კისერზე ანენსკის ჯვრით, ორი ინსტიტუტკა ერთნაირი ყავისფერი, მოსასხამიანი ქვედაბოლოებით - ადგილზე გაქვავდა, და ზღუდის იქითა მხარესაც კი, ეს უკვე ტროტუარზე, ვიღაც სტუდენტი შეჩერდა. ერთის სიტყვით, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ამ უმსგავსო სურათს მყისიერი დასასრული ექნებოდა.

მაგრამ შემდეგ ყველაფერი ისე ჩქარა მოხდა, რომ ვერვინ მოასწრო ჩარევა.

-ესეც იღბალი! - დასძახათ მთვრალმა (შესაძლოა, შეშლილმაც კი), რატომღაც რევოლვერიანი ხელი თავსზეით, მთელ სიმაღლეზე აღმართა, დოლურა დააბზრიალა და ლულა საფეთქელთან მიიდო.

-კლოუნო! ლაზგანდარავ! - ამოისისინა გულადმა ნემენცმა ბანოვანმა და სალანძღავი სიტყვების არცთუ ურიგო ცოდნა გამოამჟღავნა.

ისედაც ფერდაკარგულ ყმაწვილკაცის სახემ ჯერ ნაცრისფერი და შემდგომ მწვანე ფერი მიიღო. მერე ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და თვალები მოჭუტა. ყოველშემთხვევისთვის, ქალიშვილმაც დახუჭა მშვენიერი თვალები.

და სწორედაც მოიქცა -' ამან ხომ კოშმარული სანახაობა აარიდა: იმ წამს, როცა ტყვიამ დაიქუხა, თავისმკვლელის თავი მკვეთრად გადაქანდა გვერდზე და მარცხენა ყურის ოდნავ ზემოთ მდებარე გამჭოლი ნასვრეტიდან თეთრწითელმა შადრევანმა ამოხეთქა.

დაიწყო რაღაც ენით უთქმელი. ნემენცი ბანოვანი აღშფოთებით გამოიცქირებოდა, თითქო ასეთი გაუგონარი უმსგავსობის მოწმად იწვევდა ყველას. მერე თავისი გულისგამგმირე წიაქი ზედდაურთო ინსტიტუტკების და ჩაპუტკუნებულ ქალბატონის წივილ-კივილს, რომლებიც ამ ხმებს უკვე რამოდენიმე წამის განმავლობაში გამოსცემდნენ. ქალიშვილი უგრძნობლად იწვა - წამით მაინც გაახილა თვალი და მაშინვე უკანვე გაბრუნდა. ყოველი მხრიდან გამორბოდნენ, ხოლო ის სტუდენტი, ზღუდესთან რომ იდგა, პირიქით გაჩქარდა, ხიდისკენ, მოხოვოის მხარეს.

●●●

ქსავერი თეოფილაქტოვიჩ გრუშინმა, მოსკოვის ობერ-პოლიცეიმეისტერის სამძებრო განყოფილების საგამომძიებლო ბოქოულმა შვებით ამოისუნთქა და მარცხნივ, „უკვე ნანახის“ დასტის მხარეზე გადასდო დღის მნიშვნელოვან დანაშაულობათა კრებსი (ნაკრები ცნობები). ექვსასათასიანი ქალაქის ოცდაოთხი პოლიციის ნაწილიდან ჩავლილ დღე-ღამეში, ანუ მაისის თვის 13 რიცხვში, გულისხმაში ჩასაგდები არც არაფერი მომხდარა, რაიც ჩუმათ-მაძებრის ჩარევას დაისაჭიროებდა. მთვრალი ხელოსნების ჩხუბით გამოწვეული ერთი

მკვლელობა (მკვლელი ადგილზეა დაკავებული), ორი მეეტლის გაძარცვა (ამას უბნებმა მიხედონ), რუსულ-აზიური ბანკიდან შვიდი ათას რვაას ორმოცდაცამეტი რუბლის და ორმოცდარვა კაპეიკის დაკარგვა (ეს, საზოგადოდ, ანტონ სემიონოვიჩის მხარეზედ გახლავსთ, კომერციული ბოროტმოქმედების განყოფილებიდამ). ღმერთსა მადლი, ყველანაირ წვრილმან ჯიბის ქურდობებზე, თავჩამომხრჩვალ მოახლეებზე და მიგდებულ ჩვილებზე აღარაფერს აგზავნიან - სწორედ მაგისთვის არსებობს „ქალაქური შემთხვევების პოლიციური კრებსი", რომელიც განყოფილებებს დღის მეორე ნახევარში მისდით.

ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა ნებივრად დაამთქნარა და კუს პენსნეს ზემოდან მწერალ-მწარმოებელს, მეთოთხმეტე კლასის ჩინოვნიკს, ერასტ პეტროვიჩ ფანდორინს გახედა, ბატონი ობერ-პოლიცეიმეისტერისთვის წარსადგენ ანგარიშს უკვე მესამედ რომ სწერდა. არაფერი უჭირს, გაიფიქრა გრუშინმა, ამთავითვე შეეჩვიოს წესრიგს, მერე თვითონვე იტყვის მადლობას. ერთი ამათ დამიხედეთ, მოდა აიღეს - ფოლადის კალმით ელაყებიან და მერე ვის, თვით ზემდგომ უფროსობას. არა, გენცვალე, დაჰსჯექ და ნელა-ნელა, ჩვენებურათ, ძველებურათ, ბატის ფრთით, მთელის თავისის მონასმებითა და ჩაჰხვეულებით დასწერევი. მის აღმატებულებას იმპერატორ ნიკოლაი პავლოვიჩის ხანაში ჰზრდიდნენ, წესრიგი და წოდებათა პატივისცემა კარგათ ესმის.

ქსავერი თეოფილაქტოვიჩს გულითა და სულით ჰსურდა ამ ყმაწვილის სიკეთე, მამაშვილურად ეცოდებოდა. უნდა კი მოგახსენოთ, რომ ბედისწერამ ეს ახალგამომცხვარი მწერალ-მწარმოებელი არ დაინდო. ცხრამეტი წლისა ორთავემხრივ ობოლი დარჩა - დედა პატარაობიდან არ ახსოვდა, ხოლო ქარიყლაპია მამამისმა მთელი ქონება ცარიელ პროექტებში გაუშვა, თავის პირმშოს კიდევ დაუბარა, აბა-და, შენ იცი, მრავალჟამიერ იცხოვრეო. რკინიგზის ციებ-ცხელებისას გამდიდრდა, მაგრამ ბანკობიამ მოინელა. გასულ წელს, როგორც კი ერთი მეორის მიყოლებით ბანკების გაკოტრება დაიწყო, ბევრი ღირსეული კაცი წარუდგა უფალს. მეტათ საიმედო პროცენტიანი ქაღალდები სულ ფარატინებად გადიქცა, არარაობად. ჰოდა, ბატონმა ფანდორინმა, გადამდგარმა პორუჩიკმა, ამ დარტყმისთანავე ცაში წარმდგარმა, თავის ერთადერთ შვილს, ვექსილების გარდა, არც არაფერი დაუტოვა. ბიჭს გიმნაზია მაინც გაესრულებინა და მერე ჰუნივერსიტეტი, ამის მაგივრად - მიბრძანდი მშობლიური კედლებიდან ქუჩაშია და დღიური ლუკმა-პური იშოვნე. ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა სიბრალულის ნიშნად ამოიხვნეშა. კოლეგიის რეგისტრატორის გამოცდა ობოლმა კი დაიჭირა, ასეთი აღზრდილი ყმაწვილისთვის ეს სულაც არ იყო საძნელო, მაგრამ პოლიციაში რაღამ მოიყვანა? სტატისტიკაში მაინც ემსახურნა, თუნდაც სასამართლოს ნაწილში. ამის ასაკში მთელი რომანტიკა ჭკვაში გვაქვს, ყველანი კ ა რ დ უ დ ა ლ ე ი ს (ფანდორინმა იცოდა, რომ მისი უფროსი ფრანცუზი ტერორისტის ჟ. კარდუდალის გვარს ამახინჯებდა, რომელსაც თავის დროზე ნაპოლეონის მოკვლა ჰქონდა განზრახული) შეპყრობაზედ ვოცნებობთ. აი, ჩვენთან კი, ჭირიმე, კ ა რ დ უ დ ა ლ ე ე ბ ი არა გვყავს (ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა დაწუნებით გადააქნია თავი), ჩვენთან ყველა სადიდო შარვლებით ჰსხედან და ოქმებს იმაზედ ჰსწერენ, თუ მეშჩანინმა გოლოპუზოვმა სიმთვრალის ნიადაგზედ კანონიერი თანამეცხედრე და სამი თავისი ბღარტი ცულით როგორ დაჰსჩეხა.

მესამე კვირა იყო, სამძებროში მუშაობდა ყმაწვილი ფანდორინი და უკვე მტკიცედ უწყოდა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა, ყოფილმა მაძებარმა და სწორედ ამიტომ, მეტად გაქნილმა, რომ ამ ბიჭისგან ხეირი არა იქნებოდა რა. აზიზ-მაზიზი სჩანს და თანაც მეტად დახვეწილი აღზრდა მიუღია. ჰაიდა-აჰა, წაიყვანა ერთხელაც, პირველსავე კვირას გრუშინმა დანაშაულის ადგილზე (აი, ვაჭრის ცოლს რომ გამოსჭრეს ყელი). ჰოდა, შეხედა ფანდორინმა მკვდარს, სახეზე სულერთიანად გადამწვანდა და კედელ-კედელ-კედელ გააღწია ეზოშდინ. ეხლა, ეგეც მართალია, რომ ვაჭრის ცოლს სულაც არ ჰქონდა გულისმისასვლელი შესახედაობა - ყურიდამ ყურამდე გამოღადრული ყელი, ენა გადმოვარდნილი, თვალები გადმოკარკლული და თან ეს სისხლიც, თავისთავად, ლამის ზღვად იყო დამდგარი. ჰოდა, თავად ქსავერი თეოფილაქტოვიჩს მოუწია წინდაწინი მოკვლევის გამართვაც და ოქმის დაწერაც. ისე, სწორედ მოგახსენოთ, ძალზედ უეშმაკო საქმე კი გამოსდგა. იმ მეეზოვე კუზიკინს იმგვარად დაურბოდა თვალები, რომ ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა იქვე უბრძანა გოროდოვოის, ქეჩოში ჩაევლო და ვირის აბანოში მიებრძანებინა. უკვე ორი კვირაა ჩაყუდებული კუზიკინი და მაინც უარზე სდგას, მაგრამ ეგ არაფერი, თავისით გამოტყდება. მაშ აბა-და, სხვას ვის უნდა გამოეჭრა ყელი ვაჭრის ცოლისთვის - ოცდაათი წლის სამსახურმა ზედამხედველ ბოქოულ გრუშინს შეუმცდარი ყნოსვა გამოუმუშავა. მაგრამ ფანდორინი კანცელარიაში გამოდგება. კარგი აღმსრულებელია, ჩინებულად სწერს, ენების ავანჩავანიც მოეკითხება, საზრიანია, თან მომართვაც სასიამოვნოდ იცის. იმ ბედნავს ლოთს - ტროფიმოვს კი არა ჰგავს, გასულ თვეში წერილების დამტარებლის თანამდებობიდან საპოლიციო უბნის უფროსის თანაშემწედ რომ გადმოიყვანეს ხიტროვკაზე. გაუშვი, ილოთოს და უფროსობაზე უხამსობები ილაყბოს.

გრუშინმა სიბრაზით ააკაკუნა თითები სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურის უკვე მობეზრებულ, მაუდგადაკრულ მაგიდაზე, ჟილეტის ჯიბაკიდან საათი ამოიღო (უჰ, სადილამდე კიდევ ბევრი დარჩა) და უყოყმანოდ თავისკენ მიიჩოჩა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ცხელ-ცხელი ნომერი.

-აბა-და, დღეს რიღათი მოგვიყვანენ გაკვირვებაზედ, - გასაგონად ჩაილაპარაკა და ყმაწვილმა მწერალ-მწარმოებელმა მაშინვე გადასდო უკვე მობეზრებული ბატის ფრთა, რაკიღა კარგად იცოდა, რომ ახლა მისი უფროსი სათაურებისა და ყველანაირი რამე-რუმეებით ხმამაღალ კითხვას მოჰყვება, ზედაც კომენტარებით - რას ვიზამთ, ჰქონდა ქსავერი თეოფილაქტოვიჩს ასეთი რჯულზედ უმტკიცესი ჩვეულება.

-ერთი ამას დამიჰხედეთ, ერასტ პეტროვიჩ, პირველსავე გვერდზედ მიუციათ ადგილი, ყველაზედ გამოსაჩენს ალაგას.

*უახლესი ამერიკული კორსეტი*
*„ლ ო რ დ   ბ ა ი რ ო ნ ი“*
*ვეშაპის უმტკიცესი ულვაშისგან,*
*მამაკაცებისთვის,*
*ვისაც სურვილი აქვს, ტანადი იყოს.*
*წელი დუიმში, მხრები საჟენში!*

- ასო-ნიშნებს დახე, ასო-ნიშნებს - არშინიანი მაინც იქნება. და, ქვემოთ კიდევ, პატარაზედ,

*ხელმწიფე მიემგზავრება ემსში.*

და, რა თქმა უნდა, იფიქრებ - ხელმწიფე უფრო დიდი ფიგურაა თუ ეს ვიღაც „ლორდ ბაირონი!“

უკეთილესი ქსავერი თეოფილაქტოვიჩის ბუზღუნმა მწერალ-მწარმოებელზე საკვირველი ზემოქმედება იქონია. რატომღაც აირ-დაირია, ღაწვები შეუფაკლდა და გრძელი წამწამები დამნაშავესავით აუფახულდა. რაკი წამწამებამდეც მივიდა საქმე, მკითხველო, უმჯობესი იქნება, ერასტ პეტროვიჩის გარეგნობა უფრო ზედმიწევნით გამოვხატოთ, რაღაი სწორეთ ამას უწერია ბედის წიგნში, მთავარი ალაგი დაიჭიროს იმ საცვიფრო, საშიშ მოვლენებში, თავს რომ გადაგვხდება ძალიან მალე. ეს გახლდათ საკმაოდ საამოდ სანახავი ყმაწვილი, შავი თმით (რითაც ჩუმად იკვეხნიდა) და ლაჟვარდისფერი (ეჰ, საწყინოა, უმჯობესი იქნებოდა, ისიც შავი ყოფილიყო, რაღა) თვალებით; საშუალოზე მაღალი, თეთრი პირისახით; იმისი სახის მეტყველება ხშირათ ამჟღავნებდა წყეულ, გაუქრობელ ღაწვთა სიწითლეს. ეხლა კი, მოდით, ერთად გავშინჯოთ მიზეზი, რომლის გამოც ამრიგად შეცბუნებულიყო კოლეგიის რეგისტრატორი. საქმე ის გახლდათ, რომ გუშინსწინ მთელი თავისი თვიური ჯამაგირის ნასამალი ამ გაზეთში საქვეყნოდ გამოფენილ კორსეტში მიახარჯა, მეორე დღე მიდიოდა „ლორდ ბაირონში“ იარებოდა და სილამაზის სახელით სულ ჭირის ოფლში იწურებოდა. ახლა კი ეჭვი მიიტანა (სრულიად უსაფუძვლოთ), რომ გამჭრიახმა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა ამოიცნო თავისი თანაშემწის დევგმირული აგებულების საიდუმლო და მასხარად აგდებას ეპირება.

ხოლო ბოქოული კი განაგრძობდა,

*ოსმალო-თათართა მხეცობა ბოლღარიაში.*

-ყველა-ყველა და, ეს სადილის წინ საკითხავი სულაც არ გახლავსთ...

*ა ფ ე თ ქ ე ბ ა   ლ ი გ ო ვ კ ა ზ ე*

*ჩვენი სანკტ-პეტერბურღელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ გუშინ, დილის 6. 30., ზნამენსკის ქუჩაზე, მრჩეველ ვარტანოვის კომერციის შემოსავლიან სახლში აფეთქება მოხდა, რომელმაც მეოთხე სართულის ბინა ნამსხვრევებად გადააქცია. ადგილზედ მისულმა პოლიციამ ნახა ვაი-ვაგლახად დამახინჯებული ყმაწვილკაცის ნარჩენები. ბინას ქირავნობდა ვინმე უფალი პ., პრივატ-დოცენტი, რომლის გვამიც, სჩანს, აღმოაჩინეს. სადგომის მოწყობის გარემოებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ იქ საიდუმლოს ქიმიურის ლაბარატორიის მზგავსი რამ იყო გამართული. გამოძიების ხელმძღვანელი, სამოქალაქო მრჩეველი ბრილლინგი ვარაუდობს, რომ დასახჩელებულ ბინაზედ ნიღილისტების ტერორისტული ორღანიზაციის ჯოჯოხეთური მაშინები მზადდებოდა. გამოძიება გრძელდება.*

-ჰაიდა-აჰა, მადლი ღმერთს, რომ პიტერში არა ვართ.

ახალგაზრდა ფანდორინის თვალთა ელვარებით თუ განვსჯით, ამჯერად სხვა აზრის გახლდათ. მთელი მისი სახის მეტყველება მჭევრმეტყველურად იძახდა: აჰა-და, დედაქალაქში საქმესა სწევიან, ბომბისტებს დასდევენ. ათჯერ კი არ გადასწერენ ხოლმე ამ სულელურ ქაღალდებსა, რომლებშიც, ამას ბევრი ლარი და ხაზი აღარ უნდა, არც არაფერია საინტერესო.

-კეთილი, - გაზეთი გააშრიალა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა,- აბა-და, გავშინჯოთ, ქალაქის გვერდზედ რა მოუთავსებიათ.

*პირველი მოსკოვური ესტერნატი*

*სახელგანთქმულმა ანღლიელმა მეოხმა, ბარონესსა ესტერმა, რომლის მზრუნველობითაც სხვადასვა ქვეყნებში მოწყობილია ეგრეთ წოდებული „ესტერნატები“ - სამაგალითო თავშესაფრები ობოლი ბიჭებისათვის, ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ “ზლატოგლავაში”, ბოლოსდაბოლოს, განიხვნა პირველის ამდაგვარის დაწესებულების კარიბჭე. ლედი ესტერმა, რომელიც გასულის წლიდან შეუდგა თავის მოღვაწეობას რუსეთშია და უკვე მოასწრო ერთი ესტერნატის გახსნა პეტერბურღში, გადაწყვიტა, ქველმოქმედობა გასწიოს მოსკოველ ობლებისთვისაც...*

-მ-მ-მ..

*ყოველი მოსკოველის გულითადი*

*სამადლობელი... სად გახლავან ჩვენი ოუენები და ესტერები?*

-კეთილი. უფალი იმათთან, იმ ობლებთან. აქ რაღა გვაქვს,

*ც ი ნ ი კ უ რ ი   გ ა მ ო ხ დ ო მ ა*

-ჰმ, საინტერესოა,

*ახლანდელის ყმაწვილკაცობის ცინიკური ზნე-ჩვეულებების მეოხებით მეტად საწუხო შემთხვევა მოხდა გუშინ ალექსანდრეს ბაღში. მოსეირნეთა თვალწინ ტყვია დაიხალა უფალმა N.-მა, ოცდასამი წლის სამოქალაქომ, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მილიონიანი ქონების ერთადერთმა მემკიდრემ.*

-ოჰო!

*ვიდრე ამ განუსჯელ საქციელს ჩაიდენდა, მხილველთა მოწმობით, თავხედურად ათამაშებდა რევოლვერს. თავდაპირველად ეს ქცევა გამვლელებმა ქეიფის კაცის ბაქიბუქათ მიიჩნიეს, თუმცა სულაც არა ხუმრობდა თურმე, შუბლში ტყვია იკრა და ადგილზე გათავდა. თავისმკვლელის ჯიბეში იპოვეს აღმაშფოთებელი ათეისტური შინაარსის ბარათი, საიდანაც ცხადი ხდება, რომ N.-ის საქციელი ალალბედზე მიღებული გადაწყვეტილებით ანდა თეთრი ცხელების ზედმიყოლებული ქმედობა არა ყოფილა. მაშ, ამრიგად, უმიზეზო თავისმოკვლის მოდურმა ეპიდემიამ, აქამომდე რომ პეტროპოლის ჭირი გახლდათ, დედილო-მოსკოვის გალავანამდეც მოაღწია. ვაჰ, დრონი! ვაჰ, ზნეობანი! ურწმუნოებისა და ნიჰილიზმის როგორ უკიდურეს სამძლვრამდინ უნდა მისულიყო ჩვენი ოქროს ახალთაობა, თავისი სიკვდილიდანაც კი ამგვარი ბუფონადა რომ გაემართნა? თუკი ჩვენებურ ბრუტოსთა დამოკიდებულება თავის სიცოცხლესთან ამდაგვარი გახლავსთ, მაშინ განა უნდა გაგვიკვირდეს, გროშადაც რომ არ უღირთ სხვების, გაცილებით ღირსეული ადამიანების სიცოცხლე? აქ მოგვყავს თითქო საგანგებოდ ამისთვის დაწერილი უპატივცემულესი ფიოდორ მიხაილოვიჩ დოსტოევსკის ახლახანს გამოსული „მწერლის დღიურების“ მაისის წიგნაკიდან ერთი ნაკვთი: „ძვირფასებო, კეთილებო, პატიოსნებო (ეს ყოველისფერი თქვენ გაქვსთ!), საით გაგიწევნიათ, ეგრე რამ გაგიძვირფასათ ეგ ბნელი და გამოყრუევბული საფლავი? შეჰხედეთ, ცაზედ გაზაფხულის ნათელი მზეა, ხეები იფურჩქნება. თქვენ კი ისე გადიქანცეთ უკვე, რომ ჯერ არც კი გიცხოვრნიათ“.*

ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა აღელვებით დააქსუტუნა ცხვირი და მკაცრად გახედა თავის ყმაწვილ თანაშემწეს - აბა-და, ხომ არ შეამჩნია, რის შემდგომაც ერთობ მშრალად განაგრძო:

-და ასე შემდგომ, და ასე შემდგომ. ხოლოთუ დროება აქ არაფერ შუაში არ გახლავსთ. სწორედ მოგახსენოთ, ჩვენთან რუსეთში ეგეთების გამო ძველები იტყოდნენ სიმსუქნისგან გაშმაგდაო. მილიონიანი ქონება? მაინც ვინ უნდა ყოფილიყო? ისიც ხომ ცნობილია, რომ ეს გაიძვერა უბნის ბოქოულები ყველანაირ აბდაუბდას მოგვახსენებენ ხოლმე, აქ კი ანგარიშშიც კი არ ჩაურთავთ. ელოდე ეხლა ქალაქურ შემთხვევათა კრებსს! თუმცა რა, აქ ადვილი შემთხვევა გახლავსთ, მოწმათა თვალწინ მოიკლა თავი... და მაინც საინტერესო არის. ალესანდრეს ბაღი - ეს იქნება ქალაქის ის ნაწილი, სადაც მეორე უბანია. და, აი, რა, ერასტ პეტროვიჩ, სამსახურებრივად კი არა, ამხანაგურად გსთხოვთ - შეირბინეევით იმათთან, მოხოვაიაზედ. ვითომცდა უწყებრივი ზედამხედველობის წესით და ამისთანები. გამოარკვიეთ, ვინ არის ეს N.-ი. და რაც მთავარია, გენცვალე, ის გამოსალმების ბარათი უსათუოთ გადიწერეთ, საღამოს ჩემს ევდოკია ანდრეევნას ვუჩვენებ, ჭკვას ჰკარგავს ამისთანა გულშიჩამწვდომ რამე-რუმეებზედ. ნუ, ეხლა, სულმთლად სულიც არ ამოიძროთ და მალევე დაჰბრუნდით.

ბოლო სიტყვები კოლეგიის რეგისტრატორის ზურგში წარმოითქვა, რადაი ისე ჩქარობდა თავისი დაღვრემილი, მუშამბაგადაკრული მაგიდის მიტოვებას, რომ კინაღამ ფორმის ქუდი დაჰრჩა.

●●●

უბანში წარმდგარი სამძებროს ყმაწვილი ჩინოვნიკი თავად ბოქოულთან მიიყვანეს, თუმცა იმან, რაკი დაინახა, რომ ერთმა მხოლოდ ღმერთმა უწყის, ეს რანაირი პერსონა აახლეს, ახსნა-განმარტებაზე დრო აღარ დახარჯა, მაშინვე მოადგილე იხმო.

-ჰაიდა-ჰა, ივანე პროკოფიევიჩს წაჰყევით,- დიდი დაყვავებით მიმართა ბოქოულმა ბიჭუკელას (მართალია, ოქოქა კაცუნა კი სჩანს, მაგრამ მაინც ხომ სამმართველოდამ არის). - ყოველისფერს გიჩვენებსთ და მოგიყვებათ. განსვენებულის ბინაზედაც სწორედ ეს გახლდათ. ხოლო ქსავერი თეოფილაქტოვიჩისთვის ჩემი მდაბალი სალამი მომიხსენებია.

ფანდორინი კანტორულა მაგიდასთან დააჯინეს და სქელი საქაღალდით მოართვეს საქმე. ერასტ პეტროვიჩმა სათაური წაიკითხა.

*პეტრე ალექსანდროვიჩ კოკორინის, 23 წლის,*
*შთამომავლობით ღირსეული მოქალაქის,*
*მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის*
*იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის*
*თ ა ვ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ი ს   ს ა ქ მ ე*
*დაიწყო: 1876 წლის მაისის თთვის 13 რიცხვში.*
*დასრულდა: 18... წლის .......... თთვის ... რიცხვში.*

და წინდაწინ, სიამოვნებისგან აკანკალებული თითებით გამობაფთული თასმების გახ-

სნას შეუდგა.

-ალექსანდრ არტამონოვიჩ კოკორინის ძე გახლავსთ, - განუმარტა ივან პროკოფიევიჩმა, სქელი, ოყრაყულის სანახაობის მოსამსახურემ, ისეთის დანაოჭებულის პირისახის პატრონმა, თითქოს ძროხას გამოუღეჭავსო. - მეტად შეძლებული კაცი იყო. მექარხნე. სამი წელიწადი გავიდა, რაც უზენაესს წარუდგა. ყოვლისფერი შვილს უანდერძა. ვინ დაუშლიდა, ეცხოვრნა ამასაც, ამ სტუდენტსაც თავისთვის და გაეხარნა. რა აკლია ამისთანა ხალხს, ვეღარ შევიტყვე.

ერასტ პეტროვიჩმა თავი დაუქნია, რადგანაც არ უწყოდა, რა მიეგო პასუხად, და მოწმათა ჩვენებებს ჩაუკირკიტდა. ოქმები, გაგიხარია, ბლომად იყო, ერთი ათამდის მაინც. ყველაზე უმჯობესი შედგენილი გახლდათ ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის 17 წლის ქალიშვილის ელიზავეტა ფონ ევერტ-კოკოლცევას და მისი გაუთხოვარი, 48 წლის გუვერნანტის ემმა პფულის სიტყვებით, რომლებთანაც თავისმკვლელი საუბრობდა უშუალოდ გასროლის წინებზე. სხვათა შორის, მეტი არანაირი ცნობა, იმათ გარდა, რაიც მკითხველმა უკვე იცის, ერასტ პეტროვიჩს იმ ოქმებიდან არ ამოუღია - ყველა მოწმა მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავეს იმეორებდა. და ერთურთისგან მარტოოდენ გამჭრიახობით გამოირჩეოდნენ: ერთნი ამბობდნენ, რომ ყმაწვილკაცის სანახაობამ მაშინვე გააღვიძა მათში შემაშფოთებელი წინათგრძნობა („როგორც კი შევხედევი უაზროს თვალებშიდ, ჩემში ყოვლისფერი გაიყინა“ - აჩვენა ტიტულიანმა მრჩეველმა, ქალბატონმა ხოხრიაკოვამ, თუმცაღა შემდეგ ირწმუნებოდა, რომ ყმაწვილკაცი მხოლოთ ზურგიდან დაინახა); სხვა მოწმანი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაზე ლაპარაკობდნენ.

საქაღალდის სულ ბოლოს მოთავსებული იყო მონოგრამიან, ცისფერ და დაჭმუჭნილ ქაღალდზე შესრულებული ჩანაწერი. ერასტ პეტროვიჩმა თითქო თვალებით დაიწყო ამ უთანაბრო (სჩანს, სულიერი მღელვარების გამო) სტრიქონების სმა.

*ჩემს შემდგომ მცხოვრებნო ბატონებო!*

*ვინაითგან თქვენ ჰკითხულობთ ამ ჩემს უსტარს, ესე იგი, უკვე დაგტოვეთ და სიკვდილის საიდუმლოება შევიცანი, რომელიც თქვენგან შვიდის ბეჭდით არის დაბეჭდული. ეხლა მე თავისუფალი ვარ, თქვენ კიდევ უნდა იცხოვროსთ და შიშებით დაიტანჯოსთ. მაინც სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ იმ ალაგს, სადაც ეხლა მე ვარ და საითგანაც, როგორაც დანიის პრინცმა ჰბრძანა, არც ერთი ამსოფლიური მგზავრი ჯერ არ დაბრუნებულა, ვერაფერს გაუთანაბრებ. ვინაც არ მეთანხმება, კეთილისმყოფლურათ ვსთხოვ, თავათ შეამოწმოს. სხვათა შორის, მე თქვენსთან, ყველასთან არრავითარის საქმე არღარ მაქვს, ხოლო ამ უსტარს იმისთვინ ვსწერ, რომ ვინმეს ჭკვაში არ გაუჭაჭანდეს, თითქოსდა თავი რაღაცის [illegible]-ლიანის სისულელის გამოისობით მოვიკალ. გულს მაზიდებს თქვენს სამყაროზედ და, სწორედ მოგახსენოთ, ეს მიზეზი სრულიათ საკმაო არ არის განა? ხოლო იმას, რომ მე უიმედო ნადირიკაცი არ გახლავარსთ, უთუოთ დაადასტურებს ჩემი ტყავის ბიუარი, ანუ წიგნების, საფოშტო ქაღალდების, კონვერტების და მისთანათა შესანახი სამაგიდო რეეული.*

*პეტრე კოკორინი*

ეს სულიერი მღელვარებისას შეთხზულს არა ჰგავს - აი, პირველი, რაიც ერასტ პეტროვიჩმა გაიფიქრა.

-ბიუარის შესახებ რომ სთქვა, სახეში რა ჰქონდა? - დაეკითხა იგი.

ბოქოულის თანაშემწემ მხრები აიწია:

-თან არანაირი ბიუარი არა ჰქონია. რა გინდათ, ჰქმნათ, მდგომარეობიდამ არის კაცი გამოსული. შესაძლოა, რაღაც ისეთის ჩადენას ეპირებოდა, მერე კი გადაიფიქრა ან გონებიდამ გადუვარდა. ყოვლისფრით სჩანს, რომ მეტათ ახირებულის ჭკუის კაცი იყო. ხომ წაიკითხეთ, როგორ აზზრიალებდა დოლურასა? სხვათა შორის, იმ დოლურას ექვსი პირიდამ მარტოკა ერთში იყო მიცემული ვაზნა. მე, მაგალითებრ, იმ ჰაზრის გახლავარსთ, რომ ის, საზოგადოთ, არც კი აპირობდა დახლას, მხოლოთ ნერვების შეღიტინება ჰსურდა - ეგრე ვსთქვათ, ცხოვრებისეულს შეგზნებათა მეტი მძაფრობისთვის. რათა მერე დაშხოშიანათ ეჭამა და კაი პიკანტურათაც ექეიფნა.

-ექვსიდან ერთი ვაზნა? სჩანს, ბედ-იღბალს ზურგი უქცევია! - მიცვალებულის მაგივრად იწყინა ერასტ პეტროვიჩმა, მაინც რომ მოსვენებას არ აძლევდა ის ტყავის ბიუარი.

-სადა სცხოვრობს? უფრო უკეთ, სცხოვრობდა...

-ოსტროჟენკაზედ, ახალს სახლში. რვა ოთახიანს ბინაში და ძაანაც მდიდრულში, - ხალისიანათ შეუდგა შთაბეჭდილებების გაზიარებას ივან პროკოფიევიჩი, - მამისგან მემკვიდრეობით საკუთარი სახლი მიიღო მასკვა-მდინარის გაღმა ალაგას. მთელი მამული თავისის სამსახურებიანათ, მაგრამ იქ ცხოვრება არ ინდომა, ვაჭრებიდამ შორს დაიჭირა თავი.

-და ის ტყავის ბიუარი არც იქ აღმოჩნდა?

ბოქოულის თანაშემწე გაკვირვებას მოვიდა:

-თქვენის აზრით, ჩხრეკვა უნდა მოგვეწყო? აკი მოგახსენეთ, იქ იმგვარი ბინაა, აგენტების ოთახებში შეშვება საშიშოა - ვაითუ, ეშმაკმა აურიოთ გზა-კვალი. თან, რათ გვინდა? ოლქის პროკურორის გამომძიებელმა, იგორ ნიკიფორიჩმა განსვენებულის კამერდინერს საათის რუპი (ესე იგი, მეოთხედი) მისცა თავისის გუდა-ნაბადის ასაკრავათ - ისიც პოლიციელის თანდასწრობით, რომ ღმერთმა არა ჰქმნას და პატრონს არაფერი ასწაპნოს - და მიბრძანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი დამელუქა. მემკიდრეების გამოჩენამდინ.

-მემკვიდრენი ვინდა არიან? - დაინტერესდა ერასტ პეტროვიჩი.

-აქ დიდი გაიწი-გამოიწის ასპარეზია. კამერდინერი ამბობს, რომ კოკორინს და-ძმანი არა ჰყოლია. არიან შორებელნი ნათესავნი, მაგრამ იმათ თავისი კარის დირესაც კი არ აჩვენებდა ცხოვნებული. ვის შეჰხვდება ამთვენი ფული? - შურით ალმოიოხრა ივან პროკოფიევიჩმა, - ამის წარმოდგენაც კი მზარავს... თუმცა ჩვენი სადარდო სულაც არ გახლავსთ. გნებავსთ, ადვოკატი ანდა სულაც ანდერძის აღმასრულებელნი დღეს-ხვალ გამოსჩნდებიან. აქამდისინ ხომ ერთი დღე და ღამეც არ გასულა და გვამიც ყინულიანს მორგშიდ ასვენია. შეიძლება, ხვალ იგორ ნიკიფორიჩმა საქმე დაჰხუროს, მერე ნახეთ, წავა და წავა.

-და მაინც, მეტად უცნაურია, - შენიშნა შუბლშეჭმუხნილმა მწერალ-მწარმოებელმა. - თუკი სიკდილისწინა წერილში კაცმა რაღაც ბივუარზე მიუთითა, ეს მარტივი სულაც არ არის და „უიმედო ნადირიკაცზედაც“ სრული გაუგებრობაა. ვაითუ, იმ ბივუარში მეტად მნიშვნელოვანი საგამოძიებო გეში თუ ნიშანია? თქვენ როგორც გენებოთ, მაგრამ მე ყოველ მიზეზ გარეშე მოვძებნიდი იმ ბინაში. აგრე მგონია, მთელი უსტარი ამ ბივუარის გამო გახლავსთ დაწერილი. აქ, ნამდვილად, რაღაც საიდუმლოა.

იმითი შეშინებული ერასტ პეტროვიჩი, რომ ეს „საიდუმლო“ ბავშვურად წამომცდაო, გაწითლდა, მაგრამ უფალ ბოქოულის თანაშემწეს მისი სახის მეტყველების შეცვლა არ შეუმჩნევია.

-და კიდევ, ურიგო არ იქნებოდა, კაბინეტშიაც გვენახა ქაღალდები, - აღიარა ივან პროკოფიევიჩმა, - იგორ ნიკიფორიჩი ხომ მუდამდღე სჩქარობს. ოჯახი ერთი-ასათ უღირს, ამისთვინ სცდილობს, დათვალიერებიდამ ანდა წინდაწინის მოკვლევიდამ მალე გაძვრეს და შინა სტუცოს თავი. უწინდელი კაცი გახლავსთ, კიდევ წელიწადი დაჰრჩა პენსიამდინ, აბა-და, რაღა უნდა მოსთხოვო?! იცით რა, ბატონო ფანდორინ, უფრორე სახერხო ხომ არ იქნებოდა, თქვენ რომ წასულჟყავით? ერთათ ვნახამდით. მერე ახალს კლიტეს დავჰკიდებდი - ეგ ადვილი სამსახური გახლავსთ. იგორ ნიკიფორიჩი არ დაგვსჯის, პირუკუ, მადლს მოგვახსენებს, მეორეთ რომ არ გავაწვალეთ. სულაც ვეტყვი, რომ სამძებროს უწყებიდამ მოთხოვნა იყო, ჰა?

ერასტ პეტროვიჩს მოეჩვენა, რომ ბოქოულის ოყლაყ მოადგილეს მარტივად აინტერესებდა „მდიდრული“ ბინის კაი მოჩხრეკა, თან ამ ახალი კლიტის „დაკიდებაც“ თითქო ურიგოდ გამოდიოდა, მაგრამ ცდუნებაც ძაან დიდი იყო. ამ საქმეს, მართლაცდა, იდუმალების ამაწრიალებელი სურნელი დაჰკრავდა.

●●●

განსვენებული პეტრე კოკორინის ბინის გამართულობას (პრეჩისტენკის კარიბჭესთან შემოსავლიანი სახლის სადარბაზო სართული) ფანდორინზე განსაკუთრებული რამ შთაბეჭდილება არ მოუხდენია - მამამისის მსწრაფლწარმავალი სიმდიდრის ჟამს ისიც არანაკლებ სცხოვრობდა ასეთივე დარბაზებშია. ამიტომაც მარმარილოთი მოპირკეთებულ შესავალში სამარშინიან ვენეციანურ სარკესთან და ჭერის მოოქროვებულ ნაძერწთან კოლეგიის რეგისტრატორი არ შეჩერებულა, პირდაპირ სასტუმროსკენ დაიჭირა გეზი, რომელიც ფართო გახლდათ, თან ექვსფანჯრიანი. მეტად მოდურ რუსულ სტილში იყო მოწყობილი: ზედწარწერიანი სკივრებით, მუხის ხის ჩუქურთმებით და რიგიანი შორენკეცის ღუმელით.

-ფრანციცულათ რომა ვსთქვათ, „ბონ ტონშიდ“ სცხოვრობენ განცხრომით. - რატომღაც კეფაში ჩასჩურჩულა გამცილებელმა.

ამჟამად ერასტ პეტროვიჩი საცვიფროდ ჩამოჰგავდა ერთი წლის სეტერს, პირველად რომ მიუციათ საძრაობა ტყეში და ერთობ გაშმაგებულა ახლოს მყოფი ნადირის ცხვირში შეღიტინებული სუნისგან. აქეთ-იქით მიმოიხედა და შეუმცდარად განსაჯა:

-ეს კარი კაბინეთში შეგვიყვანს?

-დიაღ.

-აბა-და, შევიდეთ.

ტყავის ბივუარი დიდხანს არ უძებნიათ - მასიური საწერის მაგიდის ზედ გულზედ იდგა, მალაქიტის სამელნე მოწყობილობასა და სადაფის ნიჟარა-საფერფლეს შუაში. მაგრამ ვიდრე ფანდორინის მოუთმენელი ხელები ყავისფერ ჭრაჭუნა ტყავს შეეხებოდნენ, მისი მზერა გადააწყდა ვერცხლის ჩარჩოში ჩასმულ ერთ ფოტოს პორტრეტს, აქვე რომ იდგა, მაგიდაზე, ყველაზე გამოსაჩენ ალაგას. ზედ გამოსახული სახე იმდენად ჩინებული და გულისთქმათა ამშლელი გახლდათ, რომ ერასტ პეტროვიჩს ბივუარიც კი ამოუვარდა ჭკუიდან: სანახევროდ შემოქცეულიყო სქელთმიანი კლეოპატრა და შემოჰყურებდა ფართოთ გახელილი, შავად ჟუჟუნა თვალებით; ამაყად მოღერებინა გედის ყელი და ოდნავის მკაცრობით და ახირებულის თვითნებობით გამოჰხატვოდა ლაწვ-ბაგეთა ოვალები. მეტადრე კოლეგიის რეგისტრატორი მოაჯადოვა დამშვიდებულმა და მტკიცე ძალაუფლებამ, ერთობ მოულოდნელი რომ იყო ამ საამური ქალიშვილის პირისახეზე (რატომღაც მოუნდა ფანდორინს, რომ ეს აუცილებლად ქალიშვილი ყოფილიყო და არა ქალბატონი).

-მშვენიერთა ხელმწიფააა, - დაუფშტვინა გვერდით ამომდგარმა ივან პროკოფიევიჩმა, - ვინ გახლავსთ? ნება მომეცით...

და მან ყოველისფერის ჭოჭმანის გარეშე ტურტლიანის ხელით ჩარჩოთაგან ამოიღო გულ-სულ წარმტაცი სახე და უზოდიშოდ გადააბრუნა. იქ კი, ალმაცერი, გაკრული ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

*აგრე ეწერა*

*პეტრე კ.-ს.*

*და განვიდა პეტრე და სტიროდა მწარედ.*

*თუ შეიყვარებ, ნულარ უარჰყოფ!*

*ა. ბ.*

-თუკი ეს პეტრე მოციქულს შეადარა, მაშვინ თავათ ქრისტე-ღმერთი გამოდის რაღა? ამბიციები ჰნახეთ! - ჩაიფრუტუნა ბოქოულის თანაშემწემ, - ამ ჰინდივიდის მეოხებით ხომ არ დაიკრიფა გულსხელი ჩვენმა სტუდენტმა? ჰაიდა-აჰა, ესეც ბივუარი! მაშ, ტყვილათ არ გვივლია!

ივან პროკოფიევიჩმა ტყავის სათავსო გახსნა და იქიდან ერთადერთი ფურცელი ამოიღო. ერასტ პეტროვიჩისთვის უკვე კარგად ნაცნობ ცისფერ ქაღალდზე დაწერილ საბუთს ნოტარიალური ბეჭედი ესვა და რამდენიმე ხელმოწერითაც იყო დამოწმებული.

-საქმე დამშია, - თავი დაუქნია კმაყოფილმა პოლიციელმა. - ანდერძიც გამოიძებნა. საინეტერესო გახლავსთ, შიგ რა სწერია.

წუთში ჩაურბინა თვალებით დოკუმენტს, მაგრამ ერასტ პეტროვიჩს ეს დრო მარადისობად მოეჩვენა, ხოლო მხრის ზემოდან გადაჭყეტვის სურვილსაც კი თავისი პატივის დამამცრობლად სთვლიდა და ამ ქმედობას გამოსავალს არაფრისდიდებით არ მისცემდა.

-ჰაიდა-აჰა, ესეც შენი კეთილი ბებია შობა ღამით! მე და ჩემმა მზემ, კაი საჩუქარი კი გამოუვიდათ იმ შორებელს ნათესავებს! - წამოიძახა ივან პროკოფიევიჩმა გაუგებარის სიხარულით, - ჰაიდა, კოკორინ! ტალახში წაყოფილი დინგები დასწმინდა ყველას. ჩვენებურათ, ძველებურათ, რუსულათ. ისე, მაინც-და-მაინც პატრიოტულათ არ გამოდის. თან კიდევ „ნადირიკაცზედაც" ყოველისფერი ცხადი ჰხდება.

მოუთმენლობის მეოხებით ყოველგვარ ჩინუჩინმაჩინოთა პატივისცემის წესებზე წარმოდგენა-დაკარგულმა ერასტ პეტროვიჩმა წოდებით მაღლა მდგომს ფურცელი გამოსტაცა ხელიდან და ეს წაიკითხა:

*ა ნ დ ე რ ძ ი*

*მე, ქვემორე ხელის მომწერი პეტრე ალექსანდროვიჩ კოკორინი, სრულს ჭკვაზედ მყოფი და ჩინებულის მეხსიერებით, აგრეთვე ქვემორე ხელის მომწერის მოწმათა თანსწრებით ვაცხადებ ანდერძს ჩემის კუთვნილის ქონების განკარგის თაობაზედ.*

*მთელს ჩემს აქამდისინ შემდგარს ქონებას, რომლის სრული ჩამონათვალი აქვს ჩემს რწმუნებულს სემიონ ეფიმიჩ ბერენზონს, ვუანდერძებ ქალბატონს, ბარონესსა მარგარეტ ესტერს, ბრიტანეთის მოქალაქეს, ყოველისფერის ამ საშუალების გამოსაყენებლათ თავისის შეხედულებისამებრ ობოლთა განათლების და აღზრდის საჭიროებისთვის. დარწმუნებული გახლავარსთ, რომ ქალბატონი ესტერი განაგებს ამ საშუალებებს უფრორე ჭკვიანურათ და პატიოსნათ, ვიდრე უფალი ღენერლები ჩვენის ადგილობრივის ქველმომქმედობისა.*

*ეს ანდერძი გახლავსთ საბოლოო და დასრულებული, გააჩნია კანონიერი ძალა და სცვლის ჩემს უწინდელს ანდერძს.*

*ანდერძის აღმასრულებლებათ ვჰნიშნავ ადვოკატს სემოინ ეფიმიჩ ბერენზონს და მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ნიკოლაი სტეპანიჩ ახტირცევს.*

*წინმდებარე ანდერძი შედგენილი გახლავსთ ორს ეგზემპლიარათ, რომელთაგან ერთი ჩემთან ჰრჩება, ხოლო მეორე შესანახათ ეძლევა ბატონ ბერენზონის საადვოკატო კანტორას.*

*მოსკოვი, 1876 წლის მაისის 12.*

*პეტრე კოკორინი*

## *მეორე თავი, რომელშიც ლაპარაკის გარდა არაფერია*

-თქვენი ნებაა, ქსავვერი თეოფილაქტოვიჩ, მაგრამ ძალიან უცნაურია! - მღელვარებით გაიმეორა ფანდორინმა, - აქ რაღაც საიდუმლოებაა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ! - და ჯიუტად გაუსვა ხაზი. - დიახ, სწორედ საიდუმლო! თავად განსაჯეთ. ჯერ ერთი, რაღაც უაზროდ მოიკლა თავი, „იღბალზე", დოლურაში ჩადებული ერთადერთი ვაზნით, თითქო სროლას არც აპირებდა. ეს რა ფატალური უიღბლობაა! და სიკვდილისწინა ჩანაწერის ტონიც, თქვენც დამეთანხმებით, მეტად უცნაურია - გეგონება, სახელდახელოდ, ნამდვილი საქმის გამოჩენამდეა დაწერილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, იქ აღძრულია უმთავრესი საკითხი, არასახუმარო საკითხი! - ერასტ პეტროვიჩის ხმა გრძნობით ჟღერდა, - ოღონდ ამ პრობლემაზე მერე მოგახსენებთ, ახლა ანდერძზე უნდა გელაპარაკოთ. განა საეჭვო არ არის?

-მაინც რა გეჩვენებათ, გენცვალე, საეჭვოთ? - წაიღიღინა გრუშინმა, ნახტომებით რომ ფურცლავდა გასული დღე-ღამის „ქალაქურ შემთხვევათა კრებსს". ეს საცნობარო ინტერესის აღმძვრელი საკითხავი, ჩვეულებრივ, მოდიოდა დღის მეორე ნახევარში, რაღაი დიდმნიშვნელოვანი საქმეები შიგ არ შედიოდა - ძრითადად ყველანაირი წვრილმანი, სრული სისულელე, მაგრამ შიგადაშიგ საინტერესოც გამოჩნდებოდა ხოლმე. აქ იყო ცნობა გუშინდელი თვითმკვლელობის შესახებაც ალექსანდრეს ბაღში, მაგრამ, როგორც დიდად გამოცდილმა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა იწინასწარმეტყველა, ყოველგვარი დეტალების გარეშე და, რა თქმა უნდა, არც სიკვდილისწინა ჩანაწერი ჩანდა.

-რა მეჩვენება და, აი რა! თითქო არასერიოზულად დაიხალა კოკორინმა, თუმცა ანდერძი, მიუხედავად გამომწვევი ტონისა, მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ფორმის დაცვით არის შედგენილი - ნოტარიუსით, მოწმათა ხელმოწერებით, აღმასრულებელთა მითითებით. და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქონება დიდია. მე დავადგინე - ორი ფაბრიკა, სამი ქარხანა, სახლები სხვადასხვა ქალაქში, გემთსაშენი ლიბავაში... მხოლოდ პროცენტიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ნახევარ მილიონზეა!

-ნახევარ მილიონზედ? - ამოიოხრა ქაღალდებიდან მომწყდარმა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა, - გაუმართლა იმ ანგლიელს დედაკაცს, გაუმართლა.

-და ერთი ამიხსენით, რა შუაშია ლედი ესტერი? რაღა სწორედ მაგას უანდერძა და არა ვინმე სხვას? რა კავშირია იმასა და კოკორინს შორის? აი, რა არის გასარკვევი!

-როგორც თავათ დასწერა, ჩვენებურ ხაზინის ქურდებს არ ენდობა, ხოლო ეს ანგლიელი კი, უკვე მერამთვენე თვე გამოჩნდა, გაზეთებს ცაში აჰყავთ. არა, ჩემო კეთილო, არა... თქვენ ის მითხარით, როგორა ჰხდება, რომ თქვენი თაობა სიცოცხლეს ესოდენ იაფათ აფასებს? ერთიბეწო რამე და მაშინვე ბახ-ბუხ, თანაც ზვიადათ, მთელი სამყაროს სიძულვილით. რომელი ღვაწლით ეს აბუჩათ აგდება, რომელი ღვაწლით? - გრუშინი გაბრაზდა, რაკი გაახსენდა, თუ როგორ კადნიერად და უპატივცემულოდ ელაპარაკებოდა გუშინ საღამოს საყვარელი ქალიშვილი, თექვსმეტი წლის გიმნაზისტკა საშენკა. თუმცა ეს შეკითხვა უფრო რიტორიკული გახლდათ, ამიტომ მწერალმწარმოებლის აზრიც ნაკლებად აინტერესებდა უფალ ბოქოულს და ამიტომ ისევ კრებსში ჩარგო თავი.

სამაგიეროდ, ერასტ პეტროვიჩი გამოცოცხლდა უფრო.

-აი, ეს კი ის წყევლა-კრულვიანი საკითხავია, რომელზედაც განსაკუთრებულად უნდა მეთქვა. მოდით, ისეთ კაცს შევხედოთ, როგორიც კოკორინია. ბედი ყოველისფერს აძლევს - სიმდიდრეს, თავისუფლებას, განათლებას, სილამაზეს (ეს სილამაზე ფანდორინმა ისე თქვა, დაუსწრებლად, რადგან მცირეოდენი წარმოდგენაც კი არა ჰქონდა გარდაცვლილის გარეგნობაზე). ის კი სიკვდილს ეთამაშება და, ბოლოსდაბოლოს, დასახულ მიზანსაც აღწევს. გნებავთ, იცოდეთ, რატომ? ჩვენ, უნუგეშოდ დაშთომილ ახალგაზრდობას თქვენს სამყაროში სული გვეხუთება - კოკორინმა პირდაპირ დაწერა ეს, მაგრამ აღარ განავრცო. თქვენი, უწინდელი კაცების იდეალები - კარიერა, ფული, პატივი - ბევრი ჩვენგანისთვის არაფერს ნიშნავს. მაგეებზე აღარც ვოცნებობთ. თქვენ როგორა გგონიათ, ტყუილად სწერენ თვითმკვლელობის ეპიდემიაზე? განათლებული ყმაწვილკაცობის უკეთესი ნაწილი მიდის, სულიერი ჟანგბადის ნაკლებობით იხრჩობიან, თქვენ კი, მამების საზოგადოებას, აქედან გაკვეთილი ვერ გამოგიტანიათ!

ისე გამოდიოდა, რომ ბრალდების მთელი პათოსი ქსავერი თეოფილაქტოვიჩისკენ იყო მიმართული, ვინაიდან „მამების საზოგადოების" სხვა წარმომადგენლები ახლომახლო არ შეიმჩნეოდნენ, თუმცა გრუშინი ოდნავადაც არ გაბრაზებულა, პირიქით, შესამჩნევი კმაყოფილებით დააქნია თავი.

-სიტყვამ მოიყოლა და, - დაცინვით დაიჩივლა მან, თან კრებსში ჩაიცქირებოდა, - აგერ, სულიერის ჟანგბადის ნაკლებობაზედ. *„ჩიხაგვის შესახვევში, მეშჩანსკის ნაწილის მესამე უბანზე, დილის 10 საათზე ნაპოვნია გვამი დამრჩვალი მეწაღისა, 27 წლის ივანე ერემოვიჩ ბულდიგინისა. მეეზოვე პეტრე სილინის ჩვენებით, თავის მოკვლის მიზეზი - ნასმურევიდან გამოსვლის საშუალების უქონლობა გახლავსთ".* ასე ხომ ყველა საუკეთესო წავა. მარტოკა ჩვენ, ბებერი სულელებიღა დავრჩებით.

-თქვენ იცინით, - სიმწრით თქვა ერასტ პეტროვიჩმა, - და პეტერბურღში თუ ვარშავაში, ლამის ყოველდღე, სტუდენტები იქნებიან, კურსისტები, შიგადაშიგ გიმნაზისტებიც კი - თავს იწამლავენ, ტყვიას იხლიან, იხრჩობიან. თქვენ კი გეცინებათ...

„მოინანიეთ, ქსავერი თეოფილაქტოვიჩ, თორემ მერე გვიან იქნება" - შურისგებით იფიქრა, თუმც ამ წუთამდე თავისმკვლელობის აზრი ჭკვაში არ მოსვლია - მეტად ცოცხალი ბუნების ყმაწვილი იყო. სიჩუმე ჩამოდგა: ფანდორინმა წარმოიდგინა ღარიბული სასაფლაო, ეკლესიის ღობის მიღმა, უჯვაროდ; ხოლო გრუშინი ხან თითს აყოლებდა სტრიქონებს, ხანაც ფურცლებს აშრიალებდა.

-ეს სინამდვილეში რაღაც აბდაუბდა გახლავსთ, - ამოიბურტყუნა მან, - რა არის, ყველანი გასულელდნენ? აი, ორი მოხსენება. ერთი მიასნიცკის ნაწილის მესამე უბნიდამ, მერვე გვერდზედ და მეორე როგოჟსკის ნაწილის პირველი უბნიდამ, მეცხრე გვერდზედ. ჰაიდააჰა. *„12 საათსა და 35 წუთზე, პოკროლოკოლნიის შესახვევში, „მოსკოვის ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოების" სახლში კალუგელი მემამულის, ავდოტია ფილიპოვნა სპიცინას (დროებით მცხოვრები სასტუმრო „ბოიარსკაიაში") მოთხოვნით გამოიძახეს უბნის ზედამხედველი ფედორუკი. ქალბატონმა სპიცინამ უჩვენა, რომ წიგნის ფარდულის შესასვლელის მახლობლად, მის თვალწინ, ვიღაც წესიერად ჩაცმულმა, შესახედად 25 წლის ბატონმა თავის მოკვლა სცადა - საფეთქელთან პისტოლეტი მიიტანა, მაგრამ, სჩანს, ტყვია არ გავარდა და შეუმდგარი თავისმკვლელი მიიმალა. ქალბატონმა სპიცინამ მოითხოვა, რომ პოლიციას მოეძებნა ახალგაზრდა და გადაეცა იგი ჩვენი ეკლესიურის ხელისუფლებისთვის მძიმე მონანიების დასაკისრებლად. ძებნა არ შემდგარა დანაშაულებრივი გეშების და ნიშნების არარსებობის გამო".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

-აი, ხომ ხედავთ, მეც ამას არ ვამბობდი! - გაუხარდა ერასტ პეტროვიჩს, ასეთი შურისძიებისგან სრულიად გულსავსედ რომ იგრძნო თავი.

-მოითმინეთ, ყმაწვილო, ჯერ არ დამიმთავრებია, - შეაჩერა ბოქოულმა, - შემდგომ მოისმინეთ. *„მოგახსენებთ გოროდოვოი, ანუ ქალაქის პოლიციელი სემიონოვი (ეს როგოჟსკიდამ არის). თერთმეტ საათზე იგი გამოიძახა მეშჩანინმა ნიკოლაი კუკინმა, მცირე იაუზსკის ხიდის პირდაპირ მდებარე საბაყლო დუქნის „ბრიკინი და ძმების“ დახლიდარმა. კუკინმა განაცხადა, რომ რამდენიმე წუთის წინ ხიდის ქვის ბოძკინტზე აძვრა ვიღაცა სტუდენტი, შუბლზე პისტოლეტი მიიდო, ნამდვილად თავის მოკვლის სურვილით. კუკინმა გაიგონა ჩახმახის ჩხაკუნი, მაგრამ გასროლა არ შედგარა. ამ ჩხაკუნის შემდგომ სტუდენტი გადმოხტა ხიდზე და სწრაფად წავიდა იაუზსკის ქუჩის მხარეს. აქამდისინ სხვა მხილველები არ აღმოჩნდნენ. კუკინს დაუბეჯითებია ამ ხიდზე პოლიციის პოსტის დაწესება, რადგანაც გასულ წელს იქ უკვე დაიხრჩო მსუბუქის ყოფაქცევის ქალი და ამის გამოისობით ვაჭრობას ზიანი ადგებაო“.*

-არაფერი მესმის, - ხელები გაშალა ფანდორინმა, - ეს რა რიტუალია ამისთანა? უკაცრაოდ და, თავისმკვლელების საიდუმლო ორგანიზაცია ხომ არ არის?

-რაის ორგანიზაცია, - ბრტყლად წარმოთქვა ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა და მერე, გამოცოცხლების კვალობაზე უფრო ჩქარა ალაპარაკდა, - არანაირი საზოგადოება, ჩემო კეთილო, ყოველისფერი უფრორე მარტივათ არის. ეხლა უკვე დოლურას ამბავიც გასაგებია, უწინ ფიქრათაც არ მომივიდოდა! ამას, ყოველისფერს სულ ერთი და იგივე კაცი, აეს ჩვენი სტუდენტი კოკორინი ონავრობდა. აქ უყურეთ, - წამოდგა და მკვირცხლად მივიდა მოსკოვის რუქასთან, კარის მახლობლად რომ ეკიდა კედელზე. - აი, ეს მცირე იაუზსკის ხიდია. აქედამ იაუზსკის ქუჩით გასწია, სადღაცას იბოდიალა და პოდკოლოკოლნიიზე ამოჰყო თავი, სადაზღვევო ორგანიზაციის მახლობლათ. აქ მემამულე სპიცინა შეაშინა და თავისი საცუდლუტო გზა განაგრძო კრემლის მხარეზედ. მესამე საათისათვის ალექსანდრეს ბაღამდის მოაღწია, სადაც მისი ონავრობა ჩვენთვის უკვე ცნობილი შედეგით დასრულდა.

-მერედა, რატომ? და რას ნიშნავს ეს ყოველისფერი? - რუქას მიაშტერდა ერასტ პეტროვიჩი.

-რასა ჰნიშნავს, ამის განსჯაში ჩვენ ვერ შევალთ. აგრამ, საქმე როგორც იყო, ვხვდები. ამ ჩვენმა თეთრსაყელოიანმა სტუდენტმა, ოქროს ახალგაზრდამ გარდასწყვიტა, ყველასთვინ ჯოჯოხეთი მოეწყო. თანაც სიკვდილის წინ მოინდომა, თავისის ნერვებისთვის შეექიტინებინა. სადღაცას წავიკითხე, რომ ამას „ამერიკული რულეტი“ ჰქვიან. ჩრდილო ამერიკის შტატებში გამოიგონეს, ოქროს სარეწებზედ. დოლურას ერთი ვაზნით დასტენი, დაატრიალებ და ბა-ბაახ! თუ გაგიმართლა, ბანკს მოჰხსნი, არადა - მეყოლე გაზაფხულის ვარდივით. ჰოდა, გასწია ჩვენმა სტუდენტმაც მოსკოვურ ვოიაჟში ბედის გამოსაცდელათ. სავსებით დასაშვებია, რომ სამჯერ კი არა, უფრო მეტჯერ დაიხალა. უბრალოდ, ყველა მხილველი პოლიციას არ დაუძახებს. იმ სულთა მშველელმა მემამულე ქალმა და დახლიდარმა კუკინმა თავიანთი კერძო ინტერესის გამო გამოავლინეს სიფხიზლე, თორემ რამდენგზის სცადა კოკორინმა - ერთმა ღმერთმა თუ უწყის. ანდა თავის თავთან პირობა დადო - აი, მე სიკვდილს რამოდენიმეჯერ გავეთამაშები და, მორჩა? გადავრჩები - აესე იქნება!.. სხვათა შორის, ეს უკვე ჩემი ფანტაზიებია. არანაირი ფატალური უიღბლობა არა ყოფილა ალექსანდრეს ბაღში, უბრალოთ, მესამე საათისთვის სტუდენტს მთელი თავისი ფორტუნა შემოეფლანგა.

-ქსავერი თეოფილაქტოვიჩ, თქვენ ნამდვილი ანალიტიკური ნიჭი გაქვსთ, - გულწრფელად აღიარა აღფრთოვანებულმა ფანდორინმა, - სულ თვალწინ მიდგას, რაც როგორ მოხდა.

დამსახურებული ქება, თუმც კი ძუძუმწოვარასგან, გრუშინს გულზე მოეფონა.

-ჰაიდა-აჰა, უწინდელის სულელის ბერიკაცებისგანაც შეიძლება რაღაცის სწავლა, - დამრიგებლურად თქა მან, - თქვენც რომ ჩემდენი გემსახურნათ საგამომძიებლო საქმეში, თან ახლანდელს უკულტურო დროებაში კი არა, ხელმწიფე ნიკოლაი პავლოვიჩის ხანაში, მაშვინ აღარ გაარჩევდით, საქმე საგამოძიებოა თუ არა. მაშვინ მოსკოვში ჯერ არ იყო ჩვენი სამმართველო, არცა საგამოძიებო განყოფილება. დღეს მკვლელს ეძებ, ხვალ ბაზარში დგეხარ, ხალხს ჭკუას ასწავლი, მაზეგ სამიკიტნოებში უპაშპორტოებს დასდევ. სამაგიეროთ, დაკვირვებული ჰხდები, ხალხს ეცნობი, თანაც ტყავი გეთრიმლება - უამისოთ პოლიციურს საქმეში შეუძლებელი გახლავსთ, - მინიშნებით დაასრულა ბოქოულმა და იქვე შეამჩნია, რომ მწერალ-მწარმოებელი რაღაც უგულისყუროდ უსმენს, თავის რომელიღაცა ფიქრს მკაცრად უჭმუხნის შუბლს და არც ისე საამო სანახავია.

-კეთილი. გადმოალაგეთ, კიდევ რა გაქვსთ...

-ერიჰაა!.. ვერ გამიგია... - ფანდორინმა ნერვიულად აათამაშა ნამგალა მთვარესავით წარბები, - ეს კუკინი გაიძახის, ხიდზე სტუდენტი იყოო...

-რა თქმა უნდა, სტუდენტი. აბა-და, სხვა, ვინ?

-მაგრამ, საიდან იცის კუკინმა, რომ კოკორინი სტუდენტია? სერთუკში იყო და შლაპა ეხურა, ალექსანდრეს ბაღში არც ერთ მოწმას სტუდენტად არ მიუღია... ოქმებშიც სულ „ყმაწ-

ვილკაცი“ და „ის ბატონია“. აი, გამოცანა!

-თქვენ სულ გამოცანები გიტრიალებსთ ჭკვაში, - ხელი ჩაიქნია გრუშინმა, - ბრიყვია ეგ თქვენი კუკინი და მორჩა! ხედავს, ახალგაზრდა ბატონია, სამოქალაქო სამოსში, და წარმოიდგინა, რომ სტუდენტია. ანდე, ეგებ დახლიდარს მახვილი მზერა აქვს და სტუდენტი ამოიცნო - მაგას ხომ დილიდან საღამომდე მსყიდველებთან აქვს საქმე.

-ისეთი მსყიდველი, როგორიც კოკორინია, კუკინს მისდღემში არ უნახავს თავის სამიკიტნოში! - მართებულად შეეწინააღმდეგა ერასტ პეტროვიჩი.

-მერედა, ამით რა?

-ის, რომ ურიგო არ იქნებოდა, მემამულე სპიცინა და დახლიდარი კუკინი უფრო უკეთესად დაგვეკითხა. თქვენ, ქსავერი თეოფილაქტოვიჩ, ასეთ წვრილმანებზე დახურდავება არ გეკუთვნით, მაგრამ, თუ ნებას მომცემთ, მე თავად... - ერასტ პეტროვიჩი სკამიდან წამოიწია, ისე უნდოდა, გრუშინი დაყაბულებოდა.

ქსავერი თეოფილაქტოვიჩმა სიმკაცრის გამოვლინება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. გაუშვი, ყმაწვილმა ცოცხალი სამუშაოს გერში აიღოს, მოწმეებსთან ლაპარაკი ისწავლოს. იქნებ მაგისგან ხეირიც კი იყოს. შთაგონებით ჰბრძანა:

-არ გიკრძალავ. - და ჯერ იქვე ხელის გაქნევით აღკვეთა სიხარულის შეძახილი, კოლეგიის რეგისტრატორის ბაგეებს რომ უნდა დასცდენოდა და მხოლოდ მერეღა დასძინა, - მაგრამ ჯერ კეთილი ინებეთ და მისი აღმატებულების ანგარიში დაასრულეფით. და კიდევ აი, რა, გენცვალე, უკვე მეოთხე საათი გახლავსთ. ჰოდა, წავალ მე ჩემთვის. თქვენ კი ხვალ მომიყვებით, ის სტუდენტი საიდამ მოიტანა დახლიდარმა.

## *მესამე თავი, რომელშიც გამოჩნდება „ცელში მოხრილი სტუდენტი“*

მიასნიცკიდან, სადაც სამხედრო სამართველო მდებარეობდა, ვიდრე სასტუმრო „ბოიარსკაიამდე“ - აქ, კრებსის მიხედვით, დროებით ცხოვრობდა მემამულე სპიცინა, ოციოდე წუთის სავალი იყო და მოუთმენლობით აწრიალებულმა ფანდორინმა მაინც ფეხით გადაწყვიტა წასვლა. მტანჯველ „ლორდ ბაირონს“, გამოუთქმელი ვაი-ვიშით რომ ერჭობოდა ფერდებში ჩვენს მწერალ-მწარმოებელს, მის ბიუჯეტში ისეთი გარღვევა შეექმნა, მეეტლის ხარჯი უკვე პირდაპირ ასახვას ჰპოვებდა კვების ყოველდღიურ ულუფაზე. გზადმიმავალი შარშან გამხმარი და ახლახანს მოხარშული თევზისგან გამომცხვარ ღვეზელს შეექცეოდა (მეხსიერებიდან არ უნდა გადაგვივარდეს, რომ თავის უწყებაში უსადილოდ დარჩა აჟიტაციის, გნებავსთ, მღელვარების ნიადაგზე). ფეხმარდად მიაბიჯებდა ჩისტოპრუდნის ბულვარზე, სადაც წარღვნამდელი ბებიები - წუდა-მესტებითა და ჩაჩებით - ნამცეცებს უყრიდნენ კარგად ნაპატივებ, მოურიდებელ მტრედებს. ქვარიყულ ფენილზე ისე დაჰქროდნენ ღია ეტლები და ფაიტონები, რომ იმათ ფანდორინი ვერანაირად დაეწეოდა და იმისმა ფიქრებმაც განაწყენებული მიმართულება მიიღეს. სწორედ მოგახსენოთ, მაძებარი კარგი ეტლისა და ბედაურის გარეშე, აბა-და, ვის გაუგონია. კიდევ კარგი, „ბოიარსკაია“ პოკროვკაზეა, თანაც მერე იქიდან იაუზისკენ - უფალ დახლიდარ კუკინს ხომ უნდა დაუკრას თავი - ესეც შენი ნახევარი საათის სასიარულო. აქ დაყოვნება სიკვდილის სწორფასი შექმნილა, საკუთარ თავს ჰგერშავდა ერასტ პეტროვიჩი (უნდა კი მოურიდებლად ითქვას, ცოტათი აზვიადებდა კიდეც). უფალმა ბოქოულმა მხოლოდ სამშაურიანი უწყალობა, თავადვე წადიო. არადა, სამმართველო ყოველ თთვეს ოთხმოცდაათ გაუტეხელ რუბლს კერძო მეეტლის საქირაოდ ჰრიცხავს. ჰაიდა-აჰა, საუფროსო პრივილეგიები: ერთნი კერძო ეტლით მიბრძანდებიან შინ, ხოლოთუ მეორენი ორთავეთათვის აუცილებელ სამსახურებრივ საჭიროებაზე ფეხით დასჩანჩალებენ.

მარცხენა მხარეს, მშრალი ყავახანის სახურავს ზემოთ ტროიცკის ეკკლესიის სამრეკლო გამოჩნდა, რომლის შორიალოს მდებარეობდა „ბოიარსკაია“ - აი, ამისთანა მნიშვნელოვანი აღმოჩენა უკარნახა ფანდორინს გულმა და უფრორე ფეხგაჩქარებით გასწია.

ნახევარი საათის შემდგომ, თავჩაქინდრული და სიქაგაცლილი, პოკროვსკის ბულვარს მიუყვებოდა ქვემოთ, სადაც ისეთივე ნაპატივებ და თავგასულ მტრედებს, როგორნიც ჩისტოპრუდნიზე ვნახეთ, უკვე ჩამომავლობით დიდგვაროვანი ქალბატონები კი აღარ, ვაჭართა ცოლები აჭმევდნენ.

მოწმა დედაკაცთან ისეთი ლაპარაკი მოუხდა, დამამშვიდებელს ვერ დაარქმევდი. ის მემამულე დიაცი ერასტ პეტროვიჩმა ბოლო წამს დაიჭირა - უკვე მსუბუქ ეტლში ჩაჯდომას ეპირებოდა, სამგზავრო სკივრებითა და ფუთებით რომ იყო გამოტენილი, რათა სატახტოდან მშობლიური კალუგის გუბერნიაში დაბრუნებულიყო. ფულად საშუალებათა დაზოგვის მიზნით მოგზაურობდა უფალა სპიცინა ძველებურად, თავისი ცხენებით და არა რკინისგზით.

აი, ამაში კი, ისემც ღვთის წყალობა თქვენა გქონდესთ, როგორც ფანდორინს გაუმართლა. მემამულე მანდილოსანი ვოგზალზე რომ გამოჰკიდებოდა მატარებელს, ვაითუ, მათი ლაპარაკი აღარც გამართულიყო. სიტყვაზე ძუნწი მოწმას მუსაიფის შინა-არსი, ვისთანაც ხან იქიდან და ხანაც აქედან სცადა მიდგომა ერასტ პეტროვიჩმა, ერთ ალაგას იყრიდა თავს:

ქსავერი თეოფილაქტოვიჩი მართალი იყო, სწორედ რომ კოკორინი ენახნა უფალა სპიცინას - სერთუკიც მოიგონა, გურგვალი შლაპაც და ლაკის შტიბლეტებიც, ჩვენებურად - ღილიანი საცვეთები, რაზედაც კრინტი არ დასცდენიათ ალექსანდრეს ბაღის მოწმეებს.

მთელი იმედები უფალ კუკინზე დავიდა, ვისთან დამოკიდებულებაშიც, ალბათ, ისევ გრუშინი გამოდგება მართალი. ვიღაცა ყბამოღებული დახლიდარი დაუფიქრებლად მოედო დობე-ყორეს, შენ კიდევ მაგის გულისთვის ფეხით იწოწიალე მთელ მოსკოვში და ბოლოს ბოქოულის დასაცინი შეიქმენ.

საბაყლო დუქან „ბრიკინი და შვილების" მინიანი კარი ზედგამოხატული შაქრის თავით პირდაპირ საპისწყლოზე გამოდიოდა და აქედან ხელისგულივით სჩანდა ხიდი - ეს უმალ შენიშნა ფანდორინმა. ისიც დაატყო, რომ დუქნის ფანჯრები ღია იყო (დახუთულობის მეოხებით) და ეგება პატრონს გაეგონა კიდევაც „რკინის ჩხაკუნი", რაკიღა ხიდის უახლოეს ქვის ბოძკინტამდე თხუთმეტ ნაბიჯზე მეტი არ იქნებოდა. კარიდან ცნობისმოყვარეობით გამოიჭყიტა წითელპერანგა, ორმოცწლამდე კაცმა - შალის შავ ჟილეტში, პლისე შარვალში და ბოთლებში ჩადგმული წუღებით.

-რით გემსახუროთ, თქვენო კეთილშობილებავ? - შეეკითხა, - უკაცრავოთ კი გახლავარსთ და ბოდიშიც მომიხდია, მაგრამ გზის დაკარგვა ხომ არ გინებებიასთ?

-კუკინი? - მკაცრად დაეკითხა ერასტ პეტროვიჩი, რადგან წარმოთქმული სიტყვებიდან თავისთვის დამამშვიდებელი დასკვნის გამოტანა ვერ შეიძლო.

-გახლავარსთ! - ყურები დაცქვიტა უფალმა დახლიდარმა და ფაჩვნიერი წარბები ერთად შეჭყარა, მაგრამ მალევე მიხვდა, - თქვენო კეთილშობილებავ, პოლიციიდამ ხო არა ჰბრძანდებით? უმორჩილესათ მადლობელი გახლავარსთ, არ ველოდი თქვენგანა ასეთს ელვისებურს ყურადღებასა. ბატონმა უბნის უფროსმა ჰსთქო, ზემოთ სახეში მიიღებენო, მაგრამა ეგრე ხელდახელ? რას ვიფიქრებდისთ, რას ვიფიქრებდისთ? ან აქამდისინ გარეთ რათა ვსდგავართ! დუქანში მობრძანდით. ისეთი მადლობელი გახლავარსთ, რომ - ბარაქალა! ბარაქალა!

ამ სიტყვებზე თავი დაუკრა, შეხსნა კარი და ხელის მოძრაობით შეიპატიჟა - მთელის გულითა გსთხოვსთ! - მაგრამ ფანდორინი არც განძრეულა თავისი ალაგიდან.

შთაგონებული სახის მეტყველებით უთხრა:

-მე, უფალო კუკინ, უბნიდან კი არა, სამმართველოდან გახლავართ და პოვნა დამავალეს იმ სტუ... იმ კაცისა, ვის შესახებაც თქვენ მოახსენეთ უბნის ზედამხედველს.

-აჰა, ის სკუბენტი? - თავი მოუქონა ამ საგანზე სალაპარაკოდ მზადმყოფმა დახლიდარმა, - აბა-და, როგორ, კოხტათ და შვენივრათ დავიმახსოვრეევით. რა შიში ვჭამეთ, ღმერთო კი შეგვიწყალე. რო დავინახე, არა, რო აემ ბოძკინტზედ აძვრნენ და შუბლზედ ფიშტო მიიდეს, აექვე ჩავკვდი - ვიფიქრე, რო ყოველისფერი გასთავდააა... შარშანაც ეგრე არ იყო მეთქვი და დუქანში რო ქუდი შემოუგდო, კაციშვილი აღარ შემოადგამს მეთქვი ფეხსა. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს, მაგრამა, ჩვენ აქ რა შუაში გახლავარსთ, ამისი პასუხი მომეცით. რა ჭირი და ნაცილი დაეტაკათ, მამაძაღლი, თაფლი ხო არ წამისვია, რო მაინცა და მაინც ამ ჩემის დუქნის წინ დაიკრიფონ გულხელი? ადექი, შე დალოცვილიშვილო და მასკვა-რეკაზედ წადი, სულ კაი-კაი რიყის ქვებია და ხიდიც, გაგიხარია, ძაან მაღლა არი, ჰოდა, შენც ადექი და...

-ხმა ჩაიკმინდეთ, კუკინ! - შეაწყვეტინა ერასტ პეტროვიჩმა, - და უმჯობესია ის სტუდენტი აღმიწეროთ. როგორი სამოსი ეცვა, რანაირად გამოიყურებოდა და მითამ საიდან მოიტანეთ, რომ სტუდენტია.

-საიდამ მოვიტანე, თქვენო კეთილშობილებავ და იქიდამ, რომა... - გაუკვირდა დახლიდარს, - აი, როგორც სკუბენტს რო ეკუთვნის, არა? აეგეთინა ფორმაში გახლდასთ. მუნდირი გინდა. პჭყვიალა ღილები გინდა და ცხვირზედ კიდევ - შუშაბანდები.

-მუნდირი? - წამოიძახა ფანდორინმა, - მუნდირში იყო?

-ვა... აბა, მაშ, როგორ? - კუკინმა თანაგრძნობით მიხედა ჩაუმხვდარ ჩინოვნიკს, - უმაგისოთ რანაირათ გამეგო, სკუბენტია თუ ვიღაცა ოხერ-ტიელი? მაშ, მე მუნდირის ყაიდაზედ სკუბენტი და სტაცკი ჩინოვნიკი ვეღარ გამირჩევნია?

ამ მართებულ შენიშვნაზე ერასტ პეტროვიჩს რაღა ეთქმოდა, ჯიბიდან ერთი რიგიანი ბლოკნოტი და წესიერი ფანქარი ამოიღო ჩვენების ჩასაწერად. ეს ბლოკნოტი სამმებროში მუშაობის დაწყებამდე შეიძინა ფანდორინმა, სამი კვირა არ შეუწუხებია, დღეს გამოადგა - დილიდან მოყოლებული ნელა-ნელა რამდენიმე ფურცელი შეავსო უკვე.

-აბა, მოჰყევით, როგორ გამოიყურებოდა ის კაცი.

-როგორა და... კაცია, რაღა, როგორღაც შეუმჩნეველი, სახეზედ აქა-იქა „რქებით", მღიერებით, რა... და შუშაბანდებით.

-რომელი შუშაბანდებით - სათვალე ეკეთა თუ პენსნე?

-აი, ეგეთინა, ბაფთით, რაღა.

-მაშინ, პენსნე, - ფანქარს აფხაჭუნებდა ფანდორინი. - კიდევ რა ნიშნები ჰქონდა?

-ორთავენი ძაან წელში მოხრილები იყვნენ, მხრები კინკრიხოზედ მაღლა მოემარჯვებინათ... მოკლეთ, სკუბენტი სკუბენტია, აკი მოგახსენებთ...

საგონებელში ჩავარდნილი კუკინი „შტაცკი ჩინოვნიკს" მიშტერებოდა, ის კი დიდხანს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუმდა - თვალებს ჭუტავდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, თავის პატარა რვეულს აშარიშურებდა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ფიქრობდა რაღაცას თავისთვის კაცი.

„მუნდირი, მღიერიანი, პენსნე, წელში მოხრილი" - აღნიშნული იყო ბლოკნოტში. უკაცრავოდ და, აქა-იქა მღიერები - ეს წვრილმანია. კოკორინის ნივთების აღწერილობაში პენსნეს თაობაზე სიტყვა არ არის დაძრული. დაკარგა? შეიძლება. მოწმეებიც არა-რას ამბობენ პენსნეზე, მაგრამ თავის-მკვლელის გარეგნობის შესახებ რიგიანად არც გამოუკითხავთ იმათთვის - რად უნდოდათ? წელში მოხრილი? ჰმ. „მოსკოვსკიე ვედომოსტიში", მახსოვს, აღწერილია „სამოქალაქო ყოჩაღი", მაგრამ რეპორტიორი ამ შემთხვევას არ დასწრებია, კოკორინი არ უნახავს; ასე, რომ „ყოჩაღობის" მოჭორვაც შეეძლო უფრო მეტი ეფექტის მისაცემად. რჩება სტუდენტური მუნდირი - ამას ვეღარ უკუაგდებ. თუკი ხიდზე კოკორინი იყო, მაშინ გამოდის, რომ თერთმეტ საათსა და პირველის ნახევარს შორის რატომღაც სერთუკი გადაიცვა. საინტერესოა, სად? იაუზიდან ოსტოჟენკამდე და მერე უკან, „მოსკოვის ცეცხლისგან დაზღვევის ორგანიზაციამდე" გრძელი გზა არის, საათნახევარში ვერ მობრუნდები.

და გულის კოვზთან ყრუ ტკივილმა ფანდორინი მიახვედრა, რომ ერთადერთი გამოსავალი აქვს: მაგრად ჩაჰკიდოს ქეჩოში დახლიდარ კუკინს, წაიყვანოს უბანში, მოხოვაიაზე, სადაც მორგში ჯერ კიდევ ასვენია ყინულებშემოწყობილი თავისმკვლელის გვამი და ამოცნობა გამართოს. ერასტ პეტროვიჩმა წარმოიდგინა გაპობილი თავის ქალა, სისხლის და ტვინის ნაგურჯლებით, და სავსებით ბუნებრივად სახეში დაუდგა ვაჭრის ყელგამოღადრული ცოლი კრუპნოვა, აქამდისინ კიდევ რომ ეჩვენებოდა ხოლმე ღამის კოშმარულ სიზმრებში. არა, „საყინულეში" წასვლა ნამდვილად არ უნდოდა. მაგრამ მცირე იაუზსკის ხიდის სტუდენტსა და ალექსანდრეს ბაღის თავის-მკვლელს შორის რაღაც კავშირი იყო, რომელშიც დაუყოვნებლივ უნდა გარკვეულიყო. ვის შეუძლია უთხრას, იყო თუ არა კოკორინი „რქებიანი" და წელში მოხრილი? და ატარებდა თუ არა პენსნეს?

პირველ რიგში, მემამულეს, უფალა სპიცინას, მაგრამ ის, ალბათ, უკვე კალუგის საგუშაგოს უახლოვდება. მერე, განსვენებულის კამერდინერი. როგორ არის იმისი გვარი? რა საჭიროა, მაინც გამომძიებელმა გამოაგდო ბინიდან, წადი და ეძებე. დარჩნენ ალექსანდრეს ბაღის მოწმეები, განსაკუთრებით ის ორი მანდილოსანი, რომლებთანაც კოკორინი ლაპარაკობდა თავისი სიცოცხლის ბოლო წუთს. აი, ისინი კი ყოველისფერს დაინახავდნენ. აგერ, ბლოკნოტშიც ჩამიწერნია: „ქალიშვილი ნ.ს.მ. ელიზ. ალექსანდროვნა ფონ ევერტ-კოკოლცევა, 17 წლისა; შინაბერა ემა გოტლიბოვნა პფული, 48 წლის, მცირე ნიკიტინსკაია, საკუთარი სახლი".

მეეტლის ხარჯს ამჯერად ვეღარ გადურჩებოდა.

●●●

ძალიან გრძელი დღე გამოდიოდა. მაისის ხალისიანი მზე, სულაც რომ არ დაღლილიყო ოქროსთავიანი ქალაქის გაბრწყინებით, უწადინოდ ჩამოდიოდა სახურავების ხაზებიდან, როცა ორი აბაზით გაღარიბებული ერასტ პეტროვიჩი ეტლიდან ჩამოვიდა დორიული სვეტებით, მოჩუქურთმებული ფასადითა და მარმარილოს პარმაღით დამშვენებულ, მდიდრულ სახლთან. მეეტლემ შეატყო, რომ შეყოყმანებული მგზავრი გაჩერდა და უთხრა:

-სწორეთ ეს არი ღენერლის სახლი, იჭვიც არ შეგეპაროთ. განა პირველი წელია, რაც ამ ქალაქში დავდივარ.

„ასე არ შემიშვებენ", - მოსალოდნელი დამცირების შიშისგან ერასტ პეტროვიჩს გული შეუფრთხიალდა. ხელი მოჰკიდა სპილენძის ბრჭყვიალა ჩაქუჩს და ორჯერ დაარაკუნა. ბრინჯაოს ლომებით დამშვენებული მასიური კარი დაუყოვნებლივ განიხვნა და ოქროსბუზმენტიან, მდიდრულ ლივრეაში გამოწყობილმა შვეიცარმა გამოიხედა.

-ბატონ ბარონთან ჰბრძანდებით? სამსახურიდამ? - საქმიანად დაეკითხა, - მოვახსენო თუ რაიმე ქაღალდი გადავცე? შემოჰბრძანდისთ, მანდ რატომ ჰსდგახართ?

ჭაღითაც და გაზის რქაულებითაც გაჩირაღდნებულ მისაღებში სტუმარი მთლად დაფრთხა.

-მე პირადად ელიზავეტა ალექსანდროვნასთან გეახელით, - აუხსნა მან, - ერასტ პეტროვიჩ ფანდორინი, სამძებრო პოლიციიდან. გადაუდებელი საჭიროების გამო.

-სამძებროდამ? - იჭვით შეიჭმუხნა კარის გუშაგი, - გუშინდელის საქმის გამო ხომ არა? არც კი იფიქროთ. ქალიშვილები თითქმის ნახევარი დღე ქვითინებდნენ და ღამითაც კარგათ არა სძინებიათ. ვერც შეგიშვებთ და ვერც მოვახსენებ. გუშინ რომ ელიზავეტა ალექსანდრონა დაკითხვებით გააწამეს, მისი აღმატებულება თქვენებს, საუბნოდამ სულ კისრების წაწყვეტით დაემუქრა. ქუჩაში მიბრძანდით, ქუჩაში. - და იმ არამზადამ გასასვლელისკენ უბიძგა თავისი უშველებელი ღიპით.

-შინაბერა პფული? - წამოიძახა სასოწარკვეთილმა ერასტ პეტროვიჩმა, - ორმოცდარვა წლის ასაკის ემა გოტლიბოვნა? იმასთან მაინც გავისაუბრებდი. სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა!

შვეიცარმა მედიდურად ააცმაცუნა ტუჩები:

-იმასთან შეგიშვებთ, რატომაც არა. აი, იქით, კიბის ქვეშ მიბრძანდით. დერეფანში. მარჯვნივ მესამე კარი. მანდა ჰსცხოვრობს ქალბატონი აღმზრდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკაკუნების მერე მაღალმა, გაძვალებულმა არსებამ გაუღო კარი და სტუმარს მრგვალი, თაფლისფერი თვალებით მიაჩერდა.

-ფანდორინი. პოლიციიდან. ქალბატონი პფული ბრძანდებით? - ყოყმანით წარმოთქვა ერასტ პეტროვიჩმა და ყოველშემთხვევაში ნემეცურად გაიმეორა, - პოლიცაიმტ. ზინდ ზი ფრეილაინ პფულ? გუტენ აბენდ („პოლიციის სამმართველო. თქვენ ქალიშვილი პფული ხართ? საღამო მშიდობისა").

-მშვიდობის საგამო, - ცივად მიუგო გაძვალებულმა, - დიაგ, მე ემმა პფული ვარ. შემოდიტ. იმ სკამზედ დაბრძანდიტ.

ფანდორინი მითითებულ ადგილზე, მორკალულ საზურგიან ვენურ სკამზე დაჯდა, რომელიც რადაც სახელმძღვანელოების და საწერი ქაღალდის დასტების ზედმიყოლებითი წესრიგიანობით გაწყობილ საწერ მაგიდასთან იყო მიდგმული. ოთახი კარგი იყო, ნათელი, მაგრამ მეტად მოსაწყენი, თითქო მკვდარი. მხოლოდ რაფაზე იდგა მთელი სამი ქოთანი წამოზრდილი ნემსიწვერებით - ერთადერთი ნათელი წერტილი მთელ ამ მოღუშულ სადგომში.

-ტკვენ იმ სულელი კმაწვილკაცის ტაობაზე ბრძანდებიტ, საკუტარ ტავს რომ ესროლა? - შეეკითხა შინაბერა პფული, - მე გუშინ ბატონი პოლიციელის კველა შეკიტხვას ვუპასუხე, მაგრამ, ტუ კიდევ გსურტ, შეგიდზლიატ მკიტხოტ. მე კარგატ მესმის, რომ პოლიცაის მუშაობა - ეს დზალიან მნიშვნელოვანია. ბიდზაჩემი გიუნტერი ზაკსონიის პოლიცაიში მსახურობდა ობერ-ვახმაისტერად.

-მე კოლეგიის რეგისტრატორი ვარ, - თავადაც რომ ვახმაისტერად არ მიეღოთ, სასწრაფოდ აუხსნა ერასტ პეტროვიჩმა, - მეთოთხმეტე კლასის მოხელე.

-დიაგ, მე შემიდზლია ჩინების გარჩევა, - თავი დაუქნია ნემენცმა ქალმა და სტუმრის ვიცმუნდირის საღილეზე მიუთითა, - მაშ, ასე, ბატონო კოლეგიის რეგისტრატორო, მე ტკვენ გისმენტ.

ამ მომენტში კარი დაუკაკუნებლად შემოხსნა და ოთახში შემოფრინდა ქალიშვილი მომაჯადოებლად აწითლებული სახით.

-ფრეილეინ პფულ! Morgen fahren wiz nach Kuntsevo! („ხვალ ჩვენ კუნცევოში მივდივართ!" - ნემენც.) პატიოსანი სიტყვაა! მამიკომ ნება მოგვცა! - ზღურბლიდანვე წააყარა, მაგრამ უცხოს დანახვაზე შეჩერდა და დარცხვენილი დადუმდა, თუმცა მისი ნაცრისფერი თვალები ცოცხალი ყურადღებით მიაჩერდნენ ახალგაზრდა ჩინოვნიკს.

-კარგად აგზრდილი ბარონესსები კი არ დარბიან, არამედ დადიან, - საძაგელი სიმკაცრით უთხრა აღმზრდელმა, - მიტ უფრო მაშინ, როცა ისინი მტელი ჩვიდმეტი ცლისანი არიან. ტუკი არ დარბიხარტ, არამედ დადიხარტ, ტკვენ გაკვტ დრო, დაინახოტ უცნობი კაცი და წესიერად მიესალმოტ.

-გამარჯობა, ბატონო! - თითქოსდა გაიშრიალა საოცარმა ხილვამ.

ფანდორინი წამოხტა და თავი დაუკრა, თან უსაძაგლესად იგრძნო თავი. გოგონა საშინლად მოეწონა და საწყალი მწერალ-მწარმოებელი შეშინდა, რომ ახლა ადგება და ერთი ნახვით შეიყვარებს, მაგრამ ამის ჩადენა არაფრით არ შეიძლება. ადრეც კი, მამის კეთილდღეობის ხანაში ასეთი პრინცესა ვერანაირად ვერ იქნებოდა მისი საწყვილო, ახლა კი მით უმეტეს.

-გამარჯობა, - ძალიან მშრალად მიუგო მან, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და გონებაში დასძინა: „არასახარბიელო როლში გსურდათ ჩემი წარდგენა? ეს ტიტულიანი მრჩეველი და ეს კი დენერლის ქალიშვილი? არა, ქალბატონო, არ გამოგივათ! ტიტულარულამდე ჯერ კიდევ რამდენი უნდა ვიმსახურო და ვიმსახურო".

-კოლეგიის რეგისტრატორი ფანდორინი, ერასტ პეტროვიჩი, სამძებრო პოლიციის სამმართველო, - ოფიციალური ტონით წარუდგა, - ვაწარმოვებ მოკვლევას გუშინ ალექსანდრეს ბაღში მომხდარ სამწუხარო შემთხვევაზე. გაჩნდა აუცილებლობა, კიდევ დამესვა რამდენიმე შეკითხვა, მაგრამ თუკი თქვენ არ გსიამოვნებთ - მე შესანიშნავად მესმის, როგორ მდგომარეობაში იყავით, - ჩემთვის საკმარისი იქნება საუბარი მხოლოდ ქალბატონ პფულთან.

-დიახ, ეს საშინელება იყო, - ქალიშვილის ისედაც დიდი თვალები უფრო ფართოდ გაიღო, - მართალია, მე თვალები დავხუჭე და თითქმის ვერაფერს ვხედავდი, მერე კი გრძნობა დავკარგე... მაგრამ ისე მაინტერესებს!.. ფრეილეინ პფულ, შეიძლება მეც დავრჩე? ძალინ გთხოვთ! მე, სხვათა შორის, ისეთივე მოწმე ვარ, როგორიც თქვენ!

-ჩემის მხრივ და თანაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვამჯობინებდი, ქალბატონი ბარონესა აქ დარჩენილიყო, - სულმოკლეობა გამოამჟღავნა ფანდორინმა.

-ცესი ცესია, - თავი დაუქნია ემა გოტლიბოვნამ, - მე, ლიზხენ, კოველტვის გიმეორებდიტ: Ordnung muss sein („წესრიგი უნდა იყოს" - ნემენც.). კანონის მორჩილი უნდა იკოტ. შეგიდზლიატ დარჩეტ.

ლიზანკა (თავისთვის უკვე ასე ეძახდა ელიზავეტა ალექსანდროვნას გაუგონარი სისწრაფით მომაკვდავი ფანდორინი) უკვე მზადმყოფი დაეშვა ტყავის ტახტზე და სრული მზერით განაგრძო ჩვენი გმირის თვალიერება.

მან კი თავი ხელში აიყვანა და ფრეილაინ პფულისკენ შებრუნებულმა ითხოვა:

-აღმიწერეთ, გეთაყვა, იმ ბატონის პორტრეტი.

-ვინც ტავის ტავს ესროლა? - დააზუსტა მასპინძელმა. - Na ja („მაშ, ასე" - ნემენც.). კავისფპერი ტვალები, კავისფპერი ტმა, საკმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ მაგალი, ცვერ-ულვაში - არა, ბაკენბარდებიც არა, სახე სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ არცტუ კარგი. ახლა ტანის სამოსი...

-ტანსაცმელზე მერე, - შეაწყვეტინა ერასტ პეტროვიჩმა, -თქვენ ამბობთ, რომ კარგი სახე არა ჰქონდა. რატომ, სახეზე მღიერების მეოხებით?

-A ja, მგიერები, - აღმზრდელმა გემრილად გაიმეორა ვერგაგებული სიტყვა, - არა, მგირები იმ ბატონს არ ჰკონია. მას ჰკონდა დჟანმრთელი კანი. სახე კი არცტუ კარგი.

-აბა, როგორი?

-ბოროტი. ის ისე იკურებოდა, ტიტკოს სურდა ტავისი ტავის მოკვლა კი არა, არამედ ვიგაც სულ სხვისა. ო, ეს კოშმარი იკო! - მოგონებებმა აღაგზნო ემა გოტლიბოვნა, - გაზაპხული, ოკროს ამინდი, კველა დამა და ბატონი დასეირნობს, საოცარი უკანა მხარე სულ კვავილებში!

ამ სიტყვებზე ერასტ პეტროვიჩი გაწითლდა და ალმაცერად გახედა ლიზანკას, მაგრამ ის, ეტყობა, დიდი ხანია შეჩვეოდა თავისი დუენიას თავისებურ გამოთქმას და ისევ ისეთი ნდობითა და სხივთაფრქვევით უყურებდა.

-პენსნე თუ ჰქონდა? იქნებ, ცხვირზე არ ეკეთა და ჯიბიდან მოუჩანდა? აბრეშუმის ლენტით? - შეკითხვებს აყრიდა ფანდორინი, - და ხომ არ მოგეჩვენათ, რომ წელშია მოხრილი? და, აი კიდევ რა - ვიცი, რომ სერთუკში იყო, მაგრამ მის გარეგნობაში რაიმე ხომ არ ამჟღავნებდა სტუდენტს? მაგალითად, ფორმის შარვალი არ შეგიმჩნევიათ?

-მე კოველტვის კოველიპერს ვამჩნევდი, - საკუთარი ღირსების სრული შეგრძნებით მიუგო ნემენცმა, - შარვალი იკო კუბოკრული პანტალონი გზვიპასი აბრეშუმისგან. პენსნე საერტოდ არა ჰკონია. არც ცელში მოხრილი არ იკო. იმ ბატონს კარგი თავდაჭერა ჰკონდა. - ჩაფიქრდა და მოულოდნელად შეკითხვა შეუბრუნა, - ცელში მოხრილი, პენსნე და შტუდენტი? რატომ ტკვენ ასე სტკვიტ?

-დიაღ, მერედა, რა? - ჩაუსაფრდა ერასტ პეტროვიჩი.

-უცნაურია, იკ იკო ერტი ბატონი. ცელში მოხრილი შტუდენტი პენსნეში.

-როგორ!? სად!? - ამოიგმინა ფანდორინმა.

-მე დავინახე ასეტი ბატონი... jenseist... ზგუდის მეორე მხარეს, კუჩაში. იდგა და ჩვენ გვიკურებდა. მე იმასაც ვპიკრობდი, რომ ახლა ბატონი შტუდენტი ამ საშინელი კაცის გაგდებაში გვიშველის. და ის იკო დზალიან ცელში მოხრილი. ეს მერე დავინახე, როცა ამ ბატონმა უკვე მოკლა ტავისი ტავი. შტუდენტი შეტრიალდა და ჩკარა-ჩკარა ცავიდა. და მე დავინახე, ის როგორი ცელში მოხრილია. ეს იმტომ ხდება, რომ ბავშვებს ბავშვობაში არ ასცავლიან სცორად დჟდომას. სცორად დჟდომა დზალიან მნიშვნელოვანია. შეხედეტ ფრეილაინ ბარონესსას. ხედავტ, როგორ უჩირავს ცელი? დზალიან ლამაზად!

აი, აქ კი ელიზავეტა ალექსანდროვნა გაწითლდა, თან ისე საყვარლად, რომ ფანდორინმა წამით ძაფი დაკარგა, თუმცა ქალბატონი პფულის ჩვენებას, უთუოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

### *მეოთხე თავი, რომელიც სილამაზის დამღუპველ ძალაზე გვიამბობს*

მეორე დღეს, დილის თერთმეტი საათისთვის უფროსისგან ნაკურთხი და ექსტრაორდინარული ხარჯებისთვის სამი რუბლით აღჭურვილი ერასტ პეტროვიჩი მოხოვაიაზე მივიდა, უნივერსიტეტის ყვითელ კორპუსთან. დავალება რთული არ იყო, მაგრამ თავისებურ გამართლებას ისიც საჭიროებდა: უნდა მოეძებნა წელში მოხრილი, როგორღაც შეუმჩნეველი, ნაწილობრივ სახემღიერიანი სტიდენტი აბრეშუმის ლენტიანი პენსნეთი. ისიც დასაშვები იყო, რომ ეს საეჭვო ბატონი სულაც არა სწავლობდა მოხოვაიაზე, არამედ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, სატყეო აკადემიაში ანთუ რომელიმე მომიჯნავე ინსტიტუტში, თუმცადა ქსავერი თეოფილაქტოვიჩი (თავის ყმაწვილ თანაშემწეს გაკვირვებული სიხარულით რომ უყურებდა) სრულიად ეთანხმებოდა ფანდორინის ვარაუდს - მოსალოდნელი იყო, რომ „ცელში მოხრილი" ისევე როგორც განსვენებული კოკორინი, უნივერსიტეტში სწავლობდა და სწორედ იურიდიულ ფაკულტეტზე.

პარტიკულარულ (კერძო) სამოსში გამოწყობილი ერასტ პეტროვიჩი კისრისტეხით ავარდა მთავარი ფასადის გაპრიალებულ თუჯის საფეხურებზე, ჩაუქროლა მწვანე ლივრეიანსა და წვერიან მოსამსახურეს და მოხერხებული პოზიცია დაიკავა ფანჯრის ნახევარწრისებურ ამბრაზურასთან, საიდანაც ჩინებულად ჩანდა ვესტიბული თავისი საგარდერობოთი, ეზოც და ორთავე ფრთაში გასასვლელები. მას შემდეგ, რაც მამა გარდაეცვალა და ყმაწვილკაცის ცხოვრებამ პირდაპირი და ნათელი გზიდან გადაუხვია, უნივერსიტეტის წმინდა და ყვითელ კედლებს ერასტ პეტროვიჩი იმ მწუხარების გარეშე უყურებდა, რომ, ხომ შეიძლებოდა აქ ესწავლა და ვაირომ ვერ ისწავლა. ჯერ კიდევ არავინ უწყის, რანაირი ცხოვრება უფრო წარმტაცი და საზოგადოებისთვის სასარგებლოა - სტუდენტური ბეჯითი ზეპირობა თუ სამძებრო აგენტის პირქუში ცხოვრება, მეტად საჭირო და სახიფათო საქმე რომ მიჰყავს (კარგი, დავუშვათ, უხიფათოო, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო და იდუმალი.

ყურადღებამოკრებილი დამკვირვებლის მხედველობის არეში მოხვედრილი სტუდენტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან დაახლოებით ყოველი მეოთხე პენსნეს ატარებდა, ბევრი სწორედ აბრეშუმის ლენტით. დაახლოებით ყოველ მეხუთეს ფიზიონომიაზე ცოტაოდენი მღიერები ჰქონდა, წელში მოხრილებიც საკმაოდ იყო. მაგრამ ერთ სუბიექტში რომ შეერთებულიყო სამივე სამძებრო გერში - ეს არაფრისდიდებით არა სურდათ თავად გერშებს.

მეორე საათისთვის მოშიებულმა ფანდორინმა ჯიბიდან ძეხვიანი სენდვიჩი ამოიღო და პოსტის მიუტოვებლად მომაგრდა. ამ დროისთვის ერასტ პეტროვიჩმა მოასწრო კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება წვეროსან მეკარესთან, რომელმაც უბრძანა, მიტრიჩი დაეძახნა და ისიც მოასწრო, რომ „ნივირსიტეტში“ ჩაბარებასთან დაკავშირებით რამდენიმე ფასდაუდებელი რჩევაც მიეცა. ფანდორინი, ამ ლაპარაკის მოყვარულ მოხუცს უნივერსიტეტის გერბიან ღილებზე მეოცნებე პროვინციელად რომ წარუდგა, უკვე ფიქრობდა, ვერსია შეეცვალა და პირდაპირ გამოეკითხა მიტრიჩი „ცელში მოხრილისა“ და მღიერიანის შესახებ, რომ მეკარე კიდევ ერთხელ დაფაცურდა, თავიდან ფურჟი მოიშვლიპა და კარი გააღო. ამ პროცედურას მიტრიჩი მაშინ ასრულებდა, როცა ვინმე პროფესორი ან მდიდარი სტუდენტი ჩაუვლიდა, რისთვისაც ხან კაპეიკს ღებულობდა და ზოგჯერ შაურიანსაც კი. ერასტ პეტროვიჩმა გაიხედა და დაინახა, რომ გასასვლელისკენ მიემართება ვიღაც სტუდენტი, ახლახანს რომ მიეღო გარდერობიდან ლომის თათების შესაკრავებიანი მდიდრული ხავერდის ლაბადა. ამ პეწენიკს ცხვირზე პენსნე უბრწყინავდა, შუბლზე კი მღიერები, გნებავთ, „რქები“ გამოფიფქვოდა. ზამბარასავით დაიძაბა ფანდორინი, ცდილობდა, დაენახნა, წელში მოხრილის კვალობაზე როგორ მოჰყვებოდა სტუდენტი, მაგრამ ლაბადის დაწყევლილი მოსასხამი და აწეული საყელო დიაგნოზის დასმაში ხელს უშლიდა.

-საღამო მშვიდობისა, ნიკოლაი სტეპანიჩ. მეეტლეს ხომ არ დავუძახო? - თავი დაუკრა მეკარემ.

-მითამ რაო, მიტრიჩ, წვიმამ გადაიღო? - წვრილი ხმით ჰკითხა მღიერინმა, - მაშინ გავივლი, დიდხანს ვიჯექი. - და გამოწვდილ ხელს თეთრ ხელთათმანიანი ორი თითით მონეტა ჩაუგდო.

-ვინ არის? - უჩურჩულა ერასტ პეტროვიჩმა, მიმავალი ფრანტ-კოხტაპრუწას ზურგს დაძაბული რომ მისჩერებოდა, - თითქო მოხრილია, არა?

-ნიკოლაი სტეპანიჩ ახტირცევი. თავადური სისხლის ერთი უპირველესი მდიდარი, - მოწიწებით გამოუცხადა მიტრიჩმა, - სამშაურიანზედ ნაკლებს არ იძლევა.

ფანდორინი წინათგრძნობამ თითქოსდა შუაცეცხლში ისროლა. ახტირცევი! ის ხომ არა, ანდერძში აღმასრულებლად რომ ჩაწერეს!

მიტრიჩი მომდევნო ჩამვლელს, ფიზიკის მასწავლებელს უკრავდა თავს და რომ შემოტრიალდა, სიურპრიზი დაუხვდა: თავაზიანი პროვინციელისთვის თითქოსდა მიწას ექნა პირი და გადაეყლაპნა.

ხავერდის შავი ლაბადა შორიდანვე მოჩანდა და ფანდორინი ეჭვმიტანილს მალევე წამოეწია, მაგრამ დაძახება ვერ გადაწყვიტა: რა უნდა უთხრას ამ ახტირცევს? დავუშვათ, დახლიდარმა კუკინმაც იცნო, შინაბერა პფულმაც (აქ ერასტ პეტროვიჩმა მძიმედ ამოიოხრა, რაკიდა, ვინ იცის, უკვე მერამდენედ გაახსენდა ლიზანკა). მერე ამით რა? განა უკეთესი არ იქნება, რომ უდიადესი ფუშეს - ძიების სწორუპოვარი კორიფეს - მეცნიერების თანახმად, ობიექტს თვალ-ყური ადევნოს?

ითქვა და გაკეთდა კიდეც. მით უფრო, რომ თვალთვალი სულაც არ აღმოჩნდა ძნელი: ახტირცევი აუჩქარებლად და უკანმოუხედავად ტვერსკოის მიმართულებით მიდიოდა, ხამუშხამუშ თვალსაც გაადევნებდა ხოლმე პირისახედახატულ მოდისტკებს. გათამამებული ერასტ პეტროვიჩი რამდენჯერმე მიუახლოვდა და ესმოდა, თუ როგორ უზრუნველად უფშტვენდა სტუდენტი სმიტის არიას „სპარსელი ლამაზმანიდან“. ეტყობა, შეუმდგარი თავის მკვლელი (თუ მართლა ის იყო) ჩინებულ გუნებაზე გახლდათ. კორფის თამბაქოს მაღაზიასთან სტუდენტი შედგა და დიდხანს ათვალიერა ვიტრინაზე მოთავსებული სიგარის კოლოფები, თუმცა შიგნით არ შესულა. ფანდორინს ჩამოუყალიბდა შეხედულება, რომ „ობიექტი“ დროს წელავს რომელიღაც დანიშნულ საათამდე. ეს რწმენა უფრო განმტკიცდა, როცა ახტირცევმა ოქროს საათი ამოიღო, სახურავი გააწკაპუნა და ოდნავ ფეხგაჩქარებით გასწია ტროტუარის აღმა, თანაც გადავიდა უფრო გადამწყვეტი „ბიჭების ქოროს“ შესრულებაზე ახალმოდური ოპერიდან „კარმენ“.

კამერგერსკზე რომ შეუხვია, სტუდენტმა შტვენა შეწყვიტა და ისე მკვირცხლად გასწია, რომ ერასტ პეტროვიჩი იძულებული შეიქმნა, ჩამორჩენოდა - ეს რომ არ ექნა, ძალიან საეჭვოდ გაიხდიდა თავს. საბედნიეროდ, დარზანსის მანდილოსანთა სალონთან არმისულმა „ობიექტმა“ ნაბიჯი შეანელა და მალე გაჩერდა კიდეც. ფანდორინი საპირისპირო მხარეს გადავიდა და საფუნთუშის მახლობლად დაიკავა პოსტი, საიდანაც ნამცხვრების სასიამოვნო სურნელება გამოდიოდა.

თხუთმეტი და, შეიძლება, ოცი წუთიც კი ახტირცევი უფრო და უფრო შესამჩნევ ნერვიულობას ავლენდა და მუხის ჩუქურთმებიან კართან მიდი-მოდიოდა, სადაც შედიოდნენ მანდილოსნები და იქიდან ხელის ბიჭებს იმათთვის გამოჰქონდათ რიგიანი შეფუთულები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ყუთები. ტროტუარის სისწვრივ ეკიპაჟები იცდიდა, რომელთაგან რამდენიმე ლაქწასმულ კარზე გერბებიც იყო გამოსახული. სამის ჩვიდმეტ წუთზე (ერასტ პეტროვიჩმა ვიტრინის საათზე შეამჩნივა) სტუდენტი შეკრთა და მაღაზიიდან გამოსული კეთილადნაგი, ვუალიანი დამისკენ გაეჩქარა. მოიხადა ფურაჟი და რაღაცის ლაპარაკი დაუწყო ხელების ქნევით. მოწყენილი გამომეტყველების ფანდორინმაც გადაკვეთა მოსტოვაია - რა არის, რომ, იქნება იმასაც უნდა დარზანსთან შეიხედოს.

-ახლა თქვენთვის არა მცალია, - მოესმა წკრიალა ხმა ბანოვანისა, ბოლო პარიზულ მოდაზე რომ ეცვა იისფერი მუარის ლივლივა კაბა თავისი შლეიფით, - მერე იყოს. რვა საათზე მოჰბრძანდით, ჩვეულებრივ, და იქ გადაწყდება ყოველისფერი.

და მეტად აღარც კი შეუხედავს აღგზნებული ახტირცევისთვის, ორადგილიანი, თავგადახდილი ფაეტონისკენ გაემართა.

-მაგრამ, ამალია! ამალია კაზიმიროვნა, ნება მიბოძეთ! - შეძახილი გაადენა გულამომჯდარმა სტუდენტმა, - მე გარკვეულწილათ პრივატული ახსნა-განმარტების იმედზედ ვიდექი!

-მერე, მერე! - გადაუგდო დამადლებით ვუალოსანმა, - ახლა მეჩქარება!

მსუბუქმა ქარმა სწორედ ის უწონო ვუალი აჰხადა სახიდან და ერასტ პეტროვიჩი კერპსავით გაქვავდა. ეს ღამეული და მიბნედილი თვალები, ეს მეგვიპტური ოვალი, ეს კაპრიზული კლაკნილები ტუჩებისა უკვე ენახნა, და ასეთ სახეს ერთხელ ნახავ და ველარც დაივიწყებ ვერასოდეს. აი, ისიც, იდუმალი „ა. ბ.", რომელიც იმ ბედნავს კოკორინს უბრძანებდა, სიყვარული არ უვარჰყოვო! საქმე, როგორც ჩანდა, სრულიად სხვა მიმართულების ფიქრებსა და ელფერს იღებდა.

დაბნეული ახტირცევი ტროტუარზე გაქვავდა და თავი მხრებში ჩარგო (წელში მოხრილია, სწორედ, წელში მოხრილი, დარწმუნდა ერასტ პეტროვიჩი), ამასობაში ფაეტონს აუჩქარებლად მიჰყადა მეგვიპტის დედუფალი პეტროვკის მხარეს. რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო სასწრაფოდ და ფანდორინმა განსაჯა, რომ სულ ერთია, სტუდენტი ველარსად დაეკარგება და ხელი ჩაიქნია მასზე - წინ გაიქცა, დიმიტროვის კუთხის მიღმა, სადაც მეეტლეებს რიგი მოეწყოთ.

. -პოლიცია, - უჩურჩულა კარტუზიან ქუდში და დაბამბულ ხიფთანში ჩათბილულსა და წათვლემილ ვანკას, - ჩქარა, იმ ეკიპაჟს მიჰყევი! გაინძერი-მეთქი! რას ცახცახებ, სრულს გადაგიხდი!

ვანკა შეიმართა, მოჭარბებული გულმოდგინებით დასწვდა სახელურს, აღვირი მოქაჩა, შეუძახა კიდეც და აბრაშა ცხენის ფლოქვები თანმიყოლებით ახმაურდა მოსტოვოის ქვარიყულფენილზე.

კუთხეში, როჟდესტვენსკის გადაკეთაზე ფიცრით დატირთული ფორანი გამოვიდა და მთელი სავალი ნაწილი გადაფარა. უკიდურესად აღელვებული ერასტ პეტროვიჩი წამოხტა, ცერებზე შედგა და გასწრებულ ფაეტონს გააყოლა თვალი. ის მაინც კარგია, რომ დაინახა, თუ როგორ შეუხვია ბოლშაია ლუბიანკაზე.

არა უჭირს რა, ღვთის წყალობა იყოს და, სრეტენკაზე დაეწევა ფაეტონს, თანაც დროულად - რადგან იმან ვიწრო, კუზიან შესახვევში დაყვინთა და ბორბლებიც ოღროჩოღროზე ახტუნავდა. ფანდორინმა დაინახა, რომ ფაეტონი უკვე ჩერდება და თავის ვასკა მეეტლეს მხარში უჯიკავა - მიდი, შეუბერეო რა და არ გამცეო. თავად მოსაჩვენებლად შეტრიალდა, მაგრამ თვალის კუთხით ხედავდა, თუ ქვითნაგებ სასიამოვნო სახლთან ჩამომხდარ იისფერ ბანოვანს თავისდაკვრით როგორ ხვდებოდა ვიღაც აყლაყუდა ლივრეიანი. პირველსავე კუთხეში ერასტ პეტროვიჩმა მეეტლე გაუშვა და ყოვლად აუჩქარებლად, თითქო მისეირნობსო, უკუ მიმართულებით გასწია. აი, ის სახლიც - ახლა კარგად შეიძლებოდა მისი დათვალიერება: მეზონინი მწვანე სახურავით, ფანჯრებში ფარდები, მთავარი შესასვლელი წინსაფარი საჩიხით. კარზე სპილენძის დაფა რაღაც არა ჩანს.

სამაგიეროდ, კედელთან მიმდებარე ფარდულში თავისი წინსაფრიანად და დაჭმუჭნული კარტუზის ქუდიანად იჯდა მოწყენილი მეეზოვე. ერასტ პეტროვიჩმაც მისკენ გასწია.

-ერთი ეს მითხარი, ოქროკაცო, - სიარულიდანვე დაიწყო მან, თანაც ჯიბიდან თავისი უწყების აბაზიანს იღებდა, - ეს ვისი სახლია?

-ვისიც არი, ცნობილი ამბავია, - პირქუშად მიუგო მეეზოვემ და ინტერესით განაგრძო ფანდორინის თითების მოძრაობის თვალთვალი.

-აჰა-და, აიღე. ეს რომელი ბანოვანი მოვიდა?

-ღენერალშა მასლოვას სახლია, მაგრამ ისინი აქ არა ცხოვრობენ, აქირავებენ. ჰოდა, დამქირავნებელი მოვიდა, ქალბატონი ბეჟეცკაია, ამალია კაზიმიროვნა.

-ვინ არის ამისთანა? - ჩამოჯდა ერასტ პეტროვიჩი, - ანთუ დიდი ხანია აქა ცხოვრობს? და ბევრნი დაიარებიან სტუმრად?

მეეზოვე ბაგემდურიად უცქეროდა, ტუჩებს იკვნეტდა და ეტყობოდა, იმის ჭკუაში რაღაც გაუგებარი სამუშაო სრულდებოდა.

-იცი, რას გეტყვი, ბატონო, - თქვა მან, წამოდგა და მოულოდნელად ღონივრად ჩაეჭიდა ფანდორინს მკლავში, - ცოტა მოიცადე.

გაძალიანებული ერასტ პეტროვიჩი ფასადამდე გაითრია და ბრინჯაოს ზარის ენას ჩამოჰკრა.

-რას სჩადი?! - შეეშინდა მაძებარს, განთავისუფლებას რომ ცდილობდა გულმოდგინედ, - მე შენ გაჩვენებ... შენ იცი, ვის ელ-

აპარაკები?

კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ლივრეიანი ახმახი, უშველებელი ბაკენბარდებითა და კარგად გაპარსული ნიკაპით - ზედ ეტყობოდა, რუსული სისხლის არ უნდა ყოფილიყო.

-ჰაიდა-აჰა, დაყიალობენ აქა, ამალია კაზიმიროვნას არსებით ინტერესდებიან, - დათაფლული ხმით აბეზღებდა ფლიდი მეეზოვე, - ფულსაც მთავაზობენ-სთ. მაგრამ არ ვიღებსთ. ჰოდა, აი, ჯონ კარლიჩ, ვიფიქრევი...

მსახურთუხუცესმა (ეს, სწორედ მოგახსენოთ, მართლა მსახურთუხუცესი გახლდათ, რაკი ანგლიელი იყო) დაკავებული მიმოზომა არაფრისმთქმელი, წვნიკი და ჩხვლეტია თვალებით, ხმისამოუღებლად მისცა იუდას ვერცხლის ათშაურიანი და სულ ოდნავ განზე გადგა.

-აი, აქ კი, კერძოდ, სრული გაუგებრობა გახლავსთ! - ჭკვაზე ვეღარ მოსულიყო ფანდორინი, - It`s ridiculous! A complete misunderstanding! („ამაზე სიცილი მომდის! სრული გაუგებრობა გახლავთ!“ - ანგლ.) - ანგლიურზე გადავიდა.

-როგორ გეკადრებასთ! მოჰბრძანდისთ! მოჰბრძანდისთ! - უკანიდან ბღაოდა მეეზოვე. უფრორე საიმედოობისთვის, მეორე მკლავშიც ჩასჭიდა ფანდორინს ხელი და შიგნით უბიძგა.

ერასტ პეტროვიჩი საკმაოდ ფართო მისაღებში აღმოჩნდა, დათვის ფიტულის პირდაპირ, რომელსაც ხელში ვერცხლის ლანგარი ეჭირა - სავიზიტო ბარათების დასადებად. არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნილ და გულატოკებულ რეგისტრატორს ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე მისჩერებოდნენ ბანჯგვლიანი მხეცის მინის თვალები.

-ვინ კჰარტ და რატომ? - მოკლედ, ძლიერი აქცენტით შეეკითხა მსახურთუფროსი, იგნორირება უყო ფანდორინის სავსებით რიგიან ანგლიურს.

ერასტ პეტროვიჩი კრინტს არა სძრავდა, თავისი ინკოგნიტოობის გახსნა არ სურდა.

-What`s the matter, John? („რაშია საქმე, ჯონ?“ - ანგლ.) - გაისმა ფანდორინისათვის უკვე ნაცნობი, წკრიალა ხმა. ხალიჩითმოგებულ კიბეზე, რომელიც მეზონინში ადიოდა, დიასახლისი იდგა, შლაპისა და ვუალის მოხსნა უკვე მოესწრო.

-ოჰო, შავგვრემანი ჭაბუკი, - დამცინავად წარმოთქვა დამამ და ფანდორინს მიუტრიალდა, რომელიც თვალებით სჭამდა, - მე თქვენ კამერგერსკზევე შეგამჩნიეთ. განა შეიძლება უცნობ ბანოვანს ასე მიაშტერდეთ? ისე, მარჯვე კია, ვერაფერს იტყვი! დამედევნა ბიჭი! სტუდენტი ხართ თუ ისე, უსაქმური?

-ფანდორინი, ერასტ პეტროვიჩი, - წარუდგა ესეც, აღარ იცოდა, მერე რა ეთქვა, მაგრამ კლეოპატრამ, ეტყობა, უკვე მოასწრო და თავისებურად ახსნა მისი გამოჩენა.

-მიყვარს მამაცები, - ნატიფ პირისახეზე გამოუცნობი სიცილი მოუვიდა, - განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ასეთი კარგები არიან. მაგრამ თვალთვალი ლამაზი არ არის. თუკი ჩემი არსება თქვენთვის აგრერიგად საინტერესოა, საღამოს მეწვიეთ - ვინ აღარ დაიარება ჩემთან. თქვენ იქ სავსებით დაიკმაყოფილებთ აფორიაქებულ ცნობისმოყვარეობას. და ფრაკი ჩაიცვით, ჩემთან თავისუფალი მოქცევა კია, მაგრამ ის მამაკაცები, ვინც აფიცრები არ არიან, ყოველმიზეზგარეშე, ფრაკებში უნდა იყვნენ - ეგეთი კანონია.

●●●

საღამოს ერასტ პეტროვიჩი სრულ აღჭურვილობაში იყო. სწორედ მოგახსენოთ, მამისეული ფრაკი მხრებში განიერი აღმოჩნდა, მაგრამ შეთავსებით დიდებულმა მკერავმა აგრაფინა კონდრატიევამ, საგუბერნიო მდივანმა, ვის ოთახშიც ფანდორინი იდგა, გულიქინძისთავები დაუმაგრა ნაკერების გაყოლებაზე და რიგიანად გამოვიდა - განსაკუთრებით, თუკი არ შეიკრავდა. ვრცელი გარდერობი, სადაც ჯერ მარტო თეთრი ხელთათმანები ხუთი წყვილი დაიძებნებოდა, ერთადერთი მონაპოვარი იყო, შვილს რომ უანდერძა ბანკების უიღბლო მეპაიემ. ჩინებულად გამოიყურებოდა ბურგესის აბრეშუმის ჟილეტი და პირონეს ლაკის ფეხსაცმელი. არც ბალანის თითქმის ახალი ცილინდრი გახლდათ ურიგო, ერთი ეს იყო, თვალებამდე იცოდა ჩამოფხატვა. არა უჭირს რა, ლაქიას მისცემ შესასვლელში და მაგით დამთავრდება. ერასტ პეტროვიჩმა ტროსტის წაღება გადიფიქრა - მაინც-და-მაინც კარგ ტონად არ ითვლება. თავის ბნელ მისაღებში, დაბზარულ-დაკენკილი სარკის წინ დატრიალდა და საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით წელით, რომელიც სათანადოდ ეჭირა უმკაცრეს „ლორდ ბაირონს“. ჟილეტის ჯიბაკში ვერცხლის რუბლი ედო, ქსაერი თეოფილაქტოვიჩისგან თაიგულისთვის მითავაზებული („რიგიანი, მაგრამ ყოყოჩობის გარეშე“). ამ რუბლისა საყოყოჩო რა უნდა მომივიდეს, ამოიოხრა ფანდორინმა და გადაწყვიტა, საკუთარი ათშაურიანიც ზედ წაემატებინა - მაშინ საკმარისი იქნება პარმის იებისთვის

ამ თაიგულისთვის მეეტლის გაწირვა მოუწია და ეშმაკუნა კლეოპატრასთან (ეს მეტსახელი ყველაზე უკეთ ერგებოდა ამალია კაზიმიროვნა ბეჟეცკაიას) ერასტ პეტროვიჩმა საათის ცხრის რუპზელა, ანუ მეოთხედზე მიაღწია.

სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ. მოახლის მიერ შეშვებულმა მწერალ-მწარმოებელმა მისაღებშივე გაიგონა მამაკაცთა თავისებური ბუბუნი, მაგრამ შიგა-და-შიგ ისმოდა ი მ ი ს ი ნარნარა ხმაც, ვერცხლისა და ბროლისა, ჯადოსნური. ოდნავ შეყოვნდა დირეზე, ძალა მოიკრიბა და შევიდა ერთგვარად მოშვებული, რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც, იმედი ჰქონდა, რომ გამოცდილი და მაღალ საზოგადოებაში მიღებული კაცის შთაბეჭდილებას მოახდენდა. ამაოდ გაისარჯა - შემოსულისთვის არავის მიუქცევნია ყურადღება.

ფანდორინმა დაინახა დარბაზი - მოხერხებული ტარსიკონის ტახტებით, ხავერდის სკამებით, დახვეწილი მაგიდებით - ყოველისფერი სტილშია და მოდურიც არის. შუაში გაფენილ ვეფხვის ტყავზე ესპანურად გამოწყობილი დიასახლისი იდგა - წითელ კაბაში, კორსაჟით და ალისფერი კამელიით თმაში. ძალიან ქალი კი გამოდგა და ერასტ პეტროვიჩს გულმა ტოკვა დაუწყო და მკლავმა კიდევ თრთოლა. სტუმრები მყისვე არ შეუთვალიერებია, მხოლოდ შეამჩნია, რომ მარტოოდენ მამაკაცები არიან, და ახტირცევიც აქ არის, მოშორებით ჩამომჯდარა და რაღაცა ფერიფერი გადასდის.

-აი, კიდევ ერთი სულთქმა-უში, - წარმოთქვა ბეჟეცკაიამ და სიცილმოსულმა გახედა ფანდორინს, - ახლა უკვე ზუსტად ეშმაკის დუჟინია. ყველას ვერ წარმოგიდგენთ, დიდხანს მოგვიწევს, საკუთარი თავი დაასახელეთ. მახსოვს, რომ სტუდენტი ხართ, მაგრამ თქვენი გვარი დამავიწყდა.

-ფანდორინი, - მოღალატურად აკანკალებული ხმით წამოიკნავლა ერასტ პეტროვიჩმა და კიდევ გაიმეორა, უფრო მტიცედ, - ფანდორინი.

ყველა მისკენ შემოტრიალდა, თუმცა სულ ოდნავ, როგორც ჩანდა, ახალმოსულმა ყმაწვილმა ისინი არ დააინტერესა. ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ ამ საზოგადოებაში ინტერესთა გულისგული მხოლოდ ერთია. სტუმრები ერთმანეთში თითქმის არ ბაასობდნენ, მხოლოდ დიასახლისს მიმართავდნენ და ყველანი, თვით მედიდური სანახაობის მოხუციც კი, ბრილიანტის ვარსკვლავით, ერთსა და იმავესკენ მიილტვოდნენ - ბანოვანის ყურადღება მიეპყროთ და თუნდაც წუთით ჩაექროთ დანარჩენები. ამათგან განსხვავებით მარტოოდენ ორს ეჭირა თავი - მდუმარე ახტირცევს, მოუღლელად რომ წრუპავდა ბოკალიდან შამპანურს და ჰუსართა აფიცერს, პატარა, გაბრწყინებული, ოდნავ გადმოკარკლული, მოთარეშე თვალებითა და თეთრკბილებიანი და შავულვაშიანი ღიმილით. ეს, ეტყობა, გვარიანად მოწყენილი იყო და ამალია კაზიმიროვნას თითქმის არ უყურებდა, მხოლოდ დანარჩენ სტუმრებს ათვალიერებდა დაუფარავი დამცინაობით. ხოლო კლეოპატრა ამ თავხედს სხვებისაგან განარჩევდა, უბრალოდ „იპოლიტს“ ეძახდა და ერთი-ორჯერ იმისკენ ისეთი თვალთა ისრები სტყორცნა, რომ ერასტ პეტროვიჩს სევდიანად აუწუწუნდა გული.

ის მოულოდნელად წამოხტა. რომელიღაც მწყობრად აკრეფილმა ბატონმა კისერზე თეთრი ჯვრით პაუზით ისარგებლა და ახლახანს თქვა:

-აი, ამალია კაზიმიროვნა, თქვენ ამასწინათ კოკორინზედ კი აღგვიკძალეთ ენის ჭარტალი, მაგრამ მე ერთი ისეთი რაღაცა საინტერესო გავიგე.

მიღებული ეფექტით კმაყოფილი მთქმელი გაჩუმდა - ყველა მისკენ მიტრიალდა.

-ჰოდა, გული ნუ გაგვიწვრილეთ, ანტონ ივანოვიჩ, სთქვით, - ვეღარ მოითმინა ციცაბოშუბლიანმა სქელუამ, კაი გამოქექილი ადვოკატის სანახაობის პატრონმა.

-ჰო, ჰო, სული ნუ ამოგვხადეთ, - აიტაცეს დანარჩენებმაც.

-ისე, ალაოზე კი არ დაიხალა, „ამერიკული რულეტი“ ითამაშა. ღენერალ-ღუბერნატორის კანცელარიაშიდ მიჩურჩულეს, - დიდმნიშვნელოვნად თქვა გამოქექილმა, - იცით, ეს რა არის?

-ცნობილი ამბავია, - მხრები მოიმარჯვა იპოლიტმა და გაათამაშა, - აიღებ რევოლვერს, ჩადებ ვაზნას. სისულელეა, მაგრამ აგანთებს. საწყენია, რომ ჩვენებმა კი არა, ამერიკელებმა მოიფიქრეს.

-და აქ რულეტი რა შუაშია, გრაფ? - ვერ მიხვდა ვარსკვლავიანო მოხუცი.

-კენტი თუ წყვილი, წითელი თუ შავი, მხოლოდ ზერო არ გამოდგეს! - წამოიძახა ახტირცევმა და არაბუნებრივად გადიხარხარა, თან გამომწვევად უყურებდა ამალია კაზიმიროვნას (ასე მოეჩვენა ფანდორინს).

-მე გაგაფრთხილეთ: ამაზე ვინც იუბედებს, აქედან მივაბრძანებ! - დიასახლისი სულაც არ ხუმრობდა, - და სახლიდანაც დავითხოვ ერთხელ და სამუდამოდ! იპოვეს საჭორაო თემა!

არღუმენტებდარღვეული სიჩუმე ჩამოვარდა.

-თუმცა ჩემს დათხოვნას ვერ გაჰბედავთ სახლიდან, - იგივ მოურიდებელი ტონით გამოაცხადა ახტირცევმა, - მე მგონი, დავიმსახურე, ვილაპარაკო ყოველისფერი, რასაც კი ვჰფიქრობ

-რით დაიმსახურეთ, ნება მიბოძეთ, მეც შევიტყო? - ჩაერია წამოწითლებული კაპიტანი გვარდიელის მუნდირში.

-იმით, რომ თავზე ხელი გადაუსვეს ამ ძუძუმწოვარას, - საქმე სკანდალისკენ შეატრიალა იპოლიტმა, ვისაც მოხუცმა „გრაფი“ უწოდა. - ნება მომეცით, Amelie, გარეთ გავუშვა, გულის გასაგრილებლად.

-როცა თქვენი გამოსარჩლება დამჭირდება, იპოლიტ ალექსანდროვიჩ, ამას დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ, - შხამიანად მიუგო კლეოპატრამ და კონფრონტაცია ჩანასახშივე იქნა ჩახშობილი. - მოდით, იცით, რა ვქნათ, ბატონებო? რაკიღა ჭკუის გამახალისებელ სჯა-ბაასს თქვენგან არ უნდა ველოდე, ისევ ფანტა ვითამაშოთ. ამასწინათ თავშესაქცევად გამოვიდა - ფლორ ლუკიჩმა ხომ წააგო და ყვავილებს რომ იხატავდა, მთელი თითები სულ ნემსით დაიჩხვლიტა!

ყველამ მხიარულად გაიცინა, გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრგვლად თმაშემოკვერცხილი, წვერიანი ბატონისა, საკმაოდ ტლანქად რომ ადგა ფრაკი.

-წინეთ ისიც გამოვიდა, ჩვენო ძვირფასო ამალია კაზიმიროვნა, რომ საწყალი ვაჭრით შეიქციეთ თავი. ეგრეც მოუხდება ჩემისთანა სულელს, - მორჩილად თქვა მან, „ულ"-ს დააწვა განსაკუთრებით, - მაგრამ პატიოსანი ვაჭრობისას ვალი მხოლოთ გადახდით მშვენიერდება. ამას წინეთ ხომ ჩვენ ვრისკავდით თქვენს წინაშე, აი, ახლა კი, ურიგო არ იქნებოდა, თქვენც გაგერისკათ.

-მართალია, ხომ იცით, კომერციის მრჩეველი! - წამოიძახა ადვოკატმა, - ცარიელი ჭკვაა! მოდით, ახლა ამალია კაზიმირონამ გამოავლინოს სიმამაცე. ბატონებო, მე გთავაზობთ! ჩვენიდან ის, ვინც ფანტას ამოიღებს, მოსთხოვს ჩვენ სხივთამფენს... ვთქვათ, რაღაც განსაკუთრებულს.

-სწორია! ბრავო! - გაისმა ყველა მხრიდან.

-აჯანყებაა? პუგაჩოვშინა? - სიცილი მოუვიდა თვალთა დამავსებელ დიასახლისს, - რა გინდათ ჩემგან?

-მე ვიტყვი! - გამოცოცხლდა ახტირცევი, - გულახდილი პასუხი ნებისმიერ შეკითხვაზედ. ეშმაკობა არ იყოს, კატა-თაგვობანა არ ითამაშოთ. და უშუალოდ, პირისპირ გვიპასუხეთ.

-რატომ პირისპირ? - გააპროტესტა კაპიტანმა, - ყველას აინტერესებს მოსმენა.

-სადაც ყველაა, იქ გულახდილად არ გამოდის, - თვალები ააელვარა ბეჟეცკაიამ, - კეთილი, თქვენი ეშმაკი დიდი იყოს, გულახდილად ვითამაშოთ. მაგრამ არ შეეშინდება იმ ბედნიერს ჩემგან სიმართლის გაგება? სიმართლე ხომ უგემურიც შეიძლება გამოდგეს.

გრაფმა ნამდვილ პარიზულ მანერაზე მოიჩლიქა ენა და დაცინვით ჩაურთო:

-J'en ai le frisson que d'y penser („მხოლოდ აზრის გავლებისასაც კი ვკანკალებ" - ფრანც.) და მართლაც, ბატონებო. ვის რაში სჭირდება ამისთანა რამე? უკეთესი არ იქნება, ამერიკული რულეტი ვითამაშოთ? როგორ, ცდუნებაში მაინც არ მოდიხართ?

-იპოლიტ, მე მგონი, გაგაფრთხილე! - გრაფისკენ მეხი გასტყორცნა ღმერთქალმა, - აღარ გავიმეორებ! იმაზე სიტყვა არ დაძრა!

იპოლიტი მყისვე გაჩუმდა და ხელებიც დაუშვა - ჰაიდა-აჰა, თევზივით მუნჯი ვარო.

ამასობაში ცქაფი კაპიტანი ფურაჟ-ქუდში აგროვებდა ფანტებს. ერასტ პეტროვიჩმა მამისეული ცხვირსახოცი ჩააგდო მონოგრამით „პ. ფ."

ფანტების ამოღება მიანდეს მწყობრად აკრეფილ ანტონ ივანოვიჩს.

ხოლოთუ ამ უკანასკნელმა ფურაჟიდან თავისივე ჩადებული სიგარა ამოიღო და მოკლედ ჰკითხა:

-ამ ფანტას რა?

-ბუს კვერცხები! - მიუგო კედლისკენ შებრუნებულმა კლეოპატრამ და ყველამ გადიხარხარა, თავად აკრეფილის გარდა.

-ამას? - განურჩევლად ამოიღო ანტონ ივანოვიჩმა კაპიტნის მოვერცხლილი ფანქარი.

-შარშანდელი თოვლი.

შემდეგ მოჰყვა საათი-მედალიონი („თევზის ყურები"), სათამაშო კარტი („mes condoleances" („თანავუგრძნობ" - ფრანც.), ფოსფორიანი ასანთი („კუტუზოვის მარჯვენა თვალი"), ქარვის მუნდშტუკი („ამაო ფუსფუსი"), ასრუბლიანი ასიგნაცია („სამჯერ არაფერი"), კუს სავარცხელი („ოთხჯერ არაფერი"), ყურძნის მარცვალი („ორესტ კირილოვიჩის ხშირი თმა" - გადაბმული სიცილი სრულიად უთმო, სადილეში ვლადიმირის ორდენიანი ბატონის მისამართით), მიხაკი („ამას - არასოდეს და არაფრის გულისთვის"). ფურაჟში სულ ორი ფანტა დარჩა - ერასტ პეტროვიჩის ცხვირსახოცი და ახტირცევის თვლიანი ბეჭედი. როცა გამომცხადებლის თითებში ძვირფასი თვლების ნაპერწკლებმა გაიელვა, სტუდენტი წინ წამოიწია და ფანდორინმა დაინახა, თუ როგორ დაასხდა მღიერიან შუბლზე ოფლის წვეთები.

-ამას რაღა მივსცეთ? - გაწელა ამალია კაზიმიროვნამ, ეტყობა, მოსწყინდა საზოგადოების გართობა. ახტირცევი წამოხტა, არა სჯეროდა თავისი იღბლისა, ცხვირიდან პენსნე ჩამოუვარდა, - არა, სჯობს, ამას კი არა, ბოლოს, - დაასრულა მწვალებელმა.

ყველა ერასტ პეტროვიჩისკენ შებრუნდა, პირველად შეათვალიერეს სერიოზულად. ის კი ბოლო რამდენიმე წუთი, შანსების მომატების კვალობაზე, გამალებული ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო გამარჯვების შემთხვევაში. ჰოდა, ეჭვებიც გამართლდა. ალბათ, ბედია

ამ დროს მასთან ადგილიდან მომწყდარმა ახტირცევმა მიირბინა და გულ-აღტყინებულმა უჩურჩულა:

-დამითმეთ, გემუდარებით. თქვენ რა... თქვენ აქ პირველად ხართ, მე კი ბედიწერად გადამექცა... მომყიდეთ, ბოლოს-და-ბოლოს. რამდენია საჭირო? გნებავთ ხუთასი, ათასი, ჰა? უფრო მეტი?

თავისთავისაც საკვირვო, უყოყმანო სიმშვიდით ერასტ პეტროვიჩმა მოჩურჩულე მოიშორა, წამოდგა, დიასახლისს მიუახლოვდა და თავისდაკვრით ჰკითხა:

-საით მიბრძანებთ?

ის მხიარული ცნობისწადილით უცქერდა ფანდორინს. ამ დაჟინებულმა მზერამ თავბრუ დაახვია.

-აგერ, თუნდაც იმ კუთხეში. თქვენ იმისთანა მამაცი ხართ, სხვაგან განმარტოებას მოვერიდები.

დანარჩენ მამაკაცთა დამცინავ ხორხოცს ყური არ ათხოვა, ერასტ პეტროვიჩი დარბაზის შორეულ კუთხეში გაჰყვა დიასახლისს და გაყოფილზურგიან ტახტზე დაეშვა. ამალია კაზიმიროვნამ დარდიმოსწი ჩაარჭო მუნდშტუკში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელაპტრიდან მოუკიდა და ტკბილად მოქაჩა.

-რამდენი შემოგთავაზათ ნიკოლაი სტეპანიჩმა ჩემში? მე ხომ ვიცი, რასაც გეჩურჩულებოდათ.

-ათასი რუბლი, - პატიოსნად მიუგო ფანდორინმა, - მეტსაც მთავაზობდა.

კლეოპატრას აქატის თვალებმა ბოროტად გაიკვესა:

-ოჰო, ვეღარ მოუთმენია. თქვენ რა, მილიონერი ხართ?

-არა, მდიდარი არ გახლავართ, - თავმდაბლად წარმოსთქვა ერასტ პეტროვიჩმა, - მაგრამ იღბლით ვაჭრობას დამამცირებლად მივიჩნევ!

სტუმრებს მოსწყინდათ მათი ბაასის დაყურადება - მაინც არა ისმოდა რა, - და ბოლუქ-ბოლუქად მდგარნი თავიანთთვის მასლაათობდნენ, თუმცა თითოეული, მითამ აქ არაფერიაო, მაინც გააპარებდა ხოლმე ქურდულ მზერას შორეულ კუთხეში.

ხოლოთუ კლეოპატრა დაუფარავის დაცინვით შეისწავლიდა თავის მოკლევადიან მბრძანებელს.

-რისი კითხვა გჰსურთ?

ერასტ პეტროვიჩი ჭოჭმანობდა.

-პასუხი პატიოსანი იქნება? ალალი?

-პატიოსნება პატიოსნებს დაუტოვეთ, ხოლოთუ ჩვენს თამაშობებში პატიოსნება ცოტა გახლავსთ, - ძლივს დამორჩილებული სიმწრის თანხლებით გაიცინა ბეჟეცკაიამ, - მაგრამ გულახდილობას გპირდებით. მხოლოდ არ გამაწბილოთ და რაიმე ყეყეჩობა არ შემეკითხოთ. მე თქვენ საინტერესო ეგზემპლარად შემიგულებიხართ.

და ფანდორინი საკუთარი თავის წყევლით (გამბედაობისთვის) შეტევაზე გადავიდა.

-თქვენთვის რა არის ცნობილი პეტრე ალექსანდროვიჩ კოკორინის სიკვდილის გარემოებების შესახებ?

დიასახლისს არ შეშინებია, არც კი შერხეულა, მაგრამ ერასტ პეტროვიჩს მოეჩვენა, თითქო თვალები ოდნავ მოეწკურა.

-სარაოდ გაინტერესებთ?

-მერე აგიხსნით. ჯერ მიპასუხეთ.

-მაშინ გეტყვით. კოკორინი ერთმა სასტიკმა ბანოვანმა მოჰკლა. - ბეჟეცკაიამ წამით გახსნა სქელი, ხშირი წამწამები და იმათ ქვემოდან სწრაფი, ხმლის დარტყმასავით მზერით დაწვა. - და ამ ბანოვანს „სიყვარული" ჰქვიან.

-სიყვარული თქვენდამი? ის ხომ აქ იარებოდა?

-დიაღ. ჩემს გარდა აქ, ჩემის აზრით, შესაყვარებელი არც არავინაა, რაღა თქმა უნდა, თუკი ორესტ კირილოვიჩს არ ვიგულისხმებთ. - სიცილი მოუვიდა პირისახეზე.

-ყველა-ყველა და, თქვენ კოკორინი იოტისოდენადაც არ გეცოდებათ? - ასეთმა გულქვაობამ გააოცა ფანდორინი.

მეგვიპტელმა დედუფალმა გულგრილად აიჭიმა მხრები:

-ყველა საკუთარი ბედის გამგებელია. მაგრამ ხომ არ ვიკმაროთ შეკითხვები?

-ჯერ არა! - ერასტ პეტროვიჩი აჩქარდა, - რა კავშირი ჰქონდა ამ საქმესთან ახტირცევს? და რას მიგვანიშნებს ლედი ესტერზე გაცემული ანდერძი?

საზოგადოების ხმათა გუგუნმა მოიმატა და ფანდორინი წყენით შემოტრიალდა.

-ახხ, ჩემი ტონი არ მოგწონთ? - იპოლიტი ჭექა-ქუხილისებური ღრიალით ავიწროებდა არაფხიზელ ახტირცევს. - აი, ეს კი მოგეწონება, შე ბუკნაჭოვ, შენა? - და ხელისგულით თითქო ძალიანაც არ უბიძგია სტუდენტისთვის, მაგრამ სახედაკარგული ახტირცევი სავარძლისკენ გაფრინდა, შიგ მოადინა ზღართანი და იქვე დარჩა თვალების დაბნეული ცეცებით.

-ნება მომეცით, გრაფ. ასე როგორ შეიძლება! - წინ გაუხტა ერასტ პეტროვიჩი, - თქვენ თუ ღონიერი ჰბრძანდებით, ეს სულაც არ გაძლევთ უფლებას...

თუმცა მისი წყვეტილი ლაპარაკი, რაზედაც გრაფმა ოდნავ შეხედა, ჩაახშო დიასახლისის ზარივით წკრიალა ხმამ:

-იპოლიტ, გაეთრიე! და შენი ფეხი აღარ ვნახო აქ, სანამ არ გამოფხიზლდები!

გრაფი წყევლა-კრულვით წაგრუხუნდა გასასვლელისკენ. სხვა სტუმრები ინტერესით ათვალიერებდნენ მოღვენთილ ახტირცევს. მთლად რომ გასაცოდავებულიყო და ოდნავადაც არ ცდილობდა წამოდგომას.

-ამათგან მარტო თქვენღა მიაგავხართ ადამიანს, - დერეფნისკენ მიმავალმა ამელია კაზიმირონამ ასე უჩურჩულა ფანდორინს. - წაიყვანეთ და არ მიატოვოთ.

თითქმის მაშინათვე გამოჩნდა ახმახი ჯონი, თავისი ლივრეა უკვე შავ სერთუკზე და გახამებულ გულისპირზე შეეცვალა, კარამდე მიიყვანა სტუდენტი და თავზე ცილინდრი ჩამოაფხატა. ბეჟეცკაია გამოსასალმებლად არ გამოსულა და, როგორც კი შეხედა მსახურთუფროსის კუშტ სახეს, ერასტ პეტროვიჩმა უმალ იაზრა, რომ უნდა წასულიყო.

## *მეხუთე თავი, სადაც გმირს სერიოზული უსიამოვნებები ჩასაფრებიან*

თავისი თავი ქუჩაში რომ ჰნახა და სუფთა ჰაერი ჩაყლაპა, ახტირცევი ცოტაზე გამოცოცხლდა - ფეხზედაც მყარად იდგა, არ ბარგანაობდა და ერასტ პეტროვიჩმა შესაძლებლად ჩათვალა, ხელმკლავით აღარ სჭეროდა.

-სრეტენკამდე გავიაროთ, - თქვა ფანდორინმა, - იქ კი ეტლზე დაგსვამთ. სახლამდე შორი გზა გაქვთ?

-სახლამდინ? - ნავთის ფარნის უთანაბრო შუქზე ნიღაბივით სჩანდა სტუდენტის ფერწა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სული პირისახე, - არა, სახლში არაფრისდიდებით! წამო, საითმე გავწიოთ, ჰა? თქვენთან სჯა-ბაასი მომწყურდა. თქვენ ხომ ჰნახეთ... რას მიშვრებიან. თქვენ რა გქვიანთ? ფანდორინი კი მახსოვს, სასაცილო გვარია. მე ახტირცევი გახლავარსთ. ნიკოლაი ახტირცევი.

ერასტ პეტროვიჩმა მსუბუქად დაუკრა თავი, რაკილა მეტად რთული ზნეობრივი საკითხის გადაწყვეტილებაში შესულიყო: ნუთუ რიგიანი იქნება, რომ ახტირცევის მოფამფალებული მდგომარეობით ვისარგებლო და აუცილებელი საგამომძიებლო გერშები და ნიშნები გამოვსტყუო, თანაც ეტყობა, ეს „ცელში მოხრილი" ყმაწვილი თავადაც არ არის გულახდილობის წინააღმდეგი.

გადასწყვიტა, რომ, არა უჭირს რა, შეიძლება. ძაან აიყვანა მაძებრულმა აზარტმა.

-აქ ახლოს „კრიმია", - უცბად მოისაზრა ახტირცევმა, - ბორბლიანი არაფერი გვინდა, ფეხითაც მალე მივალთ. ეგეც „მღვიმე" გახლავსთ, მაგრამ ღვინო უვარგათ. წავიდეთ რა, მე გეპატიჟებით.

ფანდორინი დიდ ყოყმანში აღარ შესულა და ორთავემ მძიმე-მძიმედ (სტუდენტი მაინც მსუბუქად ქანაობდა) იქითკენ გასწიეს, საითაც სრეტენკის შუქები ბრდღვიალებდა შორიდან.

-ფანდორინ, თქვენ მე, ეტყობა, ლაჩრად მსთვლით? - ოდნავ დაბმული ენით უთხრა ახტირცევმა, - რახან გრაფი არ გავიწვიე, წყენა გადავყლაპე და თავიც მოვიმთვრალუნე? მე მშიშარა როდი გახლავარსთ. მე თქვენ, შესაძლოა, ისეთი რაღაც გიამბოთ, რომ თავადვე დარწმუნდეთ... განზრახ წამოვიდა პროვოკაციაზედ. ეს იმ ქალბატონმა დაარიგა წინდაწინ, რათა ჩემგან დაეღწია თავი და ვალი აღარ დაებრუნებინა... ოჰ, ეს რა ქალია, თქვენ ხომ არ იცით!.. და ზუროვს რაღა კაცი მოუკლავს და რაღა ბუზი გაუსრისავს. ეგ ხომ ყოველ დილით პისტოლეტიდან სროლაში ვარჯიშობს. ამბობენ, ოცი ნაბიჯიდამ ტყვიას შაურიანში არტყამსო. განა ეს დუელი იქნებოდა? ის ხომ არაფერს რისკავს. ეს მკვლელობა გახლავსთ, მხოლოდ ლამაზი სახელი ჰქიან. და რაც მთავარია, არაფერიც არ მოუვა, გამოძვრება. ჯერ არ გამომძვრალა თუ რა? დავუშვათ, საზღვარგარეთ გასწევს სასეირნოდ. მე კი დღეის ამას იქით სიცოცხლე მწურიან, მე ეს დავიმსახურე.

სრეტენკიდან სხვა შესახვევში შეუხვიეს, თითქო უჩინარში, მაგრამ მაინც უკვე ნავთის კი არა, გაზის ფანარებიანში და წინ წამოიმართა სამსართულიანი სახლი გაბრდღვიალებული ფანჯრებით. როგორც ჩანს, ეს არის „კრიმი", გულის ჩაკვდომით გაიფიქრა ერასტ პეტროვიჩმა, ბევრი სმენოდა მთელ მოსკოვში სახელგანთქმულ ამ დროის სატარებელ ალაგზე.

ლამპებით გაჩირაღდნებულ, ფართო პარმაღზე არავინ გამოეგებათ. ახტირცევმა შეჩვეული ჟესტით უბიძგა მაღალ, მოჩუქურთმებულ კარს, ისიც ადვილად დაჰყვა და ჯერ სამზარეულოს და სპირტიანის სურნელებით გაზავებული სითბო შემოეგებათ, მერე სტუმართა ხმაური და ვიოლინოების მოწუწუნე მოთქმა.

გარდერობში ცილინდრები დატოვეს და ყმაწვილები ერთ მეტად მკვირცხლ, წითელპერანგა პატარკაცს ჩაუვარდნენ ხელში, რომელმაც ახტირეცევს „ბრწყინვალებით" მიმართა და დაპირდა ყველაზე საუკეთესო, საგანგებოდ შემონახულ სტოლს.

ეს მაგიდა კედელთან აღმოჩნდა და, ღმერთსა მადლი, სცენიდან მოშორებით, სადაც მობჟღრიალე დაირებით ციგნების ხორო გაჰკიოდა და თანაც ტანციობდა კიდეც.

ერასტ პეტროვიჩი, რომელიც პირველად მოხვედრილიყო ნამდვილ უწმაწურ, გარყვნილ „მღვიმეში", აქეთ-იქით მიმოიხედებოდა. საზოგადოება აქ მეტად ჭრელი გახლდათ, მაგრამ ფხიზლები, ეტყობა, სრულიად არ შეიმჩნეოდნენ. ამას ყოველისფერს ტონს აძლევდნენ ვაჭრები და ბირჟის კაცები შუაზედ გაყოფილი, პომადაწასმული თმებით - განა ცნობილი არ არის, ეხლა ფული ვის ხელში სტრიალებს? მაგრამ იყვნენ ბატონკაცური სანახაობის პერსონებიც, საიდანღაც ფლიგელადიუტანტის სამხრედან ვენზელმაც გაიბრჭყვიალა ოქროფერად. მაგრამ კოლეგიის რეგისტრატორის ცხოველი ინტერესი იმ ქალებმა გამოიწვიეს, პირველივე ჟესტზე ნებისმიერ სტოლს რომ მიუსხდებოდნენ ხოლმე. იმათ ისეთი დეკოლტეები ჰქონდათ, რომ ერასტ პეტროვიჩი გაწითლდა, ხოლო იუბკები ისეთი ზომისა ეცვათ, რომ დაჯდომისას უსირცხვილოდ მოუჩანდათ აჟურულს, ნაჭვრეტებიანს ჩულქებში გამოყვანილი მრგვალი მუხლისთავები.

-მითამ რაო, ქალებს მივაშრტერდით? - ჩაიცინა ახტირცევმა, ოფიციანტს ღვინო და რაიმე ცხელი რომ შეუკვეთა, - აი, მე კი ამალიას იქით მდედრობითი სქესის არსებებადაც აღარ მიმაჩნია არავინ. რამდენის წლისა ხართ, ფანდორინ?

-ოცდაერთისა, - მიუგო ერასტ პეტროვიჩმა და თან წელიწადიც წაიმატა.

-მე კი ოცდასამისა და ბევრის ნახვაც მოვასწარი. თვალებს ნუ უჭყიტავთ მაგ უნამუსოებს, არც ფულად ჰღირან და არცა დროდ. თან მერე გეზიზღება. თუ შეიყვარებ, დედუფალი უნდა შეიყვარო! თუმცა, მითამ რას გიხსნით... თქვენ ხომ ცუდუბრალოდ არ გამოჩნდებოდით ამალიასთან? მოგაჯადოვათ, განა? კოლეკციის შეკრეფა უყვარს და ექსპონატების მეყსეულ განახლებაზედაც ჰზრუნავს. როგორც ოპერეტაში იმღერება, elle ne pense qu`a exciter les hommes. („ის მარტო კაცებს ახევს თავრეტსა" - ფრანც.)... მაგრამ ყოველისფერს თავისი ფასი აქვს, მე კი ჩემი ფასი გადავიხადე. გნებავსთ, ერთი ისტორია გიამბოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც მომეწონეთ კიდეც, ძაან კარგად სდუმხართ. თქვენთვის სასარგებლო იქნება, უწყოდეთ, თუ ეს როგორი ბუნების ქალია. შესაძლოა, ჭკუაზედაც მოხვიდეთ, სანამ ჩემსავით ჩაუთრევიხართ. თუ უკვე ჩაგითრიათ, ჰა, ფანდორინ? მაშ, აბა-და, იქ, ცალკე რაზედ ეჩურჩულებოდით?

ერასტ პეტროვიჩმა თავი ისე დაიჭირა, მითამ ვერა გაიგო რა.

-მაშინ მისმინეთ, - თხრობას შეუდგა ახტირცევი. - აი, თქვენ წეღან ჩემს ქალაჩუნობაზედ მოგქონდათ იჭვი, რაკი იპოლიტი გავუშვი და ორთაბრძოლაში არ გავიწვიე. მე კი იმისთანა დუელი მქონდა, რომ ემაგ თქვენს იპოლიტს არც დასიზმრებია. გაიგეთ, როგორ ჰბრძანა ქალბატონმა, კოკორინის გამო კრინტი არ დაგვეძრა? აბა, რა? მაგის ნამუსზედ გახლავსთ იმისი სისხლი, მაგის ნამუსზედ. და, ჩემსაზედაც, რა საკვირველია. მხოლოდ ჩემი ცოდვა სასიკვდილო შიშით გამოვისყიდე. კოკორინი ჩემი კურსელი იყო, ისიც ამალიასთან იარებოდა. ადრე ვმეგობრობდით კიდეც, მაგრამ მაგის გულისთვის მტრები გავხდით. კოკორინი ჩემზე უფრო მოურიდებელი, თამამი იყო, პირისახეზედ გაცილებით სანდომიანი, მაგრამ enter nous („ჩვენს შორის დარჩეს“ - ფრანც.), ვაჭარი სულ ვაჭრად დარჩება, პლებეი კაცად, რაც გინდა უნივერსიტეტში ასწავლე. ამალიამ ჩვენით კარგად იჯერა გული - ხან ერთს დაიახლოვებს, ხანაც მეორეს. „Nikolas“ გეძახის და შენობით მომართვაზედაც გადმოდის, თითქო ფავორიტივით ხარ იმასთან მოხვედრილი, მერე კი რაიმე სისულელის გულისთვის შეგრისხავს: ერთი კვირით დაგიძვირებს თავისთან გამოჩენას და კვლავაც თქვენობითი, კვლავაც „ნიკოლაი სტეპანიჩი“. საპოლიტიკო ქცევა აქვს ამისთანა, ვინაც ნემსკავზე წამოეგო, ვეღარ გაეშვება.

-და ეს იპოლიტი ვიღად ერგება? - ფრთხილად ჩაეკითხა ფანდორინი.

-გრაფი ზუროვი? დაბეჯითებით ვერც რას მოგახსენებთ, მარამ მათ შუა რაღაც განსაკუთრებული უნდა იყოს... ან პირველს აქვს ძალაუფლება მეორეზედ, ანთუ, პირუკუ, მეორეს პირველზედ... არა, იპოლიტი იჭვიანი სულაც არ არის და არც იპოლიტშია საქმე. ეგ ისეთი ქალი გახლავსთ, თავის თავზე არავის მისცემს იჭვიანობის უფლებას. ერთის სიტყვით - დედუფალია!

იგი გაჩუმდა, რაკი მეზობელ სტოლზე ხმაურიანად აყაყანდა მთვრალი კომმერსანტების კამპანია - წასვლას ეპირებოდნენ და იმ ნიადაგზე მოუხდათ ცილობა, თუ ვის უნდა გადაეხადა ფული. ოფიციანტებმა უმალ გააქცუნეს დასვრილი სუფრა, ახალი გადაჰფინეს და წუთსაც არ გაუვლია, რომ იმ განთავისუფლებულ მაგიდასთან უკვე იჯდა ძაან განავარდებული მოხელე გამოხუნებული, თითქო გამჭვირვალო (როგორც სჩანს, სმის მეოხებით) თვალებით. ამ მოქეიფეს მალე ჩამოუსკუპდა წაბლისფერთმიანი, ნაზუქივით ქალი, მხარზე მოჰხვია ხელი და სასურათედ გადაიდო ფეხი ფეხზედ - ერასტ პეტროვიჩი მეტად მიაშტერდა წითელ ფილდეპერსის, გნებავთ, სპარსულ ნართის ჩულქებში გამოძაგრულ, მოჭიმულ მუხლისთავებს.

ხოლოთუ სტუდენტმა ჯერ რეინულით გალიცლიცებული ბოკალი გამოსცალა უსვენებლივ, მერე კი ჩანგლით დალახვრა სისხლის ბივსტექსი და განაგრძო:

-თქვემ ჰფიქრობთ, რომ პეტრე კოკორინმა გაუხარელი ტრფიალების ნიადაგზედ დაიკრიფა გულხელი? გეგონოთ. ის მე მოვკალი!

-რა სთქვით? - ყურებს არ დაუჯერა ფანდორინმა.

-რაც გაიგონეთ, - თავი ამაყად დაუკრა ახტირცევმა, - ყოველისფერს გიამბობთ, მხოლოდ წყნარად იჯექით და შეკითხვებით ტვინი არ წაიღოთ. დიაღ, მე მოვკალი და ერთი წუთითაც არა ვნანობ. ჰალალად მოვკალი, დუელში. დიაღ, ჰალალად და პატიოსნად! იმიტომ, რომ ამ ჩვენს დუელზე უპატიოსნესი დუელი ათადან და ბაბადან არ ყოფილა. ორნი რომ დგანან ბარიერთან, ყოველთვის მოტყუება არის - ერთი კარგად ისვრის, მეორე უხეიროდ, ანთუ ერთი მსუქანია და ადვილად მიაწვდენ ტყვიას, ანდა თეთრად ათია ღამე და ხელები უკანკალებს. ჩემს და პიერს შორის კი ყოველისფერი სიცრუის გარეშე იყო. დედუფალი გვეუბნება - ეს სოკოლნიკებში, წრეზე, სამთავენი ეკიპაჟით ვსეირნობთ - და იძახის: „აბეზარს მომიყვანეთ ორივემ, თქვე მდიდარო, გაფუჭებულო ბიჭუკელებო, ერთმანეთი უნდა ამოჰხოცოთ თუ რა გეეშველება?“ და კოკორინი, ეს პირუტყვი, ეუბნება: „მოვჭკლავ კიდევაც, თუკი ამისთვის დამაჯილდოვებთ“. და მეც სთქვი: „ჯილოსთვის მეც მოვკლავ. ჯილდო ისეთი გახლავთ-მეთქი, რომ ორში ვერ განაწილდება. ჰოდა, ისე მოხდება, რომ ერთი-ერთი პირდაპირი გზით სველ მიწაში წავა, თუ თავისით არ დაიხევს უკან“. ჰაიდა-აჰა, სადამდინ მივიდა ამ ქალისადმი ჩემი და კოკორინის მარქაფა სიყვარულის გარემოება. „მითამ-და, რაო, ესოდენ გიყვარვარსთ?“- ის გვეკითხება. კოკორინი მიუგებს: „სიცოცხლეზედ მეტად“. და მეც დასტური დავეცი. „კეთილი, - ისა ჰბრძანებს, - მე ადამიანებში მარტოკა გულადობას ვაფასებ, სხვა ყოველისფერი შეიძლება გაითამაშო. თუკი ერთი თქვენგანი მართლაც მოჰკლავს მეორეს, სიმამაცისთვის ნამდვილად მიიღებს ჯილდოს. თავად უწყის, რა ჯილდოსაც“. და სიცილი მოსდის. „მხოლოდ ეგ არის, - ამბობს, - რომ ყბედები ხართ ორთავე. არავისი მომკვლელი თქვენ არა ჰბრძანდებით. მამიკოების ფულების გარდა, არც არაფერია თქვენში საინტერესო“. და ვიფეთქე. „კოკორინზედ-მეთქი, მივუგე, თავს ვერ გამოვიდებ, ხოლო მე თავად ასეთი ჯილდოს გულისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც საკუთარ და არცა სხვის სიცოცხლეს არ დავზოგავ". ის კი, ბრაზიანად: „იცით, რა, ყელში ამომიხვედით თქვენი მამლაყინწური ყივილით. გადაწყდა, დაახლით, თუმცა დუელში არა, მერე რომ სკანდალს გადავურჩეთ. და მართებულიც არ არის ეს დუელი. ერთი მეორეს ხელს გაუკაწრის და გამომეცხადება გამარჯვებულის სახით. არა, ერთი მართლაც მოჰკვდეს, მეორეს კი სიყვარული ერგოს. როგორც წერა-მწერალი განსჯის. ვისაც კენჭი ამოუვა, დეე, იმან დაიხალოს. დეე, ჩანაწერიც დატოვოს წინდაწინ იმისთანა, რომ მერე იმის ფიქრი არ გაჩნდეს, თითქო ჩემს გამო... მითამ რაო, შეშინდით? თუკი შეშინდით, ჩემთან სიარულსაც დააძვირებთ სირცხვილისგან - ესეც ჩემი სარგებელია". პიერმა შემომხედა და ამბობს: „ახტირცევისა რა მოგახსენოთ, მე კი არ ვილაჩრებ"... ასე გადავწყვიტეთ...

სტუდენტი გაჩუმდა, თავი ჩაჰკიდა. მერე გამოცოცხლდა, ბოკალი ისევ გაიპიპინა და კვლავაც უსვენებლად შესვა. მეზობელ სტოლზე წამლეკავად გადაიკისკისა წითელჩულქებიანმა ქალმა - თეთრთვალებიანი რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში

-მაგრამ ანდერძი საიდან? - ჰკითხა ერასტ პეტროვიჩმა და ენაზე იკბინა, რადგან ამაზე თითქო არაფერი არ უნდა სცოდნოდა. თუმცა მოგონებებში ჩაძირულმა ახტირცევმა მხოლოდ უხალისოდ დაუქნია თავი:

-ხოლო ანდერძები... ესეც იმ არსების მოფიქრებული გახლავსთ. „თქვენ ჩემი ფულით ყიდვა გსურდათ? -ამბობს, -კეთილი, დეე, იყოს ფული, ოღონდ ასი ათასი კი არა, როგორც ნიკოლაი სტეპანიჩი მპირდებოდა, (მოხდა, ერთხელ შევთავაზე და კინაღამ სახლიდან გამომაბუნძულა) და არც ორასი, არამედ ყოვლისფერი, რაც გაგაჩნიათ. ვისაც სიკვდილი შეხვდება, დეე, იმქვეყნად შიშველი წარდგეს. მხოლოდ მეო, -ამბობს, თქვენი ფული არ მჭირდება, მე თვით, ვისაც გინდათ, იმას მივცემ. დეე, ფული რომელიმე კეთილ საქმეზე წავიდეს - წმინდანთა სავანეში ანდა სადმე. ლოცვით რომ მოინანიონ სასიკვდილო ცოდვა. ასე რომ, ჩემო პეტრიკელავ, მსხვილი კელაპტარი გამოვა შენი მილიონიდან?" კოკორინი კიდევ ათეისტი იყო, თანაც მოპაექრე. ეგრევე შემოაგდო: „მხოლოთ ბერებს არა, იძახის. სჯობს დაცემულ გოგოებს ვუანდერძო, დეე, თითოეულმა თითო საკერავი მაშინა იყიდოს და ხელობა გამოიცვალოს. მოსკოვში არც ერთი უსირცხვილო აღარ დარჩება და ეგეც შენი პეტრე კოკორინის ხსოვნა-მოსაგონარი". კარგი-და, ამალია ეუბნება: „ვინაც ნამუსდამხობილი შეიქმნა, იმას ვეღარ გამოაწორებ. ადრე იყო საჭირო, უცოდველს ჰპაკში". კოკორინმა ხელი ჩაიქნია: „მაშინ ვინმე... ობლებისთვის... აღსაზრდელთა სახლისთვის". იმას პირდაპირ ნათელი გარდაეფინა: „აი, ამისთვის, ჩემო პეტრიკელა, ბევრი რამ მოგეტევებოდა. მოდი, გაკოცო". მე კი ბოროტებამ ამიტანა. „მოიპარავენ იმ შენს მილიონს აღსაზრდელთა სახლში, გეუბნები. წაიკითხე, სახელმწიფო თავშესაფრებზე რეებს სწერენ გაზეთები? ბევრი ხარვეზები აქვთ, სჯობს, ანღლიელს მივცეთ, ბარონესა ესტერს. ის არ მოიპარავს". ამალიამ მეც გადამკოცნა - მიდით, მიდით და ჩვენს პატრიოტებს ცხვირები მოუგრიხეთ. ეს თერთმეტში იყო, შაბათს. კვირას მე და კოკორინი შევხვდით და ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. საოცარი ბაასი გამოგვივიდა. ის სულ როხროხებდა, მასულელებდა, მე უფრო ჩუმათ ვიყავი და თვალებში არ ვუყურებდით ერთიმეორეს. მე თითქო დავჩლუნგდი. სტრაფჩები, გნებავს, ვექილები გამოვიძახეთ, მთელი თავისი წესების დაცვით შევადგინეთ ანდერძები. პიერი ჩემი მოწმე და ნება-სურვილის აღმასრულებელია, მე კი-მისი. სტრაფჩებს თითოს ხუთ-ხუთი ათასი მივეცით, რომ ენისთვის კბილები დაეჭირათ. იმისთვისაც ხომ წამგებიანია ყბედობა. და, აგრეთვე, პიერთან ასე მოვილაპარაკეთ - თავად შემომთავაზა. ვხვდებით დილის ცხრაზე ჩემთან, ტაგანკაზე (მე ხომ გონჩაროიზე ვცხოვრობ). თითოეულს ჯიბეში უნდა ჰქონდეს ექვსვაზნიანი რევოლვერი ბარაბანში ერთი ვაზნით. მივდივართ ცალ-ცალკე, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს ვხედავდეთ. ვისაც კენჭი ერგება - პირველი ცდის. კოკორინმა სადღაც ამერიკულ რულეტზე წაიკითხა, ჭკვაში მოუვიდა და მეუბნება, აი, ნახავ, კოლია, თუ ჩვენი გულისთვის რუსულ რულეტკას არ დაარქმევენ. კიდევ იძახის, ტყვიის შინ დახლას რა ლაზათი აქვს, მოვიწყოთ ჩვენთვის საბოლოო მოციონი, გნებავს, გასეირნება თავისი ატრაქციონით. დასტური მივეცი, ჩემთვის სულერთი იყო. ვაღიარებ, გვარიანად დავმჟავდი, ვფიქრობდი, წავაგებ-მეთქი. და ჭკვაში მირაკუნებს: ორშაბათი, ცამეტი, ორშაბათი, ცამეტი. მთელი ღამე რული არ მომკარებია, საზღვარგარეთ მინდოდა წასვლა, მაგრამ როგორც კი გამიელვებს, რომ ეს იმასთან დარჩება და ჩემზე სიცილი მოუვათ... მოკლედ, დავრჩი.

დილით კი ესერიგად მოხდა. პიერი მოვიდა-ხახვის ფრანტივით, თეთრი ჟილეტით, მოჭარბებულად მხიარული. უმართლებდა ხოლმე და, ჩანდა, იმედი გასჩენოდა, რომ ამაშიც გაუმართლებდა. ძვლები ვყარეთ, ჩემს კაბინეტში. იმას ფანჯი ჩარი, მე დუ იაქე. ამისთვის მზად ვიყავი. „არსად არ წამოვალ,- ვთქვი, - უმჯობესია, აქ მოვკვდე". დავატრიალე დოლურა, ლულა გულზე მივიდე. „შესდექ!-მეუბნება, -გულში არ დაიხალო. ტყვია რომ ალმაცერად წავიდეს, კიდევ დიდხანს დაიტანჯები. საფეთქელში სჯობს ანდა პირში". „გმადლობ ჩემზე მზრუნველობისთვის", -ვუთხარი და ამ წუთას ისე ვეღარ ავიტანე, რომ მეგონა, ყოველგვარი დუელის გარეშეც დავახლიდი. მაგრამ რჩევას დავუჯერე. რა დამავიწყებს იმ ჩხაკუნს, ყველაზე პირველს. ისეთი ზაპანი გამოიღო ყურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობლად, რომ. . .

ახტირცევს ერჟოლვამ მოუარა და კიდევ ჩამოისხა. მომღერალი, ოქროსფერ შალში გახვეული მსუქანი ციგანი ქალი სულის და გულის ამაფორიაქებლად ამოსთქვამდა რაღაც გაწელილს.

-...პიერის ხმა მესმის: „კაი, ახლა ჩემი ჯერია. ჰაერზე გავიდეთ“. მაშინღა მივხვდი, რომ ცოცხალი ვარ. შვივის გორაზე წავედით, იქიდან ხომ ქალაქის გადახედვა შეიძლება. კოკორინი წინ, ოცი ნაბიჯით უკან კიდევ მე. ცოტა ხანს იდგა ხრამის ქეჩოზე, იმის პირისახეს ვერ ვხედავდი. მერე ჩემ დასანახად ასწია რევოლვერიანი ხელი, დაატრიალა დოლურა და საფეთქელთან - ჩხაკ! მე ხომ ვუწყოდი, რომ არაფერიც არ მოუვა და ჩემზე კი იმედი მქონდა გადაწურული. ისევ ვყარეთ ძვლები - კვლავაც მე შემხვდა. დავეშვი იაუზისკენ, კაცისშვილი არ ჭაჭანებს. ხიდთან, ბოძკინტზე ავძვერი, მერე რომ პირდაპირ წყალში გადავვარდნილიყავი... ისევ ჩამიარა. გავედით გვერდზე, და პიერიც ამბობს: „რაღაცა მოსაწყენი ხდება. დავაშინოთ ობივატელები?“ ბარაქალა, ყოჩაღად ეჭირა თავი. შევედით მოსახვევში, იქ ხალხია, ეკიპაჟები დადიან. მე მეორე მხარეს დავდექი. კოკორინმა შლიაპა მოიშვლიპა, აქეთ-იქით დაუკრა თავი, ხელი ზემოთ, დააბზრიალა ბარაბანი – არაფერი. იქიდან გამოქცევა მოგვიწია. ჭიშკარში შევვარდით, ეს უკვე მაროსეიკაზე. ძვლები ვყარეთ და, როგორ ჰფიქრობთ? ისევ - მე! იმას დუ-შაში, მე დუ-ბარა, ჰალალ სიტყვას ვამბობ! გათავდა, ვფიქრობ, finito („დასრულდა“ - იტალიანურად), ამაზედ უფრორე სიმბოლურად აღარ შეიძლება. ერთს ყოვლისფერი, მეორეს არაფრისფერი. მესამეთ კოზმასა და დამიანეს ტაძართან დავიხალე, მანდ ვარ მონათლული. სტოვაზე, ანუ კარიბჭეზე დავდექი, სადაც მდაბიონი არიან ხოლმე, რუბლ-რუბლი ჩამოვურიგე და ფურაჟკა მოვიხადე... გავახილე თვალები – ცოცხალი ვარ. ერთი თავმოსულელებული სალოსი მეუბნება: „სული გიწრიალებს – უფალი ღმერთი შეგინდობს“. სული გიწრიალებს – უფალი ღმერთი შეგინდობს, დავიმახსოვრე. კარგი-და, გავიქეცით იქიდანაც. კოკორინმა უფრო მდიდრული ალაგი შეირჩია თავისთვის - გალოფტეევსკის პასაჟის მახლობლად. ნეგლინნიზე შევედი საკონდიტროში, დავჯექი, მინის შიგნიდან ვდგავარ. რაღაცა უთხრა დამას მეზობელი სტოლიდან, იმას სიცილი მოუვიდა. იგი რევოლვერს იღებს, ჩახმახს მოწევს –ვხედავ. დამას უარესად მოსდის სიცილი. იმან რევოლვერი შეინახა, კიდევ რაღაცაზე იბაასეს, ყავას შეექცნენ. მე უკვე გაშტერებული ვარ, ვეღარაფერს ვგრძნობ. ჭკვაში მარტო ის მაქვს, რომ ეხლა კიდევ ძვლები უნდა ვყაროთ.

ოხოტნისკენ ვყარეთ, სასტუმრო „ლოსკურტნაიას“ მახლობლად, და პირველი ამჯერად იმას ერგო. მე ჩარი-სე, იმას ჩარი-დუ. ჩარი-სე და ჩარი-დუ - სულ ერთ იაქეშია სხვაობა. გუროვის ტრაქტირამდე ერთად მივედით, ისტორიულ მუზეუმთან გავიყარენით – ის ალექსანდრეს ბაღში შევიდა და ხეივანში გასწია, მე ტროტუარიდან, ზღუდის გაღმიდან წავყევი. მისი ბოლო სიტყვები ეს იყო: „ბრიყვები ვართ მე და შენ, კოლია. ეხლაც თუ ისე ჩაიარა - ეშმაკთან გავუშვებ ყოვლიფერს“. მინდოდა, შემეჩერებინა, ღმერთი-რჯული, მართლა მინდოდა, მაგრამ არ შევაჩერე. რატომ - თავადაც არ ვიცი. ვცრუობ, ვიცი... გაიძვერული ფიქრი მომივიდა. დეე, კიდევ ერთხელ დაატრიალოს ბარაბანი და მერე გამოჩნდება. შეიძლება, ვთქვათ კიდეც, რომ - „შაბაშ!“ გათავდა... მარტოკა თქვენს წინაშე ვაღიარებ, ფანდორინო. ეხლა ეგეთ გუნებაზე გახლავარსთ...

ახტირცევმა კიდევ დალია. პენსნეს ქვემოდან წითელი და ამღვრეული თვალები მოუჩანდა. სუნთქვაშეკრული ფანდორინი უცდიდა, თუმცა ზედმოყოლებული გარემოებანი მისთვის უკვე ცნობილი გახლდათ. ნიკოლაი სტეპანოვიჩმა ჯიბიდან სიგარა ამოიღო და აბიგძიგებულის თითებით ასანთს გაჰკრა. გრძელი, მსხვილი სიგარა გასაოცრად არ უხდებოდა მის ულამაზო, ბიჭბუჭურ პირისახეს. თვალთა წინ ჩამომდგარი კვამლის ქულები ახტირცევმა ხელის ქნევით გაჰფანტა და უცაბედად წამოდგა ზეზე.

-ოფიციანტ, ანგარიში! აქ მეტი აღარ შემიძლია, ხმაურია. სული მეხუთება. -ყელიდან აბრეშუმის ჰალსტუხი მოიძრო. -წავიდეთ კიდევ სადმე ანდა ისე გავიაროთ.

პარმაღზე შედგნენ. შესახვევი მოღუშული და ცარიელი იყო, „კრიმის“ გარდა ყველა სახლის ფანჯრები ჩაექროთ. უახლოეს ფარანთან ბარბაცებდა და ციმციმებდა გაზი.

-ტუ მაინც შინისკენ, ჰა?- კბილებში გაჩრილი სიგარის მეოხებით ამრიგად ამოიღაღანა ახტირცევმა, - აქ მოსახვევში ცხენმალი მეეტლეები უნდა იყვნენ.

კარი გაიხსნა, პარმაღზე წელანდელი მეზობელი გამოვიდა, თეთრთვალა მოხელე გვერდზე მოგდებული ფურაჟკით. ხმამაღლა წამოასლოკინა, ვიცმუნდირის ჯიბეში ჩაძვრა, სიგარა გააძრო.

-ნებას დამრთავთ, რომ ცეცხლი გსთხოვოთ? – იკითხა მან და ყმაწვილკაცებს მიუახლოვდა. ფანდორინს შემოესმა მსუბუქი აქცენტი, ან ოსტზეისკური, ანდა კიდევ ჩუხონსკური.

ახტირცევმა ჯერ ერთ ჯიბეზე დაირტყა ხელი, მერე მეორეზე – ასანთმა გაიჩხაკუნა. ერასტ პეტროვიჩი მოთმინებით ელოდა. მოულოდნელად თეთრთვალას გარეგნობამ გაუგებარი ცვლილება განიცადა. თითქო უფრორე დადაბლდა და მსუბუქად გადაიხარა გვერდზე. თვალის მომდევნო დახამხებაში მის მარცხენა ხელში, გეგონებოდათ თავისითო, ამოიზარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიერი და მოკლე დანის პირი და ჩინოვნიკ-მა გამოზომილი, გუტაფისის სათამაშო თოჯი-ნის მოძრაობით ცივი იარაღის ფხა ასანთის მიმწოდებელს მარჯვენა გვერდში უგმირა.

ზედმოყოლებული მოვლენები ძაან ჩქარა მოხდა, ორ-სამ სეკუნდში, მაგრამ ერასტ პე-ტროვიჩს მოეჩვენა, რომ დრო დადგა. ბევრის შემჩნევა მოასწრო, ბევრის გაფიქრება მოას-წრო, მაგრამ განძრევის შესაძლებლობა არ იყო, თითქო ფოლადის ზოლზე შუქის ბრ-ჭყვიალებამ ჰიპნოზი მოჰგვარა.

პირველ რიგში ერასტ პეტროვიჩმა გაიფიქ-რა: *ღვიძლში უმარჯვა.* და მეხსიერებაში სა-იდანღაც გადმოხტა წინადადება გიმნაზიის ბი-ოლოგიის სახელმძღვანელოდან: - *„ღვიძლი - ცხოველის ორგანიზმის მუცელშია, სისხლს ნაღველისგან განაცალკევებს“.* მერე დაინახა, როგორ კვდება ახტირცევი. ერასტ პეტროვიჩს ადრე არასდროს ენახა, როგორ კვდებიან, მაგ-რამ რაღატომაც უმალ მიხვდა, რომ ახტი-რცევი სწორედ რომ მოკვდა. თვალები თითქო მინისა გაუხდა, ტუჩები კრუნჩხვით გამოე-ბურცა და იმათზე გადმოვიდა მუქი ალუბლ-ისფერი სისხლის ნაკადული. ძაან ნელიად და, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც ფანდორინს მოეჩვენა, მოხდენილად გამოაძრო მოხელემ ცივი იარაღის პირი, რომელიც უკვე აღარ ბრჭყვინავდა, ნელ-ნელა შემოტრიალდა ერასტ პეტროვიჩისკენ და მისი პირისახე სულ ახლოს აღმოჩნდა: ნათელი თვალები შავი წერტილე-ბით, წვრილი უსისხლო ტუჩები. ბაგეები შე-რხნენ და კარგად გასაგონად წარმოსთქვეს: „აზაზელი“. და აქ დროის გაწეწილობას ბო-ლო მოეღო, დრო ზამბარასავით შეიკუმშა და, რომ გამოიშალა, ერასტ პეტროვიჩს მარჯვენა გვერდში დაჰკრა, თან ისე ძლიერად, რომ მსხვერპლი უკუვარდა და მტკივნეულად დაარ-ტყა კეფა პარმაღის პარაპეტს. *ეს რა არის? რომელი „აზაზელი“?* - იფიქრა ფანდორინმა. *მძინავს თუ რა ხდება?* და კიდევ იფიქრა: *„იმან დანა „ლორდ ბაირონს“ მოახვედრა. ვეშაპის ულვაში. წელი დუიმში“.*

ძლიერი ბიძგით კარი გაიღო და პარმაღზე ხარხარით გამოიშალა ხმაურიანი კამპანია.

-ოჰო, ბატონებო, აქ მთელი ბოროდინო გა-უმართავთ! -მხიარულად შესძახა არაფხ-იზელმა ვაჟრულმა ხმამ. -დასუსტდით, გულითადებო! სმაც აღარ შეუძლიანთ!

ერასტ პეტროვიჩი წამოიწია, ხელით ეჭირა ცხელი და სველი გვერდი, რათა თეთრთვა-ლასთვის შეეხედა.

მაგრამ ესეც უცნაური ამბავი, არავითარი თეთრთვალა აღარ იყო, ახტირცევი იქვე ეგდო, სადაც დავარდა - პირქვე, საფეხურების გას-წვრივ. შორს მოჩანდა მიმქროლავი ცილინ-დრი, მოხელე კი უკვალოდ გაჰქრა, ჰაერში გაიფანტა. და მთელ ქუჩაში კაციშვილი არა ჭაჭანებდა, მარტოკა ფარანები ანათებდნენ ულიმღამოდ.

მოულოდნელად ფარანებიც საოცრად მოიქ-ცნენ – დაბზრიალდნენ, დატრიალდნენ და ჯერ კი ძალიან განათდა, მერე კი მთლად ჩაბ-ნელდა.

თარგმნა მიხო მოსულიშვილმა

(გაგრძელება იქნება)



„საბერიოო" მხატვარი მურმან დუმბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამარ სამსონიშვილი

# ფიქრი „დედა ეკლესიაზე“



ყოველ ერს, რომელსაც ისტორიულად უცხოვრია და თავისი კულტურული განვითარების გზა გაუვლია, სამი მარადიული და ფერუცვლელი ხატი შეუქმნია: ღმერთი, როგორც სულიერ-ზნეობრივი იდეალი; სამშობლო, როგორც სამოღვაწეო სივრცე და ზნეობა, როგოც ნიშანი მისი ღვთაებრივი დანიშნულებისა. საუკუნეების განმავლობაში ამ სამი ხატის სამსახური განსაზღვრავდა ადამიანის მესიანურ ფუნქციას, ერის საკაცობრიო დანიშნულებას და საზოგადოების ზნეობრივ ღირებულებებს. ასე იყო მუდამ და ასე იქნება მარადის...

დღეს ქვეყნის სატკივარის მოყურიადე ადამიანი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალყურს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს. ეს ძალზე ლოგიკურია, რადგან ყოველი ქართველი სიამაყით აღიარებს, რომ ჩვენ უძველესი ქრისტიანული ქვეყანა ვართ. ამას ხაზს უსვამს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-9 მუხლში წერია: *„სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში“*. ამ მუხლის ნაკლი ის გახლავთ, რომ იგი თავის კომპეტენციას მხოლოდ ისტორიული ფაქტის აღიარებით შემოფარგლავს, ამიტომ იგი ვერ ასახავს ჩვენი ეკლესიისა და ხელისუფლების პოლიტიკურ მიზნებს და ამოცანებს. ამის გამო თავს ვალდებულად ვთვლით, დავძინოთ, რომ ისტორიული განვითარების პროცესში მართლმადიდებლობა იქცა ჩვენი ერის იდეოლოგიად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა ერის ცხოვრების წესს, კულტურას და ზნეობრივ იდეალებს. მართლმადიდებლურმა კულტურამ დაადგა ღვთაებრივი პროვედენციის გვირგვინი საქართველოს მთლიანობისა და ეროვნული განუყოფლობის იდეას. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ჩვენში მოქმედ რელიგიურ დენომინაციათა შორის ერთადერთია, რომელიც მოიცავს სრულიად საქართველოს, რის გამოც იგი განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა იყოს ხელისუფლებისთვის...

ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრების პირობებში ხელისუფლებისა და ეკლესიის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი მოწესრიგებისკენ, ამისთვის საქართველოს „დედა ეკლესიას“ უნდა აღვუდგინოთ თავისი უმთავრესი ნიშანი და ვაქციოთ იგი ეროვნული აზროვნების კერად, რომლის მოღვაწეობის უმთავრესი საზრუნავი იქნება საზოგადოების ზნეობრივი ამაღლება და ადამიანთა მოქალაქეობრივი ღირებულებების დაცვა...

ამ პრობლემის შესახებ ჯერ არაფერი თქმულა, ამიტომ ურემი ჩვენი ზნეობრიობისა ჯერ კიდევ ლაფში დგას. როგორც ჩანს, ბოლშევიკური წარმომავლობის ჩვენმა ხელისუფლებამ ბევრი არა იცის ეკლესიის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ, რაც 2002 წლის 14 ოქტომბერს მიღებულმა კონსტიტუციურმა შეთანხმებამაც დაადასტურა. ამიტომ რელიგიურმა იდეამ სათანადო ადგილი ვერ დაიკავა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

ჩვენს საერთო უბედურებას ისიც დაერთო, რომ საქართველოს „დედა ეკლესიამ“ ვერ შეძლო ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა ადეკვატური რელიგიური კონცეპციის შექმნა, რომელიც გაარკვევდა ქრისტიანული აზროვნების ძირითად არსს და ამ ნიადაგზე აღმოცენებულ სამოღვაწეო პროგრამას, რომელიც განსაზღვრავდა მორწმუნე საზოგადოების მოქალაქეობრივ ფუნქციას და ერის ცხოვრების წესს...

პრობლემის სიცხადისთვის ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. აშკარაა, რომ დღეს კაცობრიობა რადიკალური გარდაქმნების ზღურბლთან დგას, რაც თავისთავად ნიშნავს საზოგადოების წინაშე გაჩენილი პრობლემების მიმართ ახლებურ მიდგომას, იქნება ეს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა თუ რელიგიური აზროვნების სფეროში. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყოველი მეტამორფოზა სოციალური ყოფისა თავის საწყის ფაზაში სულიერ-რელიგიური აქტია, რადგან მხოლოდ ღვთაებრივი სიბრძნით განსხივოსნებულ სულს ძალუძს, თავი დაიხსნას კონიუნქტურის ხუნდებისგან და განახორციელოს თავისი მესიანური ფუნქცია, რაც თავისთავად არის საფუძველთა საფუძველი ადამიანის ინტელექტუალური ზრდისა, სულიერი ამაღლებისა და პროგრესისა...

ყოველ ეპოქას მისი მოთხოვნილებების ადეკვატური რელიგიური სისტემა ესაჭიროება. ასე იყო მუდამ და ასევე იქნება მარადის, რადგან უფალი ბრძანებს: *„ძველი ტიკი ვერ დაიტევს ახალი წლის მოსავალს, რადგან გასკდება და მაჭარს დაათხევს...“*

ჩვენში დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრების ჟამს, ჩვენმა ერმა სანთლები აღაგზნო და ასე შეეგება ახალი დღის გათენებას. ეს იყო აბსოლუტურად ლოგიკური აქტი, რაც ათეისტურ სამყაროსთან გათიშვას და იმ კულტურულ ღირებულებებთან დაბრუნებას ნიშნავდა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე ჩამოაყალიბა სრულიად ინდივიდუალური სახე ქართველი ერისა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელიც ანაზდად გაჩნდა ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე, აქცენტს სწორედ თავის ქრისტიანულ წარმომავლობაზე აკეთებდა. გამოხდა ჟამი, ჩავატარეთ არაერთი არჩევნები, არაერთხელ შეიცვალა ჩვენს საზოგადოებაში პოლიტიკური პოზიციები, მაგრამ ამდენ ხანს არავის გახსენებია ქართული ეკლესია, როგორც ერთ-ერთი ეროვნული ინსტიტუტი და უმთავრესი მექანიზმი ერის სულიერი ერთიანობისა და კულტურული კონსოლიდაციისა...

დღეს, როდესაც ეროვნული სული დაიძინძა უამრავ პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურ კონცეპციად და რელიგიურ დენომინაციად, მათ შორის ისეთებად, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ქართველი ერის სატკივართან, არც სახელმწიფოებრივ ინტერესებთან და არც ჩვენი ერის მსოფლმხედველობასთან, ქართული ეკლესიის წინამძღვართა და ნაბოლშევიკარ პოლიტიკოსების საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ კაცობრიობის ჰუმანური განვითარების ისტორია ღმერთის ძიების ერთი მთლიანი და განუყოფელი პროცესია. და დღესაც პრაგმატიზმისა და უტილიტარიზმის ჭაობში ჩამხრჩვალ ადამიანთა მოდგმას თავისი ღირსების წარმოსაჩენად მხოლოდ ისღა დარჩენია რომ ჟამითი-ჟამად ჩვენს სულში ღამეს გაითევს ღმერთი...

დღეს, როდესაც მსოფლიოს რადიკალური ფერიცვალების პროცესი მიმდინარეობს, როდესაც ერთა სულიერი ურთიერთობა და კულტურული კონტაქტები სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება, ჩვენ, ქართველები, ვალდებულნი ვართ, გავხსნათ სალარონი ჩვენი ერის კულტურული მონაპოვარისა და კაცობრიობას წარვუდგინოთ იგი, ვითარცა უცილობელი ნიშანი ქართველთა ზეპურობისა და საკაცობრიო ფუნქციისა...

გული რომ გულობდეს ჩვენი ქვეყნის თავკაცებისა, ჩვენც უნდა დაგვეწყო გადაფასება იმ სულიერ ღირებულებათა, ჩვენი ერის მესიანურ დანიშნულებას რომ განსაზღვრავს. დღეს იმის თქმით ვწარამარაობთ, რომ საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა; რომ მართლმადიდებლობა იყო ის რელიგიური კონცეპცია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასულდგმულებდა ჩვენი ერის კულტურული მოღვაწეობის ფორმებს. ამიტომ რაც შემოგვრჩა ერის სულიერი ღირებულების ნიშნად, ქრისტიანული კულტურის მადლით არის დაღდასმული... დღენიადაგ ამას ვამბობთ და ამის იქით საქმე არ წასულა...

ჩვენც ამას დავძენთ; ქართველი ერის დამსახურება ის გახლავთ, რომ მან ლოგიკურად გაიარა რელიგიური ძიების ყველა ეტაპი და თავისი მაღალი სულიერი დონის აღსანიშნავად ქრისტიანობა აღამაღლა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ხარისხში, მაგრამ ამ ფაქტის კონსტატაციის გარდა სასიცოცხლოდ გაჩენილი ერი ვალდებულია, ეძიოს ახალი ეპოქის შესატყვისი სულიერი ხატი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფაქტის კონსტატაცია სიბრძნედ ვერ ჩაითვლება, რადგან ახალი ფაქტის შექმნა და დაბადება სასიცოცხლოდ გაჩენილი ერის ნიჭიერების უცილობელი ნიშანი. ყოველთვის ასე იყო და ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

საოცარია ამ შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის თვალსაზრისი, რომელიც ქრისტიანობას არ მიიჩნევს ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად. საოცარია სწავლულ კაცთა ერთი ნაწილის აზრიც, რომელიც მიიჩნევს, რომ რელიგიური აზროვნება პოლიტიკა არ არის, ამ სენტენციით ამართლებენ მოქალაქეობრივ უუნარობას და ზნეობრივ დეფიციტს. ჩვენ კი ვიტყვით, რომ პოლიტიკა არის ფიქრი ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე, რომლის შემოქმედი სულიერად გაბრწყინებული ადამიანის გარდა ცისქვეშეთში არ არსებობს.

ახლა კი პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა არის მართლმადიდებლობა?! მისტიციზმის ბურუსში გახვეული საიდუმლო, რომელიც კაცთათვის არის დაფარული და რომელსაც ადამიანი ვერასოდეს შეიმეცნებს, თუ ღვთაებრივი სიბრძნე, რომელიც ღმერთმა ადამიანს განუმხილა, როგორც ზნეობრივი კოდექსი მოღვაწეობისა და შემოქმედებისა?!

საკაცობრიო ისტორია და ქრისტესმიერი სწავლება მავანთაგან შემოთავაზებული პასიური ქრისტიანობის თეორიას სავსებით გამორიცხავს; რადგან ჩვენ, მართლმადიდებლები, დაბეჯითებით ვაღიარებთ, რომ ერთადერთი და უცდომელი სწავლება ქრისტეს შესახებ მართლმადიდებლობაა. ამ მოსაზრების უმთავრესი არგუმენტი ისაა, რომ მართლმადიდებლობა ღვთაებრივისა და ადამიანურის ტოლობას და განუყოფლობას აღიარებს, რაც ადამიანის მესიანური ფუნქციის უმაღლესი დანიშნულების გამომხატველია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ქრისტეს ამაღლების შემდგომ უფალმა ადამიანს დაუტოვა ღვთაებრივი სიბრძნე, რაც ისე უნდა იყოს გააზრებული, რომ ქრისტეს ამაღლების მერე ადამიანი იქცა მემკვიდრედ ღვთაებრივი სიბრძნისა... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქრისტეს ამაღლების შემდეგ ამ ქვეყანაზე „მე“ და „შენს“ მეტი არავინ არის, ვინც ქრისტეს სიბრძნე და სათნოება უნდა იხსნას დედამიწაზე...

სწორედ იმიტომ, რომ ყოველი ეპოქა თავისი დროის შესაფერის თვალსაზრისს ქმნიდა ქრისტიანული კულტურის შესახებ, ქრისტიანულ აზროვნებას ბევრი ისეთი რამ დაერთო და შეემატა, რაც დღეს ვერ სცემს პასუხს ჩვენი საზოგადოების წინაშე წამოჭრილ კითხვებს; ეს კი აბრკოლებს და აზიანებს ქრისტეს სწავლების არსის გაგებას.

დღეს მთელი ერის, მეცნიერთა და ეკლესიის მესვეურთა წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, ისევ დავუბრუნდეთ ქრისტეს წიაღს და ამ გზით ვეძიოთ ძირითადი არსი ქრისტიანული მოძღვრებისა. დღეს ყოველი ჩვენთაგანი ვალდებულია, ეკლესიას აღუდგინოს უმთავრესი ეროვნული ინსტიტუტის ფუნქცია და აქციოს იგი უზენაესი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი მოღვაწეობის სფეროდ. დღეს ყოველი პიროვნების მოვალეობაა, მისტიკისა და უცნობადობის სივრცეს გამოარიდოს ჭეშმარიტი არსი ქრისტიანული აზროვნებისა და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გაჯერებული დაუბრუნოს იგი ადამიანს, როგორც პროგრამა მისი მესიანური ფუნქციისა... ესაა გზა მუდმივი ძიებისა, გზა ეროვნული ერთობისა, ჭეშმარიტი სიყვარულისა და, ბოლოს და ბოლოს, გზა სამყაროს განახლებისა... ესაა შანსი გადარჩენისა, ვინაიდან, სადაც არ არის ძიება, იქ არაა გონიერება; სადაც არ არის გონიერება, იქ ყოველთვის სიბნელე და ფანატიზმია გამეფებული და ამიტომაც იქ, სადაც უგუნურება სუფევს, არ შეიძლება იყოს ღმერთი...

იმის დასტურად, რომ რელიგიური აზროვნება არის ერის პოლიტიკური აზროვნების განუყოფელი ნაწილი, იმის თქმაც იკმარებს, რომ ქრისტეს სწავლება იყო ადამიანის მონობისაგან დახსნის ფილოსოფია, რომელსაც შემდგომ რომის იმპერიის ნგრევაც მოჰყვა. ქრისტიანული რელიგია იქცა იმ იდეოლოგიად, რომლის გამო კაცობრიობამ უარი თქვა მონათმფლობელობაზე და თვისობრივად სრულიად ახალი და გაცილებით უფრო ჰუმანური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმა - ფეოდალიზმი დაამკვიდრა ცხოვრების წესად...

საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული კულტურა განსაზღვრავდა კაცობრიობის სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების წესს. ასე იყო სხვაგან და ასე იყო ჩვენშიც. ამიტომაა, რომ ქართველ წმიდანთა პანთეონში საპატიო ადგილი უკავიათ საერო პირებს, რაც ერისა და ეკლესიის ერთიანობისა და განუყოფლობის უტყუარი ნიშანია...

ჩვენში ჯერ კიდევ ბოგინობს რუსული იმპერიალიზმის ნაბოძები პასიური კოლონიალური რელიგიური თვალსაზრისი, რომელიც უფლის სრულ მორჩილებას და ადამიანის უსუსურობას ქადაგებს. ამ კონცეფციას არაფერი აქვს საერთო არც ქრისტიანობასთან და არც ჩვენი ერის ისტორიულ გამოცდილებასთან. უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, თუ როგორ დაინერგა ეს იდეოლოგია ქართველთა სულიერ სამყაროში...

1942 წელს, როდესაც სტალინმა მეორე ფრონტის გახსნა განიზრახა, მას დასჭირდა, საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის ეჩვენებინა საბჭოთა კავშირის დემოკრატიულობა, ამიტომ მან რუსი ხალხის პატრიოტული გრძნობის გასაღვივებლად რუსეთის ეკლესიაში საპატრიარქო მართვა-გამგეობა აღადგინა, რისთვისაც კრემლში მიტროპოლიტი ალექსი (შემდგომში პატრიარქი სრულიად რუსეთისა) მოიხმო. დამფრთხალ მიტროპოლიტს დიდხანს უფიქრია იმაზე, კოსტიუმით თუ ანაფორით ხლებოდა პროლეტარიატის ბელადს. მღვდელმთავარი რომ ამას ფიქრობს, მკითხველისათვის მისახვედრია, თუ რა სამოსელით ეახლებოდა სტალინს... კოსტიუმში გამოწყობილი მიტროპოლიტი რომ დაინახა სტალინმა ულვაშებში ჩაიცინა და მიტროპოლიტს უთხრა: - მეუფევ, თქვენ ჩემი უფრო გშინებიათ, ვიდრე იმისი...

სტალინი იმ ჭკუაზე არ იყო, რუსეთისთვის მეორე ბელადი და სულიერი წინამძღვარი გაეჩინა და ამიტომ სათანადო ორგანოებს დაევალათ, ეკლესიის წიაღში დაეწინაურებინათ ინტელექტუალურად მდაბალი, ზნეობრივად დაცემული, მოქალაქეობრივად უპოტენციო ადამიანები. ეს ყოველივე კეთდებოდა ეკლესიის პრესტიჟისა და რელიგიური აზროვნების დისკრედიტაციისთვის... ასე იყო მაშინ და ნუ დაგვავიწყდება, რომ დღესაც ამ წიაღიდან მოდივართ...

რა არის ქრისტიანობის არსი და როგორ ესმის იგი ქართულ სამღვდელოებას და ჩვენს ხელისუფლებას. აი, კითხვა, რომელსაც პირველ რიგში უნდა გაეცეს პასუხი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სულიერი წინამძღვარნი დღენიადაგ გვიქადაგებენ, რომ ყოველი ქრისტიანი ვალდებულია, იაროს ეკლესიაში და მარხვითა და ლოცვით განამზადოს სული უფალთან შესახვედრად. სადავო არაა, რომ ლოცვა, მარხვა, აღსარება და ზიარება ადამიანის ინტელექტუალურ-სულიერი მოღვაწეობის უსათუთესი ფორმაა, რადგან ამით ხერხდება ადამიანის სულიერი მოწესრიგება და ღვთაებრივ იდეალებთან თანაზიარობა, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ქრისტიანული აზროვნების არსის განმსაზღვრელი ერთადერთი ფორმა, რადგან ცნობილია ისიც, რომ სული ჩვენი ეკუთვნის უფალს, გული ჩვენი მამულის წილია და სხეული, ანუ სისხლი, ცრემლი და ძალა ეკუთვნის სიცოცხლეს, ანუ ერს...

ჩვენი ეკლესიის წინამძღვართა ლოგიკას თუ გავყვებით, ჩვენ, მორწმუნეებს ამქვეყნად სხვა არა გვევალება რა, ვიაროთ სიონში, ვანთოთ წმინდა სანთლები, ცრემლითა და ღაღადით ვევედროთ უფალს და, როცა იქნება, უფალი შეისმენს ქართველთა ვედრებას; თავად დასთესს და თავად მომკის, თავად ააშენებს ქვეყანას და ადამიანთა დანგრეულ სულებს. ცხადზე ცხადია, რომ ლოცვა სულის ვარჯიშია და სულიერი მოწესრიგების საშუალება მოქალაქეობრივი გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა უფალი განვიცადოთ, როგორც გზა, ნათელი და ჭეშმარიტება. მაგრამ ამ მისტიკური საიდუმლოს მიღმა თუ არ იქნება საქციელი, ანუ მსხვერპლი ერის, ქვეყნისა და ადამიანის საკეთილდღეოდ, მაშინ ყოველივე ეს სიცრუედ, ფანატიზმად და ფარისევლობად ჩამოყალიბდება...

ქართველებს ძალზე ბევრი დრო გვქონდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მარტოოდენ ვედრება და ღაღადისი უფლისა მიმართ არაა საკმარისი სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისთვის. ცხადია ისიც, რომ ჩვენი სამღვდელოება დღედაღამ ლოცვაში ათენ-აღამებს, მაგრამ არც ერის ზნეობრივ მთლიანობას, არც ქვეყნის აღმშენებლობის პროცესს და არც სულიერ მთლიანობას არა შეემატა რა. ამასთან დაკავშირებით იაკობ მახარობელი ბრძანებს: „*სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს*“. ამ ნააზრევის ცხოველმყოფელობის საბუთია კაცობრიობის ისტორია და ჩვენი ერის წარსული...

ჩვენი სულიერი წინამძღვარნი ხშირად გვახსენებენ, რომ „*ქრისტე არს სიყვარული*“, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის ღმერთის პირველადი სახე... სიყვარული გზა და ხიდია ამაღლებული სულის კაცისა, კაცთა მოდგმის სასიკეთოდ მიმართული, მაგრამ სიყვარულს თუ სათანადო შრომა და საქციელი არ შეეხიდა, მისი მხურვალება თუ პრაქტიკული ქმედება თან არ დაჰყვა, ხელში მხოლოდ უბრალო გულისძგერა შეგვრჩება. უფალმა კი ბრძანა: „*დაივიწყე თავი თვისი, აღიღე ჯვარი და შემომიდექ!...*“ „*ეგრედ ბრწყინავდეს ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქუენი...*“

ყოველ ერს თავისი მესიანური ფუნქცია აქვს. იგი თავისი გულის გულიდან უნდა ხედავდეს ამქვეყნიურ დანიშნულებას. სიყვარულის გარდა ქრისტე გზა, ნათელი და ჭეშმარიტებაა, რომელიც გოლგოთით თავდება. ამისკენ არის მიმართული ქრისტეს მოღვაწეობა. სწორედ იგია ადამიანთათვის ღვთის მიერ გამჟღავნებული საიდუმლო. გოლგოთის გზა არის ამაღლება და ღმეთრთაან შეერთების შესაძლებლობა. ამიტომ ამბობდა უფალი: „*სვით ამისაგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა...*“

ქართველებმა სულიერი ხატი დავკარგეთ და მასთან ერთად ეროვნული დანიშნულება, პიროვნული ღირსება, საკაცობრიო ფუნქცია, ასეთ კაცს არც ღმერთი ესაჭიროება და არც სამშობლო, რადგან სტომაქია მისი სიბრძნის სიგრძე-სიგანე და ფაშვი - კაცური ღირსება...

უმეცრება და სულიერი გაუნათლებლობაა ჩვენი ერის უმთავრესი სასჯელი. პროვინციალიზმია ის სენი, რომელიც ყოველ სასიცოცხლო ნერვს გვიღრღნის ქართველებს. პროვინციალიზმი ზოგს ჩვენი პერიფერიული წარმომავლობა ჰგონია, მე კი იმას მოგახსენებთ, რომ პროვინციალიზმი თვალსაწიერის სივიწროვეა, გონითი შეზღუდულობა და მოქალაქეობრივი ფუნქციის გაქრობა... ამიტომ გამოვიკეტეთ საკუთარი სახლის კარი და ამ ჩარჩოში გამომწყვდეულნი ველოდებით სოფლის აღსასრულს. უიმედონი და უსასონი მივყვებით დღეთა დინებას და არც ერისა და არც ქვეყნისა არა გვენაღვლება რა...

პრაგმატულად მოაზროვნე მსოფლიოს ის უბედურება დაემართა, რომ ღმერთი დაეკარგა... ქრისტეს სახით განხორციელებული სიტყვა აბსტრაქციის სფეროს გამოეყო და ხორციელად მოვიდა ხალხთან, ჩვენ იგი ისევ ზეცაში დავასახლეთ და ახლა გაურკვევლობაში ხელის ფათურით ვიკმაყოფილებთ ჩვენს ადამიანურ მოთხოვნილებებს. ამიტომ კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ ღმერთი ის წვერებიანი კაცი არ არის, რომელიც თავისი გუნება-განწყობილების მიხედვით ალაგებს ქვეყანას - ღმერთი არის მშვენიერება და განუზომელი სიყვარული, რომელიც ყოველი ღირსეული კაცის სულში ბინადრობს. ამიტომ რელიგიური აზროვნება გაურკვევლობა და აბსტრაქცია კი არ არის, არამედ უზენაესი ზნეობრივი პრინციპებით გაჯერებული სამოღვაწეო პროგრამა ქვეყნად სათნოების, თავისუფალი შრომისა და ბედნიერების დასამკვიდრებლად. ამიტომ უფალმა ბრძანა: „*რამეთუ ყვავილმან, ანუ თუ ძაღლმან ანუ ადამიანმა შეგხედოს თვალითა ჩემითა, გეშინოდენ, რამეთუ მე მათთანა ვარ...*“

ასეთ რთულ ვითარებაში ქვეყნის სვე-ბედით დაინტერესებული კაცის მზერა საქართველოს „დედა-ეკლესიისაკენ“ არის მიმართული, რადგან იგი მარად და ყოველთვის იყო ეროვნული და ადამიანური ღირსების დამცველი და მებაირახტრე...

ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიის მმართველობით ორგანოს წმიდა სინოდი წარმოადგენს, რომელიც დღითი-დღე ივსება ქვეყნის მოყურიადე კაცის გულის გასახარად. მაგრამ უნებლიეთ გულს ღრღნის ეჭვი და ამ ეჭვის საბაბი შექმნილი რეალობაა. ჩნდება კითხვა: რა პრინციპით გამოარჩევს საქართველოს პატრიარქი თავის ფავორიტებს ერის სულიერ წინამძღვრებად?!..

ყოველმა ჭკუათმყოფელმა კაცმა იცის, რომ ადამიანურ ღირსებებს თავისი კრიტერიუმები გააჩნია: ესაა განათლება, საქმისადმი ერთგულება, ნიჭიერება და უმაღლესი იდეალისადმი თავგანწირვის უნარი. თუ ამ კითხვით პატრიარქს მივმართავთ, იგი გვიპასუხებს, რომელიმე პერსონის გამორჩევა ერის სულიერ წინამძღვრად ღვთის მადლითა და მისი უშუალო მითითებით ხორციელდებაო.

თუ ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს გავიხდით ადამიანის ღირსებისა და ღირებულების საზომად, მაშინ იოლად დავრწმუნდებით, რომ წმიდა სინოდში ეპისკოპოსებად შეგროვილი ადამიანების არჩევანში ღმერთი არ ურევია და მათი აღზევება ან პატრიარქის ნება-სურვილზეა, ან სხვა ძალთა მეოხებით ხორციელდება.

ჩვენდა საუბედუროდ ამ ეჭვს ასაბუთებს ის ტრაგიკული ცნობები, რომელიც ეპარქიებიდან მოდის...

მორწმუნე საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ჩვენი სამღვდელოების ძირითადი მახასიათებელი არის ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი დონის სიმცირე...

მას შემდეგ, რაც წმიდა სინოდი ჩამოყალიბდა, როგორც პრივილეგიური კლასი, სამღვდელოებამ საეკლესიო ცხოვრებაში სრულიად დაკარგა ფუნქცია და იგი მხოლოდ საწესო-სარიტუალო ქმედებების აღმსრულებლად იქცა. თბილისის ეკლესიები გადაძეძგილია პროვინციიდან ჩამოსული და თბილისში დასახლების მსურველი საეკლესიო პირებით. პერიფერიაში კი აშკარად შეიგრძნობა სამღვდელოების დეფიციტი. თბილისის ეკლესიების სამღვდელოების გაზრდის პოლიტიკას ის სავალალო შედეგი მოჰყვა, რომ მღვდელი იძულებული გახდა გაშმაგებით იბრძოლოს ლუკმა-პურისთვის, რაც სავსებით გამორიცხავს სამღვდელოების საქველმოქმედო მოღვაწეობას. როგორც ჩანს, „საეკლესიო ელიტა“ დიდად არ სწყალობს სამღვდელოებას, ამის დასტურია ის ფაქტი, რომ პატრიარქს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ერთხელაც არ შეუკრებია სამღვდელოება და არაფერი უკითხავს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ... ამიტომ საეკლესიო ცხოვრება თვითდინებით მიდის და არც ქვეყნისა და არც ერის სასიკეთო ჯერ არა ჩანს რა...

საერთო საეკლესიო იდეოლოგიის უქონლობის გავმო ყველა იმას ქადაგებს, რაც ენაზე მოადგება, რაც საზოგადოების დაბნევას და ეკლესიიდან განდგომას იწვევს. მავანი იმას გვიპასუხებს, ეს ყველაფერი ღვთის ნებააო. მკრეხელობაა ეს და მეტი არაფერი, რადგან სისულელე და უვიცობა არ შეიძლება ღვთის განგებას დაუკავშირო. არ შეიძლება, ქართული სამღვდელოება უგნურ ბავშვს დაემსგავსოს, რომელსაც გულწრფელად სწამს, რომ თოვლის ბაბუა მოუტანს საახალწლო საჩუქრებს. უფალი ბრძანებს: „*საქმემან შემან გამოგაჩინოს*“. ამ დიდ პრობლემას არაფერი ეშველება, თუ საპატრიარქომ სათანადო გადაწყვეტილებები არ მიიღო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირვების ჟამს თვალი უნებლიეთ პატრიარქის ტახტისაკენ გაგვირბის, როგორც ერის წინამძღვრისა და ადამიანის ღირსების უპირველესი დამცველისაკენ. კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა უკვე 25 წელია საჭეთმპყრობელია საქართველოს უწმინდესი ტახტისა. ამ ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში მოხერხდა იმის გაკეთება, რომ სახელმწიფომ საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნა ეგზარქოსის კუთვნილი რეზიდენცია, რომელსაც საპატრიარქომ უზარმაზარი ფეოდალური ტიპის გალავანი შემოარტყა, თურმე იმისთვის, რომ ეშმაკი არ გადაძვრეს (ვაი, რა ცუდი აზრის ვყოფილვართ საპატრიარქოში ეშმაკზე).

ავაშენეთ მოცულობით სვეტიცხოველზე და ბაგრატზე უფრო დიდი ტაძარი, რომელიც ასევე დიდი ზარით დავამშვენეთ. ეს მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის ამაღლება და ძლიერება დაგვესაბუთებინა მავანთათვის...

ჩვენ არ მივეკუთვნებით იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც საქართველოში რომელიმე მშენებლობა გულს ტკენს, მაგრამ, როდესაც მოსახლეობის 90 პროცენტი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, როდესაც ბანდიტური კლანები იტაცებენ ერის კუთვნილ ქონებას, საპატრიარქოს ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ერს შეუნარჩუნოს საარსებო არე. ასეთ პირობებში ესოდენ გრანდიოზული ტაძრის მშენებლობის წამოწყება ან ცრუპენტელობაა, ან პატივმოყვარეობა, რომ ამგვარად მაინც შევრჩეთ ისტორიის ცარგვალს...

ამ აღმშენებლობით „აღტაცებულთა" საპასუხოდ მოგახსენებთ, რომ რელიგიური აზროვნება სულიერ-ინტელექტუალური მოღვაწეობის ფორმაა და მისი ღირებულება ტონაჟით, კუბატურით და მეტრაჟით არ იზომება; არამედ ადამიანის სიყვარულით და მისთვის თავგანწირვის უნარით... ყოველივე ამის შემდეგ კიდევ გვიკვირს თუ რატომ შეაქცია ზურგი ქართველმა კაცმა თავისი წინაპრის მიერ რუდუნებით ნაგებ ქართულ ეკლესიას და შეუერთდა იმ უცხო რელიგიურ წარმონაქმნებს, რომელიც სრულიად უცხოა ჩვენი კულტურისა და ყოფიერებისთვის? საპატრიარქო ამ მოვლენას ხალხის ურწმუნოებით ხსნის. ეს მაშინ, როდესაც ქართველი კაცი წყალწაღებულივით ეკიდება ყოველივე იმას, რაც ადამიანურ ღირსებას ალუდგენს, ეს მაშინ, როდესაც გაღატაკებული ქართველი კაცი პირიდან უკანასკნელ ლუკმას იღებს და ყოველ სოფელსა და ქუჩის მოსახვევში ტაძარს აშენებს, როგორც ნიშანს თავისი ღირსებისა და ქრისტიანობისა...

ქართველი კაცის „დედა ეკლესიიდან" განდგომის კიდევ ერთ საბაბად იმ ფინანსურ დახმარებას ასახელებენ, რომელსაც მოწყალების სახით ჟამითი-ჟამად გაიღებენ ის დენომინაციები, რომელნიც ბოლო დროს შემოიჭრნენ საქართველოს სულიერ სამყაროში. უნდა მოგახსენოთ, რომ ადამიანთა მიმართ ყურადღება და მათ შორის ფინანსური დახმარებაც სულიერ-ზნეობრივი აქტია და ასეთ დუხჭირ მდგომარეობაში სიცოცხლის გადარჩენის შანსი. თუ ვინმე ამან მოხიბლა, ეს სავსებით გასაგებია და საპატრიარქომ ამასთან დაკავშირებით სათანადო დასკვნები უდნა გააკეთოს...

ჩვენი სულიერი წინამძღვრები მუდმივად იძახიან, რომ ღრმად მორწმუნეები არიან, რამაც „ფიზკულტურული შეჯიბრების" იერსახე მიიღო. სარწმუნოება მისტიკურობის სამოსელში გაეხვია და სრულიად დაკარგა კავშირი ადამიანთან. სარწმუნოება მხოლოდ „რჩეულთა" და „ღვთისმადლით გაბრწყინებულთა" საკუთრებად იქცა...

გაუგებარია, რას ეძახიან საპატრიარქოში რწმენას, რაიც იქნა ერთადერთ კრიტერიუმად გამორჩეულობისა და ზეპურობისა...

ამ საკითხის გასარკვევად ქრისტიანებს ებოძათ მრწამსი, რომლის აღიარების შემდეგ ყოველი ადამიანი ხდება ამა თუ იმ დენომინაციის წევრი. ასეთი რამ გვაქვს მართლმადიდებლებსაც. რა უპირატესობას ხედავენ ამ ფაქტში საპატრიარქოს წარმომადგენლები, ყოვლად გაუგებარია. გაუგებარია ისიც, რომ ჩვენი ერის სულიერი წინამძღვრები დღენიადაგ გვიჩიჩინებენ: ღიდია უფალი და მისი პირველადობის აღიარება არის ადამიანის არსებობისა და მოღვაწეობის ერთადერთი ფორმა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ხელმოცარული კაცის სიბრძნეა, რადგან ამგვარ კონცეპციაში ამოგდებულია ქრისტიანიზმის ძირითადი პრინციპი ქვეყნის, ერის და მისი მომავლისათვის მოღვაწეობისა. ამ კონცეპციის გამო წმიდა სინოდი ჩამოყალიბდა, როგორც „პრივილეგიური კლასი", რომლის ერთადერთი ფუნქციაა, „ლოცვითი გმირობით" გვაგდათლოს ჩვენ ცოდვილნი და უმეცრებით მოსილი ადამიანები. პატრიარქს ვთხოვთ, თვალი გადაავლოს სინოდის წევრებს და საკუთარ თავს კითხოს, რომელმა მათგანმა უნდა გაანათოს ერის ღვთივკურთხეული მომავალი?!

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მტკივნეულად განიცდის საქართველოში ახალი რელიგიური დენომინაციების წარმოქმნას. ამ სატკივარს აქვს მყარი საფუძველი, რადგან მართლმადიდებლობა იყო და არის ჩვენი ერის კულტურული სახე და სულიერი მთლიანობისა და განუყოფლობის უმთავრესი პრინციპი. ის, რაც ჩვენში ხდება ახალი რელიგიური წარმონაქმნების მიმართ, სამარცხვინოა და ასეთი საქციელი კულტურულ ერს არ ეკადრება. ტრაგიკული ისაა მხოლოდ, რომ ქართულ ეკლესიას არაფერი აქვს სათქმელი იმის მეტი, რომ *„ქრისტე არს სიყვარული"* და რომ *„ჩვენთან არს ღმერთი"*. ეს აჩემებული ფრაზები ფუჭია და არაფრისმთქმელი, რადგან, როცა არა გვაქვს სამშობლო, დაკარგული გვაქვს ღირსება და მოქალაქეობრივი ფუნქცია, ძნელია, ირწმუნო, რომ მაინცდამაინც „ჩვენთან არს ღმერთი". აჯობებდა, გვეთქვა, რომ ჩვენ გვინდა, ვიყოთ ღმერთთან.

თუ ქრისტეს მონაფე ხარ, უნდა იტვირთო ჯვარი შემოქმედისა! ამიტომ უნდა პირდაპირ ითქვას, როცა ქვეყანას არა ჰყავს გმირი, ქრისტიანემ უნდა იტვირთოს გმირის ფუნქცია; როცა ქვეყანას არა ჰყავს პატრონი, ქრისტიანემ უნდა უპატრონოს ერს და, თუ არავის შეუძლია სიკვდილი სიმართლისათვის, ქრისტიანე უნდა ავიდეს ჯვარზე, ვინაიდან არ არსებობს ერის სატკივარისთვის ჯვარცმულ მოძღვარზე უფრო მშვენიერი რამ...

მოაქვამამდე ისტორიამ არ იცის არც ერთი ფაქტი, სადაც რელიგიური აზრი არ იყო გადამწყვეტი ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ზოგადად კაცობრიობის სულიერი განვითარების საქმეში, რადგან სულიერი ფერისცვალება კაცობრიობისა ადამიანის ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ამაღლების შედეგია. ჩვენი გულისტკივილი რომ ნათელი გახდეს, გავიხსენოთ რამდენიმე პასაჟი ბიბლიიდან: *„სახედ და ხატად"* თვისად შექმნა ღმერთმა ადამიანი. საცხოვრებლად გაუჩინა ედემის ბაღი და შიგ *„ხე ცნობადისა"* აღმოაცენა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, თუ როგორ შეიყვარა ადამიანი ღმერთმა და ცნობიერების მეშვეობით როგორ უხსნიდა კარიბჭეს ღვთაებრივი სიბრძნისკენ... მიდიოდა ხანი და ეს პროცესი არ შეწყვეტილა: ღმერთი ადამიანის ინტელექტუალური და სულიერი შესაძლებლობების ტოლფას ღვთაებას უჩენდა და რჩეული ადამიანების მეშვეობით წარმართავდა ადამიანის სულიერი ამაღლების პროცესს...

და ბოლოს, ღმერთმა ადამიანი ღირსი გახადა მასთან თანაზიარობისა და ამის ნიშნად მისცა ძე თვისი მხოლოშობილი და განუმხილა კაცთა მოდგმას უდიდესი საიდუმლო ღვთაებრივი სიბრძნისა. ღვთაებრივი სიტყვა ადამიანში განხორციელდა და მოეცა მას შესაძლებლობა, გამხდარიყო ისეთი მშვენიერი, როგორიც არის ღმერთი... ამიტომ ბრძანებს ქრისტე! *„შენ ხარ მარილი ამა ქვეყნისა და თუ განქრი, რითლა გამარილოს ქვეყანამა; შენ ხარ ნათელი ამა ქვეყნისა და თუ განქარდი, რითლა გაინათოს მომავალმა. შენ თუ არა ვინ? დღეს თუ არა როდის?!.* „

*„ეგრეცა ბრწყინავდეს ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქუენი..."*

მართალია ისიც, რომ მამა ღმერთის სიყვარული განუზომელია კაცთა მიმართ, რომელიც გოლგოთის მისტერიით უნდა დამთავრდეს. რადგან კაცთათვის დათხეული სისხლია ქრისტეს მიმდევართათვის ამაღლებისა და ღმერთთან შეერთების ერთადერთი გზა, ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რწმენა უგონო ფანატიკოსის სომნამბულა კი არ არის, არამედ შრომით, ცრემლით, ხშირად სისხლით მორწყული გზა, რომელსაც უფლის ინტელექტუალურ სამყაროში შევყავართ. ესაა ქრისტეს მსგავსების გზა და უმაღლესი კრიტერიუმი სარწმუნოებისა... სხვა ყველაფერი არის სიტყვა, რომელსაც ხშირად ტაძრის კარიბჭესთან მდგარი ადამიანები თავის მოქალაქეობრივ უსუსურობას შეაფარებენ ხოლმე. ანუ, როგორც უფალი იტყოდა: *„მრავალნი მოვლენ სახელითა უფლისათა, მრავალნიც იტყვიან სიტყვასა ღვთისა, მაგრამ არცერთი არ იქნება ღმერთი, რამეთუ იტყვიან ოდენ და ვერასა იქმ!"*..

ერის სულიერი თავკაცები იმით გვამშვიდებენ, ჩვენი ლოცვით გაბრწყინდება საქართველოო, თუმც კი არავინ იცის, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის მოხდება ეს. აქ ძალაუნებურად გახსენდება ერთი სენტენცია - ოპტიმისტები ბრუციანები იბადებიანო...

ამასთან დაკავშირებით უნდა ვუთხრათ ჩვენს ოპონენტებს, რომ ღმერთმა უკვე მოგვცა სამშობლო, ღმერთმა მოგვცა სინდისნამუსი და მისთვის სიკვდილის ნება. ყოველივე ამის განხორციელებას ესაჭიროება გარკვეული გეგმა, რომელიც სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს. ჩვენ გვესაჭიროება არა აბსტრაქტული ღმერთი, არამედ ისეთი ღმერთი, რომელიც ჩვენს ერს ქართულად დაელაპარაკება და გზას გაუნათებს მომავლისკენ, რადგან ბედნიერება ქვეყნისა არც იწყება და არც მთავრდება ადამიანთა პირადი შთაბეჭდილებებით, იგი მუდმივი გზასავალია და მხოლოდ მარადისობაში იგეგმება. ამიტომ არის იგი ადამიანის უკვდავების და სამყაროსთან განუყოფლობის უმთავრესი ნიშანი...

სწორედ ის არის ქვეყნის ჭეშმარიტი წინამძღვარი, ვინც ამ ისტორიის ლაბირინთებში გაატარებს თავის ერს და აღთქმულ ქვეყანას დაანახვებს...

პრინციპულად უნდა ითქვას, რომ ჩვენში ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრების პირობებში და დემოკრატიულ ღირებულებათა აღიარების ჟამს ეკლესია მღვდლების საკუთრება კი არ არის, არამედ ქართველი ერის სულიერი ნავსაყუდელი და შესაკრებელი ყოველივე ღირებულისა, ყოველთა სათნოებათა და გარდასულთა ძვალშესალაგი...

საქართველოს „დედა ეკლესიის" პოლიტიკისა და მისი საზოგადოებრივი ფუნქციის შესახებ არაერთხელ თქმულა, რაც ამ პრობლემის აქტუალობაზე მიანიშნებს. საპატრიარქომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ხელისუფლებას მიანდო, რამაც სასურველი შედეგი ვერ მოგვცა და არც შეიძლებოდა მოეცა, რადგან ხელისუფლებას გააზრებული არა აქვს ერის სულიერი ამაღლების მნიშვნელობა და ამ პროცესში „დედა ეკლესიის" სახელმწიფოებრივი ფუნქცია. მოძრაობა ამ მიმართულებით სწორედ საპატრიარქოში უნდა დაწყებულიყო, რადგან მხოლოდ აქ შეიძლებოდა საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაცია...

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ საპატრიარქომ ხელაღებით უარყო ყველა ის იდეა, რომელიც ეკლესიის წიაღში დაიბადა...

გაზეთ „ახალ ეპოქაში" (2000. 24-26 ოქტომბერი) გამოქვეყნდა წმიდა სამების ტაძრის დეკანოზის მამა როსტომ ლორთქიფანიძის და ჩემი, თამარ სამსონიშვილის ღია წერილი წმინდა სინოდისადმი მიწერილი: *„ურემი უნდა დავძრათ ლაფიდან"*. წერილში აღნიშნულ მოსაზრებებს საპატრიარქოდან პასუხი არ მოჰყოლია... გვსურს გავიხსენოთ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებანი და კვლავ შევთავაზოთ იგი „დედა ეკლესიას" და ქართულ საზოგადოებას განსჯისათვის და არა სადავოდ...

ჩვენს ქვეყანაში სულიერ-რელიგიური ცხოვრების განახლების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღდგეს ქორიკოზის ინსტიტუტი. ქორიკოზი არც ხარისხია და არც საეკლესიო პატივი. ქორიკოზი არის ეკლესიის ცხოვრების მართვის სტრუქტურული რგოლი, რომელიც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ახორციელებს მასზე დაკისრებულ კონკრეტულ საქმეს...

ქორიკოზთა საბჭო, არის საქართველოს „დედა ეკლესიის" პოლიტიკური საბჭო, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გეგმავს და ახორციელებს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებს... ქორიკოზთა საბჭოს ხელმძღვანელობს პარტრიარქის ქორეპისკოპოსი. საბჭოს უმთავრეს ამოცანად უნდა იქცეს საეკლესიო პოლიტიკის შემუშავება და ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება...

ქორიკოზთა საბჭო შედგება იმ ადამიანებისგან, ვინც გარკვეულად პროფესიონალია ქართული კულტურის, სამრეწველო-სამეურნეო და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სფეროში. ამგვარი გაერთიანება საშუალებას მოგვცემს, მოვიზიდოთ ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი და ისინი ვაქციოთ ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის აღმშენებლობის განუყოფელ ნაწილად. საპატრიარქოში ამგვარი ორგანოს შექმნა საშუალებას მოგვცემს პატრიარქის ირგვლივ დავრაზმოთ ის სამღვდელოება, რომელსაც შესწევს უნარი პრაქტიკული ქმედებით გამოხატოს ქრისტეს ეკლესიის და ადამიანის ერთიანობა...

ეს საქმე იმდენადაა საშური, რამდენადაც პატრიარქის ხელში აღმოჩნდება სადავეები ქვეყანაში მიმდინარე სულიერ-კულტურული, სამეურნეო და სამრეწველო დარგებისა, რითაც ეპისკოპოსებს საშუალება მიეცემათ, მოღვაწეობა წარმართონ ერის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისკენ... პრინციპულად უნდა აღინიშნოს, რომ ქორიკოზის თანამდებობა ანაზღაურებადი არ არის, რადგან იგი ეფუძნება ზნეობრივ და პატრიოტულ პრინციპებს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი პირველი პრეცედენტი იქნება ქვეყნის და ერის უანგარო სამსახურისა... ვფიქრობთ, რომ ქორიკოზთა საბჭოს მოღვაწეობა უნდა წარიმართოს სხვადასხვა მიმართულებით...

1. პოლიტიკის დარგში ქორიკოზთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტებთან, ჩვენში მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებთან და მათთან ერთად თანამშრომლობს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში...

2. კულტურის მიმართულებით ქორიკოზთა საბჭო მჭიდრო კონტაქტებს დაამყარებს ქართულ ინტელიგენციასთან და ხელს შეუწყობს, აქტიურად ჩაერთონ ჩვენი ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაში. ქორიკოზთა საბჭო ვალდებულია, შეისწავლოს და აღრიცხოს საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრები და საქართველოს ეკლესიის სტრატეგიის მიხედვით იზრუნოს მათი აღდგენისთვის... ქორიკოზთა საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს წირვა-ლოცვის კულტურულ მოწესრიგებას. უძველესი და მაღალმხატვრული ღირებულების მქონე საგალობლების დამუშავებასა და აღდგენას...

ქორიკოზთა საბჭო კულტურის სამინისტროსთან და სხვა სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან ერთად ეძიებს გზებს იმ კულტურულ ღირებულებათა დასაცავად, რომლებიც საქართველოს საზღვრებს მიღმა არსებობს.

საქართველოს ჰუმანისტური და მაღალზნეობრივი იდეალების წარმოსაჩენად ჩვენი ქვეყნის იმ რეგიონებში, (ვარძია, გელათი, გრემი და სხვა), სადაც დაცულია ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები, ქმნის მუდმივმოქმედ სულიერ-ინტელექტუალურ ცენტრს „მშვიდობის სახლს". „მშვიდობის სახლის" აღმშენებლობა უნდა იქცეს საერთო-სახალხო ღონისძიებად, რომელშიც ჩართული იქნება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, ინტელიგენცია და ფინანსისტები...

„მშვიდობის სახლის" ძირითადი დანიშნულება იქნება ხელი შეუწყოს ჩვენი საზოგადოების სულიერ და კულტურულ კონსოლიდაციას. იმ დღესასწაულებზე, რომელიც მიძღვნილი იქნება ქართველი წმინდანების სახელოვანი წინაპრების და საზოგადო მოღვაწეთა ღირსების აღსანიშნავად აქტიურად ჩართოს პროგრესულად მოაზროვნე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთ. ვფიქრობთ, რომ ეს აქტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხალხთა შორის მეგობრობისა და კულტურული დაახლოების პროცესს...

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქორიკოზთა საბჭოს მოვალეობაა, ქველმოქმედება აქციოს არა კერძო პირთა უპირატესობად, არამედ ეკლესიის, ხელისუფლებისა და ყოველი კერძო პირის ღირსების საგნად...

მორწმუნე საზოგადოების სოციალური დაცვისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ეპარქიებში ქმნის სამეურნეო და სამრეწველო სიმძლავრეებს...

თუ საპატრიარქო ჩვენს მოსაზრებებს გაიზიარებს, საშუალება მოგვეცემა, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, წმიდა სინოდის თანადგომითა და ქორიკოზთა საბჭოს მოღვაწეობით შევიმუშაოთ საქართველოს ეკლესიის სამოღვაწეო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ეკლესიის გაძლიერებისა და მასში საზოგადოების აქტიური მონაწილეობისკენ, რათა ყოველი მოქალაქე იქცეს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობითი პროცესის განუყოფელ ნაწილად...

ჩვენ არ ვიცით, როგორ შეხედავს ჩვენს მოსაზრებებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მაგრამ ერთი ცხადია: ჩვენში დემოკრატიული წესის დამკვიდრების ჟამს ქართული ეკლესია ვალდებულია, იტვირთოს ჯვარი ჩვენი ერის სულიერ-ფიზიკური გადარჩენისა... ამას ითხოვს ახალი ეპოქა და მის ზღურბლთან მდგარი ქრისტე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზეინაბ სარია

## სიტყვის ნიუანსირება

როცა მკითხველი ულრმავდება საკითხს თუ როგორ, რა საშუალებებით აღწევს გალაკტიონი იმ წრეშეუწერელ სილაღეს, რაც ასე აჯადოებს თითოეულ ჩვენგანს, უბრუნდება პოეტური ლიცენციის საკითხს („ლიცენცია“ - Licentia- ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „თავისუფლებას“ გამომსახველობა, ექსპრესიულობა რომ გააძლიეროს, პოეტი არღვევს ლექსთწყობის, გრამატიკის ან სტილისტიკის კანონებს. შემოქმედი შეგნებულად უხვევს ენასა თუ პოეტიკაში დამკვიდრებულ წესებს. მწერლის ენა ბევრად ცოცხალია, ვიდრე გრამატიკის არტახებში მოქცეული მეტყველება. პოეტური სიტყვა იმდენად მაღალია, მისი ბუნებრივი დინება ზოგჯერ ითხოვს რომელიღაც საყოველთაოდ აღიარებული კანონის დარღვევას. ამ ფაქტს აქვს თავისი მომხიბვლელობა და ესთეტიკური დატვირთვა) და აქაც სხვა მრავალ სტილურ საშუალებათაგან გამოარჩევს სიტყვის თავისებური ფორმით ხმარების ხერხს. ლაპარაკია არა ახალი სიტყვის, ნეოლოგიზმის შექმნასა და პოეზიაში დამკვიდრებაზე, არამედ ყოვლად ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულის ოდნავ თავისებური ფორმაცვლით ხმარებაზე. ამას აქვს ესთეტიკური ხიბლი, ქმნის სილაღის, შეუბორკავი, უარტახო მეტყველების ატმოსფეროს.

ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები -
საღამო კანკალებს შიშით და რიდობით,
საღამო ნელდება და კვდება ვარდები...
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!..
(„ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“)

მოგეხსენებათ, სიტყვა „რიდობით“, როგორც ლექსიკური და სემასიოლოგიური ერთეული, იგივეა, რაც სიტყვა „მორიდებით“ (მოკრძალებით), ხოლო გალაკტიონის მიერ შერჩეული სიტყვის ემოციური და აკუსტიკურ-მუსიკალური მნიშვნელობის ხარისხი აღემატება ენის თვალსაზრისით კანონიკური სიტყვის ჟღერადობას. „რიდობით“ სულ სხვა ემოციური შეფერილობისა და ევფონიური გამომსახველობისაა. „რიდობით“ არის, ავტორის თვალთახედვით, სათანადოდ ბგერადი ლექსიკური ერთეული.

გალაკტიონის შემოქმედებითი ძალმოსილების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია მისი პოეტური ენა, ხოლო გენიალური ხელოვანის მხატვრული პალიტრის ორიგინალური ნიშანია სიტყვათა თავისებური ფორმით გამოყენება.

დაუნდობელი და **მოშურნალი,**
ვისი გულისაც იყო მკურნალი,
იგი რიდეებს გადაჰყვა თანა,
მაგრამ იმედის არ იყო განა
ჩვენი ჟურნალი?
(„ჩვენი ჟურნალი“)

ხაზგასმულ სიტყვას სათანადო კოლორიტი შემოაქვს ლექსის ენობრივ ქსოვილში. ცხადი ხდება, რომ იოლად ახერხებდა თუ ბევრს ფიქრობდა სიტყვის შერჩევაზე, ავტორი სათანადო ევფონიის ელემენტებს ამკვიდრებდა ტაეპებში.

ვარსკვლავების თოვლი ცას შელეკია,
მესმის რულში, როგორც ყრუ ელეგია,
მატარებლის **დამღალავი** ხმაური,
რაღაც მღვრიე, რაღაც არ-აქაური.
(„იმ ატმებს გაუმარჯოს“)

ხაზგასმული სიტყვა არ არის ახალი ლექსიკური ერთეული, მაგრამ პოეტმა, საჭიროებისდა მიხედვით, შეძლო მისი ფორმის ნიუანსირება. მოქმედებითი გვარის მიმღეობა და-მ-ღლ-ელ-ი ასე იცვლის ფორმას: შენარჩუნებულია მიმღეობის მაწარმოებელი მ თავსართი, ხოლო მისი ბოლოსართი შეცვლილია უკანონოდ (გრამატიკის თვალსაზრისით). ასეთი დარღვევა გალაკტიონის პოეტური ბუნებისთვის ნიშანდობლივია. რომ ყოფილიყო ფრაზა: „მატარებლის გადამღლელი ხმაური“, განწყობაც იქნებოდა ყოვლად ჩვეულებრივი, ხოლო როცა ავტორს სურს, მიგვანიშნოს გაურკვეველ და არაამქვეყნიურ ხმაურზე, რომელსაც ნისლით ბურავს სიტყვა „რაღაც“, ალბათ, „დამღალავი“ ბევრად მომგებიანია.

ასეთივე ლაღი მოსმა კალმისა იგრძნობა შემდეგ ტაეპებში:

თან მიმყოლი ჩრდილები, აუხსნელი ქარაგმი,
სადაც მწვანე ველია და მქუხარე არაგვი.
(„არაგვი“)

ლექსში „პარალელი“ სიტყვა მოსახვევად შეცვლილია სიტყვით მოსახვეველად:

განწმენდის შუქი სულს ეფარება,
როდესაც პანი დაჰქრის ტყე-ველად
და ღამე სწრაფად მიეჩქარება
დღის ელვარების მოსახვეველად.

თუ ზემოთ მოხმობილ მაგალითში „დამღალავი“ ფორმა მოითხოვა ლექსის რიტმმა, „ქარაგმი“ და „მოსახვეველად“ ნაკარნახევია რითმის გამართვის აუცილებლობით. ორივე მუსიკალური ინტონაციის სიტყვაა (ამ კონკრეტულ ვითარებაში).

განსაკუთრებულ ჟღერადობას აღწევს ნიუანსირებული სიტყვა „არარაიმე“ სტროფში:

შენს სიყმაწვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნი ქარის,
როგორ უგონოდ გაწამებდა ბედი, ვაიმე,
ეხლა შენს სულში ყვავილისთვის მზე აღარ არის,
მზე აღარ არის და არ არის არარაიმე.
(„შენ და შემოდგომა“)

„რ“ სონანტის შემცველი სიტყვების ამგვარი სიუხვე არანაირად არ შეიძლება, იყოს შემთხვევითი. „რ“ თანხმოვნის ალიტერაციაზეა აგებული მეოთხე ტაეპი, რაც განუმეორებელ აკუსტიკურ ეფექტს ქმნის. ვრწმუნდებით, რომ ავტორს

ხელეწიფება ვირტუოზული მიმოქცევა სიტყვისა.

სიტყვა „ზიანებას" (ლექსში „აღარ არის მენესტრელი") ბურუსის, პოეტური იდუმალების დამკვიდრების მისიაც აქვს. მისი კეთილხმოვანება, ევფონიური ჰარმონიულობა ესთეტიკურად მაღალღირებულია. სიტყვა თითქოს, პირველყოფილ ხიბლს იძენს, იქმნება განუმეორებელი მხატვრული ეფექტი:

იყო ირგვლივ ზიანება
და ყორნების ჩხავილი,
თოვლმა სილას მიანება
ნოვალისის ყვავილი.

(„აღარ არის მენესტრელი")

სიტყვა ახალი ინტონაციით იტვირთება. ეს თითქოს შეუმჩნეველი ინტონაციურ-ემოციური ნიუანსია, რომელიც განუმეორებელ ელფერს ანიჭებს ტაეპს, ხიბლავს მკითხველის სმენას.

გალაკტიონი სიტყვათა ვარიაციებში ასახლებდა, აბინადრებდა თავის განუმეორებელ პოეტურ მირაჟს:

ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია
და დროს დაარქვა - რევოლუცია.
ძველი ხელები წყდება კალიპსოს,
მიჰქრის მერანი აპოკალიპსოს.

(„ძველი ხელები წყდება კალიპსოს")

ერთობ ადამიანურია ძველისა და დრომოჭმულის ნგრევის სურვილი. სიტყვის ფორმაცვლით აქცენტირებულია თვით ეს სიტყვა, რითაც გამოხატულია დაუოკებელი წყურვილი განახლებისა. რევოლუციურ ქარტეხილებში ყოველთვის არის განახლების იმპულსი. „აპოკალიპსოს" - ამ სიტყვაში გვაქვს აზრობრივ საწყისზე დაფუძნებული მუსიკალობა. გალაკტიონის სიტყვათა ბგერათწყობა კონკრეტული ამოცანის შესაბამისია. პოეტს უსასრულოდ შეუძლია ნებისმიერი სიტყვით მანიპულირება, რითაც მიიღწევა ტაეპის საოცარი სიმსუბუქე, ფრაზის ლაღი დინება.

ქვემოთ მოხმობილ სტროფში ხაზგასმული სიტყვა რითმული კეთილხმოვანების გარდა ზეაწეული, რომანტიკული განწყობის დამამკვიდრებელია. ეს ლექსიკური ერთეული (მოიმკვდინარე) არის „მოიმკვდარუნეს" ფარდი გამოთქმა, აქ კი, ამ კონკრეტულ კონტექსტში, იძენს ქალის ეშმაკური ფერიცვალების მნიშვნელობას:

მიდიოდი ველად, როგორც
ღვინისფერი მდინარე,
რომ მოვედი სიახლოვეს,
თავი მოიმკვდინარე.

(„ღვინისფერო მდინარევ!")

სიტყვას „გარი-გარი" აქვს „გარშემოს" მნიშვნელობა:

აქეთ ქუჩა, იქით ჯარი და დროშები გარი-გარი...
ისევ ქარი...

(„მღვრიე ქარი")

ოცნება მიწას მოწყვეტასა და ცაში აჭრას მოასწავებს. მეოცნებეს უხდება ეპითეტები: ციური, ცისიერი. კვლავ ნებანება გასრიალდა გალაკტიონის კალამი და შვა სიტყვა „ციარი":

იქ - ვარსკვლავები ზედაშე,
აქ - მეოცნებე ციარი,
და სიყვარული მე და შენ
ნეტა რად გვქონდა ზიარი.

(„ორი ასული ნეტარი")

სიტყვა ავტორის ხელში იძენს მუსიკალურ ჟღერადობას, განუზომელ ევფონიურ ხიბლს. გალაკტიონის ამ იერნაცვალ სიტყვებს ემოცია შობს, ხოლო კონტექსტში მათ ყოველთვის ახასიათებს აზრობრივი შეხამება.

მე არ მინახავს თოვლი იმდარი
მოულოდნელი, სწრაფი, უცები,
ისეთი ნისლით სავსე მინდორი,
ისეთი თოვლი და ბურუსები.

(„თოვლი")

გალაკტიონის კალამს სილაღე მუდამ ახასიათებდა, არა მხოლოდ საწყის ეტაპზე. ამის დასტურია უკვე დაღვინებული პოეტის მიერ 1946 წელს დაწერილი ლექსი „წიგნი":

უნდა ავმაღლდეთ გარეთ,
უნდა განვმტკიცდეთ შიგნით -
თუ სადმე წახვალ არედ,
წიგნით და მხოლოდ წიგნით!

**რა შეიძლება დავასკვნათ?**

სიტყვის თავისუფალი ხმარება გალაკტიონთან ესთეტიკურ ფენომენად გვევლინება და განაპირობებს ჰაეროვანი სილაღის ტონალობას. გალაკტიონის ხელში სიტყვას ახალი სუნთქვა ეხსნება, ახლებურად იწყებს ფეთქვას. ეს არის სიტყვისადმი ახალი დამოკიდებულება. არსებითია არა მხოლოდ მნიშვნელობა, არამედ გარეგნული სამოსიც. გალაკტიონი უეცარი სიტყვის ვირტუოზია. იქნება, ეს სიტყვები სულაც არ არის უცებ მოსული და პოეტური რუდუნებით არჩევდა სიტყვებს, მის ნიუანსებს? შთაბეჭდილება კი იქმნება ჰაეროვანი სიმსუბუქისა, მაგრამ ეს მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი დიდხანს არ აყურადებდა მის ჟღერადობას და არ ეძებდა პოტენციურ ევფონიურ ეფექტს. ასეა თუ ისე, ერთი რამ უეჭველია: სხვას არავის ახასიათებს ასეთი ლაღი და დინამიკური ტაეპი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ

ა) სიტყვის ნიუანსირება ხდება რითმათა ევფონიური შეთანხმების მიზნით.

ბ) რიტმის დაცვის თვალსაზრისით პოეტი მიმართავს უაღრესად პლასტიკურ, მოქნილ, ფაქიზი ელფერის შემცველ ნიუანსს.

გ) სიტყვის უნატიფესი ნიუანსებით ავტორი იდუმალების ატმოსფეროს ამკვიდრებს.

სიტყვის ნიუანსირება ერთ-ერთი მხატვრული ხერხია, რაც განუმეორებელ ელფერს მატებს დიდი პოეტის ფერადოვან ლირიკას. ყოველივე ეს გალაკტიონის ატორტმანებულ შინაგან ვნებათა ღელვას სწორედ რომ სასწაულებრივად შვენის.



„გასეირნება" მხატვარი ასმათ ალანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ცხადაძე

# ლიტერატურა, როგორც აღმაფრენა

ჩვენი ბობოქარი ცხოვრების რიტმი ყოველდღიურად ითხოვს ამავე რიტმს ადევნებულ ლიტერატურულ პრობლემებისადმი ყურადღებას. აქაც საგულისხმო და მნიშვნელოვანი მოვლენები დროდადრო უმძიმეს ხასიათს იღებს. მწვავდება და ცხრება პიროვნული თუ შემოქმედებითი ბატალიები, ახლდება და ძველდება იდეები, საზოგადოების წინაშე ჩნდება და ისახება მანამდის წარმოუდგენელი. ამგვარი დაძაბულობისა და სიახლეთა მოძალების ფონზე ძალიან ცოტანი ინარჩუნებენ კეთილშობილ ადამიანის რეპუტაციას და პროფესიულ დონეს. სწავლულთა კასტა, როგორც არასდროს, ისე მომთხოვნი დ… რეტენზიულია. ინტელექტუალურ საქართველოს თავისი ლიდერები ჰყავს, ერთ-ერთი პირველთაგანი გურამ ბენაშვილია.

ჯერ ლიტერატურულ პრესაში და მოგვიანებით წიგნში „ლიტერატურული მედიტაციები“ დაიბეჭდა ინტერვიუ, სადაც გურამ ბენაშვილზე ასეთი ფრაზა ითქვა: „თქვენ ხომ დღეს მხოლოდ საკუთარი სურვილებითა და შეხედულებებით ცხოვრების უფლება არც კი გაქვთ, რადგან...“ მთავარი და საგულისხმო სწორედ ამ ფრაზის მიღმა მიმალული რეალობაა, რომელიც ნოსტალგიას შეიცავს ყველასთვის სასურველი მდგომარეობის გამო, როცა მაღალი სოციალური სტატუსით აღჭურვილი პიროვნება „მხოლოდ საკუთარი სურვილებით“ კი არ ცხოვრობს, არამედ მაქსიმალურად ცდილობს ზნეობრივი იდეების მსახურებას და საქმის კეთებას.

გურამ ბენაშვილი, ყველაზე უწინარეს, ლიტერატორია, მხოლოდ ამის შემდგომ სხვადასხვა სოციალური რეგალიების მქონე პიროვნება. მისი საზოგადოებრივი სტატუსი და არაჩვეულებრივად მოუწესრიგებელი გარემო პირობები უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. ძალიან ძნელია, მაღალი რანგის ლიტერატორის ავტორიტეტი შეინარჩუნო იმ სიტუაციაში, როცა უდიდესი ძალისხმევა სჭირდება „არაპრიორიტეტულად“ მიჩნეული ჰუმანიტარული მეცნიერებების შენარჩუნებას და გადარჩენას. თავად „ლიტერატურული მედიტაციების“ ავტორი ასეთ პოზიციას ირჩევს და ერთგულებს: „მე მხარს ვუჭერ კულტურული კაცის პოზიციას, იმგვარ პოზიციას, რომელიც, სხვათა შორის, ისტორიულადაც დასტურდება, არასოდეს ყოფილა დაფასებული და ყველას მიერ გაზიარებასა და აღიარებაზე ხომ ზედმეტია საუბარი“.

ტრადიციული ფასეულობებისადმი ერთგულების მაგალითად „ლიტერატურულ მედიტაციებში“ მხოლოდ ერთი ესეს გაცნობაც საკმარისია. ვაჟაზე შექმნილი ეს ესე გადმობეჭდილია მისივე „ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდებიდან“ და ეს ფაქტიც ადასტურებს, რაოდენ ძვირფასია იგი ავტორისთვის. დასაწყისში ასეთი ფრაზა: „ვაჟასადმი მიძღვნილი ეს პატარა წერილი ან განსაკუთრებით ძვირფასი იქნება ჩემთვის, რადგან მასში მკრთალად, მაგრამ მაინც აირეკლა გენიალური შემოქმედის მხატვრულ სამყაროსთან ოდესღაც შეჭიდებული, ჩემთვის სულითხორცამდე ახლობელი კაცის ფიქრები...“ სანამ გურამ ბენაშვილი თავად შეუდგებოდა მისთვის ეგზომ ძვირაფასი ვაჟა-ფშაველას სამყაროს კვლევას, მანამ მას ამ სამყაროს კვლევისა და შეცნობის მაგალითი ოჯახში ჰქონდა. ვაჟა - როგორც შემოქმედი და მოაზროვნე იყო თემა დიმიტრი ბენაშვილის მეცნიერული კვლევა-ძიებისა. სწორედ ის მომენტი იგულისხმება ზემოთ ციტირებულ წინადადებაში, რომელიც ორმაგი მოწიწებით არის აღსანიშნავი. მოწიწება ვაჟასადმი და მოწიწება „სულითხორცამდე ახლობელი კაცისადმი“ არის საგულისხმო და არსებითი დეტალი, რომელიც საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ მემკვიდრეობითობის განგრძობადობის პროცესს.

ნიჰილისტურ გარემოსთან დამოკიდებულებას თავისებური დატვირთვა ეძლევა ვაჟას შემოქმედებაში, იგი პირველყოფილი სიწმინდეებისკენ მიბრუნების ტენდენციითაა მნიშვნელოვანი. გურამ ბენაშვილი აღნიშნავს: „ვაჟას, როგორც შემოქმედის უპირველესი დამსახურება ისაა, რომ მან საერთო ნიჰილიზმის მომწამვლელ ატმოსფეროს სიცოცხლისა და მომავალი განახლების რწმენის იმედი შთაბერა. პიროვნების გონიერება და ბედუკუღმართობასთან პირისპირ შებმა საზოგადოების გამოფხიზლების უპირველეს ალტერნატივად წარმოიდგინა და ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეროვნული მწერლობის უმაღლეს დანიშნულებას“. ვაჟას იმდროინდელი შეჭიდება მოძალებული ნიჰილიზმის დამანგრეველობასთან კრიტიკოსმა განსაკუთრებული საჭიროებით ნაკარნახევად მიიჩნია. ზუსტად არ ვიცით ამ წერილის დაწერის თარიღი, მაგრამ ერთი რამ უეჭველია - ამგვარი პოზიციის აუცილებლობა უაღრესად აქტუალურია დღესაც. შემდგომი ფრაგმენტი აღსანიშნავია თანაგრძნობის ისეთი გამოვლინებით, როცა ლიტერატორი არა მარტო „ჩიჩერონე“, არამედ განმცდელ-თანამოზიარეა: „და უძირო საფიქრალს აჩენს ჩამოძენძილ ქუთუთოებიდან ამაყად მზირალი ცრემლიანი თვალი, ასე დაჟინებით რომ ჩასცქერის სულითხორცამდე მშობლიურსა და ერთადერთს, დაკოჟრილ ხელის გულზე სათუთად დასვენებულ სამშობლოს ხატს“.

წინაპრებისადმი მოწიწება, ტრადიციების განუხრელი ერთგულება და იდეების მრავალფეროვან შრეებში ნიშნეულის მოძიება, სათქმელის მაღალფარდოვანი და აღმავალი ტონი გურამ ბენაშვილის ლიტერატურული წერილებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუცილებელია. ენის გრძნობადი სამყარო ემოციების შესაფერისად ჩამოქნილი არა მარტო მეცნიერული, არამედ მხატვრული ხედვის თვალსაზრისითაც საინტერესოა. ამის მკაფიო ნიმუშია მსჯელობა ვაჟას ბუნებასთან ზიარებაზე: „ბუნებრივია, რომ საგანი პოეზიისა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ვერ იქნება, მხოლოდ იგი ვერ იქცევა მისი შთაგონების წყაროდ, და აი, სწორედ პოეტურ ხილვათა ამ განსხვავებულ სფეროში, ღვთაებრივი ბუნების ჯადოსნურ განცდაშია ვაჟა კიდევ ერთხელ საოცრად განუმეორებელი. ბუნების პოეზია შეიძლება ვუწოდოთ ყოველივე იმას, რასაც ამ გენიალური შემოქმედის წარმოსახვა აცოცხლებს, უდიდესია მისი აღქმა ბუნების ღვთაებრივი გამოვლენისა - გაზაფხულის მაცოცხლებელი სურნელიდან დაწყებული, ცხოველთა სამყაროს იდუმალი კეთილშობილებითა და მცენარეთა მომაჯადოებელი ძალით დამთავრებული. ვაჟას ბუნებასთან ნაზიარებს ცისა და დედამიწის გარეგნული ცვალებადობა ამაღლებულ და მნიშვნელოვან მოვლენად წარმოუდგება...“

ვაჟა არა მარტო ადამიანური სამყაროს მგოსანია, არამედ შთაგონებულია „ღვთაებრივი ბუნების ჯადოსნური განცდით“, ვინც მისი პოეზიის მშვენიერებას სრულად შეიცნობს - მისთვის ყოველთვის „ჯადოსნური იერით შეფერილი“ აღმოჩნდება. ხოლო ლამის ყოველწამიერი ხილული ცვალებადობანი აშკარად გასცდება ჩვეულებრივის საზღვრებს. გურამ ბენაშვილის ლიტერატურული ინტუიცია მკაფიოდ გრძნობს პათეტიკურის ზღვარს და არასოდეს გადადის იმ მიჯნას, რომლის მიღმა ბანალობა იმზირება: „არა მხოლოდ ბულბულის გალობა, აგრე რიგად სასიამოვნო და დამატკბობელი ყველასათვის, არამედ წყაროს ჩუხჩუხი, თუ ტყეთა ხმაურიც კი, საყვედურისა თუ სიხარულის რაღაც ნიშანს აძლევს თითქოს ადამიანს. მაგრამ იმისთვის, რომ მოუსმინო ამ ხმებს, შეიგრძნო და ამოიცნო სული ბუნებისა, ვაჟას გრძნეულებაა ალბათ საჭირო, რომლისთვისაც სულაც არა აქვს მნიშვნელობა მის პოეტურ აღმოჩენებს დაადასტურებს თუ არა ეჭვით აღვსილი ბუნების მკვლევარი“.

ლიტერატორის განსჯისა და ფიქრის არეში მოქცეული ვაჟას პოეტური სამყარო „გრძნეულობის“ მისტიკურ განცდას მოიცავს. მხოლოდ სიტყვიერი ახსნა არ არის საკმარისი, მისი შეცნობისათვის ე.წ. „მესამე თვალია“ საჭირო, სწორედ იმგვარად, როგორც „მესამე ნაპირი“ არსებობდა გრიგოლ რობაქიძისათვის.

ძალიან ხშირად არის ნახმარი სიტყვები: ღვთაებრივი, ჯადოსნური, გრძნეულება, ცვალებადობა - ისინი აშკარად ამძაფრებენ ინტელექტუალურ-მწიგნობრულ სტილს და მოუხელთებელის აღმოჩენის წყურვილსაც გვამცნობენ.

გურამ ბენაშვილისთვის, როგორც ლიტერატორისთვის, საინტერესოა ისიც, რაზე წერს ვაჟა-ფშაველა, ისიც, თუ როგორი „იდუმალი გრძნობებით იყო შეერთებული“ ფშაველი გენიოსი ბუნებასთან და მისი ამქვეყნიერი ფილოსოფიაც, რომელიც ასეთ დასკვნად ჩამოყალიბდა: „მასში, როგორც მამულიშვილში, მძლავრად იყო გამჯდარი წინაპართა შეურყეველი სულისკვეთება - ცხოვრებაში რეალისტებსა და სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულებს, არაფრად მიეჩნიათ მისი დათმობა, როცა ამას ერისა და ხალხის ინტერესები მოითხოვდა. მორჩილისა და დაკნინებული ცხოვრების დასასამარებლად ისინი სიკვდილს ღიმილით ხვდებოდნენ, რადგან ღრმად სწამდათ საკუთარი სიკვდილის მაღალი დანიშნულებისა“. ამ შეფასებაში იმ ლაღი და ამაყი საქართველოს სახე ილანდება, სადაც ვაჟას დიდბუნებოვანი გმირები იქმნებოდნენ, ხოლო ვაჟას გმირების უანგარობით აღტაცება იმთავითვე შეიცავს ასეთივე უანგარო და კეთილშობილი ერისკაცების ხილვის დღევანდელ სურვილს.

„სულიერი წინაპრების“ მოწინების კვალდაკვალ თანამედროვე ცხოვრებისეულ პრობლემებზე დაფიქრებაც ხშირად უხდება „ლიტერატურული მედიტაციების“ ავტორს; რაც ბუნებრივად იწვევს შედარებას იმაზე, თუ „რანი იყვნენ და რანი არიან“.

გურამ ბენაშვილი ქართველი ლიტერატურისმცოდნეების იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა ნააზრევში ერის ყველაზე რომანტიკული მისწრაფებები იკვეთება, კონკრეტული დებულებანი განზოგადებისაკენ არის მიმართული და რომლის თემატიკა ამაღლებულის ნიუანსებს განსაკუთრებით წარმოაჩენს. ნიკო სამადაშვილისადმი მიძღვნილ წერილში სრულიად ავტონომიური პასაჟი გვხიბლავს, რომელიც ნოსტალგიას, აღმაფრენას და ჰარმონიას მართლაც პოეტურად შეათავსებს:

„...მაგრამ იმასაც ხომ მშვენივრად ვგრძნობთ, ეროვნული სულის რა მყუდრო ოაზისებივით დგანან (ჯერ კიდევ დგანან) ქართულ მიწაზე ძველთა მადლიანი ხელით ნაგები სადა, მაგრამ საოცრად მეტყველი საყდრები. ყველაზე მეტად მათთან სიახლოვე გაგრძნობინებს დადუმებული წარსულის მშობლიურ ინტიმს, აქ შემოვა შენში ცივილიზაციის დაელექტროებული ველიდან გამობობღვის და ეროვნულ ფესვთა სურნელში თავდავიწყებული დანთქმის სურვილი. აქ, სადღაც უცხო შორეთიდან შინდაბრუნებულივით უხარია სულს და გრძნობს, რომ გაუნელებელი იქნება მათდამი ჩვენი ნოსტალგია“.

ნიკო სამადაშვილის პოეტური თავისთავადობა, მისი სამყაროს ხიბლით მილებული შთაბეჭდილებები, რომელთაგან საუკეთესო ნიმუში ზემოთ ციტირებული ფრაგმენტია, აშკარად გვაგრძნობინებს ქართულ სიტყვასთან სათუთ მიახლებას. ასეთ დეტალებში ლიტერატორი და კრიტიკოსი შორს ცდება მეცნიერებისთვის მონიშნულ ზღვარს და თავად ხდება შემოქმედებითი მუხტით ატაცებული. ყოველი სრულყოფილი პოეტური ტექსტი ძალაუნებურად იწვევს თანალმობას და სიტყვასთან ჭიდილის სურვილს.

ჩვენი აზრით, გურამ ბენაშვილმა ერთი საგულისხმო ტერმინით გაამდიდრა თანამედროვე კრიტიკა - სიტყვა „გამოტანჯული“ მის ესეებში თუ კრიტიკულ მიმოხილვებში ორგვარი მნიშვნელობის მქონეა.“გამოტანჯული“ თხრობა კარგის მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი მიღწეულია; ხოლო, როცა ავტორი წვალობს და მკითხველიც ამავეს განიცდის - „გამოტანჯული თხრობა“ უარყოფითის მნიშვნელია.

ტანჯვა თან ახლავს საპირისპირო მოვლენებს, იგი სიხარულსაც და მწუხარებასაც ერთვის. გურამ ბენაშვილის მრავალრიცხოვან ესეებში და მიმოხილვებში ყველგან საუბარია შემოქმედებით ტანჯვაზე, როცა „შინაგანი მაღალი ღირსების“ გამოტანა ხდება საზოგადოების სამსჯავროზე, მაშინ კრიტიკოსი ნებისმიერი შემოქმედისთვის სასურველ დასკვნამდე მიდის: „საყდრის ამ პირველყოფილი სისუფთავითაა აღბეჭდილი ჩემთვის ნიკო სამადაშვილის პოეტური სამყარო. მის დაბინდულ ნიალში შესულთ, პოეზიით განაწამების წრფელი და უშუალო მონოლოგები მოუთხრობენ კიდევ ერთი ტანჯული სულის ცხოვრების ამბავს“.

ერთგან „კმაყოფილების მომნიჭებელი ტანჯვით“ განვლილ წუთისოფელზეა ლაპარაკი, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ წარსულ დროშია მოსააზრებელი. საერთოდ, დადებით შედეგებზე და სულიერ აღმაფრენაზე მხოლოდ გარდასულთან მიმართებით შეიძლება ლაპარაკი. ამაოდ დამაშვრალ „მოღვაწეებზე“ და მომაბეზრებელ გაჭიანურებებზე ასეთი მოხდენილი ფრაზა მიგვანიშნებს: „სად და როდის ჰპოვებს გამოტანჯული თხრობა საბოლოო წერტილის დასმით გამოწვეულ შვებას, ძნელი სათქმელია“. ასეთივე პათოსისაა - „მაცდუნებელი ფინალისაკენ მიმავალი ვნება“.

„ლიტერატურული მედიტაციების“ ავტორის რწმენით მწერლობას ჯერ კიდევ შესწევს უნარი, გაამხნევოს და მერმისისადმი იმედებით აღავსოს საზოგადოება. საინტერესოა მხოლოდ „თამამი გონების“ დომინანტი და იგი სწორედ ამ ნიშნით არჩევს საანალიზო მასალას. XX ს. 50-იანელებში ეგულება გურამ ბენაშვილს „შინაგანი ამბოხით“ აღსავსე პირები, რომელთაც შეუძლებლის აღსრულება განიზრახეს: „თანამე-

დროვეობის მტკივნეული პრობლემატიკის ცოცხალი ჭვრეტა 50-იანელთა თაობას სხვა შემოქმედებითი სიღრმეებისაკენ ეზიდებოდა და ყოველივეს, რასაც ისინი ქმნიდნენ, უშუალო წინაპართა მხატვრულ კონცეფციებთან ფარული პოლემიკის იერი დაჰკრავდა. თითქოს ალოგიკური უნდა იყოს, უწმინდეს კერპებთან მუხლმოდრეკილი გარინდება და იმავე დროს, მათ მიმართ შინაგანი ამბოხის გაუნელებელი წყურვილი".

50-იანელები „რკინის ფარდით" შემოზღუდულ დროში ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ. ორი სრულიად განსხვავებული ტენდენცია - წინამორბედთა პატივისცემა და იმავდროულად მათივე მხატვრული სამყაროსგან გამიჯვნის სურვილი სრულყოფილად გამოხატავს ამ თაობის უბედობას. 50-იან წლებში ჩასახულ შინაგან „ამბოხს" ასეთი საფუძველი ჰქონდა: „თამამი გონებისათვის გარდუვალი მაძიებელი სული მოგვიანებით მოქალაქეობრივ ჟღერადობას იძენს და შედარებით ვიწრო და კამერულ ფილოსოფიურ ანალიზებზე მაღლა დგება". საერთოდ, მიღებულია „ახალი ტენდენციების" 60-იანელთა თაობასთან კავშირში მოხსენიება, მაგრამ გურამ ბენაშვილი „ამბოხის" ჩანასახს სწორედ 50-იანელებში ხედავს, გურამ რჩეულიშვილის მწერლური ინდივიდუალიზმის გამოვლენას ამ კუთხით უდგება და აფასებს.

ქართული მწერლობის წარმომადგენლები იმის მიხედვით არიან ძვირფასნი და მნიშვნელოვანნი თუ როგორ შეძლებენ „გამოხატონ საკუთარ სულთან განმარტოებით „ნატანჯი" ადამიანის განსაცვიფრებელი აღმოჩენები". საერთოდ, გურამ ბენაშვილის კრიტიკულ ნააზრევში აშკარად ჭარბობს ჭვრეტითი მომენტი, რომელიც ლოგიკურ დაბოლოებამდე ემოციური და ამაღლებული აზრთა მდინარებით მიემართება. ერთ-ერთი მაგალითი ეს აზრია, რომლის თანახმადაც ილია ჭავჭავაძე არის „გრიგოლ ხანძთელის ღვთაებრივი მისტერიის განსაცვიფრებელი ორეული".

ძალიან ბევრი ითქვა „ლიტერატურულ მედიტაციებზე", რომლის ავტორისთვის მხატვრული შემოქმედება აღმაფრენის წყაროა, შედეგად მისი წერის მანერაც ინტელექტუალურ-მწიგნობრული და მაღალფარდოვანია. ასე განიცდება ქართული მწერლობა, რომელსაც არ ელევა პრობლემები და ამ ფონზე საგულისხმოა ფლობერის აზრის ციტირება, სადაც ის დასკვნაა მნიშვნელოვანი, რომ ცხოვრება მარადიული პრობლემაა და, როცა თუნდაც ერთი „სოციალურ პრობლემათაგანი" გადაწყდება, ეს კაცობრიობის ბოლო დღე იქნებაო. ამიტომაც სჯერა და სწამს გურამ ბენაშვილს, რომ შემოქმედება არის მარადიული ტკივილი, შემოქმედი განწირულია ტკივილნარევი სიხარულისთვის, მისთვის მისაღებია მხოლოდ „ირაციონალურ ხილვათა შადრევანი" და აბსოლუტურად მიუღებელია „მხატვრულ ელეგანტურობას" მოკლებული.

ტერენტი გრანელის პოეზიაზე მსჯელობისას ასეთი მოსაზრებაა საგულისხმო: „ამ ლექსებიდან იგი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რა ამაო ყოფილა პროსოდისტთა თვითმიზნური მცდელობანი პოეტური ფიქრის ხელოვნური გაკოპწიავებისაო". საინტერესო და ახალი დამოკიდებულების მაცნეა „პოეტისა" და „პროსოდისტის" გამიჯვნა. „პროსოდისტი" იძენს „ყალბი პოეტის" მნიშვნელობას, რომელსაც ხელობად უქცევია „სიბრძნის ერთი დარგი". ეს ფაქტიც გურამ ბენაშვილის ინტელექტუალური სტილის ნიმუშია, რომელიც აშკარად წინააღმდეგობაშია ზოგიერთთა „კმაყოფილების სისავსესთან".

„ლიტერატურული მედიტაციების" ერთ-ერთ მიმზიდველ პლასტს „არაბესკები" წარმოადგენს. თანამედროვე ლიტერატურული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესები ინტელექტუალის თვალითაა მონიშნული და შეფასებული. „არაბესკებში" ნათლად ჩანს ცოცხალი საზოგადოებრივი პროცესების ძირეული წვდომა, აქ არაორაზროვნად მინიშნებულია „ულტრარადიკალურის" აუცილებლობაც და მისი იმპულსების საჭიროებაც. საერთო პროცესებისადმი დაკვირვება ეპოქისათვის წამყვან ნიშნებს გამოყოფს, ნათლად იხატება ტენდენცია, როცა: „უაზრო და უშინაარსო, ანუ უნიჭო სენსაციებით „გახალისებული" და „განათლებული" საზოგადოებისათვის ჰაერივითაა ხოლმე საჭირო რაღაც „საამოდ" გამაღიზიანებელი იმპულსები, რომელნიც ასე თუ ისე, სულ ოდნავ მაინც შეავსებენ ადამიანთა სულებში ჩამომდგარ არაფრისმთქმელ სიცარიელეს..." ასეთია, სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ტენდენციები.

„არაბესკებში" წარმოდგენილი მოსაზრებები თანამედროვე ქართულ კრიტიკაზე უიმედო ნაღველითაა გაჟღენთილი. ავტორი გულდაწყვეტით გვესაუბრება მის „არაპოპულარობაზე, სიმართლის თქმის სრულ უაზრობაზე", არადა, კარგად უწყის, რომ „კრიტიკა, თავისი იდეალური დანიშნულებით ყველაზე საინტერესო ლიტერატურაა". ჩვენთვის ასეთი ნაღვლიანი პასაჟები აშკარად მიუღებელია, რადგანაც გურამ ბენაშვილი თავადვეა ავტორი მშვენიერი „ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდებისა".

ლიტერატურული პროცესების თავისებურებამ XX ს. დასაწყისიდანვე სპეციფიკურად მწიგნობრულ-ინტელექტუალური იერი შეიძინა. ინტერპრეტაციებმა, თვალთახედვის გაფართოებამ, კულტურულმა ინტეგრაციამ და ფილოსოფიური აზროვნების სივრცეში ლიტერატურული მასალის ღრმად შეჭრამ გამოიწვია „ინტელექტუალური მწერლობის" წარმოშობა. გურამ ბენაშვილი ბევრგან იყენებს ტერმინებს: „ინტელექტუალურ-მედიტაციური პროზა", „ინტელექტუალური მწერლობა", „ინტელექტუალური პოეზია", რაც აშკარად ეპოქის სულის ანარეკლი და რეალობაა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „ინტელექტუალური პროზის" ცნება, რადგან ის გრ.რობაქიძისეული „მითური რეალიზმის" თანამედროვე მნიშვნელობა, ახალი ეპოქის შესაფერის სახელდებად მიგვაჩნია. „მითური რეალიზმი" ფაქტობრივად, „ინტელექტუალური მწერლობაა", ყველა ნიშნით იდენტური და მისადაგებულ დღეს XX ს. პირველხარისხოვან ქართველ შემოქმედთა (გრ.რობაქიძე, ო.ჩხეიძე, ო.ჭილაძე, გ.დოჩანაშვილი, თ.ბიბილური, ა.მორჩილაძე...) ნიმუშებს შეგვიძლია მოკლედ და ამომწურავად ინტელექტუალური პროზის, ინტელექტუალურ-მედიტაციური მწერლობის ნიმუშები ვუწოდოთ.



„დუყი" მხატვარი იგორ კოდუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ სტეფნაძე

# მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული ასომთავრული ანბანის კვლევის საქმეში

ბესარიონ (ბესიკ) ხურცილავა, რომლის ნაშრომზე ქვემოთ ვრცლად ვილაპარაკებთ, პროფესიით ისტორიკოსია. მუშაობს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის განყოფილების გამგედ. გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო ლიტერატურა გზამკვლევების თუ ბროშურების სახით. 2001 წლამდე ისტორიკოსთა წრეში სრულიად უცნობი იყო, მაგრამ 2001 -ში მან სამი კვლევითი ხასიათის წერილი გამოაქვეყნა და ყურადღებაც დაიმსახურა. ასე ჩადგა იგი მკვლევარ ისტორიკოსთა წრეში. და აი, 2002 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიით - „ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპოქის, გარემოებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის“ მან უკვე საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. ხუმრობა ხომ არ არის, ეს ახალგაზრდა, თითქმის უცნობი მკვლევარი, იმ ურთულეს საკითხს შეეჭიდა, რომელზეც თავის დროზე ისეთი აღიარებული მკვლევარები მუშაობდნენ, როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსები ივ.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, ა.შანიძე, თ.გამყრელიძე, პროფ. რ.პატარიძე და სხვები. მაგრამ, მარტო კი არ შეეჭიდა, ზემოთ ნახსენებ მონოგრაფიაში მთელი თავისი ნაფიქრალი მწყობრ სისტემად წარმოგვიდგინა. ვინც ამ ნაშრომს გულდასმით წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ მისი სახით ქართული ასომთავრული ანბანის კვლევის საქმეს ძალიან საჭირო გამოკვლევა შეეძინა, ხოლო ავტორმა, ბ.ხურცილავამ, თავი ამ დარგის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ წარმოგვიდგინა.

მკითხველისთვის რომ ყოველივე ადვილად გასაგები გახდეს, აქვე განვმარტავთ - ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი არსებობს: 1) ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია წინაქრისტიანულ ხანაში. 2) ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია ქრისტიანულ ხანაში ადგილობრივი ეკლესიის მოთხოვნებისდა კვალად.

ორივე მიმდინარეობას თავისი დამცველები ჰყავს, რომლებიც საკუთარი შეხედულებების სიმართლეში დარწმუნებულები არიან. ბ.ხურცილავა თავის პოზიციას შესასწავლი საკითხის მიმართ წიგნის შესავალშივე აცხადებს. იგი მხარს უჭერს კ.კეკელიძის, ა.შანიძის და თ. გამყრელიძის მიერ თავის დროზე გამოთქმულ თვალსაზრისს ქართული ასომთავრული ანბანის ქრისტიანულ ხანაში წარმოშობის შესახებ. მთელი მისი მონოგრაფიაც ამ შეხედულების დამტკიცების ცდაა. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ იგი გატკეპნილი გზით მიდის და მხოლოდ წინამორბედი მკვლევარების აზრს იმეორებს. რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებების გათვალისწინება ყოვლად აუცილებელია, მაგრამ ბ.ხურცილავას იმდენი ახლებური გააზრება აქვს, იმდენი ახალი მასალა შემოაქვს არსებული ვერსიის დასამტკიცებლად, რომ წინამორბედ მკვლევარებს სრულიად სცილდება და მიზნისკენ საკუთარი ბილიკით მიიწევს. მშრალი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს და მკითხველსაც ჩვენი შთაბეჭდილებები თავს არ მოვახვიოთ, სჯობს, ბ.ხურცილავას წიგნის ცალკეული თავების ავკარგიანობას შევეხოთ.

წიგნის პირველ თავში - „ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში და მისი რეალიები“, - ბ.ხურცილავა ეხება ძველი სომხური საისტორიო ტრადიციის მონაცემებს. როგორც ცნობილია, ძველ სომეხ ისტორიკოსებს კორიუნს და მოვსეს ხორენაცის დაცული აქვთ ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველებს დამწერლობა ცნობილმა სომეხმა მოღვაწემ მაშტოცმა შეუქმნა. ამ ისტორიკოსთა ცნობების ანალიზის საფუძველზე ბ.ხურცილავა მოულოდნელ, მაგრამ საინტერესო დასკვნას აკეთებს. მისი განცხადებით, ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ კორიუნის და მოვსეს ხორენაცის თხზულებებში არსებული ცნობები გვიანი ხანის ყალბისმქმნელ რედაქტორ-გადამწერთა მიერ არის ტენდენციურად გადაკეთებული, მაგრამ ასეთი ცნობები ქართულ დამწერლობასთან მესრობ-მაშტოცის სახელის დაკავშირების გარეშეც შეიძლება იმთავითვე ყოფილიყო სომხურ წყაროებში ჩართული. მკვლევარის აზრით, აღნიშნული ცნობების გადაკეთების მიზეზი მათში მაშტოცის სახელის მოგვიანებით ჩართვის ფაქტშია საძიებელი. „ეს გარემოება გვაფიქრებინებს იმას, რომ წყაროს დედანში უნდა გვქონოდა მითითება ქართული დამწერლობის ორი პიროვნებისაგან შექმნის ფაქტზე. რაკი მაშტოცის სახელი ამ მოვლენასთან გვიან დააკავშირეს, საინტერესოა, იმ ორ ნავარაუდევ უცნობში ვინ იყვნენ თავდაპირველად ნაგულისხმები“; - აღნიშნავს ბ.ხურცილავა (გვ. 13).

სათანადო ძიების შემდეგ ავტორი ასახელებს ამ ორი პიროვნების სახელებსაც. ესენია: ქართლის მეფე ბაკური და მწიგნობარი ჯალი. მნიშვნელოვანია შემდეგი დასკვნაც: ძველი სომეხი ისტორიკოსების კორიუნის და მოვსეს ხორენაცის მიერ ქართული ანბანის გამომგონებლად მიჩნეულ მესროპ-მაშტოცის ქართლში მოსვლისას „ქართული დამწერლობა უკვე სახეზე იყო და მისით მთარგმნელობითი მუშაობაც მესროპის აქ ჩამოსვლის წინარე ხანებში გახლდათ დაწყებული“ (გვ.15). მაშტოცის სტუმრობა მცხეთაში 408 წლის ახლო ხანებში მოხდა და ქართული ანბანის შექმნასთან სრულიადაც არ იყო დაკავშირებული. მკვლევრის აზრით, მოსულ სომეხ მოღვაწესა და ქართველებს შორის საღმრთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნის საქმეში დაგროვილი ცოდნის ურთიერთგაზიარება მოხდა და მესროპ-მაშტოცის ქართლში მოსვლის უმთარესი შედეგიც სწორედ ეს იყო (იქვე).

წიგნის მეორე თავში „ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი „ცხოვრებამეფეთასა“ და „მოქცევაი ქართლისაი“-ს ცნობების შუქზე“ ავტორი იკვლევს ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ერთი ცნობის ავკარგიანობის საკითხს. ამ ცნობაში აღნიშნულია, რომ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობაი ქართული“. სწორედ ამ ცნობის საფუძველზე დაყრდნობით ამტკიცებს მეცნიერთა ერთი ჯგუფი ქართული ასომთავრულის ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნავაზ მეფის ხანაში (ძვ.წ. III საუკუნე) წარმოშობას. აშკარაა, რომ ბ.ხურცილავას, რომელმაც თავისი წიგნის პირველ თავშივე მოგვიხაზა ქართული ასომთვრული ანბანის წარმოშობის ხანა - ახალი წელთაღრიცხვის IV ს.-ის 80-90-იანი წლები, „ცხოვრება მეფეთა“-ს მოტანილი ცნობა ფარნავაზ მეფის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ, ხელს უშლის. ამიტომ იგი ამ საკითხზე ვრცელ მსჯელობას მართავს (იხ. წიგნის 16-26 გვერდები), რაც მოკლედ შეიძლება ასე გადმოვცეთ: ლეონტი მროველს, ამ თხზულების ავტორს, ხელთ ჰქონია ძველი, საფუძვლიანად დაზიანებული გადმოცემა ქართული ანბანის ორი პიროვნების მიერ შექმნის შესახებ, მაგრამ მან ყოველივე მცდარად გაიაზრა და შეიმუშავა ახალი შეხედულება, რამაც პირვანდელი ცნობა სულ გააბათილა. ბ.ხურცილავას მიაჩნია, რომ ლეონტი მროველის ხელთ არსებულ პირველ ვერსიაში ლაპარაკი იყო ქართული ანბანის ორი პიროვნების მიერ გამოგონების შესახებ. ესენი იყვნენ ქართლის მეფე ბაკური, რომელიც ახ.წ. IV-V საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა და ვინმე ორმიზდი - ბაკურ მეფის თანამედროვე. ეს ორი პირი ლეონტი მროველის თხზულებაში ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზის პერსონაში გაერთიანდა, რის გამოც ქართული დამწერლობის ერთ-ერთ შემოქმედად მხოლოდ ეს უკანასკნელი გამოცხადდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ასომთავრული ანბანი IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე მაინც პრაქტიკაში დანერგილი არ იყო, ბ.ხურცილავა იხსენებს ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ტექსტების ჩასაწერად ბერძნული და არამეული ანბანების გამოყენების მაგალითებს.

წიგნის მესამე თავი დავათის ქვასვეტისა და ქართული ასომთავრული ანბანის ურთიერთმიმართებას ეხება.

როგორც ცნობილია, 1984 წელს ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ.რამიშვილი) სოფელ დავათის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში (თარიღდება VIII-IX ს.ს.) რამდენიმე ოთხწახნაგოვან ქვასვეტს მიაკვლია, რომლებიც ეკლესიის ბურჯის კუთხეებში იყო ჩაშენებული. მათგან ერთ-ერთზე გამოსახულია მთავარანგელოზები და მათ შუა, დიდების შარავანდედში, ჩაწერილია ქართული ასომთავრული ანბანის ყველა 37-ვე გრაფიკული ნიშანი. ქვემოთ, ცალკე ჩარჩოში, ამოკვეთილია ორი საერო დიდებული. სამ ასოს - ჭ-ს, ტ-ს და კ-ს თავზე პატივის ნიშანი აზის. უ,ქ,ღ ასოები ერთმანეთზეა მიბმული, ხოლო ა და ბ ასოები განცალკევებულია ანბანის პირველ მწკრივში.

დავათის ქვასვეტმა მკვლევართა დიდი ყურადღება მიიქცია და მის რაობას და დათარიღებას არაერთი ნაშრომი ეძღვნა.

ბ.ხურცილავას აზრით, მასზე გამოსახული ორი უცნობი საერთო დიდებული ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელები არიან (გვ.30). ერთი, კერძოდ, ის, რომელიც პირველ პლანზე დგას, მეფე ბაკურია, ხოლო ის, რომელსაც მარცხენა ხელში ეტრატის გრაგნილი უჭირავს, ორმიზდად წოდებული მწიგნობარი. ქვასვეტზე გამოსახული ანბანის პირველ მწკრივში მკვლევარი ამ ორი მოღვაწის სახელების საწყის ასოებსაც ხედავს. ესენია ა (არმაზ, ანუ ორმიზდ) და ბ (ბაკურ) (გვ.32-33).

ბ.ხურცილავა ძალიან საინტერესოდ მსჯელობს ქვასვეტზე მითითებული რიცხვის - 5320-ის შესახებ. მისი მტკიცებით, 5320-ით მონიშნულია საკრალური XI მოქცევის საწყისი წელი, ანუ „ქრისტეს მოსვლის“ საათი.

ბ.ხურცილავა ეთანხმება ცნობილი მკვლევარების ნ.კანდელაკისა და გ.ცერცვაძის აზრს, რომ ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა დიოკლეტიანეს ერის საპირისპირო ქრონოლოგიური სისტემაა. თუ დიოკლეტიანეს ერის დასაწყისი გამოხატულია ქრისტეს დაბადებიდან ათვლილი 284-ე წლით, ქორონიკონის XI მოქცევის 284 წელი ქართული წელთაღრიცხვის 5604 წელს შეესაბამება, რაც სამყაროს გაჩენიდან, ე.ი., „დასაბამითგან“ აითვლებოდა (გვ. 39). ორივე რიცხვი კი ღვთისმშობლის ხარების და ქრისტეს შობის უძრავ სათარიღო დროს უჩვენებს (იქვე).

ბ.ხურცილავა ლაპარაკობს, აგრეთვე, რიცხვ 284-ის, როგორც ღმერთის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის „თეოს“ იზოფსებზე (გვ.40). ყოველივე ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს, განაცხადოს, რომ ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელები ქრისტიანული მსოფლმხედველობის მქონე პირები იყვნენ.

ძალიან საინტერესო დასკვნებია გაკეთებული ნაშრომის მეოთხე თავში - „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს ჰიმნი და ქართული ასომთავრული ანბანი“.

იმისთვის, რომ მკითხველს გაუადვილდეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს, როგორც ისტორიული წყაროს ავკარგის წარმოდგენა, აღვნიშნავ შემდეგს: იგი მიეწერება იოანე-ზოსიმეს, რომელიც 987 წელს ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. იგი მოღვაწეობდა ჯერ პალესტინაში, შემდეგ კი სინას მთაზე. მას შეუდგენია ჰიმნოგრაფიული კრებულები და საეკლესიო კალენდარი. იოანე-ზოსიმეს შეუთხზავს ორიგინალური ჰიმნებიც. მათ შორის მკვლევარები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ორ საგალობელს. ესენია: „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ და „გუნდნი იგი ზეცისანი“.

„ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ს ავტორის ვინაობის შესახებ მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. მაგ. ცნობილი მკვლევარი პ.ინგოროყვა თვლიდა, რომ ეს ლექსი ან გიორგი მერჩულეს უნდა დაეწერა, ან მისი სკოლის რომელიმე მწერალს (იხ. მისი თხზულებანი, III, გვ.41-42; 211-213). კამათობენ, აგრეთვე, მეორე საგალობლის „გუნდნი იგი ზეცისანი“-ს ავტორის ვინაობაზეც.

„ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ს მოკლე შინაარსი ასეთია: ქართული ენა, რომელიც უცხოელთაგან აბუჩად აგდებულია, მომავალში მსოფლიოში საყოველთაო ურთიერთგაგებინების საშუალებად იქცევა. როდესაც იესო ქრისტე დედამიწაზე მეორედ მოვა და მართალთა და ცოდვილთა განსჯას დაიწყებს, მხოლოდ ქართულ ენაზე ისაუბრებს.

„ქება“ ზომით დიდი არ არის. პ.ინგოროყვას გამოცემის თანახმად მხოლოდ 40 პწკარია.

ბ.ხურცილავას მიაჩნია, რომ ეს ძეგლი „თავისი ატრიბუციით IV ს.-ის მიწურულზე გვიანდელი არ არის“ (გვ.51) და დაწერილია ქართული ანბანის შემქმნელთა წრეში. მეტიც, ტექსტში გამჟღავნებულია ჰიმნის ავტორ მოსეს სახელიც (გვ. 51-52). მკვლევარს ჰიმნის ტექსტში მის მიერვე მიგნებული მოსე და სომხურ წყაროებში კარგად ცნობილი ქართლის მღვდელმთავარი მოსე ერთსა და იმავე პიროვნებად მიაჩნია.

ავტორი ძალიან საინტერესოდ მსჯელობს ტექსტის იმ ადგილზე, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ

„და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან.
ესე არიან ორნი დანი.
ვითარცა მარიამ და მართა“.

მას მიაჩნია, რომ „ქებაი“-ს ამ ტექსტში იკითხება ინფორმაცია ქართული დამწერლობის ორი პიროვნების მიერ შექმნის შესახებ. ისინი ალეგორიული სიმბოლიზმის ენით „ახალ ნინოდ“ და „ჰელენე დედოფლად“ იხსენიებიან (გვ.64) და გულისხმობენ ქართული ანბანის შემქმნელ ორ პიროვნებას. რაც შეეხება „ქებაის“ ტექსტში არსებულ განცხადებას ნინოსა და ჰელენე დედოფლის დობის შესახებ, ავტორის, ბ.ხურცილავას აზრით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ანბანის შემქმნელები ნათესავები ყოფილან (გვ. 64).

ეყრდნობა რა მკვლევარ გ.ნარსიძის თვალსაზრისს „ქებაის“ დროის შესახებ, ბ.ხურცილავაც ასკვნის, რომ „ჰიმნი მასში მოცემული ატრიბუციით IV ს-ის მიწურულს უნდა იყოს შექმნილი (გვ.65). განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შემდეგი აზრიც: „როდესაც ის იწერებოდა, ქართულად უკვე ყოფილა თარგმნილი მათესა და იოანეს სახარებები, იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადება და „დავითნი“, ხმარებაში ყოფილა საიდუმლო დამწერლობის ე.წ. „ანჯამური“ სახეობაც (გვ.65). მას მიაჩნია, რომ „ქებაი“-ს ჰიმნი, დავათის ქვასვეტთან ერთად, ქართული ანბანის შექმნის ისტორიის ამსახველი წყაროა (გვ. 68).

თავისი ნაშრომის მეხუთე თავში ბ.ხურცილავა მთლიანად ასომთავრული ანბანის ქრისტიანულ სიმბოლიკას და მის შინაარსს ეხება. სხვა მკვლევართა მიერ გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით იგი მეტად საგულისხმო დასკვნებს აკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, მას მიაჩნია, რომ „ხან" ასონიშნის სახელწოდება-სა და რიცხვით შესატყვისობაში - 6000 გამომჟღავნებულია ან-ბანის შემქმნელთა ის მსოფლმხედველობა, რომელიც მხოლოდ III-IV საუკუნეების მოღვაწეებს შეიძლებოდა ჰქონოდათ. „ხანი" დროის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ქართული ტერმინია, რიცხვი 6000 კი „დასაბამითგან", წელთაღრიცხვის საწყისი წერტილი-დან ქრისტეს მეორედ მოსვლის სიმბოლური დრო (გვ. 70).

ბ.ხურცილავას აზრით, იმდროინდელ ქრისტიანულ წრეე-ბში ქრისტეს მეორედ მოსვლის აღმნიშვნელ რიცხვს 6000-სა და ქრისტეს დაბადების თარიღად ნაგულისხმევ 5600 წლებს შორის სხვაობა-400 წელი - არის ქართული აბნბანის შექმნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. ე.ი. ქართული ანბანი მხოლოდ ახ.წ.-ის 400 წლამდე შეიძლება შექმნილიყო (გვ.74). ამ მნიშვნელოვა-ნი მოვლენის თარიღად მას 380-399 წლებს შორის არსებული ხა-ნა მიაჩნია (გვ. 78).

ამ თარიღის განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რა-კი სომხური ეროვნული დამწერლობის შექმნის თარიღად 405/406 წელია მიღებული, ბ.ხურცილავას დასკვნით, „ქართუ-ლი ანბანის შემოღება უნდა მიეცა ბიძგი მეზობელი სომეხი და ალბანელი ხალხების ეროვნული ქრისტიანული დამწერლობის შექმნისათვის" (გვ.79).

ამრიგად, ბ.ხურცილავას მიერ გამოტანილია მეცნიერული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც სავსე-ბით ცვლის ქართლი ასომთავრული ანბანის შექმნის დროის, ავ-ტორის ვინაობის და სომხურ ასომთავრულთან მისი მიმართე-ბის საკითხს.

მკვლევარი მიღწეულით არ კმაყოფილდება და მონოგრაფი-ის მეექვსე თავში საგანგებოდ და შედარებით ვრცლად (გვ. 80-137) ლაპარაკობს ქართული დამწერლობის შემქმნელ პირთა ვი-ნაობაზე.

როგორც ითქვა, ამ პირთა შესახებ ავტორმა სხვა თავებშიც არაერთხელ გაგვიცხადა. ჩვენ უკვე ვიცით რომ, მისი აზრით, ეს დიდი მამულიშვილური საქმე ორმა ქართველმა კაცმა, მეფე ბაკურმა და არმაზ/ორმიზდმა შეასრულეს. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, რა იცის ისტორიამ მათ შესახებ?

ბ.ხურცილავას გაანალიზებული აქვს ბაკურის შესახებ არ-სებული წყაროები და ამის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი ბაკური „მოქცე-ვაი ქართლისაი"-ს თხზულებაში ნახსენები მეფე ბაკურ თრდა-ტის ძეა. აქვე აღნიშნავს იმის მიზეზსაც თუ რატომ არ იხსენიე-ბა იგი ლეონტი მროველის თხზულებაში (გვ. 93-94).

ბ.ხურცილავას მიაჩნია, რომ ბაკური - იბერიელი მეფის შვილი, 378-394 წლებში რომაულ-ბიზანტიურ სამყაროში მოღ-ვაწეობდა. 394 წლიდან ამ ქვეყნების წერილობით წყაროებში აღარ ჩანს. იგი სამშობლოში ე.ი. ქართლში იმპერატორ თეოდო-სი დიდის გარდაცვალების (395 წ. 17 იანვარი) შემდეგ ახლო ხა-ნებში უნდა დაბრუნებულიყო (გვ.90). ბაკურს 395-414 წლებს შუა უნდა ემეფა (გვ. 93).

როგორც ბ.ხურცილავას მიერ ამ მეფის შესახებ მოტანილი მასალიდან ჩანს (გვ. 81-98), ბაკური განათლებული და ღრმა ქრისტიანული სულის კაცი იყო. ამას გარდა, „საღმრთო წერი-ლის" ქართულად თარგმნის საქმის აქტიური მონაწილეც ყოფი-ლა (იოანე რუფუსის ცნობით). მას ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპე-რიაში მოღვაწეობის დროს უნდა ჰქონოდა კავშირი იმ გერმანე-ლებთან (ვესტ-გოთებთან), რომლებმაც საკუთარი ანბანი შე-ქმნეს (შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ (311-383 წწ) და რომლი-საგანაც (ბერძნულ ანბანათან ერთად) ბაკურმაც ისარგებლა ქართული ასომთავრულის ჩამოყალიბებისას (გვ. 115-116).

თავისი ნაშრომის 111-ე გვერდიდან ბ.ხურცილავა კიდევ ერთხელ უბრუნდება ქართული ანბანის მეორე შემქმნელის ვი-ნაობას. ამასთან დაკავშირებით იგი აანალიზებს პალესტინის ქართული მონასტრის წარწერას, რომელიც დღემდე მიკვლეულ წარწერათა შორის უძველესად (439-444 წ.წ.) ითვლება. მკვლე-ვარს მიაჩნია, რომ მასში მოხსენიებული ბაკური და გრი ორმი-ზდი არიან ქართული ანბანის შემქმნელები. რაკი ბაკურის ვინა-ობასა და საქმიანობაზე ავტორმა სრულად მოგვითხრო, ახლა მთელი ყურადღება გრი ორმიზდზე გადააქვს.

ავტორს მიაჩნია, რომ გრი ორმიზდი და სომხური წყაროე-ბით ცნობილი მწიგნობარი „ჯაღ"-ი ერთი და იგივე პირები არი-ან. ამ აზრს იგი საკმაოდ მახვილგონივრულად ასაბუთებს (გვ. 121-124). საინტერესოა ბატონ ბ.ხურცილავას აზრის სომხური ანბანის შექმნაში ქართველი მწიგნობარ გრი ორმიზდის მონა-წილეობის შესახებ.

ზემოთ მკვლევარმა უკვე მიგვითითა იმ მიზეზებზე, რამაც ძველ ქართულ მწერლობაში ასომთავრული ანბანის შემქმნე-ლების ვინაობის გასაიდუმლოება გამოიწვია. მისი სიტყვით „და-ვათის ქასვეტისა და „ქებაი"-ს ჰიმნის მაგალითზე" ჩანს, რომ „ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე VI ს-ის მიწურულისათვის ჩვენში ჯერ კიდევ ფლობდა ქართული ეკლესია, თუმცა კი მას „დაფარვით" ამჟღავნებდა" (გვ. 126).

ამის შემდეგ ავტორს არაერთი გონებამახვილური მაგალი-თი მოაქვს იმის დამამტკიცებლად, რომ „დაფარვის" მთავარი მიზეზი ადგილობრივი ქრისტიანი მისტიკოსების წარმოდგენე-ბი იყო (გვ. 126-130). ეს თავმდაბალი ადამიანები გაურბოდნენ საკუთარი ღვაწლის აფიშირებას და ანბანის შექმნის საქმეში ღვთაებრივი ნების გამოვლენის აზრს ამკვიდრებდნენ. მათი წა-რმოდგენით ქართულ ასომთავრულ ანბანს მოკვდავი მიწიერი ავტორები არ შეიძლება ჰყოლოდა. ასეთი რწმენის მკაფიო მა-გალითად ბ.ხურცილავა დავათის ქვასვეტის გამოსახულებებს და „ქებაი"-ს ჰიმნს თვლის.

მკითხველის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს ნაშ-რომის 132-135-ე გვერდები, სადაც უძველესი ქართული ზეპირი ნუმერაციისა და მეგობრული რიცხვების პითაგორას წყვილის (220, 224) ფილოსოფიური გააზრების საფუძველზე განმარტე-ბულია „ქებაის" ჰიმნის ერთი წინადადება („და მეგობრობა ამისთვს თქუა ვითარმედ ყოველ საიდუმლო ამას ენასა შინა და-მარხულ არს").

აი, ასეთია ბ.ხურცილავას წიგნის მოკლე შინაარსი. საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვისაც კი აშკარა ხდება, რომ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან გამოკვლევასთან. ბატონ ბ.ხურცილავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წიგნის შესავალშივე განც-ხადებულ მიზანს - შეესწავლა ქართული დამწერლობის შექმნის ეპოქა, გარემოებები და შემქმნელთა ვინაობა, მიაღწია: დაგვი-სახელა ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის და პრაქტი-კაში დანერგვის დრო - IV ს.-ის 80-90-იანი წლები; შემქმნელები - ქართლის მეფე დიდი ბაკური (395-414 წწ.) და მისი სიყრმის მეგობარი სეფეწული გრი ორმიზდი; აჩვენა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი ქრისტიანული ეპოქის ორიგინალური დამწერლობაა. მიზნის მისაღწევად მან იმდენ ახალ მასა-ლას მოუხმო, იმდენი ახალი დასკვნა გააკეთა, რომ გვაიძულა, გვეფიქრა: ქართული ასომთავრული ანბანი მართლაც ქრისტია-ნული ხანის პროდუქტია. მაგრამ მეეჭვება, რომ მისი ძირითადი ოპონენტები, ანუ ის მკვლევარები, რომლებიც ქართული ასომ-თავრული დამწერლობას ქრისტიანობამდელ ხანაში შექმნილად თვლიან, ფარ-ხმალს ასე ადვილად დაყრიან. მათ ამის საბაბიც ექნებათ. საქმე იმაშია, რომ მთავარი საკითხის სპეციფიკურო-ბის გამო ბ.ხურცილავას მონოგრაფიაში იმდენი ვარაუდებზე აგებული დასკვნაა, იმდენი საკითხია, რომელიც შეიძლება სხ-ვანაირადაც გაიგო, იმდენი ე.წ. „დაფარული აზრის" ამო-კითხვაა, რომ საჭოჭმანო ადგილები ბევრია. ამიტომ, მივაჩ-ნია, რომ ბ.ხურცილავამ ამ საკითხებზე მუშაობა კვლავ უნდ გა-აგრძელოს და გამოთქმულ დებულებებს საძირკველი შეუმა-გროს. ამის შესაძლებლობა მას ნამდვილად აქვს.

ერთი რამის აღნიშვნაც გვინდა. სამწუხაროა, რომ თავისი მიზნიდან გამომდინარე ბ.ხურცილავა ცდილობს, მთლიანად უარყოს ცნობა მეფე ფარნავაზის მიერ პირველი ქართული და-მწერლობის შემოღების შესახებ. მას მიაჩნია, რომ „ეს წერილო-ბითი ვერსია თავად ლეონტი მროველის შეთხზულია და რომ ის ისტორიული ჭეშმარიტებისაგან შორს დგას" (გვ.20 და სხვ.)

მაგრამ, - ფიქრობს მკვლევარი, - ლეონტი მროველმა სიყა-ლბე კი არ ჩაიდინა, როცა ანბანის შექმნა წარმართ ფარნავაზს დაუკავშირა, არამედ „ის შეცდომაში უნდა შეეყვანა მის ხელთ არსებულ რაღაც ბუნდოვან თუ გვარიანად დამახინჯებულ გა-დმოცემას, რომელიც სავარაუდოა, რომ ჩვენი ანბანის შემქმნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი პირების ვინაობას შეეხებოდა მხოლოდ და არა მთლიან მოვლენას, როგორც ასეთს (ვგულისხმობთ მოვლენის პერიპეტიებს)“ (გვ. 21). ამ ვარაუდს მოსდევს კიდევ ერთი ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ეტყობა, ამ საგულვებელ გადმოცემაში მოვლენის დრო (ეპოქა) არ იკითხებოდა; მითითებული იყო, ალბათ, ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი პირის სახელი, მეორის - სოციალური სტატუსი (მეფე-ფარნავაზიანთა გვარეულობისა). ლეონტიმ, როგორც ჩანს, ისინი ერთ პიროვნებაში გააერთიანა და მეფე ფარნავაზად მიიჩნია, მაგრამ ამასთანავე, არ დაკარგა გადმოცემაში მოხსენიებული პიროვნების სახელიც და ამ ნიადაგზე გაჩნდა მისი შემდეგი მითითებაც: „ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“ (იხ. ბ.ხურცილავა, დასახ. ნაშრომი, გვ.21).“

ეს ვრცელი ამონაწერი სარეცენზიო წიგნიდან იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა ერთი რამ - ვარაუდების გარდა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა...“-ში დაცული ცნობის უარყოფა სხვანაირად გამორიცხულია. აი, ეს კამკამა, ყოვლად გამჭვირვალე ცნობა: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქართლის ცხოვრება, I. 1955, გვ. 26).

ეს ცნობა ძალიან ლოგიკურად ზის თავის ადგილზე და არც რაიმე ძალადობის კვალი ემჩნევა. პატრიოტ ქართველებს მუდამ სჯეროდათ მისი ჭეშმარიტების და უფრთხილდებოდნენ კიდეც. მართლაც, იგი ჩვენი ეროვნული საუნჯეა. მაგრამ მეცნიერთა ერთი ჯგუფი და ჩვენს მიერ მიმოხილული მონოგრაფიის ავტორი ბ.ხურცილავაც ნაირ-ნაირი საბუთებით გვარწმუნებენ, უძველესი ქართული ანბანი - ასომთავრული - ქრისტიანულ ეპოქაშია შექმნილიო. ეს ვითარება ბადებს კითხვას: მეფე ფარნავაზმა ასომთავრულისგან განსხვავებული რაღაც სხვა, ჯერ ჩვენთვის უცნობი დამწერლობა ხომ არ შექმნა? ანდა რაიმე ისეთი ღონისძიება ხომ არ განახორციელა, რაც მისმა თანამედროვეებმაც და ისტორიის მწერლებმაც ქართული დამწერლობის შექმნად აღიქვეს?

ვინც „ცხოვრება ფარნავაზისი“-ს გულდასმით წაიკითხავს, აუცილებლად დარწმუნდება იმაში, რომ ამ მეფეს საკუთარი დამწერლობის შექმნის აუცილებლობა თვითონ დრომ დაუყენა. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორი აჯამებს ფარნავაზის მოღვაწეობას და მის მიერ გატარებულ უმთავრეს სახელმწიფო ღონისძიებებსაც ჩამოგვითვლის. ესენია: 1) ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა; 2) რელიგიური რეფორმა - არმაზის ქვეყნის უმთავრეს ღვთაებად აღიარება; 3) მმართველი ფენის - აზნაურების მაღალ პატივში აყვანა; 4) სახელმწიფო ენად ქართულის, ე.ი. ქართლელების ენის გამოცხადება და სხვ.

ფარნავაზის უმთავრესი უპირატესობა წინა მმართველ აზოსთან შედარებით ქვეყანაში მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება იყო. მან შექმნა სახელმწიფო ლაშქარი, საპოლიციო აპარატი, ცენტრალური და ადგილზე გამრიგე მოხელეები და, რაც მთავარია, სამეფო კანცელარია.კანცელარიაში იწერებოდა მეფის ბრძანებები, იგივე დაწესებულება ღებულობდა ე.წ. „ადგილზე გამრიგე“ მოხელეთა ნაირ-ნაირ შეტყობინებებს, კანცელარიაშივე ხდებოდა სამეფო ხაზინის შესავალ-გასავლის დაანგარიშება, დავთრების შედგენა და სხვ. მეფე და სამეფო მწიგნობრობის გარეშე არ წარმოიდგინება. აღნიშნულიდან გამომდინარე ვსვამთ კითხვას: რა ანბანს ხმარობდნენ ფარნავაზისდროინდელი მდივნები კანცელარიაში? უძველესი წყარო „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ გვიმტკიცებს, რომ ეს იყო „მწიგნობრობა ქართული“, მაგამ ბატონი ბ.ხურცილავა და ზოგიერთი სხვა ცნობილი მეცნიერი გვისაბუთებს, რომ ყველაზე ძველი ქართული ანბანი - ასომთავრული - ქრისტიანობის ხანაში შეიქმნა. აქედან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ „მწიგნობრობა ქართულში“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვა რაღაც დამწერლობა იგულისხმება. მაგრამ რომელი?

ჩვენ შეგვეძლო ასეთად ფარნავაზის ეპოქაში შექმნილი, მაგრამ დღემდე მოუღწეველი უცნობი დამწერლობა გვევარაუდებინა. თანაც მისი უკვალოდ გაქრობის მიზეზებიც დაგვესახელებინა. მაგ. ძნელბედობა, სარწმუნოებრივი კატაკლიზმები და სხვ. მაგრამ რაკი ასომთავრული ქრისტიანობის ხანის პროდუქტია, ხოლო ამ უცნობი დამწერლობის არავითარი მაგალითი დღემდე მიკვლეული არ არის, ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ იგი მომავალში აღმოჩნდება.

მაგრამ რა აუცილებელია, რომ ფარნავაზის მიერ შემოღებულ „მწიგნობრობა ქართულში“ მაინცდამაინც ორიგინალური ქართული ანბანი ვიგულისხმოთ? ამას რომ ვაცხადებთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე.წ. „არმაზული“ დამწერლობა, რომელიც არამეული დამწერლობის დამოუკიდებელ შტოდ ითვლება. ცნობილია, რომ ამ დამწერლობით ნაწერი არაერთი ტექსტი ნაპოვნია ქართლის ტერიტორიაზე და დასავლეთ საქართველოშიც (მაგ. ბორში, შორაპნის ახლოს). საქართველოში მიკვლეული არამეული წარწერები შეისწავლა ცნობილმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ გ.წერეთელმა და საყურადღებო აზრებიც გამოთქვა. სწორედ მან შემოიღო ტერმინი „არმაზული დამწერლობაც (იხ. გ.წერეთელი, არმაზის ბილინგვა. გვ. 5 და სხვ.).

არამეული ენა მთელ ახლო აღმოსავლეთში იყო გავრცელებული როგორც ოფიციალური, ხოლო არამეული ანბანი სპარსეთის იმპერიის ოფიციალურ დამწერლობად იყო გამოცხადებული. ასეთ აღზევებას მან თავისი განვითარების ოქროს ხანაში (ძვ.წ.-ის VI საუკუნიდან) მიაღწია. ვფიქრობთ, რომ ფარნავაზის მიერ „ქართული მწიგნობრობის“ შემოღება არამეული დამწერლობის „არმაზული“ ვარიანტის ოფიციალურ დამწერლობად აღიარებას ნიშნავს.

ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობის გამართვას, უადგილობის გამო, არ ვაპირვებთ. ამით ჩვენ საკუთარი მოსაზრება დავაფიქსირეთ და თანაც ვაჩვენეთ, რომ უძველეს ქართულ მატიანეში არსებული ცნობა ფარნავაზის მიერ „ქართული მწიგნობრობის“ შემოღების შესახებ ანგარიშგასაწევია.

ბოლოს, კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს ბ.ხურცილავას წიგნის მნიშვნელობას ქართული ასომთავრული ანბანის და, საერთოდ, კულტურის ისტორიის კვლევის საქმეში. თან იმედს გამოვთქვამთ, რომ ავტორი აღნიშნულ საკითხებზე მუშაობას არ შეწყვეტს და საკუთარ კონცეფციას კიდევ უფრო განამტკიცებს.



„ორი ხე“ მხატვარი ნოდარ ცანავა


ალბერ კამიუ
სარჩული და
პირი
SANI


გენო კალანდია
პოეზია
ერთტომეული


დიმიტრი ლობჟანიძე
თამარის
საფლავის
საიდუმლო


ალბერ კამიუ
ქორწინება
ზაფხული
SANI


ჩენე კალანდია
პოეზია
ერთტომეული


განგების
რკალში
I


ალბერ კამიუ
გადასახლება და
სამეფო
SANI


ზაუი კალანდია
პოეზია
ერთტომეული


უძლური
ჭირისუფალი
II

ი 252/4

ფასი 2 ლარი



იგორ კოდუა „წუთისოფელი"



მურმან დემურია „ცაიში"



ნოდარ ცანავა „აბსტრაქცია"



ასმათ ალანია „კომპოზიცია"



აბელ კალანდია „პეიზაჟი"

ნომერში გამოყენებულია
**ზუგდიდელი მხატვრების**
ნამუშევართა რეპროდუქციები